UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2015 / 2 / (16)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

უფლის საგალობელი

მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
ანა კალანდაძე

ლურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით „ათინათის"
გული ფეთქავს.

გულნაზ ხარაიშვილი

უწმინდესი და უნეტარესი
ილია II

*** * ***

უწმინდესი მყავს
რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და
ერის საჩინო.
სიკვდილი უკვე რწმენით
ჩავღობე,
სიცოცხლე უნდა
გადავარჩინო...



მამა გაბრიელი
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი)

*** * ***
(მამა გაბრიელს)

გარდაცვალებას, მეუფისას ვერ შევეჩვევი...
შენმა ლოცვებმა, მომირჩინოს იქნებ იარა...
ღმერთს ცაში მიჰყავს კეთილები, ყველა შერჩევით,
აი, ამიტომ ტკივილებმა არ გამიარა.
დამლოცე მამავ, იქნებ მწუხრი გადავიყარო,
მამა გაბრიელ, უტკბილესო, უსათუთესო...
ხომ მიქადაგებ, მტერი ისევ რომ შევიყვარო,
ყოველი დილა, წუთი, წამი, სიკეთეს ვთესო.

გულნაზ ხარაიშვილი

ხარება

ხატმწერი ხატია ლარიაშვილი

პეტრე და პავლე

ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

გადვიხედე ცის მთის იქით

ვაზის ახლოს ვარდი ჰყვავის,
სურნელებას მტევნებს აფრქვევს...
ქარი ზმუის სულით ავი,
ყვავილს მტრად და ნაცრად აქცევს.
მთვარე სტირის ღამის სახლში,
მზე დარდების ალით იწვის.
გლოვა არის ყველგან ხალხში,
გველეშაპი მიწებს სწიწკნის.
ღრუბლის კიბეს ავყევ მაღლა,
მიღმიეთსაც მივსწვდი ფიქრით.
არ მიგვრძნია გულის დაღლა,
გადვიხედე ცის მთის იქით.
იქ ვიხილე საოცრება,
დავინახე გარდაცვლილნი.
ლექსის პური თორნეს ცხვება,
მსაჯულები იყვნენ ფრთხილნი.
შოთასთან დგას იქვე ვაჟა,
მირიანიც იყო მათთან...
უცო ხმებმა გამაკაჟა,
ნაავდრალი გულიც გათბა.
შოთამ ბრძანა: მოუსმინოთ,
დღეს მეუფე ლექსებს ჰყვება
ია-ვარდი მოუფინეთ,
აქ სიცოცხლე არ მთავრდება.
ბედნიერი გავხდი იმ წამს,
იქ მყოფთ თვალი გადავავლე,
ცრემლი მოწყდა დაღლლ წამწამს,
ღმერთი ნეტავ რას ავალებს?
ლექსის ღმერთი იყო შოთა,
მსახურები დანარჩენნი...
ამ ხილვებით, ვღელავ, ვშფოთავ,
აქ დადგინდა განაჩენი.
პოეტს ვხედავ მშვიდობიანს
მეუფეა ვალმოხდილი.
მისი სახლი სიონია,
შემეგება ხელგაშლილი.
მას ღვთით ჰქონდა ნიჭი წერის,
იყო ძალზე გულკეთილი...
მისი ლექსი აქაც მღერის,
სიბრძნეა და გაკვეთილი.
ცის კიბიდან ჩამოვედი,
დარდს იმედი შეერია...
მეუფე ფრენს როგორც მტრედი
ცაშიც წმინდა ჰაერია.

რედაქტორი

სიონის ეკლესია
სადაც დაიკრძალა,
მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

მაია ტყემალაძე

სიყვარულის ნაჟური

ლამაზი მოგონებები დიდი სიყვარულის ნაჟურია. სიყვარული ღვთით ნაბოძები გრძნობაა, რომელიც ზოგიერთ ადამიანს მოჭარბებულად, ზოგსაც – საშუალოდ აქვს...

ვბედავ და ვწერ ღვთიური ნიჭით სხივმფინარე სასულიერო პირზე, რომელიც თხემით ტერფამდე სიყვარულის, სიკეთის სამოსელით იყო გარშემობურული.

მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე (მამა აკაკი მელიქიძისა და მამა ნიკოლოზ მელიქიძის ხორციელი მამა)!

გუშინდელივით მახსოვს: ჭიათურის მღვიმევის დედათა მონასტრის დაღმართს ნელ-ნელა მიუყვებოდა. მონასტრის მრევლი ვაცილებდით. გვახარებდა მის სიახლოვეს სიარული. გზადაგზა მეუფის ტკბილნაუბარს ვისმენდით. ფოთოლთა ხასხასა სიმწვანეში შეყუჟული ჟრუტუნია, ნაზი ყვავილებიც კი თავდაკვრით მოწიწებას გამოხატავდნენ თითქოს. უცებ, ანაფორის კალთა ეკლის დიდ ბუჩქს წამოედო და კაბა დაიჭირა. მეუფე შეყოვნდა. ერთ-ერთი უკან მდგომთაგანი მყისვე ეკლის ღეროს წაეტანა, რომ სამოსი გაეთავისუფლებინა. მე კი დაუფიქრებლად, ჩემდაუნებურად აღმომხდა: „მეუფეო, ნახეთ, აქედან თქვენი წასვლა ეკალსაც კი არ უნდა-მეთქი.“ ვთქვი თუ არა, საკუთარი სითამამე ვინანე. ჩემსკენ შემობრუნდა, გამიღიმა. წრფელმა, ალალმა, ბავშვურად უმანკო, გულუბრყვილო მზერამ შემომანათა. გავიბადრე, შებოჭილობა მყისვე მომეხსნა. ისეთი სითბო ჩამეღვარა, ეს ამბავი ჩემი თვალთახედვის არედან არასოდეს წაიშლება...

საკურთხეველში მყოფი მეუფე, ზეცისაკენ ხელაპყრობილი, რომ ლოცვას, „მეუფეო ზეცათაო-„ს აღავლენდა, გეგონებოდა, კამკამა წყარო მორაკრაკებსო მისი ბაგეებიდან. ისეთი მსასოებელი ხმა ჰქონდა, ტანში ჟრუანტელი გივლიდა. უფალთან მყოფისა და თანაზიარის ხატება ირეკლებოდა მრევლის თვალწინ...

მართლმადიდებლობის ბურჯი და საიმედო მცველი, მოსიყვარულე და უკეთილშობილესი სულიერი მამა! არ არსებობდა ადამიანი, რომ მასთან მიახლების დაბრკოლება შექმნოდა. ტკბილმოუბარი, ყველას საიმედო რჩევა- დარიგებას აძლევდა. მეუფე კონსტანტინე ცდილობდა ადამიანებს საკუთარ სულში აეგოთ სულიერი ტაძარი და მრევლს პირადი მაგალითით უჩვენებდა, ეცხოვრა თავმდაბლობით და მორჩილებით.



მიტროპოლიტი კონსტანტინე მელიქიძე დაიბადა 1925 წლის 19 თებერვალს.1992 წლიდან 1998 წლამდე ქიმოთერა-საჩხერის ეპარქიის მართველი.გარდაიცვალა 2000წ.20 ივლის

მიტროპოლიტი კონსტანტინე, ერისკაცობაში დიმიტრი, ბორჯომის რაიონის სოფელ ბალანთაში დაიბადა. პატარა დიმიტრი სწავლობდა ჯერ ბალანთის დაწყებით სკოლაში, შემდეგ ბაკურინის შვიდწლიან სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე სწავლა გააგრძელა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში, მერე კი– საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. იგი, საბჭოური ათეისტური პროპაგანდის მიუხედავად, ბავშვობიდან სწავლობდა საღვთო წიგნებს და მისი სული უფლისაკენ იყო მიდრეკილი. 1972 წლის 3 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის დავით მეხუთის ლოცვა-კურ-

თხევით სიონის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად აკურთხეს, 1973 წლის 21 ოქტომბერს კი– მღვდლად და დაინიშნა რუის-ურბნისის ეპარქიის სოფელ ატოცის წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვრად. 1974-75 წლებში მამა დიმიტრი მსახურობდა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვრად. 1978 წლის 20 ოქტომბერს იგი აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელი კონსტანტინე, 22 ოქტომბერს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ლოცვა-კურთხევით აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში... შემდეგ გამორჩეულ იქმნა ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსად. ძალზე შთამბეჭდავი იყო მეუფე კონსტანტინეს მიმართვა მისი უწმიდესობისადმი: „..აღგითქვამთ ყველას ნეტარების მომნიჭებელ იმ მორჩილებას, რომელიც წუთისოფლის ნარეკლიან, ძნელსავალ გზებს გვიადვილებს ქრისტეს სარწმუნოების მიმდევართ.

მოკლედ მოგითხრობთ, რომ ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვა ძალიან ადრე ვიგრძენი. ბავშვობისას ხშირად ვხედავდი ჯვარს სიზმრად, მაგრამ მინახავს ცხადადაც ჰაერში ჩამომდგარი, გაბრწყინებული ჯვარი პატიოსანი. ყოველ ხილვას ძელი ცხოვლისას რაღაც სიკეთე მოჰქონდა ჩემთვის. მაშინვე იმსხვრეოდა დამაბრკოლებელი ჯებირები, ქრებოდა უძლურება, ითრგუნებოდა ბოროტება.

ჩვენებათაგან, რაც ახალგაზრდობისას მეღირსა ხილვად, მთავარი ის იყო, რომ ცის სამხრეთ აღმოსავლეთით ვიხილე ოქროსფერი ნათლით გაბრწყინებული ღვთისმშობელი და მის გარშემო სხვა წმიდანები, ასეთივე ნათლით გაბრწყინებულნი, მაგრამ უფრო მომცრონი. დედა ღვთისა უხმოდ შთამაგონებდა მაღლიდან, რომ სასოება არ დამეკარგა მის მიმართ, გადამეწერა პირჯვარი და მქონოდა მისი დახმარების იმედი.

სხვა ჩვენებაში თეთრ-სპეტაკი ღრუბლით მოსილი მამაღმერთი და ძე-ღმერთი ვიხილე ცასა და ქვეყანას შუა ჩამომდგარი და მარჯვენით დედა-ღვთისა. ჯერ იყო დუმილი ცათა შინა და მერე მამა ღმერთმა წარმოთქვა: „მე მსურს დედამიწა ცას შევუერთო...“ და იქვე დასძინა: „დაე, მიწამ შეიგნოს და თვითონ მიუახლოვდეს ცას...“

სწრაფვა სულიერი განათლებისაკენ იმთავითვე მქონდა, რაღაცა იდუმალი გულისხმა ღვთიური მომიწოდებდა. ადრე დავეწაფე ძველი და ახალი აღთქმის სიბრძნეს, ქართლის ცხოვრებას, ლიტერატურასა და ფილოსოფიას. მე დიდხანს ვიყავი სამოქალაქო სამსახურში და უფალს ვთხოვდი გზების გახსნას...

თუმცა მოწოდება იყო ღვთიური, მაგრამ, საოცარია, კეთილი ძალა მაინც თავისუფალ ნებას მიტოვებდა. სურვილი, თანაც ძლიერი, ჩემი უნდა ყოფილიყო. ბოლოს სულმა იმძლავრა და მე ეკლესიაში აღმოვჩნდი...“

მეუფე კონსტანტინე 1979 წლიდან დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარედ. 1980 წელს მისი უწმინდესობის კურთხევით აყვანილი იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის 1984 წელს მას მიებოძა მიტროპოლიტობა. 1985-1995 წლებში მიტროპოლიტი კონსტანტინე ბათუმ- შემოქმედის ეპარქიის მმართველია. 1995 წლიდან 2000 წლამდე კი მარგვეთის ეპარქიას განაგებდა.

მეუფე კონსტანტინე მიიჩნევდა, რომ ეკლესიას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა საზოგადოების უმრავლესობა ჭეშმარიტად მორწმუნე მრევლად ექცია. მისი ქადაგებები იყო სადა, ყველასათვის გასაგები. ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტ

მცოდნეს კარგად ესმოდა ინტელექტის, განათლების მნიშვნელობა. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი," თავადაც წერდა ლექსებს. მისი პოეზია სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს დასტრიალებდა.

უყვარდა შემოქმედი ადამიანები. ანა კალანდაძე იგონებს: „სიონის ტაძრის ქორეპისკოპოსმა, მეუფე კონსტანტინე მელიქიძემ, ერთხელ საუბარში მითხრა: ტაძრებზე ბევრს წერთო... დიახ,– მივუგე,– უნივერსიტეტში ვსწავლობდი და...

– არა!– ხმას აუწია მან,– ეს თქვენში უფრო ადრე იყოო!..

„ო, არის რაღაც უსაზღვროდ დამაფიქრებელი..."

იმ დროს, როდესაც მეუფე კონსტანტინე მარგვეთის ეპარქიას განაგებდა, ჭიათურის მრევლს მოგვეცა ბედნიერება მასთან დაახლოებისა. მეუფეს ძალიან უყვარდა ჭიათურა. პატარა ქალაქმაც, საპასუხოდ, საოცრად დიდი სიყვარული შეაგება. მეუფე ხშირად მიბრძანდებოდა მღვიმევის დედათა მონასტერში, კაცხის ტაძარში... მისი ყოველი გამოჩენა მრევლისთვის დაუვიწყარი ზეიმი იყო. რამდენი ადამიანი უნუგეშებია, რამდენის ფიზიკურ თუ სულიერ ტკივილებს სალბუნად, მალამოდ მოსცხებია მისი მაკურნებელი ლოცვა, მამაშვილური დარიგებანი. იგი, შეჭირვებულთათვის უტყუარი მკურნალი იყო... წერილის მომზადების დროს რამდენიმე ადამიანს ვთხოვე, მეუფეზე თუ რაიმეს გაიხსენებდნენ. გაზაფხულის მონატრებული, შხაპუნა წვიმასავით წამოვიდა სასიამოვნოდ მაბკურებელი მოგონებები. მხოლოდ რამოდენიმე მათგანს გაგაცნობთ.

ნინო ჭანკვეტაძე: "მეუფე კონსტანტინესთან ერთად ყოფნა იყო სულის ზეიმი, სამოთხეში ყოფნა. იგი გახლდათ ტკბილმოუბარი, მეტყველებდა დარბაისლური ქართულით. მასთან მისასვლელად წინასწარ შეთანხმება არავის სჭირდებოდა ... მარგვეთის ეკლესიაში ახლადმოსული ბრძანდებოდა, როდესაც ჭიათურის სოფელ ნავარძეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში სამეუფო წირვა უნდა აღესრულებინა. რადგან ტაძარში მგალობლები არ იყვნენ, მე და ჩემი სამი მეგობარი გვაკურთხეს, რომ იმ დღეს გვეგალობა. წირვა დამთავრდა. მეუფე მოგვიახლოვდა და მზენათელი ღიმილი შემოგვაფრქვია, სახელები გვკითხა. „ ნინო, ნინო, მზია, მზია,– " ვუპასუხეთ ჩვენ-ჩვენი სახელები. „ორი ნინო, ორი მზეა! – " მოგვეფერა და სულში მართლა მზის სხივები ჩაგვიღვარა...

ერთხელ, ეპარქიის საჭირო საკითხებისათვის, მეუფესთან ზესტაფონში უნდა ჩავსულიყავით. ზამთარი იყო. უსაშველოდ თოვდა. მანქანა, რომლითაც უნდა გვემგზავრა, ძველი და მოჯაყჯაყებული იყო. მე დავიჟინე, რადგან მეუფე გველოდება, აუცილებლად უნდა ჩავიდეთ მეთქი... გზაზე მანქანები კანტი-კუნტად მოძრაობდნენ. დილიკაურის სერზე ისეთი ქარბუქი იყო, არაფერი ჩანდა... როგორც იქნა ზესტაფონამდე ჩავაღწიეთ. მეუფეს გაუკვირდა, ასეთ ამინდში რამ ჩამოგიყვანათო. ვისაუბრეთ. ჩვეული რჩევა-დარიგება არ დაიშურა. რადგან თოვა თანდათან მატულობდა და ამინდი ბობოქრობდა, შემოგვთავაზა, იქნებ დარჩენილიყავითო. შეგვატყო, ამისთვის მზად არ ვიყავით და წასასვლელად გვაკურთხა, გზა დაგვილოცა. საოცარი იყო, თუმცა თოვა არ შეწყვეტილა, იმ ადგილებზე, სადაც ჭიათურიდან წამოსვლისას მანქანას ძალიან გაუჭირდა, ნამქერი თითქმის დაკლებულიყო და თოვლი დამდნარიყო. მეუფის ლოცვა-კურთხევით შინ მშვიდობიანად დავრუნდით."

ნუგზარ პაპიძე: „მეუფე კონსტანტინე იყო ადამიანი, რომელიც ყველას ფიქრსა და სატკივარს ხვდებოდა. მე მქონდა მასთან ახლოს მყოფობის ბედნიერება. ის იყო ხორციელი და სულიერი მამასავით თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე. სტიხარს რომ ჩა-

ვიცვამდი და მეუფის გვერდით დავდგებოდი, თითქოს სულ სხვა ადამიანი ვიყავი. ძალიან მენატრება ის დრო და ძალიან მენატრება მეუფე. მან ჩემს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა“.

დეკანოზი მამა ამირან მოდებაძე (კაცხის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი): „მეუფე კონსტანტინე ბრძანდებოდა საოცრად დიდსულოვანი ადამიანი, არაჩვეულებრივი მლოცველი და უფლის მსასოებელი. სხვისი ცოდვების გამო მას თავად მოსდიოდა ცრემლები. იყო ძალიან შემწყნარებელი. მან მასწავლა მართლმადიდებლობის ანა-ბანა და კიდევ რამდენი რამ... მეუფის მადლი ჩემს ოჯახს დღესაც შემწედ მოჰყვება. ჭიათურასა და საჩხერეში რომ მობრძანდებოდა, ღამით ჩემს ოჯახში რჩებოდა. ეს უდიდესი სიხარული იყო. ჩემი უმცროსი ვაჟი, ზურაბი დაიკაპიწებდა სახელოებს და უცხობდა „პეჩენიებს,“ რომელიც მეუფეს ძალიან უყვარდა და მასზე „მზრუნველი“ ჩემი შვილის გამო კმაყოფილებას გამოხატავდა. მიტროპოლიტის ჩამობრძანებისას მოძღვრები ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან, საღამოს ლოცვებისას მოდიოდნენ მეზობლები და ირგვლივ უთბილესი გარემო სუფევდა...

რა დამავიწყებს, ერთხელ თბილისიდან მოვდიოდით. გზაში მანქანა გამაჩერებინა. ორი დიდი ვედროთი მარწყვი იყიდა. გავიოცე და ვკითხე: მეუფე, ამდენი მარწყვი რად გინდათ მეთქი. ამით ფოფოდია კომპოტებს გააკეთებს და ზამთარში მივირთვათ ხოლმეო...

ერთხელ მეუფემ პატრიარქთან წამიყანა. შეხვედრისას მისი უწმინდესობა ფეხზე წამოუდგა და მეუფეს თითქმის შუა ოთახამდე შეეგება. ორივეს თვალებიდან სიხარულის, მონატრების ცრემლები სდიოდა. ეს იყო ღვთის ორი რჩეულთაგანის ღვთიური სიყვარული. შორიახლოდან ვუცქეროდი და ბედნიერებისაგან მეც ვტიროდი...

უაღრესად საინტერესოა დასაქორწინებელი წყვილისათვის მეუფე კონსტანტინეს დარიგება. აი, რას წერს იგი: „დასაქორწინებელი წყვილისათვის 6 თვე საკმარისი დროა, რომ კარგად გაიცნონ ერთმანეთი. მათ ამ პერიოდში მეგობრულად უნდა იარონ ეკლესიაში, ეზიარონ, ერთმანეთისათვის იკითხონ სახარება, ფსალმუნები, პარაკლისები, დაუჯდომლები, სასურველია ერთი თვე გაატარონ სტუმრად მონასტერში. ერთი თვის შემდეგ სულიერი მოძღვრისა და მშობლების ლოცვა-კურთხევით ეზიარონ და დაიწინდონ ეკლესიაში. თვენახევრის შემდეგ კვლავ ეზიარონ და დაიწერონ ჯვარი.

ჯვრისწერიდან რვა დღის განმავლობაში მოილოცონ წმიდა ადგილები, ასევე წინაპართა და ოჯახის გარდაცვლილ წევრთა საფლავები, მერვე დრეს მოძღვარს წააკითხონ გვირგვინის გახსნის ლოცვა, მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ კურთხევა გაიყონ სარეცელი და ამრავლონ ერი. სწორედ ასეთი ქორწინებაა ღვთივკურთხეული.“

ამის წამკითხველნი მყისვე იტყვიან, ამას ვინ შეძლებს და გააკეთებსო. შეეძლოთ და აკეთებდნენ კიდეც ჩვენი წინაპრები. როდესაც რწმენა დიდი იყო, ერში მადლი ისადგურებდა, ოჯახები მყარი და ძლიერები ხდებოდნენ. ამიტომაც უმკლავდებოდა ერთი მებძოლი მომხვდურთაგან ათს, ოცს, ოცდაათსაც კი...

მეუფე კონსანტინეს ლოცვით ღმერთმა გააძლიეროს და აღორძინოს ჩვენი ქვეყანა!

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

ლაგუნა ვერე

დაღლილი გული რით გავაჩუმო,

ლაგუნა ვერე როდესაც ღელავს...

ღრუბელო, ზეცის კაბის სარჩულო,

შემოგაფხრიწა სამოსი ელვამ...

ძირს მოეფინე წვიმების ცრემლად

დაახრჩვე შვილნი... სიავით ზმუი,

ო, საქართველო ვინ დამიწყევლა

მთაწმინდის სერზე მგლები რად ყმუის.

2015 წელი გამოცხადებულია აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლის აღსანიშნავად

საიუბილეოდ დღეებში გამოიცა აკაკის "წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში", რომელიც მანამდე არც ერთ ტომში არაა შეტანილი, პირველი გამოცემები შესრულებულია 1906 წელს გუტენბერგის სტამბაში, გამომცემელი "ჯვარი ვაზისა", და 1908 წელს აკაკის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავზე, დიდი ქართველი მეცენატის მიტროფანე ლაღიძის მიერ ქ. ქუთაისში, ივანე კალაძის სტამბაში. გამოცემის ეგზემპლარები ინახება საჯარო, ლენინის საჯარო, სალტიკოვ-შჩედრინის და აკადემიის ბიბლიოთეკებში. (ქართული წიგნი, ბიბლიოგრფია, ტ. I, წიგნის პალატის გამოცემა, თბილისი 1941 წ. გვ. 325).

ერთი ეგზემპლარი ამ წიგნისა ინახება აკაკის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

პოეზია



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

* * *

უკეთუ საკუთარ თავს მოერიე,
მაშინ ხარ ყველაზე ძლიერი,
ჟამმან, მრავლის მქმნელ გარდამქმნელმან
შენ ვერ შეგიცვალოს იერი.
მთავარი სიმტკიცეა სულისა,
კლდე რაა, ნაჭედი რვალისა?
არცა გეშინოდეს სიკვდილისა,
არც მისი მსახვრალი ხმალისა.
მშვიდად ხარ აღმასრულებელი
ამა საწუთროის ვალისა...
იმედი, რწმენა და სიყარული
ისე გადაგაქცევს ხალისად,
არცა შიში გქონდეს, არცა დარდი
მიმგებელობისა ხვალისა.

ჩანახატი

მზემ ოქროს შუბით გაარღვია
თეთრი ღრუბლები,
ააჩურჩულა ალუჩები და ალუბლები...
ნაზად ელავენ ყვავილებში მწვანე ნაძვები
და მზისფერ აპრილს უფრო მეტად ალამაზებენ.
ბუნება ლაღობს, მხიარულობს, აღარა ხუმრობს...
და ყველაფერი მღერს სიმღერას საგაზაფხულოს,
ამდევნებია უჩვეულო ფიქრი თავნება
და მიღიმიან მელნისფერი იასამნები.

უფალო ტკბილო

შენ ხარ ღმერთი წინაპართა
სალოცავი, სათაყვანო,
შენ წინაშე შვილთა შენთა
უყვართ მუხლი მოიყარონ.
შენ შეამკე ცა ვარსკვლავით,
შენ ანათე მზე და მთვარე,
შეგვეწიე, დაგვიფარე,
გვაპატიე, გაგვახარე.
შენ ხარ ჩვენი სასოება
სიცოცხლე და სიხარული,
შენ სავანედ სამყარო გაქვს
და კეთილი კაცის გული.
უცნაური არის ყოფნა –
მარტივი და თანაც რთული,
შენ სამყაროც კი ვერ გიტევს,
მაგრამ გყოფნის კაცის გული.

ო, დიდება შემოქმედო

ანარეკლი ბრწყინავს ჭავლი,
ნატამალი ციურ წყალთა...
მე მივტირი დღეებს ჩავლილს,
როს მფარავდა მშობლის კალთა
და უმანკოს შუქად მადგა
ნათლის სახე წინაპართა.
ანგელოზებს უცინისო –
პატარაზე იტყოდიან...
მერე სულში დაიზამთრა,
გაზაფხული იყო გვიან...
ნეტარების ყვავილები
ჟამთა ქროლვას დაუჭკვნია.
თითქოს ხედვა დაბარბაცდა,
დანისლული სევდის ჩრდილით,
რა შორს დარჩა იგი განცდა –
ბავშვობისა, ესდენ ტკბილი,

ცისკრის სახედ აღბეჭდილი.
.....
უხილავი კვლავ ჩამძახის,
ესე ნატვრად დავიგულე:
თუ გსურს სდევდე ისევ პეპლებს,
ჰკრავდე დღეთა თაიგულებს,
ყველას ყველა მიუტევე,
ბავშვის გული დაიბრუნე.
გალაღდი და გახალისდი
ლოცვის მადლის დაგებითა,
გავცოცხლდი, აღმსუბუქდი
სულის განსპეტაკებითა,
აღფრინდი და აიქროლე,
ოქროვან ფრთებნაქებითა.

მადლი შენდა შემოქმედო,
სახიერო ბუნებითა,
შიშით ასამაღლებელო,
კრძალვით და რუდუნებითა,
უცვლელო და მოუკლებო –
დროის ეტლთა ბრუნებითა;
განწირულთა, მცოდველ შვილთა,
უნებლიედ თუ ნებისად,
სულგრძელებით მიმტევებო
ყველა ჩვენი ცდუნებისა,
სიკვდილის გზის გადამკეტო
მზისკენ შემობრუნებითა.

1980 წ.

* * *

ნეტარნო მამანო,
ნეტარნო დედანო,
დიდნო წინაპარნო,
მეუფის მხედარნო,
მარად ზემსწრაფველნო,
არ ქვეგამხედვარნო,
სულის დიდმსახურნო,
დიდების მხედარნო,
დიდი სილამაზის
მჭვრეტელნო, მხედველნო,
შველას გევედრებათ
ერი წამებული,
ზეცა განგვინათეთ
ჩამოღამებული,

ლოცვით აღგვადგინეთ
და წინ გაგვიძეხით
დიდი სიყვარულის
კვლავ გამოღვიძებით.
ციური მამული
აქედან იწყება,
სამშობლო, სამშობლო
ნუ დაგვავიწყდება,
ვიდრე ჩვენს მამულში
მტრის ხმა არ მიწყდება,
სულ მთლად არ ჩაკვდება
და არ დამიწდება,
უწმიდეს ვალისა
არ ხამს დავიწყება,

თორემ ცოდვა დაგვსჯის,
ზეცა გაგვიწყრება.
ღირს გადარჩენისთვის
თავის დავიწყება,
რადგან უკვდავება
აქედან იწყება.
ვისმინოთ მამულის
გმინვა და გოდება,
სად შურისძიების
წყურვილი ბორგდება,
ვინც ღმერთის შვილია
ყველა გამოდგება,
სიცოცხლის მსახური
არასდროს მოკვდება.

* * *

დაგვლოცე და დაგვიფარე, უფალო,
გვაკურთხე და მზიანი გზით გვატარე,
გონი მოგვეც ზეცით თავისუფალი,
და ამინდიც ზეცით გამოადარე.
გვაღიმილე, რათა ვიყვარებოდეთ,
გაზაფხულთა აფეთქებას გვადარე...
მხოლოდ ასე, წამებაც კი ტკბილია,
განგვინათლე გული სევდით ჩაგრული...
შეინირე გლახაკთ ესე მწვლილია,
ვით რაინდის სიმღერები ჩარგლური.



მდაბალი **მამა გაბრიელი**
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი)

უწმინდესს!

ბრძენთა შორის უბრძენესო, ჩვენო წმინდა უწმინდესო
მიუტევე შვილთა შენთა, რაც კი რამ ვერ გაგიგესო,
შენი წაღმა დარიგება, რაც კი უკუღმართად ქმნესო,
თავზედ დაიმხვეს ქვეყანა, ობოლიც არ დაინდესო,
მონღოლ-სკვითთა შთამომავალთ მიწა-წყალი დაუთმესო,
ჭკვიანი და მეცნიერი საზღვრის გარეთ გააგდესო,
აღარაფრად დაგიდევენ აღარც მღვდელს და აღარც ბერსო,
ფარისევლურად შედიან ეკლესია-მონასტრებსო,
საქმე ისე წაიყვანეს, სოფლად ძაღლიც აღარ ჰყეფსო,
იმათი ნამოქმედარი გულს უხარებს მრავალ მტერსო,
კაცი სრულად ვერ ჩამოთვლის, რაც მათ ავი საქმე ჰქმნესო.
არაფერი დაემალვის იქ ზეცაში მაღალ ღმერთსო,
არ უწყიან უბედურთა, თავის თავს რა დამართესო,
არცერთი კეთილი რჩევა იმათ ყურად არ იღესო,
თავისი შთამომავალი სატანჯველად გასწირესო,
ცხრა მთას იქით გზაც გქონიათ, თავი ანებონ ჩვენს ერსო.

P.S. შენ ქართველთა ტკბილო მამავ, საყვარელო უწმინდესო!
შემინდევ და მომიტევენ ამ სტრიქონების დამწერსო,
პატიებას ცრემლით შევთხოვ, ზეცას მამას ზეციერსო,
სასოებით ველოდები ქვეყნის გაბრწყინვების დღესო.

2010წ.

* * *

რა საზიზღარი ქარი ქრის,
    რა საძაგელი დარია,
ღმერთო! ასეთი რა გცოდეთ,
    რომ ვეღარ გაგვიხარია,
ძმა აღარ ანდობს მოძმესა,
    მასონმაც ხელი დაგვრია,
სულმთლად გაჟლეტას გვიპირებს,
    არსადღა სამართალია,
ლამის არ შერჩეს მიწასა
    ქართლოსიანთა გვარია,
არსაით გვიჩანს პატრონი,
    ვინც გვყავდა, გულმომკვდარია,
შორით გახიზნეს ურჯულოთ,
    ღვთის კაი საფიცარია,
გიორგის ირქმევს სახელად,
    ვარლამად დამაშვრალია,
ზეცაში დედაღვთისმშობელს, ცრემლით სავსე აქვს თვალია,
ღმერთო! შენ გადაგვარჩინე, ღმერთო! გვიცოცხლე გვარია,
აღასრაით ჩანს სიკეთე, მძვინვარებს ცოდო-ბრალია,
ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარა, შენ დაუბრმავე თვალია,
შხამად შეარგოთ დედის რძე, გასწყალებოდეთ ძვალია,
ორსავე სოფელსა შინა, წვავდეთ კუპრისა ალია.

* * *

მალე ინათებს ივერნო!
    ვთხოვოთ ღვთისმშობელს მარიამს,
თავის წილხვედრილ ქვეყანას,
    წყალობდეს მისი თვალია,
აღსრულდეს ნება უფლისა,
    მოყვარეე გაგიხარია.

1993წ.

სამშობლოვ ჩემო

სამშობლოვ ჩემო! ბევრჯერ ჯვარცმულო, ბევრჯერ აღმდგარო,
ნუთუ დრო შენი ბედნიერების ჯერ არ დამდგარა?
სატანისაგან შენს მიწაზედ დაღვრილი სისხლი ჰესად დამდგარა,
და წალეკვას გვიპირებს ცოდვილთ.
სამშობლოვ ჩემო! ხომ აწოვე ძუძუ უპოვართ,
უსახლკაროთ და უპატრონოთ შეივდომებდი,
მათთვის ერთ წუთსაც ავს არასდროს არ ინდომებდი,
სალოცავად ტაძრებსაც კი აღუშენებდი, იმ იმედით, რომ
შენგან შობილთ ძმად მიიღებდნენ, წახდა იმედი.
„არწივი ვნახე დაჭრილი“-ო გოდებდა კაცი, კაცი კი არა,
თითქმის ღმერთკაცი,
და ის გოდებაც მეფისტოფელმა სისხლში ჩააღრჩო,
დღეს კი, შენს შვილებს აღარ შეგვრჩა ის სულის სარჩო,
საზვერეებს რომ ასწვდება და აგვაყვავილებს,
გერთა მამა კი, ყორანივით, წყევლას დაგვჩხავის,
არ ეშინია მას ალგეთის მგლის და აღარც ფშავის,
რადგან იმრავლა საქართველოში ბახალამ ყვავის,
ავ კაცს ყოველთვის ურჩევნია თქმა სიტყვა ავის.
მამათ კი ჩვენთა, ტკბილღიმილიანთ, ზოგჯერ ძილიანთ,
ვერ გაუგიათ, შვილნი მათნი რისთვის სტირიან,
შავი მაგიით გაბრუებულთ სახლს უყიდიან,
ნეტავ რას ამბობს იქ ზეცაში დიდი ილია.
სამშობლოვ ჩემო! ბევრჯერ ჯვარცმულო, ბევრჯერ აღმდგარო,
ნუთუ დრო შენი ბედნიერების ჯერ არ დამდგარა,
თუ არ გამქრალა, ქართული გენი, თუ არ გამქრალა,
დაე დავიწვა საკურთხეველზედ მეც ერთ ლამპარად,
დაე გარდვიქცე მეც იმ ხანჯლად,
ზურგში კი არა მტერს გულში რომ განეწონება,
როს კაცთა მოდგმას ცოდო-მადლი მისხალ-მისხალ აეწონება
მეც იქ ვიქნები მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთ შორის,
სიტყვას შემაწევს სანუგეშოს წმინდა ილია.
მაშ დაუკარით, იმ ძველი ხანჯლის ის ძველი ჰიმნი,
მიძინებულს და ბანგით გათანგულს რომ გააღვიძებს,
მაშ დაარისხეთ დედო-ზარი მცხეთას გატანჯულს,
ილიას სისხლს რომ ააზვირთებს და მტერს წალეკავს,
არ შევუშინდეთ, ვიწრო გზაზედ, ღორღს და ნარ-ეკალს,
და გწამდეთ! გწამდეთ ძმანო! რომ სულ მალე,
გამარჯვების სიხარულის ზარი დარეკავს.
სამშობლოვ ჩემო! ბევრჯერ ჯვარცმულო! ბევრჯერ აღმდგარო!
ნუთუ დრო შენი თავისუფლების ჯერ არ დამდგარა!

25 თებერვალი, 1989 წ.
გლოვის დღე

მაყვალა გონაშვილი

ხეო სიწმინდისა

ხომხლის მთაზე ზვრების ნაცვლად
საზამთროს ბაღჩები დამხვდა.

ინდი-მინდი, ინდი-მინდი,
რად მაწვება თვალზე ბინდი?
ვაი, როგორ მომენატრა
მზეზე მოშრუკული შინდი,
იკლი-ბაკლოს ხეობაზე
გადებული ბეწვის ხიდი.
პაპი, ვხვდები შუბლშეკრული
მუდამ რატომ მესიზმრები,
იცი, შენგან გაკვალული
წაიშალა ძველი გზები,
გავერანდა ხომხლის მთაზე
სხივით სავსე ჩვენი ზვრები.
სულ საზამთროს ბაღჩებია,
ჩირად ფასობს თურმე ვაზი,
ამომიშრა საღმრთო ღვინო,
გამიმწარდა ალვახაზი,
მოხვევია ჭიგოს ვნებით
ვაზის ნაცვლად უსურვაზი.
ინდი-მინდი, ინდი-მინდი,
რად მაწვება თვალზე ბინდი?

გულმზიანი

ჯანსუღ ჩარკვიანს

სხვა შენებრი არვინაა,
სახე – კაცურკაცობის,
შენი სიტყვით მოხიბლულა
უცნობიც და ნაცნობიც.
თუმცა ავი კაცუნები
შენი შურით კვდებიან,
სკამზე შედგნენ,
ვიცი მხრამდე
მაინც ვერ მოგვწვდებიან,
ავი სიტყვით, ავი საქმით
შეგიხსნიანნ იარებს,
ვისაც შენი წილი პური
უხვად გავუზიარე,
ვინც მადლის წილ მოგიტანა
ეკალი და ცრემლები,
ვინც მიიღო შენი ლექსი
ჩუმი თავდაჯერებით.
კაცმა არა, ღმერთმა იცის
ყველას გულთამხილველმა,
რომ ეგ გული –
ზღვა სიკეთის
არასოდეს ილევა.
ლხინისა და ჭირის სუფრის,
ქართულ ლექსის თამადავ,
გენაცვალე, ნუ იმღერებ,
ავადა ვარ, ავადა.
ვინც შენ ავად შემოგხედოს,
ავად გახდეს თავადა.
გაიხარე შენი ფესვით,
შენი მძლარი გენებით,
მომღერალი შვილებით და
ამღერებულ ლექსებით...
ლომის ძეო, ლომის ძმაო,
ლომო, ლომად ბერდები,
მხრებში როდი იხრებიან
შევერცხლილი ქედები.
ქედუხრელო, ქედმაღალო,
გული ხომ არ ბერდება,
გული ცაზე მზედ დაკიდე,
დილა გულით თენდება.
მაგ მზე გულით გაგითბია
უცნობიც და ნაცნობიც,
გულმოწყალევ, გულმართა-
ლო,
სახევ კაცურკაცობის.

ძახილი

დედაო ევა, სად ხარ, დედა?!
დედა, დედა! დე!
მინდა რო ვიყო ქვეყნის მეფე
თიხად ქცევამდე.
მეც მიყვარს თავი. მინდა ვიყო თავისუფალი,
სანამდე ჩემს სულს მიიბარებს მამაუფალი.
სანამ სხეულში მზე ბუღრაობს, სანამ ცა მოთოვს,
სანამდე მკერდთან ვარდს დავაჭკნობ
და ფერხთან – ლოტოსს.

რადგან ქალი ვარ, მეც მახელებს ცნობისწადილი,
მეც გამიმწარდა ბევრი თაფლით ტკბილი წანდილი.
მეც ბევრჯერ ვნებით მომეხვია სხეულზე გველი.
ბევრჯერ დავძლიე მორჩილებით დაუძლეველი.
რა, არ იცოდი, მამა ღმერთო, რომ მომეც სული,
ქალი სულმოკლე, სულსწრაფია და სულწასული,
გამოცდილებით თუმც ათასჯერ ამიცრეს ტანი,
მაინც ათასჯერ ვიყავ მონა ტრფობის, სატანის.
ყელთამდე წყალში ვიდექი და მწყუროდა წყალი,
ვით ტანტალოსი, საუკუნო ტანჯვის ამტანი.
ხომ არ გრცხვენია, მამაღმერთო, შენი ხელობის?
ჩვენი სიბეცის, უღმერთობის, ასე ხელობის?
მზე ჭკნება ცაზე, დედამიწა იფარავს შვილებს,
დამდგარა ჟამი უკეთობის და თვითმკვლელობის.
წლები გვამძიმებს, ცოდვებით და გამოცდილებით.
ვხვდებით ჯოჯოხეთს, რა ჟამს წამით გამოგციდლებით
და მაინც გელით და იმედი ბჟუტავს კარივით,
აგედევნებით ბოლოს მაინც მორჩილ კრავივით,
გავივლით ნეტავ, ამ ბეწვის ხიდს, თუ ვერ გავივლით,
მოვასწრებთ რამეს, გარდაუვალ ბედისწერამდე?
კულისებიდან განათებულ აიმ სცენამდე?
აღზევებიდან დაცემამდე, მიწად ქცევამდე?
ჩემო საწყისო, სახევ ჩემო, დედაო ევა,
წლები გვაშორებს ათასობით, მაინც შენ გგავარ,
მშობელო ჩემო, პირმშოვ ჩემო, სად ხარ დედა, დე!
მტკივა სხეული დაქცეული თხემით ტერფამდე!

მანმადე ისე შორი გზებია

ვინ გაპატიებს, რომ ხარ კეთილი,
სათნო, უმწიკვლო და უშურველი,
რომ სული სავსე გაქვს მაჩიტებით,
რომ საზრდოდ გყოფნის იის სურნელი,
რომ ვინც გაგწირა, ყველას შეუნდე
და მიწასავით იყავ მდუმარე,
რომ უდარდელი ცხოვრების მაცნეს
დაუფიქრებლად უთხარ უარი,
შენ ჰგავხარ ატმის ხეს აყვავებულს,
რომელსაც ფერადს ამტვრევენ რტოებს,
მოვა დაღლილი მგზავრი შენს ჩრდილში,
სულს მოიბრუნებს და მერე გტოვებს,
ვით კუზიანი კითხვის ნიშანი
ბედი მოგდრეკს და იტყვი... სანამდე?!
ჯერ ასჯერ მაინც უნდა წაიქცე,
რომ ერთხელ მაინც ზეცად ამაღლდე.
მანმადე ისე შორი გზებია,
მანმადე ისე ახლო გებია,
მანმადე ვის არ გასთენებია,
მანმადე ვის არ დაღამებია.
მანმადე უნდა იყო მორჩილი,
ლექსით და ლოცვით ღამის მთეველი,
მანმადე უნდა გაექცე პატივს,
როგორც დაღლილი ნაზარევეი.
ვერ გაგიგია, რატომ გკენწლავენ,
ტალახის გუნდას გესვრიან რატომ?
ჯერ უნდა შურის ჯვარზე გაგაკრან,
რომ დაგინახონ და მოგინატრონ...

ალექსანდრე გოგინაშვილი

„საქართველო წმინდანების ადგილია"

საქართველო ნუთუ მართლა
წმინდანების ადგილია,
ერთი მუჭა მიწის დაცვა
განა ასე ადვილია?

გარს ეხვევა მტერთა ჯარი
მათი ენა მახვილია,
ამ პატარა ერის შვილი
დაბადებიდან გმირია.

ქვეყანაზე დასაცავი
არის ერი, არის მიწა,
მტერთა ჯარი შემოვიდა
ეკლესია წაიბილწა.

ქართველ ვაჟკაცს ომში უხმობს
საქართველოს სიყვარული,
იგი მტერთან შესახვერდად
ამაყია და დიდგული,

ერკინება იგი მტერს და
თითქოს უნდა დაეცესო,
რადგან მტერი ურიცხვია
ებრძოლება იგი მგლებსო,

მაგრამ ვაჟკაცს მხარში უდგას
გმირობაში გამოცდილი,
დავით მეფე ახოვანი
მრისხანე და დალოცვილი.

ერთი ათზე შეერკინა
ქართველთ ჯარი სასახელო
და დიდგორის ველზე იხსნა
მტრისგან მეფემ საქართველო,

საქართველო ნუთუ მართლა
წმინდანების ადგილია,
ერთი მუჭა მიწის დაცვა
განა ასე ადვილია?!

2015 წელი

„ვედრება“

ღმერთო ერთსა გთხოვ ისმინე
ეს ჩემი ერთი ვედრება,
ქართველ ვაჟკაცთა გმირობას
სხვა ხომ ვერავინ ედრება,

მაგრამ ერია პატარა,
ვაჟკაცნი დარჩნენ ცოტანი,
ქართულსა მიწას ყოველთვის
გარს ეხვეოდა ყორანი.

უფალო მიეც წყალობა
ქართველსა, ერსა ბედკრულსა,
მიეცი ძალა ერთობა,
როგორც ერთ მუჭად შერკულსა,

რათა გამრავლდნენ ვაჟკაცნი
ვით ძმანი მარაბდისანი,
ერისთვის თავდადებულნი
რწმენისა ჰქონდეთ მიზანი.

დაე იხარონ დედებმა,
ცოცხალი ჰყავდეთ შვილიო,
ღმერთო აშორე ყველასა
დარდი და გასაჭირიო,

დაე იხაროს მამულმა
მიწას არ აკლდეს ხარია,
დიდი ხანია ამ მიწას,
რომ აღარ გაუხარია.

მარადჟამ მხიარულობდეს
ვაჟკაცია თუ ქალია,
მრავალსა ზრდიდნენ შვილებსა,
საზღვარი დასაცავია.

ბავშვების ჟრიამულობამ
სიცილით შეძრან მთანიო,
მტერი თუ საზღვარს გადმოცდა
ყველა ვართ მეომარიო.

გამოიდაროს ქვეყნადა
სიცივე დარჩეს მტერსაო,
ხორბალი მარავლად გვქონოდეს,
ღორებს ვაჭმევდეთ ქერსაო.

მტერსაცა პური მიეცი
მასაცა ჰქონდეს ლხინიო,
დედა ხომ ყველგან დედაა,
არ დაუკარგო შვილიო,

მტერსაცა რწმენა მიეცი
ნათელი ქონდეს გულიო,
რათა ყველგანა მშვიდობის
მოვიდეს გაზაფხულიო.

ღმერთო ერთსა გთხოვ ისმინე
ეს ჩემი ერთი ვედრება,
ქართველ ვაჟკაცთა გმირობას
სხვა ხომ ვერავინ ედრება.

2015 წელი

გაგა გომართელი

მწუხარე ლექსი

ოცნება ჩემი მიაკვდა მყინვარს
სიბილწის ეტლით დაქრის მორალი
თვალები მეწვის და გული მტკივა
შხამიან ბაგით ნაამბორალი
უსამართლობა უშნოდ მიღიმის
არ ვიმჩნევ სევდას, მაინც მხნედა ვარ
და მწუხარება როგორც გვირგვინი
დამაქვს სიმძიმის მიუხედავად
დამაქვს და ვივლი ასე ეული
ქარიც არ მინდობს ცრემლით ნამიანს
და ნაცნობ სითბოს გადაჩვეული
მსხვერპლი ვარ ყინვის, დასანანია!?
რომ ასე ჩუმად, სიტყვის უთქმელად
დავსდევ ოცნების თეთრ ფაეტონებს
ეჰ მიმატოვებთ ერთ დროს სულ ყველა
მშიერ ორმოში ყველა დამტოვებთ
რად არ ვიცოდი თურმე ცხოვრება
გულის სურვილებს არ ეთანხმება
რომ აღარავის ვემახსოვრები
რომ აღარავინ აღარ დამხვდება
ნაცნობი ქუჩის, მოწყენილ ბაღთან
გამხმარ ხეების, საცოდავ ჩრდილქვეშ
სადაც ბავშვური ოცნება ახდა
და გარდაცვლილიც დავმარხე იქვე
რა გამაჩნია, დარდით გალეშილს
მსურს ის განვლილი გამოვიარო
მაგრამ იმ ნაცნობ არე-მარეში
ახლა სიკვდილი დაბორიალობს
ვაი რომ ერთ დროს მიწა მიშვილებს
და სამოწყალოდ მჭკნარ მიხაკს მესვრის
ისეთი მეფობს ახლა სიმშვიდე
რომ ჩემი სუნთქვა ვარსკვლავებს ესმით
და წავიყოლებ ტკივილს აქედან
სურნელს ფიქრებით კორტნილ კორდების
მე სტრიქონებში დავიკარგე და
აწი ნურავინ დამელოდებით

ამიწიოკდა როგორც ზმანება
განცდილ გრძონბათა ყველა გრანულა
არცერთი წამი არ მენანება
რამაც, მაცოცხლა, მასიყვარულა

თანამეგზურად დავდექი ქართა
ნაბოძებ ხვედრის გამოისობით
დევნა დარდების თქეშ-ნიაღვართა
არ ამცდებოდა თუმცა ვიცოდი

დაუმშრალ ცრემლებს ფიქრები ხვრეპენ
და ამ შლეგობის მე ვარ მოწილე
მაშ რისთვის მქვია გრძნობების მეფე
სიგიჟე თუ ვერ დავიმორჩილე

ძმათა

დამდუღრებულა საგულე, ფიქრმა გონება დაბურა
დადუხჭირებულ ყოფაში, ძმათათვის სათქმელს ვაგროვებ
ვაი თუ ვერ გაგვივლია გზები სავალი კაცურად
ვაი თუ შთამომავალთა სახსენებლად არ ვვარგოდეთ
ფიქრების კორიანტელი მეხვევა დარად ნისლების
ნამოქმედარი მაშინებს, რა სუნთქვით ვკვებავთ მომავალს
ნუთუ სიკეთეს არ ვგუობთ, ავი ზრახვებით ვივსებით
ამპარტავანების თავადნი, თავად მამონას მონა ვართ?
გულს სატკივარი ამძიმებს, უბედურ წლებში ნაზარდნი
სიცოცხლეც ისე ვიტვირთეთ რომ სინანული რთულია
ღმერთო ისმინე ცოდვილთა, ჩემი თაობის ღაღადი
და აღადგინე სულებში, რაც ცოდვით დანაცრულია
რამდენი მოყმე შევწირეთ, ხრიკებს მუხთალი სატანის
ვინ აცხოს აწი სალბუნი, სხეულებს დაფხვრილ ნაწამებს
არ არის ჩვენი ადგილი სად ნეტარებენ მართალნი
რადგან ვითხოვდით მკაცრად და მოგვეთხოვება მკაცრადვე
იქნებ წყალობა მოიღოს,შეგვინდოს ცოდვა ბავშვობის
ავმა ჟამთასვლამ გვმართა და ზღვა ცოდვებს დავჯახებივართ
მაგრამ ხომ მაინც ამ მიწის, ვაზის მტევნად ვართ ნაშობნი
ხომ მაინც გვიყვარს ღმერთი და ხომ მაინც ქართველები ვართ

ძმებო იქნება დავძლიოთ, ამაო სოფლის სიცუდე
ძალა მოვნახოთ სულებში, ჩავკლათ ჩვევები სასტიკი
რომ გაყინული გულები, სიკეთის ხმობად გვიხურდეს
აღხოცილ გვყავდეს ბოროტი, მაცდუნებელი ასპიტი
რომ სამომავლოდ არ დავრჩეთ, საძაგებ-საგინებელნი
ვინც ჩვენი გზებით გაივლის არ დახვდეს წინ გეენია
გამოვაღვიძოთ ქართული სული სიკეთის მხლებელი
და მიტევებად ვაქციოთ რაც კი ვერ დაგვითმენია
თვალის გუგებში ჩამოდგეს, მონატრებული სიმშვიდე
ნაცვლად შხამის და შურისა, კვებად გვეღირსოს მანანა
ის გული გამოვიცვალოთ სად ჯოჯოხეთის შიში ძგერს
ღმერთამდე შევძლოთ ერთურთის მძმე სულების ატანა
გავიგოთ რასაც ბუნება ღმერთის ენაზე ბაასობს
გაზაფხულს შევხვდეთ ლაღები, არ გლისპნი, ნამარხულები
რომ ზენამ მადლის სხივებით მკვდარი გულები გაავსოს
სიბნელით სხივგამოცლილი და მონანული გულები

გვეყო ტკივილი განცდები, ფუჭი აზრების ქადაგი
რაც მხოლოდ ხორცის საპოხად და საამებლად ვარგოდეს
სამშობლო მიწამ გვიშვილოს, წვიმად გვაგემოს ბადაგი
ჩვენს საფლავებზე სახსოვრად წითელი კვერცხი გაგორდეს
მაშ ძმებო გამოვიღვიძოთ, დროს ვეღარ ავედევნებით
ჩვენ ხომ სამშობლოს დამცხრალი, ჩაძინებული ხმლები ვართ
გვახსოვდეს მაინც ვენახის ვართ ქარვისფერი მტევნები
ხომ მაინც გვიყვარს ღმერთი და ხომ მაინც ქართველები ვართ



ლევან ფანჩვიძე

მზე გვირილების არის მთოველი

მზე გვირილების არის მთოველი,
ხევს უყვარს ნისლით გადაფითრება...
სანამ იქნება სვეტიცხოველი,
ეს სიყვარულიც მანამ იქნება...
მე ვიცი, ეს გზა უმძაფრესია,
და სიყვარულით კვლავ დაგვაღონებს,
სული ჯვარცმული, როგორც მესია,
ემორჩილება ღვთიურ კანონებს.
ტყიდან ბინდების ისმის შრაშუნი,
ბილიკს აყვითლებს მიწა ლაგაზი –
და ჩემი სახლის კარს მიჯაჭვული,
ყეფს მარტოობა, როგორც ნაგაზი...

2008

მე დამესიზმრა

წვიმდა და აღარ გადაიდარა,
ძლივს მიაღწია სულმა ხატამდის,
მე დამესიზმრა – ვიყავ ნიკალა
და ფუნჯით ქართულ ზეცას ვხატავდი!
როცა სიცოცხლე ასე ტკბილია,
ვინ გაიმეტა ქართლი ესოდენ?
მე დამესიზმრა – ვიყავ ილია
და წიწამურთან ტყვიას მესროდნენ.
ვარ ყველა დროის თანამედროვე,
ფიქრით მივცურდი ნატვრის ყურემდის,
მე დამესიზმრა – ვიყავ თევდორე
და ყიზილბაშებს თავგზას ვურევდი.
დაფიქრებული მოდის რიონი,
ცა იმერეთის მხიბლავს ტილოთი,
მესიზმრა – ვიყავ გალაკტიონი
და თვითმკვლელობას ისევ ვცდილობდი!
ვერ გამოვიცან სოფლის იგავი,
ბეთლემის მხრიდან ქრისტეს მოსვლამდის,
მე დამესიზმრა – ბერი ვიყავი
და სინას მთიდან მამულს ვლოცავდი.
მე დამესიზმრა – ვიყავ რუსთველი
და სამშობლოდან ცრემლი მიმქონდა.
არაგვის პირას ცეცხლი მინთია,
დღე იმზირება ატმის ჩეროდან,
მე დამესიზმრა – ვიყავ მინდია
და ჩემი სიბრძნის არვის სჯეროდა.
ვიდრე შემოვა მწუხრი ღამისა,
ჩემო ხატებავ, ჩემო ლერწამო...
მომეცი თაფლი, მხრებზე წავისვა
და ცოტნესავით შენთვის ვეწამო!..

2004

მსოფლიო პოეტებს

ანით, სისხლით და ჰოეთი,
მე ვარ ქართველი პოეტი!
თუ ჰაინე და რონსარი,
ბნელეთს სამოთხის სხივს ახლის,
ჰეი, რამდენს გყავთ მგოსანი
გალაკტიონის სიმაღლის?!
მწვერვალს წამოდო მზემ ტერფი,
ვცოცხლობ მუსიკით და სიტყვით...
თქვენ თუ გყავთ თქვენი პეტეფი,
ჩემს აკაკიზე რას იტყვით?!
აბა, რას იტყვით ვაჟაზე?..
მთას გაზაფხული უხარის.
მე ქართველი ვარ! მაშ, ასე –
კარის მცველი ვარ უფალის!
ჟღერს ვით მსოფლიო მორალი,
„სტუმარ-მასპინძლის“ პათოსი..
მიყვარს ედგარ-პოს „ყორანი“
მიყვარს „მერანი“ ტატოსი!
მაგრამ, მსოფლიო პოეტებს,
ლექსის ცეცხლი რომ დაანთეს...
ვეტყვი შექსპირს და გოეთეს,
პუშკინს, ბაირონს და დანტეს.
ანით, სისხლით და ჰოეთი,
მე ვარ, ქართველი პოეტი
და რუსთაველით შოთათი,
ალბათ გჯობივართ ცოტათი!

ფეხშიშველა ქარი

ფეხშიშველა გადაირბენს ქარი ანწლებს,
ჩიტი კენკავს ბაირონის სტრიქონებს...
სიო ქსანზედ გაკიდებულ ბორანს არწევს,
ორთაჭალა ბარათაშვილს იგონებს.
პოეტები მოძმედ არვინ დაიგულა,
დღე კოჭლობით აუყვება ქვაფენილს,
სევდის კონა გაატანეს თაიგულად
გალაკტიონს, სარკმელიდან გაფრენილს...
ლისის ტბაში დაიბანა მზემ ხელები,
სიჭაბუკეს დასასრული არ უჩანს!
და ჩემს თბილისს ახლა ისე ვეფერები,
როგორც ბაღში აყვავებულ ალუჩას.
მეფეთ-მეფე თამარივით ბაგეთხელი
სიო ველზე ყაყაჩოს ცეცხლს აჩაღებს,
კიდევ ვისი აქვთ მიზანში საფეთქელი
წიწამურთან ჩასაფრებულ ყაჩაღებს.

2007

რუსთველური სიყვარული

ჭადრებს ნისლის კვლავ ჩაუცვამთ სამოსელი,
ზეცა ტირის, მიწა ვერ გრძნობს სითბოს.
მწუხარებას დაუნისლავს ბაგე სველი,
მისი მზერა სიზმარია თითქოს.
რუსთაველო, დედოფალი ყვავილია,
მზერით ათრობს სიძედ მოსულ მთავარს.
ნუთუ, ქართლში ვაჟკაცები დაილია,
სხვაზე რატომ ათხოვებენ თამარს?!
ეპოქების უღრან ტყეში ჩიტი გალობს,
მზეს ღრუბლებში ეღიმება ყალბად.
რუსთაველო, თამარ-ქალი რომ არ გწყალობს,
ღმერთმა ასე გადაწყვიტა, ალბათ.
მეფეთ მეფეს პოეტისთვის სად სცალია,
ვრცელ სასახლეს დასტყობია შფოთვა.
საქართველო დანგრეული ტაძარია,
შენ კი მისი ჩუქურთმა ხარ, შოთა!

იმერული გაზაფხული

ამ პატარა ყოჩივარდებს, ამ ღიღილოს,
ალბათ, შერცხვათ, თვალს ვარიდებ დაძაბული...
თითქოს ადრე არასოდეს არ მეხილოს,
როგორ მოდის იმერეთში გაზაფხული.
ჩადგომიათ ატმის კვირტებს თვალში შიში,
ღვთისმშობელო დაგვილოცე ივერია...
ეჰ, რამდენჯერ აქ, ამ მთებში, მუხის ჩრდილში,
აკაკის და ვაჟას ლექსი მიმღერია.
ზოგს სხვიტორის მთები მოსწონს, ზოგს – არგვეთა,
შორს ჭალაში შეჰპარვია ღობეს ქაცვი...
– შვილო, თითო სადღეგრძელო ხომ არ გვეთქვა?! –
კარს გაგიღებს იმერელი ბერიკაცი.
ამ პატარა ყოჩივარდებს, ამ ღიღილოს,
ალბათ, შერცხვათ, თვალს ვარიდებ დაძაბული.
თიტქოს ადრე არასოდეს არ მეხილოს,
როგორ მოდის იმერეთში გაზაფხული.

2000

მანანა დანგაძე

***

ტარიელ ხარხელაურს

მზეო, სიყვარულით ანთებულო,
სულო, ტკივილისგან ხვავრიელო,
ღამევ, სევდიანად გათეულო,
მთათა მეციხოვნევ, ტარიელო.
გულო, ხანჯლისაგან დასერილო,
მაინც ვაჟკაცო და ჟამიეორო,
უფლის ხატის სახედ დაწერილო,
ცვლიად დაღვენთილო, ტარიელო,
ქვევრო, მირონივით ღვინით სავსევ,
აღვსილ სიყვარულით ცარიელობ,
სხივი ნათელივით გადგას თავზე,
შუქო, შუბლნათელო ტარიელო.
ძმისთვის ერთგულების მაგალითო,
მტრისთვის კედელო და ბარიერო,
გულო ბაჯაღლოვ და მარგალიტო,
თვალთა შუქმფინარო, ტარიელო.
ხმელო წიფელო და ცრემლო შვლისა,
ლომო ვერკვლისციხის, სანაღველო,
ძუძუ დაგელოცოს დედავ ღვთისა –
ეს ვინ გაგიზრდია, საქართველოვ!

ჩემი ბავშვობის ქალაქს

არ მომაკლო შენი სითბო,
შენი წყაროს ბადაგი,
შენ ხარ ჩემი დედა, მამა,
ნატვრა-სულის სადაგი,
შენსკენ ილტვის გული წრფელი,
მსურს სიმღერით გეფერო...
ჩემო ბავშვობის აკვანო,
გრძნობავ, უბერებელო!
მოზღუდულო ლურჯი მთებით,
გაბრძნობილი მძლეველობ,
მტრისა მტრულად დამრისხავო,
სტუმრის გამლაღებელო.
ვხარობ შენი ალიტ, წრომით,,
ტაშისკარით, სურამით...
ქვის კედელში კვლავაც კვნესის
სული უკვდავ ზურაბის...
ღორინამკლის ფერდობს გავცქერ,
და შენს „სამარადისო“-ს,
მიწის ქვეშა საქართველო,
წმინდა ძვლებით აივსო.
სამაროვან-სამარიდან
მომძახიან სულები,
ჩემი დიდი წინაპრების –
მზიდან გარდმოსულების.
მეც მანდ მინდა დავსამარდე,
შენი მიწა მეფაროს,
რომ სიმშვიდით განისვენო,
გულო, დაუდეგარო.
რომ სულის გზა მარადისი
გამიმზიანმთვარისო,
ჩემო ბადაგაურო და
წმინდა „სამარადისო“.

გვიანია

მეძახი?!
გვიანია ყველაფერი,
დამთოვა,
ვერ გითხარი ვერაფერი.
ინანე?
სინანული ტკივილია,
მზე ჩადის –
მზეს შენფერი ღიმილი აქვს.
მარტია
არეული ამინდებით,
გზას მივდევ

უცნაური გარინდებით,
დარია?
აღარ მათბობს მზის სხივები,
დავდივარ –
დედამიწას ვემძიმები.
მომბღავის
ტკივილი და განსაცდელი,
არ მწყალობს
ქრისტე-ღმერთი გზას აცდენილს...
ერთ დღესაც
მოვღვარდები ციდან წვიმად,
რადგანაც
ბედმა ცრემლებს დამაწყვილა.
შენი ხმა
თან დამყვება ტყვიად ავად
აღდგომის
ბატკანივით დასაკლავად...
არ ვნანობ
შენთვის დაღვრილ
ცრემლს და ტკივილს,
ღამობით
ჩემს სენაკში ჩუმად ვტირი...
ვიცი, რომ
არ მოხდება სასწაული,
მივიღე
ჩემი გრძნობის საზღაური...
მეძახი?!
ნაზამთრალ სულს
ბინდი მოსავს,
ჩიტების
გადაფრენას მოგილოცავ!..

P.S.

გეგონათ? სევდამ სივრცე დასერა,
გეგონათ, ჩაქრა ცეცხლი ვნებების?...
დრომ განაჩენი უკვე დაწერა,
უკვე ბნელეთში მივესვენები?..
არ დაიჯეროთ, არა, ბატონო,
ალბათ მოგესმათ სიტყვა – მშვიდობით,
და შენც ქალწულო, თუ ქალბატონო,
გეგონათ, მართლა დაგემშვიდობეთ?!..
მწუხრი დასრულდა, თოვლს მივაცილებ,
ზამთრის სუსხსა და სიცარიელეს,
სულს მწვანე ხავსი შემოვაცილე,
ვგრძნობ, გაზაფხულიც მალე იელვებს...
თქვენ კი... გეგონათ, დაგემშვიდობეთ!

შალვა ილურიძე

ორი მეგობარი

ტკბილი ხარ, ტკბილი სიცოცხლევ
ცოტახანს ბუდობ ჩემთანა.
მერე მისტუმრებს სიკვდილი,
და წამაბრძანებს ღმერთთანა.

სიკვდილი როგორც ზონდერი,
დამყვება კვალ და კვალაო.
ჩამსაფრებია დევნილსა,
კოგრიჭით თვალ და თვალაო.
უნდა რომ დამიმარტოვოს,
შეომახუროს ქარაო.

ობლად დამისხას შვილები,
შავად კი ჩემი ქალაო.
მაგრამ სიცოცხლეს ვუყვარვარ,
დევნილიც გვერდში დავყვები,
თუ ვერ გამიძლო სიცოცხლემ,
წავალ და სიკვდილს გავყვები...

საქართველო ჩირაღდანად მინთია

როცა ლექსს ვწერ, „დილაა თუ ბინდია“,
საქართველო ჩირაღდანად მინთია,
ქსნის მთებიდან მოვარდნილი ქარი ვარ,
ქოხის ბუხრის, ცეცხლის ნაპერწკალი ვარ...
ოხირის კლდის ანატეხი ლოდი ვარ,
მე! – ქსნელი ვარ, წეროვნელი როდი ვარ!
ჩიგოიანთ ხევში მჟავე ნაკაკდით,
ყელის ტბიდან ამღვრეული მოვდივარ,
ჩემი სლი მთაზე დარჩა ნისლებად,
წვიმად მოვალ, მწარე სეტყვა როდი ვარ!
ამ ჩემს მიწას ვკოცნი როგორც მინდია,
ჩამო! – მითხარ, მთაში რა ამინდია,
როცა ლექსს ვწერ, „დილაა თუ ბინდია“,
საქართველო ჩირაღდანად მინთია!!!
სამების მთის სტრიქონი ვარ არ თქმული,
მახვილივით ფეხზე წამომართული,
ყელის ტბიდან აფრენილი ორბივით,
ქსნის ჭალებში ატოტილი მორგვივით...
ჟამურის წყლის კალმახი ვარ პატარა,
ქსნის ხეობამ ტალღა, ტალღა მატარა,
უკვდავების მჟავე წყალი თაკარა,
სული დამაქვს დიდი მხოლოდ, სიცოცხლე კი პატარა..
ლომისაზე მოხვეული ნისლი ვარ,
სააკაძის ჭრილობების სისხლი ვარ...
აქა მტკივა, მამა-პაპის მიწა – მე,
მოდი! – მნახე, – ნატყვიარე მიწამლე...
და ოხირთან გაკვეთილი ფრანგული
ჩემო ქსანო, წითლად რომ აგინთია,
„როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,“

საქართველო ჩირაღდანად მინთია!!!
ბოლის მთიდან გამოგყურებ ქორივით,
მტერი სჩიჩქნის ჩემს ნაფუძარს ღორივით...
ბანს მინგრევენ ნაშენებს ქვით-კირიან,
ჩემი ჯიშის საფლავები სტირიან...
ლორწომის მთას შევყურებ და ვღონდები,
ბებერს ცრემლი, თვალზე ღვარად ჩამოსდის,
ლექსით მინდა გიმკურნალო ხეობავ,
ვატყობ სტრიქონს, ვერაფერი გამოსდის...
იქნებ ვცადო გიმკურნალო სიმღერით,
ქვენიფნეველს მოგიშუშო ჭრილობა,
წელზედ ვიკრა მამა-პაპის ფარ-ხმალი,
და გაჩვენო ერთხელ კიდევ გმირობა...
ცხრა ზმურის და ცხრა ზმელების ციხეში,
მტრების სისხლი ცეცხლად რომ აგინთია,
„როცა ლექსს ვწერ დილაა თუ ბინდია,“
საქართველო ჩირაღდანად მინთია!!!
მაგრამ ვაი! – დაგვაშორეს ერთმანეთს,
სული დაგვრჩა უფლისაგან მართული!
იქნებ კიდევ მოვისმინო ჭალაზე,
ჩანამღერი, ქსნური ტკბილი ქართული.
ქსნის ჭალებში, შვლის ნუკრივით გაზრდილი,
მე ვარ შენი საოცნებო მინდია!
„როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,“
ქსნის ხეობა გულში ლამპრად,
კელაპტრად კი საქართველო მინთია!!!

ეზო-კარი

ჩვენს ეზოში დედამ დარგა,
სამკურნალო ვარდი.
ჩემს ცნობიდან დედაჩემო,
ძლიერ შემიყვდი.
ვარდი იყო სამურაბე,
სამკურნალო გულის,
ახლა ობლად დარჩენილსა,
ვეღარავინ უვლის.
იქვე გვერდზე სამკურნალოდ,
მამამ დარგა ვაზი,
ჩვილ ბავშვივით ევლებოდა,
იყო მეტად ნაზი..
ახლა მხრებში ატოტილმა,
ეზო დამიფარა,
მარტოობას ვერც ის უძლებს,
ცრემლად დაიღვარა...
იქით თუთა, აქეთ თხილი,
ჯონჯოლი და ვაშლი,
აივნიდან რომ გახედავ,
გულს გახსნი და გაშლი.
ქსნის ხეობას გადახედავ,
ყელის ტბიდან მტკვრამდე,
უსიმღეროდ იქ ვერ გავძლებ
გინდაც ხანჯლით მკლავდე...
ბედის თავი, გიორგობა,
სამება და ხოფა
ოთხივ კუთხით ხატებში ვარ,
მიმძიმს მათი ყოფა.
ამ ედემში დავიბადე
აქ დავტოვე სული
წეროვანში ჩამომტირის
დევნილს ჩვილი გული...
ამ სამოთხეს ამშვენებდა,
ძველი პაპის კერა.
მეტრო! დღეს ჩემს ფუძე-მამულს,
ვერ წამართმევ – ვერა!!!

ჩემი ქონება

ჩემი ქონება,
ჩემი სიმდიდრე,
ტკბილი სიმღერა
ტკბილი ლექსია.
ამ სამზეოდან
რომ დაგშორდები,
ლექსით, სიმღერით
მიგე წესია.
მდიდარი კაციც
გარდაიცვლება,
როგორც გვიამბობს
დიდი მესია,
უფლის წინაშე
წარვსდგებით ყველა,
გაიმართება
დიდი სესია.
მდიდარს დარჩება
რაც მას უყვარდა,
მე სიმღერა და
ტკბილი ლექსია...

იცი რა მომკლავს?

სხვა სატკივარი
მე! – ვერ წამაქცევს,
ვერც ნახანჯლარის
მწარე იარა,
ჩემი კუთხიდან,
ჩემი ქოხიდან,
აყრამ ზედ გულზე
გადამიარა!
აი, ეს მომკლავს
აი, ეს მომსპობს,
შხამად სხეულში ჩამომიარა
ჩემო სახლ-კარო,
ჩემო მამულო,
უშენობა მკლავს,
სხვა რამ კი არა!

რატომ გამხადე დევნილი

რატომ გამხადე დევნილი კაცი,
მტრის გულის თქმაზე?!
ღირსი არ ვიყავ, ბოლელი კაცი,
მეცხოვრა ქსანზე!
ბებერ ვაზივით გამსხალი,
ცრემლი მდის რქაზე.
ფესვი მამიჭერ საჯილალოდან
მომკვეთე რაზე....
ამით გინდა რომ გაიბატონო
ჩემს ფუძე კარზე,
გინდა რომ მწარე დაღი დამასვა
ჩემს ჯიშს და გვარზე...
ვერა! – ვერ გასტეხ ოხირის ციხეს
ქარჩოხის მთაზე,
განა ნაკლები მეომრები გვყავს
ქსნელები სხვაზე?!
ვაი! – რომ ისევ ჩემი ჯიშისა
ცრემლს მადენს თვალზე,
ისევ ღალატი, სხვის ჰანგზე ცეკვა,
ქნარზე თუ თარზე.
სამშობლოს მტერი, ყოველთვის ივლის
ეშმაკის გზაზე,
არ ფიქრობს შვილზე, არც შვილი-შვილზე,
არც მომავალზე...
მაგრამ ქსნელი ხომ ისევ ქსნელია
გაზრდილი მთაზე,
ჩვენი სახელი ისევ სწერია
ცხრა ძმების ქვაზე.

სასიმღერო-სატრფიალო
(ვუძღვნი ვალიკო გათენაშვილს)
(ფოლკლორი)

არა, არ მინდა რომ დაგივიწყო,
ბარში წასულო, მთიელო ქალავ.
ვერ შაველიე, შენს თოლებს მწველსა,
წმინდა სიყვარულს ამ მკერდში ვმალავ...
სიყვარულისთვის ხარ გაჩენილი,
გიშრის თოლებავ, შველივით მფრთხალო.
მე შენს სიყვარულს დიდ მთებს ვუმღერი,
თუ შენც გიყვარვარ რაღად დავმალო.
აღარ მოსჩანხარ ჩემს ლამაზ მთებში,
რომ აგიყვანო ქალაო ხელში,
ნაბადს გაგიშლი ტურფასა ხევში,
და ჩაგაკვდები მოღარულ ყელში...

უნუგეშო ტკივილი

უნუგეშო ტკივილი მკლავს,
ჩამარხული გულში,
რომ არ მწყალობს დევნილს ბედი
ქვეყნის სიყვარულში.
უშენობით ცივ ზამთარმაც
დამათოვა სულში,
მძარი ყინვა მისისინებს
მწარედ მთელ სხეულში.
შენზე ფიქრმა დამაბერა
თეთრი გაჩნდა თმაში,
ჯაგრის ყანდი შემეპარა
დევნილს ბებერ ძვალში.

ჩემს წინაპრის დიდ ნაკვლევს
ვერ მივყვები კვალში,
მხედველობამ მიღალატა,
ჭრაქიც გაჩნდა თვალში...
ძველებურად ვერ ვაკვესებ
ლამპარს ხევის ხალხში,
ბარში მიმძიმს მე სიცოცხლე
სული დამრჩა მთაში.
ვატყობ ჟღერაც დამეკარგა
ღვთის ნაბოძებ ხმაში,
უნუგეშოდ დავრჩი შენგან
ვერვინ მიდგას მხარში...

ასი ლექსი დევნილობაში

ასი ტკივილი შამაყარა
ექვს წელში ლექსის წერამა,
ასი წლის ბერი გამხადა
ჩემმა ბედისა ცქერამა.
ახლა მეორე ასს ვითვლი
ჩემსასა განა სხვისასა,
ას ლექსში იმის დარდი მკლავს,
ჯვარს რომ ვერა ვჭამ მტრისასა.

ლექსებს მოვარგე ქასური,
როგორც ფრანგულის პირსაო.
ნაცოდვილარი სიცოცხლე
უმზეოდ ზის და სტირსაო.
თუ კი მეღირსა ჩემს მთებში,
ავაღუღუნებ სტვირსაო,
მაშინ კი ჩემს ტკბილ მამულში,
სიკვდილიც ამად ღირდაო...

ვაჟა ეგრისელს

ვაჟას სახელს ვეფერები,
დღეს ჩემს ხალხურ ლექსითა.
მინდა მუხლი მოგიყარო,
მგოსანს ფლის წესითა.
შენი წილი საუკუნე
განვლე ლექსის თესვითა,
ტაძარივით სდგახარ, ბრწყინავ,
მზის სხივების კვესითა.
უკვდავების ხე ხარ მწვანედ
საჯილაღო ფესვითა,
ლექსით ვკურნავ დოსტაქარო
მაგ პოეტის ხელითა.
უძლეველო! ჩვენც ვამაყობთ
შენი ლექსის ქებითა,
კიდევ ბევრი ტომეული
სწერე უფლის ნებითა.
ეს ახალი საუკუნე
გადგას შუბის ტარზეო,
როგორც ჩოხა დაგვიძველდეს
შემოგაცვდეს ტანზეო.
როგორც ხმალი, მჭრელი ლესვით
ჩამოაგადნეს ვადამდე,
საუკუნის ტკბილი წლები
მიაცილე კარამდე.
სულ მძივებად დაგეთვალოს
ყოველი დღე წლებისა,
შენ სამშობლოს შვილი ხარ და
ტკბილ გამზრდელი დედისა...
ზოგი მიდის, ზოგიც მოდის,
ზოგს არა ჰყავს მნახველი,
ქართველებს კი შემოგვრჩება
კოლხელ კაცის!
დიდი ვაჟას!
ეგრისელის სახელი!!!

გოგა გოგიტაშვილი

გრანელი

ახლა ვიგონებ გრანელის დარდს, სევდად ნაფერებს,
და ეს ფიქრები, უსათუოდ, ცად ლამაზია;
მთების სიშორეს ჩემი გული ლექსად აბერებს;
„უძილო ღამე, ყრუ ფიქრები და ფანტაზია“...
აქ, ამ საღამოს, სევდის მხარემ დაბინდა სული,
მე სევდის იქით ვპოვე ძველი მელანქოლია,
და დღეს, როდესაც ჩუმ ვარსკვლავებს დაქროლავს ქარი,
წავალ ზეცისკენ, სად ლექსების ლურჯი მოლია.
მკვდარი სიჩუმე.
გული იწვება ფიქრების ცეცხლში..
ლურჯი თითებით სევდა ეხება დამწვარ როიალს.
და მე გავცქერი, ცას აფრენილს, იისფერ ფრთებით,
შეშლილი სულის გაცისკრებულ მელანქოლიას.
და მელოდიას, სევდის დაკრულს, მოიტანს ქნარი,
მუზებზე ლოცვით დაიღლება სული, სხეული,
და გამალებით, შეშლილთ ბაღში, ზუზუნებს ქარი,
როს ჩაიღვრება ლურჯ ლექსებში გრძნობა ეული...
და მე ვიგონებ გრანელის დარდს, სევდად ნაფერებს,
ნამდვილი ლექსი ღვთაებრივად, ცად ლამაზია;
მთების სიშორეს ჩემი გული ლექსად აბერებს;
„უძილო ღამე ყრუ ფიქრები და ფანტაზია“...

მანანა ზაზიკაშვილი

ისე მჭირდები

ისე მჭირდები, როგორც ჟანგბადი,
როგორც წყალი და როგორც სამყარო,
როგორც ახერხებ, სუყველას თავი,
ასე ჩემსავით რომ შეაყვარო?!

შენ ხარ

შენ ხარ ჩემი ფიქრი, განცდა,
მგონი უკვე გულის დარდიც,
შენ გგონია არტისტულად?!
არა, მართლა შემიყვარდი!!!

სულ ტყუილად ვშიშობდი

ამ ქვეყნიდან როცა წავალ,
ლექსებს გადანაგები,
პოეზიის ქალღმერთივით,
დიდ მწერლებთან წარვდგები.
ვნახავ ღმერთკაც გალაკტიონს,
გოგლას,
ბერდოს (ბერდია ბერიაშვილი),
ტიციანს,
იმ პოეტებს, ვინც ეს ჩემი
ლექსები რომ იციან.
წავუკითხავ ფრიდონ ხალვაშს,
მის ლექსს, ცაში ატანილს,
ქვეყნის კარგი ხალხი იქ გვყავს,
შიში არ მაქვს სატანის.
სათითაოდ ჩამოვუვლი
ჩოხელს,
ქალდანს,
ონეშვილს,
არ გეგონოთ ლექსის წერას,
თითქოს უკვე მოვეშვი.
ქაღალდს?! იქაც უხვად ვანხავ,
საწერ-კალამს?! ვიშოვი,
ამ ქვეყნიდან იქ წასვლაზე.
სულ ტყუილად ვშიშობდი.

20.03.2015.წ

ქორს

მოფრინდები, ვით წიწილას,
გამიტაცებ შორს,
დამამსგავსე ნიაღვრისგან
გამორიყული მორს,
სულო ჩემო, რად ბობოქრობ,
ვერ გაუსწრებ დროს,
ვერც ვერავინ მოგვერევა
ჩვენ ამ ქვეყნად ორს!!!

ქარმა სანთელი ჩამიქრო

ქარმა სანთელი ჩამიქრო,
თითქოს თავზარი დამეცა,
კარებს რომ მივუახლოვდი,
თვალები შენსკენ გამექცა.

წვიმს

წვიმს და წვიმს,
არ გამოიდარა,
ზეცისკენ გარბიან
ვერხვები,
ჩემი აღარა გინდა რა,
რატომ გამებუტე?!
ვერ ვხვდები.

საარაკო

წლები გავა,
დაწერენ ბევრ
არაკებს,
შენი სითბო
რამდენს მალაპარაკებს.

არ გაგიწყრება ღმერთი

მთელი ცხოვრების მანძილზე
თუ შეგიყვარდა ერთი,
თუ მისთვის თავსაც კი წირავ,
არ გაგიწყრება ღმერთი.
ამას, უბრალოდ, სისუსტედ,
არ ჩაგითვლიან, ვიცი,
ცუდად არავინ გახსენებს,
არ დაგაყრიან სიცილს.
როგორც არ უნდა გაგიცხონ,
ჯვარზე გაგაკრან თუნდა,
გულს ნუ გაიტეხ, რას იზამ.
სამიზნე გახდე უნდა.
ზოგი შეგაქებს, გადიდებს,
ზოგი კი ლაფში გისვრის,
იცოდე, გაძლება გმართებს,
შურიან ხალხის რისხვის!!!

13.05.2015.

მამულო თუ დაგჭირდები

საოცნებოს და საფიქრალს
მამული უხვად გვირიგებს,
მლეთაში „ლომისი“ მწყალობს,
ქიზიყში – წმინდა კვირიკე.
ჩემი მზიანი მამული
სულ ფეხით შემომივლია,
გორში იაკობს ვსტუმრობდი,
ყვარელში – ღმერთკაც ილიას.
გული ხალისით სავსე მაქვს,
კლდე-ღრეებს შენაჭიდები,
ერთი ათასად მიგულე,
მამულო, თუ დაგჭირდები!!!

12.05.2015წ.

ანა ერისთავი

* * *

ქართლის ზეცაზე
ჯვარი აღმართე,
მაცხოვრის სიტყვით
ერი გაზარდე,
ხარ ჩვენი სულის მაკურნებელი,
წმინდა სამების მსასოებელი,
მაგ თმების სურნელს
ჯვარი ინახავს,
იები გვათოვს,
დედავ, გვიყვარხარ!

* * *

ფეხშიშველა ხარ,
ლაზარე გქვია,
სიცოცხლე წყლული
ხომ დაგაჩნია?
შენზე უმეტეს, აბა ვინ უწყის,
რა სამყაროა
ღრუბლების მიღმა,
ხომ შეგიგრძვნია უფლის ხელები,
ამა ცხოვრების ავიც და კარგიც,
ხომ კარგად იცი,
რაა ნუგეში
ცად გაკიდებულ მოკვდავისათვის.

* * *

უფლის ნაკურთხია
ვაზის ფესვები,
ტაძრს შემოწვნია
უკვდავაი ხელებით,
ღვთის თვალი ტრიალებს,
იღვრება ქარვა,
მზიანი მტევნები
აავსებს მარანს,
ედემი უჭკნობია,
მეზვრე დიადია,
ვაზის გამრავლება
მამაღმერთს უხარია.

* * *

უდაბნო არწყულა,
ბაღი გააშენა,
სახარების მადლით
ქვეყანა დაამშვენა,
დედად მივიჩნიეთ,
ვაზის ჯვრით გვაკურთხა,
ცოდვისგან დაგვიხსნა,
ხმატკბილმა ქალწულმა.

* * *

უფალო, ნათლით ამავსე,
იების ცრემლში განმბანე,
შემაძლებინე შენდობა,
ერთგულებაში დამხარჯე,
ეკლის გზა გამაწალდვინე,
ხორცი, ცოდვისგან განწმინდე,
ველი სასწაულს შენმიერს,
მოძულეც დამალოცვინე,
შვენობ ანგელოზთ კრებულით,
ჟამი დგეს სიყვარულისა,
ვისა ცარ უხმობს ეგ ზარი,
მკვდარია ორთავ სოფლისა.

უფლისადმი

შენ რომ არა,
მწუხარების დავჯდებოდი ნანგრვებთან,
ეს ცხოვრება ცცოდვიანი,
ჩმითრევდა, დამახღცობდა,
ვერ ვიგრძობდი ამაღლებას
და სიყვარულს მოყვასისას,
ვერც მოწყალე ვიქნებოდი,
ვერც ვითმენდი ათას ჭირსა,
მთლად უდაბნოს ვიქნებოდი,
დამხრუკავდა ცხელი ქვიშა,
შენითა ვარ ბედნიერი,
ღრუბლის სასთუმალსა მძინავს,
მოციაგე სანთლის შუქი,
დანთებულა სულსა შინა,
შენითაა მოწყალეო,
მუხლს რომ ვიყრი ტაძარს წმინდას
ცის გუმბათი მისი ყელი,
მოჭიქული ვარსკვლავითა,
დავინთქმოდი ცრემლის ტბაში
და გოდების ნანგრვებთან,
აღარ აახელდა თვალებს,
ვაზის კვირტი ჩუქურთმაში,
ვინ მასმენდა ლოცვას წმინდას,
შენმიერი სიყვარული მომანიჭე,
სხვა რა მინდა?..

წიწამურთან

ქვეყანა თვალდავსილია,
ედემის ვაზი გაჩეხეს,
მზეზე აგვისტო
კანს იცვლის,
წინასწარმეტყველთ ვიმეტებთ,
ვისა აქვს ცრემლის უფლება,
ვინ, ვის უმზადებს სატანჯველს?
– ის ქრისტეშია მარადჟამს,
ქრისტე კი მასში ისვენებს.

წმინდა ნინოს საგალობელი

წარმართთა მიწა ელოდა,
მადლი ზეციდან ებოძა,
ვაზის ჯვარი და სანთელი
მოჰქონდა,
ტანს მზე ემოსა,
მცხეთას ემბაზი აკურთხა,
უფლისგან სიტყვა ნაკურთხმა,
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას,
გულზე მირონი აპკურა.

წმინდა მარიამს

ღვთიურ ნაყოფის გამომღებო,
სიცოცხლის ხეო,
მიუწვდომელო
მადლით მოსილო
მშვიდობის ბჭეო,
მწიფე თავთავო
დამპურებელო
და გადამრჩენო,
სულის და ხორცის
გამკურნებელო
და საფარველო,
საკმევლის ხეო,
სამოთხის ხმავ,
ხმავ მშვენიერო,
მზევ დაუსვლელო,
ღვთის საიდუმლოს გადამრჩენელო,
ანგელოზები გიგალობენ
ბნელის გამკვეთო,
გშვენის დიდება
დედათა შორის
უსათნოესო.

სერგი ლომაძე

პოემა
არარსებულ ადამიანზე

I

წერ არაფერზე. დღეა, ვით ფერფლი.
აღარ გსურს, მაინც უნდა დაწერო.
დაშრეტილია თვალებში ცეცხლი.
ახლოა ჟამი საბედისწერო.
გარეთ ქარია, თეთრ ტოტებს ამტვრევს,
ქარს დასასრულის სახელი ჰქვია,
შემოდგომაა ძალიან ადრე,
გაზაფხულია ძალიან გვიან.
შენ ფიქრობ, ახლა რა არის სწორი,
იმასაც ფიქრობ, რა შეგეშალა...
ცხორება, როგროც ფრთაცხელი ქორი,
თან იფერფლება, თან ცეცხლს ვერ მალავს...
და უარყოფის მანიფესტია
სიცოცხლე – გლოვა მთვარიან ქარვის.
თუ უარყოფის ტყვიას გესვრიან,
ეს არ იქნება მათი მიქარვა.
შენ დააშავე. შენა ხარ თავიც,
შენა ხარ ბოლოც უშავეს ჯაჭვის.
(და არის, მაინც, პროტესტი იყო
მთელს სამყაროზე, ლექსები ტანჯვის).
სისულელეა გაბრაზდე მათზე,
რომელთ არ ძალუძთ ხილვა და სმენა,
და თვითმკვლელობა რომ შედგეს ხვალ-ზეგ,
მკვდარს გაგლანძღავენ ისევე შენა...
პოეტურ გრძნობას მოეღო ბოლო,
კაცი-ფრინველი არ ცხოვრობს ცაში,
და პრობლემების ჩამოთვლაც, მხოლოდ,
ორიათას ტომს მოიცავს გაშლილს.
და სიცოცხლისთვის მიზეზი რაა?
და სიკვდილისთვის მიზეზეი – ბევრი...
თუმც, რომ მიჰყვები, ის უღვთო გზაა,
და ზიხარ ქვევრში, ცხოვრება – ქვევრი...
ჩვენ ვცხოვრობთ, ვბრუნავთ მუდამ ერთ წრეზე,
არ გვენაღვლება წრე ჩაკეტილი,
ყველა ღარიბი: მდიდარ-ღარიბნი,
სიყვარულისგან გადახვეწილნი,
და თვალთმაქცობის აპოთეოზში,
და ეგოიზმის ჭაობში მყოფებს,
ჩვენ გვავიწყდება სულით პოეტი –
არარსებული სამყაროს მეფე,
უდიადესი სამყაროს მეფე...

II

შენ კი ისევ წერ, არ გეწერება,
თვალებში აღარც ძველი ცეცხლია,
მაგრამ ეძიებ ფერთა ფერებას,
სანამ დანტესის ტყვიას გესვრიან
ან სანამ თვითონ გამოშლი სასხლეტს,
ან გაფრინდები, როგორაც გალა,
და გაიხსენებ ვფიქრობ, გრანელსაც,
ააფრიალებ როცა თეთრ ალამს, –
ეს სევდის დროშა არ არს წაგების,
ეს მეამბოხე თვითმკვლელის გზაა,
გზა შეშლილად და თეთრ ქანდაკებად,
ფერად სიზმრებად არის, რაცაა...
და ამ ცის იქით, ამ ცათა იქით,
ნამდვილად იცი, სხვა – დიდი ცაა...
ხედავდი, როგროც ხედავდა ვერვინ,
(გრძნობადი ხედვა გქონდა სტიქიად),
დღეს პოეზია ჯვარცმაა შენთვის,
შენი გოლგოთა ლექსი-ფიქრია,
უფალით – სიტყვით ჩვენ რომ გვიქია.
წერ, და ეს ქარი ისე მზაობრობს,
თითქოს ხატავდეს მთვარეზე ბოდლერს,
ან რუსთაველი მზედ იქცა თითქოს,
ცად იქცა თითქოს!.. ნეტა ესმოდეს
ამ ქარს, რომ არის ეს მართლაც ასე,
მზენი, მთვარენი მართლაც ცაზეა,
და ვარსვკლავების იმედი ავსებს
იმ ერთ უკვდავ მზეს, ფიანდაზიანს,
ფიანდაზებად კოსმოსნი დაჰყვა,

გალაქტიკების ფიქრი – ასეა,
უფრო მაღალი ფიქრიც – ასეა...
წერ ყველაფერზე და არაფერზე,
არაფერია, ხომ, მაინც, ბოლო,
მარტოობაზე, მთელს ცხოვრებაზე,
დაღამებაზე... ეძებ სიმბოლოს...
იქ ევროპაა და ამერიკა,
ამბიციური ტვინები ელავს,
და სულ ახალ გზებს ამკვიდრებს იქა
იდეების და აზრების ღელვა.
იქ პერსპექტივა დიდია მეტად
თუკი ნიჭია, თუ ტალანტია...
თუ დაკარგული დრო არ გატყვია...
შენ კი... შენ დაშრი, აქ დარჩი რადგან,
(მაგრამ სამშობლო, (ცუდიც), კარგია, –
„ევრაზიული საგა“ კარგია)...
წავიდა შენი დიდების ხანა,
(ან აქ როდის არს დიდება – შველა?),
გადაქცეულა მთელი ქვეყანა
გენიის მომშთობ პითონად – გველად...
შენი ბრალია, მაინც, რაც ხდება,
და (ამიტომაც) არც ითხოვ შველას.
შენ დააშავე ათასი, მეტი,
და გამოჭედე შენივე ჯვარცმა,
სიკვდილის წინეთ ხომ მღერის გედი,
ხოდა, იმღეროს პოეტმა კაცმაც...
(ბედნიერება არც მაშინ გქონდა,
ტოლიც არ ჰყავდა, როცა, შენს ვარსკვლავს)...

III

შენი სიმბოლო – ლომი, არწივი,
შეეშენება ცრემლიან ბექობს...
გალეგენდებულს აწყობდი დადგემბს,
ო, პოეტურო საღამოებო,
და აფეთქებავ დროების, ძველის,
როცა შენ იყავ გენიაც, ხელიც, –
გენიალური-შეშლილის გზაა,
რაც ასე გვაბნევს, ასე გვაოცებს,
ახალგაზრდობა ლომის სიტყვაა,
მიგვერეკება სასაფლაოსკენ,
სიბერე არის ჩირგვში ჩამალვა,
ცდა – მიეტმასნო ყოფას ახლიდან...
თუმცაღა გალა, როცა მოხუცდა,
ხომ სწორედ მაშინ მზემდის აფრინდა,
როს გადალეწა თეთრი ფანჯარა
და გადახედა თბილისს მაღლიდან! –
თბილისს – პოეტთა ბეთლემს და მექას,
თბილისს – პოეტთა სატახტო ქალაქს,
შენსავე გულს და შენსავე ჯვარცმას,
სიგიჟეს ძველს და სიგიჟეს ახალს...
(თუმც ჩაქრა შენი ძველი ანთება,
თბილისში, თითქოს, ცას სწვდები ახლაც)...
თბილისი არის პოეტთა ლოცვა,
პოეტი არის ყველაზე მაღლა,
მაგრამ ვინ არის ნაღდი პოეტი, –
იგი, ვინც წერს, თუ – ვინც კვდება ახლა?
იქნებ – ორივე, რადგან, ვინცა წერს,
თუკი მართლა წერს, სიტყვებში კვდება,
პოეტი არის ღმერთკაცი – ჯვარზე,
სიკვდილის მერე რომ ფეტიშდება.
თუმც აღარა გსურს, შენ, არაფერი,
სიცოცხლეში და სიკვდილის მერე,
შენ დავიწყების დაგრჩა ახდენა –
როდესაც შენზე აღარსად წერენ,
აღარ ამბობენ ერთ სიტყვასაც კი,
როცა საფლავიც არვინ არ იცის,
და შენი სული, ფიქრით ნაფერი,
დაეხეტება ზღვასთან თავისთვის.
დაეხეტება მთებშიც თავისთვის,
და მარტოობის სასახელს ეძებს,
რომ დაისვენოს ლურჯ ოთახებში,
რომ პოეზიის იფიქროს ფერზე,
ლურჯი და თეთრი ყველა ფერს იტევს,
თეთრი და ლურჯი ზოლია მზეზე.
სულში პირველობს ეს ორი ფერი,
ვით პოეზიის ორი სიმბოლო,
ცისა ფერი და ფერი ნათლისა
დიდ-დიდ სინათლედ დარჩება ბოლოს...
გარეთ კი ქარი ხმაურობს, გაჰყებს,
აწეწავს ქუჩებს, აწეწავს ფიქრებს,
დაეჯახება მძინარე სახლებს,
გამოაფხიზლოს ქვეყანა იქნებ.
თრთის გაზაფხული თუ – შემოდგომა,
კვდება ფიქრები პოეტურ რთველზე.
შენ კი აგრძელებ სიტყვათა ძმობას,
წერ ყველაფერზე და არაფერზე...
(მერე სიზმართა ბილიკზე ჰქრები...
სიკვდილის მერეც პოეტად რჩები)...

თბილისი. 2015წ, 5 აპრილი

უშანგი მოსიაშვილი

მოკლეა წუთისოფელი

მოკლეა წუთისოფელი
და ვეღარ ვასწრებთ ვერასა.
მაინც ვუმღეროთ შოთას ქნარს
და უკვდავ ტატოს „მერანსა“.
ილიას ამაღლებულ სულს,
აკაკის ქნარის წკრიალსა,
ვაჟას ბუნების სიყვარულს,
„ბედის უკუღმა ტრიალსა“.

შეგონებები

თუ აირჩიე ქვეყნად კაცობა
და გინდა, შექმნა კარგი ყოველი,
სანთლად აენთე შენს დიდ სამშობლოს,
და ხატად გყავდეს სვეტიცხოველი.
თაყვანი ეცი შენს დიდ წინაპრებს,
ვინც ისტორიას შენსას გილამპრებს,
მუდამ გახსოვდეს კაცობაზე მარტო ღაღადი,
არარას გარგებს, მეცხრე ცამდე თუ არ ამაღლდი.
ქვეყნად ყოფას და არსებობას არა აქვს ფასი,
თუ არ შეივსო წმინდა აზრით ცხოვრების თასი.
თუ გიგიზგიზებს სამშობლოსთვის გულში სანთელი,
შენს ნაკვალევს უნდა აჩნდეს ყველგან ნათელი,
უნდა ტკბებოდე ქვეყნად ყველას ბედნიერებით,
არ ერთობოდე მხოლოდ სულის ნებიერებით.
თუ კი კაცობა მიგაჩნია ცხოვრების მიზნად,
არაკაცებსაც მიხედე და... იყავი ფხიზლად.
გინდა, არ გინდა სიკვდილი მოვა,
ულმობელო დრო ყველაფერს განსჯის,
ვცადე, მუდამ დასტოვო ხსოვნა –
კაცობისა და კეთილი გარჯის.

1986წ.

სამშობლოს

ვაჟას უყვარდა სამშობლო,
ვით აკაკის და ილიას.
ვინა სთქვა მათი ფიქრები,
სამწილად გაყოფილია!
ჩამოგვაცალა მხარ-მკლავი,
დავრჩით მტრის გასამეტადა.
„ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“,
ვნატრობ ყველაზე მეტადა.
ღვთისმშობელს შევთხოვ მოგვხედოს,
რომ ძალა მოგვცეს ძლიერი,
მან გაგვიმთელოს სამშობლო
და მისცეს ძველი იერი.

2008წ.

შურით კაცს

მოგცეს უფლება არ ნიშნავს იმას,
წერო ყოველი რაც რომ თქვენ გჯერათ,
შურით აღვსილ და ბოროტ სულიდან,
გადმოანთხიო ნაღველი მთელად.
რომ სწერ იცოდე მაგ შენ ნაწერებს,
სადღაც უნდა ხომ ელოდეს ლხენა,
რომ სამომავლოდ შენმა ნაღველმა –
არ შეგახვედროს დიდ გზაზე წყენა.
თუმც ოდითგანვე სჩვევიათ მავანთ.
რომ ბოროტებით სძლიონ კეთილი,
მაგრამ ცხოვრება თავისას შვრება,
მათ ვერ უშველით თუნდაც ვექილი,
თუ ცხოვრებაში გზას ვერ დაადექ,
ვერ ჩადექ ძმათა ფერხულში შენა.
სხვისი ძაგება შენ რას მოგიტანს,
თუნდაც წიწაკით დაიწვა ენა.
და თუ შენ ასე ძლიერად გჯერა,
შენ შენი ნიჭის გაქვს დიდი რწმენა.
კარგი კაცობით უფრო აჯობებ,
თუ ვინმემ შენზე ცუდი დაწერა,
მაგრამ თუ სულში გიზის სატანა,
გაგიჭირდება კარგის ატანა.
თუ ასე ცხოვრობ, იცოდე, ყველას
გაუჭირდება შენი გატანა.
თუ დაიჯერებ, სჯობს, დაიხიო,
სულში ჩაიდო სიკეთე ქვეყნის,
რაც გიჯღაბნია, სულ მთლად დახიო,
კარგ კაცის სახელს ვერვინ შერყვნის.
როცა ვფიქრდები, მსურს, დავიჯერო,
რომ ეშმაკი ხარ უფრო მელაზე.
თუ არ შეჩერდი, მალე გიხილავთ
ჩამოკიდებულს სახრჩობელაზე.

1987წ.

ღამაზ ქალს

თმებში ჭაღარა შემომერია
და სახე უფრო გამიხდა მკრთალი.
რა კარგად მახსოვს, ოცი წლის წინათ –
გვერდით რომ მეჯდა ლამაზი ქალი.
მე ჩემს ჭაღარას კიდევ ავიტან,
გული გაუძლებს სიბერით ჭმუნვას,
მაგრამ შენს თავზე ჭაღარას კიაფს,
ველარ ავიტან და მიტომ ვდუმვარ.
მე შენს თვალებში ამომიკითხავს,
სიყვარული და სიბრძნე მრავალი,
ტყუილად ფიქრობ, რომ არ მიყვარხარ,
მუდამ შენს გვერდით მე ვარ მავალი.
შენი თვალების მზერა ირიბი, –
ჩემს სხეულს ტანზე ჟრუანტლად უვლის.
თუ შენს მღელვარე სულს არ გავათბობ,
მაშინ რად მინდა, მიძგერდეს გული.
ჩემო სულისთქმავ და სიხარულო,
მსურს, ამოგიშრო თვალი ალერსით.
და შენ გეკუთვნის, რაც მაბადია –
სიცოცხლე ჩემი – უმხურვალესი.

1986წ.

მუდამ ვფიქრობ

მუდამ ვფიქრობ, ჩვენ ქართველებს
სად გვაქვს გზა გასაყარი,
ან სად ვპოვოთ ჩვენ გულებზე მიწა გადასაყარი.
ან ვის გასცა ჩვენი მიწა
მის ლამაზი მთებითა,
რატომ დუმან წინაპრები,
რად არ აღდგნენ ხმლებითა.
ჩვეენ სადა გვაქვს გასაცემი
მიწა ანდა წყალიო,
ჩვენ წინაპრებს მოხდილი აქვთ
მთლად ყველასთვის ვალიო.
მათ არასდროს ჩაუგიათ
თვის ქარქაშში ხმალიო,
ყველას რისხვა მიუღიათ,
ვინც დაადგა თვალიო.
უნდა დავგმოთ, არ გვიყვარდეს
კაცი ჩვენი ორგული,
გინდა იყოს გმირთა გმირი,
გინდა იყოს ლომგული.
გავაჩუქოთ? ის რისთვისაც,
ხალხმა სისხლი დაღვარა.
ვერც მონღოლმა და თათრებმა
აქედან ვერ აგვყარა?
ეს ხომ ქვეყნის ღალატია
ღაღადია სხვისიო,
ვერასოდეს გაიხარებს
მისი გასაგისიო.

1988წ.

აბულ-მესხი
დავით აბულაძე

წუთისოფლის სამდურავი

გულო რატომ დაღონდი? რატომ დაგიჩივლია?
ტიალ წუთისოფელში ჩვენ სულ ასე გვივლია,
რითღა უნდა მეტკინოს გული დაგლეჯილია?..
ბევრი მწარე მინახავს, ბევრიც გამომივლია.
მხოლოდ უფლის იმედით, მისი მადლით მივლია!
ხშირად კიდეც დავეცი, მიწა მუხლით მითლია.
თუმცა ღმერთის წყალობით წამოდგომაც მიცდია.
რადგან დავით მასწავლა: -„ყველა ცოდვის შვილია,
სათნოაო უფლისთვის გული შემუსვრილია!“

საქართველო

სანამ ვცოცხლობთ გავიტანოთ უნდა ლელო,
სანამა ვართ მოვიაროთ მთა-გორები.
არ შეშინდე, არ დანებდე საქართველო,
მტრის ჯინაზე ერთხელ კიდევ წამოდექი!
ქართულ სიტყვას დავეწაფოთ მეგობრებო,
დაფარული სიბრძნე არის ნაგროვები.
არასოდეს დაგვავიწყდეს ბრძნული კითხვა,
– სამშობლოსთვის ოდესმე თუ გამოვდექი?!
რას გვასწავლის საქართველოს ისტორია,
ვინ ვიყავით ქართველები, როგორები?
თუ გვინდა რომ მაგალითი თვალწინ გვედოს,
გავიხსენოთ წინაპართა გმირობები.
ვერ ახშობდა მათ გმირულ სულს მტერთა რისხვა.
ვერც წამება და დუხჭირი პირობები.
ერისათვის, ღმერთისათვის, ქვეყნისათვის, -
სისხლით მორწყეს საქართველოს ველ-მინდვრები.
ლაჟვარდი ცა რომ დაგვნათის, ესეც კმარა.
ამ ცაშია მათი სულთა სამყოფელი!
ოდესმე ხომ შევიყრებით ყველა ერთად
ნუ იქნება ცოდვა ჩვენი გამყოფელი!..

მიზანი

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ცაც კი არარის ერთფერა.
ვაჟამ, ილიამ, აკაკიმ
ბევრი შეცვალეს ჩემფერა.
რასაც რომ გუშინ ვნატრობდი,
დღეს ის არ მიღირს ჩალადა,
სულ სხვაა ჩემი მიზანი,
მასზედ ვიდგები მყარადა!
რა ვუყოთ, მსხვერპლს თუ მოითხოვს,
განა ეს დასაწუნია?!
ავისგან კარგი გარჩევით
ასე ვის დაუწუნია?
თვით ქრისტე ღმერთმა გვასწავლა
მსხვერპლად შეწირვა თავისა,
მაშ, ჩვენ რად უნდა დავბრკოლდეთ,
რად გვეშინოდეს ამისა?!-
სულაც არ უნდა დავბრკოლდეთ,
არც გვეშინოდეს ამისა,-
ვინც თავს გასწირავს მოძმისთვის,
ის მოყვარეა თავისა!

დეკემბერი 2005წ.

სვიმონ მეფე

ვის არ ახსოვს საქართველოს ისტორია ძველი?
სისხლიანი ყვავილებით მობიბინე ველი?..
წელიწადში ათჯერ, ასჯერ გვესეოდა მტერი,
მაგრამ მაინც გადავრჩით და ახლაც მიტომ ვმღერი.
ერთხელ, როცა საქართველოს ჟამი ედგა ძნელი,

ენკენისთვის მიწურულში სოფლად იდგა რთველი.
დრო იხელთა მოძალადემ, თავს დაგვესხა მტერი,-
ალაფის და ძარცვა გლეჯის მოყვარული გველი;
შემოვიდა მალვით, – პარვით, როგორც ტურა- მელი,
გადაბუგა სოფლები და აგვიჩეხა ზვრები.
ქართველ ქალთა ცხარე ცრემლით მიწა იქნა სველი. –
ნეტავი აქ გვყოლოდაო სიმონ მეფე – ქველი!
დილით, როცა ირიჟრაჟა და დამარცხდა ბნელი,
ზემო ქართლის საზღვრებიდან გადიოდა მტერი,
ვერ მიუსწრო ქართლის ჯარმა, გაილალა მთელი, -
ნაძარცვით და ნატყვევარით დატვირთული გველი.
მაგრამ უცებ ჰორიზონტზე, შორს ავარდა მტვერი
და გამოჩნდა მეფე მხედრად, გაწვართული ცხენით.
აცახცახდა თურქის ჯარი: – „დელი სვიმონ. დელი!“
მიეწივნენ ქართველები, მოიწვადეს ხმლები,
დატრიალდა ხოცვა-ჟლეტის სასიკვდილო ცელი!
მართალია, მარჯვედ სჭრიდა ქართველ გმირთა ხელი,
მაგრამ რიცხვით ბევრად გვჯობდა მოძალადე მტერი.
ვინ გვიჩვენოს მაგალითი?- ბრძოლა არის მწველი.
არწივივით დატრიალდა მაშინ მეფე ჩვენი!
დახოცილი თურქებისგან დაიფარა ველი.
გაიმარჯვეს ქართველებმა და დამარცხდა მტერი,
იგრიალეს მეომრებმა: – ჩვენი სვიმონ, ჩვენი!!!

გზა საამო, თუ გზა ეკლიანი?
გზა საამოა, მართლაც საამო, -
სილაღით სავსე, – სიმდიდრიანი,
ვნებებიანი, სიცრუიანი,
გზა საამოა ცოდვილიანი...
აქ სიარული არის ადვილი,
რადგან ფართოა და მოკირწყლული.
აქ არ გჭირდება შენ სიყვარული,
არც თავდადება და წმინდა გული.
აქ მთავარია ძალა და ფული,
მოხერხება ან ვერაგი გული.
და შენ გახდები დიდი მთავარი,
ვისაც მსახურობს ბევრი ჩაგრული.
ამ გზას ირჩევდნენ დაუფიქრებლად,
იუდას მსგავსი მოღალატენი;
პარაზიტები, რენეგატები,
ვერცხლის მოყვარე, – სულით ლაჩრები.
. . . . . .
სულ სხვა გზა არის გზა ეკლიანი,
ამ გზას გვირჩევდა თვით ზეციერი: -
„იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაი“ –
ეს ვინც თქვა არის წმინდა,- ძლიერი.
მართლაც ძნელია გზა ეკლიანი,
ხან სისხლიანი, ხან ცრემლიანი.
აქ დაგვჭირდება ჩვენ სინანული,
რწმენა, იმედი და სიყვარული.
„რათა ღირსები გავხდეთ რომ გვითხრან,
ცხონდესო შენი მორწმუნე სული.“
აქ ფრიალებდა ქართული დროშა,
გორგასლიანი, – დავითიანი.
ამ გზის დაცვაში იხოცებოდნენ,
ბიჭები ლამაზ ღიმილიანნი.
ეს გზა ირჩია თვით საქართველომ
და მის გარეშე რა ხარ ქართველო?!
ამ გზას უმღერდა ჩვენი რუსთველი,
გურამიშვილიც თვალცრემლიანი.-
რომ დაგვიწერა მისთვის დაწერა
ეს დიდებული „დავითიანი“!
მისკენ ილტვოდა ბარათაშვილი,
ბრძენი ილია – სულით გაშლილი,
აკაკი ლამაზ- ჩონგურიანი,
ვაჟა – სიტყვითა, – ბარაქიანი.
შემინდეთ ყველამ, ვინც ვერ გახსენეთ,
სულაც ვერა ვარ ენაწყლიანი.
ღმერთს სულ ახოვხართ, ის არ დაგკარგავთ,
მით არის კარგი გზა ეკლიანი!
გზა წარწყმენდისა არის საამო,
გზა ცხონებისა – გზა ეკლიანი!
ვინც კარგი იყო კეთილს გვირჩევდა,
ჩვენც ავირჩიოთ გზა ეკლიანი!
16. 05. 2005წ.

* *

საქართველოო ლამაზო,
სხვა საქართველო სად არი...
ანა კალანდაძე

საქართველო განა მხოლოდ მიწა არი,
საქართველო განა მარტო ცა არი?
საქართველო წმინდანების სამჭედლოა,
გმირთა სისხლით შეღებილი ზღვა არი.
საქართველო ფარნავაზის სამეფოა.
წმინდა ნინოს ვაზის ჯვარით მთვრაალი!
საქართველო გორგასალის ანდერძია
და ხანძთელის გაკვალული გზა არი.
საქართველო დავით მეფის მახვილია,
თამარ მეფის მოქსოვილი მანდილია,
დიდგორია, შამქორია, მარტყოფია!
გამარჯვება მისალმებად დაგვყოლია...
საქართველო იყალთოა, გელათია!
სიბრძნის კერა მრავალ წმინდანს დაუნთია.
ქართლის დედას წვალებით და ჭირ- ვარამით
სასახელო ვაჟკაცები აღუზრდია.
საქართველო მტერს მრავალჯერ აუღია,
სასიკვილოდ ხმალი გულში ჩაურტყია;
დაუჭრია, ნაწილ-ნაწილ გაუყვია.
მაგრამ სულით ვერასოდეს დაუცია.
საქართველო ღვთისმშობელის რჩეულია,
ქეთევანის დაშანთული სხეულია.
ეულია, თუმცა ბრძოლა შეუძლია.
დაცემისას წამოდგომას ჩვეულია.
დღეს ომია, მეგობრებო, დღეს ომია!
არა ხმლისა, არც თოფის და ქვემეხისა
დღეს ომია სიტყვის, აზრის ცხოვრებისა.
დასეტყვილი სულთა ჩვენთა ცხონებისა,
დღეს ომია სიბილწის და სიწმინდისა,
ვინც გვაგინებს ენას, რწმენას ის გვესვრისა
და ვინც ცდილობს შეგვიცვალოს ტრადიცია,-
მას აქვს ჩვენზე ბატონობის ამბიცია.
დღეს ომია იდეათა ჭიდილისა,
აზრთა ძლევის,- ბოროტის და კეთილისა.
ავირჩიოთ წესი სწორი ცხოვრებისა,
შეხვედრა ნუ შეგვაშინებს სიკვდილისა.
თუ გვინდა რომ გავაბრწყინოთ იბერია,
არ გვჭირდება ჩვენ არც ერთი იმპერია!
ვინც ღიმილით ჩუმად გვებრძვის ის მტერია.
მთავარია არ ჩაგვიქრეს ჩვენ კერია...
საქართველო განა მხოლოდ მიწა არი,
საქართველო განა მხოლოდ ცა არი
საქრთველო წმიდანების სამშობლოა,
გმირთა სისხლით შეღებილი გზა არი!

გულის სათქმელი

მინდა სათქმელი მოგახსენოთ დაგუბებებული,
რატომ არ ფიქრობ ქართველო, რომ ხარ უბედური?
თუ ბედნიერობ მაშ რატომ გაქვს მღვრიე თვალები?
მაშ რატომ გახრჩობს შური, ზიზიღი, დიდი ვალები?
მეც შენნაირი ამღვრეული დავიარები,
თუმცა არა მშურს არც ზიზღი მაქვს და არც ვალები.
მაინც დავდივარ დარდით სევდით მე ნამთვრალევი,
ტაძრის კუთხეში გლახაკივით მივიმალები
და დაფიქრდები რატომ არის ცხოვრება ასე?
რატომ გვენგრევა საქართველო ქართველებს თავზე?
ნუთუ, მაცდურმა ასე მუხთლად დაგვიგო მახე?
ნუთუ, განგებამ დაგვიდგინა სასჯელის სახე?
ასე მოდიან ფერადი და შავი აზრები,
მეც ამ აზრებში უგზო-უკვლოდ გავიბაწრები,
თითქოს, არას გზით, არასაიდან არ სჩანს საშველი
და ისმის კითხვა: -მაშ ვინ არის ჩვენი მაშველი?

თითქოს, სულყველას გვინდა ვიყოთ ბედნიერები,
გვინდა ქართველებს, ვერ გვისწრებდნენ ჩვენ სხვა ერები,
მაგრამ არ გვინდა რომ ვიშრომოთ ჭკვით და ხელებით,
ისევ ბევრი გვყავს ჩვენ ცხვრის ქურქით შავი მგელები.
თუ გვიჭირს რამე ვწუწუნებთ რომ არა გვაქვს ფული,
ფულს ვიშოვნით და ცოდვისაკენ მიგვიწევს გული,
დასავიწყებლად გავიმეტეთ რწმენა და რჯული,
სულ არ გვანაღვლებს პატრიარქის რჩევები ბრძნული.
ვცოდავთ ყოველდღე, ვცოდავთ ენით, სმენით და თვალით,
ვცოდავთ ქმედებით, უმოქმედობით, სიტყვით და საქმით,
თან დავივიწყეთ რა მოვიმკეთ წარსულში ამით
და მომავლიც შემოგვყურებს კუპრით და ქვაბით.
ვებრძვით ერთმანეთს დაუნდობლად, რისი გულისთვის?-
ძალაუფლების სიმდიდრის და ფულის სუნისთვის
და ამ ბრძოლაში დავანგრიეთ ჩვენ ყველაფერი,
გავთითოკაცდით, დავიქსაქსეთ ერი და ბერი!
რა მოწყალეა ჩვენი ღმერთი ამდენს რომ გვითმენს,
მზრუნველი სიტყვით მოგვიწოდებს მივსდიოთ მის გზებს,
მაგრამ დავიხშეთ ქართველებმა ჩვენ სასმენელნი,
ავი საქმისკენ სიმრუდისკენ მიგვიწევს ხელნი.
უნდა ვეძებოთ ყველამ ერთად გამოსავალი,
გამოსავალი არის ძმებო, ძნელად სავალი,
გზა ეკლიანი, სისხლიანი და ცრემლიანი,
აქ დადიოდა ქრიტე ღმერთი ხელ-კვერთხიანი.
ის ტკბილი სიტყვით გავარიგებდა ადამიანებს,
როგორ გვეცხოვრა ამ სოფელში ჩვენ ქრისტიანებს,
რომ არ დაგვეთმო ეშმაკისთვის ბრძოლისა ველი
და თავგანწირვით მიგვეტაცა სასუფეველი.
ქრისტეს სიტყვები საქართველოს გულზე წერია!
დედა- ღვთისმშობლის წილხვედრია ეს ივერია!
და როგორც მამას დაუბრუნდა უძღები შვილი,
ჩვენც შევინანოთ და ტაძრისკენ ვიბრუნოთ პირი!
გაუხარდება ღმერთს რომ გვნახავს ჩვენ ერთიანებს,
კვლავ შეგვიწყალებს, აღგვადგენს და გაგვაძლიერებს
ნუთუ ამდენი ჭკვა არ გვყოფნის ადამიანებს?!
სატანა გვთიშავს, ქრისტე-ღმერთი გვაერთიანებს!
აი, სათმელიც მოგახსენეთ დაგუბებული,
აღსდექი ერო! ნუ ხარ სიკვდილს შეგუებული!
გავერთიანდეთ! შევინანოთ! ქრისტეს გზით გვევლოს!
აწ და მარადის გამარჯვება ჩვენ საქართველოს!

ელენე აბულაძე

ადამიანი

ვინა ვართ ნეტა, რანი ვართ ნეტა?!
ალბათ ვიცით რომ არ ვართ მოკვდავნი,
უკვდავი სული მოგვმადლა ღმერთმა,
ჩვენთვის ეს არის გასაოცარი.
 არ გვითხოვია ეს უკვდავება
 და თუ ვითხოვეთ ეს აღარც გვახსოვს,
 სადაც არ უნდა ვიყოთ ყოველთვის,
 უფალი გვხედავს, იცის რას ვდარდობთ,
რაზე ვიცნებობთ, რას გავურბივართ,-
ჩვენი ფიქრები ღმერთს თვალწინ უდევს,
ამიტომ სინდისს მოვუხმოთ, გვიჯობს,
ნუ გავურბივართ უფლის თბილ უბეს.
 მივდიოთ, ღვთის ძემ რაც გვიქადაგა,
 განკაცდა ჩვენთვის,-ისე დამდაბლდა,
 ისე ვუყვარვართ, მოკვდა უფალი!
 რა დაითმინა... რა გადალახა...
ჯვარზე სიკვდილით სიკვდილი მოკლა.
ნუ გავაცოცხლებთ ამ სიკვდილს ჩვენთვის;
საკუთარ სისხლით გამოგვისყიდა,
ზურგს ნუ შევაქცევთ სიყვარულს ღმერთის!
 დაე, დავიცვათ უფლის მცნებები,
 ეს დამიჯერეთ არ არის რთული,
 ძნელია მიჰყვე ბოროტის ნებას,
 უფალთან თუ ხართ, ხართ კურთხეული!
რადგან მოკვდავად შეგვქმნა უფალმა,
ნუ მივეცემით ბოროტის მახეს,
სული იმისთვის იქმნა უკვდავად,
სულ ღმერთთან იყოს, იგი უყვარდეს!
 ათასი წელი, ვით ერთი დღეა,
 მარადისობას არა აქვს ბოლო,
 როცა კი წავა ქვეყნიდან სული,
 უფალთან უნდა იყოს ის მხოლოდ.
თავისუფლების დიპლომი მოგვცა,
ამ ქვეყნად ისე დაგვიშვა ღმერთმა,
არჩევნის ნიჭი, უნარი, ნება
მან არ წაგვართვა, ასე ინება.
 არავის მისცეთ ამ ნების მოკვლა,
 ყველა სურვილი ჩვენვე გვეკუთვნის,
 დრო უქმად გაგვყავს და არა ვნაღვლობთ,
 როგორ წუხს ჩვენზე ჩვენი უფალი.
შემოქმედების ნიჭიც მან მოგვცა:
წერის, ფერწერის, სიმღერის, დაკვრის.
ღმერთმა იმდენი გონი მოგვმადლა,
რომ დედამიწის გარდაქმნაც ძალგვიძს.
 სხვა საკითხია რაში ვიყენებთ
 ამ გონს, ამ ნებას, ამ დროს და სურვილს?
 ჩვენივე სულის ცხონებისათვის
 არ ვზრუნავთ, მივდევთ ბოროტის წყურვილს.
ნუ, გევედრებით ჭკუას მოუხმეთ.
სულზე ძვირფასი არაფერია,
არ დაიღუპოთ, ქრისტეს მისდიეთ,
უკვდავება ხომ ყველაფერია!
 დაემორჩილეთ ღვთის წმინდა მოძღვრებს,
 მართლად ადიდეთ ოღონდ უფალი.
 მისდიეთ უფალს, მის წმინდა მცნებებს,
 სხვა ნურაფერი გაქვთ საწუხარი.
რა ვარ, ვინა ვარ, – ადამიანი?!
ერთი შეხედვით არავინ არ ვარ,
მაგრამ რადგანაც უფალს ვუყვარვარ,
ღირს დაფიქრებად, ამ ქვეყნად რა ვარ?!
 07.05.2015წ.

კახა სამყურაშვილი

* * *

ზვირთნაპკურები, ზვავდაფიფქული,
უფსკრულნაცვამი, ცაჩასუნთქული,
რკინანასვამი, მთვარედაღვრილი,
მზედაღვენთილი, გრიგალნაგრილი,
ვარ ივერიის აზრის ატომი,
მარად ერთგული ღვთიურ გვარ-ტომის.

მადლიერება

სულ უფრო მეტად გააქვს გნიასი
ჯოჯოხეთური ამ საუკუნეს
და გადაღლილ სულს ისევ ძვირფასი,
მხოლოდ ძვირფასი ლექსი უკურნებს.

მზე-ლექსი რითმში გადაჰყრის უკუნს,
ჩაახშობს გნიასს, შობს ჰარმონიას,
დააწყებინებს ბნელ ძალებს სლუკუნს,
მოჰგვრის მათ ძრწოლას, შიშს, აგონიას!

ამაოებას ლექსი მოდენთავს,
და დასაქცევზე ცეცხლს დაამატებს,
სითბო გათოშილ სხეულს მოთენთავს
და დამწყვდეულ სულს ააფარფატებს.

იძვრება ზეცა, იძვრება სივრცე,
იფეთქებს ლექსი ახალ ტიტულით,
ციური შუქი მან უნდა მისცეს
მიწას და დასწვას კერპი-ფიტული...

მყისვე ნათელი ზეცა გაეხსნა –
იწამა სულმა პოეზია რა,
აღარ სჭირდება სხვა შველა, სხვა ხსნა –
ქართული სიტყვის მადლს ეზიარა.

არის ზეიმი, მადლიერება
გულიც ლექსად ძგერს, ულექსოდ ვერ ძლებს,
ლექსით ნუგეშობს მეხსიერებაც
და მგოსნებს უდგამს ლექსადვე ძეგლებს.

* * *

დეკემბერია მთლად მილეული,
დავდივარ მარტოდ, ისევ ეული.
მამშვიდებს ქარი გადარეული
და ძალას მმატებს ,,ნაფარეული“.

ეს აგრე რიგად წელი სნეული
მიიზლაზნება წელათრეული,
ლექსით ივსება ჩემი რვეული,
როს მახსენდება ხსნა ჩემეული.

შენი ლოდინით ფიქრარეული
გავხდი, ვიქეცი მთლად გალეული.
შენთან არყოფნა არს მტკივნეული.
არც მწარე მინდა, არც – ტკბილეული.

ღამღამობით ვარ მზის ყარეული,
გადარეული და მთვარეული.
დავდივარ მარტოდ, ისევ ეული...
დეკემბერია მთლად მილეული...

გორიჯვრისკენ

ისევ წყალობა, აღმართნო თქვენსკენ
მუხლი, ვით მაშინ, გზად არ დავარდა,
მოვდივართ თქვენსკენ და ვტოვებთ ქვესკნელს,
ლოცვის კოკორი გზაში დავარდდა.

ამინდიც ჩვენსკენ! წვიმა უხდება
ყვავილს – იზარდოს, მალე ივარდოს;
მივსრისავთ სერებს, ნისლი წუხდება,
იავდროს, გული ხარობს იმავდროს!

და მონატრებულ, მშობლიურ საყდარს
ვუძღვნით მადლობას, ყვავილს სულისას,
ვიღებთ განწყობას სამოთხის სადარს,
გვსურს, არ განგვშორდეს, გაგვყვეს სულ ისა...

დაგვრჩა განწყობა!!! (უბრწყინვალესი
იქნება ხვალის მასზე აწყობა.)
შემდეგ ჩვენ ბარში მოვყევით ლექსი
და გადავადეთ ხალხს ის განწყობა!

გვიღვა

ნეტავ არ მობერდეს
ეს ეთეროვნება,
ნეტავ არ მომბეზრდეს
ეს ერთფეროვნება!

დაშრა მიწას ოფლი,
დასკდა ნაოჭები,
დასხდა ყველგან ჭორფლი,
გაშრა წყარო, ჭები...

ცეცხლმა მზის და მთვარის
იქნებ ალი სცვალოს,
წლები გადამწვარი
მწვანედ აბრიალოს!

წვიმამ შეივედროს
მიწა გადაღლილი,
მისცეს იმავედროს
მას ცამ სუნთქვა გრილი!

ნეტავ, ყველა კუთხით
შვებით შევძლოთ გავლა,
წვეთით ცადნაკურთხით
დასცხრეს გვალვა! გვალვა...

ხ�მი მეთევზე

შემოსაზღვრულნი გარეშე ხმათგან
ძმურად იყოფენ თავის ულუფას.
უცხო არ არის არცერთი მათგან,
ყველას ასე სწამს –როგორც სურს უფალს.

მდინარის მღერით გულმიცემულნი
მშვიდი თვალებით უმზერენ ხედებს,
სუფთა სამოსით ტანთგადაცმულნი
ერთ-ერთს ირჩევენ – სუფრას მიხედე!

სიყვარულს ამბობს პირი თამადის
და მზით სავსე აქვთ თასი პირთამდის,
თუხთუხებს ქვაბი აღმძვრელი მადის,
ქეიფი მიდის, საღამო გადის...

რჩენილი თევზი ტოლად დათვალეს,
(ცხოვრობენ ასე – ზედმეტის თმობით)
ერთურთს სურვობენ იღბლიან ხვალეს,
ოჯახს მიდიან ამაყი გრძნობით.

შემოსაზღვრულნი გარეშე ხმათგან,
მადლიერები თავის ულუფის,
უცხო არ არის არც ერთი მათგან,
მარად სწამს სიტყვა სამთა გულს უფლის.

გამოუთქმელი გაგებით

შიში შიშხინებს ვით კუნძი შეშის,
დათმენილია ვნებების ჟინი.
გადაღლილ ჩემ თავს ვამსგავსებ შეშლილს,
როს არ მასვენებს განსჯის კიჟინი.

დგება საღამო. გავცქერი სივრცეს.
(აქვს სიამაყე ოთახის ქაოსს)
შენზე ფიქრებით მზერა განვივრცე,
გასამხნევებლად მივმართე ლაოს.

გამჭვირვალეა წინაშე მზერის
ყოველი. ბრუნვის სიკეთის გამო
დამღვალ სივრცეთა დიდ გადათქერით
კვლავ დაბრუნება არის საამო.

წინაა სასტიკ ბრძოლათა რიცხვი,
მიღწეულია მთავარი – რწმენა.
თუმცა ბობოქრობს ცხოვრება ურცხვი,
გამოძებნილი მაქვს მისთვის ენა.

შიში შიშხინებს ვით კუნძი შეშის,
დათმენილია ვნებების ჟინი.
გადაღლილ ჩემ თავს ვუწოდებ შეშლილს,
როს მე აღმაგზნებს ბრძოლის კიჟინი.

ხათვალის ფული

მდოგვის მარცვალი ქრება და ჩნდება
გაქრობის ჯილდოდ ხე ფესვმაგარი,
მუსიკის ჟღერა ნელ-ნელა წყდება,
ხდება გასული ექოს მაგვარი.

ლხინიც და ჭირიც ბეზრდება წრფელ გულს,
უმღვრევი სივრცე იჭერს მის ალაგს.
სათვალისათვის გადანახულ ფულს
განათებისთვის მე ვჩუქნი ქალაქს.

საათს დღეასწრებს და იწერება,
რომ ჰანგი თუ გსურს – იგი სიმში დევს
და კარგად ვხედავ რომ ეწირება
ჩემში-პოეტი ჩემში-სიმშვიდეს...

* * *

მოსვენებაა ის ფორიაქი,
ლექსს ვქმნი როდესაც,
მოჩვენებაა, რული, თრიაქი
სოფელი დღესაც.

რა ადვილია, როს ვერ გედება
სიკვდილის რული,
სინამდვილეა შემოქმედება,
ხილული სული.

დადუმებაა, ქრება ზვავობა
გზადაგზა ავთა,
დაბრუნებაა მთელი მგზავრობა
საკუთარ თავთან.

პოეტურ ალღოს ვეღარ აბრკოლებს
შლეგი დღეს-ხვალე,
ლექსი-მზე ალღობს, ათბობს, აბროლებს
გაყინულ თვალებს.

რა ადვილია ზემოქმედება,
ლექსს ვქმნი როდესაც,
სინამდვილეა შემოქმედება,
ვით ადრე, დღესაც!

თარგმანები

ჰაინრიხ ჰაინე

ღამის ფიქრები – **Nachtgedanken**

ღამეა, მიშლის ფიქრს გერმანია
და ძილიც გატყდა მთლად რა ხანია,
აღარ მაქვს ძალი, დავხუჭო თვალი,
და ცრემლი ვღვარო, ცრემლი მხურვალი...

მიდის და მოდის წელი მრავალი,
რაც ძვირფას დედას ვერ ხედავს თვალი,
უკვე გასულა თორმეტი წელი,
ნატვრას და ვარამს ვით გავუძელი...

ნატვრამ, ოცნებამ მე არ დამტოვა,
მოხუცმა ქალმა მომაჯადოვა,
მასზე ფიქრები მარად თანა მდევს,
მოხუცი ქალი! ღმერთო ფარავდე!

ისე ვუყვარვარ ჩემს მოხუც დედას,
მე მის წერილში სულ ცხადად ვხედავ,
ვით უკანკალებს ხელი, ოდეს მწერს
და გამალებით გული ვით უძგერს.

თორმეტი წელი უცებ გასულა,
გულში და გონში დედა მყავს სულა,
უკვე გასულა თორმეტი წელი,
რაც დედას ვეღარ მოვხვიე ხელი.

ჩემი მამული დგას მტკიცედ, მყარად,
მარცვალჯანსაღი მხარეა მარად
თავის მუხებით, თავის ცაცხვებით!
ახლოს ვერც მოვლენ ქვეყნები სხვები!

სამშობლოს ნატვრა იქნებ ვერც მწვავდეს
ამდენად, იქ რომ დედა არ მყავდეს,
მაგრამ არ დამხვდეს დედაც იქნება,
თუმც გერმანია მუდამ იქნება...

რაც მე დავტოვე სამშობლო მხარე,
ბევრი წავიდა, ჰპოვა სამარე,
ვინც მე მიყვარდა – რომ ჩამოვთვალო,
სული სისხლისგან უნდა დავცალო.

თუმც მოვალე ვარ გულიდან მოთქმის,
გამძაფრდეს ტანჯვა მათი ჩამოთვლით!..
თითქოს ცხედრები მკერდს დამიდიან...
უკვე გამშორდნენ! ღმერთი დიდია!..

მადლობა უფალს! დაწყნარდა გული,
სარკმლიდან მოდის დილა ფრანგული,
შემოდის ცოლი, ტურფა ვით დილა
და გერმანული დარდი მიჩრდილა.

* * *

ბედნიერება – მსუბუქი ხასა
არ შეჩერდება ერთგან დიდ ხანსა,
შუბლს გადაგიწევს ქოჩორა თმასა,
მალმალ გაკოცებს, ეწევა გზასა...

ANNO1839

ო,გერმანია! შორიდან გეტრფი,
მახსოვხარ მუდამ, ლამის ვიტირო,
მწუხარედ მიჩანს მხნე საფრანგეთი,
მსუბუქი ხალხი სანამ ვიტვირთო?!

მხოლოდ გონება ცივი და მშრალი
მეფობს ლამაზ და მხიარულ პარიზს,
ტკბილად გაისმის ჩვენში წკრიალი
ლაღი გონების და რწმენის ზარის.

ზრდილი კაცები! სიბრაზით გულში,
ვუბრუნებ სალამს უკან გულღიას,
ჩემი ბედია, რაც ჩემს მამულში
სიტლანქე ტკბილად მე მიმიღია.

ქალები ყბედნი, სულ პირმცინარე!
მოძრავნი, როგორც წისქვილის ქვები,
გერმანელ ქალთა მყუდროდ მძინარე
სენაკებია დიდად საქები!

გიჟ სიზმარივით წრეში ირევა
აქ ყველაფერი, ბრუნავს ნიადაგ;
მილურსმულივით დგას, არ ინძრევა,
ჩვენში ყოველი რჩება ლიანდაგს.

თითქოს მომესმის ლამაზი ჟღერა
ღამის გუშაგთა საყვირის შორით,
ღამის გუშაგთა ნაზი სიმღერაც,
ბულბულთ გალობაც მესმის მათ შორის.

ჯმუხი მუხები – შილდას მითები
მგოსანს აღვსებდა გრძნობით სალუქით,
იქ მოვქსოვე მე ნაზი რითმები
იის სურნელით და მთვარის შუქით.

და ქალბატონი უბედურება,
პირიქით, სულაც არ ჩქარობს არსად,
გულში გიხუტებს, არ გემდურება,
სასთუმალს გიზის საქსოვით თარსად.

ღორეღი

ნეტავ რას ნიშნავს, ან ეს რა მომდის,
დარდი რომ მტანჯავს მწველი,
ტრიალებს გონში და არ ამომდის
ერთი ზღაპარი ძველი.

ჰაერში გრილა, ნელა ბნელდება,
რაინი მილივლივებს,
მწვერვალი მთისა ღვივის, ალდება,
ინთებს მზის ბოლო სხივებს.

უტურფესი ზის ასული
მაღლა, სხივს იმოსავს,
ამკობს ოქროს სამკაული,
იწყობს თმას ოქროსას.

ოქროსი აქვს სავარცხელიც,
თან სიმღერას მღერის,
ხმა მოისმის სანატრელი
ჯადოსნური ბგერის.

ერთ მენავეს აღუპყრია
მაღლით თვალი, გული,
ვერ ამჩნევს, რომ გადაჰყრია
წინ კლდეს მოხიბლული,

ბოლოს მგონი შთანთქავს ტალღა
ნავს და მენავესა,
ლორელაის ტკბილს და ლაღსა
მღერას ექნა ესა.

* * *

რადგან ვბრწყინავ, ჭექა მიჭირს?
სცდებით ძლიერ, გჯერათ ვისაც,
ერთდროულად მე მაქვს ნიჭი
კაშკაშისაც, ქუხილისაც.

რა საშინლად აგიხდებათ,
როს ძირს დაგცემთ თქვენ წუხილი,
როს თქვენს ყურებს ხმა მოხვდება
ჩემი ჭექის და ქუხილის!

როს იქუხებს, იქვე აქცევს
ნაფოტებად ზოგზოგ მუხებს,
ზოგ გუმბათებს ჩამოაქცევს,
ზოგ სახლს დასცემს, როს
იქუხებს!

ჰერმან ჰესე

Gestutzte Eiche – ნაჩეხი მუხა

რა სისასტიკით დაგანაფოტეს,
რა უცნაურად მოსჩანხარ ტანად,
როგორი უნდა სიმტკიცე გქონდეს,
ამდენი ტანჯვა რომ აგეტანა.

ნაჩეხო მუხავ, გგევარ მეობით,
მეც ვუმკლავდები ცხოვრებას უშვერს,
ვყვინთავ ყოველდღე მონაცვლეობით
ხან სიბნელეში, ხან შუბლს მზეს ვუშვერ.

რაც კი შემომრჩა სუფთა, სათუთი,
საწუთრომ ქირდა სულ სასიკვდილოდ,
თუმც არ დავნებდი არცერთი წუთით,
ვარ კმაყოფილი, შევრიგდე ვცდილობ.

ვიმოსავ ახალ ფოთლებს მოთმენით,
ფესვი და ღერო მსურს გავამყარო,
მიუხედავად ტანჯვის ამდენის,
მიყვარს შეშლილი, გიჟი სამყარო.

Wie sind die Tage shwer

რა მძიმედ, ძნელად მიდის ჩემი დღე
და ვეღარ მათბობს ვერც ცეცხლი მწველი,
აღარ მიცინის, არ შემხარის მზე,
ცივი, სასტიკი გახდა ყოველი.

ვეღარ მახარებს ვარსკვლავიც თავად,
მის შუქს არ ძალუძს ნუგეშით მომწვდეს,
მას შემდეგ – გულმა რაც იცნა ავად,
რომ შეუძლია სიყვარულს მოკვდეს.

Im Nebel – ნისლში

საოცრებაა ნისლში რბოლა, სვლა,
დგას ყველა ბუჩქი და ქვა ეულად,
ვერც ერთ ხეს ამჩნევს ვერც ერთი ხე სხვა,
ყველა თავისთვის გაქვავებულა.

ხალისით სავსე იყო სამყარო,
ცხოვრების მენთო როს შუქი წმინდა,
ეხლა ნისლია და ბინდი ხარობს,
დაბნელდა ყველა და დაიბინდა.

ბრძნულად ვერ ფიქრობს მართლაც ვერავინ,
ვინც ვერ გაიგო წყვდიადის, ბნელის,
რითაც უთუოდ ჩუმი, ვერანი,
სულ მარტოობა ყველასგან ელის.

საოცრებაა ნისლში რბოლა, სვლა,
მარტოობად არს ყოფა ქცეული,
უკვე ვეღარ სცნობს კაცსაც კაცი სხვა,
მარტოა ყველა, ყველა ეული.

Zu spät - გვიანი

ოდეს ჭაბუკი ხათრით და ოხვრით
შენთან მოვედი ჩუმი სათხოვრით,
დასცინე გრძნობას ჩემსას ულმობლად,
და სიყვარული დამიგდე ობლად.
ახლა დაღლილხარ, შეწყდა თამაში,
ჩაფლულხარ ტანჯვით სოფლის დრამაში,
გსურს ნუგეშობდე იმ სიყვარულით,
მე რომ გიძღვნიდი არსებით სრულით,
ტრფობა განელდა, არ მობრუნდება,
არვის ხსენება არ მოუნდება,
ერთ დროს ის იყო მარტო შენია,
ეხლა კი მარტოდ მას ურჩევნია.

Welkes Blatt – დამჭკნარი ფოთოლი

ყველა ყვავილს სურს, გახდეს ნაყოფი,
ყოველი დილა ღამედ იქცევა,
ამ ქვეყნად რაა მუდმივი ყოფის,
თუ არ ცვლილება, რბოლა, გაქცევა?!

ერთხელაც უნდა უტურფეს ზაფხულს
შემოდგომის და ჭკნობის შეგრძნება,
მართებს მოთმენა ფოთოლს დაზაფრულს,
მისი მოწყვეტა ქარს როცა ნებავს.

მაშ, ითამაშე, ნურც გაიბრძოლებ,
გარდაუვალი დე, მოხდეს წყნარად,
ქარი როს მოგწყვეტს, შენც გაიქროლე
და სახლისაკენ გასწი ნარნარად...

მარინა ყიფიანი

არ დაჩოქილო ქვეყანავ.....

****

ლექსო! ნუ ამიტირდები,
მუხლებზე ჩუმად ნაწერო,
დღეს ჩემი ქვეყნის დიდება
უცრემლოდ მინდა ავღწერო.

საზღვრების გარეთ მამულო,
ო...რა ტკივილი გცოდნია,
შენთან სიშორემ გამტეხა,
გამანადგურა მგონია.

ხატად ნაფიცო სამშობლოვ,
სისხლით მორწყულო მხარეო.
არ დაჩოქილო ქვეყანავ
რამდენი სისხლი ღვარეო.

მოყვარე მტრად გადაგექცა
სამარე გაგითხარაო,
გაგყიდა, გაგასაჩუქრა,
წარბი არ შეიხარაო.

ყველამ სახლ-კარი მოგთხოვა,
ვინც ფრთებქვეშ შეიფარეო,
თავად მშიერო, სხვას ლუკმა
გაუყავ, შეიბრალეო.

მრავალ ჭირ-ვარამ ნახულო,
მედგრად ხვდებოდი მტერსაო,
უწვერულვაშო ბიჭები
ტყვიას უშვერდნენ მკერდსაო.

აგიწიოკდნენ შვილები,
შავი ჩაიცვა დედამო,
შენს ძლიერ, ბორჯღა ფესვებში
ხვალის მომავალ ვხედავო.

არ დაეცემი სანამდის
ცაზე მზის შუქი ნათობსო,
სანამდის კავკასიონზე
თოვლის ფანტელი ათოვსო.

თავისუფლების დღე დგება,
თითქოს განათდა ზეცაო,
ემიგრანტების სახელით
შორიდან გლოცავ მეცაო.

24.05.2015

არ დაგვიკარგავს, არაფერი არ დაგვიკარგავს.....

****
(ვუძღვნი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს)
****

ოი... მამულო, რამდენი მაქვს შენზე საწერი,
მაგრამ დღეს სულ სხვა სიხარულის შემესხა ფრთები,
რამდენი ლექსი მომიძღვნია ცრემლში ნაწერი,
დღეს კი სიცოცხლე მემატება და ახლა ვხვდები.
გულის ნაპირებს ეხეთქება რითმები მწველი,
ადუღდა სისხლი, მონატრებას არა აქვს ზღვარი.
თავისუფლების დღეს ზეიმობ, გული გაქვს მკვდარი,
რადგან გაფანტულ შვილებისა არ იცი კვალი.
თენდება, თავზე გადმოგყურებს კაშკაშა ზეცა,
შენს არსებობას ღმერთს ავედრებს ერი და ბერი,
ცად აზიდული მონასტრების რეკენ ზარები,
შორიდან გლოცავ კურთხეულო, შორიდან ვმღერი.
მამულო ჩემო, რა მწარე ხარ, რაოდენ ტკბილი,
რამდენჯერ გულში დაგიმიზნეს სასროლად ტყვია,
ბოღმანარევი შურითაც კი აღმართეს ხელი,
მოყვარე მტრად რომ გაგჩენოდა, ხვდებოდი გვიან.
არ შეგარჩინეს აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი,
ცეცხლი დაგინთეს გულისპირზე ხელის სათბობად
და მაშინ, როცა ამაზრზენად გმინავდა მიწა,
სადღაც იმედის ნაპერწკალი მაინც ნათობდა.
არ დაგვიკარგავს, არაფერი არ დაგვიკარგავს,
დადგება ჟამი ლტოლვილები აწყვეტენ ბორკილს,
კმარა, ატანა-მოთმინების დაწყდა სიმები,
ვერ გაიხარებს შენი მტერი ამდენი ცოდვით.
შენ არ გაშინებს ერთეულთა გადიდკაცება
და არც არასდროს შეგილახავს სახელი შენი,
ზურგიდან გჭრიან, თავი მოაქვთ ნამდვილ კაცებად,
ხოლო სახეზე ირონიის ღიმილი შვენით.
გული მიტირის, როცა ვხედავ გულჯავრიანი,
შენივე შვილი დაუნდობლად გესვრის იარაღს,
მამულო ჩემო, გწამდეს მათი, ვისაც უყვარხარ,
შეგიხორცებენ, მოგირჩენენ გახსნილ იარას.

25.05.2015

გვანცა ხარაიშვილი

* * *

თვალები. დილა. გაახილე.
მთავარი ნაბიჯი უკვე გადადგი
სიზმრებს გაშორდი, გაეყარე.
საბანი. ახლოს. მიიკარი.
გაუშვებ – აღარ მოვა საღამომდე.
ყავა. სიგარეტს ამძაფრებს
მოუთმენლობა. ლოდინი
თვალებს ამოჭამს
თუკი ნახევარს გაეცალე.
სიტყვები. იჯერებ. ბრუნდება.
შტორმია გარეთ ცხოვრების.
ვერ გრძნობ.
ლოგინში გიყვავიან ალუბლები.
მოდის ხანდახან შემოდგომაც
გაფერადებს,
სიკვდილს შეგახსენებს გამუდმებით.
თვალები. საღამო. გაახილე.
ეს სუნთქვაა თუ ნოემბერი
ისე სევდიანად გავისტუმრე.

* * *

რომ დავიწყო წერა და მივხვდე
გავქრი,
მერე?
ამიტომაც დავიმალები კოფეინში,
ამერიკულ სერიალებში,
უთავბოლო საუბრებში,
სიბრაზეში,
წიგნებში,
ავტობუსებში,
საკუთარ თავში,
სიტყვებში.
რომ არ გავქრე,
რომ ვერ მივხვდე,
რომ არ ვჩანვარ,
არსად ვარ.

* * *

მაშინ, როცა მარტოობა ადამიანებისთვის
უპირობო სასჯელად იქცა,
მე შენთან ვარ
და შემიძლია გულზე თავი დაგადო
და შენი სხეულიდან ამოსუნთქულ
საკუთარ სიცოცხლეს ვუსმინო,
რომელიც ასე უფრო ლამაზი,
უფრო ასატანია.
ახლა,
როცა მყავხარ
ძალიან მარტივია გავუგო ყველას,
ვინაც დამტოვა.

სელფების ომი

ელა როცა ლურჯი სივრცის
კაბას იხდის
სანათები ციცინათელებივით დაფარფატებენ
მის საწერ მაგიდასთან.
ელა პატარაა და ლამაზი.
ელას სიმშვიდე საწერი მაგიდა და
სიკეთეზე ოცნებებია.

ელას უყვარს ბარბები.
ჰო, გამხდარი ბარბები,
პრინცებთან ალერსით
დამდნარი კაბებით
და ფიქრი შორეულ სამეფოს ზღაპრებზე
და ფიქრი
და ფიქრი
ათასგზის ნაფერი
სიზმრების მტვერით და
რეკლამის აფრებით.

საწერი მაგიდის
მარჯვენა კუთხეში
რვეულის ბოლოდან
მეორე ფურცელზე
ნუ ჩაიხედავთ –
სირცხვილი არ იცით?

ელას გაწითლების
მიზეზებს აგიხსნით
ახლა არა და ალბათ
ოდესმე.

ელა არაა ბუნების ტრფიალი.
ან არის და ვერ ხვდება,
უბრალოდ არ იცის.
მთელი დრო,
წამწამის ყოველი ხამხამი
ეკრანის ახლოს და
ეკრანთან ტრიალებს.
აქ ხომ სიცოცხლე
ნამდვილი ზღვა არის,
აქ ხომ შემოქმედს
გაუსწრებ ხატვაში.

ელაა ლამაზი,
ნამდვილად ლამაზი.
ელას უნდა რომ
იკითხოს ილია
და მაინც ელა
ჩაება თამაშში
ახლა ხომ ყველგან
სელფების ომია.

მზეგული ტყეშელაშვილი

ამ ლექსების ავტორია სამაჩაბლოდან დევნილი ქალბატონი მზეგული ტყეშელაშვილი. იგი ვანის რაიონის სოფელ ბზვანში დაიბადა და აღიზარდა... პროფესიით ბიბლიოგრაფი და ჟურნალისტი 2008 წლის 8 აგვისტომდე ცხოვრობდა სამაჩაბლოში (სოფელი ავნევი). ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვილიშვილები. მოქმედი ჟურნალისტი ამჟამად (დევნილის სტატუსით) ქალაქ ხაშურში ცხოვრობს.

სიცარცარა

წელიწადის ოთხივე დროს,
მიხაროდა შენთან ყოფნა,
ავნევის და ნულის ჭალავ,
სილაურა – ჩემო კოხტა!
შენი წყალი მომენატრა,
ვერ გივიწყებ, კარგო
სამოთხიდან მოჩუხჩუხე,
უკვდავების წყაროვ.
...ზოგჯერ მინდა გავიპარო,
ან დავუსხლტე მსტოვრებს,
დირბი, დვანი ავიარო,
აღმა ავყვე ფრონეს!
ავყვე თუნდაც გადამწვარი,
დაგინახო ჩემო! –
სანატრელი გამხდომია,
შენიმ ზედა ჩერო.
...წყვდიადია ვეღარ გხედავ,
მთვარეც გაქრა, მიმალულა,
გული დამრჩა, სადაც ფრონეს
უერთდება სილაურა...!

2008 წელი

სტუმარ-მასპინძელი

პური მქონდა და გაგიყავ,
არ დამწყვეტია გული,
დამიჩაგრიხარ არსდროს
მიწოდებია მდგმური.
ნეტავი რისთვის შემომწყერ,
ან ვის მიჰყიდე სული,
გადამიხადე მუხთლობით
ერთგული სიყვარული...
თავი რა შარში ჩაიგდე,
მიხვდები ცოტა გვიან,
მე მასპინძელი გახლავარ,
შენ კი სტუმარი გქვია!

2009 წელი

შენს ცაზე

სამაჩაბლოვ, შენს ცაზე
ღრუბელი გაწოლილა,
ფიქრით რომ არ მოგძებნო
არც ღამეა, არც დილა.
მოდი, გულში ჩაგიკრა,
უშენობა არ მინდა,
ბინდლეჩაქმოხვეულო,
ველარ ვხედავ, დაბინდდა...
გადამწვარი ტყე-ველი...
არ სტვენს ჩიტი ნიბლია,
იყავ კალმით ნახატი...
ახლა ირგვლივ ნისლია...
ლიახვი მოწყენილი...
ფრონეც მისი ასლია,
რა უნდა ვქნა, რას ვიზამ?
ჯერჯერობით ასეა!

2010 წელი

რერო

ამ ცხოვრების ვერ გავიგე გემო,
ქუდად არ მაქვს საკუთარ ხის ჩერო,
მსურს, არ დაგვრჩეს გასატანი ლელო,
ოცნებავ და მონატრებავ ჩემო!
აბიბინდა, როგორ ყვავის მდელო,
მართლაც ნატვრავ, სიყვარულო მწველო,
მოჩუხჩუხე ნაკადულის ჩქერო,
გაზაფხულის სიმღერა ხარ „რერო"

2013 წ.

იის სურნელი

ტყემლებს შვენით კაბა თეთრი, სპეტაკი,
ატმის ჩოხა ღია შინდისფერია,
ალუჩის ხეს გაუშლია ტოტები,
სახიერი ანგელოზის ფერია.

ია-იებს ლურჯი კაბა ამშვენებთ,
სუნი ასდით მათრობელი, საამო,
ნიავი კი ჩასჩურჩულებს, უმტკიცებს:
მასთან უნდა გაატაროს საღამო.

ენძელებო, ბაიებო, შროშნებო,
მინდა ერთი საიდუმლო გაგანდოთ;
სამაჩაბლოს ნაზი იის სურნელი –
აქაც მომწვდა, მომაგნო და დამათრო.

2009 წელი

მიწა ვარ

ხან მიწა მომწონს, გრილია,
ხან ცაში მინდა ვიფრინო;
ხან ბელურა ჩიტს შევნატრი,
ხან მირჩევნია მიმინო.

ხან მხიბლავს საქმე გმირული,
ხან კეთილს ვუკმევ გუნდრუკსა;
ხან უანგაროდ ვირჯები,
ხან კი – მოვყვები წუწუნსა.

რამდენიც უნდა ვიფრინო,
ვკრიფო ვარდი და ღიღილო,
ბოლოს ხომ მაინც მიწა ვარ,
და მიწავ... უნდა მიმიღო!

17.07. 2011 წ.

თამარ ჯაჭვაძე

თეთრი ლომი

სიმართლეზე მეტად ადამიანებს თქმულებები და ლეგენდები უყვართ, გავიგონე: – თბილისის ზოოპარკში დაბადებულან თეთრი ლომები... უცნაური პატარა ბოკვერი – პრინცი შუმბა, თავისიანებმა ვერ შეიგუეს და არ მიიღეს-ო. იგი პატარა პუდელს დაუმეგობრდა. 2015 წლის 29 მაისს ვნახე, უკვე დიდი თეთრი ლომი, პატარა შავ პუდელთან ერთად.

თეთრი ლომის არსებობა, ბუნების კიდევ ერთი უცნაურობა, თუ საოცრება, ადამიანურ სამყაროშიც დავინახე. "თეთრი ლომები" ადამიანებშიც იბადებიან...

ეს სიტყვები და ლექსიც ზოოპარკის ტრაგედიამდე ზუსტად ორი კვირით ადრე დავწერე, საათობით შევყურებდი თეთრ ლომ "შუმბა"-სა და შავ პუდელ "კარაკულა"-ს. მათ საოცარ მეგობრობას. ვინ დავინახე თეთრი ლომის სახეში, ველარ გავამხილე, რადგან იმ წყალდიდობისას, განთიადზე "შუმბა" მოკლეს, პუდელი კი სიშავის გამო ვერ შეამჩნიეს და გადარჩა...

ამ ჩამუქებულ, ცივ მზისქვეშეთში,
ამ მონოტონურ დუმილ-ქაოსში,
ამ ბინძურსა და დაუნდობელ დედამიწაზე,
აბობოქრებულ საუკუნეში და სამყაროში:
სადაც წალეკა სიყვარული და ერთგულება
გულგრილობამ და ხელოვნური სულის სიბილწემ,
სადაც შენებრი აღარავინ არ გეგულება,
და გასაქცევად მიწიდან იწევ....
სადაც სიყვარულს ცხოველური გრძნობა კი არა,
უფრო მდაბალი და უფრო ბილწი სახელი ჰქვია...
გონების წარღვნა-დავიწყებამ გადაიარა,
მაგრამ სოდომი და გომორი უკვე აქვეა...
სადაც გულწრფელი ცრემლი უკვე სასაცილოა,
სადაც ტკივილი სისუსტეა მიუტევები,
სადაც დაცემულს ფეხი უნდა დაადგას ხროვამ,
და სუსტი უნდა გადათელოს დედაბუნებამ...
სადაც ღიმილი ფარისევლის გახდა ნიღაბი,
და სადაც ნიჭი მომხვეჭელის მახვილად იქცა,
სადაც სიკეთე და სილამაზე სატყუარაა,
სადაც დიდებულს, განსხვავებულს,
ესვრიან რისხვას,
სადაც ღირსეულს სიძულვილი, სიკვდილი ელის,
სადაც ქაოსი დათარეშობს ვნებააშლილი,
სად ეზარებათ შეშველება, უბრალოდ, ხელის
და ასე კვდება სული სათნო, კეთილშობილი...
(თუმცა, სამყარო უკეთესი როდის ყოფილა?
როდი ყოფილა სიყვარული – ვარსკვლავთა ომი?!)
ამ ადუღებულ სამყაროში, მოულოდნელად,
მე დავიბადე ... სულ სხვანაირი ... მე, თეთრი ლომი!

* * *

მე დავიბადე და არ ვგავდი სხვას, ძმას, მეგობარს,
ალბინოსივით უცხო იყო ჩემი სხეული,
თავად ბუნებას მოვლინება ჩემი ეოცა!
არვინ იცოდა, რომ ვიყავ სული,
უსასრულობას ჩამოხეული.

სხვა სამყაროდან მოსულს ვერვინ მიეკარება,
ჩემს დაბადებას სივრცეებმა მიუალერსეს...
– ალბინოსი თუ... ამ სამყაროს გადაგვარება,
გადაგვარება უკეთესი თუ უარესი?!

უდაბნოს თავზე ჩამოქცევა ნამსხვრევი ზვირთის?!
შეკრთა სიცოცხლით... მიწას შიში ვით გადავყარო?
მე დამიწუნეს სითეთრისთვის, სილამაზისთვის,
სიკარგისათვის მიწუნებდა მთელი სამყარო.

თუმცა ვიცოდი რომ გამრიყავდნენ,
არ მიმიღებდა კაცობრიობა,
მაინც მოვედი, რადგან მოსვლა ამქვეყნად ღირდა,
რომ დაგენახათ იარათა თქვენთა ღიობა,
ღირდა ჭიდილი მომრავლებულ კეთრთან და ჭირთან.

თვით დაბადება იყო პროტესტი, იყო ამბოხი,
დამსხვრევა ყველა დოგმისა და ყალბი აურის...
ვიცი, სამყაროს ერთხელ მაინც მუხლებში მოვხრი,
ასე უცნობი, თან ნაცნობი და უცნაური.

მე შემიძულეს, რადგან ქვეყნად არავის ვგავდი,
მე მიმატოვეს, რადგან შიშმა დარიათ ხელი,
მე მომიკვეთეს, რადგან ბედი ხიდივით გავდე
და გადავშალე სივრცეების ფოიანტელი.

გავაკვირვებდი ამ სამყაროს, მდევდა რომელიც...
და მიძულებდა არხეინად ბუნაგში მწოლი...
ვიყავი სუსტი და ძლიერი,
ახლობელი და მიუწვდომელი,
ბალახის ღერზე თავმდაბალი,
სულით – მებრძოლი.

ქარბორბალობა ცაში დღეთა გრადაციები,
და იწრთობოდა მოცახცახე სხეული დროში...
მზეს ემსხვრეოდა მარტოსული და ნაციები,
ამაოება – სულს მოხვეული ჩინური ქოში.

მე მომისაჯეს სულ პატარა მიწის ნაწყვეტი,
გული გრიალებს, უსასრულო სივრცეთა მწვდომი...
სხვა ბედისწერის, უცნაურად, კვლავ გადამწყვეტი,
უცხო ასტრალში დამწყვდეული – ვარ თეთრი ლომი!

ვიწრო სამყაროს განაგებდა ბოროტ-კეთილი,
სუსტთან ვაჟკაცი, ძლიერებთა მოშიში, მძრწოლი...
და დარჩა მარტო, დროის ბრჭყალში გამოკეტილი,
ბედი მებრძოლი, სული მებრძოლი, ჟინი მებრძოლი.

რთულია ზეცა, და გონება სწვდება სივრცეებს,
როცა მუხლებზე გეხვევიან ეკალ-ბარდები...
და ბედისწერაც უკვდავებას დააიმედებს:
- დროში ვბრუნდები, ხელმეორედ დავიბადები!

დაბრუნდებიან თეთრი ლომის, მწვანე მზის სახით,
უსასრულობის სიღრმეებიდან ჩემისთანები...
საყველაწმინდო სადღეგრძელოდ ცრემლი დაასხით?
განა დავეცი, განა მოვრჩი, განა დავნებდი?!

გარდაევლება სხვა სივრცეებს, ვით სხვა კომეტა,
არ ღირს შეკრთომა ჯიშის, ფერის და ეროვნების,
სული ბრუნდება, ვერწაშლილი მომდევს გონება...
და გაგაკვირვებთ,
ვამსხვრევ დოგმას ერთფეროვნების.

მე დავბრუნდები, მაგრამ, ვიცი, კვლავ გამრიყავენ,
ისევ მომელის მარტოობის სასტიკი ომი,
კვლავ არ მიმიღებს ამღვრეული კაცობრიობა,
რადგან ყოველ დროს მე ვიქნები ის, თეთრი ლომი!

შემომესევა არსხვანაირ ლომთა კრებული,
ვინაც არ არის უცნაური, განსხვავებული...
გადმომეფრქვევა ბოღმა, რაიც გულს ნადებია,
ვინც უყვართ, მოსწონთ, ამიტომაც ემტერებიან.

ასე, ამქვეყნად იბადებიან საოცრებანი,
ვისაც ვერ უგებს ამღვრეული მისი დროება,
ვისაც ებრძვიან, იმეტებენ ბრბოთა კრებანი,
და ვერას ავნებს გულმოსული ამაოება.

თეთრი ლომები, თეთრი ყვავი, თეთრი მერცხალი.
გვინდა ქაოსი? თუ მიწა წეს-რიგ აუბურდელი...
ლომები ისევ გამრიყავენ, გადამრეცხავენ,
მაგრამ ყოველთვის გამოჩნდება შავი პუდელი.

რადგან იმედი, გულია და სხვა სატევარი,
გაძლევს გაძლებას, რომ გაუძლო გაუძლებ ჭირთა,
მე მაინც მოვალ, იმედებთან ღამისმთევარი,
და შეგახსენებთ, რომ სხვაგვარი სიცოცხლე ღირდა.

სუსტმა ხელებმა დედამიწა წააბარბაცა...
არათანაბარ, უჩვეულო გრძნობის გაჩენა?!
ვიღაც ხედავდა, გულისთვალით, ჩემში რაღაცას,
რაიც სამყაროს დაღუპისგან გადაარჩენდა.

სიყვარულიც და სიძულვილიც მდევს შორი-ახლო,
ვწევარ დაღლილი, თეთრი ლომი და სიკვდილს ველი...
რამდენჯერ მოხვალ, რომ შეგიცნონ და დაგინახონ,
აი ეს არის, თეთრ ლომებზე, გასაკვირველი.

2015 წელი. 30 მაისი

სხვისი ტკივილი

ხილულ ზნეობას, – იას ევლება ბუჩქი ქარაგმად,
ბინადრის მზერით ტკბობისათვის მიწას თხოვს ღალას,
მე ვინ მიფარავს!.. – ჩემი ჯვარის ვარ თვითმზიდველი,
სხვების ტკივილით მოსირმულმა ზეცამ დამღალა.

2015 წლის 9 ივნისი

ნაილი ხარაიშვილი

ცაცხვის კვირტები

სიმბოლო სუნთქვის, ოცნების და სიცოცხლის ფერის,
გაზაფხულის და მზის ასულად შეირაცხებით.
ცოდვილ სოფელსაც თქვენ აბრწყინებთ კანდელებივით,
ოქროს ზოდებად დაკიდულნო კვირტნო ცაცხვების.

როს დამამძიმებს დეკემბრის სიცარიელე,
და სიმარტოვის კაეშანით დავიზაფრები,
მომეხვევიან როგორც სატრფოს შვებისმომგვრელად,
საუნჯე ყოფის, – მოხასხასე თქვენი აფრები.

დაისის ჟამზე რომ გაარღვევს ჩემს სხეულს სული,
(ვინძლო სამოთხეს ეზიაროს ლოცვის თანხლებით),
ჩემით დაიწყებთ გაზაფხულებს ელჩნო მაისის,
მიწადქცეული, ფესვში დვრიტად ჩაგისახლდებით.

15 მაისი – 2015 წელი

დრო

მეფეა ყოფის...
ქურდიც არის, ტრფობის წამალიც,
მის მჟღერ ჰანგებზე მატიანე ჰყვება არაკებს,
გრძნობას არ აჭკნობს, –
მარადიულს, მზისფერ მშვენებას,
და სიყვარულსაც თავისებურ გონით განაგებს.

ნიჭია მისთვის ღირსება და ზრუნვის საგანი,
ბებერ სიბრძნესაც თრობა დროით ხიბლს მიანიჭებს,
სულის მკურნალი, ეულს დარდებს გაუფერმკრთალებს,
ნათლით აღავსებს ჭეშმარიტი რწმენის დაისებს.

და თუ შეღებავს ბინდისფერად ზეცის სილურჯეს,
მუზის ქამანდით „მეფურ სივრცეს“ პოეტი იჭერს,
თავისი კალმით გამოსტაცებს დროს მონაპოვარს,
ლექსებად შეჰკრავს, და გაატანს მფრინავ ტაიჭებს.

22 მაისი – 2015 წელი

ქართველი პოეტები



მათებრ რა ვწერო სამშობლოზე, – ვის დავკარგვივარ...
ან ვის მივბაძო, რომელ პოეტს შევედარები,
რარიგ ვაფლითო იმათ მსგავსად წყვდიადს სამოსი,
ვით გადვიხადო მათნაირ ჟინით გმირთა ვალები.

იმორჩილებენ ბობოქარ და პირქუშ ტაროსებს,
უკუნს გათელენ ცეცხლოვანი ტრფობის ველებად,
გორდა ხმალივით ალესილი ალი სტრიქონის
უკდვავ მშვენებას, – საქართველოს შემოევლება.

მათი გალობით ანგელოზთან ტაძრის გუმბათში,
გარინდებულნი, იმსხვრევიან ექო მითების,
ნეტავ შიკრიკიც თუ გავხდები ღვთის ამ სარდლობის,
კოჭლ ჯარისკაცად მათ ჩრდილის ქვეშ თუ ჩავითვლები.

18 მაისი – 2015 წელი

***

თავზე დამაცრის დღეს ცისკარი სანუკვარ დილას,
შენკენ მომავალ ტევრში გრეხილ გზებსაც მასწავლის,
ჩვენ სიყვარულით ნაშენ ქოხსაც რომ მაპოვნინებს,
დავაკაკუნებ... გამეღება კარი აღსავლის.

16 მაისი – 2015 წელი

ვვახ



ღვთაებრივი მშვენიერების არის მკვიდრობა,
ტევრს ეძალება უიმისოდ მელანქოლია,
ტოტს გაშოლტილი, აღვლენაა ნატვრის და ფიქრის,
თავისუფლების სიმბოლოა ასე მგონია.

მობეზრდათ თვალებს სილამაზით ტკბობა სასახლის,
თითებს კი აცმა ბრილიანტის, ქარვის ბეჭდების,
გულად ავაზას გავუხდები თანამზრახველი,
ფესვმაგარ თელებს ლიანებად გადავეჭდები.

მსურს ნადირივით მეც აღვზევდე, დავეშვა კლდიდან,
მკერდში ჩამიკრას ჩანჩქერების შხეფის სილურჯემ,
მერე დახუნძლულს ნამუსიან ქუდის რკოებით,
ნაჭედ სიმტკიცეს, – ძლიერ მუხას გვერდით მივუჯდე.

ერთხელ კიდევ გადავიკითხო ტრფობის დავთარი,
სიყვარული რომ შეუწირავთ დროის ავდარებს,
თავისუფლებას მეც მომიძღვნის ბუნება ჯილდოდ,
ავაზასავით ტრამალებში გამანავარდებს.

18 მაისი – 2015 წელი

პეტრე ჯაჯანიძე

ქალის დუმილი მარტის ფიფქია

ალუბლების და ტყემლების ბოლი,
პატარები რომ ფიფქებს ითვლიან,
ჟუჟუნა წვიმა, ღრუბელი, თოვლი,
მთებზეც რომ მოსჩანს ქალის ფიქრია.

ეს ფიქრი წვდება ველს და ხოდაბუნს,
უღელტეხილებს, ხშირად ჭირხლიან,
კლდეებს შორის რომ ყვირილა მოჰქუხს,
საშევარდნოს რომ სურო მიხლია.

ნაკადულებით ჭრელი სურები,
გამხმარ მსხალზე რომ მწვანე ფითრია,
გაზაფხულები, ფოთოლცვენები,
ჭექა-ქუხილიც ქალის ფიქრია.

ქალი შეხარის უცხოს და უჩვევს,
უსაფუძვლოა მისთვის ბრალდება,
მალავს სიყვარულს, – დარდს ამოუთქმელს,
გამხელით ფასი რომ ეკარგება.

ხან ლაჟვარდებში შეიფრთხიალებს,
ხან ჯოჯოხეთის ისმენს გოდებას,
ხან სიხარულის ივსებს ფიალებს
და წამწამებზე ცრემლად გორდება.

ქალი სიცოცხლის წმინდა წიგნია,
კაცობრიობის წყალუხვი დელტა,
ქალის დუმილი მარტის ფიფქია
და მისი გულიც მარტივით ფეთქავს.

ვინ იცის

არ ხარ ქალაქში ამინდი წვალობს,
მოარღვევ ქუჩას, ზეიმობს დარი,
ვგრძნობ შენს სუნთქვაზე ჰაერიც ხარობს,
შველივით ლაღი, კეკლუცი ქალით.

ვინ იცის იქნებ დღე გექცა ბინდად,
დიდიხარ ისე, როგორც ცოდვილი,
იქნებ ზეცაში აფრენა გინდა,
უკან ბრუნდები ხვთისგან ლტოლვილი.

იქნებ გაღელვებს დანეს მითი,
როს სევდით ღრუბლებს გაჰყურებ მარტო,
თუ ღამეები მოწყენით მიდის
და გიტარასთან ბარიტონს ნატრობ.

იქნებ არავინ მოგთხოვა ხელი,
ყველა შეგძულდა ჯავრიან გულზე,
იქნებ წმინდანად შერაცხავს ელი
და სიმარტოვეს ქვასავით უძლებ.

იქნება ღმერთზე ნაწყენი რჩები,
როს გაიხსენებ დღეებს გარდასულს,
თუ სიცოცხლეში ათასჯერ კვდები
და სიკვდილამდე მისტირი წარსულს.

* * *

ჯოჯოხეთური ჰქონდა წადილი,
ჭრიჭინასავით არ ცნობდა დარდებს,
იფურჩქნებოდა შქერის ყვავილი,
ამოუცნობი სიტურფით სავსე.

არ მადარდებდა შორი მანძილი,
უხმოდ ვუცვლიდით ერთმანეთს სათქმელს,
მეღობებოდა ბუჩქი ასკილის,
ზეიმი ჰქონდა გარეულ ვარდებს

ვით აპრილის მზე დრო არ დაიცდის,
სიყვარულივით ტკბილი და მწარე,
წიფლის ხმელ ფირჩხზე დიდი ხალისით
მიჯნურ ქალივით წვებოდა ღამე.

ფიქრი მკლავს

თვალთაგან მოსჩქეს ზიზღი და ბოღმა,
მის სიტყვებსაც ხომ მღილის ფასი აქვს,
ფიქრი მკლავს როდის შემოჰკრას გონგმა,
ხასიათში რომ მიცვლის ხასიათს.

ღ -ს

იმედის სხივი ჩაუქრა თვალებს,
წართმეული აქვს სული ურდოებს,
დღეს ვინ ჩამოკრავს გაწყვეტილ ზარებს,
ან ვინ დაარღვევს ჩემს სიმყუდროვეს.

ან ვინ მოისმენს ყრუ ამოძახილს,
ხმს უნაყოფოს, წლებისგსგან წაშლილს,
ვეღარ აკავებს დამოკლეს მახვილს,
მცირე იმედი – ალალი ბავშვი.

ცივ, უნუგეშო სიცოცხლით დამთვრალს,
დარდს ვერ მიქარვებს ღვინო ჭიჭილით,
ხვალ ველოდები ყინვიან ზამთარს,
უკასაციოდ სიკვდილმისჯილი.

სანამ შენც გრძნობამორეულს, თალხით,
წამოგწევია მწუხრის ამქარი,
ჩუმ ჩურჩულს ველი, დარდისგან დაღლის,
მე, ჩემ თავთან და შენთან მართალი.

* * *

არ აგისრულდა ნიშნობის ლოცვა,
ცრემლების ტალღად დაშვრა პიკეტი,
ისევ გაჟრჟოლებს პირველი კოცნა
და სიყვარულის კვამლად იქეცი.

ვით იას თოვლი გფარავდეს თალხები,
ოცნების კოშკი ანდე ლიანებს,
ფიქრების თეთრი ბაირაღები,
გულივერივით გახეტიალებს.

ვეღარ ანათებ როგორც კანდელი,
მწველი გრძნობები წელში მოხარე,
ხან მთის ბროლივით ცეცხლის ამთები,
ხან საოცარი ცნობისმოყვარე.

გაკრთობს სამრეკლო ყველა ტაძარის,
როგორც ბუჩქნარი ჩიტის ფრთხიალზე,
რტოდაუწვავი ხდები ნაცარი,
შესანდობარის ივსებ ფიალებს.

არ აგისრულდა ნიშნობის ლოცვა,
ცრემლების ტალღად დაშვრა პიკეტი,
ისევ გაჟრჟოლებს პირველი კოცნა
და სიყვარულის კვამლად იქეცი.

ციცინათელა

გალაღებს სითბოსთან სანთლით თამაში,
პატარა მწერი ხარ ნამცეცი მისხალის,
კომეტის ნათებით ალისფერ მარმაშში
შავ-ბნელი საღამოს ლეგენდა ცისკარის.

უდაბურ ადგილზე შემოგაქვს სიცოცხლე,
ფაქიზად, ლაღად და თანაბრად ანათებ:
ბაზალტებს, გრანიტებს, გაბროს და ქვის ლოდებს.
ხეივნებს, ჩრდილების ფანჯრების ალათებს.

აფრქვიე სინათლე პაწაწა პეშვებით,
არასდროს ჩაგიქრეს ნათების წადილი,
გარდაცვლილთ აპკურე მირონის წვეთები,
სიკეთეს ვერ მოშლის ჟამი და მანძილი.

ცოცხალი ელვა ხარ, სიცოცხლი გნიასი
და მარად უშრეტი სინათლის ჩანჩქერი,
ფუჭ წუთისოფლის უაზრო ტრიალში
უკუნი, სინათლით აქციე ნათელი.

მზის შუქის დანაკლისს შენ აფრქვევ წყვდიადში,
საკუთარ ნათებით თვითონაც ნათდები,
წასულა სავანის ვარდების შრიალში
აანთე ხატებთან ფოსფორის სანტლები.

როდესაც დადგება დრო წუხილ-ვარამის,
თუ შენთვის ოდესმე აცივდა მაისი,
უბოძე მემკვიდრეს სინათლის ალამი,
როდესაც ჩაქრება ნათების ხალისი.

დუმს მარტოობა

უკვე ამრეზით დაგყურებს ღმერთი,
მშვიდად ხარ იცი რაც გელოდება,
ღრმა ნაოჭებმა დაღარა მკვეთრი,
ნიჭი ეშხი და ხავერდოვნება.

პილატე ცეცხლზე სველ ხელებს იშრობს,
ქრისტემ წამებით დახუჭა თვალი,
დუმს მარტოობა,- სამყაროს პირმშო,
როგორც ემბაზში ნაკურთხი წყალი.

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,

ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია –
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი –
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

გულნაზი ხარაიშვილი

უმტროდ ცხოვრება

უმტროდ ცხოვრება, სულაც არ მიყვარს,
თუ გამაბრაზა მაშინ ვცხეცხლდები.
ან თუ ჩამთვალა, ბავშვივით ბრიყვად,
რომ დავამშვიდო, ჩემსას ვეცდები.
უმტროდ ცხოვრება, ეს იმას ნიშნავს,
გაუფერულდეს ყვავილი ვარდთა...
ხან თუ ვიბრძოლებ ჰო, არაუშავს,
დავწიწკნი გაუტანლობის ფარდას.

რა ძნელი არის

რა ძნელი არის, სხვა ვანუგეშო,
მაშინ, როდესაც ტკივილი მძალავს.
რამდენჯერ უნდა ამოვიხვნეშო.
ცრემლებს კი თვალის უბეში ვმალავ.

* * *

მოვა გაზაფხული ნიაღვრებით...
თევზები გაჰყვება ქარავანს,
გამიჩნდა გულში იარები,
კიდევ კარგი, რომ თევზი არავარ.

* * *

ზაფხულის დღეები სიცოცხლეს მღერიან,
ქარით ზღვის ტალღები ღელავს...
ნაპირზე დამსვენებლები ბევრია,
მზე ერთნაირად ეფარება ყველას.

* * *

მოვა შემოდგომა, ჩემი ერთგულებით,
ფიქრით გულის ჯიხურს ამოვავსებ...
ჩემად მხოლოდ ერთი მეგულები,
თუკი ოდეს მაინც დამაფასებ.

* * *

ფიქრის მდინარეს თოვლი აფარია,
ყინვაა მისი დარდის ზეწარი.
ცრემლები ზეცის მაყარია,
გული სევდითაა შემწვარი.

* * *

იცით? სიკეთე მაცვია აბჯრად,
ქარის ღალატსაც ნუ დამაბრალებთ...
ცუდის სათქმელად, დროს არა ვხარჯავ,
სუსტს და უმწეოს მტერსაც ვიბრალებ.

* * *

როცა, უცებ მაწყეინებს ვინმე,
როცა, ცრემლი თვალებიდან მცვივა,
დამიფარე წმნიდა სერაფინე
ვერ ვპატიობ – გული ძლიერ მტკივა.

* * *

გავჯიუტდები, არ ვიტირებ, ცრემლს აღარ დავღვრი,
მშვიდად ვარ, ჩრდილში ფიქრთან ვისვენებ...
წარსულს გადვწვდი, წლებს ვხედავ დაღლილს,
ნაღმობ ფეხივით ქარო გიხსენებ.

* * *

მეგონა ტანზე სინდისს ჩაგაცმევდი,
მოგანანიებდი ცოდვებს,
გულში სიკეთეს მოგინცვრევდი და...
შევქმნიდი სიმშვიდის ნოტებს.

* * *

ნაზამთრალ ვერხვივით გადაშიშვლდა დროის იმედი,
ნეტავი ბედის მწერლები, ცოტახანს არ მადროვებენ?
მე ტკივილები დამიგროვდა ქარით იმდენი,
ადამიანი – თაგვები, კი არ ფანტავენ,
გამოხრულ გულში მიგროვებენ.

* * *

არ ვიმსახურებ, გულს მაინც მიღრნი,
როგორც კაკალში შემძვრალი ჭია.
მე მაინც ლამაზ ყვავილებს გიძღვნი,
რადგან სახელად სიკეთე მქვია.

* * *

არა მგონია ყოჩივარდების ხიბლით გავბრიყვდე
ალბათ არავარ თანმედროვე.
ახლა შენ გიჭირს, წყენის წუთი უკვე გავრიყე,
მოგიბრუნდები ძველებურად, ცოტა მადროვე.

წვიმა

წვიმა გარდაცვლილთა ცრემლებია,
ცისარტყელა, ცას გუთნით კვალავს...
ვარსკვლავები მთოვარის მცველებია,
მეც დამიცავენ იქ როცა ავალ.

ო, როგორ მინდა

ო, როგორ მინდა, იმედების
კონა გაჩუქო,
შვებას შეიგრძნობ,
ნისლების დროს როცა მოიწყენ.
ლამპიონები ცას წავართვა,
გზა გაგიშუქო,
და ნაბიჯ-ნაბიჯ შენი ნიჭი,
ყველას ვაუწყო.

გულის ფიქრები

გულის ფიქრები, სიცოცხლის წლებს მარცვლიან,
ზოგჯერ კი... ციყვებივით დახტიან...
ხან ისე აქარიშხლდებიან, აღარაფერს მაცლიან.
მეცოდებიან... ფიქრთა გულში, რომ მარტია...

მიხარია

შენი შეხვერდა ისე მიხარია,
როგორც ლამაზი დღის გაბრწყინება,
გელი და გულს გირძღვი რახანია,
გჯეროდეს,.. ლოდინი არ მწყინდება.
მადლს ვთესავ, მოყვასთან არ ვდიდგულობ,
წყენა კი ო, მაინც მახსოვს,
მიწამე, სიკვდილამდე გიერთგულებ
გულს გირძღვნი დარდებით ნაქსოვს.

თუ მდიდარი ხარ

თუ მდიდარი ხარ და გეტყვიან ლამაზი ხარო,
არ დაიჯერო, შეთვის თავი ვინმემ გაწიროს!
თამრო იქნება, ანუკი თუ ან კიდევ მარო,
ან მლიქვნელობით კაცმა სიტყვა შემოგაწიოს.
იმსახიობე, შეინიღბე, მათხოვრის როლით.
და დააკვირდი მეგობრების სახის მიმიკებს...
შენ სიბრალულით შემოგხედავს, შვილი ან ცოლი,
სიმდიდრის სენით შეპყრობილი აღარ მიგიღებს.
კვლავ ძველი სახით დაენახვე, ვიც რომ გაგრიყა,
დაგეფიება ძირს ხალიჩად ანა და მარო.
თუ შენი გული მიენდო და ისევ გაბრიყვდა.
სიკეთით გირჩევ: რომ ასეთებს არ გაეკარო.

თორმეტი წელია

თორმეტი წელია სტუამრს ვმასპინძლობ,
ლექსებს – რომლებმაც მხრებზე დამბარდნა.
ხან მამშვიდებს და ხანაც ასპიტობს,
ხანაც ცრემლებით სახე დამბანა.
მიყვარდა ძლიერ... მაგრამ არ ვწერდი,
არ მაქვს შექმნილი წარსულში სტროფი.
ახლა გავავსე წიგნების გვერდი,
და არაგვივით სისწრაფით მორბის.
მე გაბრიელის საფლავს ვეახლე,
ვთხოდი მშვიდობას, ვთხოვდი სიმშვიდეს,
მეორე დილით თვალებს ვახელ და...
ფიქრით ლექსსა ვწერ მგონი მეშვიდეს,
ბოლოს დავფიქრდი, მივხვდი ნიჭს ღვთისას,
თუმცა მავანი, ბევრი გაკვირდა.
ლექსებს სწერს ქალო?.. უიმე მტრისას,
მათთან კამათი მივხვდი არ ღირდა.
თორმეტი წელია ლექსებს ვმასპინძლობ,
სიკეთეს ვთესავ, განსჯის მაგიერ,
ხალხიც დაამდა, აღარ ასპიტობს,
შენი მადლით ვარ მამა გაბრიელ.

მხატვრის სული

მხატვრის სულია, ფაქიზი და იდუმალება,
დიდი სარკეა, წარსულსა და აწმყოს, რომ ხედავს.
პალიტრას მიღმა ჩანაფიქრი იმალება და...
დიდი ქარიშხლით... მტრის ისრებით არასდროს კვდება.
ფუტკარი არის, ყვავილების ხიბლით დამთვრალი,
ნიჭის ბარდვნაა, ზეციური მთვარის ნაპირი...
ხან ზაფხულია, გაზაფხული, ხანაც ზამთარი,
ისე ნაზია მხატვრის სული, როგორც აპრილი.
ხელოვნებაა, ღვთიურ მადლით მირონცხებული,
აბრწყინებული ცისკრის დილა, ფერებში იწვის.
დედას პურია, უფლის ხელით გამოცხობილი
ის სუნთქვა არის, უკვდავება ქართული მიწის

ცოდნის ოკეანე

(ელგუჯა მამუკელაშვილს)
იდეალური ჰარმონიით შევცურე ზღვაში,
აღმოვჩნდი სიბრძნის, დიდი ცოდნის ოკეანეში.
ფოლადიც იყო, საუბრის დროს, სიმშვიდის ხმაში,
ეს ტემბრი იყო, ჰო, ნამდვილად ღვთის სავანეში.
იმედის ფრთები იდუმალ ფიქრთა დავაფრთიანე,
რადგან დიდ ცოდნას, მომავლისთვის უხვად არიგებ...
გთხოვ მაპატიე, გაცნობა, რომ დავაგვიანე,
შენ ხარ, სამშობლოს ისტორიის მემატიანე.

ეკლის ღობე

ეკლის ღობე აკრავს მცველად
ვარდის ტოტებს,
მიკვირს როგორ ეფერება დილის ნამი.
რაქნას,, ალბათ ვეღარ უძლევს სიმარტოვეს,
ურჩევნია მთელ სიცოცხლეს, გრძნობის წამი.

არაფერია

გულს მკურნალობით მოირჩენ თუკი,
მოყვასის ზრუვით გადაღლილია...
ენით არ არის განათუთქი და...
შენ სატრფოს სხვასთან არ გაუვლია.
არაფერია მოხვდე დანის ქვეშ,
განიკურნები ერთი თვის თავზე.
უფრო ძნელია აუგი თუ თქვეს,
ან გულისწორმა გაგცვალა სხვაზე.

გულო ჩემო

გულო ჩემო, შეეგუე რომ გაგრიყეს,
შენ ტკივილი ისეც გბოჭავს ნატყვიარო...
გთხოვ არავის აღარ ენდო, არც გაბრიყვდე
არც ჩემსავით სულ დარდებით არ იარო.
იქნებ შენში ვარდი ისევ აყვავილდეს,
„ჩიტბატონას“ შენს ენაზე ესაუბრო...
სანამ დროა, სანამ სული გაგიფრინდეს,
არ მინდა, რომ შენ გეტკინოს ჩემზე უფრო.

აღსდექ გიორგი

დიდო სარდალო, როგორ შეძელი,
მძლევად, რომ შახთან დატოვე შვილი.
ეს იყო ჯვარცმა იყო ქვესკნელი,
ან რად გონიათ მავანთ ადვილი.
გახსენებითაც გული მიკვნესის,
ამ თავგანწირვას, ნისლი რად ფარავს...
ახლაც შავ ზღვაში უცხო კვლავ ხვნეშის,
სანაპიროზე სხვა იშლის კარავს.
ნეტავ სარდალო, წამოგახედა,
ქარი ჯიუტად როგორ ბატონობს...
მჯერა შექმნიდი უთაო მხედავრს,
კვლავ ჩვენ მიწებს რომ დაეპატრონო.
ღვთის პოეტები, დიდი მწერალი,
მზეს მოაფენდა დარდის ნაპირებს...
აჭიხვინდება ტატოს მერანი,
თავისუფლებას გავიაპრილებთ...
ო, მოურავო ბრძოლის ველია,
კრუხი წიწილებს მწარედ დაწივის, –
ამის აღწერა მართლაც ძნელია,
აღსდექ! გვჭირდება მხსნელად არწივი.

ლევან პირველი

* * *

მე ვიცი სამი პოზა:
სალვადორ დალი.
ნიცშე. და
ჰიტლერი.
მომეცი ხელი
მე გეუბნები
მომეცი.
ჩემთან სივრცეა.
ჩემთან მიწაა.
ჩემთან მე ვარ.
მე იქ ჩავედი
საიდანაც მოჩანს კოსმოსი.
მოჩანს სიკვდილი.
მოჩანს ნაზუქი.
მე მკვლელი ქვეყნის,
და მოკლული სამარადჟამოდ,
სინათლე მე ვარ.
სიცოცხლე მე ვარ.
ალაზანი.
შენ მიპასუხე,
ვინაიდან მთელი დღე
ვწევარ.
თუ არს საშუალო.
მაშინ სად არის.
ხელოვნებაში საშუალოობა
სისულელეა.
მეოთხე პოზა.
საქართველოში
ერთ – ერთი პოზა
დაუშვად
მე ვარ.
დაუშვად ვწევარ.
მე მთელი დღე.
ფიქრის
საწოლში.

უსათაურო, არც

ძალიან მიყვარხარ!!!
მე შენ გეუბნები,
ძალიან მიყვარხარ,
შენ, ვინც კი შეიგრძნობ
ადამის ბუნებას,
ქცეულო ქვასავით,
ვერც კი წარმოიდგენ
რამდენად თბილი ვარ,
საიდან ვიძახი,
ვერც კი წარმოიდგენ,
იმდენად ქვევიდან
იმდენად ძირიდან.
ვერც კი წარმოიდგენ,
რამდენად თბილი ვარ.
ქცეულო ქვასავით!!!

მიხეილ თუმანიშვილი

პოეტი – პარტიზანი

გარეთ ქარი ქრის, ხმაურობს, ანგრევს,
ეს ქარი მოჰგავს პოეტ-პარტიზანს,
მიუსაფრობის მიზეზად ზიდავს
ბეთჰოვენის სულს, სულს მოცარტისა,

იქ, სადაც ბჭობენ ვაჟა-ფშაველას
ფიქრებით მქადაგებელი მთები,
არ ეცლებიან ქარიშხლებს გზიდან
და გარიჟრაჟებს ხვდებიან ქებით.

მათი დუმილის ხმა მოდის გულთან,
იმათ მოლოდინს ჯვარივით ვითმენ,
გალობისათვის სულს სივრცე უნდა,
ვით იდუმალი მუსიკა რითმებს.

მე ქარი მიხმობს, მიხმობენ მთები,
მეტი საერთო აქვთ ჩემთან იმათ,
ამოუსვლელი მზის ცეცხლით ვთბები
და ვარსკვლავები სხეულზე მცვივა.

გალობი სათვის სულს სივრცე უნდა,
ვით ფრენისათვის ჰაერი – მტრედებს,
ფიქრნი ელტვიან მტრედების გუნდად
დავიწყების და არყოფნის ედემს.

გარეთ ქარი ქრის, ხმაურობს, ანგრევს,
ეს ქარი მოჰგავს პოეტ-პარტიზანს,
მეც მსურს ჯვარცმული ღმერთივით გავქრე,
ეს მუსიკაა ქრისტეს დარდისა.

ეს მუსიკაა დამპყრობი, სულ რომ
მოიცავს სიკვდილ-სიცოცხლის მანძილს,
მშვიდობა თქვენდა, ნეტართა სულნო,
ამაღლებულნო უფსკრულთა თვალწინ!

მშვიდობა მთებო, ცისკრის ბერებო,
სულს აღუდგინეთ მოთმენა მკვდრეთით,
ცა ჰაერია საგანსვენებო,
ნეტარი ბერის სულია მტრედი.

და ვიდრე უფლის სიტყვას და საქმეს, –
თავს მივცემ უფსკრულ დარდს და მოწყენას,
თუ არ მომიტანს ყორანი საჭმელს,
თუ პური მზეზე არ გამოცხვება,

თუ არ იქმნება ღვინო წყალისგან,
თუ ვერ უძლებენ ლურსმნებს თითები,
თუ ზეციდან არ ისმის ზარის ხმა,
თუ არ გალობენ მხრებზე ჩიტები,

ფრესკებზე უნდა ვემთხვიო ნებით
ჩემგან ჯვარცმული ძალის ბრძანებას,
თუ არ ჭირდება ცას ჩემი მხრები,
მიწას თუ ბრუნვა არ ეზარება,

თუ ვარსკვლავეთი უკიდუგანო
ერთი პატარა ფიქრია პეპლის,
ერთ გულში ერთად თუკი ზეგანობს
ტანჯული ღმერთის ძალა და მსხვერპლი!..

ადამიანთა მკვდრეთით აღდგომას
ელიან მთები, ჭაღარა მთები,
ამ სასაფლაო დღეთა დაფრთხობას,
ჯვრებად გარდაქმნას წამიერ გზების.

გარეთ ქარი ქრის, ხმაურობს, ანგრევს,
ეს ქარი მოჰგავს პოეტ-პარტიზანს,
ეს მუსიკაა წამებულთ დარდის,
ეს მუსიკაა ქრიტეს დარდისა.

ესაა წამი, შერისხულ მგოსნებს
ჯვარს რომ აკრავენ იესოს მარცხნივ,
თავის ვერდახსნას თავისით მოსდე ვს
ცის გამარჯვება და მიწის მარცხი.

როცა წარსული სულს ესაზღვრება
მისწრაფებაზე უფრო მაღალი,
და სურს სიჩუმე დაუსაბამო
სულს უცოდველად ცამდე აყვანილს!

გულჩათხრობილო, მაღალო მთებო,
მასწავლეთ ნატვრა განსვენებისა,
გზას თქვენით ვიკვლევ მაღალი ცისკენ
მარადისობის გახსენებისას...

მივმართავ ზეცას, ტანჯვაზე ვმსჯელობ,
დროა სიცოცხლის ბედთან კამათის,
მშვიდობით იყავ შენ, სულო ჩემო,
მშვიდობით იყავ, აწ და მარადის!..
მშვიდობით იყავ, აწ და მარადის!..

2015 წ.

იმერული ყვავ

გულნაზი ხარაიშვილი

ხავსი მოედო ოქროს სტრიქონებს,
პასუხმა ძალუმ დაიგვიანა.
შენგან არ ვითხოვ ქორონიკონებს,
რატომ სდუმ ვერა გამიგიარა.
შემოგელია ალბათ სათქმელი,
ანდა მაისის ხიბლმა შეგათრო...
ლექსო, სიჩუმით რომ ვერ გაძელი,
მიტომ გაგზავნე უმისამართოდ.

ლეო კიჟინაძე

ვარდობის თვეში სიკეთისთვის დაბადებულო,
ბედმა დაგვცვარა, სიკეთის ხიბლში.
პასუხს არ ვთვლიდი სავალდებულოდ,
რადგან ვიდექი ვარსკვლავის ჩრდილში.
დუმილი ალბათ გაქცევაა
ბრძოლის ველიდან,
„უკვდავებაა, შენი ლექსის
იდუმალი მზე.
ჩემს მისამართზე მიუთითე
„ერთგულების ხე“.

პასუხი

ერთგულების ხევ აღმზრდელო და
მასწავლებელო,
მაგ თავმდაბლობით აზვიადდდი,
ლექსშიც რაინდობ,
ცოდნის მდინარევ, სიკეთეა სავალდებულო,
ეკლებს დავიცვენ,
სიტყვებითაც ბევრჯერ დაგინდობ.
დიდი პოეტი ანა იყო,
ქუხდა მუხრანი,
მეკი მიწიდან ამოვდივარ,
„ბალახის ძალით”
სულის პოეტებს ჭიათურაში,
ჩემზე უთხარი.
არის უბრალო, პოეტი და ალალი ქალი.
დანდურივით ვარ, ძირს მიწაზე
დაბლა გართხმული,
მწვანე ხალიჩად მინდა დავრჩე,
თავს მაღლა არ ვწევ...
ბედისწერით ვარ განაწკეპლი,
დარდის ნათლული.
ტკივილებს ვფუთავ, მოვა დრო და
ყველაფერს დავწერ.

ლეო კვიჟინაძე

რაც ნავი წყალში, იგივეა
იმერ მხარეში,
ჩვენ ორივეს ხომ აქ გვაწრთობდა
ქარის თარეში.
თავდახრილობით ამაღლდება,
უკვდავი სული,
იებს ხომ მზისგან დაუხრიათ.
ციცქნა თვალები.
ყოჩივარდებსაც თავდახრიელბს,
ასკდებათ გული,
უმწეო მხრებით აუზიდავთ
თოვლის ზვავები.
ერთზე მსურს მხოლოდ მცირე კამათი,
არ ედარები მუხრანს და ანას,
ჩემი აზრით ხარ, მემკვიდრე მათი,
ჩვენი ხარ, როგორც ყაყაჩოს ყანა.

პასუხი

ყაყაჩოს ღერო სისხლის ვენაა,
დაიცვენს ფოთლებს, როს შეეხები.
შავი წერტილი გლოვის სცენაა
მართლაც მგავს ბედით, ისდა ვერხვები.
ზოგჯერ ფიქრია, სულის ღაღადი,
სინაზით ვგგავარ ყანის ყაყაჩოს.
ლექსის წერაში დღეო დაღამდი,
იქნებ ჭიდილში დარდი დავახრჩო.

ლეო კვიჟინაძე

ეს არ მოხდება,
ყვავიელბმა დაკარგოს ხიბლი,
ანდა ნექტარმა დაკარგოს სიტკბო..
აუცილებლად მოშორდება,
შენს ლექსებს ნისლი,
რადგან უხვად გაქვს:
სიყვარლი,
სიკეთე,
სითბო.
ბოდიშს მოგიხდი, თუკი რამე
ვერ მოგიძღვენი,
შენი დონის და შენი საკადრის
დამშვიდობება შეწყვეტაა,
და არ ძღვენი,
ამიტომ გეტყვი: გულო, ნახვამდის!

პასუხი

ბატონო ლეო, ყველაფერი უფლის ნებაა,
დამემშიდობე?.. კარგი ბატონო.
ლექსთან ჭიდილი მტრობა არაა,
ხელოვებაა,
როს იბადება ჩვილი ლექსი,
იმას ვპატრონობ.
არა მგონია ნაყინ ყვავილს,
პეწი შემორჩეს,
ღამის გრილ საბანს ცა იფარებს,
მზის დაისია...
ვინ იცის იქნებ დროზე ადრე,
მთვარე გამოჩნდეს,
გაზაფხული ხომ ჩემი თვეა,
ჰო, მაისია.
იქნებ ნისლებმაც აიკრიფოს გუდანაბადი,
და ცხრათვლა მზემ გამოშროს,
ცრემლის მიდამო...
თუკი მე მხრებზე, ბედის თოვა,
აღარ დამბარდის
იქნებ მაისო, ვარდობის თვევ,
ისევ გიწამო.

ხაბავშვო განყოფილება

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)

ჯადოსნური მხარე

მიყვარს ჩემი საამაყო
ჯადოსნური მხარე,
ცის ტატნობზე კაშკაშა მზე,
ღამით ბადრი მთვარე.

ზამთარ-ზაფხულ ტყის სიმწვანე,
მთა ცად აზიდული,
მოჩითული ველ-მინდვრები,
ფუნჯით მოხატული.

მობიბინე მწვანე მოლზე
შეუმშრალი ცვარი,
მთის კალთაზე შეფენილი
ბატკანი და ცხვარი.

გაზაფხულის ნაზი სიო,
ჭრელი ყვავილნარი,
ყვავილნარზე პეპლები და
მუშა ფუტკრის ჯარი.

მოჩუხჩუხე ნაკადული,
ცივი წყაროს წყალი,
მხარზე კოკაშემოდგმული
მორცხვი პატარძალი.

გუთნისდედის[1] „ოროველა“[2]
და ყევარი[3] ხარი,
ურმის კოფოს[4] დასკუპული
ბიჭი მომღიმარი.

თიბათვეს და მკათათვეში
ნამგალი და ცელი,
ვაჟკაცების შეძახილი –
„ჰერი, ბიჭო, ჰერი!“

კევრით[5] ლეწვა, კალოობა
პურისა და ქერის,
თავთავებში მოგოგმანე
მოჭუკჭუკე მწყერი.

აქაფებულ მთის მდინარის
ხმამაღალი ჩქერი[6],
მოხტუნავე კალმახები,
დაწინწკლული, ჭრელი.

მოლივლივე ზღვის ტალღები,
თოლიების ხმები,
დაისზე[7] ზღვის კიდეგანში
მზის ჩასვლით რომ ვტკბები.

ცის ლაჟვარდში ჩიტუნების
აღმა-დაღმა ფრენა,
შაშვისა და იადონის
გალობა და სტვენა.

მიყვარს ხილით სავსე ბაღი,
ქარვისფერი ზვარი,
საწნახელი, ქვევრებში კი –
ღვინო და მაჭარი.

დედა – აკვანს დაყრდნობილი,
საკინძგადახსნილი[8],
არტახებში[9] მოღუღუნე
პაწაწინა ჩვილი.

მიყვარს თოვლის სისპეტაკე
შობის წმინდა ღამეს,
ზარის რეკვის მოლოდინში,
როცა ვითვლი წამებს.

მე ქართული სუფრაც მიყვარს,
„მრავალჟამიერიც“,
სტუმრობაც და მასპინძლობაც
ჩემი თბილი ერის.

ყველა უფლის წყალობაა,
შემოქმედის, ერთის,
ყოვლისშემძლე და ძლიერის,
ზენა[10] მამა-ღმერთის.

---

1. **გუთნისდედა** – მიწის მუშა – ხვნის დროს გუთნის მომწესრიგებელი
2. **ოროველა** – გუთნისდედის და მეხრეების სიმღერა.
3. **ყევარი** – ორი უღელი ხარ-კამეჩი.
4. **კოფო** – ურმის ჭალებზე გარდიგარდმო ჩამოცმული ფიცარი.
5. **კევრი** – პურეულის სალეწი ძველისძველი იარაღი.
6. **ჩქერი** – მდინარის წრაფი დინება, კალაპოტის დაქანებულ და ქვიან ადგილას.
7. **დაისი** – მზის ჩასვლის დრო, საღამო ხანი.
8. **საკინძე** – პერანგის, კოფთის ან კაბის გულისპირის შესაკრავი.
9. **არტახი** – ქსოვილის გრძელი და ფართო ნაჭერი, რომლითაც ბავშვს აკვანში აკრავენ.
10. **ზენა** – ზეციური ძალა, ღმერთი.



ამპარტავანი[1] ცხენის თავგადასავალი

(იგავი)

წაბლა ცხენი ჭაობში ჩავარდნილიყო და იხრჩობოდა; საცოდავად ჭიხვინებდა და შველას ითხოვდა. შორიახლოს აქლემი ბალახობდა. ცხენის განწირული ჭიხვინი რომ შემოესმა, მიატოვა ძოვა და მისკენ გაეშურა.

– ეს რა მოგსვლია, ჩემო წაბლა, რა დღეში ჩავარდნილხარ? ახლავე გიშველი. – გაამხნევა აქლემმა. რის ვაი-ვაგლახით ამოათრია ცხენი და სამშვიდობოს გამოიყვანა.

– რადგან ასეთი სიკეთე მიყავი, სიკვდილამდე შენი ერთგული მეგობარი ვიქნებიო. – აღუთქვა მადლიერმა ცხენმა. ასე დამეგობრდნენ ცხენი და აქლემი.

გავიდა ხანი. ცხენს თანდათან დაავიწყდა აქლემის სიკეთე და გული აიყარა მასზე. განსაკუთრებით მისი კუზი აღიზიანებდა.

– ნეტავ რა მესაქმება ამ მახინჯ აქლემთან, არა სჯობს, ჩემსავით ლამაზი მეგობარი გავიჩინო და მის გვერდით ვიაროო? – ხშირად ეკითხებოდა თავის თავს ამპარტავანი ცხენი.

ცხენმა ათვალწუნებულ აქლემს დაცინვაც დაუწყო:

– რას ჰგავხარ, შე კუზიანო, შენს ადგილზე სირცხვილით გარეთ თავს ვერ გამოვყოფდი; შენს გვერდით გავლა მრცხვენია.

ცხენს ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია და ახლა ზებრას დაუმეგობრდა. მაგრამ თავისი ამპარტავნობა და ქედმაღლობა ვერც ახალ მეგობართან დამალა. ზებრასაც თავს ამეტებდა და სულ თავის მოხდენილობასა და ტანადობას უსვამდა ხაზს. ბოლოს მასაც დაცინვა დაუწყო:

– რა პატარა ხარ, დაბალი, ლამაზი კაბა რომ არ გეცვას, გროშადაც[2] არ ეღირებოდი.

ზებრამ ვერ აიტანა აბუჩად აგდება[3] და დროზე ჩამოიცილა ვაი-მეგობარი. დარჩა ამაყი ცხენი უმეგობროდ.

თვეს თვე მისდევდა, წელიწადს წელიწადი... ერთხელ ცხენი უდაბნოში მოხვდა. გავარვარებულ ქვიშაში ფეხები ეფლობოდა, სიარული აღარ შეეძლო, არც წყალი ჩანდა სადმე, არც საჭმელი. მშიერ-მწყურვალი ცხენი სულს ღაფავდა[4]. მოულოდნელად თვალი მოჰკრა აქლემების ქარავანს. მშვიდად და წყნარად მოაპობდნენ ცხელ ქვიშას „უდაბნოს ხომალდები“. მათ არც საკვების უქონლობა აწუხებდათ და არც უწყლოობა. კუზში ყველაფერი საკმარისად ჰქონდათ მომარაგებული. გარდა ამისა, საპალნეც[5] ბლომად წამოეკიდათ. ახლა კი ინატრა ცხენმა აქლემის სიმახინჯე და მისი საკუჭნაო – კუზი.

ქარავანში ცხენის ყოფილი მეგობარი აქლემიც ერია. მან მაშინვე იცნო ამაყი ცხენი. ისიც დაინახა, რომ საცოდავი ისევ დიდ გასაჭირში იყო ჩავარდნილი. აქლემი არც დაფიქრებულა, ისე

გამოეყო ქარავანს და მასთან მიირბინა. ყოფილ მეგობარს საჭმელი და წყალი უწილადა, მოასულიერა. ცხენმა შეხედა აქლემს და დანანებით უთხრა:

– შენ მეორედ გადამარჩინე სიკვდილს, მე კი რა უდიერად მოგექეცი, მაპატიე მეგობარო. ახლაღა მივხვდი, რომ თურმე ჭეშმარიტი მეგობრობისთვის გარეგნული სილამაზე სულაც არ ყოფილა აუცილებელი.

---

1. **ამპარტავანი** – გადაჭარბებულად ამაყი, ქედმაღალი.
2. **გროში** – ძალიან ცოტა ფული, ერთი თეთრი.
3. **აბუჩად აგდება** – ვისიმე დამცირება.
4. **სულს ღაფავდა** – სული ძლივს ედგა, სიკვდილის პირას იყო.
5. **საპალნე** – ტვირთი.

ანდაზები:

1. ყოყოჩმა უგვანო საქციელით ღირსება ფეხქვეშ მოსრისაო.

2. ჭეშმარიტი მეგობრის
პოვნა ძალზე ძნელია,
თუ იპოვნი მის დაკარგვას,
სჯობს დაკარგო ხელია.

ენის გასატეხები:

1. აქლემს ალერსით ალექსი ალაღებული ბალახით ალაღებდა.

2. გორაკიდან გოგროხათი
იაგორი დაგორდა,
იგორავა გორგალივით,
გუბურაში ჩაგორდა.

ლია ბეჟანიშვილი

*** * * * * * * * ***

ბავშვი ჩემი სუნთქვაა,
ბავშვი ჩემი გულია,
დედამიწას ცელქები
ასკინკილით უვლიან.
ბავშვი ძირის-ძირია,
მძლეთამძლე და დიადი,
თქვენი ფრთებით დავფრინავ
ლაშა, ლელა, ზვიადი.
დედის კალთა გფარავდეთ,
თბილი, როგორც სათონე,
მაგ პაწია გულებით
სამყაროს რომ ათრთოლებთ.

შესაიდუმლე

აბანავა თოჯინა,
გაურეცხა კაბები,
ჩაუკენჭა წვრილ-წვრილად,
თავის ძმებზე ამბები:
ვანომ თმა რომ მოწიწკნა,
დაუშალა კიკინა,
ლევანმა რომ იჩხუბა,
ნეკა თითი იტკინა.
ნიკუშამ რომ სკოლაში
არ წაიღო წიგნები,
აბა, ჩემო თოჯინა,
ხასიათზე ვიქნები?!

ტყუპები

ერთად გვიყვარს ჭამაც, ძილიც,
ცუდს რას ხედავთ ამაში?
ტყუპები ვართ, თვალბრიალა,
ერთად გვიყვარს თამაშიც.
მე ილიას მეძახიან,
ძამიკოს კი – ბაკურის,
მოგვწონს ცეკვა და სიმღერა,
ბებოს ჯოხის ბაკუნით.
ჩვენ დედიკოს გეფიცებით
და მამიკოს ულვაშებს,
გოგონებთან რომ ვთამაშობთ
არაფერს არ ვუშავებთ.

მკაცრი სალომე

დამალობანას ვთამაშობთ,
გაითვალეთ ბავშვებო,
ზურა, შენ ვერ ითამაშებ,
პაპიკოსთან ჩამშვებო.
გუშინ ბურთი რომ დავკარგეთ,
მიახარე მაშინვე,
ენას მიყოფ, თმებსა მწიწკნი,
კალიათი მაშინებ.
ძმაო, მინდა გამოსწორდე,
ბიჭი დადგე საქები,
კინკლაობას არ დაგიწყებ,
თუ აქედან გაქრები.

ჭაპა, ჭაპა

ჭუპა, ჭუპა, ჩემო ალე,
ავაქაფოთ საპონი,
თვალები არ აგეწვება,
თუ იქნები გამგონი.
ერთი თვალი მომიხუჭე,
აბა, ახლა მეორე,
ეს ილეთი, პაწაწინავ,
ხშირად გაიმეორე.

გაზაფხული

ზამთარს ძალა დაეკარგა,
მიიწურა უკვე,
ქარზუზუნა ბუზღუნ-ბუზღუნს
ნელა-ნელა უკლებს.
გუშინ ნუშმაც გამოიღო
საყვავილე კვირტი,
ბეღურები აჟივჟივდნენ,
შეფრთხიალდა გვრიტი.
ყვავილებით მოიჩითა
მინდორი და მდელო,
გაზაფხული დირიჟორობს
უნდა აგვამღეროს.

ლეღოფალას ლღეობა

დედოფალას დღეობა აქვს,
დაფუსფუსებს ნათია,
გრძელი შარფი მოუქსოვა,
ორი ღამე ათია.
ახლა ტორტსაც გამოუცხობს,
გოგო არის ყოჩაღი,
სტუმრად მურა ეყოლება,
მთელი თავის ოჯახით.

ჭუჭყიანი მამალი

ჭუჭყიანი დადიხარ,
დაიბანე მამალო.
გინდა მაინცდამაინც
ჩემი ხელით დაგბანო?!
მერე წუწუნს დაიწყებ –
რად მატკინე ყურიო,
დაბანისთვის მცალია,
ამდენ დედლებს ვუვლიო.
– არა, არა, მამალო,
არ დამიწყო ვედრება,
ისეთი დასვრილი ხარ,
გოჭიც ვერ შეგედრება.

ქომაგი

– ერთი რამე უნდა გთხოვო,
საყვარელო ხათუნა,
შარშან გაგამ რომ გაჩუქა
თვალბრიალა დათუნა,
რა იქნება ვეთამაშო,
დაგიბრუნებ საღამოს.
– არა, არა, თმასა ვვარცხნი,
მერე უნდა დავბანო.
გახსოვს, ადრეც რომ გათხოვე,
გაგიცივდა, დათუჩი,
ისიც მახსოვს, გაგას მუშტებს,
გოგო, ძლივს გადაურჩი.

საგაზაფხულო სიმღერა

გაზაფხული დამდგარა,
გამოხსენით დარაბა,
სახლში ვერ გაგვაჩერებთ,
თუნდაც ჯაჭვით დაგვაბათ.
რაღას ველით ბავშვებო,
მოვირბინოთ ველები,
მთები გულში ჩავიკრათ,
შემოვხვიოთ ხელები.
მერე მაღლა ავფრინდეთ,
გავაჩაღოთ მარულა,
ვარსკვლავები დავიპყროთ,
ცაში რომ დამალულან.

პროზა

რევაზ მიშველაძე

ოცდახუთი ტომეულის მესაკუთრევ,
საქართველო, მოკრძალებით შემოგცქერის...
ბედო, მწერალს კვლავ წიგნები დააკურთხე...
ღრუბლები კი მზის სხივებით გამოცერი.

გულნაზ ხარაიშვილი

აეროპორტის მოსაცდელში

აეროპორტის მოსაცდელში მშობლებს შემოჰყვა თექვსმეტიოდე წლის ქერათმიანი გოგო.

ლოდინისაგან გათანგულები მის დანახვაზე კინაღამ ფეხზე წამოვცვივდით.

ენით აუღწერელი სილამაზე რასაც ჰქვია, ის იყო სწორედ.

მოდიოდა ზოოპარკიდან გამოპარული შველი, მოდიოდა დედასადევნებული ფურირემი, მოდიოდა ამობურცულტუჩებიანი, თეთრ-ფაფარიანიკვიცი, მაღალი ყელით, სიმსუბუქისაგან ათამაშებული ფეხებით.

წამის შემდეგ ყველანი გამოვერკვიეთ და წელში გავსწორდით.

დარბაზს თვალი მოვავლე.

უკლებლივ ყველა მამაკაცის (და ქალთა დიდი უმრავლესობის) თვალი მას შესცქეროდა.

კონდიციონერის ქვეშ დასხდნენ და აბგა-ჩემოდნები წინ დაიწყვეს.

დედამ (სხვათაშორის დედასაც წუნს ვერ დასდებდი, მაგრამ ახლა დედა ვიღას ახდოვდა) მტკაველისხელა „ნოუთბუქი“ ამოიღო და დააცქერდა, მაგრამ თავი გადასწია და თვალები დახუჭა.

გოგო კი თავისივე სილამაზით დაღლილი გოგო, წამდაუწუმ ოხრავდა და საათს დასცქეროდა.

აშკარად ჩანდა, თუ რაიმე არ უყვარდა, ეს იყო ერთ ადგილას ჯდომა და ლოდინი. ერთი შეხედვით არავის ყურადღებას არ აქცევდა. მისთვის ახლა ყველაფერი მოსაწყენად და თავისმომაბეზრებლად სულერთი იყო.

ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა.

მაგრამ მე ვინ ოხერი ვარ, რომ აეროპორტის მოსაცდელში შემოფრენილი ამ თეთრი გედის განწყობილებას ჩემი უხეში ფიქროგონებით ვეთამაშები.

ლამაზ ქალთა შინაგანი სამყაროს წვდომა არც ისე ადვილია, ძვირფასო მკითხველო, როგორც ზოგიერთ გულუბრყვილო მწერალს ჰგონია. გოგომ კარგად იცოდა თავისი თავის ფასი. აშკარად გრძნობდა, რა ტვირთს ატარებდა თავისი სილამაზის გადამკიდე.

მძიმე და დამღლელი იყო ეს ტვრითი, მაგრამ სასიამოვნო.

კარგად იცოდა, სად იყო და რა ხდებოდა მის თავს.

უხილავი ბრძოლის, განგაშის, მოსაცდელში დანთებული უალო ხანძრის გამჩაღებელი რომ თვით იყო, ეს იგრძნობოდა მის თითოეულ ამოოხვრაში.

ამ ამოოხვრებას ჩვენც ვაყოლებდით გულს და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. ვინ უფრო დამაჯერებლად მივიღებდით გულგრილი მგზავრის სახეს. თითქოსდა არაფერი ხდებოდა. მერე რა, მოსაცდელში ლამაზი გოგო იჯდა.

წამოდგა, დედას რაღაც უთხრა და ირმის ნაბიჯებით, წელში ზღაპრულად გამართული, თავაწეული და დაუჯერებლად ლამაზი ცნობათა ბიუროს ჯიხურისკენ გაემართა.

ხომ ბავშვობიდან ახლახან გამოსული გახლდათ, მაგრამ მან უკვე იცოდა, რომ ერთ ადგილზე მისი დიდხანს გაუნძრევლად ჯდომა დანაშაული იყო მოსაცდელში მყოფი ყელა კაცის წინაშე.

ჯიხურში შეყუჟულ ქალს რაღაც ჰკითხა და უკან მობრუნდა.

ყველამ შვებით და მადლიერებით ამოვისუნთქეთ.

5.08.2014.

მაკე ძროხა და მაკა

კიწი ნარმანიას თორმეტი წლის გოგო მაკა დილაუთენია ძროხის ბღავილმა გააღვიძა. ფოსტლებში ფეხები წაყო, ოლაჭვათირე გაირბინა და პერანგისამარა გომურში შევიდა.

თეთრშუბლა უშობელს – ჩეჩეს, თავი სოხანეზე ჩამოედო და ქშინავდა.

მაკამ ქედზე და ზურგზე ხელი გადაუსვა.

ძროხას გუგები ისე გაფართოვებოდა, ლამაზი ბრიალა თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა,

დრუნჩზე თეთრი ქაფი ხაზად აჩნდა, ფიცარნაგზე გარდიგარდმო იწვა ოდნავ კუდაწეული.

მაკამ გომურის კარი გამოუგდო.

ბოსტნის გასწვრივ სამყურა მობღუჯა და ამოიიღლიავა.

და თვით დაუყარა, მაგრამ ჩეჩემ ბალახი არც დასუნა.

გაგანიერებული ნესტოებიდან თბილ ჰაერს საბერველივით უშვებდა.

მაკა გამოტრიალდა და დედა გააღვიძა.

– დე, მშობიარობს.

ორივენი თავზე დაადგნენ ჩეჩეს.

ცოტა ხანში ცოლმა შეანჯღრია კიწი.

– გესმის? ჩეჩეს დაეწყო.

– ნამდვილად?

თვალების ფშვნეტით წამოჯდა კიწი.

– ჰო.

– გაგზავნე მაკა ჯგვეჯვესთან.

– ამ რიბრაბოზე სად გოვუშვა ბაღანა. ეგება არ წამოყვეს არ იცი ჯგვეჯვეს ამბავი? – კარგი აბა, მე წავალ.

კიწიმ შარვალი ამოიცვა და შუკაზე დაეშვა.

დედა გომურში შებრუნდა.

მაკა ჯორკოზე იჯდა და ტიროდა.

– რა გატირებს გოგო შენ?

მაკამ ხმა არ გასცა.

– ამის მეტი საქმე არა გაქვს, გოგო შენ?

მაკამ ზლუქუნს მოუმატა.

– ადექი ახლავე, მე შენ გელაპარაკები, გადაიბანე ხელ-პირი და გაკვეთილები გადაიმეორე. ნუ გეშინია, მამაშენი ჯგვეჯვეს მოიყვანს და ჯგვეჯგვე უშველის ამას.

– ხომ ხედავ, დედა, როგორ ტირის.

– უჭირს და აბა რა ქნას. პირველი დედობაა ჩეჩესთვის. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. ადექი, ადექი!..

მაკა წამოდგა, ერთხელ კიდევ გადაუსვა ჩეჩეს რქა-შუბლზე ხელი და გავიდა.

მზე ალვის ხეების ქარსაცავს წელამდე წვდებოდა, როცა კიწიმ ვეტექიმი ჭიშკარს მოაყენა.

– სად ხართ აქამდე.

თანამეცხედრე გომურის კარებში იდგა.

– არ დამხვდა სახლში. გაბუნიებს წაუყვანიათ. ფეხით გამასწრეს. გავვარდი მერე გაბუნიებთან და ა, აქამდე ვერ მოხერხდა. იმშობიარა უკვე?

– არა, ნამეტანი უჭირს.

ჯგვეჯგვეს არაფერი უკითხავს, პირდაპირ გომურს მიადგა.

სამშობიარო ფაცი-ფუცი... „აბა, ჩეჩე, ნუ გეშინია და აბა ცოტა გაიჭირვე“... „აბა შენ იცი, ჩეჩე“, „ო ასე, კარგი ჩეჩე ხარ შენ“, „ცოტაც და ა, ესაა სულ“...

ორთქლადენილი, ულამაზესი ბოჩოლა, შვლის ნუკრის მსგავსი ხბო, დედის ფეხებთან იწვა და თვალებს ნაბავდა. მას ვერაფრით ვერ გაერკვია, რა მოხდა მის თავს, რატომ გამოიყვანეს თბილი, რბილი სამყოფლოდან ამ უხეშ სიცხადეში.

ჩეჩე ზმუილით შეჰყურებდა თავის ნაშიერს და შიშით გახედავდა ხოლმე ვინც მისკენ დაიხრებოდა.

უეცრად სიბნელეს მაკა გამოეყო.

ხბოსთან მიირბინა, დაიჩოქა და მისი ორთლოწოვანი თავკისერი მკერდზე მიიკრა.

– შენ კიდევ აქ ხარ გოგო? სკოლაში არ წახვედი, შენ არ მოუკვდი დედაშენს?!

შეიცხადა ოჯახის დიასახლისმა.

– გაანებე თავი – უთხრა კიწიმ ცოლს.

ჩეჩე მშვიდად იყო.

22.07.2014წ.

ესეები

გვანცა ხარაიშვილი

ვის უნდა საქართველოში?

რომ იკითხოთ, რაა სადღესასწაულო სუფრის მთავარი ელემენტი, სავარაუდოდ, დაგისახელებენ გოზინაყს, საცივს. ჩემს ოჯახში ყველაფერი სხვაგვარადაა. მაგიდის ცენტრალური ადგილი ნიგვზის წვენში ჩამხრჩვალ ინდაურს კი არა, ლეპტოპს უჭირავს. სკაიპში, ხშირად, რამდენიმე ქვეყნიდან გვერთვებიან: ძმა – ესპანეთი, ბიძა – რუსეთი, მეგობარი – გერმანია და ასე დაუსრულებლად. ყველაზე მეტად სუფრები ჩემი კომპიუტერის ვიდეოთვალს უნდა სძულდეს. ყოველ სადღეგრძელოზე მასთან ისეთ ჭახა-ჭუხს ავტეხავთ ხოლმე, რომ მინის ჭიქების შეჯახების ხმისგან ვერც გაარჩევ. წლებია, როცა ეკრანის ყურება მბეზრდება, თვალებს ვხუჭავ და წარმოვიდგენ, რომ ყველანი აქ არიან, ჩემთან, რომ ყველანი დავბრმავდით და ცქერის ნაცვლად ერთმანეთს ვეხუტებით, ვკოცნით. წლებია, ასე ხდება.

დღეს სკაიპით სიღრმისეულ ინტერვიუებს ვატარებ. თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმის ფარგლებში ემიგრანტების შერჩევითი გამოკითხვის ჩატარება გადავწყვიტე. ყველაზე ადვილი მათი პოვნა აღმოჩნდა, საქართველოში ხომ არ მოიძებნება ოჯახი, საზღვარგარეთ ვინმე რომ არ ჰყავდეს. ჩემი პირველი რესპონდენტი 43 წლის ქალია, თურქეთიდან:

– 6 თვეა რაც ჩამოვედი. ყველაზე რთული იმ ფაქტთან შეგუება აღმოჩნდა, რომ ფიზიკურად მუშაობა მიწევს. პროფესიით ექიმი ვარ. საბჭოთა საქართველოსა და მოსკოვში იმ დროისათვის საუკეთესო განათლება მივიღე, თუმცა ჩემი პროფესიით თავის რჩენა ბოლო დროს ძალიან გამიჭირდა. ქალაქის ახალ საავადმყოფოში მხოლოდ გამგებლის ნათესავ-მეგობრებისთვის მოიძებნა ადგილი. მათ უმეტესობას რომელიღაც უსახელო კოლეჯებში აქვთ გავლილი პრაქტიკები და ექიმის კი არა, ექთნის მოვალეობასაც ვერ ასრულებენ ისე, როგორც წესი და რიგია.

შემდეგი რესპონდენტი საბერძნეთიდან მერთვება. ასაკს არ მიმხელს. ჩემი ინფორმაციით, 50 წელს გადაცილებული არ უნდა იყოს, თუმცა ბევრად უფრო ხნიერს ჰგავს:

– 3 წელია მოხუცს ვუვლი. საქართველოში დიდი ოჯახი მყავს, მუშაობით კი არავინ მუშაობს. ქვეყნის დატოვება უკიდურესმა გაჭირვებამ მაიძულა. ჩემს გარდა ოჯახის ფიზიკური გადარჩენის პასუხისმგებლობა ვერავინ აიღო. ბებია, რომელსაც ვპატრონობ, ჭირვეულია და ისედაც აუტანელ შრომას ერთი-ორად მიმძიმებს. შვილებთან არაფერს ვიმჩნევ. როცა მირეკავენ ხალისიანი ხმით ვპასუხობ. მინდა ეგონოთ, რომ კარგად ვარ. ბავშვობაში მსახიობობაზე ვოცნებობდი. ახლაც კი, როდესაც ტელევიზორში რაიმე ფილმს აჩვენებენ და ბებია ყურებას მაცლის, ცრემლებს ვერ ვიკავებ. სცენა უკვე სიზმრებშიც აღარ მიცოცხლდება.

სკაიპის ზარს საფრანგეთში პასუხობს ჩემი ტოლი გოგონა, რომელიც სოციალური ქსელის საშუალებით გავიცანი:

– სკოლა რაიონში დავამთავრე. როცა თბილისში ჩავაბარე და სტუდენტი გავხდი, მთელი სამყარო ჩემი მეგონა, რეალობა კი მწარე აღმოჩნდა. შეუძლებელი თუ არა რთულია იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც არაფერი გაქვს გარანტირებული განათლების დონის თუ შენი უნარების მიუხედავად. სულ მაწვალებდა კითხვა, მაინც, სად და როდის იწყება ნამდვილი ცხოვრება? ერთადერთი კი რაც ზუსტად ვიცოდი ის იყო, რომ საქართველოში და სტუდენტობისას ნამდვილად არა. დავამთავრე თუ არა ნათესავების დახმარებით ევროპაში წამოვედი. მაღაზიაში კონსულტანტად მუშაობით და წუწუნით რა გამეგო აბა სამყაროზე, ადამიანებზე ან საკუთარ თავზე. საფრანგეთში მივხვდი, რომ ჩემი ჭეშმარიტი მოწოდება კულინარიაა. აქ დიდი შესაძლებლობები აქვთ მონდომებულ ადამიანებს. მეც ვსწავლობ. ზოგჯერ თბილისი უსაშველოდ მენატრება, მაგრამ მწარე მოგონებები მონატრებას მალე მავიწყებს ხოლმე.

რესპონდენტი, რომელიც მეგობრების დახმარებით აღმოვაჩინე, ინგლისიდან მირეკავს, მე კი ჩასაწერად ვემზადები:

– 12 წელზე მეტია ინგლისში საცხოვრებლად მთელი ოჯახი გადმოვედით. სწავლას, მე და ჩემმა ძმებმა მიწაზე მუშაობა ვამჯობინეთ, რაც საკმაოდ მომგებიანი საქმე აღმოჩნდა. ახლა უკვე დიდი ფერმა და საჯინიბო გვაქვს. ჩვენმა შვილებმა ქართული კარგად იციან, თუმცა არ ვიცი მანდ ჩამოსვლა ოდესმე მოუნდებათ თუ არა. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ სამშობლო იქაა, სადაც ვინმეს სჭირდები. მადლიერი კლიენტებისგან უამრავ სამადლობელ წერილს, სახელმწიფოსგან კი ყოველთვიურ დახმარებას ვიღებ, საქართველოში კი ჩემმა მშობლებმა არაერთხელ სცადეს მცირე ბიზნესის დაწყება, მაგრამ ვალების გარდა სანაცვლოდ არაფერი მიუღიათ. ნათესავები, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ ჩვენი ოჯახი (უფრო კი მაშინ, როცა დახმარება სჭირდებათ) ხშირად მეკითხებიან ხოლმე, ბედნიერი თუ ვარ. მე ვპასუხობ, რომ იმდენას ვშრომობ, რომ მაგაზე ფიქრის დრო არ მრჩება. მათ უკვირთ და ამ გაკვირვებას ტახტზე გვერდის შეცვლით გამოხატავენ.

ინტერვიუები ჩაწერილია. მობილურიდან ჩანაწერები კომპიუტერში გადამაქვს და ტრანსკრიპტის გაკეთებას შემდეგი დღისთვის ვდებ. ამ ისტორიების მოსმენით ისედაც ძალიან დავიღალე. ჩაის ვადულებ და ვფიქრობ, განსაკუთრებული რა უნდა დავწერო ანალიზში, როდესაც ყველაფერი ასე ცხადია. ამ დროს სახლში მეზობლის ბავშვი შემორბის და მეხვეწება „სამეფო კარის თამაშები“ ვაყურებინო. თხოვნის საპასუხოდ ვდგები, ლეპტოპთან ვსვამ და ვეკითხები, დიდი რომ გაიზრდება სად უნდა რომ იცხოვროს.

– იქ, სადაც „სამეფო კარის თამაშებს“ იღებენ.

მის პასუხზე მეცინება. სიმწრის სიცილით, რა თქმა უნდა. მახსენდება, რომ ჰოლივუდს უნდა გადაეღო ფილმი დავით აღმაშენებელზე. სცენარიც დაწერეს ტურაშვილმა და აკა მორჩილაძემ. მოლაპარაკებები რატომ არ შედგა ეგ აღარ მახსოვს. ეკრანზე ბრძოლის სცენებს ვაკვირდები და ვფიქრობ, დიდგორზეც არანაკლები ხოცვა-ჟლეტვა იქნებოდა მეთქი.

PARTLY-HELL JOB

ბავშვობიდან ყველამ ვიცით, რომ რაღაც უნდა გამოვიდეთ. სტუმრად მოსული ნათესავები ხომ ხშირად და დაჟინებით გვეკითხებიან, რა უნდა ვაკეთოთ როცა დიდები გავიზრდებით. ჩვენც ვპასუხობთ. ეს პასუხები თავიდან გულწრფელი და გულუბრყვილოა, ხოლო დროთა განმავლობაში სიტყვა „შრომა“ რთული ქვეტექსტებით იტვირთება.

როცა პირველად ტერმინი „გაუცხოებული შრომა“ მოვისმინე, მაშინ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენის ვიყავი შრომის ფენომენზე და ბევრი ვერაფერი გავიგე რა უნდოდა მარქსს. ახალი დაწყებული მქონდა სტუდენტობა და მეგონა, რომ ამქვეყნად სოციოლოგიის შესავალზე მეტი სირთულე კარგა ხანს არ შემხვდებოდა ცხოვრებაში. უნივერსიტეტში ადაპტაციის პირველი სირთულეები გადალახული მქონდა, როცა ძველი ნაცნობი შემხვდა და სამუშაო შემომთავაზა. აღვფრთოვანდი. ყოველთვის ვოცნებობდი სწავლის პარალელურად ნახევარი განაკვეთით დასაქმებაზე ზუსტად ისე, როგორც ეს თინეიჯერულ ფილმებში მქონდა ნანახი. წარმოვიდგინე, როგორ გავაჯაზებდი თანამშრომლებთან ერთად, როგორ მოვშხამავდით აუტანელ უფროსებს და როგორ შემიფრთხიალდებოდა გული ყოველი ხელფასის ჩარიცხვისას. დავთანხმდი-მეთქი და პირველი სამუშაო დღეც დადგა. ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში მიმავლინეს ასევე ერთ-ერთი საუკეთესო ღვინის დეგუსტაციაზე, მიმტანად. მისვლისთანავე მენეჯერმა გაგვაფრთხილა, რომ წვეთიც კი არ უნდა დაგვსხმოდა მაგიდაზე, სტუმრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. წარმოიდგინეთ, უზარმაზარ საბანკეტო დარბაზში სოკოებივით მომრავლებულ, თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდებთან შემოსკუპული უამრავი ადამიანი და მე, რომელსაც ღვინო დიდიდიდი საკუთარი თავისთვის თუ ჩამომისხამს სადილობისას. ძალიან შემეშინდა. საკუთარ თავს ვუთხარი, ეს საღამო თუ მშვიდობიანად ჩაივლის ჩათვალე, რომ მომავალში ნებისმიერ პრობლემას გადალახავ მეთქი. ალბათ უფრო იღბლის და ნაკლებად ჩემი მოხერხებულობის წყალობით,

არც სტუმრები შემოიღებავს წითლად და არც მაგიდა გადამიყირავებია. ასე ვეზიარე ანაზღაურებად შრომას და ისიც კი არ მახსოვს პირველი ოცი ლარი რაში დავხარჯე...

მერე? მერე იყო კიდევ უარესი დღეებიც. ბევრ რამეს ვურევდი, მაგრამ ის მაწყნარებდა, რომ ეს დროებითი იყო მხოლოდ, დროებითია დღესაც. ამას არ დავჯერდი და ნახევარი წელი მოსწავლეები მყავდა ინგლისურში და ერთადერთი, რაც იმ დროიდან კარგად მახსენდება მათი საახალწლოდ ნაჩუქარი სუნამო და ის ფაქტია, რომ ინგლისური ჯერ კიდევ მიყვარს.

დამეთანხმებით ალბათ, რომ ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია. მალევე მივხვდი, რომ ჩემს ირგვლივ უამრავი ადამიანი იყო უარეს დღეში. მაგალითისთვის ჩემი მეგობარიც იკმარებს, რომელიც ძალიან პოპულარულ სუპერმარკეტში კონსულტანტია. კონსულტანტი ოფიციალურად, თორე ასევე ითავსებს დამლაგებლის, ტუალეტების მხეხავის და სხვათა და სხვათა ფუნქციებს. როცა ღამის ცვლიდან ბრუნდება ხოლმე დაღლილ-დაქანცული, ადამიანობადაკარგული, საკუთარ თავს მონას ეძახის. ეს სტატუსი შემთხვევით არ აურჩევია, მართლა თვლის რომ მისი მდგომარეობა ზუსტად ამას იმსახურებს. ამაზე გამახსენდა, ინტერნეტში ბუკოვსკის წერილს წავაწყდი, სადაც ჯერ საკუთარ თავზე ამბობს, 50 წელი მონასავით ვმუშაობდი მანამ, სანამ მწერალი გავხდებოდიო და შემდეგ ასეთ რამეს წერს: “მონობა არასდროს გაუქმებულა, უფრო ფართო მასშტაბი მიიღო იმისათვის, რომ ყველა ფერი და რასა მოეცვა.” მოდი და ნუ დაეთანხმები მაშინ, როცა გამოსაცდელი ვადით აგიყვანენ სამსახურში, ვირივით გამუშავებენ და არაფერს გიხდიან რამდენიმე კვირის, ან თვის განმავლობაში, არ გასვენებენ დასვენების დღეებში, არ გაძლევენ დამსახურებულ შვებულებას, გიხდიან მათხოვრულ ხელფასს, გამცირებენ ისეთი ვალდებულებებით, რომლებიც შენს პოზიციას არ შეესაბამება, შესვენების დროს ჰყოფენ სამზე და მიდი მერე თუ მაგარი ხარ და მართლა ნუ გასვენდები.

კარლ მარქსი წერს, რომ ადამიანს თავისივე შრომის შედეგი უპირისპირდება გარეგანი მტრული ძალების სახით და მალევე ის გაუცხოებას იწყებს შრომის პროცესისგან, საზოგადოებისგან და საკუთარი თავისგანაც კი. ვერ გეტყვით რომ სრულიად მესმის ამ სიტყვების არსი, მაგრამ შემიძლია აღვწერო რას ვგრძნობ ხოლმე თორმეტსაათიანი, ხშირად, რუტინული სამუშაო დღის შემდეგ – საკუთარი თავისგან, მეგობრებისგან, ჩემივე სურვილებისა და მიზნებისგან ძალიან შორს ვარ. იქნებ მარქსიც ამას გულისხმობს გაუცხოებაში. არ ვიცი.

მშვენივრად მესმის, რომ დიდი ფუფუნებაა ამქვეყნად აკეთებდე იმას, რაც გიყვარს და ამაში ფულს გიხდიდნენ, მაგრამ არც ისე დიდი ფუფუნება მგონია აკეთებდე იმას, რაც მინიმუმ არ გეზიზღება მაინც. მე ამ მხრივ გამიმართლა და ვიმედოვნებ, მომავალში კიდევ უფრო გამიმართლებს, თუმცა ვერც მურაკამის სიტყვებს ვიგდებ თავიდან: "ყოველთვის როცა კი ფულის შოვნის გზებზე ფიქრობ, საკუთარი თავის რაღაც ნაწილს ჰკარგავ."

ნუნუ გოგოლიძე
საჩხერის 1-ლი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

აკაკის იუბილე ბოდბეში

/ 175-100 /

მეცნერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის (პრეზიდენტი გულნაზი ხარაიშვილი) მიწვევითა და საჩხერის კულტურის ცენტრის ხელშეწყობით (დირექტორი კახა სამყურაშვილი) ბოდის მონასტრის სპეციალურად მომზადებულ ადგილზე (ამისთვის დიდი მადლობა ძვირფას ქალბატონ ანა ბოდბელს) საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის 1-ლმა საჯარო სკოლამ (დირექტორი ირმა კაპანაძე) გამართა დიდი მგოსნის საიუბილეო საღამო.

საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, საჩხერის კულტურის სახლის დირექტორმა კახა სამყურაშვილმა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიამ ბოდბეში ჩაატარა აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

განსაკუთრებულად მომხიბვლელი იყო იმ ლამაზ დღეს კახეთი. აქა-იქ თეთრი ქუნქულა, ფაფუკი ღრუბელი ამშვენებდა კახეთის ფირუზისფერ ცას, ზეციური საქართველოდან გვიმზერდა ლომივით ფაფარაშლილი სულმნათი მგოსანი. თითქოს აკაკის მეფური ლანდი ვიდოდა ბოდბის კრიალა ცაზე და წმიდა ნინოს ამ საყვარელ, მადლცხებულ მიწას გასაოცარი შუქით აცისკროვნებდა.საჩხერელი სტუმრებიც (დიდი და პატარა) და მასპინძლებიც გასაოცარ ამაღლებას ვგრძნობდით.

ზოგჯერ სიტყვები მათლაც უძლურია ემოციის გამოსახატავად და მაინც, თუ ვინმეს სიტყვა დაიტევს უდიდეს გრძნობას, ექნება უძლიერესი ემოციური დატვირთვა, ეს, პირველ რიგში, აკაკის სიტყვაზე ითქმის, როგორც თავის გმირზე ბრძანა მგოსანმა;

„ქართულ ლექსის გაგონებამ იოანე ააჩქარა,

ტანში რაღაც უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა“ – აი, ამ უცნაურმა ჟრუანტელმა შეგვიპყრო ჩვენც – მონაწილენიცა და მსმენელნიც – მრავლად რომ იყვნენ იმ დღეს ჩამობრძანებულნი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, თითქოს მათთვის დაიწერაო;

„ჩონგური საქართველოა ,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,.
სხვადასხვა კუთხის შვილები,
ოდელ-დელა, დელაო!“

ამ სიმებს შეხაროდა დიდი მგოსანი, ამ სიმების სიძლიერეს ნატრობდა, არც სიმდიდრე უნდოდა, არც სხვა რამ დიდება, არანაირი საპირადო!

„ რას მიქვიან პირადი მწუხარება,
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!“

ამ გენიალურმა მგოსანმა კაცობრიობას ადამიანობის ისეთი ფორმულა დაუტოვა, რომლის მსგავსი, ალბათ, მთელ ქვეყანაზე არავის უთქვამს:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე- მთელი ქვეყანა“

და ხმიანობდა მგოსნის სულშიჩამწვდომი სიტყვები, უკვდავ ჰანგებად დაღვრილი. „გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა, როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის მისწრაფებისა, ოღონდ იმისთანა სიყვარულით, რომელსაც სარჩულად გულწრფელობა უდევს.“ ეს გულიანობა, როგორც აკაკის უყვარდა თქმა, მთელ საიუბილეო საღამოს ბოლომდე გასდევდა და ცოცხლდებოდნენ აკაკის დაუვიწყარი გმირები; ქართველი დედა, თორნიკე ერისთავი თუ პატარა კახი, ცოტნე თუ ნათელა, ბაში-აჩუკი თუ აბდუშაჰილი, პირიმზისა თუ პირიმთვარისა, ბიძინა ჩოლოყაშვილი თუ ზაალ ერისთავი, ნინო, ქეთევან თუ თვით თამარი“.

ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საჩხერის მგოსნის სახელობის სკოლის მოსწავლეები; ნინო იაშვილი, სანდრო გუდაძე, ლალი კვიჟინაძე, მარიამ გიორგაძე, გოჩა ცაბაძე ,ნინო ტყავაძე, მიშიკო და ნიკა კაპანაძეები, გიორგი აბჟანდაძე, ნიკა, შოთა და ზვიად სამყურაშვილები,ზუკა ცერცვაძე, ავთო ჩაჩანიძე, ანა სოფრომაძე, ანა კუსიანი, ნანა გულორდავა, სალომე ფარქოსაძე...

ბოდბის ამ უწმიდესი მიწიდან კიდით-კიდემდე ისმოდა აკაკის ხმა. მთელმა საქარველომ უნდა მიაპყროს ამ ხმას ყური, რამეთუ არც მტკვრის დუდუნში, არც არაგვის მჩქეფარებაში არ არის საქართველოს ხმა, საქართველოს ხმა არის – აკაკი.’’(ილია).

საჩხერელ მოსწავლეებს შეუერთდნენ და დიდი მგოსნის ნათელ სულს შეეხმიანენ საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები, პოეტები, მწერლები:

რეზო ადამია, კახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე....

ერისკაცები არასოდეს კვდებინ , ისინი მხოლოდ იბადებიან, მარად უკვდავ, თანამდევ სულებად რჩებიან, დიახ,

„არ არის მკვდარი, ვინც მოკვდა
და ხალხს შესწირა დღენია,
მკვდრად იგი თქმულა,
ვისაც აქ სახელი არ დარჩენია!“

და ბოლოს აკადემიის პრეზიდენტმა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა მადლობა გადაუხადა საიუბილეო საღამოს მონაწილეებს, მასწავლებლებს, ბავშვებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს, საჩხერის კულტურის ცენტრის დირექტორს კახა სამყურაშვილს, საღამოს ორგანიზატორს ნუნუ გოგოლიძეს. ყველა მონაწილეს გადასცა საჩუქრები: წიგნები,ჟურნალები, ხატები,

„ასე ლამაზად ჩატარებული საიუბილეო საღამო მთელმა საქართველომ უნდა ნახოს-აღნიშნა თავის გამოსვლაში აკადემიის პრეზიდენტმა,-დიდი ერისკაცების დაფასება თვით შენი ერის სიყვარულის გამოხატვაა და პატივისცემა, ამიტომ ამ საღამომ უფრო ფართო მასშტაბები უნდა შეიძინოს, რათა ერი გაძლიერდეს, ის ცეცხლი, რომელიც აქ დაანთეთ აკაკის მშობლიური კუთხიდან ილიას საფიცარ კახეთში, მეტად უნდა აბრიალდეს დანარჩენ საქარველოშიც. საიუბილეო წელს თქვენ იყავით პირველი მერცხლები იმ დიდ საშვილიშვილო საქმეში, რასაც ერისკაცის დაფასება და სათანადო პატივის მიგება ჰქვია, თქვენი მიმდევრები უნდა გაჩნდნენ საქართველოს ყველა რეგიონში, სკოლებში''

გვიანობამდე ისმოდა აკაკის ჰანგები, მისი უკვდავი სტრიქონები.

ჩვენ კი ჩვენდათავად კიდევ ერთხელ გადავუხდით მადლობას ქალბატონ გულნაზს ასე რომ გაალამაზა ჩვენი საიუბილეო საღამო და მოგვცა საშუალება, სიცოცხლეში განუშორებელი საქართველოს სულიერი მამები -ილია და აკაკი-ასე ცოცხლად ერთად წარმოგვეჩინა.

მთელი გზა ხმიანდებოდა თითქოს საგანგებოდ ამ დღისთვის დაწერილი სტრიქონები;

ეს დღეც ღამდება, ეს დღეც ღამდება ,
ეს დღეც ფრთებს კეცავს და მიილია,
და ისევ მათი გამოცხადება
ისევ აკაკი , ვაჟა, ილია!

კურთხეული იყოს მათი გამოცხადება! დიდება მათ ნეტარ აჩრდილებს!

სერგი ლომაძე

ფერადი აპრილი - ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლაში

მოგეხსენებათ, მაისში ჩვენი აკადემიის ერთპიროვნული ლიდერის – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის სამოცდახუთი წლის იუბილეა და რაოდენ მნიშვნელოვანი იქნება წლევანდელი მაისის დიდი თვე აკადემიისათვის, უკვე ნათელია. რაც შეეხება აპრილს, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც წინასაიუბილეო დღეები. თუმცა პირადად ქალბატონი გულნაზი შესაშური თავმდაბლობით გამოირჩევა, ჩვენ, – აკადემიის წევრები, მაინც, უკვე აქედანვე, ვემზადებით იუბილესათვის, დღეობისათვის.

როგორღაც ისე გამოვიდა, ისე დაემთხვა, რომ სწორედ ამ რანგში შეიძლება განხილულ იქნას ჩვენი სტუმრობა ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლაში, – იქ, პირველკლასელებმა, ძირითადად, სწორედ ქალბატონი გულნაზის ლექსებზე (სულ ზეპირად ამბობდნენ) ააგეს შესანიშნავი პოეტური საღამო-შეხვედრა, რისთვისაც გულმხურვალე მადლობა ეკუთვნის ამავე სკოლის დირექტორს მაია კვინიკაძეს, ასევე – კლასის პედაგოგს, ციური ხუჭუას, და ამ სკოლაში ჩვენს ერთ-ერთ მიმწვევს – მრავალმხრივ ხელოვან ჟანა ხვიჩიას (იგი, თავის დროზე, დედა თამარის უშუალო ჩარევით, ერთხმად გავაწევრიანეთ ჩვენს აკადემიაში).

ყოველთვის ქედს ვიხრი იმ ადამიანების წინაშე, რომელნიც პატარა ბავშვებთან,, დაწყებით კლასებში, წარმატებით მუშაობენ, რამეთუ ვიცი, რა უძნელესი საქმეა ეს (საერთოდაც უძნელესია შრომა პედაგოგისა). აი, მაგალითად, ყველგან ჩამიტარებია შემოქმედებითი საღამო აკადემიისა და ჯგუფ „ზღვარის“ წევრებთან ერთად, ვთქვათ, მოხუცთა თავშესაფრებშიც ვიყავით, ფიზიკურ თუ სულიერ ავადმყოფებთანაც, პატიმრებთანაც გვქონია შეხვედრები (თუნდაც აი, ახლახანს გვქონდა დაუვიწყარი ღონისძიება რუსთავის საპატიმროში)... მაგრამ მივხვდი, რომ ყველაზე რთული, ხელოვნების საღამოს გამართვა, მაინც პატარა ბავშვებთან არის (ყველაზე საინტერესო კი, მაინც, უნივერსიტეტებში ჩატარებული საღამოებია), ხოლო ასჯერ უფრო რთული ისაა, როცა თვით პატარა ბავშვებს ატარებინებ ღონისძიებას მაღალი დონისას, როცა თემის, არსი, მეტად მაღლაა აწეული, და აი, ასეთი ღონისძიება დაგვახვედრა, აპრილის იმ დღეს, ქალბატონმა მაიამ და ქალბატონმა ციურიმ. ეს იყო, უპირველესად, სიურპრიზი ჩვენი გულნაზისათვის, ხოლო შემდეგ – თითოეული ჩვენთაგანისათვის. აგერ, სტუმრების სია: ქალბატონები – გულნაზ ხარაიშვილი, ლამზირა შეყილაძე, ნაირა მარშანია; ბატონები – ჯუმბერ ხრაიშვილი, ლევან ბაბუხადია; სტუმრებში ვიყავით ჩვენც – მე და კახა ბაციკაძე, როგორც ჯგუფ „ზღვარის“ წევრები. ჩვენ, „ზღვარელებს“, აღიარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული წელიწადი გვაქვს ახლა: მთელს

ჯგუფს გადმოგვცეს, სწორედ წელს, პატივდების სიგელიც, და ორი ლიტერატურული პრიზიც – გრანელის სახელობის პრემია (მწერალთა კავშირმა), გალაკტიონის სახელობის აკადემიური სიგელ-დიპლომი (ჯუმბერ ლეჟავასეულმა აკადემიამ), და გასაკვირი არაა რომ გახარებულნი, ამაღლებული განწყობით ვიყავით მისულნი ღონისძიების სანახავად, მითუმეტეს, ეს ამ სკოლაში ჩვენი არაპირველი სტუმრობა იყო და წინასწარ ვიცოდით – აქ მაღალ დონეზე აკეთებენ ყოველთვის, თუმცა ნანახმა მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

მაშ ასე წლევანდელი – ორიათასთხუთმეტი (2015) წელი, გაზაფხული, აპრილის დასაწყისი. საშუალო სიდიდის ოთახი, სადაც შეკრებილია ბავშვები მოსწავლეები) და მშობლები. აქვეა სკოლის დირექტორიცა და კლასის პედაგოგიც. ჩვენ, როგროც საპატიო სტუმრები, პირველ რიგში ვზივართ, ვუყურებთ „სცენას“, რომელზედაც წარმოდგენილნი არიან მაართლაც გაზაფხულივით ლამაზი პატარა გოგობიჭები. მათ თვითონ მიყავთ წარმოდგენა, უფროსების დახმარების გარეშე, და ქალბატონი გულნაზის ლექსების გვარიან რაოდენობას სულ ზეპირად ამბობენ, ფაქტიურად, უშეცდომოდ!

განწყობა – საზეიმო. სევდა მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში მოეძალა მსმენელს, ვთქვათ, ეს მაშინ იყო, როცა გაჟღერდა სახელები ქალბატონი გულნაზისათვის უძვირფასესი რამოდენიმე ადამიანისა, რომელნიც, სამწუხაროდ, ამქვეყნად აღარ არიან. მაგალითად, როცა ითქვა დღეს უკვე ლეგენდად ქცეული, ადრეწასული პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის სახელი... აჩვენეს კინოფირიც, საინტერესო კადრებით... წარმოიდგინეთ, აქ საუბარი მიდის საღამოს მომწყობებზე, ბავშვებზე, რომელნიც, ალბათ, შვიდი წლისანიც კი არ არიან, თერთმეტ-თორმეტ წლიან სასწავლებელში მხოლოდ და მხოლოდ პირველ კლასს წარმოადგენენ მაგრამ უკვე მართავენ ისეთ სერიოზულ ღონისძიებას, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს ქალბატონი გულნაზის დიდი იუბილეს თითქმის გენერალურ რეპეტიციად!

განსაცვიფრებელია!..

ღონისძიების ბოლოს სტუმრები სიტყვით გამოვედით. ყველამ პატარ-პატარა შეფასება გავაკეთეთ დიდი საღამოსი, გარდა ქალბატონი გულნაზისა, რომელმაც შედარებით ვრცლად ისაუბრა. მისი აღტაცება იმდენად აშკარა იყო, რომ ერთად გადავწვიტეთ – ეს ბავშვები უნდა იყონ სცენაზე მთავარი იუბილეს დღესაც – მაისის თვეში.

ახლა ცოტა გადავუხვევ თემას:

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ აკადემიას, გულნაზ ხარაიშვილთან ერთად, ყოველთვის ამშვენებდა სხვა უზენაესი ავტორიტეტებიც, მაგალითად – დიდი მოგზაური-ფილოსოფოსი ჯუმბერ ლეჟავა, გენიალური პოეტი მეუფე თადეოზი და ზოგი სხვანი. ეჰ, რა ცუდია, რომ ბატონი ჯუმბერი და ჩვენი დიდებული თადეოზი დღეს ცოცხალნი აღარ არიან! (მეუფეს, სულ ბოლოს, მისკენ მიმავალი ქრისტე, ღვთისმშობელი და სხვა მნათი პიროვნებანი უხილავს თურმე, და, ფეხზე წამომაყენეთო, – უთხოვია იქ მყოფთათვის, – ფეხზე მდგომი უნდა შევეგებო იესოს, მარიამს და

ამდენ წმინდანსო! იგი საწოლიდან მართლაც წამოუყენებიათ, ფიზიკურად ავადმყოფი, დაუძლურებული, მაგრამ სულით მაღალი, გაუტეხელ, და ასე ფეხზემდგომი, მარადგამარჯვებული გადასულა ზეციურ საქართველოში ეს პოეტი, მეუფე-ბერი და წმინდანი!) ამ დაუვიწყარ პერსონებს, როგორღაც, ჩანაცვლება სჭირდება, რომ არ გაჭირდეს დიდი აკადემიური საქმე, ღვაწლი აკადემიისა, და ჯუმბერ ლეჟავას ადგილი, ჩვენს შორის, ახლა თითქოს დაიჭირა მისმა სეხნიამ – ჯუმბერ ხარაიშვილმა. აი, მეუფის ადგილი კი ჯერაც ცარიელია...

დავუბრუნდეთ თემას: ქალბატონები – გულნაზი, ლამზირა და ნაირა ფერად-ფერადი, ანთებული ყვავილებით გამოაცილეს პატარებმა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბატონი ლევან ბაბუხადიას, ანუ, უბრალოდ, ჩვენი ძვირფასი ლეოს იმ ღონისძიებაზე ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რამეთუ იგია, სწორედ, საბავშვო ჟურნალ „ხატის“ რედაქტორი და ყოველწამს შეიძლება დასჭირდეს ნიჭიერ ბავშვს ამ ჟურნალთან ურთიერთობა. ჩვენს ჟურნალ „ათინათთან“ ერთად, „ხატიც“ დიდ საქმეს აკეთებს, ოღონდაც, „ათინათი“ თუ ყველა სეგმენტზეა გათვლილი და ძალიან მრავალმხრივია (ისევე, როგროც ჯუმბერ ლეჟავას მრავალპროფილიანი საერთაშორისო აცადემია), „ხატი“, მაინც, მხოლოდ ბავშვებზეა ორიენტირებული...

მოკლედ, ოცდამეთექვსმეტე სკოლამ გაუხუნარი ზეიმი გვაჩუქა.

დიდი მადლობა მათ აპრილის იმ ფერადი დღისათვის!..

თბილისი 2015 წელი.
აპრილი

თბილისელი ან ხაჩხერელი ვუნდერკინდები ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის ხაღამოზე

გაზაფხულის თბილი დღე.

პერსპექტიული სასწავლებელი, რომლის რექტორ-ხელმძღვანელი ბრძანდება ბატონი ვახტანგ ფერაძე.

ქალაქ თბილისში (თბილისქალაქში), აქ, ამ სასწავლებელში, გაიმართა ლეგენდარული პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის საღამო. თავიდან ღონისძიება ჩაფიქრებული იყო, როგროც გაგრძელება ბეჟანის უფროსი დის – პოეტ გულნაზ ხარაიშვილის დიდი იუბილისა, თუმცა თავად ქალბატომა გულნაზიმ არჩია, რომ ძმის ხსოვნისათვის, მისი სახელისათვის მიენიჭებინა უპირატესობა.

საღამოს თვითონ ქალბატონი გულნაზი უძღვებოდა. მე და კახა ბაციკაძე, მას, ასე ვთქვათ, ასისტენტობას ვუწევდით, თუ – თანაშემწის როლით შემოვიფარგლებოდით.

ღონისძიების წინარე დღეებში მე და ქალბატონი გულნაზი ბევრს ვკამათობდით იმის შესახებ, ღირდა თუ არა, რომ თითქმის მთელი ღონისძიება ბავშვებს გაეფორმებინათ. მე, როგორც აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანი, და ყველაზე უფრო დაუმორჩილებელი ხელქვეითი, რომელიც ხშირად ცდილობს და ახდენს კიდეც ლიდერებზე, ხელმძღვანელებზე ზეგავლენას, ახლაც ჩემს აზრს ვიცავდი, რომ პატარები ასეთ საპასუხისმგებლო საღამოს ვერ გაართმევენ თავს.არადა, შევცდი. ჩვენი აკადემიის პრეზიდენტის გამოცდილება-ალღომ ამჯერადაც გაჭრა, – ბავშვებმა ბრწყინვალე ღონისძიება შემოგვთავაზეს.

საღამოზე, ძირითადად, მოზარდთა ორი ჯგუფი იყო დაკავებული: ოცდამეთექსვმეტე საჯარო სკოლის პირველი კლასი, რომლის პედაგოგიც გახლავთ ციური ხუჭუა, ხოლო ხელოვანი ჟანა ხვიჩია არის ის ადამიანი, ვინც ამ სკოლასთან დაგვაკავშირა (დირექტორია ქალბატონი მაია კვინიკაძე); და საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სტუდია „სხივები“, პედაგოგ გაგა გულიაშვილის თაოსნობით მათ ახლდათ, ასევე, მუსიკოსი (პედაგოგი) მანანა აბრამიშვილი. რაც შეეხება თვითონ ბავშვებს, საჩხერეს წარმოადგენდა მარიამ ზამბახიძე, ნინი კომლაძე, ნინი ჩაბრაძე, ნინი იაკობიძე, გიორგი ჭიღლაძე, თამარ კუჭაშვილი, მარიამ ვაჭრიძე, ზუკა ფხალაძე, ლიზი სამხარაძე, ნიკა ბარბაქაძე, ნატალი გელბახიანი, ელენე ნადირაძე, ანა ხვედილაძე და თაკო ლომიძე; რაც შეეხება თბილისური სკოლის ბავშვების სიას, ეს სია ახლა აქ არა მაქვს, თუმცა რედაქტორმა შესაძლოა დაამატოს ამ წერილს, თუნდაც – პოსტ სკრიპტუმის სახით.

მაშ – ბავშვები;

საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სტუდია „სხივების“ ხელმძღვანელები: გაგა გულიაშვილი და პედაგოგი მანანა აბრამიშვილი მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად.

მაშ – თბილისი და საჩხერე, ანუ – აღმოსავლეთი და დასავლეთი (ორივე ამ მხარის კოლორიტი ძალუმად არის ჩემს სულში, ჩემს ბუნებაში);

და ისე გამოვიდა, რომ საქართველოს ორივე ძირითადმა ნაწილმა აიღო თავის თავზე ბეჟანის იუბილე, და სრულიად საქართველო ალაპარაკდა ამ ბავშვების ენით.

საღამოს დაწყებამდე სასწავლებლის დიდი, ნათელი ფანჯრებიდან შემომზირალ მთებს გავცქეროდი, და პოეზიაზე ფიქრმა გამიტაცა.

ვფიქრობდი ჩემს პოემებზე, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი გმირებია მარადგამოუცნობი თეთრი ბაღი, პოეტი-მოგზაური ოლირი, და ერთი მოქანდაკე, ისიც, ოლირივით, პოეტურ-ფილოსოფიურად განწყობილი, რომელსაც ასევე სურს წვდომა მიუწვდომლის. დიახ, ესაა ერთ-ერთი უმთავრესი პერსონაჟები...

და ამ მიუწვდომლობა-შეუცნობლობაში უკვე თვით ჩაკარგული, ვფიქრობდი:

– შეძლებენ კი ბავშვები, მიუწვდომლის, ანუ ხელოვნების წვდომას, დაუფლებას, პოეტთა საკადრისად აჟღერებას?

– შეძლებენ კი ისინი ღირსეული პატივი მიაგონ უდროოდ წასული დიდი ადამიანის სახელს?

და ჩემი პოეზიიდან, ფიქრი, ბეჟანის პოეზიაზე გადადიოდა.

მალე საღამოც დაიწყო, რომლის გახსნის პატივი მე მერგო წილად, ხოლო წამყვანის ფუნქცია ქალბატონ გულნაზს გადავაბარე.

ოცდამეთექვსმეტე სკოლის პირველკლასელებს, რომელნიც თერთმეტ-თორმეტიწლიანი განათლების ყველაზე პატარა საფეხურზე დგანან, უკვე მეოთხედ შევყურებდი, და მეოთხედაც მოახერხეს, მათ, ჩემი გაოცება, თავიანთი ვეებერთელა ტალანტითა და ლექსთა სულ ზეპირად დამახსოვრების საოცარი უნარით. მთელი პროგრამა, როგორც ყოველთვის, ზეპირად ჩაარაკ-

რაკეს. დიახ, უნდა ამაყობდეს ეს სკოლა ამ კლასით, ამ კლასის სუპერმასწავლებლითა და მთელი სკოლის სუპერდირექტორით!

სანამ საჩხერის წარმომადგენლებზე გადავიდოდნენ, იქამდე, სხვადასხვა ადამიანებმა, ბეჟანის პიროვნება-ხელოვნება უკეთ გააცნეს დარბაზში მსხდომთ. მე იმ დღეს სათანადო ფორმაში ვერ ვიყავი, და ამიტომ ქალბატონ გულნაზისა და კახას აეღოთ, მთლიანად, საღამოს სადაავეები ხელში. ბეჟანის ლექსებით აივსო სივრცე დარბაზისა. ქალბატონი გულნაზი საღამოს ორგანიზებაში,გაძღოლა-ლიდერობაში ყოველთვის უბადლოა. იმ დღეს,როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა გვანცა ხარაიშვილიც...

რაც შეეხება კახას, იგი წელს – ორიათასთხუთმეტი წლის გაზაფხულზე, „ზღვარის“ პარალელურად მეორე ჯგუფის – „კახას ბენდის“ („კახას ჯგუფის”) ლიდერიც გახდა, და როგორც ერთბაშად ორი შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელს, კიდეც მოეთხოვება დიდი ენერგია. სხვათა შორის, „კახას ბენდი“ ჩემი იდეით შეიქმნა, „ზღვარის“ მიერ, და ზღვარისავე ბაზაზე. ამ ახალ ჯგუფს ასევე მე შევურჩიე სახელი, ჯერ-ჯერობით ამ სახით, ამ სახელით არსებობს. როდესაც „ზღვარი“ საბოლოოდ დაკავდება მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურით, „კახას ბენდი“ მკვეთრად გააქტიურდება მუსიკალური თვალსაზრისით.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას.

ქალბატონ გულნაზისა და ჩვენს კახას არც ღონისძიების სხვა წევრები ჩამორჩნენ პოეტური ცეცხლის დანთებაში.

და მერე დადგა საჩხერელი სტუმრების ჯერიც.

პირდაპირ ვიტყვი: რაც ოცდამეთექსვმეტე სკოლის ბავშვებმა პოეზიით შეძლეს, იგივე შეძლეს საჩხერელმა სტუმრებმა მუსიკით. „სხივები“ მართლაც ანათებდნენ. ეს პატარები, უბრწყინვალესნი, გამაოგნებელ ზემოქმედებას ახდენდნენ მნახველებზე.

ბრავო! ბრავისიმო!

და დარბაზშიც, საერთოდ, მთელი საღმოს განმავლობაში არ წყდებოდა აპლოდისმენტები.

ხოლო ჩვენმა გულნაზიმ საღამოს მონაწილენი მადლობის ბარათებითა და ქების სიგელებით დააჯილდოვა, – დააჯილდოვა ისინი დიდი ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის სახელით...

მერე ქალბატონმა გულნაზიმ რამდენჯერმე მკითხა: აბა, გაამართლეს თუ არა ბავშვებმაო, ვიყავი თუ არა მართალიო?

დიახ, ის მართალი აღმოჩნდა და მე დავმარცხდი.

დიახ, გულნაზ ხარაიშვილი, როგორც ორგანიზატორი და მოღვაწე, ჩემზე ბევრად მეტია! თუმცა მე ზოგი სხვაც მჯობნის.

განა ჩემზე უკეთესი მოღვაწე არაა, ვთქვათ, ნიკო ხერკელაძეც, რომელმაც ყველანი გაგვაერთიანა საინტერესო პოეტურ-ისტორიული ტელეგადაცემის ირგვლივ?!

და განა ჩემზე უკეთესი, ბევრად უკეთესი პიროვნება და მოღვაწე არ იყო, ვთქვათ, ჯუმბერ ლეჟავა, ან გენიალური მეუფე თადეოზი?!

და განა არ მჯობდა, ვთქვათ, მამაჩემი – დიდი ფილოსოფოსი ამირან ლომაძე?! ბევრად, ბევრად მჯობდა!..

დიახ, როგორც პიროვნებას, მე საკმაოდ ბევრი აღმემატება, ბევრი მამარცხებს თავისი დიდსულოვნებით, დიდმოღვაწეობით.

მაგრამ როგორც პოეტი...

ო, ეს სხვა საქმეა!..

მიმაჩნია, რომ როგორც პოეტები, ხელოვანები, მე და კახა, სწორედ მე და კახა ვართ ლიდერები (საღამოზეც ვთქვი, რომ კახას გენიოსად მივიჩნევ).

ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ასე მიმაჩნია, რომ ჩვენ ახლაც სუპერპროფესიონალები ვართ.

ხოლო სხვამ თუნდაც თქვას სხვა რამ (მე ყველას აზრს პატივს ვცემ).

თორემ ის, რომ ორგანიზაციის თვალსაზრისით, ღონისძიებასთან მიმართებაში, ასი პროცენტით მართალი აღმოჩნდა, ჩემთან კამათში, პრეზიდენტი და რედაქტორი ჩვენი აკადემიური სივრცისა, ეს გასაკვირი არაა. ქალბატონი გულნაზი, (ისევე, როგორც ქალბატონი მაყვალა გონაშვილი), ორგანიზატორ-მოღვაწედ არის დაბადებული და ასეთ ადმიანებთან კამათი მართლაც არა ხამს.

დიახ, ღონისძიებამ ზუსტად ისე ბრწყინვალედ ჩაიარა, როგორც ამას წინასწარმეტყველებდა ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი.

პოეზიაა, პოეტურობაა უმთავრესი.

და პოეზიაში,

და პოეტურ მუსიკაში,

მართლაც რომ შესანიშნავად იყვნენ მომზადებულნი როგორც თბილისელი, ასევე საჩხერელი ბავშვები!..

თბილისი. 2015 წელი.

ხაშური, როგორც დიდქართველური კულტურის ქალაქი

ორიათასცხრა-ორიათასთხუთმეტი წლების შუალედში ხაშურში ათჯერ მაინც ჩავედით ჩვენ – ჯგუფი „ზღვარი“, შემოქმედებითად, ოღონდაც მეათედ – აკადემიასთან ერთად, ამიტომაც ამ ბოლო შემოქმედებით ექპედიციას აკადემიის ხელმძღვანელი – ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი მეთაურობდა. იქ კი გველოდნენ იქაური ბიბლიოთეკის თანამშრომლები, დირექტორ მაკა დიდებულიძის ხელმძღვანელობით. მაშასადამე, ორი სხვადასხვა მხრიდან ორი ქალბატონის

ხაშურის ცენტრალურ
ბიბლიოთეკაში - „ანთოლოგიის“
მესამე ტომის პრეზენტაცია



ვაჟა შუბითიძე
ხაშურის საკრებულოს
თავმჯდომარე

ინიციატივით შედგა ის დაუვიწყარი დღე. თანაც, რაღა თქმა უნდა, მაკა დიდებულიძემ სხვა მასპინძელნიც დაგვახვედრა, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა გარდა. ნელ-ნელა ყველაფერს მოგახსენებთ შეძლებისდაგვარად.

თბილისიდან დილით გავედით ორი მოზრდილი მანქანით. ჩვენ ბატონი ონერ ძაძუას ავტომანქანაში ვისხედით – მე და კახა ბაციკაძე, აქვე იყვნენ: ლამზირა შეყილაძე, ანი ყალიჩავა და ბატონი სიმონ ზაქარაია, რომელიც ამდენ პოეტ-მწერლებში ერთადედრთი იცავდა მეცნიერების ინტერესებს (ბატონი ონერიც მეცნიერი გახლავთ, მაგრამ ის საჭესთან იჯდა და კამათში არ ერეოდა). პარალელურად, სიმონი გვართობდა თავისი გასაოცარი ენამოსწრებულობით, მახვილი იუმორით.

მეორე მანქანის საჭესთან პოეტი ნუგზარ ხუციშვილი იჯდა, ხოლო ქალბატონი გულნაზი, ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი და ზოგნი სხვანი ასევე იყვნენ იქ. სიმართლე გითხრათ, ახლა არ მახსოვს ზუსტად, თუ რა შემადგენლობით ჩავედით ხაშურში. შეიძლება იყო მესამე ავტომობილიც, მაგრამ კონცენტრირებული ვიყავი იქაურ შემოქმედებით საღამოზე, და სხვას ვერაფერს ვაკვირდებოდი. ერთი კი მაინც დანამდვილებით ვიცი, რომ ნაირა მარშანიაც ჩვენთან იყო, რომელმაც ახლახანს გამოსცა საინტერესო წიგნი საკუთარი ლექსებითა და ნახატებით.

მე, ნელ-ნელა, მემატიანე გავხდი ჩვენი აკადემიისა (და არა მარტო აკადემიის). აღვწერ ხოლმე ჩემს სტატიებში მთელ რიგ მოვლენებს. ვწერ ბევრს, და ეს სტატიები კარგი სავარჯიშოა ჩემივე პოეზია-პროზისათვის. თანაც, ამათ დოკუმენტური ღირებულებაც გააჩნიათ, – ამ ჩემს სტატია-წერილებს.

ამ საუკუნის ათიან წლებში გააქტიურდნენ პერიფერიები და კულტურულ სივრცეში ფეხი აუწყვეს მეფე-ქალაქს თბილისს. ხაშური, როგორც ჩანს, ერთ-ერთ ყველაზე უფრო გააქტიურებულ პერიფერიად გვევლინება. იქ გახშირდა როგორც ადგილობრივი ღონისძიებები, ასევე მნიშვნელოვანი სტუმრების მიღება.

და აი, თანამედროვე ქართული კულტურის ყველაზე უფრო წარმატებული ქალბატონი – გულნაზ ხარაიშვილი (ასეა: პოეტ მაყვალა გონაშვილთან ერთად, სწორედ იგი ჩანს, დღეს, ყველაზე მეტად, ლიტერატურულ-კლტურულ-საზოგადოებრივ-სამოღვაწეო სივრცეში) აკადემიასთან ერთად მოიწვიეს, მისივე იუბილიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ.

ხოლო ოცდარვა მაისს შეხვედრაც შედგა. უნდა ვთქვა, რომ მაკა დიდებულიძეს დიდებულად მოუმზადებია ყველაფერი. რად ღირს თუნდაც ის მოზარდები, სკოლის მოწაფენი, რომელნიც დაგვახვედრა: რუსუდან ხაჩიძე, თემო ცაცანაშვილი, ნიკა ქიმერიძე, ლიკა ლაბაძე, ნინო რომაშვილი, რომელთაც არა მარტო აკადემიის წევრთა ლექსები წაიკითხეს, არამედ, ზოგიერთმა, თავისი შემოქმედებაც კი გააცნო მსმენელს და დარბაზს ოვაციაც აართვა.

იქ დაგვხვდნენ ადგილობრივი პოეტებიც – ხათუნა ჩიტაძე, დალი ხაჩიძე, მანანა ღონღაძე, და უმაღლესი დონის პროფესიონალი პოეტი მიხეილ (მიშა) თუმანიშვილი, რომელიც ჩემი და კახას მეგობარია. ეს ხცისელ-ხაშურელი კაცი იმ დღესაც ბრწყინავდა თავისი უნიკალური პოეზიით. სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, რომ მამამისიც – ნუგზარ თუმანიშვილიც დაესწრო ღონისძიებას. ბატონ ნუგზარს დიდი ხანია ვიცნობთ, ჩვენ, „ზღვარელებს“, მის ოჯახში, მის ჭერქვეშ, დაუვიწყარი დღეები გაგვიტარებია, ხცისში სუფრის გარშემო...

საღამო მე და ქალბატონ მაკას მიგვყავდა. პრეზიდიუმში ვისხედით – მე, კახა, მიშა და ორი ქალბატონი: მანანა დანგაძე, შესანისნავი ლექსების ავტორი, კოლორიტული ფიგურა, როგორც ხაშურის, ასევე თბილისისათვის; და გულნაზ ხარაიშვილი, რომლის მშობელ ქალაქობაში თბილისი და რუსთავი ეცილება ერთმანეთს – ორივე ქალაქს ეამაყება ეს ადამიანი, სინამდვილეში კი იგი დასავლეთიდან გახლავთ, საჩხერიდან, სოფელ ხვანიდან, ასე რომ, ამ შემთხვევაში გამართლდა ხაშურელთა ნათქვამი ჩვენდამი, თბილისელებისადმი, – კი, პირველობა თქვენია, მაგრამ ერთიც გახსოვდეთ: თუკი ვინმე დიადი გყავდათ (და ბევრიც გყავდათ ასეთი), მათი უმეტესობა სულ პროვინციებიდან ჩამოგვიდათო. მართალი გვითხრეს, რამეთუ ერთ ეპიზოდში მე და კახამ თავს უფლება მივეცით ცოტა წაგვეტრაბახა ჩვენი თბილისელობით, დედაქალაქის, მთავარქალაქის აბსოლუტური უპირატესობით, და ჯერ მიშამ, შემდეგ კი ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ვაჟა შუბითიძემ მოგვაგონეს ის, რაც სრული ჭეშმარიტებაა. მერე ჩვენ ვეღარც გენიალური ბარათაშვილის მოგონებამ გვიშველა (რომელიც თბილისელი იყო სწორედ),

და ვერც სხვა პოლემიკურმა საბუთმა. ამ კამათს ღიმილით, დარბაისლური ღიმილით ადევნებდა თვალს ქალბატონი გულნაზი. აენთო დარბაზიც. საღამომ მეტი აზარტი, მეტი ინტერესი შეიძინა, და რომ არა ჩემი ლექსი („მწვერვალი“), რომ არა კახას უზადო პოეტურ-მუსიკალური ხელოვნება, იმ დღეს „ზღვარელთა“ საქმე წასული იქნებოდა. დიახ, მე დამავიწყდა, რომ სადაც ჩადიხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო, და კაცი, რომელიც ოც წელზე მეტხანს ვარ პროფესიონალი პოეტი, კინაღამ დავისაჯე. არა, ეს ხუმრობით, თორემ ხაშურში, ამ დიდებულ ქალაქში, სტუმარს ვინ გაწყენინებს! მითუმეტეს, თუ გვერდით კახასნაირი ფენომენი გახლავს! მან ორი სიმღერა შეასრლა აკუსტიკური, შავი გიტარის თანხლებით – „ჩემი ქალღმერთი“ და „დროის მკვლელი“, რომელმაც საერთოდ დაასრულა საღამო და ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აფეთქდა დარბაზი. ეს არცაა გასაკვირი: მას შემდეგ, რაც ჩემი იდეით, ჯგუფ „ზღვარის“ წევრებმა, წელს, „კახას ბენდი“ ჩამოვაყალიბეთ – ახალი მუსიკალური ჯგუფი, როკზე ორიენტირებული, რომელიც „ზღვარის“ პარალელურად იარსებებს (სხვადასხვა დროს ორივე ამ შემოქმეებით გაერთიანებას მე შევურჩიე სახელი), ჩვენი კახა იძულებულია სულ ფორმის პიკზე იყოს, რამეთუ იგი უკვე რამდენიმე დაჯგუფების ლიდერია.

თუმცა კახას დამასრულებელ გამოსვლამდე ჩვენ, წამყვანებმა, აკადემიის ყველა წევრს (ვინც კი ხაშურს სტუმრობდა) სიტყვით გამოსვლის საშუალება მივეცით, და ყოველმა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა შეხვედრა-საღამოს წარმატებაში. რაც შეეხება აკადემიის პრეზიდენტს – ქალბატონი გულნაზი რამდენჯერმე წარსდგა მსმენელთა წინაშე, თქვა სიტყვა, წაიკითხა ლექსები. მისმა ლირიკულმა ქმნილებამ, „წიგის საჩივარმა“, იქაც, ხაშურშიც, დიდი დაფიქრება, ინტერესი, აპლოდისმენტები გამოიწვია...

მაშ, შედგა ღირსეული საღამო, რომელშიაც როგორც მასპინძლებმა, ასევე სტუმრებმა ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი სიტყვანი და სიტყვა-ლექსნი. მოკლედ, ეს იყო, რაღაც, გულების გაცვლის მსგავსი, და თუკი ქალბატონი გულნაზისნაირი, ბატონი ჯუმბერისნაირი ადამიანები დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აერთიანებენ თავიანთ პიროვნებაში და ისედაც სულ ქვეყნის ერთობის, სრულქმნილების ცდაში არიან, ჩვენ, ყველამ ერთად, იმ დღეს, თბილის-ხაშური გავაერთიანეთ, შევუზავეთ ერთმანეთს. მაშ, მოხდა დიდი ქართლური და ქართული დიფუზია – შერწყმა, შეერთება, ხოლო ერთობა ყოველთვის იმარჯვებს.

აქვე, ქალბატონი მაკას გარდა, უნდა აღვნიშნო ბიბლიოთეკის სხვა თანამშრომლებიც: ლეილა მარგველაშვილი, მანანა არაჯანოვი, ელენე (ლენა) ლაბაძე, ნუნუ გიორგაძე, ნონა ტეფნაძე, სოფო ივანიშვილი, ნინა კახიშვილი, ნინა კიკნაძე, ლია გოგოლაძე, მანანა მჭედლიძე, ხათუნა ლომიძე, მავრა გელაშვიილი, ქეთინო მეტრეველი, თამარ შუბითიძე, ნათია გოგოლაძე, მაკა ლეჟავა, ლარისა ახალკაცი, ლონდა მუჯიკნელი, ნინა შილაკაძე, ირინა ლომიძე,მარინა აკოფოვი, ხათუნა ლაცაბიძე, ნინო ქიმერიძე, ნუნუ წიქარიშვილი, მზია ყიფშიძე, ლალი ბარბაქაძე – აი ის სია, რომელიც მე გადმომცეს და მითხრეს, რომ ყველა ეს ადამიანი იღებდა მონაწილეობას ღონისძიების მომზადებაში, ხოლო მოწაფეები ბიბლიოთეკას, თუ არ ვცდები, მეოთხე, მეექვსე, მეცხრე და კიდევ სხვა სკოლებმა დაახმარეს. ხო, საქმეში ჩართული იყო, აქტიურად, პირველი საჯარო სკოლაც, ხოლო მისი დირექტორი მორის დანდურიშვილი, თუ არა ვცდები, ესწრებოდა კიდეც ამ ღონისძიებას.

ხაშურიდან ჩვენი ჟურნალის – „ათინათის“ რედაქციამ საკმაოდ გრძელი სია მიიღო: ჩამონათვალი იმ ადამიანებისა, რომელნიც სულით და გულით ჩაებნენ ამ შეხვედრის წარმატებულად დაგვირგვინებაში. ამიტომაც არა ხამს რომელიმა მათგანის გამოტოვება, და მეც უნდა გავაგრძელო ეს ჩამონათვალი უკვე აქ – ჩემს სტატიაში.

მაშ ასე: ხაშურის საკრებულოს წევრებმა – ირინა გელაშვილმა, ლაშა მესხმა, მამუკა წიქარიშვილმა, უკვე ნახსენები ბატონი ვაჟა შუბითიძის მეთაურობით, თავიანთი მკვეთრი წვლილი დაიდეს ღონისძიების წარმატებით დაგვირგვინების საქმეში. მათ მხარი აუბეს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმაც – ნინო ღონღაძემ, მარიამ პიფიაშვილმა, ნინო ლომთაძემ, ასევე – საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ – ინეზა ელისაშვილმა...

რა ვიცი... რომელი ერთი ჩამოვთვალო...

გულნაზ ხარაიშვილი, მანანა დანგაძე

ვახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე

მარინე დიდებულიძე

მიხეილ თუმანიშვილი

სერგი ლომაძე და ვახა ბაციკაძე

როგორც ჩანს, მართლაც უზარმაზარმა გუნდმა იშრომა, და შედეგიც ღირსეული მოიმკეს. ძალიან მიხარია, რომ ასეთი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ხაშურელები ამ საქმეს: თითქოს მთელი ქალაქი ჩაება შეხვედრის ორგანიზებაში.

როდესაც შეხვედრის შემოქმედებითი ნაწილი დასრულდა, იქვე, ბიბლიოთეკის პირველ სართულზე (ღონისძიება ზედა სართულზე მიმდინარეობდა, დარბაზში), სუფრა დაგვხვდა გაწყობილი, შესანიშნავი სუფრა. ლხინის დროს ისევ გამოჩნდა ლიდერული ბუნება ხარაიშვილთა გვარისა – მე და კახამ თამადობა დავუთმეთ, ხოლო ბატონმა ჯუმბერ ხარაიშვილმა სუფრის გაძღოლა ითავა და ბოლომდე შესანიშნავად გაართვა თავი ამ საკმაოდ რთულ მისიას; რაც შეეხება ქლბატონ გულნაზ ხარაიშვილს, იგი ახლაც, ქეიფის დროსაც კი, ყოველივეს აკონტროლებდა, ცდილობდა წამითაც არ გაეშვა ხელიდან მოვლენათა სადავეები, და ახერხებდა კიდეც ამას.

საერთოდ ამ დიდი ქალბატონით ყოველთვის აღტაცებული დავრჩები.

ყოველთვის აღტაცებული დავრჩები, ასევე, ხაშურით, რომელსაც, ზუსტად აღარც მახსოვს, თუ რამდენჯერ ვეწვიე შემოქმედებითად (სხვადასხვა გაერთიანებებთან ერთად).

მე თითქმის მთელი საქართველო მაქვს მოვლილი, რომელ კუთხეში აღარ ვყოფილვარ, დაყოველი მათგანით აღტაცებული დავრჩენილვარ. ქართლ-კახეთი, გურია, მესხეთი ჩემზე მაინც განსაკუთრებლ შთაბეჭდილებას ახდენს. ამბობენ, რუსთველი მესხი იყოო, მეფე-პოემა რომ დაგვიტოვა, სისხლისა და ცრემლის კოსმიური სიმბოლიკით, ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონის დაუვიწყარი სახისმეტყველებით... შოთაზე მეტის თქმა მინდა, ვერ ვამბობ!...

ხოლო დასავლეთმა რაღა დააშავა:

იმერეთ გურია-სამეგრელომ, გალასა და გრანელის დაუვიწყარი პოეტური დუეტით. ესენი თითქმის ტოლ-სწორი გენიოსებია, მაგრამ როცა მათ ერთმანეთს ვადარებ, უფრო მეტი რამ უთქმელი მრჩება, ვიდრე – ნათქვამი, და ის უთქმელი ათასჯერ მირჩევნია ნათქვამს, ათასჯერ!..

ხოლო მთელს დანარჩენს საქართველოს რაც შეეხება... საოცრებაა ისიც...

მოკლედ, ქართლ-კახეთია გული ჩვენი ქვეყნისა (თუმცა გურიაც აქედან მოდის – გულიაო, გული!)

სიტყვა ქართველი ქართლოსიდან იღებს სათავეს, ქართლიდან იღებს სათავეს და –

ქართლშია, სწორედ, ჩვენი დედაქალაქი თბილისი;

ქართლშია, სწორედ, ხაშურიც – ჩვენი პატარა მარგალიტი, რომელმაც ასეთი დაუვიწყარი საღამო გვაჩუქა მთელს ჩვენს აკადემიას (ყოველ შემთხვევაში, აკადემიის დიდ ნაწილს მაინც)...

დიახ ხაშურმა თქვა, კიდევ ერთხელ თქვა, თავისი დიდებული სიტყვა!...

P.S. სინამდვილეში ჩვენ ხაშურში იმიტომ მიგვიწვიეს, რომ იქ შემდგარიყო, ძირითადად, აკადემიის ანთოლოგიის განხილვა, მაგრამ ამ ამბავმა, საბოლოოდ, ცეცხლოვანი პოეტურ შემოქმედებითი საღამოს სახე მიიღო, მრავალ სხვადასხვა თემას შევეხეთ, (თუმცა ცენტრში ყოველთვის პოეზია იყო მოქცელი), და ეს ყოველივე, ეს პოლემიკაცა და პოეტურ-მუსიკალური ცეცხლიც, რომელიც სწრაფადვე დაენთო იქ, გაცილებით უფრო საინტერესო, უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა, ვიდრე ერთი კონკრეტული (თუნდაც-შესანიშნავი) ნაშრომის განხილვა.

ვთვლი, რომ ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი სტუმრობა ხაშურში...

სტატია-რეცენზია
ნუგზარ ხუციშვილის წიგნის შესახებ

მე ისევ ჩემს აზრზე ვრჩები ამ საკითხში, – არიან პოეტი პროფესიონალები, მთელს თავიანთ პიროვნებას, მთელს ცხოვრებას რომ სწირავენ პოეზიას, და არიან პოეტი-მოყვარულები, ანუ ადამიანები, რომელთაც, უბრალოდ, უყვართ პოეზია, წერენ ლექსებს, მოყვარულთაც ძალუძთ მშვენიერების შექმნა, ისინიც ემსახურებიან მაღალ იდეებს (არის, თითქოს, მესამე გზაც, ამ ორიდან გამომდინარე, ამათ შეზრდილი: ნახევრად-პროფესიონალები).

ადამიანმა ერთი შედევრიც რომ დაწეროს, შეიძლება უკვდავად დარჩეს მისი სახელი, რადგანაც იმ ხუთი ცენტრალური ხაზიდან, რომელიც, ძირითადში, წარმართავს კაცობრიობას (ხე-

ლოვნება და რელიგია, მეცნიერება, პოლიტიკა, სპორტი), ხელოვნება არის პირველი, (ერთ-ერთი პირველთაგანი მაინც), ამიტომ, როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული ხელოვანები გონებრივად ემსახურებიან მაღალ მატერიებს, უფრო სწორად – მაღალ იდეებს, უმაღლეს იდეებს.

რეზო მიშველაძე გადასცემს მწერალთა კავშირის მოწმობას ნუგზარ ხუციშვილს.

ზოგადად, პოეტის კლასიკური სახე ასეთია, ადრეული ეპოქებიდან დღემდე: მზერა – ყველზე უფრო დასამახსოვრებელი, ხშირად – არამიწიერი შუქით სავსე (სულაც – ზეცისკენ მიმართული), მთელი სახიერება – მაღალი ფიქრით მოსილი, თვალები, შუბლი და თავის მთელი მოყვანილობა მიუთითებს მის განსაკუთრებულ გონიერებაზე, მაგრამ – არმაიწიერებაზეც ლაპარაკობს მზერა პოეტთა, ამიტომაც პროფესიონალი პოეტები ალღოს იშვიათად უღებენ ცხოვრებას და სხვადასხვა სივრცეში დაკარგულნი (ხანდახან პოლიტიკაშიც, პარტიებშიაც დაიკარგებიან ხოლმე), არაიშვიათად რჩებიან რეალობისაგან, ცხოვრებისაგან გარიყულნი...

მაგრამ ნუგზარ ხუციშვილლი მოყვარული პოეტია და იგი არ გაურბის რეალობას. აკი ამბობს კიდეც, – მე არასოდეს მიცდია რეალობისგან გაქცევაო. ის თავმდაბალი, მოკრძალებული კაცია, პოეზიაში პროფესიონალებს თავს არ ადარებს, მაგრამ საოცრად კი უყვარს ქართული ლექსი და წერს, წერს უბრალოდ, თუმცაღა არაერთი მისი სტრიქონი, სტროფი დაგამახსოვრდებათ, შეიძლება ცხოვრების ბოლომდეც კი გაგყვეთ. ბატონი ნუგზარი თავს არა დებს ნამდვილ და დიდ პოეტობაზე, თუმცა ნაღდად საინტერესო პიროვნებაა, მართლაც პოეტური პიროვნება.

აი, ორიათასთორმეტ წელს, დედაქალაქში, მისსმა წიგნმაც იხილა დღის სინათლე: ბროშურაა ასეთი სათაურით – „ქალიაყვანა“ (ლეგენდა სიყვარულის მთაზე),ხოლო წელს (2015), როცა თვითონ ბატონმა ნუგზარმა და ჩვენი აკადემიის რაღაც ნაწილმა ამ წიგნის პატარა, მაგრამ ლამაზი, უჩვეულო განხილვა მოვაწყვეთ პირდაპირ რესტორან „ათინათში“ (დიახ, ეს რესტორანი სეხნიაა, მოსახელეა ჩვენი „ლურჯი“ ჟურნალისა), იქვე გადაწყდა, რომ სტატია-რეცენზია დამეწერა ნუგზარ ხუციშვილის წიგნის შესახებ.

ამ წიგნში დაახლოებით ოთხი ათეული ლექსია, ხოლო ეს ლექსები, თავიანთი მინაწერებითურთ, ფაქტიურად, გადმოსცემენ თვითონ ავტორს, მის ბუნებასა და ცხოვრებას. ეს ლექსთა კრებული თითქოს მოზაიკური პოემა უფროა, ანუ რაღაც ერთი მთლიანობა (საერთოდ პოემაში, ანუ ეპიკურ სივრცეში, ხომ ლირიკაც ჩანს! აი, ლირიკაში კი ნაკლებად ჩანს ეპიკურობა). ბატონი ნუგზარი, ისევე, როგორც ზოგი სხვა ნამდვილი პოეტი, ცდილობს ლირიკულ-ეპიკური ხაზების თავისებურ გაერთიანებას.

წიგნში ყველაზე საინტერესოდ სწორედ ავტობიოგრაფიული ლექსები მეჩვენა – „ცხრა აპ-

რილი", „ცხრა აპრილი, ცხრა წლის გოგონა", „ომი სამაჩაბლოში," „დრო გადიოდა..." ეს ქმნილებები წარმოადგენენ მთელს ვრცელ (მოზაიკურ) ტილოს საქართველოს ბოლო დროების სისხლიანი ისტორიისასაც, ხოლო ბატონი ნუგზარი, (რომელმაც, თუმცა მოკრძალებული კაცია, საკუთარი თავის ფასი მაინც კარგად იცის), ლექსებად მოგვითხრობს, თუ როგორ მოუწია მონაწილეობის მიღება ყველა საკვანძო, სანიშანსვეტო მოვლენაში. აი, ცხრა აპრილის იმ საზარელ დღეს, ისიც იქ არის, რუსთაველზე, პატრიოტთა ჯგუფებს შორის, ხოლო როცა იწყება სისხლისღვრა, დიდი რისკის ფასად გადაარჩენს პატარა გოგონას მომხდურთაგან. მერე აი, იგი სამაჩაბლოშია, უკვე – როგორც მეომარი. დიახ, ის მართლაც იბრძოდა საქართველოს მთლიანობისათვის, და როგორც მეომარმა, ერისათვის მოღვაწე კაცმა, საკუთარი სისხლიც დაღვარა იქ – რამდენჯერმე დაიჭრა. აი, უკვე აფხაზეთის (სოხუმის) საბედისწერო კადრები:

„ჯარისკაცი კიბეზე ადიოდა,
მე დავინახე – სისხლი სდიოდა...
ჩვენ ყველას ერთად, სანგარში,
სიკვდილის ოფლი გვდიოდა..."

დიახ, სოხუმშიაც ომობდა ბატონი ნუგზარი, და შექმნა იქიდან „გამოყოლილი" საოცარი, მართლაც გაუხუნარი სურათ-ხატი, ზოგადად, ომისა-კაცობრიობის ამ მარადილი ჭირისა –

„მზე ჩადიოდა, დრო გადიოდა,
ომის აჩრდილი დადიოდა"...

საზარელი, საბედისწერო სიტყვებია, მარადიული მეომრის მიერ დანახული: ჩასვენებული მზე საკუთარი სამშობლოსი, საკუთარი იდეებისა!

აქვეა ლექსი თბილისის ომის შესახებაც – „თბილისის ქაოსი"...

მოკლედ, ლამის სრულადაა წარმოჩენილი ოთხმოცდაათიანი წლების ბნელი „პანორამა" ოთხმოცდაათიანების წყვდიადი.

და რომ ამ ყოველივეს მოსდევს ლექსი წმინდა ილია მართლის შესახებ (ილია და ექვთიმე ხომ ჭეშმარიტი ღვთისკაცნი იყვნენ), არც ესაა შემთხვევითი – პოეტს სურს, რომ ილიას შუქმა დაიცვას, უფალ იესოს და ღვღისმშობელ მარიამის შუქმა დაიცვას ჩვენი (თვით უფალივით ჯვარცმული) ერი. და მოადევნებს ლექსს ღვთაებრივი საფარას შესახებაც. ხოლო წიგნის ბოლო ლექსი ადრესად სიმბოლური სათაურისაა – „ვაზი, ღვინო და საქართველო". დამეთანხმებით ალბათ, რომ ამ სამსიტყვედში (ვაზი, ღვინო, საქართველო) ქართველ კაცის მთელი მსოფლმხედველობის, მთელი პოეტური ბუნების უდიდესი ნაწილია ჩატეული. ესაა ჩვენი პოეტური სიალალე, მაგრამ, აგრეთვე, – პოეტურადვე ბრძნული ხედვა მარადისობაში. ვაზი, ვაზის ჯვარი, – გული ქართველი ადამიანისა, ანდრია პირველწოდებულისა და მისი მეგობრების, ასევე – წმინდა ნინოს გზით, ღვაწლით დამკვიდრებულა უკვდავ გეორგიანაში...

მთელს წიგნს რომ ამ სტატიაში ვერ ჩავატევ, ნათელია, მაგრამ ბატონი ნუგზარის მიერ შექმნილ სატრფიალო ლირიკაზე რომ მთლად არაფერი ვთქვა, ეს არაფრით შეიძლება, დიახ, ერთი ასეთი ლექსის შესახებ მაინც ვისაუბრებ, და ესაა „ქალიაყვანა" (ლეგენდა სიყვარულის მთაზე). იგი, თავისივე მინაწერიანად, ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს წიგნში. ალბათ ამიტომაც ეწოდა წიგნსაც ამ ლექსის სათაური.

ლეგენდარული ქალიაყვანის მთა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. მეც მსმენია მის შესახებ ერთი ძველი ამბავი, რომელიც, ზოგი ცნობით, მეთხუთმეტე საუკუნისა უნდა იყოს, ზოგი სხვა ცნობით კი – უფრო ადრეულიც. ეს ამბავი პირადად მე ასე მიამბეს: პოეტ ბიჭს გოგო შეუყვარდაო. პოეტს აქვს თავისებური ხიბლი, სულიერი-ფიზიკური, და გოგოსაც მოეწონა ბიჭი. (ახალგაზრდა ქალი ულამაზესი იყო თურმე, და ამიტომ ცოტა გათამამებულიც). უთხრა ჭაბუკს – ხელშიაყვანილი აი იმ მთის მწვერვალზე თუ ციმციმ ამიყვან, ისე, მთის მწვერვალამდე მიწას ფეხი რომ არ დავაკარო, შენი ვიქნებიო, სხვა შემთხვევაში არაო. ბიჭი არც დაფიქრებულა, ისე აიტაცა ხელებში გოგო, და მწვერვალამდე შეუსვენებლად იარა. იქ კი, სულ ზევით, ცასთან ახლოს, მეტისმეტი გადაღლისა და გამარჯვების უდიდესი სიხარულისაგან ატანილს, სწრაფად, წამში გაუჩერდა გული, მწვერვალზე მკვდარი დაეცაო. დარდისაგან განადგურებული გოგო, ამის შემდეგ, დედათა მონასტერში წასულა და სიკვდილამდე იქ დარჩენილა თურმე. მასაც და-

უწყია მონასტერში ლექსების წერა, წერდა დღიურებსაც მონასტრულ ცხოვრებაზე, სხვა თემებზეც.

არ ვიცი, მართალია თუ არა ამ ქალ-ვაჟის პოეტობის ამბავი, ზოგი ამას არ აღიარებს. ის ვაჟი არც პოეზიის დიდ ქართულ შვიდეულში მოიხსენება (ლაპარაკია ძველ შვიდეულზე, რაღა თქმა უნდა, ახალი ხომ ჯერ სანდოდ შედგენილი არცაა), არც – სხვაგან სადმე. არც ქალი მოიხსენიება ქართველ ქალ პოეტთა შორის. არადა, ზოგი მაინც ჯიუტად ამბობს, იმეორებს – ორივენი გასაოცარ ლექსებს წერდნენო.

ზუსტად ვეღარავინ იტყვის, რა როგორ იყო.

მაგრამ იმის თქმა კი ზუსტად შემიძლია, რომ ნუგზარ ხუციშვილმა ლიტერატურულად (პოეტურად) დააფიქსირა და საბოლოოდ დაამკვიდრა, გააუკვდავა ეს ლეგენდა, როცა მას ვრცელი ლექსი (ბალადასავით) უძღვნა...

შორენა ელისაბედაშვილი, სერგი ლომაძე, ნაირა მარშანია, ლამზირა შეყილაძე, ჯუმბერ ხარაიშვილი, გულნაზ ხარაიშვილი, კონსტანტინე ხაჭაპურიძე, ნუგზარ ხუციშვილი, კახა ბაციკაძე.

ბოლო ხანებში დავწერე ერთი პატარა პოემა – „პოემა არარსებულ ადამიანზე“, რომელზედაც მუშაობას დასრულებულად ჯერაც არა ვთვლი, თუმცაღა გამოსაქვეყნებლად მაინც გავამზადე. დავწერე ლექსებიც. საერთოდ, რამდენიმე ათეული პოემა დამიწერია და რამდენიმე ათასეული ლექსი, და ამ ათასებმაც კი ვერ მიმიყვანა, ჯერ, სრულყოფილებამდე. ჯერაც ძალიან ბევრს ვმუშაობ. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვი, რომ მე, სრულიად შეგნებულად, ხელოვნებას შევწირე საკუთარი ბედნიერება. ნამდვილი პროფესიონალი პოეტების უმეტესობა ასე იქცევა. ჩვენ საოცრად გვიყვარს პოეზია, ფანატიკურად...

პოეზია უყვარს ბატონ ნუგზარსაც, მაგრამ ის საკუთარ ბედნიერებას კი არა სწირავს ლექსს, არამედ, პირიქით, პოეზიიდან აქეთ ღებულობს ბედნიერებას. იგი მხოლოდ მოყვარული პოეტია, მაგრამ – კარგი პოეტი, კარგი პიროვნება. მისი ლექსნი ახლოა ხალხურ მთქმელთა ლექსებთან, და ამ კონტექსტშიც შეიძლება მათი განხილვა. ეს არაა მკაცრად ჩასაკირკიტებელი ნაწერები, ესაა ქმნილებანი, რომელნიც მსუბუქად უნდა წაიკითხო და მათით ტკბობა განიცადო. თუმცა, მერე და მერე, აქ უკვე თავისებურ სიღრმესაც, ტრაგიკულობასაც წააწყდებით.

ტკბილია სატრფიალო ლირიკა, მაგრამ მძიმეა, ტრაგიკული ლირიკა ომისა. ცხოვრებაც ხომ ასეა, ზუსტად ასე, როგორც პოეზია: სიხარული და ცრემლი ერთმანეთს ენაცვლება, ოღონდაც, – პოეზია, მაინც, ცხოვრებაზეც, და საერთოდ ყველაფერზეც, ბევრად მეტია. იგი სიხარულიც არის, მაგრამ იგი არის სევდის მწვერვალი.

აი, ასეთ რთულ საქმეს (პოეზიას) მოჰკიდა ხელი ბატონმა ნუგზარმა და კიდეც შექმნა თავისი წიგნი. მაშ, ვუსურვოთ მას სხვა წიგნების შექმნაც, – შემოქმედებითობაზე უკეთესი ხომ არაფერია!..

P.S. ზოგადად, ერთიდაიგივე პოეტის ლექსები (ერთი პოეტის ლექსები) თან ჰგავს და თანაც არა ჰგავს ერთმანეთს. ესაა სილამაზე პოეზიის არაერთბუნებიანობისა, ფერთშეზავებისა, სამყაროულობისა, და ამიტომაც სურთ პოეტებს, (ხელოვანებს), რომ მათი წიგნები, მათი შემოქმედება, საერთოდ, სამყარომ ნახოს, – მილიარდი ახალი ფერი ხომ უნდა ნახოს მსოფლიომ, სამყარომ...

ბატონი ნუგზარის ლექსებიც თან ჰგავს და თან არა ჰგავს ერთმანეთს, და ამ მსგავსებაგანსხვავებულობაშია ჩატეული მის ლექსთა საინტერესოობის დიდი ნაწილი. თუმცა მას არა აქვს სამყაროული გეგმები – ბატონი ნუგზარის მსოფლიოც და სამყაროც მისსივე პატარა და ლამაზი საქართველოა...

ყველა პოეტის შემოქმედება, თავისებურად, სიახლეა.

2015 წელი. აპრილი.

„ლამპარი"

საუკეთესო ჟურნალი ყმაწვილთათვის

იმ პროექტთაგან, რომელნიც ჩვენი აკადემიის გარემოცვაში კეთდება, ერთ-ერთი წარმატებული არის ქალბატონ ყამარ ბლიაძის თაოსნობით ჩამოყალიბებული საბავშვო ჟურნალი „ლამპარი" (მთავარი რედაქტორი – ნანა ბლიაძე), რომელიც, ჟურნალ „ხატთან" ერთად, ამაგრებს აკადემიის მუშაკთა გარჯას საბავშვო ლიტერატურის განხრით. ორივე ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრია ორგანიზაციის (აკადემიის) ერთპიროვნული და უპირობო მეთაური გულნაზ ხარაიშვილი, რაც აორკეცებს პირადად ჩემს ყურადღებას აღნიშნული ჟურნალისადმი.

გადავწყვიტე რა, რომ რეცენზია დამეწერა „ლამპარის" მესამე ნომრის შესახებ, რომელიც ოცდაათამდე გვერდს შეიცავს, საფუძვლიანად შევისწავლე აღნიშნული ნომერი და მასში ბევრი საყურადღებო რამ დავაფიქსირე. მაგალითად: პირველად ჩავაკვირდი სარედაქციო კოლეგიას, სადაც, ქალბატონი გულნაზის გვერდით, აღმოვაჩინე არაერთი სხვა საინტერესო გვარ-სახელებიც, მათ შორის – ქალბატონი მაყვალა გონაშვილიც, და ის, რომ ყამარ ბლიაძე, ანუ პოპულარული საბავშვო მწერალი, ფსევდონიმით „ყამარ ბებო", ჰკრავს ასეთ ტრიუმვირატს (ქალურ ტრიუმვირატს) მისი ჟურნალის ირგვლივ, როგორიცაა ქალბატონების – მაყვალა-გულნაზი-ყამარის სამეული, ეს უკვე დიდი საქმის დიდი დასაწყისია, მით უმეტეს, რომ დღეს აშკარად დეფიციტია კარგი საბავშვო გამოცემებისა, და აჰა, ბოლო დროს გამოსწორების გზაზე დადგა ეს საშვილიშვილო საქმე!

ახლა რაც შეეხება თვითონ ჟურნალს: მესამე ნომრის დასაწყისში საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის – „დავითიანის“ საქმიანობაა გადმოცემული, იმის თაობაზე, რომ მათ დააარსეს კლუბი „წიგნის მეგობრები“, და ატარებენ ღონისძიებებს უკვე ამ კუთხითაც.

შემდეგი სამი-თორმეტი გვერდები რელიგიურ თემებს ეხება. სწორი მიდგომაა საკითხისადმი: ადამიანი ბავშვობა-ყრმობაშივე უნდა ეზიაროს ღვთის მადლს, რამეთუ სწორ, მართებულ საფუძველზე ამოშენდეს მისი სული, მისი მსოფლმხედველობა. სხვათა შორის, ჩემს მიერ წეღან ნახსენები ორგანიზაცია „დავითიანნიც“ რელიგიური სივრციდან იღებს სათავეს. დღეს სასულიერო წარმომადგენელნი და მათი მიმდევარნი ძალიან გააქტიურებულნი არიან ქართული კულტურის საკითხებში.

სასულიერო თემებს მოსდევს ასევე რელიგიური ხედვის ერთი დიდმნიშვნელოვანი ასპექტი – „პატივი ეცით მშობლებს“ – წერილი ერთ-ერთი მოძღვარისა, და ამონარიდები წიგნიდან „სულიერი მდელო“.

ამის შემდეგ კი უკვე ქართული ხუროთმოძღვრებიდან არის მოწოდებული მასალა. ეს ძველი ისტორიაა. საქმე ეხება ბებრისციხეს (ბელტისციხეს), რომელიც ისედაც ისტორიული ძეგლებით გადაძეძგილი წმინდა ქალაქის – მცხეთის სივრცეებშია აღმართული. მოგეხსენებათ, მცხეთა ყველაზე ცნობილია სვეტიცხოველით, ჯვრით, სამთავროთი და ბებრისციხე, აი, სწორედ ასეთ ღვთითკურთხეულ შედევრებს უმშვენებს მხარს...

შემდეგ კი ჟურნალი ბავშვებს აცნობს ქართველი პოეტისა და მეფის – არჩილ მეორის ცხოვრება-მოღვაწეობას...

დიახ, ასეთი ფართოა, მრავალფეროვანი, ყოვლისმომცველია თვალსაწიერი ამ ჟურნალისა. ასე ასრულყოფილებს იგი პატარების ცოდნას, თუმცა...

თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა.

მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე გვერდები იერუსალიმის იერუსალიმურ-ქართულ ლეგენდას – ჯვრის მონასტერს ეხება (ჯვარი – ამ სიმბოლური სახელით ხომ არაერთი ცნობილი მონასტერი არსებობს მსოფლიოში). როგორც ამბობენ, სწორედ იერუსალიმის სასულიერო ცენტრს შეაფარა თავი, სიცოცხლის ბოლო წლებში, პოეტმა – ბერმა შოთა რუსთაველმა, რომელიც დღესაც რჩება ქართული გენიალობის უპირველეს სიმბოლოდ. ამ თემაზე აბა მეტი რაღა უნდა ვთქვა, უკვე ესეც ყოვლისმთქმელია.

შემდეგ კი ოცდაექვსი მაისის – ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის ამბავია მოთხრობილი. სხვათა შორის, ოცდაექვსი მაისი არის დიდი მერაბ კოსტავას დაბადების დღეც. ასე რომ, ეს თარიღი ორმაგად საამაყოა და აღმატებული. ოცდაექვს მაისსა და ცხრა აპრილს საქართველომ თავი იხსნა იმპერიისგან. კარგია, როცა ბავშვი იმყარებს ცოდნას ამგვარ საკითხებში, მაღალ საკითხებში, და ივსება, ადრიდანვე, თავისუფლების ზოგადსაკაცობრიო იდეით.

შემდეგ ჟურნალი „ლამპარი“ გრძელდება ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის ლექსებით. ჩვენი გულნაზის შემოქმედება მართლაც ლამპარივით ანათებს ჟურნალის მაღალხარისხიან, პრიალა ფურცლებს.

დიახ, გამოცემა მართლაც მაღალი ხარისხისაა, ფერადი, შესანიშნავად გაფორმებული. ასეთი ხარისხის გამოცემები დღეს სანთელითაა საძებარი. ქალბატონი ყამარი და მისი გარემოცვა თუ ასე გააგრძელებენ, ისინი, ალბათ, ლიდერნი გახდებიან საბავშვო გამოცემების სფეროში. ეგ კი არა, უკვე ახლაც შეიძლება ლაპარაკი მათს მოწინავე პოზიციაზე. შემდეგი გვერდები ეთმობა ჩვენი ბუნების საოცრებებს – საქართველოს ტერიტორიაზე არსებული განსაცვიფრებელ მღვიმეებსა და მდინარეთა მეფეს – მტკვარს. ძალიან კარგი იქნება, თუ მშობლიური ბუნების განხილვის კუთხით „ლამპარის“ შემდეგ გამოცემებში არაერთ წერილს ვიხილავთ მსოფლიოს ულამაზესი ქედების – კავკასიონისა და ბახმაროულნის (ბახმაროს ქედის) შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი წერილების შექმნას ადვილად შეძლებს ეს ყოვლისმცოდნე რედაქცია, ხოლო ყოველივე ამით პატარებს კიდევ უფრო მეტად ჩაუნერგავს მშობლიური ლანდშაფტისა და, საერთოდ, მთელი სამშობლოს სიყვარულს.

შემდეგი წერილი ქართულ სინემას ეხება. თვალში იმავწამს მომხვდა, ვთქვათ, ნატა ვაჩნაძის სურათი, და თუმცა ჯერაც არ გადავცილებივარ ოთხ ათეულ წელს, ჯერ ახლა შევდივარ ნამდვილი საშუალო ასაკის სამყაროში, მაინც კი იმ ძველმა ნოსტალგიამ შემიპყრო. სადღაა ახ-

ლა ნატოს, ვერიკოს, სესილიას, მედეას, ლეილას, ლიასა თუ ლიკას მსგავსი მსახიობები!. ეს პლეადა იყო ბრწყინვალებისა... დარჩა მათგან ლიკა ქავჟარაძე, მაგრამ იგი უკვე კარგა ხანია, რაც, ფაქტიურად, ჩამოშორდა დიდ კინოს. ან, საერთოდ, სადღაა დიდი ქართული კინო, სადღა არის დღეს ქართული კინოს ფენომენი! და თუკი რაიმე მაინც კეთდება ამ კუთხით, ზოგი ფრანგული, ზოგი ესტონური და ზოგი კიდევ რომელიმე სხვა გზით ფინანსდება, ამიტომ აღიარებანიც სხვა ქვეყნებისათვის უფრო მოაქვთ, ვიდრე ჩვენთვის. ჩვენ კი სულ ახლახან მივაბარეთ მიწას გენიალური „ჯარისკაცის მამის“ რეჟისორი...

შემდეგი გვერდი ეთმობა მხატვრისა და მწერლის, ფილოსოფოს ნიკო ხერკელაძის ჩანაწერებს. ეს ის კაცია, რომელმაც საუკუნის ნაშრომი დადო საკაძის შესახებ. კარგია, რომ ასეთი შთამბეჭდავი ფილოსოფოსი-ხელოვანის პოპულარიზება ხდება უკვე პატარებს შორისაც. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჟურნალის სულ ბოლოში (უკანა ყდა) მთელი გვერდი ეთმობა ამ დიდი ადამიანის სურათს, გადაღებულს თავის ნახატებთან. სხვათა შორის, ბატონი ნიკო, მეგობრებთან ერთად, ტელე-რადიო ობიექტივში ქმნის ციკლს პოეტურ-ფილოსოფიურ-ისტორიულ გადაცემებისას, ხოლო ამ ამბის მონაწილენი ვართ სწორედ მე და კახა ბაციკაძე ჯგუფ „ზღვარიდან“. აქვე იმასაც დავამატებ, რომ „ზღვარის“ ხუთწიგნეულში ვერ მოხვდა ჩვენი ჯგუფის ზოგი მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ვთქვათ – „მეორე ტრილოგიის დასასრული“, „მარტოობა“, „უდროობა“, „პოემა არარსებულ ადამიანზე“ და ზოგი სხვაც), ამიტომაც, და სხვა მიზეზთა გამოც, ჩვენ ვაპირებთ შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარის“ ახალი წიგნების გამოცემას. მაგრამ დავუბრუნდეთ სტატიის თემას – ჟურნალ „ლამპარს“.

დიახ, მას ასრულებს ნიკო ხერკელაძის, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი ფოტოსურათი. ხოლო მანამდე წარმოდგენილია მისი ქალიშვილის – ასევე მხატვარ სოფო ხერკელაძის ფოტოსურათი, და მისივე ნახატი. როგორც ამბობენ, სოფო, თავიდან, მისი ცნობილი მამის მოწაფე და მიმდევარი იყო, მაგრამ შემდეგ სულ სხვა სტილი აირჩია. იგი დღესაც რჩება თავისი მამის სულიერ მიმდევრად, მაგრამ ხატვის სტილი მართლაც უაღრესად თვითმყოფადი აქვს, ძალიან თავისებური და საინტერესო. ნიკოც ხომ ასეთი თავისებურია, სრულიად გამორჩეული, ოღონდაც, ჯერჯერობით, ნიკო უფრო ღრმაა, მასშტაბური, არაერთგვაროვანი, ცვალებადი... ნიკო დიდი ხელოვანია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მისი ქალიშვილიც დიდი ხელოვანი გახდება, ბევრ სიმაღლეს მიაღწევს, ოღონდაც – თუ არ გაჩერდა, თუ იაქტიურა, რამეთუ განსაცვიფრებელი ნიჭი აქვს, თანაც ევროპაში ცხოვრობს, იტალიაში, მხატვართა და მოქანდაკეთა უმთავრეს სამშობლოში!.

ჟურნალის ოცდამეხუთე გვერდს პოეზია ამშვენებს. აქვეა ღვთაებრივი პედაგოგის – იაკობ გოგებაშვილის სურათიც: ერთ-ერთი ლექსი სწორედ მას ეძღვნება. მეორე ლექსი ქართული ენის შესახებ არის. ამ ლირიკულ ქმნილებებს ქვევით ასეთი მინაწერი აქვს „ყამარ ბებოს ნობათიდან“, ხოლო მესამე – მეოთხე ლექსები ხალხურია. საინტერესო წერილი, ქართული ენის შესახებ, რომელიც თითქოს პირდაპირ ფეხდაფეხ მოსდევს პოეზიას, ლოგიკური გაგრძელებაა ყამარ ბებოს ნობათის იმ ლექსისა, რომელიც ლოცვასავით, ფსალმუნივით ჟღერს და ქებათა-ქებაა მშობლიური ენის.

შემდეგი რუბრიკაა „რა გქვია შენ“ და „მცირე ლექსიკონი“. ხოლო ჟურნალს თითქმის აბოლოებს სპორტის რუბრიკა, სადაც ასევე ბრწყინვალედაა შერჩეული მასალა, – ჭადრაკი – ქართულ სპორტად რომ ვაქციეთ, და დედოფალი ამ სპორტისა, ჩვენი საამაყო ნონა გაფრინდაშვილი!

სპორტის რუბრიკას მოსდევს სულ პატარა დანართი ანდაზა – რებუს-გამოცანებისა, ხოლო ბოლოში, რაღა თქმა უნდა, სარჩევია მოთავსებული...

ასე რომ, მე თითქმის სრული შთაბეჭდილება შეგიქმენით ჟურნალზე, მაგრამ ხომ არის ნათქვამი – გაგონილს ნანახი სჯობსო, და ამიტომაც ვურჩევ მათ, რომელთაც პატარები ჰყავთ სახლში, რომ ნახონ, შეიძინონ ჟურნალი „ლამპარი“, წააკითხონ იგი ბავშვებს, და სინათლით აუვსონ პატარებს სულიერი თვალსაწიერი.მაშ, ჩემი რჩევაა, კეთილი რჩევა: წააკითხეთ ბავშვებს ჭეშმარიტად მაღალი დონის საბავშვო ჟურნალი, რომელიც თვით პატრიარქის ლოცვაკურთხევით იბეჭდება და ამგვარად ნახულობს მზის მაცოცხლებელ სინათლეს, ამგვარად ივსება ზეციური მადლით... აქვე მინდა ერთი რამეც ვთქვა: რამოდენიმე ადამიანს ვკითხე აზრი ჟურნალ „ლამპარის“ შესახებ, მათ შორის, ჩემს მეგობარს, პოეტ და მუსიკოს კახა ბაციკაძეს, რომელსაც მე, როგორც შემოქმედს, ძალიან მაღალ შეფასებას ვაძლევ და ყოველთვის განსაკუთ-

რებულად მოვიხსენიებ (ხანდახან „ხელოვნების გულს“, „მისტერ ხელოვნებას“ და მსგავს მჟღერ ეპითეტებსაც კი ვუწოდებ, თავისი განუსაზღვრელი პოეტურობის, პოეტური ენერგიის გამო). კახამ მითხრა: „ეს არის სუპერჟურნალი ყმაწვილთათვის. მასთან კონკურენცია, დღეს-დღეობით, ამ კუთხით, თითქმის შეუძლებელია“... როგორც ხედავთ, უმაღლესი შეფასებაა, მითუმეტეს, დასაწყისისათვის, ხოლო თუ „ლამპარმა“ და ლამპრელებმა დროს გაუძლეს, მაშინ ისინი ადგილს დაიმკვიდრებენ განსაკუთრებული გამოცემების, განსაკუთრებულ მოღვაწეთა სახელების გვერდით.

თბილისი, 2015 წელი, მაისი.

ნაწარმოებს ხომ ერთი ან რამდენიმე მთავარი გმირი ჰყავს, ზოგჯერ ძალიან ბევრი მთავარი გმირიც კი. მაგალითად: ჩემს ერთ-ერთ პოემას უამრავი მთავარი გმირი ჰყავს, რომელნიც თეთრ ბაღში არიან, და იქ, იმ ნაწარმოებში, მეორეხარისხოვანი გმირები ძნელად საპოვნია საერთოდ... აი, ასეა რედაქციაც, – კარგ რედაქციაში ძნელად იპოვი მეორეხარისხოვან გმირს. აქ ყველა ფაქტიურად, არის მთავარი. ასე გამოდის კარგი ჟურნალ-გაზეთები.

მაშ, ქალბატონ ყამართან ერთად, მთელს მის საგამომცემლო ჯგუფს ეკუთვნის მადლობა

აკაკის იუბილე მოდმეში

წელს ოთხი დიდი იუბილე მაინც გაიმართა საქართველოში (თბილისში).

მეხუთე და ყველაზე მთავარი აკაკის იუბილეა, რომელიც, ალბათ, „სერიებად“ გაიმართება სხვადასხვა ქალაქსა თუ დაბა-სოფელში.

საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, საჩხერის კულტურის სახლის დირექტორმა კახა სამყურაშვილმა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიამ ბოდბეში ჩაატარა აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

„თორნიკე ერისთავისა“ და „გამზრდელის“ ავტორის დაბადებიდან ასსამოცდათხუთმეტი, ხოლო გარდაცვალებიდან ასი წელიწადი მოლეულა.

პირველმა ოცმა საუკუნემ, საქართველოდან, შვიდი გენიოსი პოეტი მაინც წარმოშვა, თუ მეტი არა: რუსთაველი, ნიკო ბარათაშვილი, ილია („განდეგილის“ დიდი ავტორი), აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გრანელი.

საბედისწერო იყო ათასცხრაასთხუთმეტი წელი. აკაკი და ვაჟა ერთად დავკარგეთ, და თუმცა ცხრაასთხუთმეტ ცხრაასთექვსმეტ წლებში „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი კოლექტივი გამოჩნდა ასპარეზზე, დანაკლისი მაინც უზომო იყო.

აკაკი გახლდათ ნამდვილად პროფესიონალი პოეტი. მე სიტყვა პოეტს ან – პროფესიონალ პოეტს ხანდახან უადგილოდ ვამბობ, ვაჭარბებ. პროფესიონალი ძალზე ცოტაა, მე კი, სწორედ ამიტომ, არა მარტო მოყვარულებს, არამედ ზოგ პროზაიკოსსაც, მხატვარსაც, მოქანდაკესაც

თუ სხვას პოეტთა რიგს მივაკუთვნებ ხოლმე, თავიანთი პოეტურობისა გამო, თუმცა ნამდვილი პოეტურობა, პოეტობა ისაა, როგორიც იყო, ვთქვათ, აკაკი წერეთელი.

იგი იყო სული – პოეტი, სული-მგალობელი, მგოსანი ჭეშმარიტი, მსუბუქ-ლაღი და რთულ-გენიალური ერთად.

და აი, ორიათასთხუთმეტ წელს ჩვენმა აკადემიამ და საჩხერის პირველმა საჯარო სკოლამ ერთად გადავწყვიტეთ, რომ პირველებს აღგვენიშნა, მთელი თავისი სიმკვეთრით, იუბილე საქართველოს ბულბულისა. ჩვენს ჯგუფს, როგორც ყოველთვის, ახლაც ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი სარდლობდა. ამ მოზრდილ თბილისურ აკადემიურ ჯგუფში შევდიოდით: მე, კახა ბაციკაძე და გიორგი ზუხბაია „ზღვარიდან“, ასევე – ჯუმბერ ხარაიშვილი, სიმონ ზაქარაია, ონერ ძაძუა, შალვა ილურიძე, ნოდარ ხარაიშვილი, ლეო ბაბუხადია, ანი ყალიჩავა, თამარ სხირტლაძე, ლეო სხირტლაძე, დიანა მუჯირი, ჯაბა პერანიძე, გვანცა ხარაიშვილი, ნინო სალუქვაძე, მირანდა წიკლაური.

ჯუმბერ ხარაიშვილი, გოდერძი გორდეზიანი, ნინო სალუქვაძე, ანა ბოდბელი და რეზო ადამია

მე, კახას და ზუხბას თან გვახლდა შორენა ელისაბედაშვილიც;

ცალკე მინდა აღვნიშნო მხატვარი რეზო ადამია, რომელსაც „ზღვარის“ წევრები განსაკუთრებით ვაფასებთ და შვიდი მხატვრის ერთ-ერთ ვერსიაშიც კი მოვიხსენიე, მაგალითად, ასე: ფიროსმანი, გუდიაშვილი, გაბაშვილი და კაკაბაძე, კალანდაძე და ნიჟარაძე, და ჩვენი რეზო ადამია. თუმცა ეს არაა, მაინც, სრულყოფილი ვერსია. თოიძე, ვარაზი, ქობულაძე, ხერკელაძე თუ სხვები ასევე პრეტენდენტობენ ადგილებს ფერწერულ შვიდეულში. (ქართველ მხატვართა შვიდეულში).

ჩვენ დილაადრიან გავედით საქართველოს გულიდან – თბილისიდან წმინდა ბოდბეში. სიამაყით მევსებოდა ფიქრები, როცა გავიაზრებდი, რომ ვარ ნამდვილი ქართველი, რომლის წინაპარი რუსთაველია და რომლის წინარე გენიოსები არიან, ვთქვათ, ილია, აკაკი და ვაჟა-ფშაველა... ჩვენ, ყველას, გვიხაროდა ზაფხულის დასაწყისის ეს დღე, სულმნათი აკაკის დღედ რომ გარდავსახეთ.

ხოლო დასავლეთიდან, ლიხს იქიდან, მოდიოდა ასევე მოზრდილი ჯგუფი ბოდბისაკენ, რომელსაც მეთაურობდა კახა სამყურაშვილი – ხელმძღვანელი კულტურის სახლისა, ასევე – ირმა კაპანაძე – სკოლის ხელმძღვანელი, და ნუნუკა გოგოლიძე – ქართული ენისა და ლიტერატურის

სუპერმასწავლებელი, რომელმაც გაგვაოგნა ჩვენაც კი ყოვლისმნახველი თბილისელებიც, თავისი დიდებულად მომზადებული მოწაფეებით.

ბოდბე სავსე იყო ტურისტებით (ასეთივე ამბავი ყოფილა სიღნაღშიც – სიყვარულის ქალაქში). ჩვენ ვნახეთ წმინდა ნინოს მონასტერი და ვილოცეთ წმინდანის საფლავზე, დავანთეთ სანთლები წინაშე ხატთა. მერე ვიხილეთ თვალუწვდენელი ალაზნის ველი, მეფე-ველი, მეფე-მთებითურთ, ანუ კავკასიონის მთებით, და აღვივსენით სამყაროს განცდით, სამყაროს სრული განცდით. აჰა, კაცმა თითქოს ღმერთიც კი შეიცნო თეთრი სამება, თავისი სამივე წმინდანური, მამაკაცური სახისმეტყველებით. და სული, პოეტური, აღივსო ღმერთით, სინათლით.

მერე იქვე მდგარი უფრო დიდი ტაძარიც მოვინახულეთ, პირველ ტაძარზე უფრო ახალი და დიდი, თუმცა ჯერაც დაუსრულებელი, მაგრამ უკვე ძალზედ ლამაზი. ვილოცეთ იქაც, იქაც დავანთეთ წმინდა სანთლები, ასევე წმინდა ხატთა წინაშე. (რატომღაც მომაგონდა პაოლოს პოემა „სამი ტკივილი“ და ტიციანის პოემა „ცხენი ანგელოსით“)...

გოდერძი გორდეზიანი, ანა ბოდბელი
და რეზო ადამია

მხოლოდ შემდეგ დაიწყო ღონისძიება იმ ადგილას, რომელსაც ყველანი ანა ბოდბელის ადგილს, მის სამოსახლოსაც კი ვუწოდებთ. (თუმცა ზუსტად არც ვიცი, თუ სად ცხოვრობს ეს დიდებული ქალბატონი და მისი ოჯახი. სხვათა შორის, სწორედ ამ ოჯახმა აღზარდა საუკეთესო სპორტსმენი ქალი, უპირველესი მოცურავე რუსუდან გორდეზიანი).

საჩხერის სკოლამ შესანიშნავი პოეტური დადგმა წარმოგვიდგინა, თავისებური სპექტაკლი, აგებული აკაკის ლექსებზე. მოწაფეები ყველაფერს ზეპირად ამბობდნენ, ამბობდნენ გამოთქმით, მაღალმხატვრულად, ბოლოს კი თვითონ მათმა მოძღვარ-მასწავლებელმა ქალბატონმა ნუნუკამ დააგვირგვინა ყოველივე, როცა მისივე აღზრდილების გვერდით გამოვიდა სცენაზე.

შემდეგ, ქალბატონი გულნაზის მეთაურობით, აკადემიის წარმომადგენლებმა შევაფასეთ ნანახ-მოსმენილი. დიდი იყო ჩვენი აღტაცება. რომ არა შალვა ილურიძე და მისი ერთგული ფანდური, არცკი ვიცი, რა უნდა დაგვეპირისპირებინა მოწაფეთა იმ ბრწყინვალე წარმოდგენისათვის.

მერე დაიწყო პურობა, მაგრამ ეს დიდი პურობა შემოქმედებითი ღონისძიების გაგრძელებას უფრო ჰგავდა. სუფრას ორი კახა თამადობდა (სამყურაშვილი და ბაციკაძე) ხოლო მათი თი-

თოეული სადღეგრძელო პოეზიის ნიმუშებად იქცა. ამას ზედ დაერთო ანა ბოდბელის დიდად საყურადღებო ლექსიც. ასევე ყველას ლექსები და სიმღერები.

კახა ბაციკაძე უკვე ორი ჯგუფის ლიდერია – „ზღვარისა“ და „კახას ბენდის“ (ორივე ამ ჯგუფის შექმნასა და მათთვის სახელთა დარქმევაში პირადად მე მიმიძღვის დიდი წვლილი). „ზღვარში“ ვრჩებით ძირითადი ოთხეული – კახა, ზუხბა, მე და ვასო, აქ ასევე მოიაზრებიან – გია, ლუკა, მეორე კახა (კახა ლომაძე) და სხვები.

ირმა კაპანაძე, ნინო გოგოლაძე, სიმონ ზაქარაია,
გულნაზ ხარაიშვილი, შალვა ილურიძე და კახა სამყურაშვილი

რაც შეეხება ახალ პროექტს – კახა ბაციკაძის ბენდს, აი აქ, ჯერჯერობით, მოვიაზრებით, თუ გაწევრინებულნი ვართ – კახა ბაციკაძე, გია მიჩიტაშვილი, ჯონი მდივანი, სანდრო შენგელია, და მე, ანუ – სერგო ლომაძე. ეს, ძირითადად, მუსიკალური ჯგუფია. სიმღერებს მე და კახა ვწერთ. ჩვენ, როგორც თბილისელ-გურულებს (ქართლელ გურულებს), ჩვენს ხაზზე მიგვყავს ეს ახალი, თბილისური ჯგუფი, და ვცდილობთ, რომ ნელ-ნელა გამოვიყვანოთ იგი ასევე ჩვენი „ზღვარის“ ჩრდილიდან, ლეგენდის ჩრდილიდან: დიდი „ზღვარიც“ ხომ თბილისური ჯგუფია...

სუფრა აანთო თამადების ლექსთათქმამ.

სხვათა შორის, კახამ წაიკითხა ჩემი „პოეტური გრძნობის სივრცეც“, რაც მეტისმეტად მოიწონეს. ამ პოეტურ დოღში ჩაება ქალბატონი გულნაზის ლექსებიც. აპლოდისმენტები ყოველი მხრიდან მოაწყდა სუფრას. ისე კი, ყველაზე მეტი ლექსი, მაინც, დიდი აკაკისა წავიკითხეთ (აქ უნდა ითქვას, რომ ილიას, აკაკის, ვაჟას, ისევე, როგორც შოთა რუსთაველს, ჩვენი მეუფე თადეოზი წმინდანებად თვლიდა).

იმ დღეს, ყველაზე მეტად, მაინც შალვა ილურიძე აქტიურობდა – მთელი დღის განმავლობაში. იგი სიმღერების ავტორ-შემსრულებელია და ჯგუფ „ლომისის“ ლიდერი. ყველაზე ძლიერად „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა შეასრულა. აქ ტექსტი ხალხურია, ხოლო მუსიკაც ხალხური აღმოჩნდა. ბატონმა შალვამ პატიოსნად აღიარა – არა, მე არ დამიწერიაო. კარგია, როცა ასეთი გულწრფელია აღიარება, თუმცა არის სხვაგვარი შემთხვევებიც, მაგალითად, როკ-ჯგუფ „ბერმუხას“ დიდებული ჰიტის („ჩვენ კვლავ ერთად ვართ“) ავტორი დღემდე ვერ დავადგინე: ქიტიაშვილი, ფანცულაია, იობაშვილი... იმდენი გახმაურებული გვარი ამოვარდა ერთად, რომ ბოლოს ის როკ-ჰიტი მთელი ჯგუფის ნამუშევრად მივიჩნიე...

რაც შეეხება „ვეფხის და მოყმის“ ფოლკლორულ ბალადას, მისი შექმნის ზუსტი დრო უცნობია. არც ისაა ზუსტად ცნობილი, როგორი იყო პირველადი ტექსტი და მუსიკა, თუმცა ალბათ, ძირითადი ხაზები შენარჩუნებულია.

მოკლედ, საოცარი ღონისძიება ჩატარდა ბოდბეში. მერე, როცა ყველაფერი უფრო დავალაგე გონებაში, გავიაზრე, რომ იმ დღეს, მთლიანობაში (ღონიძიებაზედაც და სუფრაზეც), აკაკის ასზე მეტი ლექსი გახმოვანდა!. .

აი, ასეთი იყო ერთი პოეტური დღე წმინდა ბოდბეში.

თბილისი, 2015 წელი.

P.S. აქვე გთავაზობთ იმ მოწაფეების სიას, რომელნიც ღონისძიებაში მონაწილეობდნენ:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი
თამარ თედიაშვილი

ღვთაებრივი ტრიადა

ადამიანმა აზროვნების განვითარებასთან ერთად, ფართო გზა მისცა ქვეცნობიერის ფსკერზე ღრმად დალექილ ნიჭსა და შესაძლებლობებს, რამაც თავის მხრივ ფარდა ახადა მრავალ საიდუმლოებას. ისინიც ბოთლიდან განთავისუფლებული ჯინებივით მიმოიფანტნენ სხვადასხვა ასპარეზზე. ზოგად საკაცობრიო თემებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისტორიებს, როგორც სამყაროს შექმნაზე, ისე უზენაესისა და საიქიოს რაობაზე. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში, ნათლად იკვეთება სამყაროს პირველსაწყისების შეცნობის დაუღალავი მცდელობა. ეს ლტოლვა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. რაც მრავალი ლიტერატურული ნაშრომის საფუძველი გახდა, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესი – იტალიურსა და არაბულ-მუსლიმურ ტრიადაში ჰპოვა.

ფლორენციელი დანტე ალიგიერის უდიდესი ლიტერატურული ნაშრომი – ,,ღვთაებრივი კომედია“ , ალ-მი’რაჯ – მოციქული მუჰამადის ზეცაში მოგზაურობის ამბავი და აბუ ლ-ალა ალ-მა’არის „შენდობის ეპისტოლე“. ლიტერატურული შედარებების ანალიზზე ნათელია, რომ „ღვთაებრივი კომედია“ არაბული წინამორბედების გავლენით უნდა ყოფილიყო შექმნილი. რაც შეეხება „შენდობის ეპისტოლეს“ უდაოდ „მი’რაჯის“ წაბაძვით არის დაწერილი, ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს, უპირველესყოვლისა, ის რომ აბუ ლ-ალა X საუკუნის მოღვაწეა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მათ V-VI საუკუნის სპარსული ანალოგიც ჰყავდათ. ეს არის ვირაფის შვიდ დღიანი მოგზაურობა საიქიოში, რათა მიწაზე მიეტანა ამბავი. იგი სროშ და ათურ მთავარანგელოზების დახმარებით ნახულობს ადამიანთა სულებს, რომლებიც უძრავად დგანან, მათი კეთილი და ბოროტი საქმეები ერთმანეთის ტოლია. აწყდება მდინარეს, რომელიც ჭირისუფალთა ცრემლებს წარმოადგენს, თუ ნათესავები ბევრს ტირიან მდინარე დიდება და გარდაცვლილს უჭირს მისი გადალახვა. ვირაფმა ნახა ჯოჯოხეთი და სამოთხე, რის შემდეგაც გააცნობიერა, რომ ყოველივე მატერიალური უფასური და წარმავალია.

რაც შეეხება, ღვთაებრივ ტრიადას, გადმოცემულია საიქიოში მოგზაურობის ამბები, შინაარსული და ეპიზოდური მსგავსებებით. სამივე მათგანში ფიგურირებს შვიდი ცის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ანგელოზების და ეშმაკების, მოციქულებისა და წმინდანების ისტორიები.

„ღვთაებრივი კომედიის“ პირველივსავე სტროფებში დანტე აწყდება: ლომსა და ძუ მგელს. ისინი სამი მომაკვდინებელი ცოდვის – მგრძნებელობის, ძალაუფლების სიყვარულსა და სიხარბის ალეგორიას განასახიერებენ. მი’რაჯშიც ისახება ანალოგიური სურათი.

„ანაზდეულად შემომენთო შიშისა ზარი:

შემდეგი ვიხილე მომავალი ჩემსკენ ძუ მგელი...
გამომეცხადა დაღრენილი, მძვინვარე ლომი...
...გამხდარი იყო, ეტყობოდა ვნება ყოველი...
ტორების ჩქამზე ცახცახებდა თავათ ჰაერიც.
ხორცისმიერი, ბიწიერი მას დაკისროდა...“
(„ღვთაებრივი კომედია“)

სამივე ისტორიაში საიქიოში მოგზაურს გამყოლი ჰყავს. მოციქულ მუჰამადს გამყოლად მთავ არანგელოზი გაბრიელი მოევლინა, ალი ბ. მანსურს – ლიტერატორი იბნ ალ-კარიჰი, ხოლო დანტეს – ვირგილიუსი „პოეტი ვიყავ ანქიზეს ვაჟს ვუმღეროდი...“.

აღსანიშნავია, რომ სამივე ნაწარმოების ამომავალი წერტილი არის იერუსალიმი. მის თავზე ზეცაში სამოთხეა, ქვემოთ ჯოჯოხეთი, რომელიც ისლამურ წყაროებში „იბლისის სამყოფელად“, ხოლო დანტესთან „ლუციფერის ციხედ“ მოიხსენიება.

„ღვთაებრივ კომედიაში“ იუპიტერის ცაში მოსჩანს არწივი. ის ნელ-ნელა დაბლა ეშვება და ათასობით ფრთიანი ანგელოზის სახეს იღებს, ნათელს აფრქვევენ და ამავდროულად ფსალმუნების მშვიდი, მელოდიური მუსიკა აყრუებს არემარეს. ეს ეპიზოდი მოციქულ მუჰამათან, მამლის მონაწილეობით სრულდება. ხოლო ეპისტოლეში ლიტერატურული კამათის დროს მოფრინდებიან ბატები, რომლებიც მიწაზე დაეშვებიან, თუ არა ქალწულებად გადაიქცევიან და მღერიან, რასაც ლიტერატორები მოისურვებენ.

„ალ-მი’რაჯი“ ასახავს მოციქულის მოგზაურობას შვიდ ცაზე სადაც მის წინამორბედებს - ადამს, იესოს,იოსებს, იდრისს, ჰარუნს, მოსესა და იბაჰიმს ხვდება. „შენდობის ეპისტოლეში“ ალი ბ. მანსური ჯაჰილიის პოეტებს ხვდება, დანტე -ანტიკური ხანის დიად ელიტას. სამოთხისა და ჯოჯოხეთის ეპიზოდები ფართოდ არის განხილული თითოეულ ნაწარმოებში. აბუ ლ-ალას სამოთხეში, ვხვდებით ღვთისგან შეწყალებულ პოეტებს, რომლებიც განცხრომით ცხოვრობენ, მუდამდღე ლიტერატურულ კამათსა და კასიდების გარჩევაში არიან, აღარც ღვინის სმა ეკრძალებათ. ხშირად სამოთხისთვის ყოვლად შეუფერებელი კონფლიქტები იმართება. შემდეგ შეიხი „იბლისის სამყოფელში“ თავად იბლისთან გააბავს დიალოგს, სადაც ერთ საინტერესო კითხვას იღებს იბნ მანსური. „მე მხოლოდ ორი რამის გაგება მაინტერესებს. როგორ მოხდა, რომ ალაჰმა, რომელმაც წარმავალ წუთისოფელში სასტიკად აკრძალა ღვინო, სამოთხეში ნება დართო ამდენი ღვინის სმისა? და მინდა ვიცოდე კიდევ ერთი რამ, სამოთხის მცხოვრებნი ისეთსავე ჩვეულებებს მისდევენ მარადი ჭაბუკების მიმართ, როგორსაც ორ ქალაქში(სოდომსა და გომორში)?“

რაც შეეხება „ალ-მი’რაჯს“ მეშვიდე ცაზე მივლინებისას ვხვდებით სამოთხის და ჯოჯოხეთის აღწერას. ბოლოს კი კულმინაციას „გამოჩნდა ალაჰი იმგვარი შუქით, როგორითაც უდიდესი თეთრი მარგალიტი ბრწყინავს“. მსგავსი ეპითეტებია „ღვთაებრივი კომედიიში“ იმ განსხვავებით, რომ სამოთხეში მოგზაურობისას დანტე ნახულობს იმპერატორ იუსტინიანეს, რჯულის მასწავლებლებს, სარწმუნოებისთვის წამებულებს, იესო ქრისტეს წმ. მარიამს და ბოლოს მის წინაშე იშლება „ღვთაებრივი ვარდი“ – კურთხეულთა ადგილსამყოფელი.

„მარადჟამულო ძლიერებავ უფლისმიერო,
...ამიერიდან რა ვიხილე და განვიცადე
შენის იმედით გავუშტერე თვალი იმ ნათელს,
ამას ყველაფერს ენა ჩენი მოგითხრობთ უფრო
რომლის შიაღშიც აჰქრა მზერა ჩემი ანაზდად...
უმწეოდ, ვიდრე გიამბობდათ ძუძუთა ბალღი...“
„ღვთაებირივი კომედია“

გულნაზი ხარაიშვილი



დაჩი ივანიშვილის თავგადასავალი

პატარა დაჩი ივანიშვილი, მშობლებთან ერთად ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიას ესტუმრა. წლის და რამოდენიმე თვის პატარამ, სამუშაო ოთახს თვალი მოავლო. ფაჯრის რაფაზე წითლად აღაღანებული ყვავილი შენიშნა, დედას მიუბრუნდა და დამაჯერებლად შეეკითხა: დედიკო, ეს ხომ ციცინათელაა?

კი, გენაცვალე, ნამდვილად მაგ ყვავილს, „ციცინათელა“ ჰქვია, „ციცინათელაა“. ქალბატონი სოფიკო ძაძუა მომიბრუნდა და დიალოგი გაიმართა ჩვენ შორის: ქალბატონო, ამბობს დაჩის დედა, უცნაური ბავშვია, ასეთ ასაკში ბავშვებს ყველაფერი უნდა აინტერესებდეს, მაგრამ დაჩი, იაკობ გოგებაშვილის დედა ენის ყველა ასოს სცნობს. სანამ მე და ქალბატონი სოფიკო ძაძუა ვსაუბრობდით, დაჩიმ იფიქრა ესენი მე ყურადღებას აღარ მაქცევენო და ახლა მამიკოს მიუბრუნდა. პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ცნობილ ფრენბურთელს გიორგი ივანიშვილს.

– მამიკო, ყველაფერი მომწონს, აქ რაც არის, უჰ! რამდენი ნახატებია, მაგრამ წიგნები უფრო მაინტერესებს.

– აბა, რომელი წიგნი გინდა შვილო, აქ ბევრი წიგნია.

– ყველა! წამოძახა დაჩიმ და ანთოლოგიის მესამე ტომს მიეტანა.

უჰ! რა მძიმეა მოტრიალდა ჩემსკენ და დაიწყო ტიკტიკი: ბევრი წიგნი მინდა, ბევრი! შეხედე ამდენი და მაჩვენებს გაშლილ ხელის თითებს. დაჩი ეგ რამდენია შევეკითხე.

– ათი! წამოიძახა. მაჩუქებ წიგნს?

– კი! ჩემო პატარავ, აუცილებლად გაჩუქებ.

– ამ წითელ წიგნს მაჩუქებ? დაჩი ანთოლოგიით დაინტერესდა.
– აუცილებლად საყვარელო, კიდევ რომელი წიგნი გინდა?
– კიდევ ეს წიგნი და მიმანიშნა ჩემს ახალ გამოსულ წიგნზე.
– შენ რომ ჯერ კითხვა არ იცი?
– ვიცი!
– აბა წაიკითხე...

– დარდის პირამიდები, ამოიკითხა წიგნის სათაური. და მე დავრწმუნდი, რომ ჩემი სტუმარი იყო პატარა ვუნდერკინდი. დაჩი ივანიშვილი.

დაფაჩუნობდა დაჩი ბიჭი რედაქციაში,
წიგნთა თაროსთან, სულ უშიშრად
თვით მიდიოდა...
მით ბრწყინდებოდა, დარდის ნისლი
გულის წყვდიადში,
წამით მიშრობდა მდუღარე ცრემლს
მე რომ მდიოდა.

ლალი კახიძე

ღირსეული ექიმი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ულამაზესი ქალაქი, რომელიც მხოლოდ სითბოთი და სიყვარულით გამოირჩეოდა. ამ ქალაქს ერქვა „თბილი ქალაქი“ ამ ქალაქში ყველა ოჯახი ცდილობდა შვილებისათვის განათლება მიეცა – ვის რისი ნიჭი ჰქონდა იმის მიხედვით. ამ ქალაქში ცხოვრობდა მეფის შვილი, რომელსაც ძალიან დიდი ბაღი ქონდა. ამ ბაღში იყო მხოლოდ ყვავილთა უამრავი სახეობა ვარდების უამმრავი ფერთა კორიანტელი იყო შერწყმული, რა ფერის ვარდს არ ნახავდა ადამიანის თვალი ამ ედემის ბაღში.

ერთ მშვენიერ დღეს მეფის ვაჟმა მოწყვიტა თეთრი ვრდი. დაყნოსა და ერთი ვარდის ფურცელი მოწყდა ვარდს და ეს ერთი ფურცელი ვარდისა გადაიქცა უმშვენიერეს ქერათმიან ქალწულად – ის თეთრ ხალათში იყო შემკობილი. იმ წუთში მიხვდებოდი, რომ ეს მშვენიერი ასული ექიმი იყო. მის თვალებში იკითხებოდა ყოველივე მისი ნიჭის ირგვლივ. – შენ რა გქვია მშვენიერო? ჰკითხა მეფის ვაჟმა.

მე ნუნუ ექიმი ვარ. ჩემს ქალაქში ყველას ვკურნავდი ანგარების გარეშე. უამრავი გაჭირვებული ადამიანი გადამირჩენია.

გაიხარა მეფის ვაჟმა. დაუფიქრებლად პირდაპირ ცოლობა სთხოვა. მისი სუსტი წერტილი იყო: „ღირსეული ასული, ულამაზესი, ქერა თმით, ცისფერ თვალება ექიმი“.

ამბავი ასე ყოფილა: მთებს იქით ცხოვრობდა ღირსეული ოჯახი. ეს ნუნუ ექიმის ოჯახი იყო. ყველა ოჯახის წევრები ექიმები იყვნენ. მიუხედავად ამისა ცხრათავიანი დევი დრაჯარობდა ექიმებს, ის იღებდა ხარკს ოქრო-ვერცხლის სახით მკურნალობის საფასურად. ნუნუ ექიმი კი ჩუმად დადიოდა ოჯახ-ოჯახ ავადმყოფებთან სახლებში, უანგაროდ მკურნალობდა მათ. ცხრათავიანი დევის თვალებს არ გამოპარვია ეს ამბავი, საშინლად განრისხდა. ნუნუს სილამაზით მოჯადოებულმა დევმა ვერ გაიმეტა ის სასტიკი დასჯისთვის.

„თბილ ქალაქში“ გადაისროლა, მეფის ვაჟის მირიანის სამფლობელოში. ვარდების ბაღში ულამაზეს „ვარდად“ აქცია. ერთ მშვენიერ დილას როდესაც ბაღის სილამაზით ტკბებოდა მირიანი, ყურადღება მიაქცია ულამაზეს ვარდს, ვარდი მოწყვიტა დაყნოსა და მოხდა სასწაული ვარდი ქალწულად გადაიქცა. ეს მშვნიერი ნუნუ იყო. მირიანმა პირდაპირ ცოლობა სთხოვა ამ ულამაზეს ასულს და უთხრა: პატიოსანი მარგალიტი ხარ ვარსკვლავცვენიდან.

მირიანი და ნუნუ დაქორწინდნენ. თბილ ქალქში დიდი სიხარული იყო. ხედავთ ჩემო ძვირფასებო ისევ და ისევ სიკეთე.

ძილი ნებისა ჩემო პატარებო.

კარტოფილი

მთელს მსოფლიოში არ არსებობს ბავშვი, რომ არ უყვარდეს შემწვარი კარტოფილი.

მეზღაპრმაც გადაწყვიტა აიღოს თავის ჯადოსნური ჯოხი, საქართველოს ყველა კუთხეს შემოუფრინოს, სადილობისას დააკვირდეს, პატარებს თუ რას მიირთმევენ.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და ჩვენი მეზღაპრე პირველად კახეთს ესტუმრა. შეაღო კარი სადილობისას ერთ-ერთ ოჯახში.

სადილობენ: ოჯახის ბურჯი მამა-მარჩენალი, დედა შესანიშნავი დიასახლისი, ბებო თამარი. ორი პატარა დები ნია და ქეთო. სუფრაზე დახვავებულია საჭმელ-სანოვაგე. ხაშლამას ორთქლი ასდის, გულ-ღვიძლი სასწაული სურნელით. კახური ღვინო და კახური პური, რაც მთავარია კეთილი გული, მაგრამ... ეს ორი პატარა თავჩაღუნული ზის ლამის იტირონ.

– გოგონებო რატომ არაფერს მიირთმევთ? – ეკითხება დედა.

ჩვენ შემწვარი კარტოფილი გვინდა, ბებოს შემწვარი. გასაგებია – კარი გამოიხურა მეზღაპრემ და... ახლა ქართლს მიაშურა. იქაც შეაღო ერთ-ერთ წარმატებული ოჯახის კარი. უძვირფასესი სუფრა. შენ მხოლოდ ინატრე ადამიანო და ყველაფერი უხვად ამშვენებს ქართლის სუფრას. ოჯახს ოთხი შვილი ყავს: ნინო და გიო ოთხი წლისები ტყუპები, ლევანი და მედიკო მოზრდილები. ამ ბავშვებმაც შემწვარი კარტოფილი მოითხოვეს. დატრიალობდა დედა და შებრაწულ კარტოფილი მიართვა თავის საყვარელ შვილებს.

ყველა კუთხე შემოიარა მეზღაპრემ. თავის ჯადოსნურ ჯოხს სადაც შემოკრავდა ის კარი თავისით იღებოდა სასწაული კი ის იყო, ყველა ბავშვს უყვარს შემწვარი კარტოფილი.

სასაცილო იყო სამეგრელოს ისტორია. სამეგრელოს ერთ—ერთ ლამაზ სოფელში, მაგიდასთან ძალიან ბევრი ბავშვი ზის. ამ ოჯახის შვილები. ჯამებში მადის აღმძვრელი სიმინდის ფაფაა. დედა ხშირად შემოდის და ეუბნება შვილებს:

– ჭკომით თქვანი ჭირიმათ.

– ვა გვოკო, კარტოფილი გვოკო.

დედამ უარი უთხრა. ყველა ბავშვმა თავზე დაიმხო ფაფიანი ჯამები. დედა იძულებული გახდა შეეწვა კარტოფილი.

დაფიქრდა ჩვენი მეზღაპრე. გადაწყვიტა როდესაც დაბრუნდა დედაქალაქში, ბაზარში წასულიყო, ვინაიდან მასაც მოუნდა შემწვარი კარტოფილი.

რას ხედავს: გოდრებით იყიდება კარტოფილი. უამრავი კარტოფილია. რაც არ მოეწონა, ეს იყო რომ კარტოილი ძალიან ტალახიანი იყო. ის დადიოდა და ეძებდა ლამაზ კარტოფილებს. მხოლოდ ერთ ადმაიანთან შენიშნა ულამაზესი თეთრი კარტოფილები.

– რა ლამაზია თქვენი კარტოფილი. რა ღირს? ამ კარტოფილს შევიძენ რა თეთრი და ფითქინაა.

– დეიდა ეს კარტოფილი ეგვიპტურია. არ გირჩევ მის შეძენას ნიტრატებით არის სავსე, ალალად უთხრა ქუთაისელმა ახალგაზრდა კაცმა.

– ეს ტალახიანი კარტოფილი კი ჩვენია. ქართული, ჯანმრთელი. ბიოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელ ჰაერზე გაზრდილია, ნატურალური წყლით ნაპკური.

მადლობის მეტი რა მეთქმის ამ ახალგაზრდა ქუთაისელისთვის. შენი მიწა-წყლის უნდა დაიფასო. ეს მაგალითი იყოს მშობლებისთვის, რომ შეიძინონ ჩვენი-ჩვენი კარტოფილი. იზრუნონ ბავშვების ჯანმრთელობისთვის.

ტკბილ ძილს გისურვებთ ჩემო პატარებო.

სიზმარში კი დაბრაწულ კარტოფილს.

ოქროსხელეგა ზურიკელა

ამბავი ასე ყოფილა: ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა პატარა ბიჭუნა, რომელსაც ნაცნობ-მეგობრები „ოქროს ხელებას“ ეძახდნენ. მას სახელად ზურიკელა ერქვა. სამეზობლოში თუ კი ვინმეს რაიმე გაუფუჭდებოდა ყველა მას ეძახდა.

– ზურიკელა ონკანი გამიფუჭდა, გთხოვ შემიკეთე...

– ზურიკელა კარები ჩამეკეტა გთხოვ გამოირე...

ზურიკელაც უსიტყვოდ, ყოველგვარი შეწუხების გარეშე გარბოდა და ყველას ეხმარებოდა.

სიცოცხლით სავსე ენერგიული, კარგად აღზრდილი ბიჭუნა ყველას სიყვარულს იმსახურებდა.

ერთ დღეს მისმა მეგობარმა კოტემ მიაკითხა ზურიკელას და დახმარება თხოვა:

– ზურიკელა ტელევიზორი გამიფუჭდა ხომ არ შეგიძლია დამეხმარო?

ვინაიდან ტელევიზორი ახალი შემოსული იყო, ყველას არც ენახა და არც საშუალება არ იყო მისი ყიდვის ყველასათვის. ზურიკელა დაფიქრდა, მას ხომ ტელევიზორი არც უნახავს და როგორ დაეხმაროს მეგობარს? უარის თქმა ნამდვილად არ შეეძლო და უნებლიედ დათანხმდა.

წავიდნენ მეგობრები – გზაში ფიქრობს ზურიკელა, ნეტა როგორია ტელევიზორი? ნეტა შევძლებ გავკეთო? მისი ოცნება იყო ტელევიზორი, მაგრამ ოჯახს მისი შეძენა არ შეეძლო. მივიდნენ კოტეს სახლში აი ეს არის ზურიკელა ჩემი ტელევიზორი შეხედა ზურიკელამ ტელევიზორს და გაუკვირდა.

– ეს ყუთია? – გაიფიქრა და ხელიც შეახო უტრიალა, დაშალა, ააწყო. მოხდა სასწაული ტელევიზორი ჩაირთო. გაიხარა კოტემ. მადლობა გადაუხადა მეგობარს დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ამასობაში დაღამებულიყო კიდეც. მიდის ზურიკელა სახლში, თან ტელევიზორზე ოცნებობს.

– რა კარგი რამე ყოფილა ტელევიზორი? ცას ახედა, მას ცაში უამრავი მეგობარი ვარსკვლავი ყავდა. ერთი ვარსკვლავი გამოეყო დანარჩენებს. ზურიკელას მიჰყვება ფეხდაფეხ თან ელაპარაკება:

– ზურიკელა ძალიან გინდა ტელევიზორი?

– ზურიკელამ ახედა ვარსკვლავს და მორცხვად უპასუხა – ძალიან მინდა.

ამასობაში ზურიკელა სახლში მივიდა, მაგრამ ეზოში დედა შემოეგება. დედა-შვილმა სასიამოვნო ლაპარაკი დაიწყო. უნებლიედ ზურიკელამ თვალი ცისკენ გააპარა. ისევ ის ვარსკვლავი.

– ზურიკელა შენს სახლში კომედის შოუ იწყება, შენ კიდევ ეზოში ზიხარ?

– შევარდა ზურიკელა სახლში და რას ხედავს უზარმაზარი ტელევიზორი...

ოცნებები სრულდება ჩემო ძვირფასო მკითხველო. მთავარია იმედი...

კლიმენტ კიკალიშვილი

„ფესტოსის დისკოს“ ზუგდიდმა უმასპინძლა

2015 წლის 23 იანვარს საზოგადოება „ზუგდიდელის“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ზუგდიდის მერიისა და საკრებულოს მონვევით ქალაქ ზუგდიდში ჩამოვიდა მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი, „ფესტოსის დისკოსა“ და სხვა – ხაზოვანი დამწერლობის გამშიფრავი ბატონი გია კვაშილავა. მან ზუგდიდის ფართო საზოგადოებას გააცნო მისი გენიალური გამოკვლევების შედეგები, უძველესი და უპირველესი დამწერლობების დეშიფრირების შესახებ. ბატონი გია კვაშილავას ჩამობრძანება აღნიშნული საკითხების გარშემო სამეცნიერო სესიის ჩატარების მიზნით ზუგდიდში, წინასწარ გაზიარებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვაელობასთან.

თბილისიდან დელეგაცია ქ. ზუგდიდში ჩამოვიდა 23 იანვარს დილის 10 საათზე, რომლებსაც ქალაქის ცენტრში შეხვდა საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის მოადგილე ბატონი მურმან ნაჭყებია, წევრები კარლო ვეკუა და თქვენი მონამორჩილი (კ.კ).

ბატონ გია კვაშილავასთან ერთად დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის პოლიციის აკადემიის პრორექტორი სასწავლო დარგში ბატონი ალექსანდრე კვაშილავა (გიას ბიძა), სოფლის მერნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი ბატონი ონერ ძაძუა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი და ჟურნალისტი, ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი ბატონი სიმონ ზქარაია (დელეგაციის ხელმძღვანელი). სტუმრები მივიპატიჟეთ საზოგადოება „ზუგდიდელის“ კუთვნილ დარბაზში, სადაც ჩამოსულებს უკვე ელოდა საქართველოში ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავჯდომარე (ადრე საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე) ბატონი ოთარ ფაცაცია. მასპინძელთა შორის იყვნენ „ზუგდიდელის“ წევრები სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ბატონი ბონდო ჯიქია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (ქუთაისი) პროფესორი თამაზ ცანავა, ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი დავით (დათო) ქობალია და სხვები. ჩამოსულმა სტუმრებმა მასპინძლებს მოკლედ გააცნეს მოხსენების ძირითადი არსი, მისი მოცულობა, ჩატარების ტექნიკური და სხვა ორგანიზაციული მხარეები. ბოლოს სტუმრებმა და მასპინძლებმა გადავინაცვლეთ ქალაქის – ალექსანდრე ღურწკაიას სახელობის საბუნებისმეტყველო გიმნაზია „ჯიჯის“ შენობაში, სადაც სესია უნდა ჩატარებულიყო. რადგანაც ძირითადი მოხსენების დაწყებამდე ორ საათზე მეტი დრო რჩებოდა, ბატონმა გია კვაშილავამ სკოლის ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად, გადაამოწმა მოხსენების ჩატარების შესაძლებლობის ტექნიკური მხარე და მთლიანად მოიწონა იგი. დარჩენილ დროში სტუმრები მასპინძლებთან ერეთად სრულყოფილად გაეცნო სკოლა-ინტერნატის ტექნიკურ აღჭურვილობას, სწავლების საინტერესო პროგრამებს, რომელიც აღიარებულია, როგორც „უმაღლესი ხარისხის სასკოლო განათლება საქართველოში“. გია კვაშილავამ სკოლის ხელმძღვანელობასთან საუბარში აღნიშნა, რომ მსგავსი სკოლა ასეთი დონის აღჭურვილობით ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ შეუნიშნავს. ბატონი გიას ასეთ შეფასებას გამოეხმაურა სკოლის დირექტორი, ბატონი ჯამბულ ნაჭყებია და დაამატა, რომ ეს სკოლა მსოფლიოში მსგავს სასწავლებელთა ოთხეულში შედის და იგი მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, როგორც აღჭურვილობით ასევე სწავლის დონით.

დღის ორი საათია, ბატომა ოთარ ფაცაციამ „ფესტოსის დისკოსა“ და სხვა – ხაზოვანი დამწერლობების დეშიფრირების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გახსნილად გამოაცხადა. სასწავლებლის სხდომათა დარბაზში დამსწრე საზოგადოება მქუხარე ოვაციით შეხვდა სახელოვან და აღიარებულ მკვლევარს, ბატონ გია კვაშილავას და დელეგაციის სხვა წევრებს. შემდეგ ბატონმა ოთარ ფაცაციამ ჩვეული დიპლომატიით დამსწრეებს მოუწოდა და გააფრთხილა კიდეც ისინი, რომ მოხსენების მიმდინარეობის პერიოდში, თავი შეეკავებინათ ადგილიდან ხმამაღალი რეპლიკებისაგან, რაც ხელს შეუშლიდა ბატონ გიას, ესოდენ ტევადი მისაღების გათვალისწინებულ რეგლამენტში განსახორციელებლად.



სცენაზე **ოთარ ფაცაცია** და **გია იკვაშილავა**

შემდეგ შესავალი სიტყვა მიეცა დელეგაციის ხელმძღვანელის ბატონ სიმონ ზაქარაიას, რომელმაც სესიის მონაწილეებს გადასცა ფაზისის აკადემიის პრეზიდენტის, ეკ. მეცნიერებათა დოქტორის ბატონ ნუგზარ ნადარაიას მისასალმებელი სიტყვა და წარმატების დიდი სურვილი. ბატონების სიმონ ზაქარაიას და ონერ ძზუას სასახელოდ უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ მათმა წინასწარ სამეცნიერო სესიის ჩატარებამდე რამდენიმე კვირით ადრე, თბილისიდან გამოგვიგზავნეს 30 ეგზემპლიარი, 50 გვერდიანი ბროშურა ,,მსოფლიოს პრეისტორიული ცივილიზაციის გაბწყინება“ (ავტორები: ს. ზაქარაია, გ. ფაცაცია, რედაქტორი ონერ ძაძუა), ამასთან ერთად ს. ზაქარაიამ წინასწარ გამოქვეყნა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ეგრისის მაცნეში“ საკმაოდ ტევადი სტატია – „უძველესი ცივილიზაცია და ქართველური ტომები“, რომლებმაც ნაწილობრივ შეავსო უძველესი დამწერლობების შესახებ ლიტერატურის წყაროების დეფიციტი ქალაქის მაცხოვრებელთათვის.

ბატონმა გია კვაშილავამ დასაწყისშივე ამცნო დამსწრეებს, რომ საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე საარქეოლოგო ქალაქ ფესტოსში, 1908 წლის 3 ივლისს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ მინოსის სასახლის ნანგრევებში გათხრებისას აღმოაჩინა თიხის მრგვალი ფირფიტა, რომლის დიამეტრია 16სმ-ი, ხოლო წონა 380 გრ. დისკის ორივე მხარეზე სპირალურად ამოტვიფრულია ოქროს ყალიბით 244 ნახატ-ნიშანი (დამწერლობა საწყის ეტაპზე იყო სილაბურ-ლოგოგრაფული). მოხსენების ტექსტი დამსწრეთათვის სრულიად გასაგები და მისაწვდომი იყო, რადგან ყოველი ნახატ-ნიშნის გამოსახულება და მათი დამამტკიცებელი არგუმენტები ეკრანზე ფერად ფერებში ნათელს ხდიდა მათ საიდუმლო ვერსიებს. დარგის მეცნიერების მიერ დადგინდა, რომ წარწერებიანი დისკო, ანუ როგორც მას შემდეგში ეწოდა „ფესტოსის დისკო“ (მისი აღმოჩენის ადგილი გახლდათ საარქეოლოგო ქალაქი ფესტოსი) არის პირველი ბეჭდვითი სიტყვის დოკუმენტი მსოფლიოში, რომლის შექმნა კორიბატების (ნახატ-ნიშნების შემქმნელების) მიერ დათარიღებულია 1850-1600 წწ. ძვ. წ. ე.ი. 4 ათასი წლის წინათ. დამსწრე საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც პირველად ისმენდა მოხსენებას უძველეს დამწერლობაზე, ძალაუნებურად უჩნდებოდა შეკითხვა, ფესტოოსის დისკო, რომელიც ქართველურ ენაზე იქნა გაშიფრული, როგორ უნდა მოხვედრილიყო ასე შორს საბერძნეთის ტერიტორიაზე. როგორც გია კვაშილავამ განაცხადა, ფესტოსის დისკოს აღმოჩენა საბერძნეთის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების მიერ სხვადასხვანაირად არის ახსნილი, მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ იმ ეპოქაში, 4 ათასი წლის წინ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ავოტოქტონური მოსახლეობა

და ეგეოსური ცივილიზაციის შემქმნელნი იყვნენ ქართველური ტომები, უპირველეს ყოვლისა პელაზგები და ეტრუსქები, მხოლოდ შემდგომ პერიოდში ხდება ბერძნული ტომების შემოსევა და მთელი ეგეოსის ტერიტორიის და მისი მოსახლეობის დაპყრობა, იბერიული ტომების და მათი კულტურის დაცემა. ის რაც მოასწრეს ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა, აღნიშნა გია კვაშილავამ, არის ის ფაქტი, რომ მათმა ხელი შეუწყვეს როგორც ბერძნულ ასევე სხვა ხალხთა პირველ დამწერლობების ჩამოყალიბებას.

მარცხნიდან (წინა რიგი) **ალიოშა კვაშილავა, თამაზ ცანავა, გია კვაშილავა, ოთარ ფაცაცია, მურმან ნაჭყებია, ვაჟა ფიფია.**
დგანან უკანა რიგში: **ამბროსი (დევი) ჭყონია, ბონდო ჯიქია, ალეკო თოდუა** და **სიმონ ზაქარაია.**

როგორც ცნობილია, თითქმის 100 წელი იკვლევდნენ მეცნიერები ან მეცნიერთა ჯგუფები თუ მოყვარულები დისკის საიდუმლოს ამოკითხვას, მაგრამ მისი ამოხსნა ვერვინ ვერ შეძლო, რადგან ისინი ამ ამოცანის გადასაწყვეტად იყენებდნენ იმ ტრადიციულ არქაულ თუ მოქმედ ენებს, რომლითაც ისინი სხვა წარწერებში წარმატებულები იყვნენ.

მინდა მთელი გულწრფელობით ავღნიშნო ჩემი და ჩემი თანამოქალაქეების სახელით, რომ გია კვაშილავას მოხსენება, რომელიც მან განახორციელა 23 იანვარს ქ. ზუგდიდში თავისი ფორმითა და შინაარსით იყო ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო სესია, რომელიც დიდხანს დაამახსოვრდება დამსწრე საზოგადოებას. ხოლო ეს განწყობილება იმდენად დიდი და საამაყო გახლდათ, რამდენადაც მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი სიტყვის დოკუმენტის შექმნა ეკუთვნოდა ჩვენს სასიქადულო წინაპრებს, უდიდესი პრეისტორიული ცივილიზაციის შემქმნელებს-იბერიულ ტომებს. დღეს მსოფლიოს მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ „ფესტოსის დისკოსა“ და სხვა ხაზოვან დამწერლობების (ბერძნამდელი დამწერლობა) გაშიფრვა, რომელიც აღმოჩენიდან 100 წელი ენიგმად რჩებოდა (1908-2000), განხორციელდა მეგრულ-ლაზურ, სვანურ და ძველი ქართული სიტყვების გამოყენებით.

შემდეგ გია გვაშილავა დამსწრეებს აუწყებს, რომ 2008 წლის პირველ ნოემბერს ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიძღვნილი იყო „ფესტოსის დისკოს“ აღმოჩენიდან 100 წლისთავზე, აკეთებს მოხსენებას – „ფესტოსის დისკო – „კოლხური (პროტოქართული) ოქროდამწერლობის გაშიფრვის შესახებ“.

მისი გამოსვლა 12 მოხსენებიდან იყო ერთადერთი, სრულყოფილი და სარწმუნო, რამაც მონაწილეთა მხარდაჭერა დაიმსახურა, შემდეგში მისი გამოკვლევები აღიარა და პრესით დაადასტურა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებმა.

ბ-ნ გია კვაშილავას, მოხსენების დამთავრების შემდეგ დამსწრე საზოგადოება დიდი ოვაციებით შეხვდა. ამით სესიამ მუშაობა დასრულა, როგორც მასპინძლები, ასევე სტუმრები სესიის მუშაობით კმაყოფილები დარჩნენ.

სესიის შემდეგ მასპინძლებმა სტუმრების საპატივცემულოდ ვახშამი გამართეს, სადაც ერთხელ კიდევ ისაუბრეს კონფერენციის ძირითად მასალებზე.

იმავე საღამოს დელეგაცია თბილისში დაბრნდა. უსაფრთხო მგზავრობას უზრუნველყოფდა ონერი ძაძუა.

მარჯვნიდან მეორე **ლაშა შამუგია, სიმონ ზაქარაია, მურმან ნაჭყებია, გია კვაშილავა, ჯამბულ ნაჭყებია...**

საბუნებისმეტყველო სკოლა-ინტერნატი „ჯიჯი“.

მარცხნიდან **ონერ ძაძუა, კლიმენ კიკალიშვილი, გია კვაშილავა, მურმან ნაჭყებია, სიმონ ზაქარაია, ალექსანდრე კვაშილავა, კარლო ვეკუა, ჯამბულ ნაჭყებია.**

სიმონ ზაქარია ონერ ძაძუა ნუგზარ კვაშილავა



გია კვაშილავას სამეცნიერო სესია აბაშაში

საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება სენსაციად წოდებული სტატიები თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნიერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლის გია კვაშილავას აღიარებულ მიღწევებზე „ფესტოსის დისკოსა“ და სხვა მონათესავე დამწერლობების დეშიფრირების თაობაზე, რომელიც ძველ კოლხური ენების გამოყენებით მოხდა. ამიტომ გახშირდა მისი ოფიციალური მოწვევები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ლექციამოხსენებების წასაკითხავად.

ნუგზარ ქობულია, ონერ ძაძუა, გია კვაშილავა, სიმონ ზაქარაია,
ნუგზარ კვაშილავა, ვახტანგ კეკელია

ამ მიზნით ბატონი გია კვაშილავა 3 აპრილს ეწვია აბაშის რაიონს, სადაც ჩვეული აღმავლობით ჩაატარა სესია, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მრავალრიცხოვან მსმენელებში. ეს „ფაზისის“ საერო აკადემიის მორიგი გამსვლელი სესია გახლდათ, რითაც იგი აკმაყოფილებს ხალხის მზარდ მოთხოვნებს უძველესი-პრეისტორიული დამწერლობების შესახებ არსებულ რეალობებზე. ხალხის ინტერესი იმდენად დიდია, რამდენადაც აღნიშნული დამწერობლების შემ-

ქმნელად მოისაზრება უძველესი ქართული ტომები, კოლხელები, რომლებმაც შრეულ წარსულში შექმნეს მაღალი კულტურის ცივილიზაცია.

ბატონ გიასთან ერთად თბილისიდან აბაშაში ჩამოვიდნენ ონერ ძაძუა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი; ნუგზარ კვაშილავა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აფზაზეთის რეგიონის თავმჯდომარე ჟურნალისტი (დელეგაციის ხელმძღვანელი); სესიაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ფაზისის აკადემიის წევრები – ვანიდან, ვანის გაზეთ „თაობის“ მთავარი რედაქტორი ნატო მეფარიშვილი, პოეტი აკაკი თევზაძე; სამტრედიიდან – გულიკო გოგიტიძე, ალეკო კრავეიშვილი, ნარგიზ გოგია; ზუგდიდიდან კლიმენტ კიკალიშვილი, ალეკო თოდუა.

დღის 2 საათზე (2015წ. 3 აპრილი) ქალაქ აბაშის ცენტრალურ კლუბში, საზოგადოება „აბაშის“ თავმჯდომარემ ვახტანგ კეკელიამ სამეცნიერო კონფერენციის მუშაობა გახსნილად გამოაცხადა. მან დამსწრე საზოგადოებას მოვლედ გააცნო გია კვაშილავას ბიოგრაფიული ცნობები, „ფესტოსის დისკოზე” მუშაობის დაწყებასა და მის დამთავრების დროზე, იმ პერიოდზე როცა მან სრულყოფილად შეძლო უძველესი დამწერლობების გაშიფვრა ქართველურ ენებზე. შემდეგ ბატონმა ვახაგნმა მათ მოუთხრო იმ წარმატებების აღიარებაზე, რომელიც მას ერგო საერთაშორისო არენაზე.

ნუგზარ ნადარაია – ფაზისის, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ეკ. მეცნიერებათა დოქტორი, **მერაბ ხოჭოლავა** – მხატვარი პერსონალური გამოფენის ავტორი, **კლიმენტი კიკალიშვილი** – მუნიციპალიტეტის მრჩეველი, **სიმონ ზაქარაია** – მეცნიერების დოქტორი, ჟურნალისტი, **ნათია ჯგუშია** – გაზეთ „ეგრისის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, **ბიეტა აბშილავა** – პოეტი.

სიტყვა ეძლევა პროფესსორ ონერ ძაძუას, მან აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში რამდენიმე სესიას დაესწრო და მონაწილე გახდა ბატონი გიას გენიალური მოხსენებებისა, რომელსაც უდიდესი წარმატებები ხვდა მსოფლიოს უძველესი დამწერლობების დეშიფრირების ურთულესი პრობლემების გადაწყვეტაში. ბატონი გ. კვაშილავას ეს ზოგადკაცობრიული გამოკვლევები ახალ რეზონანს შეიტანს ამ დარგში მანმადე, წარმოებული წარუმატებელი მეცნიერიც ამ დარგში მანამდე წარმოებული წარუმატებელ მეცნიერულ მოღვაწეობებზეც. დარწმუნენბული ვარ თვენ ო.ძაძუამ, ბატონი გ. კვაშილავა უფრო დიდ წარმატებებსა და აღიარებებს მიაღწევს.

ბატონი ვახტანგი სიტყვას აძლევს ბატონ სიმონ ზაქარაიას, მან თქვა, რომ საქართველოში პირველმა გამოაქვეყნა საკმაოდ ტევადი სტატია – „ფესტოსის დისკო“ ოთხი ათასი წლის შემდეგ თავის შემქმნელის შთამომავალს გაესაუბრა“. (გაზეთი „დიოსკრის“ №38, 2007წ). იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ათზე მეტი სტატია თუ პუბლიკაცია მაქვს გამოქვეყნებული, თვა მან როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებზე.. ასე, რომ მისი გამოკვლევების ახალ-ახალ ეტაპებს ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვები, მასთან ერთად მაქვს ბედნიერება მას ვახლდე მრავალ სამეცნიერო კონფერენციებზე, რომელსაც იგი დიდი აღმავლობით ატარებს.

ოთარ ფაცაცია – საზოაგდოება ზუგდიდელის თავმჯდომარე, **ნოდარ ჭითანავა** – მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, **როინ მეტრეველი** – საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადეიკოსი, **მურმან ესართია** – მეცნიერების დოქტორი, **შარაბ ხოჭოლავა** – მხატვარი, პერსონალური გამოფენის ავტორი.

დგანან პირველ რიგში მარცხნიდან**: სიმონ ზაქარაია, ნატო მეფარიშვილი, გია კვაშილავა, ალექსანდრე კრავეიშვილი,** უკანა რიგში მარცხნიდან: **ნუგზარ ქობულია, ვახტანგ კეკელია, ნუგზარ კვაშილავა, აკაკი თევზაძე, გულიკო გოგიტიძე** – აბაშა, 3 აპრილი, 2015 წელი

დგანან მარცხნიდან – **სიმონ ზაქარაია, ონერ ძაძუა,** უკან **ნუგზარ კვაშილავა, გვია კვაშილავა,** ბოლოს **ვახტანგ კეკელია,** ქვემოთ **ნუგზარ ქობულია** უკან დგას **კონსტანტინე გამსახურდიას** ბიუსტი. აბაშა, 3 აპრილი, 2015 წელი.

თბილისელი სტუმრების მოკლე გამოსვლებმა, მსმენელებზე გარკვეული სიცხადე შეიტანა და უფრო ინფორმირებული გახდნენ ძირითადი მოხსენების მოსასმენად.

სწორედ ამ ინფორმაციების შემდეგ ბატონი ვ. კეკელია, ძირითადი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს გია კვაშილავას. ბატონი გია იწყებს იმით, რომ რამდენიმე წუთის წინ მას ტელეფონით დაუკავშირდა ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია და წარმატებები გვისურვა მუშაობაში.

ბატონმა გ. კვაშილავამ დამსწრეებს მოახსენა თუ რა დიდი სამუშაოები გასწია მან სანამ ბოლომდე გაშიფრავდა „ფესტოსის დისკოსა“ და მის მონათესავე წარწერებს. უპირველეს ყოვლისა მომიხადა შემესწავლა როგროც მოქმედი, ისე ის არქაული ენები, რომლებსაც არქეოლოგები ტრადიციულად იყენებდნენ უძველესი წარწერების გასაშიფრავად. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა წარმატების მისაღწევად. რადგან 100 წლის მანძილზე ვერც ერთი ენით ვერე გაიშიფრა უძველესი წარწერები, ახალგაზრდა მკვლევარმა გია კვაშილავამ გამოიყენა ძველ ქართველური ენები, რომლებსაც მიუთითებდნენ დიდი მეცნიერები ჰუმბულტი, შახენმაიერი და სხვები და სხვები, ასევე მე-19 საუკუნის მეცნიერ-მკვლევარი ჰერბესტ ძებიში, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა და ასაბუთებდა ქართველური ენების ჩართვას „ფესტსის დისკოსა“ და სხვა. მონათესავე დამწერლობების ამოსაკითხავად. სწორედ ქართველური კოლხური ენების გამოყენებით მიაღწია გია კვაშილავამ სასურველ შედეგებს. გ.კვაშილავა თავისი გამოკვლევებით წარდგა ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიძღვნილი იყო „ფესტოსის დისკოს“ აღმოჩენის 100 წლის იუბილეზე, სადაც მან უდიდეს წარმატებასადა აღიარებას მიაღწია.

ბოლოს გია კვაშილავამ მსმენელების მიერ დასმულ მრავალ შეკითხვებს ამომწურავი პასუხი ასცა. ამით კონფერენციის მუშაობა დასრულდა.

შარაბ ხოჭოლავას დამსახურებულ იუბილესთან დაკავშირებული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ზუგდიდში

2015 წლის 3 მაისს 70 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მხატვარს შარაბ ხოჭოლავას. ამ ღირსეულ თარიღთან დაკავშირებით აკადემიებმა „ფაზისმა“ და „ქალდეამ“, ასევე საქართველოს მხატვართა შემოქმედებითმა კავშირმა ხორცი შეასხა შარაბ ხოჭოლავას დიდ სურვილს თავისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ჩატარებულიყო მის მშობლიურ მხარეში - ქ. ზუგდიდში. გამოფენამდე გამომცემლობა „სვეტმა“ პოეტ-აკადემიკოს ვაჟა ეგრისელის რედაქტორობით დასტამბა შ. ხოჭოლავას ნამუშევრებზე ფერადი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გაფორმებული, სქელტანიანი (100 გვ მეტი) წიგნი „ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება“, რომელმაც პრესაში მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ჩამოსულ საპატიო სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე ბატონი გურამ ცერცვაძე. აკადემია „ფაზისის“ პრეზიდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბ-ნი ნუგზარ ნადარაია, „ფაზისის“ აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემია „ქალდეას“ ვიცე პრეზიდენტი, მეცნიერების დოქტორი, ჟურნალისტი სიმონ ზაქარაია, „ფაზისის“ აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დოქტორი, პროფ. ონერ ძაძუა, ფოთის გაზეთი „ნიკოლაძის გზით“ მთავარი რედაქტორი ბ-ნი ზურაბ აბრალავა.

პერსონალური გამოფენის გახსნის დღეს 3 მაისს გალერეას ეწვივნენ და დაათვალიერეს საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარემ, ცნობილმა სამეურნეო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ბატონმა ოთარ ფაცაციამ, ქ. ზუგდიდის მერმა ირაკლი გოგოხიამ, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ მერაბ ქვარაიამ, რაიონის საკრებულოს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ ლაშა გოგიამ, ზუგდიდის მერიის კულტურის განყოფილების გამგემ ქ-ნმა ზამირა ღადუამ, გაზეთ „ეგრისის მაცნეს“ მთავარმა რედაქტორმა, ფაზისის აკადემიის წევრმა ნათია ჯგუშიამ, ამ ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მრჩეველმა, ფაზისის აკადემიის წევრმა კლიმენტ კიკალიშვილმა, სამხატვრო გალერეას დირექტორმა, მხატვარმა, შ. ხოჭოლავას მეგობარმა ბ-ნმა აბელ კალანდიამ და სხვა.

გამოფენის დღის მე-2 ნახევარში გალერეაში ხოჭოლავას ნამუშევრების დასათვალიერებლად მობრძანდნენ საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები როინ მეტრეველი, ფრიდონ თოდუა, პროფესორი ნოდარ ჭითანავა და სხვები.

ნუგზარ ნადარაია – ფაზისის, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ეკ. მეცნიერებათა დოქტორი, **შარაბ ხოჭოლავა** – მხატვარი პერსონალური გამოფენის ავტორი, **კლიმენტი კიკალიშვილი** – მუნიციპალიტეტის მრჩეველი, **სიმონ ზაქარაია** – მეცნიერების დოქტორი, ჟურნალისტი, **ნათია ჯგუშია** – გაზეთ „ეგრისის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, **ბიეტა აბშილავა** – პოეტი.

დღის 12 საათია. საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა გურამ ცერცვაძემ შარაბ ხოჭოლავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მიძღვნილი დაბადების 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გახსნილად გამოაცხადა.

ბატონმა გურამმა გალერეაში მოსულ მრავალრიცხოვან დამთვალიერებლებს მოკლედ გაიცნო მხატვარ შარაბ ხოჭოლავას რთული, ხანგრძლივი და წარმატებული გზა დიდი ხელოვნებისაკენ.

შ. ხოჭოლავა, აღნიშნა მან, თავისი ნამუშევრებით მონაწილეობდა მოსკოვის, პოლონეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, იაპონიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების საერთაშორისო გამოფენებში, სდაც არა ერთი დიპლომი და სიგელი დაიმსახურა. მისი შემოქმედებითი მონაცემები – თქვა ორატორმა, შეტანილია საქართველოს ხელოვნების ლექსიკონში „ვინ, ვინ არის“ - თბილისი 2003 წ.

ჩვენდა გასახარად ბატონი შ. ხოჭოლავას შემოქმედება შევიდა „მსოფლიოს ხელოვანთა ლექსიკონში“, ლაიბციგი – 1998 წელი.

ბოლოს ბატონმა გურამმა დიდი წარმატებები უსურვა იუბილარს თავისი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა „ფაზისის“ სამეცნიერო-საერო აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია. მან აღნიშნა, რომ შესანიშნავი ქართველი მხატვრის შარაბ ხოჭოლავას ნაწარმოებებს კარგა ხანია იცნობს და მას დიდ შეფასებას აძლევს. ბატონმა შარაბმა, თქვა მან, 2011 წელს „ფაზისისა“ და „ქალადეას“ აკადემიების უშაუალო მხარდაჭერით, სამების საკათედრო ტაძრის ახალგზარდა შემოქმედთა დარბაზში მოაწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, სადაც მან 100-ზე მეტი ექსპონანტი წარუდგინა დამთვალიერებლებს. მაშინ მისმა ნაწარმეობებმა პრესისა და საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. და დღეს, აღნიშნავს ბატონი პრეზიდენტი, მე ვხედავ შარაბის ახალ ნამუშევრებს, რომლებმაც კიდევ უფრო დაამშვენა მისი აღმავალი შემოქმედება, რაც ძალიან მახარებს. ბოლოს, ორატორმა ერთხელ კიდევ გულთბილად მიულოცა 70 წლის ღირსეული იუბილე და წარმატებული გამოფენა მშობლიურ ზუგდიდში.

ნოდარ ჭითანავა – მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, **როინ მეტრეველი** – საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადეიკოსი, **ოთარ ფაცაცია** – საზოაგდოება ზუგდიდელის თავმჯდომარე, **შარაბ ხოჭოლავა** – მხატვარი, პერსონალური გამოფენის ავტორი...

შემდეგ ბატონი გურამი სიტყვას აძლევს სიმონ ზაქარაიას. იმის გამო, რომ შარაბ ხოჭოლავას პერსონალური გამოფენის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს პრეზიდენტი, პოეტ-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი შეუძლოდ შეიქმნა, ამიტომ გამოფენაზე აკადემია წარმოადგინა მისმა ვიცე პრეზიდენტმა, მეცნიერების დოქტორმა ჟურნალისტმა სიმონ ზაქარაიამ. შარაბ ხოჭოლავას მრავალეფეროვან და საინტერესო შემოქმედებას თქვა მან 10 წელზე მეტია კარგად ვიცნობ, მე მისი შესანიშნავი ნამუშეევრების თაყვანისმეცემელი გახლავართ. მხატვრის ნამუშევრებზე არა ერთი პუბლიკაცია გამომიქვეყნებია საქართველოს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. თბილისში 2011 წელს სამების საკათედრო ტაძრის საგამოფენო დარბაზში შედგა მისი პერსონალური გამოფენა 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მაშინ გამოფენამ მაღალი შეფასება მიიღო, რო-

გორც სპეციალისტებისაგან, ასევე ხელოვნების მოყვალური საზოგადოებისაგან. შემდეგ ბატონმა სიმონმა გალერეას დამთვალიერებ;ლების, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო შარაბ ხოჭოლავას იმ შესანიშნავ ნამუშევრებს, რომელიც მხატვრის ამაღლებული ხელწერაა. ესაა „ნათელი სიბნელესა შინა“, „გუთნის დედა“, „მეგი“, „სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან“, „ძველი თბილისი“, „გახედვნა“, „სვანეთი“ და სხვა.

სიტყვა ეძლევა ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს მუნიციპალიტეტის მრჩეველს ბატონ კლიმენტ კიკალიშვილს. მან აღნიშნა, რომ „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ზუგდიდში ჩატარდა შესანიშნავი სამეცნიერო კონფერენცია „ფესტოსის დისკოს“ გაშიფვრასთან დაკავშირებით, რომელსაც უძღვებოდა მსოფლიოში აღიარებული ახალგაზრდა მკვლევარი გია კვაშილავა და დღევანდელი ბრწყინვალე პერსონალური გამოფენა შარაბ ხოჭოლავას ნამუშევრებისა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვან ღონისძიებების ჩატარებას ზუგდიდის ადგილობრივ მმართველობასთან ერთად აქტიურ მონაწილოებას ღებულობს ბატონი სიმონ ზაქარაია, მადლობა ამისათვის მას. ონერი ძაძუა - მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, ფაზისის აკადემიის წევრი. გუშინ ავადმყოფობის გამო,გამოფენის გახსნას ვერ დავესწარი, მაგრამ მომდევნო დღეებში ნამდვილად ვისიამოვნე დიდი მხატვრის ნამუშევრების ნახვით – თქვა მან. ბატონმა შარაბმა ერთი კვირით ადრე გადმომცა მოსაწვევი ბარათი და მიბოძა მისი ახალი ლამაზად გაფორმებული წიგნი – „ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება“, რომელიც ჩემი ოჯახის ბიბლიოთეკაში ძვირფას რელიქვიად დარჩება.

ბატონმა გ. ცერცვაძემ დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ შარაბის იუბილეს და პერსონალურ გამოფენასთან დაკავშირებით ჰოლანდიიდან სპეციალურად ჩამოვიდა ქალიშვილი ნინო თავისი ორი ვაჟიშვილითლუკა და ლეო (16-18 წლის), ასევე მხატვარს თან ახლდა მეუღლე, დამსახურებული მსახიობი ქალბატონი ციალა ხოჭოლავა – ვაჟიშვილი თამაზი ოჯახით, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა და დაამშვენა ეს შესანიშნავი ღონისძიება.

ბოლოს გალერეაში მყოფ საზოგადოებას საკმაოდ ვრცელი სიტყვით მიმართა. შარაბის ,მეუღლემ ქალბატონმა ციალა შიოშვილი-ხოჭოლავა მან აღნიშნა, გარდა იმისა, რომ ჩემი მეუღლე ბატონი შარაბი არა მარტო ცნობილი მხატვარია, ის შესანიშნავი მეოჯახეა და ერთგული მეუღლე. ჩვენ გვჯერა, რომ შარაბი დიდი ენთუზიაზმით გაგრძელებს თავის საყვარელ საქმეს ხელოვნებაში, ვისურვებდი ოჯახურ ბედნიერებას.

ბოლოს რამდენიმე მონაწილეს მივმართეთ შეკითხვით – როგორ მოეწონათ გამოფენა:

მურმან ესართია ზუგდიდელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, უნდა აღვნიშნო, მრომ ჩვენს ქალაქში განებივრებულები არა ვართ ასეთი დონის ხშირი გამოფენებით, ამიტომ ვართ ემოციებში, მით უფრო, რომ ბატონი შარაბი ჩვენი თანაქალაქელია. ის რაც ამ ნამუშევრებში მე შევამჩნიე, ეს არის მისი განსხვავებული და დამახასიათებელი ხელწერა, რაც კიდევ უფრო ამშვენებს მის ნახტებს. წარმატებებსა და ბედნიერებას ვუსურვებ შესანიშნავ ხელოვანს შარაბ ხოჭოლავას.

მიმოზა ახალაია – ზუგდიდელი: მე დღეს ორმაგად გახარებული ვარ, ჯერ ერთი ჩემი თანაკლასელი, ჩემი კურსის ჯგუფხელი სიმონ ზაქარაია მიზეზთა გამო ორი ათეული წელია არ მინახია და დღეს შევხვდით ერთმანეთს, მეორე – ბატონ შარაბ ხოჭოლავას ნამუშევრებით დიდად ნასიამოვნები ვარ, მე ვხედავ თუ რამდენად კმაყოფილია დღეს ჩემი თანამოქალაქეები ამ ბრწყინვალე ნამუშევრების გამოფენით. წარმატებებს ვუსურვებ შესანიშნავ შემოქმედს შარაბ ხოჭოლავას მომავალშიც.

მხატვარი **შარაბ ხოჭოლავა**

მეგი



ძველი თბილისი **ნათელის შემოსვლა**

თინათინ ჯაჭვაძე

ბეჟან ხარაიშვილი 1954 წელს დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ ხვანში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა. უყვარდა ქართული ლიტერატურა, ფოლკლორი, ლექსი... ზოგადად, ყოველივე ქართული.

ახოვანი და მოკრძალებული იყო – ასეთი დარჩა ჩვენს ხსოვნაში. ნიჭიერი, იმედისმომცემი, სულით პოეტი. ბევრი კარგი ლექსის ავტორი... დღეს მოგონებათა ლურჯ სამყაროში გადასული...

... კვლავ რაჭაში ვარ. ყველაფერი კარგი და ლამაზი ორ სამყაროს უკავშირდება. უნიერსიტეტს და სოფელს. იქ არის მთელი ჩემი ბავშური სამყარო ჩაკარგული. ვზივარ ბებერი კაკლის ქვეშ, გავცქერი ხვამლის დანისლულ მთებს ჩემი ეზოდან და თბილი, თბილი მოგონებები მიწვდიან ხელს.

რა მოიტანა და რა წაიღო დრომ?!
ო, რა საოცარი განცდა მიპყრობს!

ნუთუ ოდესმე მართლა ვიყავი თეთრი ტაძრის ყოველდღიური სტუმარი?! იქნებ ფერადი სიზმარი იყო ყოველივე? როგორი შინაური მეგონა თავი, ყველაფერი ჩემი იყო გარშემო. რუსთაველის კაბინეტი – ჩემი სულის სადგური – იდუმალებით მოცული მეგონა რატომღაც. უჩვეულო დაბნეულობა შემიპყრობდა, როცა შიგ შევდიოდი. ძირითადად მეორე სართულზე ვიკრიბებოდით: მე, ციცო, ანა, რუსიკო, ლევანი, ლექსო, ბეჟანი, – ოი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!

...ავტობუსი თეთრ ტაძართან გაჩერდა. ხალხის ტალთა ძლივს გამოვარღვიე და გაჭირვებით ჩამოვედი. უეცრად სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული ვაჟი მომეჭრა და, ყურებამდე გაღიმებულმა გადამკოცნა. სასაცილი იყო: ჯერ კოცნა დავუბრუნე, ცნობით კი მერე ვიცანი – ბეჟანი იყო. ბეჟანი დაბრუნდა ჯარიდან! ეს ამბავი იმ საღამოსვე აღვნიშნეთ უნივერსიტეტის ბაღში, ზოოპარკს რომ გადასცქერის. იქ ხშირად ვიკრიბებოდით. ვითომ ვმხიარულობდით. ყველას ერთად და ცალ-ცალკე გული გვტკიოდა:

„გულთან არ დამადო ხელი,
მტკივა...
მტკივა...
და
დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.
ეჭვის მახრეებით“.
რა აწუხებდა?
ხვედრი პოეტთა!

მირზას ბედზე ხშირად დაფიქრებულა „პოეტები ბრძოლაში ადრე მიდიანო“. მაინც სად დასრულდა მირზას ლექსის სტრიქონი? მძიმე ჰქონია ხვედრი:

„ტყვიებს უკორტნია ყორანივით,
კშილებს უფრქვევიათ ბროლი,
პირიდან მძიმე-მძიმე
ბოლო ამოსვლია,
დაუწერელი ლექსების ბოლი“.

ბეჟანის ნატვრა უნაკლო და, მართლაც, საოცნებო ჰქონდა.

„იქნებ ვინმე მადლიანმა
მოგვთხოვოს სული იაკობივით
და მოგვჭრას მარჯვენა
გაღმა-გამოღმა ნაშენები კედლებისათვის“.

სულს უშფოთებდა „დაცლილი სოფლების სიცარიელე“.

რაჭაზე ვსაუბრობდით, თვითონ იმერელი იყო. მე, დედით რაჭველი, რაჭველობას ვჩემულობდი მუდამ, რადგან სოფელს იქ გავეცანი და შევიყვარე. მამა და მისი წინაპრები თბილისლები იყვნენ.

ბეჟანი მახსენებდა ხშირად, თითქოს ნიშნისგებით:

„იმერეთო, მაინც შენ მირჩევნიხარ,
კარზე ბოქლომაკიდებულ რაჭას“.

მაგრამ ეს ასე არ იყო. მასაც ტკიოდა რაჭის ტკივილი. მთელი საქართველო გულზე ეკიდა. „დღეგრძელი იყოს საქართველო უკუნისამდეო“. – წერდა.



წითლად ღვიოდა მისი ახალგაზრდული, ვაჟკაცური შემართება და სპეტაკი სული. მაგრამ, როგორც წითელ „ყაყაჩოს თხელ ფარფლებზე შავად ნაფერი შავი წყვეტილი“, მის სიცოცხლესაც შავი მრავალწერტილები დასტრიალებდნენ, თურმე თავს. გრძნობდა ამას? მაშ, რატომ ეკითხებოდა თავის თავს:

„ვისთვის კვდებოდი,
ვისთვის ქრებოდი,
თაფლიც, ო, თაფლიც, ხედავ? – გემწარის,
ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწარი
ისე დათოვა შენი მწვერვალი“.

ტყემლების თეთრმა სიმფონიამ იმარჯვა, მთაში შეციებულმა ღელეებმა ბარად იწყეს ჩამოსვლა, ბუხარი დუმილში ხრჩოლავდა, ქარი – შეშლილი ფოსტალიონი ბარათებს უმისამართოდ ჰკარგავდა, მგლების ამარა დარჩენილი სოფელი შვილებს უხმობდა.

„ჯვარი აქაურობას,
ჯვარი აქაურობას
რამ გამახსენა ნოეს კიდობანი?!“
შეძრწუნებულმა იკითხა ბეჟანმა.

ფიროსმანს შესცინა და მასავით ბახუსში ჩაეფლო. სძლია ბახუსმა: გალაკტიონი, ფიროსმანი, ტერენტი გრანელი...

ბახუსი და დეპრესია... ნელ-ნლეა, ნელ-ნელა შემოეპარა და მოეძალა ვაჟკაცრ სხეულს და უნაზეს სულს თეთრი თოლია – ზამთარი – დაეპატრონა თეთრი ქარი თმას უწეწავდა, თმასთან ერთად – სულს. გული კი ცხელი, ცხელი დარჩა. იმედთან ალერსი სურდა, მაგრამ.

„გამთეინისას აღარ სჩანდა სულის ნაფლეთიც
სიცარიელეს ამოევსო სიცარიელე“.

რა მოხდა, ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადეო – იკითხა მან. რა დაემართა დავითის, თამარის, ცოტნეს საქართველოს? „მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად, თუ საქართველოს სისხლი უთეთრდება“.

ვერ ეგუებოდა ვერაფერს არა ქართულს.

XX საუკუნის 70-იანი წლები იყო. რუსიდიკატული აპოლიტიკა. მე „საქართველოს ეშხით ვბარბაცებო“ – ამბობდა.

სვეტიცხოველი, ჯვარი, ალავერდი... თუში-ფშავი-ხევსურეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთი – ყველაფერი, რაც ქართული იყო, მისი სალოცავი იყო, მისი საფიცარი. უნაზესი ფერებით ამკობდა მათ, სიყვარულშიც ფაქიზ სულს:

„ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!“

გაზაფხულის ერთ თბილ დღეს ყინწვისს ვესტუმრეთ. სანთელი ავუნთეთ ანგელოზს, შევავედრეთ საქართველოს მომავალი. შენ რა შეთხოვე, ბეჟან, ყინწვისის ფრთიან ანგელოზს: ქვეყნის კეთილდღეობა? საყვარელი გოგონას თანაგრძნობა? რად არ შესთხოვე ცოტაოდენი ბედნიერება, ნახევარი საუკუნის სიცოცხლე, რომ დავაჟკაცებული გენახა შენი ლაშა, ახლა უკვე კაცობაში შესული, შენი ტოლივით რომ დააბიჯებს თბილისის ქუჩებში.

მუდამ ბავშვი დარჩები ჩვენს ხსოვნაში. კუნთმაგარი, ჯანმრთელი აგებულების, გულუბრყვილო, სუფთა, უაღრესად ნიჭიერი, თანდაყოლილი პოეტური სულით.

... უამრავმა მსემენლმა მოიყარა თავი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როცა ბეჟანის ლექსების განხილვა მოეწყო. ჯერ კიდევ მაშინ ვაღიარეთ იგი პოეტად. იდგა ჩვენს წინ სრულიად ჭაბუკი, ყველასათვის უცნობი მომავალი პოეტის (შეწყვეტილი სიმღერა) და ნაწყენი შეთხოვდა განგებას:

„... და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,
მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე,
ჯიშიან ძვლებთან, მკბენდეს სიცივე...
და კარს უღებდეს უცხო ტურისტებს
ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო,
გადამავიწყე დიდი თურქობა,
გადმიშვი, მთაო!“

საკუთარ ქვეყანაზე დარდი ბოჭავდა. უყვარდა ლექსი, სადაც მისი სადარდელი კარგად იყო გასიგრძეგანებული. ამიტირდაო მუხრანი, ანა... გათეთრებული ქართველის სისხლზე ამოსულაო ძახველი. ხმელი წიფლისათვის სანედლო ფესვი მინდა ვიყოო.

საქართველოს ეძებდა ყველგან:

„ჭია-ჭია, მაპოვნინე საქართველო!
თორემ სისხლი უცხო სისხლთან აღარ ფერობს,
სხვისმა მიწამ ამომთუთქა ფეხის გული,
დარდი ღმუის ჩემანირთა, განა ვმღერი?!
ჭია, ჭია, მაპოვნინე საქართველო.“

ბეჟანი ყოველთვის პოეტური იყო, სიტყვასთან ჭიდილშიც და ყოველდღიურ ყოფაშიც. მახსოვს, ერთხელ უნივერსიტეტის ბაღიდან გადავედით ზოოპარკში. შორს, მიუვალში, უცნობი თეთრი ყვავილი ჩანდა. მოგვეწონა გოგონებს. არაფერი გვითხოვია, ისე ამოგვიტანა იმ ღელიდან ბუნების მშვენება.

მოყვრებთან ერთად, მეგობრებიც მიგვიპატიჟა იმ მარტის თვეში, ხვანში. ვეება გვირილების თაიგული გამომატანა წამოსვლისას. იცოდა, ძალზედ რომ მიყვარდა ეს მინდვრის პატარძალი

უჭირდა ბეჟან ხარაიშვილს, ფხიზელი თვალით ემზირა „ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლისათვის“ არ ასრულდა მისი წინასწარმეტყველება:

„მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!“

გული შეგვიღონდა, როცა საახალწლოდ სამზადისში გართულებს, „წუნკალ“ დეკემბერში ბეჟანის სიკვდილი შეგვატყობინეს. ვაჟკაცი გალეული ვიხილეთ სიკვდილის სარეცელზე!

იანვრის ქარბუქში მიწას მივაბარეთ ეს გულუბრყვილო და დიდი ბავშვი. ამოტივტივდა ბეჟანის ბაგეებით წარმოთქმული გალაკტიონის „თოვლი“, ასე რომ უყვარდა მას:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან დენა“

დამეუფლა „მწუხარე გრძნობა ცივი სისველით“... გვენატრები, ბეჟან, ისე, „ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“. ეს მონატრება ვეღარ დაიტია შენი უახლოესი მეგობრის ლევანის გულმა. თვითონაც პოეტმა კარგად იცოდა შენი ლექსის და სიტყვის ფასი. მივიწყების საშუალება არ მისცა მათ.

1992 წელს ლევან ბაბუხადიამ გამოსცა ბეჟან ხარაიშვილის ლექსთა კრებული „სადღეგრძელო“.

გარეკანის პირველ გვერდზე ვკითხულობთ:

„ბეჟან ხარაიშვილს ძალიან უვარდა კარგი სადღეგრძელოები... მისი მეგობრები და ახლობლები კარგა ხანია მისი სპეტაკი სულის შესანდობარს ვსვამთ. გვინდა, ეს პატარა წიგნი მისი ალალი ლექსების სადღეგრძელო იყოს!“

ამინ!

რედაქტორისაგან

ამ წერილის დაწერის შემდეგ ძალიან ბევრი რამ მოხდა. საჩხერის რაიონის ჭალვანის საჯარო სკოლას მიენიჭა ბეჟანის სახელი. გამოვიდა პოეტური და პროზაული წიგნი „ხვედრი პოეტთა“, ლევან ბაბუხადიას რედაქტორობით. ლევანმა ოცდაათი წლის შენახული გაცრეცილი ფურცლები, ბეჟანის ხელნაწერები მოიძია და გამოუშვა ახალი წიგნი. ახლა კი კვლავ მესამე წიგნზე მუშაობს. ლევანი ასეთი სიტყვებით ეფერება ბეჟან ხარაიშვილს: ყველაფერი უნდა გაგიკეთო ბეჟან, მერე კი მოვალ, აბა, სად წავალო. ანა ბოდბელი, მისი თანაკურსელი კი, ბეჟანის სულისათვის ლოცულობს ბოდბის მონასტერში. მე კი, მისი და (გულნაზ ხარაიშვილი), შევთხოვ ბეჟანის სულს: ილოცოს საქართველოსათვის, მისი საყვარელი მეგობრებისათვის და თავისი დანატოვარი შვილის, რძლისა და შვილიშვილისათვის. 30 წლის ბეჟანი ახლა უკვე ბაბუაა და ორი თვალხატულა შვილიშვილი ჰყავს, გვანცა და ბარბი ხარაიშვილები.



გვანცა და ბარბი

გულნაზი ხარაიშვილი იუბილარია
პოეტისა და რედაქტორის ღირსეული იუბილე

გულნაზ ხარაიშვილი – 65

„ყოველი ახალი ლიტერატურული ორგანოს დაბადება
ერის კულტურულ ცხოვრებაში მოვლენას წარმოადგენს.
ის ჩვენი ქვეყნის სიცოცხლის გახანგრძლივების უტყუარი ნიშანია. თუ თანამოზარეთა ჯგუფი, თავისი ნაღვაწის გამოსახატავად ახალ ჟურნალს, ან გაზეთს აარსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ჯგუფს პრეტენზია აქვს ორიგინალური სიტყვა უთხრას საზოგადოებას.

„ათინათი“ მშვენიერი სახელია, დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ ერთ შუქად მოემატება საქართველოს ლიტერატურულ სახელოვნებო დარგს.

გაძლებას, გაძლირებას, ახალი შემოქმედებითი გზების აღმოჩენას და ლიტერატურულ ცხოვრებაში დამკვიდრებას ვუსურვებ ჟურნალ „ათინათს“.

რეზო მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქართული
პოეზიის რაინდის ტიტულის მფლობელი

* * *

გულნაზ ხარაიშვილის 65 წლის იუბილე და მის მიერ დაარსებული და გამოცემული ჟურნალ „ათინათის“ 4 წლის იუბილე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა სარედაქციო საბჭომ, ჟურნალის ფურცლებზე აქტიურად მონაწილე მწერლებმა, ისტორიკოსებმა, ეკონომისტებმა, სხვადასხვა დარგის მეცნიერებმა და ხელოვნების დარგის მოღვაწეებმა.

იუბილე წარიმართა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობით მაყვალა გონაშვილისა და რეზო მიშველაძის თაოსნობით. ასევე გულნაზ ხარაიშვილის იუბილე იზეიმა ჟურნალის მრავალრიცხოვანმა მკითხველმა.

პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრების ეს საპატიო საფეხური მაინც ორგანულადაა დაკავშირებული მის მიერ თბილისში 2011 წელს დაფუძნებული და გამოცემული ლიტერატურულ

ჟურნალ „ათინათის“ მოღვაწეობასთან, რომელიც დღეს 4 წლის შემდეგ ამაყად დააბიჯებს, თითქმის მთელს საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ახალი ჟურნალის გამოცემა უამრავ სირთულებთანაა დაკავშირებული, უფრო მეტიც, სქართველოში გართულებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობების მგამო, მრავალი, საკმაოდ ცნობილი და პოპულარული ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა დაიხურა. ამიტომ ხალხი სრულად ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდებოდა, რომ არა საკუთარი ინიციატივით გამოცემული რამდენიმე ჟურნალ-გაზეთი.

რეზო მიშველაძე, გულნაზ ხარაიშვილი, მაყვალა გონაშვილი, სერგი ლომაძე, მამა გაბრიელი.

ახალი ჟურნალების დაარსება და მისი პერიოდული გამოცემა, როგორც ბატონმა რეზო მიშველაძემ ბრძანა „ქვეყნის სიცოცხლის გახანგრძლივების უტყუარი ნიშანია“.

ჟურნალ „ათინათის“ პირველი ნომრის მეორე გვერდზე, მის დაარსებასთან დაკავშირებით დაიბეჭდა რამდენიმე მისასალმებელი წერილი, რომელთა შორის უდაოდ გამოირჩევა დიდი მწერლის და შემოქმედის, შემდეგში ჟურნალის მეგობრის, პოეზიის რაინდის ბატონ რეზო მიშველაძის წერილი, რომელიც ამავე დროს მიზანმიმართული მოწოდებაცაა. ბატონი რეზოს მოსალოცი წერილი ამ სტატიის დასაწყისშია მოთავსებული. ახლა იმაზე უფრო ფართოდ, თუ როგორ შეასრულა ახალი ჟურნალის რედაქტორობა ყდის გარეთა მხარე – წმინდა ნინოს ხატი მისასალმებელ წერილში გამოთქმული სურვილები.

პირველი მოწოდება იყო ჟურნალის შენარჩუნება-გამძლეობა, რაშიც ალბათ უპირველეს ყოვლისა იგულისხმებოდა ჟურნალის აქტიური მოღვაწეობისათვის აუცილებელებლად საჭირო ფინანსების მოძიება, რაც მხოლოდ და მხოლოდ რედაქტორის პირად აქტივობაზე იყო დამოკიდებული. როგორც განვლილმა 4 წელმა გვიჩვენა ჟურნალის არც ერთ ნომერს ფინანსური კრიზისის გამო ჩავარდნა არ ქონია.

მეორე მნიშვნელოვანი მოწოდება გახლდათ, ჟურნალის „გაძლიერება“. ამ მოწოდების ფილოსოფიური არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი არსება, თუ იდეა იბადება, იზრდება და ვითარდება (რა თქმა უნდა დასასრულიც აქვს, მაგრამ ეს პროცესი ჩვენგან ძალიან შორსაა), რის გარეშე ყველაფერი სწყვეტს არსებობას. ამ კანონზომიერების მცოდნე რედაქტორი იღვწის მის გასაძლიერებლად.

მართალია, ჟურნალის პირველი ნომერიც საკმაოდ ორიგინაურად გამოიყურება, მაგრამ ვინც ყოველი ჟურნალის გამოცემას თვალ-ყურს ადევნებს აშკარად იგრძნობა მისი აღმასვლა,

ეს ლამაზად გაფორმებული ჟურნალი, (იგი ეკუთვნის ცნობილ მხატვარს რეზო ადამიას) შინაარსობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ადის. ეს იქიდანანაც ჩანს, რომ ჟურნალის ფურცლებზე არ თაკილობენ თავიანთი შრომები დაბეჭდონ ცნობილმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა. ახალგაზრდა ჟურნალისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც „ახალი შემოქმედებითი გზების აღმოჩენის“ ძიებას შეეხებოდა, რაც ქართული ლიტერატურის სინამდვილეში უდაოდ ძნელია და ხშირ შემთხვევაში მიუწვდომელიც.

რეზო მიშველაძე, გულნაზ ხარაიშვილი, მაყვალა გონაშვილი, სერგი ლომაძე

ისმის ლოგიკური კითხვა, თუ როგორ გაართვა ამ ურთულეს, მაგრამ ჟურნალისათვის მაცოცხლებელ იდეას თავი ქ-ნმა გ. ხრაიშვილმა. ჩვენდა საისმოვნოდ ეს ურთულესი პროცედურა რედაქტორმა წარმატებით გადაწყვიტა. თუ როგორ ამაზე ჩემი მცირე კომენტარები ქვემოთ.

პირველი არის ის, რომ ახალი ჟურნალის რედაქტორმა ქ-ნმა გულნაზ ხარაიშვილმა და მისმა სარედაქციო საბჭომ თავისი მუშაობა თავიდანვე წარმართა იმ მიმართულებით, რომ შეესწავლა, დაეხვეწა და თავის მუშაობაში გამოეყენებინა ის ძირითადი აპრობირებული, ტრადიციული მეთოდები, რომლებიც სხვა ჟურნალ-გაზეთების გამოცემაში წარმატებით გამოიყენებოდა.

ამით მან თავისი ჟურნალი კანონზომიერ ჩარჩოში ჩასვა და ყოველ მიმდინარეობას თავისი ადგილი მიუჩინა. ჟურნალი გახდა მრავალპროფილიანი, როგორც ეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიას შეეფერებოდა და მის პრეზიდენტს ქ. გ. ხარაიშვილს.

მეორე და უმთავრესი ის გახლავთ, რომ მან მის მიერ მოფიქრებული და შემუშავებული პროგრამის მიხედვით განახორციელა, მხატვრულად რომ ვთქვათ ჯვაროსნული ლაშქრობა საქართველოს რიგ რაიონებსა და ქალაქების სკოლებში, რათა ადგილზევე აღმოეჩინა ნიჭიერი მოსწავლეები თუ წერა-კითხვის მოყვარული ადამიანები, რომლებსაც შემდეგში რედაქტორმა ნორჩი ათინათელი და ნორჩი ლიტერატორები უწოდა. მათ მისცა საშუალება ჟურნალის ფურცლებზე თავიანთი ნიჭი გამოემჟღავნებინა ლექსებით, თუ მცირე მოცულობის პროზაული ნაწარმოებებით, ასევე ჟურნალისტური ჩვევებისადმი მიდრეკილების მქონე მოსწავლეებს შეუმუშავა, სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვით სკოლის მოსწავლეებს მიეცათ საშუალება ცნობილ პიროვნებებთან აეღოთ ინტერვიუ, რომლებიც შემდეგში იბეჭდება ჟურნალში. ამან დიდი ინტერესი აღუძრა ნორჩებს, რათა კიდევ უფრო გაეღრმავებინათ თავიანთი ჟურნალისტური მოღვაწეობა, რომლითაც ისინი უახლოვდებოდნენ თავიანთ პროფესიულ კოლეგებს.

გარდა ამისა სკოლებთან სერიოზულმა მუშაობამ აღმოაჩინა პატარა ვუნდერკინდები, რომლებიც შესანიშნავ ლექსებს წერენ. სხვებთან ერთად აღინიშვნის ღირსი არიან სოსო ხარა-

ტიშვილი ლაგოდეხიდან, თბილისის 167 საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე ირაკლი დარსალია, რუსთავის მე-20 საჯარო სკოლისმოსწავლეები ნანა და გიგა ღრუბელაშვილები და სხვა.

გარდა ამისა, როგორც თბილისში, ასევე რაიონების სკოლებში, კულტურის ცენტრებში, ბიბლიოთეკებში ტარდება გამორჩეული ნაწარმოებების პრეზენტაციები, რაც კიდევ უფრო ხლს უწყობს ნიჭიერი მოსწავლეებსა და ახალგაზრდებთან სემოქმედებითი კავშირების დამყარებას. მუშაობის ამ მეთოდმა მოლოდინს გადააჭარბა, ჟურნალს უამრავი მასალა შემოუდის, დაინტერესებულთა რაოდენობა მატულობს, რამაც სიცოცხლე გაუხანგრძლივა ჟურნალსა და იგი ბევრად საინტერესო გახადა. რედაქტორმა ასეთი მუშაობით ორი ბრძოლის ველი მოიგო – ჯერ ერთი- ახალგაზრდა თაობა ადრეულ ასაკში შემოქმედებით გზაზე დააყენა. მეორე თავისი თავიც უკვდავყო მრავალი ათეული წლების განმავლობაში.

ჩემო ძვირფასო გულიკო, დიდხანს სიცოხლესა და ბედნიერებას გისურვებ შენს დაჭრილ გულთან ერთად, იარე ჩვეული წარმატებებით წინ დიდი შემოქმედებისაკენ.

სიმონ ზაქარაია, ონერ ძაძუა

გულნაზ ხარაიშვილს

ჩემო ქალბატონო გულნაზ, თქვეთან და თქვენს ღირსეულ და მრავლისმცოდნე ქართველი ხალხისთვის საპატიო ადამიანებთან შეხვედრას, ამჯერადაც გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ ვახერხებ...

მომიტევეთ.

სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ბევრს ავსა და კარგს შეხვდები.

ჩემო, კეთილშობილო, ქალბატონო გულნაზ, თქვენც ხომ ჩვეულებრისამებრ ხვედრის ერთერთი სათაყვანო პიროვნება ბრძანდებით...

მაგრამ? და მაინც მაგრამ, – ყველაზე ნამდვილად ვერ იტყვი, – მას სამშობლო იცნობს კარგ საქმეთა მკეთებელ და ღირსეულ მამულიშვილადო. თქვენ კი, ჩემო კარგო, გამორჩეული ბრძანდებით აქტიური ადამიანური პოზიციებითაც, მიზანსწრაფულობით, სამშობლოსადმი სიყვარულით... შეგიძლიათ დიდი ერთგულება და უააღრესად დიდი მეგობრობაც...

ჩემო, სწორედ, ამ უამრავ სიკეთეთა გამო, დიდად დაფასებული. საყვარელი, ადამიანი ხართ ამჯერადაც და იქნებით, ალბათ, მუდამ...

აკეთო ამდენი საქმე იოლი არ არის, თუმცა, „რჩეულთა ხვედრი მძიმეა, სახელი – მისი უკვდავი".

ძალიან მიხარია თქვენი ახალი წიგნის დაბადება. ისიც მიხარია, რომ ერთი ახალი წიგნი შეემატება ჩემი ოჯახის წიგნის თაროს.

გისურვებ კიდევ მრავალჯერ გეზეიმოთ დაბადების დღე და მრავლად გქონდეს ახალ-ახალი წარმატებები...

ამჯერად, კიდევ ერთი სურვილი და ვფიქრობ, – მთავარიც: ჩემო კეთილო ჯანმრთელად იყავი. კარგად გყოლოდეს შენთვის სანუკვარი ოჯახი და დიდ ხანს იხარე მათი გამრავლებითა და გაძლიერებით...

მიყვარხარ...

ციალა ხაჟალია-ანდრიაძე
2015 წლის 19 აპრილი

პოეტის „სულის ძიძეში"

გულნაზ ხარაიშვილის „სულის ძიძები" არიან ბიბლიური წინასწარმეტყველები, ქართული და უცხოური კლასიკური მწერლობის ვარსკვლავები, ცნობილი ღვთისმეტყველები, ასევე, ხალხური შემოქმედების მოგვები. ხალხური ინტონაცია მკაფიოდ არის აღბეჭდილი პოეტის „სულის რელიეფზე".

დავიმოწმებთ პოეტის გამონათქვამს სერგი ლომაძის შე-სანიშნავი წიგნიდან „გზა მწვერვალისკენ“: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი უდიდესი ვარსკვლავები არიან მთელ სამყაროში, მაგრამ შოთა რუსთაველი თვითონ არის სამყარო“.

გულნაზ ხარაიშვილს გათავისებული აქვს „ვეფხის-ტყაოს-ნის“ იდეების სიღრმე. ერთგან ამბობს: „მე სიყვარულში თინათინიც ვერ შემედრება“.

ნადირ-მხეცთა და ურჩხულთა ხროვასთან იგი ისეთი უშიშარი მეომარია, როგორც ტარიელი.

ამხანაგობა-მეგობრობაში, სიკეთის თესვაში „მზის ათინათის“ ავტორი რუსთველის ავთანდილის სულიერი ორეულია.

გულნაზ ხარაიშვილს შემოქმედებითად გაუთავისებია ქართული პოეზიის აზრთა საჭეთმპყრობელების სიბრძნე, სახეობრივი აზროვნების თავისებურებები. აქ არა მიბაძვა, არამედ ჯანსაღი გავლენა, დიდი წინაპრების სულიერი იმპულსები იგულისხმება, რადგან ყოველი სიახლე წინა-მორბედთა ჯანსაღი ტრადიციებიდან არის თავისებურად ამოზრდილი.

„ყვავილი ხრამში“ ვაჟასებური ჰუმანიზმის გამოვლენით იქცევს ყურადღებას. ლექსის ავტორი თავის ვალად მიიჩნევს, ხრამის პირას ამოსული, ქარების ორომტრიალში მოქცეული და სიკვდილისთვის განწირული ყვავილი ფხვიერ მიწაში გადარგოს და გადაარჩინოს.

მისი „სევდიანი ხე“ ვაჟას „ხმელი წიფლის“ ბედშია ჩავარდნილი. გრიგალისგან გახლეჩილი, მტირალა, გვალვაში გახმობისთვის განწირულ ხეს ლექსის ლირიკული პერსონაჟი წყალს აპკურებს, მოაცოცხლებს და „ვალმოხდილად“ თვლის თავს: „... მოვედი და ტოტებს წყალი დავაპკურე, მოვაცოცხლე ხის ტოტები უცებ. თუ მოყვარედ დამიგულე შენ, წიფელო, ვალმოხდილი გავუყვები ქუჩებს“.

იფქლის ღეროს ღვარძლისგან წმენდს, ქარის დროს თაველს უბეში შეიფარებს ხვალისთვის მზრუნველი პოეტი („ათინათი“ წმინდა ნინოს მადლითაა შემოსილი), ვაჟას ჩარგალში მიაყურადებს „სულდგმულ მთებს“, ესმის ამ კავკასიონზე მიჯარული დევების სუნთქვა, უნაზესი ენძელების ჩურჩული.

ფშავში, ხევსურეთში საღვთო მადლს შეიგრძნობს.

იმერეთში „აკაკის ნატერფალზე“ დადის, „ხედავს მგოსანს, „სიყვარულით ღამენათევს“ და ამბობს: „თამადა ვარ სიყვარულის გამოხსნაში, იმერეთში სხვაფერია გაზაფხული“ (იმერეთში).

პოეტი ქალი ხედავს ფითრიან, ქარიშხლისგან კვირტებ და ფოთლებდაწყვეტილ ხეს, რომელიც ტირის, რადგან საზღვრებს იქით გაყიდულან მისი ტოლები და ლექსის ავტორი თავის ნატვრა-მოწოდებას ასე გამოხატავს: „...საღი ფესვი გაქვს, გამოისხი ისევ ყლორტები, ისევ ამაღლდი, აზვიადდი, ცად აიჭერი, შენმა შრიალმა გამახსენოს ძველი ნოტები“...

ხოლო კაცთა მოდგმას ასე მიმართავს: „ვთხოვ, კაცთა მოდგმას, კვლავ მოუხმონ სიბრძნეს, გონებას, ტყეა სიცოცხლე, გაუფრთხილდნენ და სცენ თაყვანი. მტერი მომრავლდა და აშკარად გვაქცევს მონებად, ტყე არის ჩვენი ჰაერი და ... ბავშვთა აკვანი“ (ისევ ამაღლდი).

ბიბლიაში ბაღი ებრაელი ხალხის სიმბოლოა.

გალაკტიონის პოეზიაში ტყის, ბაღის, ვენახის განადგურება, მუხების მოჭრა, ხალხის, ერის მოსპობის ტოლფარდია (მშვიდობის წიგნი, მუხები).

ანალოგიური აზრი ამოიკითხება ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, რომელშიც დარიაჩანგის ბაღის გა-ნად-გურება ერის დაცემის, დაბეჩავების პრელუდიად ჟღერს.

მრავლისმეტყველი სიმბოლოა გიორგი ლეონიძის ლექსი „ოლე“, რომელშიც „მარტოხე“ „მარტოობის შხამით“ შიგნიდანვე გამომწვარია, ხოლო „ქარის ეშვებს“, მეხს მისი მოთხრა უნდათ, „ყინვის კარჩხი“, „წვიმის შუბი“, „ღრუბლის შვავი“ ურტყამს ხედ ქცეულ „ბალღამის და ცრემლის სვეტს“, ამაოდ ელის სიყვარულს, ესმის ყორნის ყეფა და ფრთებდაწყვეტილი დაკიდებულ არწივს ჰგავს.

პოეტი ასე მიმართავს ლიახვის კლდეზე მდგარ ნამეხარ მარტოხეს: „რაშო, მიწას მიჭედილო, გასჭერ, აიქროლე, მარტოობის არტახები გადახიე, ოლე“ – რომ სთქვა: გული თუ მტკიოდა, ახლა აღარ მტკივა; რომ ლიახვის რძიან ქაფში შემოცურდე ტივად,... რომ შენ იყო ჩემს დარბაზში შუაბოძის ტოლი, რომ გრძელ ტივებს მოუძღოდე, ხეთა წინამძღოლი!“

ოლე მრავლისმეტყველი სიმბოლოა, მასში ამოიკითხება როგორც მარტოსული ადამიანის, ისე მრავალტანჯული ერის ტრაგედია.

გიორგი ლეონიძესავით სჯერა პოეტ ქალს, რომ დედის ცრემლები იას აღმოაცენებს: „ჩემი დედიკო, შენი ცრემლებით ვიცი, მიწიდან იად ამოხვალ“, სხვაგან „ენძელებია ამოსული დედის ცრემლებით“...

აშკარაა, გულნაზ ხარაიშვილი წინაპარი დიდი პოეტის სულის ტალღას მოჰყვება თავისებური გაბედულებით.

პოეტ ქალს ხელეწიფება მსოფლიოში აღიარებული გე-ნიოსების შეგონებების და ხალხური სიბრძნის ძალზე ორგანული სინთეზის (და არა სიმბიოზის) მიღება: „ბატო-ნობას იოლად ისწავლიო, გოეთეს უთქვამს... გონივრულად მართვას სხვა ნიჭი სჭირდება. შენი ნაბიჯი უაზროა. ისევ მე მთუთქავს, ფუყე თავთავთან, მეცოდები, გაგიჭირდება“ (გაგიჭირდება).

ცნობილია, „ურელიგიო კულტურა ფსევდოკულტურაა“, ჭეშმარიტი პოეზია თავისებური რელიგიაა.

სასულიერო პოეზიასთან, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, ღვთისმეტყველთა სიბრძნესთან წილნაყარია გულნაზ ხარაი-შვილის სიტყვა.

წმინდა წერილის მცნებებით, ქრისტიანული მორალით ნასაზრდოებია პოეტის სული და ამიტომ უფლება აქვს უზენაესი პოსტულატებიდან განსაჯოს საკუთარი თვალსაწიერი და ვისაც მისი სიტყვისა და საქმის ფასი შეუცვნია, არ უნდა გაუკვირდეს ასეთი გაბედული განაცხადი: „შემისწავლე, როგორც წმინდა ბიბლია“...

ტრადიციული პოემისადმი გულგრილობა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერდა, რაც, უპირველესად, სიუჟეტის იგნორირებასა და ამ ჟანრის ლირიკული ლექსის ტრადიციებთან მიახლოებაში გამოვლინდა.

გულნაზ ხარაიშვილი ჯიუტად ერთგულებს ტრადიციულს, თანაც აკროსტიქისადმი მიდრეკილებით გამოირჩევა, თუმცა არც ლირიკულ პოემას ემიჯნება, რომლის ნიმუშიცაა „ვაჟა ეგრისელი“.

ბუნებრივია, პოემის მიზანია დიდი პოეტის, ტიტანური „კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომეულის ავტორის ურთუ-ლეს სამყაროსთან მიახლოება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩანაფიქრი მიღწეულია.

ვაჟა ეგრისელი დახასიათებულია, როგორც კლდის ვეფხვი, ლომი, მთის არწივი, მისი სიბრძნისა და მშვენიერების სამყაროს მახასიათებლებია: ზღვა, ოკეანე, ქარი, მუხა, მზე, სხივი, ია, ვარდი, იასამანი, ვერხვი, წყარო, ცა, ხიდი, ოქროს მეტაფორები“.

კოლხი „ქრისტეს მხედრის“ ლექსები სახელდებულია, როგორც „ქარვის თვლები, დიდი ცოდნა, ფსალმუნები, ლოცვები, სულის მზრდელი გალობა, სულიერი შიმშილის დასაპურებელი სიტყვა, სულის სანთელი, სიტყვის ჰარმონია“.

ჭეშმარიტი პოეზიის უპირველესი თვისება მისი სას-წაულმოქმედი ძალაა და გულნაზ ხარაიშვილის დაკვირვებით, ვაჟა ეგრისელის სიტყვის „სეისმური ძალა“ ნიანგსაც აძინებს (თვით „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი თავის ლირიკას წინასწარმეტყველ ელისესავით მიცვალებულის გამაცოცხლებელ „სიტყვის ბალახს“ უწოდებს, ხოლო თავის სიტყვაში ჯადოსანი სირინოზების დამატყვევებელ ძალას ხედავს).

მინიატურაში „უმანკოებამ პოეზიით ფრთები გაშალა“, საუბარია იმაზე, რა ზემოქმედება იქონია ვაჟა ეგრისელთან შეხვედრამ გონებაარეულ ახალგაზრდებზე, როგორ მიაძინა მისმა ლექსებმა მათში თავქარიანობა, როგორ შეასხა პოეზიამ ფრთები მიჩქმალულ უმანკოებას და სულ სხვა სადინარი მისცა მოზარდის ვულკანურ ენერგიას...

ლექსში „დიდო მგოსანო“ „კოლხური ფსალმუნების“ ავტორი შედარებულია ქართული სიტყვის სამ გენიასთან: შოთა რუსთაველთან, ვაჟა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძესთან.

ვინც იცნობს ვაჟა ეგრისელის პოეზიას, ეს აზრი არც უსაფუძვლოდ მოეჩვენება და არც მკრეხელობად.

ცნობილია, რომ „კოლხი ქრისტეს მხედარი“ ბიბლიური იაკობივით ერკინება ღმერთს, ეჯიბრება დავით წინას-წარმეტყველს, პოეტების მეფეს, ხოლო ვაჟა-ფშაველა მოხსენებული ჰყავს, როგორც „ძმა, თანატოლი, მეგობარი“.

ვისაც სულის თვალით განუჭვრეტია ჩვენი თანამედროვე პოეტის უკიდეგანო სიტყვის ოკეანე, ამ განაცხადს სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს, კონკრეტულად კი ვაჟა ფშაველასა და ვაჟა ეგრისელის მთის სახისმეტყველებაზე და კიდევ ბევრ რამეზე დაკვირვება ნათელს გახდის, რომ ვაჟა ეგრისელი, მართალია, წინაპართა ტრადიციებს შემოქმედებითად ითავისებს, მაგრამ იწყებს იქ, სადაც თავდება ვაჟა ფშაველა, სადაც წყვეტს თავის სათქმელს გალაკტიონ ტაბიძე.

მთის გენიოსი ვაჟა-ფშაველა კავკასიონის დევების მეხოტბეა, ვაჟა ეგრისელმა ხედვის არეალი უფრო გააფართოვა, მთების სახეებს ფილოსოფიური, რელიგიური, ესთეტიკური დატვირთვა მისცა კოლხმა პოეტმა, ჰიმალაის, შამბალას, ანდების, პარნასის მთები, პოლარული მთა მოიხილა და გრაალის ადგილსამყოფელი მთაწმინდაზე, კოლხეთში, „ჩე გოლას“, მთასთან (სამეგრელოში) იგულვა.

რაც შეეხება რუსთაველთან ნათესაობას, არც ეს აზრია უსაფუძვლო თუნდაც იმიტომ, რომ რუსთაველივით ისიც მოციქულებრივ სიყვარულს, ანუ საღვთო სიყვარულს უმღერის, ისიც, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებივით ერკი-ნება ლომ-ვეფხვებს, ანუ მდაბალ ვნებებს, ნეგატიურ საწყი-სებს, ისიც, ტარიელივით, „ვეფხისტყავით“ მოსილია და ასევე ვეფხისტყავით მოსავს კოლხეთს. ვეფხის ტყავი კი ღვთისმეტყველთა აზრით, ვარსკვლავთა სამყაროს, ზეცის, ღმერთის სიმბოლოა, სამეფო ინიციაციის, უზენაესი გონების განსახიერებაა. ვეფხვი სიმბოლოა ქრისტესი, ხოლო ვეფხის ტყავით მოსილი ქრისტეშემოსილს ედრება (წმინდა ბასილ დიდი). კოლხი ქრისტეს მხედრის სამოსელთა შორის, განსაკუთრებით აქცენტირებულია ნათელშემოსილი, მზით-შემო-სილი, ცეცხლშემოსილი, ზეცითმოსილი. ხოლო მის ძირეულ საღვთო სახელთა რაოდენობა ასზე მეტია, რაც აღემატება რუსთაველის, გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის რელიგიურ სიმბოლიკას. ამასთან, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ მათი რაოდენობა, არამედ ორიგინალური ელფერით მოსილი, განსაკუთრებული ელვარების მქონე მეტაფორები და გვახსენდება პროფესორ ტიტე მოსიას განაცხადი, რომ „რუსთაველის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის შემდეგ ქართულ პოეზიას არ ჰყოლია უფრო დიდი მეტაფორულენოვანი პოეტი, ვიდრე ვაჟა ეგრი-სელია“ („იქმენ ნათელი“ ანუ პოეტური წარმოსახვის ფურორი“, ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“, ტ. 3, 2006, გვ. 10).

გულნაზ ხარაიშვილის ამ პოემამ (თუ ლექსმა) მერაბ კოსტავას „გალაკტიონი“ გაგვახსენა, რადგან ორივე ნაწარმოები ამ ორი პოეტის ურთულეს სამყაროში შესასვლელი უცდომელი გზამკვლელია... ვისაც აინტერესებს, გალაკტიონისა და ვაჟა ეგრისელის მიმართება, საკმარისია მოიძიოს მზის, მთვარის, ზღვის, ქარის სახეები და პრობლემები ორივე პოეტთან.

პოეტი არ ერიდება გაბედული პარალელების გავლებას ვაჟა-ფშაველასა და ვაჟა ეგრისელს შორის: „...ფშაველა მთების არის არწივი, ეგრისელი კი პოსეიდონი. ვიცი, ორივე არის ნაწილი ჩვენი სამშობლოს მთის და მინდორის“.

ცისა და მიწის მომღერალს, თავის თანამედროვეს ასე ახასიათებს ლექსის ავტორი: „შენ იცი, ქვეყნად დადის პოეტი, ვინც ცას დაადო მთვარის ბოქლომი და დასტრიალებს ვით კაპოეტი, მშობლიურ მიწას მზით მოოქროვილს“.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი „ქვეგამხედვართა“ რისხვაა, „სიბრძნის ღვინით“ სნეულთა მკურნავია, ხოლო მისი „იქმენ ნათელი“ ათასწლეულებისთვის განკუთვნილი წიგნია: „სძულს მოღალატე, ქვეშგამხედვარი და სიბრძნის ღვინით კურნავს სნეულებს, „იქმენ ნათელით“ ქრისტეს მხედარი გადაუქროლებს ათასწლეულებს“ (ვაჟა ეგრისელის პოეზია).

„სიბრძნის ღვინო“ ზეცის სავანეშია, იგი თვით ღმერთია, როგორც ესაიას წინასწარმეტყველებაში „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ (ესაია წინასწარმეტყველი, თ. 25,6).

„სიბრძნის ღვინის“ ვარიაციებია გალაკტიონის „ძველისძველი ღვინო“, „ცისფერი ღვინის“ წყურვილი, ხოლო „ძველი ღვინით“ თრობა, „მეზღვაურებისთვის“ (პოეტებისთვის) ღვინის შეთავაზება მარადიულ სიბრძნესთან, უცვლელ ჭეშმარიტებებთან ზიარების მომასწავებელია.

გამორჩეული ეპითეტებით და შედარებებით არის დახასიათებული ვაჟა ეგრისელის პოეტური იმპერია: „რუსთველს, აკაკის და გალაკტიონს არ მიწყენს ღმერთი, რომ შეგადარო, გავხარ ზღვის ტალღას, ლამაზ რიონსაც და ხელისგულზე გიდევს სამყარო. პოეზიაში? ბერმუხად დგახარ, ცის ფირუზი ხარ და ეკვატორი... შენი ლექსები ლამის ცას ასწვდეს, რიტმით, სტილით და მეტაფორებით...

ისევ და ისევ ახალ-ახალი სახეებით ხდება „კოლხური ფსალმუნების“ ხუთტომიანი, ხუთი ათას გვერდზე აღმა-ტებული კრებულების ავტორის დახასიათება: „დიდო პოე-ტო, ფრთაშეს-ხმული აზრის სარდალო, გულით გიმღერი, მოკაშკაშე ლექსით შუქმფინარს. აბა, მე თავი მუზის ღმერ-თკაცს ვით შევადარო, ო, მაპატიე, სუსტი ფრთებით თუ ახლოს ვფრინავ“.

სხვა ლექსში პოეტის რწმენით სავსე გალობით მოხიბ-ლულია თვით მაღალი ზევსიც და პარნასში იწვევს ქართველ პოეტს.

კოლხი პოსეიდონი „აზრის კუნძულზე“ თვრება „იდუმა-ლების ყანწით“, სახეთა ღრმააზ-როვნებით, „წმინდა ცეცხ-ლით“, სულის სინაზით აოცებს მისი თვალუწვდენელი მწვერვალები, ლოცვის, გალობის ინტონაციები („იქმენ ნათელის“ შთაბეჭდილება).

პოეტის სიტყვის ძალა „ააცისკროვნებს ცისარტყელას, ყინულს ადნობს, ნიანგს აძინებს ჰარმონია, აზრთან ჭიდილი, ურჩხულს ასამარებს... ნიჭით გაატრიალებს ქარბორბალას, სუსხით რომ გვყინავს, დააპურებს მთელ საქართველოს (იმედის წყაროვ).

გოდერძი ჩოხელი მიჩნეულია, როგორც „ნაწილიანი“, ანუ ღვთისგან ხელდასხმული, ნა-თელხილვის და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული, „ნაწილიანები“ არიან მისი პერსო-ნაჟებიც – თანდილა, თევდორე, დონატა...

პოეტისთვის მახლობელია რომან „მგელის“ ავტორი, ბნელი ინსტინქტების, აპოკალიფსუ-რი გველეშაპის, მგლების, ნადირ-მხეცების წინააღმდეგ მეომარი დიდი მწერალი, რადგან თვი-თონაც ვეშაპის, ნიანგის, მელიის, დათვების, „მგლების ხროვის“ ბოროტებასთან შეურიგებე-ლია: „ამ მგლების ხროვას არასოდეს არ დავნებდები“ (მგლების ხროვა).

გულნაზ ხარაიშვილის პოეზია ამაღლებულის, ტრაგიკულის, მშვენიერების, სიკეთის ფლუ-იდებით გამორჩეული ფენომენია.

ჯერ კიდევ ფსევდო ლონგინე წუხდა „ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი და სულიერ სიმაღლე-თა წვდომის ნიჭით ცხებული ნატურების იშვიათობას და ამაღლებულის უკვალოდ გაქრობას.. ბერწი ეპოქის წყევლად და საყოველთაო უბედურებად მიიჩნევდა, რასაც თავისუფალი სულის უქონლობით ხსნიდა.

ფსევდო-ლონგინეს მიხედვით, „ამაღლებულის გრძნობა ბუნებისგან თანდაყოლილია და არა განსწავლით შეძე-ნილი, ხოლო გარკვეული მეთოდი გვაწვდის ყველა ცალკეულ შემთხვევა-ში ამაღლებულის თავის დროსა და თავის ადგილას ხმარებას... ამაღლებულის ხუთი ნიშანია: „სულის სიმაღლე და სითამამე – მძაფრი და ზეაღმტაცი ვნება, აზრობრივი და სიტყვიერი ფიგუ-რების მწყობრი ერთობლიობა, სიტყვაკაზმულობა (ტროპებითა თუ ხატო-ვა-ნი გამოთქმებით მდიდარი მეტყველება, ორგანული მთლიანობა და ამაღლებულის ხარისხში აყვანილი ერთიანო-ბა“ (ამაღლე-ბულისათვის, გვ. 200, 99, 111).

გულნაზ ხარაიშვილი ასევე წილნაყარია ხალხურ სიბრძნესთან, ხალხურ ინტონაციებთან: „რასაც დათესაც, რა კარგია, იმას იმკიდე, გულის ტკივილო, შენ დააჩოქებ უღელ ხარ-კამეჩს, ცხვრის ტყავში გახვეული მგელი ხარ, ფუყე თავთავთან, მეცოდები, გაგიჭირდება, ალხანას ჩალხანები არ მოაკლდება, ერთი კი სულით ჯოჯოხეთის მაშხალასა ჰგავს, ჭყინტი ყველივით გამომწურა ფიქრმა საერთოდ, დარდის ურემი გადაყირავდა“.

პოეტური გაოცება ხალხური ელფერის მქონე სტრიქონებით გამოიხატა: „მიკვირს, სიმარ-თლეს ფეხქვეშ მიწა რატომ ეცლება, ანდა სიკეთეს რად არ ხედავს მავანთ-მავანი. უწყლოდ მცენარეს ბუნებრივად ფერი ეცვლება, ყვავმა აკენკა იმედების ყურძნის მტევანი“.

პოეტის მორალური კრედო ისევ ხალხური ინტონაციით შეიმოსა: „სხეულს რკინის ჯაჭვის პერანგს ვაცმევ, წინ შემომხვდა მხეცთა დიდი ხროვა, რაც ჩემია, მას არავის მივცემ... ჩემს ბა-ნაკში მტერი ვეღარ მოვა“ (ბანაკში მტერი ვეღარ მოვა).

„ლექსით ვაფრთიანებ... ხუნდებსა და მშვიდობის ბარ-ტყებს“ – ასე სადად გამოვლინდა პოეტის კრედო ლექსში „ველოდი ნაყოფს“.

ზეცისკენ დაუოკებელი სწრაფვა, მზის, მთვარის, ვარ-სკვლავების სავანეში სულით ხეტია-ლი, სულიერი ცის საიდუმლოებათა შეცნობის სურვილი, მზის ათინათით, მთვარის შუქით, ცი-სარტყელებით სულიერი ნათელდება გვარ-წმუნებს, რომ გულნაზ ხარაიშვილის პოეტური პლა-ნე-ტა ამაღლებულის ერთ-ერთი ძალზე შთამბეჭდავი სახეა, ის ხომ „ნარნარა, ფურცლებს ცი-სარტყელას ფერებში“ ავლებს, „ცისარტყელა ახვევია ტანზე“. მისი სტრიქონები მკითხევლის-

თვის არის ნიავი, გაზაფხული, სიკეთე, სიყვარული, ანგელოზი, მკურნავი, მეკვლე, მუხა, თბილი ტალღა, მზის ორიონი... (ჩემო მკითხველო).

სიმაღლისკენ სულის ფრთებით მიმსწრაფი „ფიქრის სერს“ აივლის, აღმართზე როდი ჩერდება, მწვერვალებისკენ აგრძელებს გზას.

ლუარა სორდია

„გულნაზ ხარაიშვილს“ საიუბილეო საღამოსათვის მიძღვნილი მოკრძალებული ლექსი მთიელ ძმისგან

მინდა თქვენთვის რამე ისეთი თბილი და ჯერ არ თქმული რამ, დავწერო რომ ყველა პოეტს და ყველა მწერალს შეშურდეს ჩემი, მაგრამ ვერ გამომდის ჩემო თბილო და უსაყვარლესო დაიავ! – თქვენ თქვენი ხელოვნებით და მაღალი ზნეობრივი სულგრძელობით დიდი მწვერვალი გაქვთ დაპყრობილი და ამ მწვერვალზე ჩემი ნაწერ-ნაბღაჯნი ვერც კი მიიდგამს კიბეს რომ თქვენ და თქვენისთანა ადამიანებს მიაწვდინოს ხმა რომ ერთ საწყალ მთიელ ბალღს ძალიან, ძლიან უყვარხართ და დიდ პატივს გცემთ, მაგრამ იქნებ ჩემმა დიდმა მთებმა მაინც მოგაწვდინოთ ჩემი თქვენდამი მადლიერება და სიკეთე, თქვენ და თქვენისთანა ადამიანებისთვის მთებიც და ღრუბლებიც საუბრობენ, მზეც და მთვარეც ხომ თქვენთვის ანათებს, მთის ცივი ნიავიც ხომ დაგოგმანობს წმიდა მწვერვალებზე. ამიტომ გავბედე და დაგიწერეთ ეს პატარა მადლობის ბარათი და ეს ჩემი გულიდან ამოსულ-ახმოხეთქილი მთიელის ლექსი. – იცოცხლე და იდღეგრძელე დაიავ გულნაზო, გიცოცხლოს მოდგმა ჯიში და ჯილაგი, ასი წელ ჯანმრთელი გვყავდი სრულიად საქართველოს წმიდა გულის ადამიანებს. ამინ.

შენი ახალგორელი დევნილი ძმა
შალვა ილურიძე

ლოცვა ქსნის ხეობიდან

გულნაზ ხარაიშვილს
იუბილეზე

იბერიელთა დედაო
ჩადრისა მანდილოსანო,
მზის სხივო, ლექსის მჭედელო
ქალავ მისანთა მგოსანო...
ქართული ენის სიწმინდევ,
ჩიქილავ პატიოსანო.
ლექსით, ხმლით, მტრისა მკვეთელო,
ჯავშ-აბჯრიანო, მშვილდოსანო...
ამდენ ტვირთ-ჭირის მნახველო
მატარებელო და მძლოსანო,
წინაპართ კვალზე აფრინდი
მტრედო, გულ-თეთრა ფრთოსანო...
ქართველ ერისთვის იწვიხარ
სანთელო, სიწმინდისანო,
შენით ვამაყობთ იბერნი.
ხარაანთ ქალავ მგოსანო...
ზოგისთვის ტკბილი ბებო ხარ,
ზოგისთვის დედა მრწოსანო.
ზოგისთვის და ხარ, ზოგის ძმაც,
გულნაზო თვალ-სხივოსანო...
ჩემთვის წიგნი ხარ ვაჟასი,
დედაც ხარ, ღვთისმშობლისანო.
დაი ხარ, დაი უტკბესი,
დამრიგებელი ძმისანო.
შენი ლექსები იბერლებს
დაგვრჩება უკვდავისანო,
ნიჭიც და ხელიც გიკურთხოს,
დედაო შავ ჩადრისანო...
გულნაზი ხარაიშვილო,
სწერე კალამო ფრთოსანო.
შენ, გიდღეგრძელოს სამშობლო,
შენ, გიდღეგრძელოს ოჯახი,
შენ, გიდღეგრძელოს კალამი.
ტკბილ მოუბარო მგოსანო...

დღეთა მწვერვალი

გულნაზ ხარაიშვილი – 65

სამი წლის წინ დავწერე წიგნი, მხატვრულ-დოკუმენტური რომანის სახით, – „გზა მწვერვალისკენ“, რომელიც ეძღვნებოდა რჩეულ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს.

სამი წლის შემდეგ, ორიათასთხუთმეტი წლის პირველ მაისს (პირველიდან ხუთამდე აღნიშნავს ხოლმე საკუთარ მრგვალ იუბილეებს, მაისის დასაწყისში), ვნახე მწვერვალი გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობისა. ეს იყო შეჯამება, ეს გახდლათ სუპერიუბილე, დიდი ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ჩატარებული, რომელიც დაემთხვა მისი ახალი და, თუ არ ვცდები, მეათე წიგნის – „დარდის პირამიდების“ გამოცემას.

წელს ხუთ დიდ იუბილეს მაინც შევესწარი, ხოლო ბატონ რეზო მიშველაძის, ქალბატონი მაყვალა გონაშვილისა და ქალბატონი გულნაზის დღეობანი სწორედაც საუკეთესო იყო მათს შორის. ხომ სწორედ ესეა დღევანდელი ლიტერატურის ტრიუმვირატი: ბატონი რეზო – ყველაზე გავლენიანი მწერალი-ლიტერატორი, და ორი ქალბატონი – მაყვალა და გულნაზი – ყველაზე გავლენიანი პოეტი-ლიტერატორები ქალთა შორის.

გულნაზ ხარაიშვილი, მაყვალა გონაშვილი, კახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე

და ამ დღეს, მაისის დასაწყისში, სწორედ ეს სამნი ისხდნენ პრეზიდიუმში (იუბილარი შუაში ჩაესვათ), პრეზიდიუმშივე ვიყავით წარმოდგენილნი მე და კახა ბაციკაძე. ამ ხუთეულს რომ ნიკო ხერკელაძე – მხატვარი-ლიტერატორი, და როსტომ ჩხეიძე დავამატოთ, რომელიც ნიკოსთან ირიბად შეჭიდულია დიდი მოურავის თემაზე, ჩვენ მივიღებთ კრებულს, იღბლად, ყველაზე გავლენიანი ლიტერატორებისას, დღესდღეობით.

მაშ, რეზო, გულნაზი და მაყვალა – ასე იყო წარმოდგენილი, მაისის იმ დღეს, მწერალთა კავშირისა და ზოგადქართული ლიტერატურის დღევანდელი დიდი ტრიუმვირატი.

და იუბილე დაიწყო.

აღარც ვიცი, ექნება თუ არა, კიდევ, ოდესმე, ჩვენი აკადემიის პრეზიდენტსა და მთელს ჩვენს აკადემიას ასეთი მწვერვალი. ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე, რამეთუ ქალბატონი გულნაზის, და, ასევე, ქალბატონი მაყვალას იუბილენი, არის საუკეთესო ყველა იმათს შორის, რომელნიც კი პოეტ-ქალთათვის, მოღვაწე-ქალთათვის გადაუხდიათ.

მაშ, ეს იყო ერთ-ერთი დიდი დღე, წლის დღე, ზეიმისა და ჩაფიქრებისათვის.

ამ საღამო-ღონისძიების გახსის პატივი მე მერგო წილად. შემდეგ მამა გაბრიელმა (წმინდა მამა გაბრიელის მოსახელემ და წმინდა მეუფე თადეოზის სულიერმა მემკვიდრემ) დალოცა ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა ყველა, როგორც უცნობი, ასევე – ცნობილნი. დიახ, ბევრი აღიარებული მოღვაწე იყო წარმოდგენილი დარბაზში.

მერე ისევ მე მერგო სიტყვა, და წამყვანობა სწრაფად გადავულოცე ქალბატონ მაყვალას (რომელმაც წარმატებით გაართვა თავი რთულ ამოცანას. მთელს ხანგრძლივ დისტანციაზე).

მერე იყო სხვადასხვა წოდება-ასაკის უამრავი გამომსვლელი, რომელთაგან ზოგი ლექსით წარსდგა მსმენელთა წინაშე, ზოგმაც სიტყვა წარმოთქვა მხოლოდ, ხოლო ანსამბლებმა – „ქსოვრელებმა“ და „ლომისმა“ თავიანთი დიდებული სიმღერები დააგუგუნეს. ყველა გამომსვლელს თავისი მკვეთრი, ჩამოქნილი აზრი ჰქონდა, და საღამოს, პრაქტიკულად, არა ჰქონია სუსტი წერტილი.

რომელი ერთი ორატორი ჩამოვთვალო!..

ის, რომ რეზო მიშველაძე ძლიერი ორატორია, საყოველთაოდაა ცნობილი...

რაც შეეხება კახას, მან მოკლე, მკვეთრი, ყოვლისდამტევი სიტყვა თქვა. შეფასება: ბრწყინვალე პოეტის ბრწყინვალე გამოსვლა...

რაც შეეხება სუპერფილოლოგს, ლუარა სორდიას, მთავარ მომხსენებელს, მან მიმოიხილა პოეტის ახალი წიგნი. აქ უფრო მთავარი სხვა რამეა: ლუარა აპირებს, რომ თვითონ შექმნას წიგნი გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. ეს იქნება რიგით მეორე სრული ნაშრომი ამ საკითხში. მივესალმები ქალბატნი ლუარას ამ გადაწყვეტილებას და დარწმუნებული ვარ, რომ იგი ჩემს ნაშრომზე უფრო სრულ, უფრო აღმატებულ წიგნს დადებს. ჩემი შრომა, ამ სფეროში, პირველი იყო (საერთოდ, მე და ჩემს მეგობრებს ბევრ რამეში გვეკუთვნის პირველობა თუ სხვადასხვა რეკორდები), ის გზის გამკვლევი იყო, ამიტომაც ფასობს, თუმცა უფრო აღმატებული გამოკვლევანი, როგროც ჩანს, აწი იქნება...

რომელი ერთი ჩამოვთვალო მეთქი. (ღონისძიების თითქმის დასასრულში გამოვიდა მხატვარი-ლეგენდა რეზო ადამია, რომელიც ეჭიდება, ფერებში, გალა-გრანელის თემებს. მეც ხშირად ვადარებ ამ ორ პოეტს და ჩემივე შედარებანი, ამ შედარებათა ნიუანსები, ათასჯერ გადავაფასე. დასკვნა კი მაინც ერთია: ბარათაშვილი, გალა, გრანელი, – დიდი ლირიკული ტრიუმვირატი, – პირველი, მეორე, მესამე ლირიკოსნი, თუმცა, ამავე დროს, სამივე – მხოლოდ პირველნი!)

რომელი ერთი გამომსვლელი გამოვარჩიო... არც ვინ... ყველა ბრწყინავდა!..

მაგრამ მაინც გამოვარჩევდი ერთ-ერთ მათგანს: ეს გახლდათ ქალბატონი ლიანა ოსიაშვილი. (იგი გამოარჩია, ასევე, ლამარა გერგედავამაც).

მანუჩარ მაჩაიძე, ვანო ოსაძე, კახა სამყურაშვილი, ოთარ ომიაძე, მარინე სხირტლაძე და 36-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები

არა, არ ბრწყინავდა იგი. პირიქით: შავით შემოსილიყო, ძაძები ემოსა. არადა, ყველთვის მხიარული გვახსოვს, ფერადი, შემართული, ანთებული... ახლა კი... მას შვილი დაეღუპა ახლა-

ხანს... და მაინც მოვიდა. არ მიატოვა ქალბატონი გულნაზი, არ გამოტოვა მისი იუბილე, მოვიდა, მიულოცა, თუმცა ლექსები კი მეტად სევდიანი წაკითხა შემაძრწუნებლად სევდიანი, მაგრამ ამ ლექსებმა დაამტკიცა სწორედ, რომ ლია არის ერთი რჩეული ოსტატთაგანი სიტყვისა. გულწრფელად ვაღიარებ: მხოლოდ ახლაღა გავიგე, რომ ის ნამდვილად არის რჩეულთაგანი, ჭეშმარიტი ოსტატი...

ქალბატონი გულნაზისადმი მიძღვნილ ექსპრომტებში გამოვარჩევდი მიმოზა ცანავას მიერ წაკითხულ ლექსს... გამოვიდა მარინა სხირტლაძეც თბილი და კლასიკური სიტყვებით.

საერთოდ, ყველა ხელოვანის შემოქმედება მრავალფეროვანია თავისებურად, და ყველა ხელოვანი სიახლეა თავისებურად, ხოლო ქალბატონი გულნაზის „დარდის პირამიდები“ ისეთი მკვეთრად ახალი სიტყვაა ქართველ ქალ პოეტთა ნამუშევრებს შორის, ბევრი ადრეული ქმნილებაც არის შეტანილი), რომ ეს წიგნი საერთოდ ერთ-ერთი საუკეთესოა ამავე სფეროში. ვიცი, მოვა დრო, და მასზე ცალკე გამოკვლევა დაიწერება, მაგრამ ჩვენ მივუბრუნდეთ იუბილის თემას (სხვათაშორის, იუბილის დროს შევხვდი განუყრელ მეგობრებს – ნიკო ხერკელაძეს და გელა ლარიაშვილს. მათთან ერთად, ასევე მერაბთან ერთად, რომელიც მათივე მეგობარია, მე და კახა ტელეობიექტივზე პოეტურ-ფილოსოფიურ-ისტორიულ გადაცემებში ვმონაწილეობთ).

იუბილეზე ფართოდ იყო წარმოდგენილი უახლესი თაობა:

საჯარო სკოლები. წარმოდგენილი იყო, ასევე, მშვენიერი მსახიობი გოგონა, რუსთავის ფორუმიდან, იქაური ფორუმის ლიდერის – ბატონი ნოდარის ქალიშვილი, და ტატო ხარატიშვილი – კახელი პოეტი-ვუნდერკინდი. წარმოდგენილი იყო გვანცა ხარაიშვილიც, რომელსაც ძალიან ძლიერ პოეტად მივიჩნევთ მე და კახა (მას, ისევე, როგორც ბევრ სხვას, „ზღვარის სკოლა“ აქვს გავლილი, და „აკადემიის სკოლაც“).

განსაკუთრებით ისახელა თავი 36-ე საჯარო სკოლამ, რომელმაც სულ პატარა ბავშვები მოიყვანა, წიწილებივით საყვარლები და ლამაზები. ეს ბავშვები სულ ზეპირად ამბობდნენ ქალბატონი გულნაზის ლექსებს, უამრავ ლექსს, რითაც გააოგნეს ბატონი რეზო და ქალბატონი მაყვალა.

არ შეიძლება აღუნიშნავი დარჩეს ის, რომ აღმოსავლელებს იმ დღეს დასავლეთელნიც შემოგვიერთდნენ, რადგანაც გულნაზ ხარაიშვილი უკვე მთელი იმერეთის, მთელი ქართლის, და მთელი საქართველოს საკუთრებაა. ლიხსიქიდან გვეწვია საჩხერის და ჭიათურის წარმომადგენლობა. ისინი სტუმრები იყვნენ, ხოლო მასპინძლობა ჩვენ გავუწიეთ.

უმაღლესობა, ღონისძიებისა, ფაუსტური წამი ღონისძიებისა, იყო ის ეპიზოდი, როცა გამოირკვა, რომ მწერალთა კავშირს დაუარსებია ჩვენი გულნაზის ადრეწასული ძმის – ლეგენდარული ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემია, და მისი პირველი ოფიციალური მფლობელი გახდა თვით ქალბატონი გულნაზი (ნახევრად-ოფიციალურად, ეს პრემია, უფრო ადრე, ზოგ სხვასაც გადაეცა, ოღონდაც სხვა ეგიდით, და თვითონ გულნაზის მიერ. ერთ-ერთი ასეთი დაჯიდლოებულთაგანი, მაგალითად, იყო ლეო ბაბუხადია – ბეჟანის წიგნის პირველგამომცემელი.)

როცა ბატონმა რეზომ გულნაზ ხარაიშვილს ბეჟანის სახელობის პრემია გადასცა, დარბაზი ფეხზე წამოიშალა, ხოლო აპლოდისმენტებს საზღვარი არა ჰქონდა. ქალბატონი გულნაზი ჯერ არასოდეს ასულა ასეთ მწვერვალზე. (არ ვიცი, რამდენ ხანს დარჩება ასეთ თვალშეუდგამ სიმაღლეზე, ზენიტზე). იგი თავდახრილი იდგა და ტიროდა. ეს სიხარულის ცრემლები იყო. ერთ ეპიზოდში ზეასწია მისი უმცროსი ძმის სახელობის პრემია, და ყველას დაანახა ამაყად და სამოცდახუთი წლის ასაკში, როგორც იქნა, ამ ქალბატონმა თითმქის ყველაფერს მიაღწია, ყველაფერს, გარდა იმისა, რომ მარტო ხალხმა კი არა, სახელმწიფოს ზედა ფენებმაც დააფასონ იგი, მკვეთრად და ღირსეულად დააფასონ.

მსურს, რომ პოლიტიკურად მკვეთრად შეიცვალოს რაღაცეები. არადა, სინამდვილეში, მე და ჩემი მეგობრები, ხელოვნებისა და ფილოსოფიის მეტს ვერაფერს აღვიქვამთ სერიოზულად,და რომ ვერ შევხედეთ, დღემდე, სერიოზულად, პოლიტიკას, ამიტომაც ვერ ფასდება, სათანადოდ, ყოველ დონეზე, ისეთი დიდი ადმიანები, როგორიცაა, ვთქვათ, ქალბატონი გულნაზი – ერთ-ერთი დედოფალი, დედა-დედოფალი ქართული ლიტერატურისა, მთელი ქართული კულტურისა, ადამიანი, რომელსაც რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში რამოდენიმე ათასი ღონისძიება ჩაუტარებია!

და იგი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოქმედი, აქტიური, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, ყველაგან, ყველა ფენაში უნდა იყოს სათანადოდ დაფასებული!..

ღონისძიება ხალხმრავლი იყო, მან ძალიან დიდხანს გასტანა, სადღაც, სამი-ოთხი საათი (ღონისძიებანი, საშუალოდ, ორ საათს გრძელდება), მაგრამ დამსწრეთა ნაწილი მაინც ბოლომდე დარჩა...

მაშ, მე და კახა, დილით, ტელევიზიაში ვიყავით, პირდაპირ ეთერში (საიდანაც მივულოცეთ სამაისო იუბილეები გულნაზ ხარაიშვილსა და მანანა დანგაძეს), შუადღისას იუბილეზე ვიყავით, დიდ, გრანდიოზულ იუბილეზე, ხოლო საღამოს „ვარდების ბაღში“ მდებარე რესტორან „ათინათში“ ვზეიმობდით, ყველასთან ერთად, ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორის იუბილეს. საოცარი დრო ვატარეთ რესტორანშიც, სადაც, სუფრის პარალელურად, სიმღერები, ცეკვები, სხვადასხვა დადგმები წარმოგვიდგინეს. აღტაცებულნი ვიყავით მე და კახა, ლამზირა შეყილაძე, ნაირა მარშანია, ქალბატონი გულნაზის რძალი და მისი ნიჭიერი შვილიშვილები, რეზო ადამია, რომელსაც მხატვართა კავშირის თავმჯდომარე უმშვენებდა გვერდს, ასევე – ხაშურის ბიბლიოთეკის მოქმედი დირექტორი, რომელსაც, სუფრაზე, გვერდს უმშვენებდა გერმანული ენის ერთი რჩეული სპეციალისტი ქალბატონი, ხოლო მე დ აიმ ქალბატონმა ბევრი ვისაუბრეთ ევროპულ-ამერიკული კულტურის შესახებ, ვისაუბრეთ ცხოვრების ჭეშმარიტი აზრის შესახებაც (ამ საკითხზე სულ, სულ ვფიქრობ)... „ათინათში“ მოვინახულე გვანცაც და ნანაც ქალბატონი გულნაზის გზის გამგრძელებელნი... იქვე მოვინახულე ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი, პოეტი თამარ ჯაჭვაძე და სხვები და სხვები (სხვათა შორის, ბატონ მანუჩარ მაჩაიძესაც მოვკარი თვალი იუბილეზე, თუმცა რესტორანში იგი, აღარ მინახავს)... სუფრას ბატონი რევაზ მიშველაძე თამადობდა.

მაშასადამე:

ქალბატონ მაყვალას მიჰყავდა ღონისძიება, ასე ვთქვათ, პირველი განყოფილება.

ხოლო ბატონ რეზოს მიჰყავდა სუფრა, ასე ვთქვათ, მეორე განყოფილება. მერე იგი წავიდა, ხოლო თამადობის მძიმე, მაგრამ სასიამოვნო ჭაპანი სხვამ იდვა კისრად, ბატონმა რეზომ კი იქამდე უკვე მოასწრო საკუთარი სათქმელის თქმა...

ხომ ბევრი პიროვნება დავასახელე, კიდევ უფრო ბევრი დაუსახელებელი დამრჩა. გულნაზის იუბილეს ესწრებოდა ხაშურის საკრებულოს თავჯდომარე, ბატონი ვაჟა შუბითიძე, რომელმაც შეაფასა ღვაწლი პოეტისა, აგრეთვე ხაშურიდან იუბილარის საპატივსაცემოდ ჩამოსული იყო ხაშურის ბიბლიოთეკის დირექტორი, მაკა დიდებულიძე...

გრანდიოზული დღე მიიწურა.

საუკუნის საუკეთესო იუბილეთაგანი დასრულდა, ერთ-ერთი უთბილესი, ულამაზესი დღეობა...

მერე მე და კახა მარტო ვისხედით ბაღში. გაწვიმდა. დადგა ღამე პოეტური წვიმისა. ჩვენ ვფიქრობდით ყველაფერზე. ახალგაზრდები არ იშლებოდნენ ბაღში, მიმოდიოდნენ აქეთ-იქით. ლიცლიცებდა ღამის ფანრები, წვიმა ათასფრად ბრჭყვიალებდა მათ შუქზე.

თბილისი (და ოზურგეთი) ჩემი ქალაქია. დიდი დიღომი, აღმაშენებელი, ვაკე და ყველა უბანი ჩემი უბანია.

და აღმაშენებელზე ვიყავით, მეფისუბანში ვიყავით, ხოლო მეფური იუბილე, თავისი ორივე გრანდიოზული განყოფილებით, ახალდასრულებული იყო.

და ჩვენ ვფიქრობდით იმათზე, ვინც ნახა ეს ზეიმი.

და ვფიქრობდით იმათზეც, რომელთაც ჩვენზე უფრო მეტად უყვარდათ სიცოცხლე, მაგრამ ვერ მოესწრნენ ამ დღეს, ვერ მიიღეს მონაწილეობა ასეთ ლამაზ ზეიმში.

ყველაზე, უფრო კი – მეუფე თადეოზზე ვფიქრობდი, სიკვდილ-სიცოცხლის ამ დიად მოძღვარზე, ბერ-პოეტზე (რუსთველიც ხომ ჯერ თუმცა რაინდი იყო, რაინდი-პოეტი, ბოლოს მაინც ბერი-პოეტი გახდა და ასე ჰპოვა დასასრული თუ – დიდი დასაწყისი). გავშეშდებოდით წამიერად, წაგვიღებდა, რა, ფიქრი, მერე ვფხიზლდებოდით, თბილი სევდით აღვსილნი.

მერე, გვიან, როდის-როდის წავედით სახლში, იქვე, აღმაშენებელზე, და შთაბეჭდილებებით აღვსილი, არც დაგვეძინა – ვუყვებოდით ახლო ადამიანებს ყველაფერს, ნანახ-განცდილს. ასე თეთრად გავათენეთ ის ღამე.

დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ქაბლატონი გულნაზი დაიძინებდა, ისიც გატეხდა ღამეს, თეთრად გაათენებდა მთელს ღამეს, შთაბეჭდილებებით დახუნძლული, ფიქრებით აღვსილი...

თბილისი. 2015წელი. მაისი.
სერგი ლომაძე

მიჯესალმეთი გულნაზ ხარაიშვილის საპატიო იუბილეს

დიდი ხალისითა და პატივისცემით ვულოცავ გულნაზ ხარაიშვილს ღირსეულ იუბილეს – დაბადებიდან 65 წლისთავს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ჩვეულ წარმატებებს მის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობაში.

გულნახ ხარაიშვილი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მწერალი, ჟურნალისტი. „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის, მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტი, „ფაზისის“ აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და რუსთავის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

აღნიშვნის ღირსია მისი ორგანიზატორული ნიჭი ღირსსახსოვარი საღამოების მოწყობისა, სადაც იგი ღირსეულ პატივს მიაგებს ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, გამორჩეულ ბიზნესმენებს. ამით ქალბატონი გულნაზი, საჭირო და აუცილებელ კონტაქტებს ამყარებს საზოგადოების ყველა ფენასთან, ინერტიულ მდგომარეობიდან გამოჰყავს საკმაოდ ნიჭიერი ნაწილი საზოგადოებასთან იგი ცოცხალ კავშირს ამყარებს საქართველოს მოსახლეობის ქალაქის, რაიონების სკოლის მოსწავლეებთან, სადაც მან აღმოაჩინა უდაოდ უნიჭიერესი მოზარდები, რომელთა ხელწერა ჟურნალ „ათინათის“ ფურცლებზე პერიოდულად იბეჭდება.

მისასალმებელია ასევე ნორჩი „ათინათელების“ ჟურნალისტური ჩვევების გამომუშავება, რითაც ისინი ბაძავენ თავიანთ პროფესიონალ კოლეგებს, დიდ ჟურნალისტებს. ნორჩები იღებენ ინტერვიუებს ცნობილი ადამიანებისდაგ და მას შესანიშნავად აანალიზებენ და შედეგებს აქვეყნებენ ჟურნალის ფურცლებზე.

განსაკუთრებული კმაყოფილებით ავღნიშნავ გულნაზის მიერ ახალი ლიტერატურულ-პოპულარული ჟურნალის „ათინათის“ გამოცემას, რომლის მთავარი რედაქტორიც თვითონაა. ყოველკვარტალური ჟურნალი „ათინათი“ ერთ-ერთი აქტიური და აქტუალურია მთელს საქართველოში. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ გულნაზ ხარაიშვილი როგორც რედაქტორი წელგამართული დგას, მოწოდების სიმაღლეზე და აკმაყოფილებს როგორც მრავალრიცხოვან მსურველებს ჟურნალში მონაწილეობის მიღებისა, ასევე მკითხველთა მზარდ მოთხოვნებს.

და ბოლოს დიდი კმაყოფილებით მინდა ავღნიშნო გულნაზ ხარაიშვილის პოეტურ ნიჭზე, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა მის კოლეგებსა და მკითხველებში, მის ნაწარმოებებს დიდი ინტერესით ვკითხულობ, ველი ბევრ სიახლეს. ამ დაუღალავი, ნიჭიერი და განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭის მქონე ქალბატონისგან, ჩვენი მეგობარი გულნარა ხარაიშვილისაგან.

წარმატებები და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი მომავალი ცხოვრების მეგზური ქალბტონო გულნაზი.

„ფაზისის“ მეცნიერებათა საერო აკადემიის პრეზიდენტი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ***ნუგ ზარ ნადარაია***

გულნაზ ხარაიშვილი – 65

ქალბატონო გულნაზი! გულითა და სულით გილოცავთ დაბადების სამოცდამეხუთე წლისთავს! გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, სიცოცხლეს, რომელიც მთლიანად საზოგადოებრივ საქმიანობას ეკუთვნის... იდეალებს და მათზე ზრუნვას ეკუთვნის... მოყვასთა სიყვარულს, ატირებულის ნუგეშისცემას, ღირსეულის დაფასებას და საკუთარ წუხილზე ამაღლებას და გამარჯვებას გვასწავლის. შენდობას და უაღრეს დიდსულოვნებას გვასწავლის.

თითოეული ადამიანი ხომ სახეა თავისი კუთხის, მიწის და ქვეყნის. თქვენი ბედისწერა ყველაზე მეტად ჰგავს თქვენს ქვეყანას და მის თანამედროვეობას. საკუთარ მიწას მოწყვეტილი,ლტოლვილადქცეული, უნუგეშო და უმფარველო, გულჩაკლული და აჩრდილადქცეული, მაინც ძლიერი და ვერმოტეხილი კი არა, ვერმოხრილი და ვერმოღუნული! მძიმე ტვირთით მხრებზე, ამაყად მოსიარულე, სიკეთის და სხვათა სალბუნის საძებნელად მუდამ მზადმყოფი.

გისურვებთ ჯანმრთელობას, რადგან ეს ჯანმრთელობაც გარშემომყოფთა სასიკეთოდ არ გენანებათ! გახარებას, რადგან ეს სიხარულიც გარეშესა და შინაურს უნაწილდება! გისურვებთ თქვენი ჯიშისა და შთამომავლობის გამრავლებას და დღეგრძელობას! ნაადრევად მზეგადასული შვილის დანატოვართა გაძლიერებას, ქართული ჯიშის სასახელოდ და სამარადჟამოდ.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ძნელბედობის ჟამს გამოჩნდით ჩემს ცხოვრებაში და რამდენი ნუგეში, სითბო და სიყვარული დავინახე თქვენში! მინდა რომ ასე, თქვენნაირად სითბოდ, სიყვარულად და სიკეთედ დიოდეს ყველა ქართველი, მარტო ძნელბედობისა და გაჭირვების ჟამს კი არა, მარადიულად, ყოველდღიურ რეალობაში...

ამბობენ, ძნელბედობისას ქართველებს გვჩვევია თანადგომა და ნუგეში, მაგრამ...“ლხინში ავხირდები, განზე გაგიდგები”-ო! ამბობს მურმან ლებანიძე. თქვენ ლხინში თანადგომა უფრო მეტად შეგძლებიათ. ადამიანებს ერთმანეთი რომ შეაძულო, სიძულვილი უნდა იცოდე, ასევეა პირუკუც, რომ შეაყვარო დიდს და პატარას ერთმანეთი, თავად უნდა შეგეძლოს სიყვარული. ასე სიყვარულმოსხმულს განგევლოთ დარჩენილი, ერთი ამდენი გზა... და ის სიხარული, რასაც თქვენ სხვისთვის აკეთებთ, ბუმერანგივით დაგბრუნებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს, დღესა თუ ხვალე, აწ და მარადის, ვიდრე სამყარო იარსებებს და იარსებებს ადამიანთა მოდგმა დედამიწაზე!

კიდევ და კიდევ გილოცავთ, კიდევ და კიდევ გლოცავთ, კიდევ და კიდევ გეფერებით, ისევე თბილად, როგორი მოფერება და სითბოც თქვენ შეგიძლლიათ! დიდხანს იცოცხლეთ!

თამარ ჯაჭვაძე

გულნაზ ხარაიშვილი, ვახტანგ სხირტლაძე, თეონა სხირტლაძე, რეზო მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი

გულნაზ ხარაიშვილს

ათინათის გული ხარ,
გულთბილი და სვიანი,
უტკბილესი ქალი ხარ,
მჭევრმეტყველი, წყლიანი.
შენი კრედო მადლია
და დაჰყვები გულის-ხმას.
მრავალძარღვულ სიტყვებით,
აფრქვევ ღვთიური ქარიზმას.
მიწას რბილად აბიჯებ,
გული რომ არ ეტკინოს
სხვებს ტკივილს უმსუბუქებ,
გულს რომ ვარდი ეფინოს.
დაფუსფუსებ დღე და ღამ,
დაღლა არც კი გემჩნევა,
ათინათის ფურცლებზე,
შენი გარჯა ემჩნევა.
ერის, გულის ვარდი ხარ,
ერის შვილი საჩინო,
შრომით თავს არ იზოგავ,
ერი წარმოაჩინო...
მრავალ დარდის პატრონო,
დარდით ვინ გაგაკვირვებს.
გმირულ გულის კარნახით
ებრძვი დროის ვამპირებს.
სამომავლო საქმეებს,
ვაჟკაცურად უძღვები,
გაზაფხულს და სამშობლოს
ყვავილივით უხდები.

გილოცავ 65 წლის იუბილეს, გისურვებ უამრავ ბედნიერებას
ლამზირა შეყილაძე
05.05.2015 წელი

მაია ტყემალაძე

„ქარებს მოჰყოლია ყვავილთა სურნელად...“

ის მართლაც, ხან ქარებს მოჰყვება ყვავილთა სურნელად, ან – შვლის ნუკრის სევდიან გამოხედვად, ან – ია-იების გულსაკლავ ამოოხვრად; ხან ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებიდან ირეკლება მსასოებელი ხმა: „იქ,მივიწყებულ საკურთხევლის მაღალ სარკმლიდან, ქარაფს მთვლემარეს მთვარემ ვერცხლის ჯაჭვი დაჰკიდა...“

უნუგეშოდ აკვნესდება უკიდეგანო მთის სიმაღლეზე დადგმული თეთრი ღრუბლების როიალი... ტკბილ-მწარე მოგონებები აჩრდილებივით აირევიან და ცის დასალიერში ჩაიკარგება მარადიული სიცოცხლის ექო...

მიმსვლელებს უღიმის სკვერი „უვიწყარა“. ეს პოეტის საყვარელი ყვავილის სახელია, თან დაუვიწყართან კავშირში რომაა, ამიტომ ჟღერს მტრის ტყვიით გულგანგმირული, უმშვენიერესი პოეტი ქალის უკვდავსაყოფად დაარსებული სკვერის სახელი – „უვიწყარა“, ძალიან ლამაზ-სევდიანად...

იმ სკვერში შეყვარებულმა ვაჟმა, პირველად, შეფარვით აკოცა გოგონას. შეკრთა მეწყვილე, დიდრონი თვალები მწყრალად შეანათა. ბიჭს უცებ გაახსენდა ლექსის სტრიქონები და ამოიჩურჩულა:

„იმ გაუვალ, უცხო გზებზე,
განა მართლა დამეკარგე, კარგო?..

ვძებნე, ვძებნე, ვერ მოვძებნე
გასაღები,ე, მაგ გულის სარგო...“

გოგონასაც გაახსენდა და დაუთბა მზერა:

„ვკრიფე, ვკრიფე, ვერ დავკრიფე,
განა მართლა ყვავილების ტყვე ვარ?..
უნებლიედ გულზე ხელი დავიკრიფე
და მზით მთვრალი ყვავილებში ვწევარ...“

ვაჟმა მყისვე შეაგება:

„ვწერე, ვწერე, ვერ დავწერე,
განა მართლა წვერი მოტყდა კალამს?.
გული შენზე ოცნებებით შევაჯერე
და არავის ფიქრი მომიპარავს...“

თითქოს გამოსტაცაო ბოლო სიტყვა და ახლა გოგონამ გააგრძელა:

„სხივი მწველი ბალახებში იმალება,
ქარი უმღერს ჩვენს აწმყოს და წარსულს,
ნუმც მომშლოდეს ქართულ ზეცის ბრწყინვალება,
საქართველოს პირმშვენიერ ასულს.“

„უკვდავება!“ – ამოიგალობა მთვარის ორეულზე თავმიდებულმა, თეთრი სუდარასავით თეთრი ვარდის კუკურმა და აფხაზეთიდან მოქოშინებული ქარისაგან მოტანილი ზღვის სურნელება ჩაისუნთქა.

ზღვის სურნელებას პოეზიის სურნელი ათბობდა.

„ნუმც მომშლოდეს ქართულ ზეცის ბრწყინვალება,
საქართველოს პირმშვენიერ ასულს.“

გაიმეორა მთვარის ორეულზე თავმიდებულმა თეთრი ვარდის კუკურმა უღვთოდ გამეტებული პოეტის სტრიქონები...

სწორედ ,,ქართულ ზეცის ბრწყინვალებას“ შეეწირა ,,საქართველოს პირმშვენიერი ასული“ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე...

„ეთერზე ვფიქრობდი...მომენატრა, ძალიან მომენატრა და უსაშველოდ მომინდა მისი მოფერება...ჰოდა, ამ ლექსით მოვეფერეო“ – აღმოთქვა თბილმზეგულა ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა და ტელეფონით წამიკითხა ჩვენი უსაყვარლესი პოეტის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძისადმი მიძღვნილი ლექსი.

ეთერ დაგიტირეს პოეტებმა

ეთერ ჯღამაძე-სამხარაძეს

მხოლოდ შენ გცოდნია სიყვარული,
მხოლოდ შენ გცოდნია ერთგულება.
ცაო არ ატირდე სიბრალურით,
ეთერ ჭიათურაში მეგულება.
ფიქრით შემომბღავლეს სონეტებმა,
გული ჩამითუთქა ბედისწერამ,
ეთერ დაგიტირეს პოეტებმა,
მეკი ეს სტროფები დამეწერა.

ჩემი ჭიათურის ნამის ცვარო,
ქალო, სიმართლისთვის ნატყვიარო,
იქნებ ზეცის სახლში გაიხარო
იქნებ ცაში მაინც მოგიარონ.
მხოლოდ შენ გცოდნია სიყვარული,
მხოლოდ შენ გცოდნია ერთგულება
ცაო, არ ატირდე სიბრალურით,
ეთერ ჭიათურაში მეგულება.

გულნაზ ხარაიშვილი

წიგნის მეგობრები რუსთავში

(მოხუცთა თავშესაფარი)

ფსიქოლოგია

რუსუდან მხეიძე
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი

კითხვის პროცესის კოგნიტური მოდელები

თანამედროვე ფსიქოლოგიაში მოიპოვება არაერთი კვლევა სიტყვების იდენტიფიკაციის პროცესში ჩართული მექანიზმების შესახებ. მაგალითად რაიჰერის (1969) მიერ შემოთავაზებული სიტყვების უპირატესობის ეფექტის თეორიის ,ოხედვით სიტყვების იდენტიფიკაცია გაცილებით მარტივია, როდესაც მოცემული ასოები ქმნიან სიტყვას.

ასევე საინტერესოა მაკკლელანდისა და რუმელჰარტის ინტერაქტიული აქტივაციის მოდელი (1981) რომელიც ითვალისწინებდა დიდი ასოებით დაწერილი ოთხასოიანი სიტყვების და მათი შემადგენელი ასოების ამოცნობას. მოგვყავს მათი ზოგიერთი თეორიული დებულებები:

- არსებობს ამოცნობის განყოფილებები სამ ძირითად დონეზე: ქვევით მდებარეობს დამახასიათებელი თვისებების დონე, შუაში- ასოს დონე და ზევით სიტყვის დონე.
- დამახასიათებელი თვისებების დონეზე ხდება ინდივიდუალური ასოების თვისებების იდენტიფიკაცია. ამ თვისებების მოძიების შემდეგ აგზნება იგზავნება ასოს ყველა განყოფილებაში, რომელშიც მოიპოვება აღნიშნული თვისება (მაგალითად ,,V) შეკრება – ასოს ყველა განყოფილებაში.
- ასოს დონეზე ხდება ასოების იდენტიფიკაცია როდესაც სიტყვის შემადგენლობაში მყოფი გარკვეული პოზიციის მქონე ასო იდენტიფიცირდება, მაშინ აგზნება გადადის სიტყვის დონეზე, ოთხასოიანი სიტყვის ყველა განყოფილებაში, სადაც ეს ასო მოცემულ პოზიციაში იმყოფება, ხოლო შეკავება -სიტყვის დანარჩენ განყოფილებაში.
- სიტყვის დონეზე ხდება სიტყვების ამოცნობა. სიტყვის აქტივირებული განყოფილებები ზრდიან ასოს დონის განყოფილებების აქტივაციის ხარისხს. კერძოდ, ამ სიტყვის შემადგენლობაში მყოფი ასოების განყოფილებებისა (მაგალითად სიტყვა შთ -ის განყოფილებაში) ხოლო შეკავება მიმდინარეობს ასოს ყველა სხვა განყოფილებაში.
- ამ სიტყვისთითოეულ დონეზე ერთი გარკვეული განყოფილების აქტივაციას მივყავართ მასთან კონკურენციაში მყოფი ყველა დანარჩენი განყოფილებების შეკავებასთან ან მადთ დათრგუნვასთან.

ზემოთ აღნიშნული დებულების საფუძველზე შეიძლება ვიფიროთ, რომ ინტერაქტიული აქტივაციის მოდელი გარკვეულწილად გართულებულია,მაგრამ სინამდვილეში ის გამოხატავს ერთ ძირითად და მარტივ იდეას. მაკკლელანდმა და რუმელჰარტმა (1981) შეძლეს დამტკიცებაიმისა, რომ ქვევით -ზევით და ზევით – ქვევით პროცესებიდან ორივე იღებენ მონაწილეობას ასოს იდენტიფიკაციისა და სიტყვის ცნობის პროცესებიდან ორივე იღებენ მონაწილეობას ასოს იდენტიფიკაციისა და სიტყვის სიტყვის ცნობის პროცესებში. მაგრამ ამ მიდგომას აქვს ერთი ყველაზე ცხელი ნაკლი. ის , რომ თვიდანვე გათვალისწინებული იყო ამ მეთოდის გამოყენება მხოლოდ დიდი ასოებით დაწერილი ოთხ ასოიანი სიტყვებისათვის , ამიტომ კვლავ გაურკვეველია, თუ რამდენად წარმატებული იქნებოდა ამ მეთოდის გამოყენება უფრო გრძელ სიტყვებზე.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, იმ სიტყვების ცნობა, რომლებსაც ჩვენს მეტყველებაში ხშირად ვიყენებტ, საკამოდ მარტივად ხორციელება და განსხავებული ვითრებაა შედარებით იშვიათ სიტვყებთან დაკავშირებით, ანუ მათი ამოცნობა შედარებით რთულ პროცესს წარმოადგენს. ინტერაქტიული აქტივაციის მოდელი ამურთიერთდამოკიდებულებას ხსნის შემდეგი მექანიზმით, რომ ხშირად გამოყენებადი სიტყვების ასოს და სიტყვის განყოფილებებს შორის ძლიერი კავშირები ყალიბდება ან ეს სიტყვები ფლობენ აქტივაციის უფრო მაღალ დონეს.

კოგნიტური ნეიროფსიქოლოგიის ფარგლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგენილი იქნა, რომ დაბეჭდილ სიტყვასა და მეტყველებას შორის სავარაუდოდ მოთავსებულია სამი ძირითადი გეზი სქემიდან №2 ვხედავთ, რომ თითოეული გეზი სათავეს იღებს ვიზუა-

ლური ანალიზის სისტემებიდან. ამ სისტემის ფუნქციას წარმოადგენს ასოების იდენტიფიკაცია და მათი დაჯგუფება დაბეჭდილ სიტყვებად.

მოკლედ მიმოვიხილოთ თიოთეული გაემი:

გეზი პირველი – სხვა გეზებისგან განსხვავდება იმით, რომ დაბეჭდილ სიტყვებს გადააქცევს მეტყველებად , ანუ გრაფემებს- ფონემად.

გეზი მეორე- (ლექსიკონი და სემანტიკური სისტემა) ეს გეზი ჩვეულებრივ გამოიყენება ზრდასრული მკითხველების მიერ. ამ გეზის ძირითადი იდეა შემდეგია: „ვიზუალური ხატის შესავალ ლექსიკონში სიტყვების ტასობით ხატებია თავმოყრილი სიტყვის ვიზუალური ხედი იწვევს ამ ლექსიკონში აქტივაციას, რის შედეგად სემანტიკურ სისტემაში ხდება მოცემული სიტყვების მნიშმნელობის ამორჩევა. სწორედ ამ პროცესების შემდეგ არის შესაძლებელი სიტყვის მეტყვებაში გამოყენება.

გეზი მესამე – (მოიცავს მხოლოდ ლექსიკონს) მესამე გეზი გავს მეორე გეზს და ამ მსგავსებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ორივე მათგანში მონანილეობა ღებულობენ როგორც ვიზუალური შესავალი ლექსიკონი, ასევე მეტყველების გასავალი ლექსიკონი.

თუმცა მოცემულ გეზში არ იგულისხმება სემანტიკური სისტემამოგვიანებით განაწილებული გადამუშავების მოდელი, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ერთ გეზს – ნაბეჭდის გადაქცევას მეტყველებად. ისნი ამტკიცებენ, რომ ჩვენი მოდელი გთავაზობთ ალტერნატივას, რომელიც უარყოფს ორ გეზიან თვალსაზრისს ერთიანი სიტემის სასარგებლოდ რომელიც არანაკლებ წარმატებულად ახორციელებს ქცევით მონეცემების ანალიზს.

ლიტერატურა:

M.V.Eysenk; M.T.Kean(2001)– Cognitive psychology (students handboock)

Seindenberg M.S, MeCCelland (1989) A distributed.Developmental model of word recognition and haming.Psychologiac review 96 522-568

MCClelland J.L Rumelhart (1981) On interactive model of context effects in the letter perception. Psychological review 88, 375-407

კითხვის პროცესის კოგნიტური მოდელები

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენლია კითხვის პროცესის კოგნიტური მოდელები, სტატია წარმოადგენს მეორე ნაწილს კითხვოს პროცესის კოგნიტურ-ფსიქოლოგიური კვლევისა. სტატიაში განხილულია კითხვის პროცესს უახლესი მოდელები. ძირითადად განხილულია კითხვის პროცესში ჩართული მექნიზმები და თეორიები. კერძოდ ინტერაქტიული აქტივაციის მოდელი.

ფრანგულიდან თარგმნა
დალი ზერაგიამ

არსელ პრუსტი

კომბრე

(გაგრძელება)

რასაკვირველია, ეს ბრილიანტების ხიბლს გავდა. მე როვინგების წარსულს,რომ მაგონებდა და ეს ფიქრები ჩემს ირგვლივ თამაშობდნენ თავისი ისტორიულიანარეკლებით. თუმცა არ შემიძლია იმის თქმა,რა მაიძულებდა ამ იდუმალებაში შემეღწია, რომელიც იმით გავათავე,რომ აღარ მიმექცია ყურადღება.საგნებზე ეს ანესთეზური ზემოქმედება შეწყდა,აზრებს ვალაგებდი დ შევიგრძნობდი ძალიან მოსაწყენ საგნებსაც. ჩემი ოთახის კარის ღილაკს,რომელსაც ვარჩევდი სხვა კარისაგან თითქოს დამოუკიდებლად აღებდა კარს გადაუტრიალებლად და ჩემთვის ეს ხელახლა მოუთმე-

ნელი გამხდარიყო. იგივე აზრები ემსახურებოდა გოლოს ასტრალურ სხეულს.როგორც კი სადილისთვის დარეკავდნენ ვჩქარობდი სასადილო ოთახში შესვლას,სადაც დიდი ლამპა ეკიდა,უკვე გოლოს და ,,ბარბე ბლეს '' გარეშე უკვე ვაცნობიერებდი ჩემს მშობლებს და ხორცით სავსე ქვაბს, რომელიც ყოველ საღამოს შუქს გამოცემდა, დედა მკლავებში ჩავრადნა და ჟენევიევ ბრაბანის უბედურება ჩემთვის უფრო ძვირფასი გამხდარიყო, მაშინ როცა გოლოს ბოროტება საკუთარ სინდდის მომაგონებდა მეტისმეტი სიზუსტით. ეჰ, სადილის შემდეგ იძულებული ვიყავი დედა მიმეტოვებინა, რომელიც სხვების მიზეზითვე ბაღში რჩებოდა თუ კარგი ამინდი იყო, ამ პატარა სალონში რჩებოდა, სადაც ყველა უკან შემოდიოდა ცუდი ამინდის დროს. ყველას გარდა ბებიაჩემისა სოფელში ჩაკეტილი რჩებოდა, რომელსაც განუწყვეტელი კამათი ჰქონდა მამაჩემთან, განსაკუთრებით წვიმიან დღეებში, ვინაიდან ის მე ჩემს ოთახშიმგზავნიდა საკითხავად, იმის ნაცვლად, რომგარეთ ვყოფილიყავი. "ეს იმიტომ კი არა, რომ ძლიერი და ენერგიული გავმხდარიყავი; – ამბობდა მოწყენილი ბებია, პატარასა განსაკუთრებით სჭირდება ნებისყოფისათვის ძალის მოკრება. მამაჩემი მხრებს იჩეჩდა და ბარონეტრს ამოწმებდა, რადგან მას მეტეოროლოგია უყვარდა. ამასობაში დედა კი ცდილობდა ხმაურზე თავის არიდებას, რადგან მამა არ გაებრაზებინა, მას ისეთი მოწიწებით უყურებდა, რომ მისი უპირატესობის იდუმალებაც არ დაერღვია. მაგრამ ბებიაჩემი თვითოვე როცა კოკისპირულად წვიმდა ფრანსუაზთან ძვირფასი ტირიფის სავარძელში ჩამჯდარიყო, იმის შიშით რომ არ დასველებულიყვნენ; ხან მას ხედავდნენ დაცარიელებულ ბაღშითავდასხმისაგან დასველებულს, რომელიც ქერა კულულებს შუბლიდან მაღლა იწევდა რომ უკეთ დასველებულიყო ქარისაგან და წვიმისაგან. Iგი ამბობდა ბოლოს და ბოლოს ვსუნთქავ!".

იგი ახირებისაგან სიმეტრიულად ჩამწკრივებულ ხეივანს გადაირბენდა იმ ბუნებრივ გრძნობებს მოკიდებულ მებაღესთან ერთად, რომელზეც მამაჩემი ლაპარაკობდა, რომ იგი პატარა ენთუზიასტი იყო, იმ განსხვავებულ და მოწესრიგებულ ნაბიჯებთან ერთად, რომელიც მის სულში სიმთვრალეს იწვევდა, თუნდაც ეს ყოფილიყო ჰიგიენის შეგრძნება, ჩემი არასწორი აღზრდა ან ბაღის სიმეტრია; ასევე მისი ქლიავით ჩალაქავებული ქვედაბოლო და ის შეუცნობელი სურვილი მისი დაფარვისა, რომელსაც თავისივე სიმაღლით მალავდა, რომელიც მოსამსახურე ქალისათვის სასუწარკვეთა ან პრობლემა იყო. ბაღის შემოვლა დედისაგან სადილის შემდეგ იწყებოდა, ერთ რამეს შეეძლო შეეჩერებინა. ეს ის წუთი იყო, რომელიც მას ინსტიქტურად მოიყვანდა პატარა სალონის წინ, სადაც სათამაშო მაგიდაზე ლიქიორი იდგა. თუ დიდი მამიდა მას დაუძახებდა- "ბატილდ მოდი შეეწინააღმდეგე შენს ქმარს კონიაკის სმაში" (მართლაც მისგან საწინააღმდეგოთ მას ისეთი იმედი მოჰქონდა მამაჩემის ოთახში, რომ მას ყველა ემსახურებოდა და სტანჯავდა) სადაც ლიქიორი აკრძალული იყო ბაბუაჩემისთვის. ჩემი დიდი მამიდა მხოლოდ რამდენიმე წვეთის დალევის ნებას აძლევდა. მიდიოდა და ქმარს ევედრებოდა კონიაკი არ დაელია. ბაბუა ჯავრობდა და მაინც იღიმოდა, რდგან იგი გულით ისეთი მშვიდი და სათო იყო, რომ მისი სიყვარული სხვებსაც ავსებდა; სხვა შემთხვევაში კი თავის თავს თვით მართავდა და ჯავრსაც იოკებდა; საკუთარ თავს ურიგდებოდა, რომელიც მისი გამოხედვით და ღიმილითაც ირკვეოდა. პირიქით მის სახეზე უფრო დიდი ადამიანობა აღიბეჭდებოდა; თვითონაც ირონიით ივსებოდა, თვით მისი თვალებიც ყველა ჩვენგანისათვის სიყვარულს გამოხატავდა. ეს მხოლოდ შეეძლოთ დაენახათ იმათ, ვისაც იგი ყოველგვარი თანაგრძნობის გამოხატვის გარეშე უყვარდათ. თანჯვა რომელიც მას დიდი მამიდა განაცდევინებდა სპექტაკლი იყო ბებიაჩემთან ამაო თხოვნისა, მისსივე სისუსტისა, რადგან წინდაწინვე გრძნობდა თავს დამარცხებულდა და უსარგებლოდ ცდილობდა ბაბუაჩემისთვის წაერთმია ლიქიორის ჭიქა; ერთი შეხედვით ეს ისეთი რამ იყო, რომელსაც მოგვიანებით ეჩვევიან რომ იგი ხალისიანად გადაჭრით გააანალიზონ და მიემხრონ მომაბეზრებელ ადამიანს და დაარწმუნონ რომ საქმე არ ეხებოდა ჩაციებას, მაშინ ეს უკანასკნელნი მესაუბრებოდნენ ისეთი გაბრაზებით, რომ მირჩევნოდა ჩემი დიდი მამიდა მეცემა, მაგრამ როგორც კი გავიგონებდი; "ბატილდ მოდი დაუშალე შენს ქმარსკონიაკის დალევა," უკვე ძალიან გაბრაზებული იმას ვაკეთებდი, რასაც ყველა, როცა უკვე მოზრდილნი ვართ და ჩვენს წინაშე მსგავსი უსამართლობაა, უკვე აღარ მსურს მათი დანახვა; უკვე ქვითინით გავრბოდი სახლის ზემოთ, სახურავის ქვეშ, სამეცადინო დარბაზის გვერდით, პატარა ოთახში სადაც ერთბაშად ვგრძნობდი გაბრაზებასაც და გარეული მოცხარის სურნელსაც, რომელიც გარედან მო-

დიოდა. მაღალი კედლის ქვეშიდან მოცხარის ყვავილოვან ტოტსაც შემოეყო თავი ნახევრად ღია ბანჯარაში. ოთახი, რომელიც განკუთვნილი იყო განსაკუთრებული მოხმარებისთვის, საიდანაც მთელი დღის განმავლობაში მოსჩანდა რუსენვილების კოშკი, რომელიც დიდხანს ჩემი თავშესაფარი იყო, ვინაიდან განმარტოება უფლებას მაძლევდა, ჩავკეტილიყავი ჩემს საქმეებთან; ეს უკანასკნელი მაიძულებდა ვყოფილიყავი სრულ მარტოობაში; კითხვასთან, ოცნებასთან, ცრემლებთან და განცხრომასთან ერთად. ეჰ, რომ ძლიერი მოწყენა ვიცოდი! ეს მკაცრი რეჟიმი, ნებისყოფის ნაკლი, ნაზი ჯანმრთელობა, არ რწმენა იმისა, რომ ისინი ჩემს მომავალზე მოქმედებდენ, ზრუნავდნენ მთელი ამხნის განმავლობაში ბებიაჩემზე. მთელ ნაშუადღევს და საღამოსაც ვხედავდი გამვლელ-გამომვლელს, მათ ირიბ მზრას , იასამნისფერი გამხდარიყო და დახერგილი მიწასავით ნახევრად ახდილი პირბადიდან იმზირებოდნენ თითქოს გათოშილნი, ყოველთვის უნებლიე ტირილისაგან გამშრალ ნაღვლიან ფიქრებთან ერთად;

ჩემი ნუგეში ის იყოს, როცა დასაწოლა ავდიოდი და დედაც ამოდიოდა ამბორისთვის, მაშინ უკვე ვიწექი; ბოლოს წინა გამომშვიდობება ისე ცოტა ხანს გრძელდებოდა, რომ ეს ჩემთვის მეტად მტკივნეული წუთი იყო. ვგრძნობდი როგორ გამოივლიდა ორ კარიან დერეფანს; მესმოდა მისი ლურჯი მარმაშის კაბის მსუბუქი შრიალი, კაბისა რომელზეც წვრილი ჩალისგან დაწნული ზონარები ეკიდა; მოდიოდა და უკანვე ჩქარა ბრუნდებოდა.

ეს მეტად მტკივნეული წუთები იყო, რომელიც მატყობინედა რა მომხდარიყო, შემდეგ იგი მტოვებდა და უკან ჩადიოდა.. ამგვარად ეს გამომშვიდობება იმდენად მიყვარდა, რომდრო მეტად გრძელი მეჩვენებოდა სანამ დედა მოსულიყო.ზოგჯერ ჩემი ამბორის შემდეგ იგი კარს გააღებდა წასასვლელდა, მინდოდა დამეძახა და მეთქვა: “კიდევ ერთი ამბორი ამბორი დედა”, მაგრამ მაშინვე წარმოვიდგენდი დედის გაჯავრებული სახეს, რომელიც ჩემში ერთბაშად იწვევდა ნაღველსაც და მოუსვენრობას, ამბორს კი სიმშვიდე მჰქონდა. მამა პირიქით, ჯავრობდა და აბსურდად მიაჩნდა ეს რიტუალები. ედასაც სურდა დაევიწყებინა ეს ჩვევა, მე კი მსურდა კარებთან მისულს მეთქვა: “ერთიც და აღარ”. ედა რომ გაღიზიანებული მენახა ირღვეოდა ჩემი ყველანაირი სიმშვიდე, რომელიც ერთი წუთის წინ მიძღვნა. აიხრებოდა ჩემი საწოლისაკენ მისი მოსიყვარულე სახე, ისე თითქოს ზიარების პურს მაწვდიდა, რითაც ეს რომ ჭეშმარიტი ყოფილიყო დაამძიმებდა ჩემს ტუჩებს და მისი ძალა ჩამაძინებდა; ეს საღამოები მოკლედ რომ ვთქვათ, როცა დედა ძალიან ცოტა ხანს რჩებოდა ჩემს ოთახში, იყო მშვიდი იმასთან შედარებით, როცა ხალხი ჰყავდა სადილად, ამის გამო იგი არ ამოდიოდა “ღამე ნების სათქმელად”.

ხალხი ჩვეულებრივ აწუხებდა ბატონ სვანს, რომელიც რამდენიმე გამვლელ უცხოელთან, ან მარტო მოდიოდა ჩვენთან კონბრეში, ზოგჯერ მეზობლური სადილისთვის (უფრო იშვიათად ქორწილის შემდეგ) იმიტომ , რადან ჩემს მშობლებს არ სურდათ მისი მეუღლის მიღება, ზოგჯერ მოულოდნელად სადილის შემდეგაც მოდიოდა.

საღამოობით, დიდი წაბლის ხის ქვეშ, რკინის მაგიდასთან ჩამომსხდრებს, ბაღის ბოლოდან გვესმოდა ეჟვანის ბარაქიანი და მყვირალა ხმა, რომელიც რწყავდა და აბრუებდა იქაურობას თავის საშინლი, უშველებლი და გამყინავი ხმით; თითოეულ მცხოვრებსაც, რომლებიც ჟღარუნის გარეშე ითიშებოდნენ, რადგან გაორმაგებული წკარუნი, ოვალური და მოვარაყებული ზარი უკვირდათ უცხოებს, მაშინვე ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა: “ალბათ ვინმე სტუმარია- შეიძლება” კარგად იცოდნენ რომ ეს მხოლოდ ბატონი სვანი შეიძლებოდა ყოფილიყო; დიდი მამიდა ხმამაღლა ლაპარაკობდა ვითომც ქადაგების მიზეზით და ისეთი ტონით რომ ცდილობდა ბუნებრივი გამოსულიყო, ისე რომ არც ჩურჩულს გავდა; ისე რომ არაფერი ყოფილიყო საწყენი ვინმესთვის, რომელიც გაივლიდა და ეგონებოდა ჩვეულებრივი კამათი ისეთ რამეებზე რომელიც მას არ სურდა მოესმინა, მზვერავად ბებიაჩემს აგზავნიდნენ, ბედნიერს იმ საბაბით რომ ერთხელ კიდევ შემოივლიდა ბაღს და ისარგებლებდა ჩუმათ, იმით რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტ გმოგლეჯდა რომელიმე ვარდების მოდარაჯისაგან, რათა თავისი ვარდებისათვის თავისი ბუნებრივობა მიეცა...

წერილები

ტიტე მოსია



ციტატური რემინისცენციებით ქართული ჰაგიოგრაფიაში

ციტატური რემინისცენციები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ავტორის პოზიციის გასარკვევად, რადგან მათი მოხმობით იგი ან თავისი პოზიციის დამტკიცებას ცდილობს და დამატებით არგუმენტებს ეძებს სხვა ავტორთან. ან არ ეთანხმება მას და პოლემიკას უმართავს.[1]

ქართული ჰაგიოგრაფია განაყოფიერებულია ბიბლიიდან მომდინარე ციტატებით. თითოეულ მათგანს ფუნქციური დატვირთვა აქვს. ისინი მოხმობილია ავტორთა ან პერსონაჟთა ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად თუ თვალსაზრისების განსამტკიცებლად. ბიბლიიდან სათანადო ციტატების მოხმობა ჰაგიოგრაფებს საღმრთო წერილის ცოდნის გამოსავლინებლად კი არ სჭირდებათ, არამედ მათივე მსოფლმხედველობრივი პოზიციის გასამაგრებლად, იდეური ჩანაფიქრის დასაგვირგვინებლად, მათივე აზრის სისწორის დასადასტურებლად, საჭიროებისამებრ ქართველ ჰაგიოგრაფებს მიუმართავთ და ძირითადად ციტატები მოაქვთ ძველი და ახალი აღთქმის შემდეგი წიგნებიდან: დაბადება, გამოსვლათა, წიგნი II სჯულისა, მეფეთა III და IV წიგნები, წ. იობისა, ფსალმუნთა წიგნი, იგავნი სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, სიბრძნე ზირაქისი, ესაიას, იერემიას, ეზეკიელის, დანიელის, ბარუქის, ზაქარიას „წინასწარმეტყველებანი“; მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებანი, საქმე მოციქულთა, კათ. ეპ. იაკობისი, კათ. ეპ. პეტრესი, კათ. ეპ იონასი, პავლე მოციქულის ეპისტოლენი: რომაელთა, კორინთელთა, ეფესელთა, გალატელთა, ფილიპელთა, კოლასელთა, თესალონიკელთა, ტიმოთეს, ებრაელთა მიმართ, გამოცხ. იოანე ღვთისმეტყველისა.

იაკობ ხუცესი შუშანიკს შთააგონებს ქრისტეს რჯულისთვის გაფრთხილებას, გამძლეობის გამოჩენას, მხნეობას, მოთმინებას, სულგრძელობას. ამას მწერალი ახორციელებს ფსალმუნის ენით, მისივე მოწოდებისთვის წონისა და ეფექტის მისაცემად: „და მე ვარქუ მას: ეგრეთ არს მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელი“. წმ. შუშანიკი პავლე მოციქულის სიტყვებით უსაბუთებს მღვდელს, თუ რატომ არის შეუძლებელი ვარსქენისა და მისი ერთად შეყრა: „რამეთუ მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“. ეს არის პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში გამოთქმული აზრი, რომლის მიხედვით, თუ ურწმუნო მეუღლე მორწმუნე მეუღლისგან არ მოიქცევა ქრისტეს რჯულზე, მაშინ განშორება სჯობს: მორწმუნის ნება თავისუფალია, იგი დამონებული არ არის (შდრ. ძველი ქართული ლიტერატურის სასკოლო ქრესტომათიისთვის დართული კომენტარები, გვ. 42).

მცხეთაში დამკვიდრებული გაქრისტიანებული სპარსელი ევსტათი უსტამ ციხისთავთან თანამემამულეებმა დააბეზღეს. ევსტათი მცირე შეყოვნების შემდეგ უშიშრად გადაწყვეტს ციხისთავთან გამოცხადებას და მის წინაშე შეუდრეკლად ქრისტეს რჯულის აღიარებას. სწორედ ამ მომენტში სახარებიდან მოიმარჯვებს შესაბამის ციტატას: „რამეთუ მასმიეს წმიდისა ევანგელესგან, ვითარ იგი თქუა: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო მეცა იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-მყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა“ (შდრ. მათე, 10,32-33). ევსტათი მცხეთელი სიკვდილით დასჯამდე ლოცვას აღავლენს ღვთის წინაშე და პავლე მოციქულის ერთ-ერთი ეპისტოლეს მოშველიებით წარმოთქვამს: „ვითარცა იტყვის პავლე მოციქული: მე ვარო ნარჩევი მოციქულთაჲ, შენ იცი, უფალო ჩემო იესუ ქრისტე, რამეთუ არავინ ვირჩიე შენსა, არცა მამაჲ, არცა დედაჲ, არცა ძმანი, არცა ნათესავნი“...

[1] **ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი,** ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, გვ. 415.

„აბოს წამების“ წერისას იოანე საბანისძე აქტიურ მიმართებაშია ძველი (ფსალმუნნი, იგავნი სოლომონისა, სიბრძნე ზირაქისა, ქება ქებათა სოლომონისა) და ახალი აღთქმის (მათეს, ლუკას და იოანეს სახარებასთან, პეტრე მოციქულის კათ. ეპისტოლეს, პავლე მოციქულის ეპისტოლესთან კორინთელთა და ეფესელთა მიმართ) წიგნებთან. მწერალი მოკრძალებულ წერილს მისწერს სამოელ ქართლის კათალიკოსს მისივე თხოვნის საკითხთან დაკავშირებით მოწამე აბოზე თხზულების შესაქმნელად. კათალიკოსის სურვილის წინააღმდეგ წასვლის ნებას არ აძლევს ბიბლიური შეგონება: „უკეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“ (ავტორი აქ იმოწმებს სოლომონის იგავთა წიგნს). იგი თუ დაემორჩილება ქართლის მწყემსთმავრის ნებას, კვლავ ბიბლია შეახსენებს თავს: „და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვისაცა იტყვის: „უდარესსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო“ (ციტატა მოტანილია სიბრძნე ზირაქიდან, 3,22).

იოანე საბანისძე შთააგონებს მკითხველს, რათა ღრმად ჩაუკვირდნენ ქრისტიანობისთვის აბოს წამების ფაქტს სწორედ იმ დროს, როცა „მრავალნი სცთებოდინ და მრავალთა აცთუნებდენ“ (ციტირებულია: მათე, 24,5,11). ამ მომენტში მწერალს ახსენდება პავლე მოციქულის მიერ ტიმოთესადმი მიწერილი: „და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთესა, ვითარმედ: „მოვალს ჟამი ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულის თქუმისაებრ თვისისა თავით თვისით შეიკრებდეს მოძღურებასა ქავილითა ყურთაჲთა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ“ (შდრ. ტომ. 4,3-4). მწერალი ბიბლიიდან ნაწყვეტების ციტირებისას სწორედ იმ ადგილს შეარჩევს ტექსტში, სადაც იგი ბეჭდის თვალივით ჩადგება: „ვითარცა თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე, მოძღუარმან ეკლესიათამან, ვითარმედ: „ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული წმიდაჲ დამკვიდრებულ არს თქუენ შორის“ (შდრ. კო. 3,16). იქვე მოაყოლებს მომდევნო ციტატას წინასწარმატყველის წიგნიდან: „და უფალი იტყვის წინასწარმეტყველისა მიერ: „მე მოვიდე და დავიმკვიდრო თქუენ შორის“ (წინ. ზაქ. 2,10). არ სრულდება ციტაცია: „და წმიდასა შინა სახარებასა იტყვის, ვითარმედ: „სასუფეველი ღმრთისაჲ გულთა შინა თქუენთა არს“ (ლუკა, 17,23).

„წამების“ ავტორი საჭიროებისამებრ, ზუსტად იმოწმებს ფსალმუნიდან ასეთ ნაწყვეტს წინასწარმეტყველის მითითებით (იგულისხმება დავით ფსალმუნთმგალობელი): „ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფალო, უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა“ (ფს. 118,103). იქვე სახარებიდანაც მოაქვს სათანადო მასალა, რომელსაც უფალი ეუბნება წმიდათა: „რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა“ (მათე, 10,40).

როგორც კ. კეკელიძე მიუთითებდა, ბერძნებთან ქართველთა მეტოქეობის იდეა პირველად „აბოს წამებაში“ გამოვლინდა: „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვის: „მოვიდოდიან აღმოსავლით და დასავლით და ინახ-იდგმიდენ წიაღთა აბრაჰამისთა, ისაკისთა და იაკობისთა“. აჰა ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა“. ამ ფრაზაში იოანე საბანისძე გვარკვევს, რომ მხოლოდ ბერძნებს როდი გააჩნიათ ღვთის მიერ ბოძებული სარწმუნოება, არამედ ქრისტიანული სამყაროს განაპირას მკვიდრ ქართველებს. ამასთანავე, ქართლი იწოდება წმინდანთა დედად, მშობლად. როგორც მკითხველმა დაინახა, დამოწმებულ მასალაში ავტორი ურთავს სახარებიდან სათანადო ციტატას ნათქვამის განსამტკიცებლად: „მრავალნი მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან და დასხდებიან აბრაჰამთან, ისააკთან და იაკობთან ცათა სასუფეველში“ (მათე, 8,11).

თხზულების მეორე თავში მოთხრობილია აბოს ქართლში შემოსვლისა და ნათლისღების ამბავი. აქვე ავტორი მიგვანიშნებს, რომ აბო იყო ბიბლიური აბრაამის ძის ისმაილის შთამომავალი. გავრცელებული ლეგენდით სარკინოზთა ტომი (არაბნი) ისმაილის შთამომავლებად ითვლებოდნენ. მწერლის მითითებით, აბოს ქართლში მოსლვა არ იყო მისი გონებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ ღვთის შთაგონების შედეგი. იოანე შედარებისთვის მიმართავს ბიბლიას: როგორც უფალმა ურჩია აბრამს თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს, მამამისის სახლის დატოვება და იმ მხარეში წასვლა, რომელსაც ის უჩვენებდა (დაბ. 12,1), ასევე ურჩიაო აბოს ნერსესთან ერთად ბაღდადის დატოვება და ქართლში წასვლა: „ხოლო ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსვლაჲ იგი არა თუ თავით თვისით განიზრახა, არამედ ვითარცა იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჰამს

მასვე ქუეყანასა შინა ქალდეველთასა, შენისა და მოვედ ქუეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო შენ (შდრ. დაბ. 12,1), ეგრეთვე ესევე კუალად ნაშობი აბრაჰამის არა თუ თვისი გონებით, არამედ წამისყოფითა ღმრთისმიერითა იწვია ესეცა დაუტევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები“...

აბომ აფხაზეთში გაიცნო ხალხი, ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულის მატარებელნი და საღვთო შურით აღივსო, განიმსჭვალა მათ მიმართ მიბაძვის სურვილით, მარხვით აუძლურებდა ჭაბუკურ ხორცს და ამ მომენტში „წამების“ ავტორი სათქმელს ასრულებს ბიბლიიდან მოხმობილი ციტატით: „რაჲთა შეუძლოს ყოველთა მათ ისართა ეშმაკისათა განხურვებულთა დაშრეტად“, მწერალს ბიბლიური „ბოროტი“ შეუცვლია „ეშმაკით“, რაც შინაარსს აღარ ცვლის: „ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისა, რომელთა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად“ (ეფეს. 6,16). ჭეშმარიტი ნათლის (ქრისტეს მოძღვრების) დაუფარველობაში, სიკვდილისგან გაუქცევლობაში ქრისტესთვის აბო პავლე მოციქულის შეგონებით მოქმედებდა: „რამეთუ ვისწავე მე წმიდისა მისგან მოციქულისა ვითარმედ: „არცა ჩუვენთა (უმართლონი– ტ. მ.) სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (I კორ. 6,9). ბოროტ ძალებს არაბი მოწამე ფსალმუნის ენით მედგრად შესძახებს: „განმეშორენით მე, უკეთურნო, და გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“ (ფს. 118,115). აბო წმიდა დღესასწაულის ღამეს დაუჯდომლად აღასრულებს გალობას და დავით წინასწარმეტყველის ენით იტყვის: „წინაჲსწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯჳულ ჩემსა არს, რაჲთა არა შევიძრა“ (ფს. 15,8).

საპყრობილეში მყოფი აბო წყალს მოითხოვს, პირდაბანილი თავზე ზეთს წაიცხებს და აქვე მოუხმობს სოლომონ მეფის „ქებათა ქებიდან“ საჭირო ციტატას: „არამედ ვითარცა „ქებასა შინა ქებათასა“ ბრძენმან სოლომონ მასწავა მე: „სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი“ (ქებ. 1,3). იგი ფსალმუნის ენით გამოხატავს ბოროტებასთან შეურიგებლობას, უშიშრობას ღვთის იმედით: „არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალო, ჩემთანა ხარ“ (ფს. 22,4). იოანე საბანისძე ზოგჯერ კონკრეტულად უთითებს ფსალმუნიდან იმ თავს, საიდანაც იმოწმებს საჭირო მასალას. აბოზე ნათქვამია: „ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თვისსა მას გუამსა და სულითა თვისითა მოგზაურ ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეათვრამეტესა: ნეტარ არიან უბიწონი, გზასა რომელნი ვლენან რჯულსა უფლისასა“ (ფს. 118,1). იქვე იხსენებს ლუკას სახარებიდან ასეთ ფრაზას: „და საგალობლად მუხლისა მის თავში შემდგომად სიტყუაჲ იგი ნეტარისა მის ავაზაკისაჲ: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (შდრ. ლუკა, 23,24).

აბოს სასტიკად წამების შემდეგ ავაზაკებმა ცხვრის ტყავში გაახვიეს მისი ძვლები და მტკვარში გადაყარეს. ამის შემდეგ „წყალთა გამოსცეს განსაკვირველი ნათელი,“ „აღმობრწყინდეს ნათელნი სუეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი“. ამას მთელი მოსახლეობა ხედავდა, მათ იწამეს, „რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისა, მარტვილ არს და გულისხმა-ყონ ყოველთა ქრისტეს მორწმუნეთა და ურწმუნოთა, რამეთუ ჭეშმარიტი არს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელ თქუა, ვითარმედ: „მე თუ ვინმე მმსახურებდეს, პატივ-სცეს მას მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა“ (ციტატა მოტანილი აქვს მწერალს იოანეს სახარებიდან– 12,26).

იოანე საბანისძე „აბოს წამების“ მესამე თავს დავით ფსალმუნთმგალობლის სიტყვებითასრულებს: „ვთქუათ სიტყუაჲ იგი ნეტარისა დავითისი: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთაჲ“ (ფს. 115,6).

იოანე საბანისძე მოწამე აბოს „ქებაში“ მას ქრისტეს ჯვარით სამოთხის კარის გამღებს უწოდებს და იქვე ურთავს ციტატას პეტრე მოციქულიდან: „რამეთუ უფალმან ივნო ჩუენთვის, უბრალომან ბრალეულთათვის (I პეტრე, 3,18) დასთხია სისხლი თვისი უბიწოჲ“, დამოწმებული ტექსტის ფონზე მწერალი მიმართავს აბოს: „ხოლო შენ გარდაიხადე თანანადები, რამეთუ შენცა დასთხიე სისხლი თვისი სიყვარულისა მისისათვის. ამისთვისცა ძლევისა გვირგვინითა შეგამკო შენდა სასუფეველსა მას მამისა მისისასა მკვიდრად გამოგაჩინა“.

როგორც დავინახეთ, იოანე საბანისძემ „აბოს წამების“ წერისას გამოავლინა ძველი და ახალი აღთქმის წიგნების უებრო ცოდნა. საჭიროებისამებრ ბიბლიიდან გამოიხმო სათანადო ეპიზოდები, პასაჟები, უხვად გადმოაფრქვია ტექსტში ბიბილური ციტატები სათქმელში გატარებული აზრების დასადასტურებლად, მისთვის ნათლის მოსაფენად.

ამ მხრივ იოანე საბანისძეს არ ჩამორჩება „კოსტანტი კახის წამების“ ავტორი. მართალია, ეს ნაწარმოები მოცულობით და მხატვრული ღირსებით დიდად ჩამორჩება „აბოს წამებას“, მაგრამ ჩვენთვის აქ მთავარი ისაა, რომ ანონიმი მწერალი ამჟღავნებს ბიბლიის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. „კონსტანტის წამება“ შექმნილი უნდა იყოს 853-856 წლებში, როგორც ეს აღიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ახლა თანმიმდევრობით მივყვეთ თხზულების ფურცლებს და გამოვავლინოთ ბიბლიასთან მისი მიმართების ფაქტები.

საინტერესოდ იწყებს თხზულებას მისი ავტორი. იგი მოკლედ წარმოგვიდგენს ბიბლიის შექმნის ისტორიას. სულიწმიდის მეშვეობით პირველად აღიწერაო შესაქმე, „შემდგომად აღწერნა სხუანიცა წიგნნი, რომელთა შინა აუწყა **გამოსვლაჲ** იგ ძეთა ისრაელისათაჲ“. შემდეგ დაიწერაო წინასწარმეტყველთა წიგნები, „რომელსა ქადაგებდეს მოსვლისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. მაცხოვრის მოსვლის შემდეგ შეითხზაო „ოთხნი ესე ევანგელენი“... „ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი“. ანონიმი ავტორის მიერ დასახელებული ბიბლიური წიგნები გარკვევით მეტყველებენ, რომ IX საუკუნისათვის თითქმის დასრულებული უნდა იყოს საღმრთო წერილის ქართულად თარგმნა.

შემდეგ თხზულების ავტორი განაგრძობს: „იწყეს აღწერად ცხორებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ და ვითარ სახით არნ აღსასრული ღუაწლისა მათისაჲ, სადიდებლად წმიდათა მოწამეთა და აღსაბაძველად, რომელთა-იგი შური საღმრთოჲ აქუნდეს“. ამ შესავლით მწერალმა ერთგვარი ფონი შექმნა იმის გასაცნობიერებლად თუ რა მიზეზით ჩაიფიქრა კოსტანტი კახიზე თხზულების შექმნა: „ამისა მიზეზისათვის მეცა არაღირსმან ვინებე მიბაძვად პირველთა მათ და აღვწერე ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა და მოწამისა კონსტანტისი“.

„წამების ავტორი“ დასაწყისშივე წარმოაჩენს კოსტანტის პიროვნებას, როგორც მდიდარ წარჩინებულს. იგი გამოირჩეოდაო ქველმოქმედებით, ქრისტეს რჯულისადმი ერთგულებით, სტუმართმოყვარეობით, მშივრის დაპურებით, შიშველთა შემოსვით, ლტოლვილთა თუ ქვრივობოლთა მიმართ ყურადღებით, ფრიადი მოღვაწეობით „ნაკლლევანთათვის სახლისა თვისისა“, რამეთუ შთაგონებული იყოო პავლე მოციქულის მოძღვრებით: „რამეთუ ესმინა თქუმული იგი პავლეს მოციქულისაჲ, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე თვისთა და უფროჲსღა სახლეულთა, არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უვარ-უყოფიეს მას და არს იგი ურწმუნოთა უძვირეს“ (იხ. I. ტიმ. 5,8). თანამედროვე ქართულ ენაზე ეს ასე ჟღერს: „ხოლო ვინც არ იზრუნებს თავის ახლობლებზე, უფრო მეტად კი თავის ოჯახის წევრებზე, იგი განუდგა რწმენას და ურწმუნოზე უარესია.

შემდეგ მწერალი საუბრობს კონსტანტის თავმდაბლობაზე, ადამიანთა მიმართ თავდადებაზე, რადგან იგი მოქმედებდაო მაცხოვრის მაგალითით: „რამეთუ ესმინა სიტყუაჲ იგი მხსნელისა და მაცხოვრისაჲ, ვითარმედ: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ“ (შდრ. მათე, 11,29). კონსტანტის გული მიუწევდა იერუსალიმის ტაძრისაკენ წმ. გოლგოთის თაყვანისცემად და მწერალი ამ ფრაზას ამთავრებს ფსალმუნის სიტყვებით: „სადა იქმნა იგი განახლებაჲ ჩუენი მარჯულისაგან მაღლისა“ (ფს. 76,11). იერუსალიმიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კოსტანტი განაგრძობდა ღვთისმსახურებას, ქველმოქმედებას. იერუსალიმისა და პალესტინის ადგილებისათვის შესაწევარი არ მოუსპია. აქვე ავტორი ურთავს პავლე მოციქულის მცნებას კორინთელთა მიმართ მიწერილს: „რამეთუ ესმინა მცნებაჲ იგი პავლესი მოციქულისაჲ, რომელი მიწერა კორინთელთა მიმართ, ვითარმედ: „ნამეტნავი ეგე თქუენი იყავნ ნაკლულევანთა მათთვის, რომელნი არიან იერუსალემს, რაჲთა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუენისა მის ნაკლოვანებისათვის“ (შდრ. II კორ. 8,14). ე.ი. ამჟამად თქვენი ნამატი შეავსებს მათს ნაკლულობას, რათა მათმა ნამეტმაც შეავსოს თქვენი ნაკლულობა, რომ იყოს თანაბარზომიერება.

პავლე მოციქული ამბობს: „რამეთუ ვჰგონებ, პირველად ღმერთმან ჩუენ მოციქულნი უკანასკნელად გამოგუაჩინნა, ვითარცა სასიკუდინენი, რამეთუ სახილველ-ვიქმენით სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა“ (I კორ. 4,9). ამით ნათქვამია, რომ მოციქულები ღმერთმა გახადა სიკვდილმისჯილებად, ვინაიდან სანახაობად იქცნენ ქვეყნიერებისათვის, ანგელოზებისთვისაც და ადამიანებისთვის. პავლე მოციქულის ეს სიტყვები ახსენდება „წამების“ ავტორს კოსტანტის შეპყრობის ჩვენებისას: „ხოლო შეპყრობაჲ იგი ნეტარისა მის კაცისაჲ არა თუ თვინიერ რაჲმე ღმრთისა იყო, არამედ რომელი იგი განაგებს ყოველსავე და მისცემს მიზეზთა ცხორებისათა ნათესავსა

კაცთასა დაფარულსა განგებულებითა. ამას ზედაცა ინება სიხარულითი იგი მშვიდობაჲ, რაჲთა სახილველ იყოს ანგელოზთა და კაცთა კეთილი იგი საფუვარი გულს-მოდგინებისა მისისაჲ“.

შეპყრობილი კონსტანტი წარადგინეს თბილისში არაბთა სარდალ ბუღა თურქთან. მოსისხლე მტერთან საუბრისას იგი ფსალმუნის ენით წარმოთქვამს: „რამეთუ დამამდაბლა მე უფალმან, რაჲთა დავიმარხნე მცნებანი მისნი“ (შდრ. ფს. 118,71). უფლის შეგონებით კოსტანტი შეუპოვრად ითმენს ბოროტ ბუღასგან შეურაცხყოფას: „რამეთუ ეხსენა მას სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ, რომელსა იტყვის: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გვდევნიდენ, და თქუენ ყოველნი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთვის“. ციტატა ავტორის მიერ დამოწმებულია მათეს სახარებიდან (მათე, 5,11).

ბუღა თურქმა ვერ გატეხა კოსტანტის ნებისყოფა და ბორკილდადებული „წარსცეს ქუეყნად ბაბილოვნისა, მიჰგუარეს იგი მეფესა მას ისმაიტელთასა“. ხალიფა „მოძღვრავს“ მას, რათა ქრისტიანობა უარყოს და მაჰმადიანობისკენ მოიქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯიდა. ჯაფარ აბრაჰამის ძის მუქარას თხზულების ავტორი ფსალმუნის სიტყვებით ამთავრებს: „უკუეთუ არა ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოჰკუდე შენ პირითა მახვილისაჲთა და ხორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა“ (ფს. 78,2). კოსტანტი არ უშინდება ხალიფის სასტიკ განაჩენს და მკაცრი ტონით პასუხობს მათეს სახარების კვალდაკვალ: „მეცა უწყი, რამეთუ ხელმწიფებაჲ გაქუს ხორცთა ჩემთა ზედა, არამედ არა სულსა“ (მათე, 10,28). უფრო ვრცლად მათეს სახარებაში ასეა ეს აზრი განვითარებული: „და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოჰსწყვიდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკლუად, არამედ გეშინოდეს მისა უფროს, რომელი შემძლებელ-არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეენასა შინა“. კოსტანტი მტკიცედ განუცხადებს ხალიფას, რომ ჭეშმარიტი ღმერთის სიყვარულისთვის მახვილის არ ეშინია. მისი სათაყვანებელი უფლის დახასიათებას იგი ასრულებს ესაია წინასწარმეტყველის ატრიბუტებით: „რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი, ძლიერი ხელმწიფე და მთავარი მშვიდობისაჲ, მამაჲ მერმეთა მათ საუკუნეთაჲ“ (ეს. 9,6). გამომდინარე აქედან, ქრისტეს მოწამე არ ემორჩილება ხალიფის ბრძანებას, ვერ შეურაცხყოფს მაცხოვარს: „აწ ვითარ უკუე შეურაცხვყო იგი და ვერჩდე ბრძანებასა შენსა და სჯულსა თქუენსა, რომელთა წინასწარმეტყუელი გაყუედრებს და იტყვის: „არა ესმის ქანანს, არცა გამოჩნდეს თემანს, არცა ძეთა ავარისთა, მეფეთა და მეზღაპრეთა, გამომძიებელთა გონიერებისათა ქუეყანასა ზედა. ხოლო გზაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ არა გულისხმა-ყვეს და არცა მოიხსენნეს ალაგნი მისნი და წარწყმდეს იგინი მსგავსად მისა“ (ბარუქი, 3,22-23; შდრ. 3,27). კოსტანტი მოძალადეებს მიმართავს ფსალმუნური შემართებით: „ამიერითგან განმეშორენით ჩემგან, რაჲთა გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“ (ფს. 118,10). ხელები აღაპყრო ზეცისკენ და წარმოთქვა: „გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო... ვითარცა იგი წინასწარ სთქუ, ვითარმედ: „თქუენ მომცენით გულნი თქუენნი და მე მოგეც ძალი ჩემი“ (ეს ციტატა მოხმობილია იგავთა წიგნიდან, 23,26)... შენდა მოვილტვი ქრისტე, ძეო ღმრთისაო... აწ, უფალო, ღმერთო ჩემო, შეიწირე მსხუერპლი ესე ჩემი და შეივედრე სული ჩემი (შდრ. ფს. 142,9) ხელთაგან წარმართთასა და მომმადლე აღთქუმაჲ, რომელ აღუთქუ, ვითარმედ: „რომელთა აღმიარონ მე წინაშე კაცთა, პატივ სცეს მამამან ჩემმან (შდრ. იოანე, 12,26)... სახიერო უფალო აღმიარე მე წინაშე ანგელოზთა შენთა (შდრ. ლუკა, 12,8)... მომეც მე ნაწილი მის თანა, რაჲთა წილ-მხუდეს რჩეულთა შენთა თანა, რამეთუ სამკვიდრებელი შენი მტკიცე არს ჩემდა“ (შდრ. ფს. 15.6).

ბიბლიურ ლექსიკასთან, ბიბლიურ ეპიზოდებთან თუ ციტატებთან გულუხვი მიმართებით სტეფანე მტბევარი არ ჩამორჩება არც იოანე საბანისძეს, არც „კოსტანტის წამების“ ანონიმ ავტორს. ძველი აღთქმიდან იგი ემყარება შემდეგ წიგნებს: დაბადება, II სჯულისა, იობის წიგნი, ფსალმუნნი, წ. ესაია წინასწარმეტყველისა, წ. იერემიასი, სიბრძნე ზირაქისი; ახალი აღთქმიდან ავტორი სარგებლობს: მათეს და იოანეს სახარებანი, პავლე მოციქულის ეპისტოლენი კორინთელთა, კოლასელთა, ტიმოთეს და ებრაელთა მიმართ.

„გობრონის წამების“ პირველსავე ფურცელზე გადმოღვრილია ბიბლიური ციტატები ძველი და ახალი აღთქმიდან. დასაწყისშივე სტეფანე მტბევარი ყურადღებას ამახვილებს ღვთის განგების ჩვეულებაზე „სწავლად გონებასა ზედა დაბადებულთა მისთასა“, როგორებიც იყვნენ იოსები და ყოველნი მამათ-მთავარნი... „ვითარცა იტყვის იობ: „ნეტარ არს კაცი, რომელსა ამხი-

ლა უფალმან და სწავლასა ყოვლისა მპყრობელისასა ნუ განიშორებ, რამეთუ მან ალმის და კუალად აგის“ (შდრ. იობი, 6,17). იქვე მოხმობილია სოლომონ ბრძენის სიტყვები: „და სოლომონ იტყვის: „შვილო, უკეთუ მოხვალ მონებად უფლისა, თავი შენი განუმზადე განსაცდელთა“ (იხ. ზირ. 2,1). თითქოს ბიბლიური ციტატების დაფიქსირებით ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს მწერალი: „შვილნი, რომელნი უყვარან უფალსა, სწავლნის და ტანჯნის“ (შდრ. ზირ. 30,2) და მოციქული იტყვის: „სრულთათვის არს მტკიცე იგი საზრდელი, რომელნი სწავლასა უფლისასა მადლობით შეწყნარებად ღირს იქმნნეს და ცოდვისა რისხვითა გულის-წყრომისა მისისაჲთა ჩუენებად ძალი მისი“ (შდრ. ებრ. 5,14). ამას მოსდევს მწერლისეული ერთი წინადადება და ისევ ციტატა: „ვითარცა იტყვის დავით: „ამაღლდი, მსაჯულო სიმართლისაო და მიაგე მისაგებელი ამპარტავანთა“ (ფს. 93,2) და პავლე იტყვის: „ამისთვის მოიწიოს რისხვაჲ ღმრთისაჲ ნაშობთა ზედა ურჩებისათა“ (კოლას. 3,6). იქვე სტეფანე მტბევარი იხსენებს „დაბადების“ წიგნს: „ვითარცა დასაბამსა დაბადებისასა ნოეს ზე წარწყმედასა ამპარტავანსა კაცთასა“. მწერალი ამხელს ღვთის ხატად და მსგავსად დაბადებული ადამიანის მიერ შემოქმედი ღმერთის შეურაცხყოფას. ადამიანები ზნეობრივად დაეცნენ და დაემგვანენ დედათა ცოდვილ ბუნებას, რომლის გამო სიკვდილს გაეხსნა გზა, „ვითარცა პავლე იტყვისო: „ადამ არა სცთა, ხოლო დედაკაცი იგი სცთა“ (შდრ. I ტიმ. 2,14). მწერალი აქვე შეგვახსენებს ბიბლიურ წარღვნას, რომელიც შედეგი იყო ცოდვილ ადამიანთა მხრიდან ღმერთის განრისხებისა: „რომლისათვის განახუნა საქანელნი წყალთანი და წარწყმიდნა ყოველნი წყლით რღუნითა. ხოლო ნეტარისა ნოეს მიერ დაუშთა თესლი მკვიდრობისაჲ სოფელსა, ესრეთვე ნერგთა მათ წყვეისათა, თესლთა სიმწარისათა, მოხსენებად საძაგელთა სოდომელთა ლოთის ზე მართლისა უწესოთა შერევითა და არა დაუტევეს ადგილი წყალობისაჲ, რომელთა ზედა აწვიმა ღმერთმან ცეცხლი და წუნწუბაჲ“ (173). ამას შედეგად მოჰყვა ადამიანების დახოცვა. წარღვნა და ცეცხლის წვიმა საკმარისი არ აღმოჩნდა ადამიანთა გონს მოსაყვანად: „კუალად დედაკაცმან მან უსახურმან იეზაბელ გარდაამეტა უსჯულოებაჲ, რომლითა ელიას ეპატიჟა შურითა საღმრთოჲთა ცათა შეკრვად და სიყმილი შემოართუა ისრაელსა ზედა, ვითარცა ევა სიკუდილი სოფლად შემოიღო, რომლისათვის ელია იტყვის: „რაჲ ძეს ჩემი და სახლისა ამის აქაბისი“ (შდრ. III მეფ. 17,18). ავტორი აქვე შეგვახსენებს იზაბელის ურჩობის შედეგს: „ტერფთგან ცხენთასა განიჭრნის ხორცნი მისნი და მის ზედა აღესრულა წერილი იგი, ვითარმედ: „უგუნური იგი რისხვამან მოკლის“ (შდრ. იობი. 5,2).

როგორც დავინახეთ სტეფანე მტბევარს „გობრონის წამების“ პირველივე გვერდზე გამიზნულად აქვს გადმოფრქვეული ბიბლიური ციტატები, ბიბლიური ეპიზოდები. ამით მკითხველს უფრო აღუძრავს ინტერესს საღმრთო წერილისადმი, თვით თხზულებისადმი. ირკვევა მწერლის მხრიდან საფუძვლიანი ცოდნა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისა.

სტეფანე მტბევარი განაგრძობს თხრობას. ისევ გვიყვება წარღვნაზე და ცეცხლის წვიმაზე, დედამიწის დაცემაზე, ღმერთის მიერ მახვილით შურისძიებაზე ცოდვილ ადამიანთა მიმართ და წამსვე შეგვახსენებს ესაია წინასწარმეტყველის ნათქვამს: „უკეთუ ისმინოთ ჩემიო, კეთილსა ქუეყანისასა სჭამდეთ, უკუეთუ არა ისმინოთ, მახვილმან შეგჭამნეს თქუენ“ (ეს. 1,20-21). ცოდვების გამო ისრაელთა განსაცდელზე საუბრისას „წამების“ ავტორს ახსენდება დავით ფსალმუნთმგალობლის სიტყვები: „ვითარცა თქუა დავით: „მოვიხსნენ მე დღენი პირველნი და ვიტყოდე ყოველთა მიმართ მცნებათა შენთა“ (ფს. 142,5). სომხების შეცოდებაზე აქცენტის კეთებისას იერემია წინასწარმეტყველის გოდება დაუდგება თვალწინ ჰაგიოგრაფს: „ვითარცა თქუა იერემია წინასწარმეტყუელმან გოდებათა შინა მისთა: „სიტყვითა გმობისაჲთა შეაწუხეს სული წმიდაჲ და საქმითა ბილწებისაჲთა გარდარეულად განარისხეს შემოქმედი თვისი, რომლისათვის მსგავსად უსჯულოებისა მათისა მოიწია რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომად“.

სომეხთა ცოდვებს შეეწირა მათი ქვეყანა, არაბებმა უმოწყალოდ ააოხრეს იგი. ღმერთმა მათ მართლმადიდებლობის ღალატისათვის სამაგიერო გადაუხადა, „ვითარცა აბრაჰამ ჰკითხავს ღმერთსა: „უკუეთუ იყუნენ ხუთნი მართალნი, წარსწყმიდოა ქალაქი იგი?“ (იხ. დაბ. 18,24) და თქუა უფალმან: „არა“ (შდრ. დაბ. 18,26) და იტყვის: „ვინ წმიდა იყო და წარწყმდა, ანუ სადა ჭეშმარიტნი ძირითურთ აღიფხურნეს“. ჰაგიოგრაფი სომეხთა ქვეყნის აოხრებას არაბთა მიერ ადარებს ნინეველთა დაქცევას. აქვე „წამების“ ავტორი მოუხმობს იერემია წინასწარმეტყველის აჩრდილს: „რამეთუ ცოდვაჲ წამებისა მათისაჲ დაწერილ იყო ფიცარსა მას რკინისასა ფრჩხილი-

თა ანდამატისაჲთა, ვითარცა იერემია იტყვის“. სომხეთის სახლს ავტორი ადარებს უგუნურ კაცს, „რომელმან დადგა საფუძველსა ზედა საცთურებისასა და ქვიშისა ზედა წვალებისასა და ვითარ აღდგეს კუეთებანი, დაეცა და იყო დაცემაჲ მისი დიდ ფრიად“ (შდრ. მათე, 7,27), ვითარცა იობ იტყვის: „მე ვიხილენ უგუნურნი იგი, რომელთა ძირნი არა დაებნეს, არამედ მეყსეულად შეიჭამა როჭიკი მათი და განეშორნეს ძენი მათნი ცხოვრებისაგან“ (იობი. 5,3-4).

სტეფანე მტბევარი თხზულების მთავარი პერსონაჟის სახელის შეცვლას ადარებს ბიბლიური სავლეს პავლედ ქცევას და პეტრესი – კლდედ: „სახელი იცვალა, ვითარცა ყოველთა წმიდათა, ვითარცა პეტრეს კლდე და სავლეს პავლე. ამას ეწოდა პირველად მიქელ და მერმე გობრონ“. სარკინოზები ალყას შემოარტყამენ ყველის ციხეს, სადაც გობრონიც იმყოფებოდა. დაიხოცნენ ბრძოლაში ქართველები „და სისხლი იგი უბრალოჲ, ვითარცა მსხუერპლი სულნელი, შეინწირვოდეს ღმრთისა, ვითარცა სისხლი იგი აბელისი მართლისაჲ“. აქ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ უდანაშაულო ადამიანთა დაღვრილი სისხლი შედარებულია ბიბლიური აბელის სისხლთან“.

„წამების“ ავტორს უხვად მოაქვს საილუსტრაციო მასალები ბიბლიიდან. მათ თავის ადგილს მიუჩენს საკუთარი სათქმელისვე დასამოწმებლად: „ვითარცა პავლე იტყვის: „რაჲ სწორებაჲ არს ნათლისა და ბნელისაჲ, ანუ რაჲ სწორებაჲ არს ბელიარისა ქრისტეს თანა, ანუ რაჲ ნაწილი უც ურწმუნოსა მორწმუნისა თანა“ (იხ. II კო. 6,14-15) და უფალი იტყვის: „უკუეთუ ვინმე არა იშუეს მეორედ, ვერ ხელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისაჲ“ (შდრ. იოანე, 3,3) და უკუეთუ არა შჭამოთ ხორცი ძისა კაცისაჲ და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა თქუენთაჲ“ (შდრ. იოანე, 6,53) და კუალად: „რომელი ურჩ იყოს ძისა, მამაჲცა არა ჰრწამს, არა იხილოს მან ცხორებაჲ საუკუნოჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა“ (იხ. იოანე, 3,38)... და ესაია იტყვის: ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ „ანუ ვინ თანამზრახვალ ეყო მას“ (შდრ. ეს. 40,13).

მწერალი „წამებაში“ იხსენებს დიდი მეუფის სიწმინდის ქალაქ იერუსალიმს, „რომლისა თქუა მოსე: „თუალნი უფლისანი მას ზედა ჰგიან მარადის დასაბამითგან და უკუნისამდე“ (შდრ II სჯ. 11,12). ავტორი სარკინოზთა დახასიათებისას საკადრისს მიაგებს მათ, როგორც მხეცის ბუნების მქონეთ, მტაცებელთ, რომელთა სახლი და ცხოვრება აქლემის ზურგია. ქართველებს ასეთ ველურებთან მოუხდათ ბრძოლა, რათა ეკლესიის მშვიდობა დაიცვან, არა შეწყდეს ღვთისმსახურება. ამის შემდეგ სტეფანე მტბევარი სათქმელს ასრულებს ესაია წინასწარმეტყველის დროზე მოხმობილი სიტყვებით: „ვითარცა წინასწარმეტყველი იტყვის: „დასჭრიდენ მახვილებსა მათსა მანგლად და ლახურებსა მათსა სახნისად“ (სდრ. ეს. 2,4), რასაც იმავე ესაიას სიტყვით შედეგიც მოჰყვება: „მაშინ ძოვდენ მგელნი კრავთა თანა და ვეფხი განისუენებდეს თიკანთა თანა, ხბოჲ და კუროჲ და ლომი ერთად ძოვდენ“ (ეს. 11,6). ამას მოსდევს „წამების“ ავტორის კომენტარი: მგლად და ვეფხვად მათივე ბოროტების მძვინვარებას იტყვის, მხეცის სახეში სისხლის დათხევის წყურვილი იკვეთება, ლომად-მძლავრობასა მას...

„თიკნად მწვალებელთასა იტყვის, რომელნი მდუმრიად აჩუენებენ და შინაგან მგელ. მწერალი ამას მოაყოლებს უფლის სიტყვებს სახარებიდან: „ვითარცა თქუა უფალმან: მაშინ დაადგინნეს თიკანნი მარცხენით მისსა, რომელთა ჰრქუას. წარვედით წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნოს, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და მსახურთა მისთათვის“ (მათე, 25,41). აქვე იხსენებს ავტორი ბიბლიურ ნოეს: „და ნუცა მოასწავა სარწმუნოებაჲ ეკლესიისაჲ კიდობანსა მას შინა შეყვანებად შვიდ-შვიდი წმიდათაგანი და ორ-ორი არაწმიდათაჲ“.

არაბთა შემოსევის შედეგად წამების და სიკვდილის ჟამის მოწევნის ჩვენებას სტეფანე მტბევარი ბიბლიის ენით განაგრძობს: „ვითარცა დღესა მას განკითხვის უფლისასა, საშინელ და შესაძრწუნებელ არს დღე იგი სასჯელისაჲ, მეორედ მოსლვაჲ უფლისაჲ, ოდეს ცანი დაიქცნენ და წესნი იცვალნენ, მნათობნი, დაშრტენ ყოველნი და ქუეყანაჲ შეიმუსროს, ოხრაჲ იგი საყვირისაჲ ზარ-სცემდეს ყოველთა დაბადებულთა და ძრწოლით ხედვიდენ მეფესა ქრისტესა, მომავალსა ჯუარითა. დაღათუ ესე ჭეშმარიტ არს, არამედ სარწმუნოებითავე მოსალოდნელ არს, ვითარცა პავლე იტყვის“. ეკლის გვირგვინოსანი გობრონი გამოიყვანეს სიკვდილით დასასჯელად: „იხილეს იგი ყოველთა და ესევითარისა მსგავსებისთვის უფალი იტყვის: „კმა არს მოწაფისა მის, თუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თვისი და უფალი თვისი“ (შდრ. მათე, 10,25).

როგორც გაირკვა, სტეფანე მტბევარი ღრმად არის განსწავლული ბიბლიაში. თითქმის ზე-

პირად ფლობს მას. ამაზე მეტყველებს მის მიერ მოხმობილი ბიბლიური სიუჟეტები, ეპიზოდები, ციტატები. რომელთაც, როგორც მინას ჩარჩოში, ისე სვამს მოთხრობის სტრიქონებში თავ-თავის ადგილს, სათქმელისთვის ნათელის მოსაფენად, მეტი აზრისა და ემოციური დატვირთვის მისაცემად. მწერალი თითქმის ბიბლიური ლექსიკით მეტყველებს, იმდენი საილუსტრაციო ბიბლიური მასალაა გადმოღვრილი მოთხრობაში.

სხვა „წამებანში“ სიმწირე შეინიშნება ბიბლიის გამოყენებისა, „კოლაელთა წამების“ მიხედვით, წარმართნი კოლაელნი ბავშვები მშობლების დაუკითხავად გადაწყვეტენ ქრისტეს მოძღვრებასთან ზიარებას, ნათლისღებას. თავიანთ სურვილს ამცნობენ სოფლის მღვდელს. ამ დროს თხზულების ავტორი მღვდლის ენით გაიხსენებს სახარების სიტყვებს: „ხოლო მან მოიხსენა სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ, რომელი თქუა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან: „რომელმან არა დაუტევოს მამაჲ თვისი, და დედაჲ თვისი, და დანი და ძმანი, ცოლი და შვილნი, და არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (იხ. მათე, 10,38).

მღვდელმა დააკმაყოფილა ცხრა ძმა კოლაელის წყურვილი. ზამთარში, ღამით მდინარეში მონათლა ისინი. აქ „წამების“ ავტორი შედარებას მიმართავს ქრისტეს ნათლისღებასთან: „იყო ჟამი ზამთრისაჲ და ღამე ნეფხვისაჲ, რამეთუ დღისით ვერ იკადრებდა ნათლის-ცემასა მათსა შიშისაგან წარმართთაჲსა და უფლამანცა ჩუენმან იესუ ქრისტემან ღამე ნათელ-იღო იორდანესა მდინარესა იოვანესგან“. ხუცესმა მდინარე მტკვარში ჩაიყვანა მოსანათლი ყრმანი, ნათელ სცა მათ, წამსვე გაიხსენა ქრისტეს მონათვლის მომენტი: „სული წმიდაჲ გარდამოხდა, ვითარცა ტრედი ზედა იორდანესა, რაჟამს ქრისტე ნათელს-იღებდა, ანგელოზნი თანა უდგეს, ამას გალობასა იტყოდეს: „ალილუიაჲ, ალილუიაჲ“.

მშობლებმა როცა შეიტყვეს თავიანთი წარმართი შვილების გაქრისტიანება, მიიღეს მათი სიკვდილით დასჯის საშინელი გადაწყვეტილება. ამოთხარეს ღრმა ორმო, შიგ ჩაყარეს ისინი, ჩაქოლვის წესით გაასამართლეს. უმოწყალოდ დახოცეს. ამ მომენტში მწერალი სახარებიდან დაიმოწმებს სიტყვებს: „მაშინ აღესრულა სიტყუაჲ იგი სახარებისაჲ: „მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ და მამამან შვილი და აღდგენ მამა-დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლვიდნენ მათ“ (შდრ. მათე, 10, 21; მარკ. 13,12).

ამით ვწყვეტთ ციტატების ციტირებას ბიბლიიდან, რასაც ასე უხვად და ეფექტურად იყენებენ ჰაგიოგრაფები. მითუმეტეს მთელი ამ ნაშრომის შესრულების მანძილზე მრავალი ციტატა დავაფიქსირეთ ბიბლიიდან სხვადასხვა საკითხის გარკვევისას.

ლუარა სორდია

აკაკი და გალაკტიონი-გედის ორდენის რაინდები

მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის ტიტანს წილად ხვდა საქართველოს უგვირგვინო მეფის, ბულბულის ტიტული,მეოცე საუკუნეში ბედისწერამ გალაკტიონი აქცია პოეტების მეფედ, ლექსის ნოვატორად და რეფორმატორად, ორფეოსად ქართული სიტყვის მუსიკისა.

გალაკტიონი,როგორც კოსმიური პოეტი, აღრმავებდა, ამრავალფეროვნებდა ეროვნული და საკაცობრიო ლირიკის ტრადიციებს და მას წინამორბედების სიმაღლე კი არ აფრთხობდა, ტოლივით ეპაექრებოდა პარნასზე დავანებულებს და ახალ მერიდიანს ავლებდა მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე.

„არტისტული ყვავილების“ ავტორისთვის უპირველესი კუმირი იყო „სულიკოს“ ავტორი.

აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძის თვალთახედვით, ღვთაებრივი პოეტი იყო,სულიწმინდის სავანე, მარგალიტების მთების მფლობელი, ლომი, სულსხივოსანი რაინდი, იუპიტერი, ახალი დროის ჰამლეტი, წინამგრძნობი და წინასწარმეტყველი, ორფეოსის და მეფისტოფელის საწყისების ერთდროული შეთავსება (პოემა „აკაკი წერეთელი“) (1,817-843).

ესახება რა თვით მეუფისგან ხელდასხმულად, გალაკტიონი ასე მიმართავს თავის დიდ წინაპარს: "შენ გმსახურებს ძალთა ძალი,უხილავი უკვდავება, მეუფება მრავალთვალი"(1,820).

რუსთველური ძალით გვაგრძნობინებს ლექსის ავტორი აკაკის პოეზიის მუსიკალურობას: „განაგრძობდა იგი ხმიანს, ჯადოსნურს და ოცნებიანს მღერას, ათვინიერებდა მხეცებსა და ადამიანს"(1,822).

ბიბლიაში ღმერთმა შეისმინა იესო ნავეს ძის თხოვნა და მისი მტრების დამარცხებამდე, ერთი დღე-ღამით შეაყოვნა მზისა და მთვარის ჩასვლა (იესო ნავეს ძე,10,12,13,14,)(2,121).

გალაკტიონის პოემაში აკაკის სიდიადით გაოცებული და გაჩერებულია დრო: „...და თითქოს დრო მთლად გაჩერდა, უცნაურ ხალხს დააჩერდა, ნახა თავისივ საოცრება, გაჩერდა დრო გაჯერდა".

ლექსში „აკაკის ლანდი" (1,60) აკაკის აჩრდილის ხილვა ისე ამაღლებულად წარმოიდგინება,როგორც ღმერთის გამოცხადება.

უზენაესი მხოლოდ წმინდა სულის ადამიანებს ევლინება ნათლის, ცეცხლის ან ღრუბლის სვეტის, შუქისა და ელვის სახით.

ელვის თანხლებით,"საიდუმლო შუქით" ელანდება გალაკტიონს თავისი მარადიული პეტური იდეალი აკაკი წერეთელი,რომელიც ისეთსავე 'მადლს" და „უსიტყვო შუქს" ჰფენს, როგორც ღმერთი.

ამასთან, გალაკტიონი თვითონაც პოეზიის „ახალი ღმერთია" (შემოქმედება) (3,15), მშობლიურ ცაზე სამარადისოდ დამკვიდრებული შუქია:"შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის,როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები"(დრო)(4,65).

პოეზიის მეფეთა სულიერი ნათესაობა ვლინდება ერთგვარი მოტივირებისადმი ინტერესში, რელიგიურობაში, ეროვნული პრობლემების პრიმატში, ანალოგიურ სახე-სიმბოლოთა გამოყენებაში.

მსოფლიო ლიტერატურაში გახმაურებული სიმბოლოა გედი, პოეტი გედის ფენომენი საერთოდ.

ცნობილი ქართველი სიმბოლისტი ვალერიან გაფრინდაშვილი ჩამოთვლის იმ პოეტებს,რომელთაც „გედი ლექსებით ადიდეს. ესენი არიან რობაქიძე, მალარმე და სხვები". (გედი პოეზიაში) (5, 695-698).

ამ სიას შეიძლება მივუმატოთ „ბოდლერი, ბლოკი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, შოთა ნიშნიანიძე, ვაჟა ეგრისელი.

ცნობილია XIII საუკუნის მინეზინგერის კონრად ვურცმურგელის რომანი „გედის რაინდი", ვილიე დე ლილ ადანის ფანტასმაგორია „გედების მკვლელი".

გალაკტიონის გედის სახის შექმნას გარკვეული ქართულ–უცხოური ტრადიციები უძღოდა წინ და მრავალგვარ ჭრილში მოხდა მისი გააზრება. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ პოეტის შეხვედრებზე „სულიკოს" ავტორთან.

„არტისტული ყვავილების" ავტორი „ეპოქის გედი" იყო. მას იანტერესებდა „მსოფლიო გზებზე" მავალი გედები (კოსმიური ორკესტრი) (6,127-132) და ამ სახის გამოყენებით მრავალი შედევრი შექმნა (7,35-43).

მალარმეს სახით ფრანგულ პოეზიას მომაკვდავი გედის მრავალმნიშვნელოვანი დუმილი აინტერესებდა, ქართული პოეზიისთვის მომაკვდავი გედის სიმღერაა ორგანული და იგი ეროვნული მსოფლგანცდის გამომხატველია.

ცნობილია გალაკტიონის ინტერესი საერთოდ გედის სახისადმი, კერძოდ კი მომაკვდავი გედის ზღაპრისადმი. ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა მის წყაროს უცხოურ ლიტერატურაში, სახელდობრ, მალარმეს პოეზიაში ეძებდა.

ვფიქრობთ, გედის სახე, სიკვდილის წინ მომღერალი გედის თემა ქართულ პოეზიაში უპირველესად აკაკის სახელს უკავშირდება.

აკაკი წერეთლის ლექსში „გედი" ტკბილხმოვანი გედი შემოქმედებითი ძალის მადიდებელია, რომელიც პოეტსაც აღუძრავს სიმღერით სიკვდილის სურვილს: „სიკვდილის წინათ, ამბობენ, აჭიკჭიკდება გედიო და ტკბილ ჰანგებში იმარხვის მისი არსების ბედიო. უცნაურია გალობა პირველ და უკანასკნელი. იქ იხატება ცის სივრცე, იქვე ისახვის ქვესკნელი, ორაზროვანი, ორკი-

ლო, ერთის ხმით გამომეტყველი, შემოქმედების ქებაა, ცისა და ქვეყნის შემკვრელი. საამქვეყნიო ზარია, საიმქვეყნიო ზევსური, გედო, შევნატრი შენს ჭიკჭიკს/ შენგვარ სიკვდილსა მეც ვსურვი“ (8,6, 95).

ლექსში ვლინდება პოეტის ორბუნებოვნება, ღმერკაცობა, ცისა და მიწისადმი ერთდროული ინტერესი, წარმავალის გაუკვდავების სურვილი.

სიკვდილის წინ გედივით ტკბილი სიმღერის ამოთქმის, „საშვილიშვილო გალობის“ აღვლენის ნატვრაა აკაკი წერეთლის „ქებათა ქება“. ლექსში სიყვარული და ციური ნიჭია პოეტის ფრთებშემსხმელი: „შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო, გამოუთქმელო კაცთა ენითა... შენგან მგოსანი ფრთაშესხმული ვარ და მონავარდე აღმაფრენათა, რომ მეც გედივით სიკვდილის წინეთ უცნაურ ჰანგზე ჩავეხმატკბილო, გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ და ვთქვა გალობა საშვილიშვილო“.

სიყვარული აძლევს პოეტს ძალას, გედივით სიკვდილის წინ მშვენიერების საგალობლით დაგვათროს: „ხედავს სატრფოს სხივმოსილსა, ქვეყნის დარად, ზეცის სწორად, შეჰყურებს და ემატება სიჭაბუკე ერთიორად... გულს ჩანგურად აკოპიტებს, ზე გაუბამს სულის ძაფებს და გედივით სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ შემოსძახებს: შენ გეტრფოდი, შენვე გეტრფი, საიმედო ჩემს საფიცარს! და მხოლოდ შენ ახატიხარ ამ ჩემ წმინდა გულის ფიცარს“.

გრიგოლ რობაქიძე ასე ხსნის გედის ჰანგებს აკაკის პოეზიაში: „პოეტის გულში სიყვარულის ცეცხლი მხოლოდ მშვენიერებით იწვის... იგი ასხამს მას ალიან ფრთას და ანავარდებს მას მაღლა ფრენით... იგი ესხმის მის სულის სიმებს ციურ მალამოდ... იგია, მასში რო გედის ყივილს ააყვავილებს“ (9,35).

ტერენტი გრანელის არსებაში სიკვდილის მოლოდინი გედის აღსასრულს უკავშირდება, მაგრამ არა სიმღერის, არამედ უმწეობის გამო: „სნეული სახე სიკვდილის წინ ვარ, სიკვდილის წინ ვარ მე, როგორც გედი“ (ზამთრის მოახლოება) (10, 176).

გალაკტიონის გედი უცხოურ–ეროვნული ტრადიციების შემოქმედებითი სინთეზირების ნიმუშია.

ერთი მხრივ, მალარმესთან შეხვედრას ამჟღავნებს გალაკტიონის შორეული, „ზედმეტი, უცხო და განდევნილი“ გედი (ფოთლების ლანდი) (1, 77).

თუ მალარმეს გედი „სათუთი ყელით იგერიებს სიკვდილს მშვენიერს, გალაკტიონის გედი იდეალის სიდიადის არის მშვენიერი და სიკვდილის დამმარცხებელი: „ვიცი, ვიქნები მშვენიერი მიზნის სიძნელით, თუკი მოვედი, გადავიქანებ სიკვდილს მაღლა ამართულ ყელით. მე, შავი გედი“(პოეტი ბრბოში).

ფრანგ სიმბოლისტ პოეტთან შეხვედრა აშკარაა, მაგრამ იგი მაინც გალაკტიონისთვის დამახასიათებელი პოეტური თავისუფლებითაა დაღდასმული .

გალაკტიონი „ეპოქის გედია“, „გედი, დაჭრილი ოცნების ბაღით“, რომელსაც, ჩვენი აზრით, სიკვდილის წინ მომღერალი გედის სახის გააზრებაში დიდი ქართველი წინამორბედის ტრადიციამ მისცა სტიმული. სწორედ აკაკის საშვილიშვილო გალობის გამომხატველი გედის სახე მოერგო გალაკტიონის შემოქმედებას სულიერი ნათესაობის გამო.

აკაკის გედის სიმღერა „ორაზროვანია, ორკილო“, გალაკტიონისა – „ორი ჰანგის“, „ორი სიმღერის“ მომცველი.

აკაკის გედის ხმა „ცისა და ქვეყნის შემკვრელია“, გალაკტიონისა – „ცის და მიწის“ შემზავებელი, ანუ ორი უმთავრესი საწყისის მომცველი, ადამიანური, კაცური და ღვთიური, ამავე დროს.

აკაკის „საღვთო სიმღერა“ მოსწონდა, გალაკტიონს – „საღვთო ბილიკებით“ მავალი პოეზია, სიტყვის ძალით ხდებაო და იგი „ახალი ღმერთი“ (წუთი).

ქართველ წინაპართან გალაკტიონის კავშირზე მიგვანიშნებს „მთაწმინდის მთვარის“ ერთ–ერთ ვარიანტში „მოხუცის ლანდის“ – აკაკის ხსენება, აკაკის ლექსში „მოხუცის აღსარება“ მოხუცის ადრესატი თვითონ ავტორი იყო.

„მთაწმინდის მთვარეში“ ყურადღებას იქცევს აკაკის „მეფური ძილი“: „აქ,ჩემს ახლოს აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით“. ამასთან, შემდეგ სტრიქონებში მეფედ გვეცხადება თვით

გალაკტიონი: „რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“. საქართველოს უგვირგვინო მეფეს – აკაკის ეხმიანება „პოეტების მეფედ“ სახელდებული გალაკტიონი.

გალაკტიონი „მეფეა ყოვლისმოქმედი“(წუთი). ორივე პოეტს განსაკუთრებული ფრაგაშლილობა ახასიათებდა, აკაკი „აღმაფრენით მონავარდე“ იყო, გალაკტიონის ოცნება და სიზმარი ციდან ცამდე ფრთაგაშლილობას ავლენდა: „თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ფრთამდე ფრთები და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები“.

„მთაწმინდის მთვარეში“ პოეტური ძლევამოსილებით მარცდება შავი სიკვდილი, უკვდავების „ვარდისფერ გზაზე“ უკან იხევს არყოფნა. „ვარდისფერი სიკვდილის“ სახე, სიმბოლისტურ ესთეტიკასთან არის წილნაყარი (ედგარ პოსთან „წითელ სიკვდილის ნიღაბია“, მალარმესთან– „ოქროსფერი სიკვდილი“, ტერენტი გრანელთან –„ცისფერ სიკვდილის წამები“.

გალაკტიოლნმა სიკვდილის ტრაგიზმის დაძლევა მოახერხა მეფური სიმღერით, საკუთარი ძალების რწმენით: „რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“.

ეს თემა უფრო ადრე აკაკის შემოქმედებაში ფიქსირდება.

აკაკის „ქებათა ქებაში“ გედის ტკბილხმოვანი სიმღერაა: „რომ მეც გედივით სიკვდილის წინათ უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო“...

ე.ი. აქ სიმღერა არა ტრაგიზმის, არამედ უცნაური აღფრთოვანების, აღვსილობის გამომხატველია, რაც მხოლოდ პოეტური თეოზისით შეიძლებოდა მიღწეულიყო. აკაკის მთელი არსებით სწამდა, რომ სამარადისო სიმღერას მღეროდა: „გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ და ვთქვა გალობა საშვილიშვილო“. მხოლოდ პოეზიის მარადიულობის რწმენით მარცხდებოდა ყოველგვარი ეჭვი და სევდა.

ლოცვა–ვედრება, გალობა ორგანული იყო გალაკტიონისთვის.

„მთაწმინდა მთვარეში“ გალაკტიონი სიმღერით კვდება. სიმღერით სიკვდილის იდეაც აკაკის „მოხუცის აღსარებაში“ დომინანტობს: „და ჩემთვის გაუგებარსა სოფელს ვათავებ მღერითა“.

აკაკის პირველწყარო გედის სიმღერით სიკვდილის ლეგენდა იყო, თუმცა „ეს პოეტური ლეგენდა არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, მეცნირები ადასტურებენ, რომ გედი საერთოდ არ მღერის“ (ვიოლეტა ცისკარიძე „ორიოდე რჩევა“) (11,92)

გალაკტიონს წინ უსწრებდა როგორც ხალხური, ისე აკაკისეული ტრადიცია.

სიცოცხლესთან გამოთხოვებისას კალმის მიჩნევა სასწაულმოქმედ მახვილად და კვერთხად, საფლავში მისი ჩაყოლების სურვილი მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოეზია არამარტო სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც ეიმედებოდა აკაკის: „ორგულო, მაგრამ ერთგულო, კალამო მახვილ–კვერთხოვო, თან უნდა ჩამყვე საფლავში, სოფელს რომ გამოვეთხოვო“ (ჩემს კალამს).

გალაკტიონის ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი სულით („... სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა“) სიკვდილის ყოვლის იავარქმნელი ძალაც მარცხდებოდა. პოეტის რწმენით, საუკუნეების თანამდევი იქნება მისი შემოქმედება. ამიტომაც ახერხებს გედივით სიმღერით სიკვდილს და ახალ სუნთქვას აძლევს გედის სიკვდილის ლამაზ ლეგენდას.

გედის ორდენის რაინდები – აკაკი და გალაკტიონი წინასწარმეტყველურად ჭვრეტდნენ ინდივიდუალური თეოზისის ეროვნულ კათარსისამდე ამაღლებას, როცა სიკვდილის დამმარცხებელი სიმღერის სადიდებელ სტრიქონებს ქმნიდნენ სულიწმინდის შთაგონებით. ისინი პოეზიის ზეციურ ცეცხლში აწრთობდნენ ქართველი კაცის თანდაყოლილ რაინდულ ბუნებას, ზეგარდმო ნათელს ღვრიდნენ თანამოძმეთა სულში, „მარადისობის შექს“ ჰფენდნენ თავიანთი ღვთაებრივი შემოქმედებით.

ლიტერატურა

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, თბ. 1993
4. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ. I თბ. 2011
5. ვალერიან გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები, მწერლის არქივიდან, თბ. 1990

6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
7. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბ. 1993
8. აკაკი წერეთელი 5 ტომად, ტ. I, თბ. 2012
9. გრიგოლ რობაქიძე, აკაკის ქნარი, თბ. 1991
10. ტერენტი გრანელი, ცისფერი სიშორე, თბ. 1998

მანანა კვატაია

ისტორიის სივრცეებიდან

2014 წელს ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა დაბეჭდა გამოცდილი მკვლევრისა და მწერალი-დოკუმენტალისტის თემურ ამყოლაძის წიგნი "დადეშქელიანების ამბავი", რომელიც ერთი წარჩინებული გვარის თავგადასავლის მაგალითზე საქართველოს ისტორიის ვრცელი მონაკვეთის სიღრმისეულ გააზრებას გვთავაზობს და მკითხველს მრავალ პრობლემაზე დააფიქრებს.

თემურ ამყოლაძეს სხვადასხვა დროს გამოუცია წიგნები: "დავიწყებული ამბავი", "ყაჩაღი დვალიშვილები", "ოცი წლის წინათ", "ზღვარი", ქრონიკები: "მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეები", "წმინდა გიორგის ეკლესიის ნეკროპოლი" და ა. შ.

"დადეშქელიანების ამბავი" ავტორის მრავალწლიანი სამეცნიერო და ლიტერატურული შრომის შედეგია. "ამ წიგნის დაწერა დადეშქელიანთა გვარის ისტორიის საკვლევად არ განმიზრახავს, – წერს ანოტაციაში თ. ამყოლაძე, – უპირველეს, თავის დროზე დახვრეტილი სვანეთის უკანასკნელი მთავრის – კონსტანტინე დადეშქელიანის სამარის პოვნა მინდოდა.. საარქივო საბუთებს ვეძებდი საამისოდ". მიკვლეული მასალის სიმრავლე საბოლოოდ ვრცელ წიგნში აისახა და თ.ემურ ამყოლაძემ შექმნა, მისი თქმით, "უბედურებათა სურათის ქრონიკა", ამავე დროს, "მეცხრამეტე საუკუნის (არა მხოლოდ) სამწუხარო ქართული ქრონიკა".

წიგნი ექსპრესიულად იწყება. მასში მოთხრობილი ამბების ერთგვარი პრელუდიაა პირველი ქვეთავი "ვხედავ", სადაც მკითხველის წარმოსახვითი მზერა იხილავს გორგს, დადიანების სასახლეს, მის ეზოში – კოცონს, "მინდორში, ახლო-ახლო, ტარით მიწაში, წვერით ზემოთ, სატევრებია ჩარჭობილი". გესმის დაირის ხმა და აღგაფრთოვანებს სვანების სიმღერის ფონზე – გაბასრულ სატევრებს შორის, ცერებზე მდგარი ჯანსულ დადეშქელიანის მგზნებარე ცეკვა (მალე, სულ ხუთიოდე თვეში, ეს რჩეული ვაჟკაცი საკუთარი ახლობლების ტყვიის წერა გახდება). სასურველ სტუმრებს თვით სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი მასპინძლობს, შვიდი წლით უმცროსი ჯანსუღ დადეშქელიანის დედობილი რომ ხდება. ამ რომანტიკულ სურათებს სხვა ვიზიონები ცვლის: აქ უკვე სისხლია და სისხლის წვიმები, ღალატი, გაუტანლობა, მტრობა, ძარცვა, წაგლეჯა. "ვხედავ, ცხედრები ამოდიან საფლავებიდან და შტერდებიან. ვხედავ და ვწერ", – ესეც ავტორის რეფრენია. და მართლაც, გაყვითლებული საარქივო ფურცლების, ურიცხვი უძველესი დოკუმენტის, მოგონებათა, ანგარიშების თუ საგაზეთო ქრონიკების "დავიწყების ბინდიდან გამოდიან ადამიანები, ცოცხლდება დრო, ეპოქა, ისე, ლამის ხელი შეახო".

თ. ამყოლაძის ცნობით, მე-11 საუკუნიდან სვანეთი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი საერისთავოა და მას ჯერ ვარდანიძეები, შემდეგ გელოვანები მართავენ. მათ შემდეგ კი დასავლეთ, ანუ სათავადო სვანეთში რიჩგვიანები გაბატონებულან. "რიჩგვიანების შემდეგ უკვე დადეშქელიანები მოდიან, სისხლისმღვრელი ბრძოლების ფასად რომ დაუჯდათ პირველობა", – წერს ავტორი.

დრამატულია "დადეშქელიანების ამბის" ის მონაკვეთი, თავისუფალი სვანეთის, კერძოდ, უშგულის, დამორჩილების მოსურნე ფუთა დადეშქელიანის ტრაგიკულ ისტორიას რომ გადმოსცემს. სვანეთში დღესაც ცოცხლობს გადმოცემა, თუ როგორ მოკლა მთელმა სოფელმა ფუთა, მისი სისხლი ერთ კაცს რომ არ დაბრალებოდა. საერთო ძალისხმევით ჩამოსხმული ტყვიით გატენილი თოფით თვით ღვთისმშობლის ეკლესიის გალავნიდან ასევე ერთიანი ძალით გაუსროლიათ და მოუკლავთ ფუთა დადეშქელიანი. უშგულის ღვთისმშობელს ეს გაუგონარი ამბავი სწყენია და უშგულელები სასტიკად დაუსჯია.

ფუთას შთამომავალნი ყოფილან: სამი ძმა – ხოშა ოთარი, სორთმანი და დუდაუ. მათგან დადეშქელიანთა ახალი ეპოპეა იწყება. თემურ ამყოლაძე თვალს ადევნებს მათი თუ მათივე შთამომავლების თავგადასავალს და მიუთითებს: "ბევრმა გაისვარა ხელი ნათესავისა თუ ღვიძლი ძმის სისხლით, პირველობისთვის, ბატონობისათვის ბრძოლას ეწირებოდა ყველაფერი".

და მაინც, მწერალ-დოკუმენტალისტს ყველაზე მეტად კონსტანტინე დადეშქელიანის ამბავი იზიდავს, თუმცა, სანამ მას კონკრეტულად გადმოსცემდეს, ურიცხვი ისტორიული დოკუმენტის თუ მოვლენათა ლაბირინთში მიიკვლევს გზას, თან უამრავი პიროვნების ისტორიას გვაცნობს. მას მხედველობიდან არ რჩება დადეშქელიანებისა და დათეშიძეების ნათესაური ერთობა. ავტორი ფასდაუდებელ ცნონებს გვაწვდის დადეშქელიანებისა და აფრასიძეების, მაღლაფერიძეების, გვარიშვილებისა და დადეშქელიანთაგან გამოსული სხვა გვარების ისტორიაზე.

"დადეშქელიანების ამბის" მეორე ნაწილი გადმოსცემს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სვანეთის რუსეთის მმართველობაში გადასვლის პერიპეტიებს. წიგნის მესამე ნაწილი დადეშქელიანებისა და დადიანების ისტორიული დავის ამბებს მოგვითხრობს. ერთ-ერთი თავი 1855 წლის აპრილში ჯანსუღ დადეშქელიანის მკვლელობის ისტორიას ჰყვება.

1857 წელი სამეგრელოსა და სვანეთისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანი იმპერატორის უმაღლესი რესკრიპტით პეტერბურგს გამოიძახეს. მას ამ წლის 25 ოქტომბერს უნდა დაეტოვებინა საქართველო და ფოთში გემის მომზადება უბრძანებია. ამავე დროს, კავკასიის მეფისნაცვალი ბარიატინსკი სადადეშქელიანო სვანეთზე სამხედრო შეტევას ამზადებდა. სისხლისღვრის თავიდან აცილება ძმებს – ალექსანდრე და კონსტანტინე დადეშქელიანებს – სვანეთიდან განრიდებით მოუხერხებიათ: ისინი ნებით ჩაბარდნენ ხელისუფლებას.

სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე დადეშქელიანისა და მისი ძმის "ბრალეულობა" იკვეთება წიგნში ჩართულ, კავკასიის მეფისნაცვალ ბარიატინსკის მიმართვაში სამხედრო მინისტრისადმი, რომელიც 1857 წლის 17 აგვისტოთია დათარიღებული და "აქტების" მე-12 ტომშია დაბეჭდილი: "უფროსი შტოს მემკვიდრე, თავადი კონსტანტინე დადიშკელიანი, თავად ციოყის ძე, დამნაშავე აღმოჩნდა იარაღით თავად თათარხანის სამფლობელოს დაკავებაში, თავისუფალი სვანეთის ორი საზოგადოების დაფიცებაში მის ერთგულებაზე, და, საერთოდ, მისწრაფებაში, მთელი სვანეთი დაუმორჩილოს საკუთარ ძალაუფლებას.სამსახურიდან ბრძანების შეუსრულებლობისათვის დათხოვნილი ალექსანდრე დადიშკელიანი უნდა გაძევდეს ამ მხარიდან, რომ უფროს ძმაზე იმისი მავნე ზეგავლენა გამოვრიცხოთ" და ა.შ.

ალექსანდრე დადეშქელიანი ნოვოჩერკასკში, დონის ატამანის განკარგულებაში გადაუციათ, კონსტანტინე კი ქუთაისში, პოლკოვნიკ ბართლომეის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ უკანასკნელს კონსტანტინე დადეშქელიანი ქუთაისის ერთადერთ, გრივნაკის სასტუმროში დაუბინავებია და თვითონაც იქვე დასახლებულა, მუდამ თვალწინ რომ ჰყოლოდა იგი. "კონსტანტინე პატიმარი იყო, ოღონდ ამას პირდაპირ არავინ ეუბნებოდა", – წერს თ. ამყოლაძე.

ავტორი თანამედროვეთა მოგონებებით აღადგენს კონსტანტინე დადეშქელიანის გარეგნობას. ქუთაისის ბულვარში მოსეირნე დიდებული იერ-სახის მთავარს თან მუდამ ხალხი მისდევდა. ალექსანდრე შჩერბაკოვის ცნობით, ქალები ჭკუას კარგავდნენ მის სილამაზეზე: "წარმოიდგინეთ ახოვანი კაცი, სიმაღლით ერთს საჟენამდის, მოყვითანო, ხუჭუჭი თმით, ლურჯის, როგორც ცა, თვალებით, მშვენივრად მოყვანილი ტანისა, გმირი ღონით, დიდებულის მიხვრა-მოხვრით, ბრწყინვალე იარაღით, თოვლივით თეთრი ჩერქესკითა და ქუდით – სუყველა ამას აღტაცებაში მოჰყავდა ყოველი მაყურებელიო".

საინტერესო ინფორმაციას აანალიზებს ქვეთავი: "როგორ გაიყვანეს სამეგრელოსა და აფხაზეთის უკანასკნელი მთავრები საქართველოდან". აქ მოტანილია სიმონ ჯანაშიას სიტყვები: "1864 წელი ის წელია, რაც ცარისტულ ოფიციალურ ისტორიაში კავკასიის სრულად დამონების თარიღად ითვლება". ცნობილია, რომ ამ წელს აფხაზეთის სამთავროც გაუქმდა. სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, გემით ნოვოროსიისკს გადაუყვანიათ, აქედან – ვორონეჟში.

1857 წლის 20 ოქტომბერს ქუთაისში დიდი ტრაგედია დატრიალდა, რაზეც წიგნის ავტორი მრავალი ისტორიული დოკუმენტის შეჯერებით დეტალურად მოგვითხრობს. ამ დღეს ქუთაისის

გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრე გაგარინი გორდში წასვლას აპირებდა: ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა პეტერბურგს უნდა გაეცილებინა. ამავე დროს, მეფისნაცვალ ბარიატინსკის ბრძანებით, კონსტანტინე დადეშქელიანი სასწრაფოდ ქუთაისიდან უნდა გაერიდებინათ. თემურ ამყოლაძე დამაჯერებლად აღწერს დატრიალებული ტრაგედიის ყოველ დეტალს: კვირის წირვიდან გაგარინთან ძალით წამოყვანილი, სასტიკად შეურაცხყოფილი, წონასწორობადაკარგული კონსტანტინე დადეშქელიანი (მას ძალდატანებით დაუყოვნებლივ ქუთაისის დატოვებას აიძულებდნენ) თავისი სატევრით მის საკუთარ კაბინეტშივე სასიკვდილოდ დაჭრის გაგარინს და აქვე მის მხლებლებსაც სასტიკად უსწორდება.

კონსტანტინე დადეშქელიანი 1857 წლის 2 ნოემბერს, დილის 8 საათზე დახვრიტეს და, კოლუბიაკინის თქმით, იქვე, "სამარცხვინო ორმოში", დამარხეს. წიგნში მოტანილია ამ სულისშემძვრელი ტრაგედიის იმდროინდელი შეფასებანი, საიდანაც პირველია სიტყვები: "კონსტანტინე დადეშქელიანმა სირცხვილის ლაქა ჩამორეცხა ქართველ თავადაზნაურობას".

"დადეშქელიანების ამბავი" გვაცნობს კონსტანტინე დადეშქელიანის დედას – მარშანიას ქალს, მის ძმებს, რომელთაგან გამორჩეული გახლდათ ალექსანდრე, ძმის დახვრეტის შემდეგ სამხედრო მინისტრის ბრძანებით ირკუტსკში რომ გაუგზავნიათ. "ალექსანდრე დადეშქელიანმა, მოგვიანებით, ამურისპირეთში განაგრძო სამსახური, ცნობილი მეცნიერიც გახდა და გენერალიც, ხოლო უმცროსი ძმები ვოლინის გუბერნიასა და ყირიმში დასახლდნენ (ვიატკის შემდეგ) და იქვე გარდაიცვალნენ, იმათგან მხოლოდ თენგიზს ეღირსა სამშობლოში დაკრძალვა", – წერს თ. ამყოლაძე. "დადეშქელიანების ამბავი" სვანეთის უკანასკნელი მთავრის შვილების ისტორიასაც გვიამბობს. მისი ოთხი ვაჟი ტავრიდის გუბერნიაში, აგაიმანს დასახლებულა.

დახვრეტილი მთავრის თანამოსახელე, მისი ერთ-ერთი ძე – კონსტანტინე – საქართველოში დარჩენილა. 1899 წლის ქართულ გაზეთებში თ. ამყოლაძეს მასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის ქრონიკისათვის მიუკვლევია.

"დადეშქელიანების ამბავი" ძალზე დეტალურად, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით აღწერს ქუთაისის წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობის ისტორიას. საბოლოოდ სწორედ აქ გადაუსვენებიათ კონსტანტინე დადეშქელიანის ნეშტი. ამასთან, ეს წმინდა ადგილი სხვა დადეშქელიანთა და ცნობილ პიროვნებათა ძვალთშესალაგიცაა.

თემურ ამყოლაძეს მეცნიერული სიზუსტით აღუნუსხავს ისტორიულად არსებულ დადეშქელიანთა მონაცემები, საარქივო და დოკუმენტური წყაროებით დაუდგენია მათი ბედი, მხედველობიდან არ გამორჩენია მოწამეთის მონასტრის კოშკის ისტორია, რომლის აგებაც მურზაყან დადეშქელიანის სახელს უკავშირდება. დიდ მეცნიერულ ინფორმაციას მოიცავს "დადეშქელიანთა გვარის გენეალოგიური ტაბულები", ასევე წიგნის ის თავი, სადაც ქუთაისელი დათეშიძეების ისტორიაა გადმოცემული.

თემურ ამყოლაძის "დადეშქელიანების ამბავი" ქართული დოკუმენტური პროზის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ქეთევან ცაბაძე
კერძო სკოლა „ლილე", დაწყებითი კლასის პედაგოგი

საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნის და განვითარების აქტუალური საკითხები

რეალურმა ცხოვრებამ და განვიტარების მიმართულებებმა აჩვენა, რომ განათლების სისტემის არსებითი გარდაქმნა გარდაუვალი აუცილებლობაა, თუ გვინდა გლობალურ, შემტევ, მოქიშპე სამყაროში გადარჩეს ქვეყანაც და მისი მოქალაქეებიც.ამასთან მიგვაჩნია, რომ გარდაქმნების საყრდენი პრინციპი უნდა იყოს არა არსებულის უარყოფა და ნგრევა, არამედ საუკეთესო რესურსის, ტრადიციის, გამოცდილების გადარჩევა, დაწმენდა-გაფილტვრა და შევსება ყოველივე იმ პროგრესულით, რაც შეესაბამება ჩვენი ქვეყნის და მისი მოქალაქეების

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს.

განათლების სისტემისსტრუქტურულ-შინაარსობრივი ცვლილების და განვითარების პროცესები რომ სწორი ვექტორით წარიმართოს, უპირველესი ამოცანაა დამუშავდეს განათლების სისტემის კონცეფცია – ახალი საგანმანათლებლო პარადიგმა – ქვეყნისგანვითარების სტრატეგიული მიზნებისადა საერთაშორისო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში.ამიტომ, საჭიროა ხელახლა გავიაზროთ და დღევანდელი და სამომავლო გადასახედიდან გავაცნობიეროთ რა არის განათლება, ვისთვის გვინდა განათლების სისტემა? რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს მან და როგორ? მნიშვნელოვანია სწორად იქნეს განსაზღვრული თუ რა შინაარსის მატარებელია ცნებები: განათლება, განათლების სისტემა, განათლების პროდუქტი, განათლების სისტემის მიზანი.

დასახელებულ ცნებათა განმარტება სხვადასხვა კუთხით შეიძლება. ეკონომიკური თვალთახედვით მათ ამგვარად განვმარტავდით:

განათლება არის ადამიანის მიერ ზოგადი და პროფესიული ცოდნისა და უნარების, ზნეობრივი ნორმებისა და ზოგადი კულტურის ათვისების, პირადი ნიჭის და უნარ–შესაძლებლობების განვითარების, თავისუფალი, ჰუმანისტური, სახელმწიფოებრივი თვითშეგნების მატარებელი მოქალაქის ფორმირების უწყვეტი პროცესი აღზრდის, სწავლა-სწავლების და წრთვნის გზით – განათლების სისტემის სივრცეში და/ან მის გარეთ.

განათლების სისტემა არის მართვის კონკრეტულ პოლიტიკასა და შესაბამის საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზაზე დაფუძნებული საფეხურებრივი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომლის ყველა საფეხურზე გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებს შეუძლიათ დადგენილი სტანდარტების შესაბამისადგანსაზღვრული დონის, ხარისხის და მოცულობის საგანმანათლებლო მომსახურებით სარგებლობა.

განათლების სისტემის მიზანია მოამზადოს და გამოუშვას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროდუქტი სახელმწიფოს სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალური და ფუნქციური საჭიროებების, შიდა და საერთაშორისო ბაზრების, საზოგადოების და ცალკეულ პიროვნებათა საგანმანათლებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ხელი შეუწყოს ქვეყნის სტაბილურ, უსაფრთხო და მდგრად განვითარებას.

განათლების სისტემის პროდუქტი არის: ა) ყველა, ვინც სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღზრდისა და სწავლის პერიოდში დამაკმაყოფილებლად აითვისა კონკრეტული საგანმანათლებლო საფეხურის სასწავლო პროგრამის სრული ან არასრული კურსი და აქვს უფლება მიიღოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი ან აკადემიური ხარისხის სერტიფიკატი; ბ) განათლების სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შექმნილი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროდუქცია.

განათლების სისტემის ფუნქცია,არსი ისაა, რომ სისტემას შეეძლოს ისეთი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, რაც შეესაბამება სამი ძირითადი სუბიექტის ინტერესებს. ეს სამი სუბიექტია:

- მომხმარებელი (საოჯახო მეურნეობები);
- მწარმოებელი (ფირმები);
- სახელმწიფო (მთავრობა).

აქედან გამომდინარე, სისტემამ უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნები:

1. პიროვნების, ინდივიდის– ადამიანებს სურთ მიიღონ პირადი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობების და ინტერესების შესაბამისი უმაღლესი დონისა და ხარისხის განათლება, რაც უზრუნველყოფს მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ღირსეულ პირობებს და სტატუსს საზოგადოებაში.

2. ეკონომიკის, მეურნეობის – ეკონომიკის ყველა დარგს, სახელმწიფო და კერძო ფირმას (ორგანიზაციას, წარმოებას, საოჯახო მეურნეობას და ა.შ.)ჭირდება კონკრეტული პროფესიისა და სპეციალობის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი კადრები საჭირო პროდუქცისა და მომსახურების წარმოების, კაპიტალის მატების, ეკონომიკური ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მისაღწევად.

3. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი– ნებისმიერი მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს,

რომ ქვეყანას ქონდეს განათლების რაც შეიძლება მაღალი პოტენციალი და დონე; საზოგადოება დაინტერესებულია, რომ განათლების, სწავლა-აღზრდის სისტემა ეფეუძნებოდეს ერის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს, ითვალისწინებდეს ერის ფსიქო-ფიზიკურ, ეთნიკურ, ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ და სოციალურ თავისებურებებს, ტრადიციებს, ითვისებდეს თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, განათლების და კულტურის მიღწევებს, ცივილიზაციის მონაპოვარს და თავადაც საკუთარი ღირსეული წვლილი შეჰქონდეს მასში.

ამ სამი სუბიექტის მოთხოვნები უსაზღვროა, რაც განათლების სისტემას აძლევს მრავალფეროვნების, ცვლის, განვითარებისა და პროგრესის სტიმულს; ხოლო სისტემის მიერ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობები და რესურსები შეზღუდულია, რაც იძლევა სისტემის რაიცონალიზაციის, მისი შიდა და გარე ეფექტიანობის ზრდის მოტივაციას.

საბაზრო ეკონომიკის გამყარების, გლობალურ სამყაროსთან მზარდი ინტეგრირების პროცესში განათლების სფეროს გარე და შიდა გარემო იქნება მუდმივად ცვალებადი. ამდენად გადარჩენა და წინსვლა მხოლოდ სისტემის მოქნილობის, შემგუებლობის (ადაპტირების) და ტრანსფორმირების უნარზე იქნება დამოკიდებული. ამიტომ განათლების სისტემას უნდა მიეცეს დინამიკური ცვლის და მანევრირების შესაძლებლობა, რათა იყოს ეკონომიკასთან თავსებადი, სწრაფად და ადვილად მოახდინოს რეაგირება მუდმივად ცვალებადი ბაზრის მოთხოვნებზე, მოახერხოს საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარში ინტეგრირება და საკუთარი სეგმენტის– ნიშის მოპოვება, პარტნიორულ ურთიერთობებში ჩართვა, ცოდნის სამკუთხედის „განათლება-მეცნიერება-ინოვაციური ბიზნესი“ ფორმირება, ანუ ცოდნისმიერი, ინოვაციური ეკონომიკის სტიმულირება, კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო-ეკონომიკური და ცალკეული სხვა დარგების განვითარების პერსპექტივების განჭვრეტა და მათი საჭიროებების წინმსწრები რეჟიმით უზრუნველყოფა.

აღნიშნულის სარეალიზაციოდ საჭიროა ისეთი სისტემა, რომელსაც ექნება: მოქნილი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო სტრუქტურა;

– მარტივი და ოპერატიული, ახალი გამოწვევების შესატყვისი მართვის სტრუქტურა;

– განათლების სისტემის განვითარების და წინსვლის მასტიმულირებელი ინსტიტუციური ბაზა.

განათლების სისტემის სტრუქტურა უნდა იყოს:

- იოლად ტრანსფორმირებადი– შეეძლოს საგანმანათლებლო მოთხოვნების ცვლილებაზე სწრაფი, თანადროული რეაგირება;
- მრავალსაფეხურიანი – ყოველი საფეხური იყოს დასრულებული და თავსებადი მომდევნო დონის საფეხურთან, რაც უზრუნველყოფს განათლების მემკვიდრეობითობას;
- ღია, გახსნილი – უზრუნველყოფილი იყოს სამეცნიერო-ტექნიკური, სტრუქტურული, შინაარსობრივი და სხვა სიახლეების დანერგვა ცალკეული დაწესებულებებისა თუ სისტემის მასშტაბით, საზოგადოებისთვის გამჭვირვალება;
- მრავალსახოვანი – განათლების დაწესებულებათა და ინსტიტუციების ტიპების, სწავლების სახეობების, ფორმების, პროგრამების, მეთოდების და ა.შ. ნაირგვარობა განათლების მრავალფეროვნებისა და არჩევანის უზრუნველსაყოფად;
- ავტონომიური – სისტემის ყველა დონეზე მართვის, ორგანიზაციის, დაგეგმვის, ფინანსების მოზიდვისა და განკარგვის, ადამიანთა რესურსების შერჩევისა და სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა შესაბამისი იურიდიულ-სამართლებრივი კომპეტენციის ფარგლებში;
- ინტეგრირებადი (ადვილად თავსებადი)– შეეძლოს ადგილობრივ და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ბიზნეს ორგანიზაციებთან აქტიური პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, ერთობლივ პროექტებსა და საქმიანობაში ეფექტიანი მონაწილეობა.
- უწყვეტი – იძლეოდეს ცოდნის მუდმივად შეძენის და განახლების შესაძლებლობას ნებისმიერ ასაკში,კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი სისტემის (ე.წ. იფელონგ ეარნინგ)საფუძველზე:

- ყველასათვის ხელმისაწვდომი – აძლევდეს სასურველ განათლებას ყველა მოქალაქეს მიუხედავადდ ასაკისა, სქესისა, ფიზიკური და მენტალური შესაძლებლობებისა, სარწმუნოებისა და ა.შ., მათი სოციალურ-უფლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.
- *განათლების მართვის სტრუქტურა* – უნდა ჩამოყალიბდეს როგორც:
- დეცენტრალიზებული – სისტემის მართვის ყოველი დონე უნდა ფუნქციონირებდეს დამოუკიდებლად იმ ადმინისტრაციულ, უფლება-მოვალეობრივ და საფინანსო კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც იქნება დაზუსტებული და მკაფიოდ გამიჯნული კანონმდებლობით.
- ოპერატიული – უზრუნველყოფილი იყოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ჰორიზონტული (უშუალო) კავშირები მართვის ცალკეულ დონეებს შორის ინფორმაციის სწრაფად და დამახინჯების გარეშე ურთიერთგაცვლის მიზნით.
- დემოკრატიული– მართვის სისტემის თითოეული ინსტიტუციური ერთეულის საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს მართვის, ორგანიზაციისა და დაგეგმვის, ანუ მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, საზოგადოების ჩართვითა და აქტიური მონაწილეობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანთა სამოქალაქო და კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია და დაცვა.

მნიშვნელოვანია, რომ სისტემის ფუნქციონირებადა მართვა ხორციელდებოდეს განათლების სფეროს კვლევის, ანალიზის, პროგნოზირების და დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებით აგებული პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძველზე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და გლობალური ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით.

საკანონმდებლო-ნორმატიულმა ბაზამ უნდა:

- შექმნას როგორც მთლიანად განათლების სისტემის, ასევე მისი ყოველი რგოლისა და საფეხურის ავტონომიური ფუნქციონირებისთვის აუცილებელისამართლებრივი საფუძვლები – საქართველოს კონსტიტუციასთან, ძირითად კანონებთან და შესაბამის საერთაშორისო კანონებთან ჰარმონიზაციის ბაზაზე.
- უზრუნველყოს სისტემის და მისი ცალკეული ელემენტის დინამიკური განვითარების სტიმულირება და ტრანსფორმირების შესაძლებლობები;
- შექმნას მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი და ჩვენი ქვეყნისთვის რაციონალური საგანმანათლებლო სტანდარტები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მოქალაქეთა სოციალური უფლებების დაცვა; დააწესოს პასუხისმგებლობისა და კომპენსაციების ზომები უხარისხო საგანმანათლებლო მომსახურებისთვის.
- საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად არეგულიროს საზღვარგარეთის ქვეყნების საგანმანათლებლო სივრცეებში ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და მოქალაქეების ინტეგრირებისდა თანამშრომლობის პროცესები დაანალოგიური პროცესები საქართველოში.
- შექმნას სტიმულები და ბერკეტები ეკონომიკური განვითარების ყველაზე ეფექტიანი და მძლავრითანამედროვე ფაქტორის ე.წ. ცოდნის სამკუთხედის ფორმირებისხელშესაწყობად - მეცნიერებასთან და ბიზნესთან განათლების ინტეგრაციისპროცესების გასააქტიურებლად.
- შექმნას ინტელექტუალური საკუთრების, განსაკუთრებით გამოგონებებისა და პატენტების დაცვის მექანიზმები.

საბოლოოდ, მოკლე თეზისების სახით წარმოვადგენთ უახლოესი 10-15 წლის მანძილზე საქართველოს განათლების სისტემის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების პოლიტიკისუმთავრეს სტრატეგიულ ამოცანებს. ესენია: საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურულ-შინაარსობრივი ტრანსფორმაცია, მისი სტაბილური ფუნქციონირების და დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა; გლობალიზაციის პროცესში განათლების სისტემის და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხო განვითარების მექანიზმების განსაზღვრა-ამოქმედება, მდგრადობის გარანტიების შექმნა. გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ქვეყნის განათლების სისტემის ინტეგრირება, ამ სივრცეში მისი თავისუფალი მანევრირების და განვითარების უზრუნველყოფა.

თინათინ ხოხობაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
Tiniko.xoxobashvili@mail.ru

მდინარე თელავის ხევის მეწყერული და სელური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის გზები

ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების საერთო ღონისძიებაში, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე ეგზოგენურ გეოლოგიური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი ორგანიზების უზრუნველყოფას.

ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოს ტერიტორია, რომლის რთული ბუნებრივ-ლანდშაბტური პირობები მეწყრული და სელური პროცესების განვითარების მეტად ხელსაყრელ პროცესს ქმნიან. აღნიშნულის მტკიცებულებას წარმოადგენს. 2015 ეწლს 13 ივნისს საქართველოს ტერიტორიაზე ქ. თბილისში მდინარე ვერეს მეწყერულმა და სელურმა პროცესებმა მიაღწიეს განვითარების ისეთ მაშტაბების, რის მოულოდნელ აქტუვაციას, მოყვა დიდი სტიქიური უბედურება, რამაც იმსხვერპლა ორი ათეული ადამიანის სიცოცხლე, რომ აღარაფერი ვთქვათ საცხოვრებელი ბინების გრევაზე ასევე, რამდენიმე ასეულობით მილიონ მატერიალურ ზარალზე, ზოოპარკის ცხოველებისა და ფრინველების დახოცვაზე,(რომლებიც წარმოადგენდნენ წითელი ნუსხის სახეობებს). აქედან გამომდინარე მეწყერული და სელური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის სწორი ორგანიზება უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლავთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩემთვის საინტერესო გახლდა გამოგვეკვლივნა აღმოსავლეთ საქართველოს ქ.თელავის ხევის დღევანდელი მდგომარეობა, მეწყერული და სელური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის გზები.

მდინარე თელავის ხევი, ცივ გომბორის მაღალმთის კალთებიდან იღებს სათავეს. მიედინება გომბორის ქედის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით. მისი სიგრძე 90 კმ. და ზღვის დონიდან 520მ-ის სიმაღლეზე მდინარე ალაზნის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს. იგი ხასიათდება რთული გეოლოგიური აგებულება და დაბალი საინჟირნო-გეოლოგიური თვისებების მქონე ე.გ წოდებული მცოცავი ქანებით. აღნიშნული გარემოებიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რიმ მდინარე თელავის ხევის ზედა წელის ქვემო ზოლის მიმდებარე ტერიტორიას წარმოადგენს მეორადი და გამეჩხერებული ტყე. გეოლოგიუეი თვალსაზრისით კი მეორადი ტყე ვერ ურუნველყობს მცოცავი ქანების მდგრადობას.

ნ. კეცხოველის მონაცემებით საქართველოს მთიანი ზონის, უტყეო და გამეჩხერებული ადგილებიდან ყოველწლიურად წყალს გააქვს 36 მლნ. ტონაზე მეტი ნიადაგი და ქვა-ღორღი. გამომდინარე აქედან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას [1] , რომ მდინარე თელავის ხევი ზედა წელის მთიანი ტერიტორიის ორ მესამედზე მეტი მოქცეულია რელიეფის დახრილობის 20-45* საზღვრებში. ადვილი გასაგები გახლავს თუ როგორი კოლოსალური საშვალება ეძლევა მთის მდინარეების უტყეო და გამეჩხერებულ ადგილებში სელმაფორმირებელი კერების შექმნას. საქართველოს მთაგორიანი რელიეფისათვის მეწყერებისა და სელური პროცესების განვითარების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტია: რთული გეოლოგიური აგებულება და დაბალი საინჟირნო-გეოლოგიური თვისებების მქონე ქანების დიდ ფართობზე გავრცელება, ახალგაზრდა ტექტონიკური მოძრაობები, ჰიფსომეტრულ სიმაღლეთა დიდი სხვადასხვაობა და ეროზიული დანაწევრების მაღალი კოეფიციენტი ფიზიკურ-გეოლოგიური ელემენტების დიდი კონსტრატულობა როგორც ვერტიკალურ ზონალობაში, ისევ სივრცობლივ განლაგებაში [2]. და, რაც მთავარია, ამ პროცესების წარმოქმნა-განვითარებაში რთული რელიეფისა და გეოლოგიური პროცესების, ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ბუნებრივ- ლანდშაბტური გარემოს ბალანსირი მდგომარეობის დარღვევა ადამიანის ზედმეტი ჩარევით და მთაგორიანი ტერიტორიების ინტენსიური ათვისება თითქმის ყოველგვარი აგროტექნიკური და საინჟირნო ღონისძიების ჩატარების გარეშე.

ჩვენსმიერ ჩატარებული კვლევეიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მდინარე თელავის ხევის ანთროპოგენული ჩარევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები ვლინდება: მიდარე თელავის ხევის, მიმდებარე ტყის მასივების ანთროპოგენული განადგურება, რაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მეწყერის წარმოცმნას და უხვ ნალექის ჩადინებას მდინარის კალაპოტში. ასევე გამოვლენილია ანთროპოგენული ზემოქმედებით მდინარის კალაპოტის მკვეთრი შევიწროვება. მდინარე თელავის ხევის ზედა წელი 20-30 მ. სიგანეს, სიმაღლე 15- 20 მ. ხოლო მდინარის შუა წელში ქ. თელავში ზღვის დონიდან 550მ. სიმაღლეზე მისი სიგანე 4მ. სიმაგლე 2მ. შუა წელის ქვემო ზოლი სიგანე 3 მ. ე.ი აღინიშნება კალაპოტის შევიწროვება. მდინარის კალაპოტის შევიწროვება, ბოლო სამიწლის მანძილზე გამოწვეულია მასზე შენობა ნაგებობების განთავსებით. აღნიშნულიდან გამომდინარე დიდი ალბათობაა, მდინარე თელავის ხევის მეწყერით ჩახერგვის.

ჩატარებული სამუშაოების ბაზაზე შედგენილია თანამედროვე ეგზოგენული გეოლოგიური პროცესების რეგიონალური ხასიათის საინჟინრო-გეოლოგიური რუკები, დადგენილია ამ პროცესების ფორმირებისა და განვითარების ძირითადი უბნები, რომლებიც საჭიროებენ უფრო დეტალურ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის პროცესების საწინააღმდეგო გადაუდებელი ღონისძიებათა ჩატარებას, რათა თავიდან იქნას აცილებული სტიქიური მოვლენები. (მკითხველს ბოდიშს ვუხდით თეზისის მოკლე სახით წარმოდგენისთვის)

მდინარე თელავის ხევის მეწყერული და სელური პროცესების წინააააღმდეგ ბრძოლის გზები

რეზიუმე

გამოვიკვლიე აღმოსავლეთ საქართველოს ქ.თელავის ხევის დღევანდელი მდგომარეობა, მეწყერული და სელური პროცესების წინააააღმდეგ ბრძოლის გზები. ჩატარებული სამუშაოების ბაზაზე შედგენილია თანამედროვე ეგზოგენული გეოლოგიური პროცესების რეგიონალური ხასიათის საინჟინრო-გეოლოგიური რუკები, დადგენილია ამ პროცესების ფორმირებისა და განვითარების ძირითადი უბნები, რომლებიც საჭიროებენ უფრო დეტალურ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის პროცესების საწინააღმდეგო გადაუდებელი ღონისძიებათა ჩატარებას რათა თავიდან იქნას აცილებული სტიქიური მოვლენები.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ბუნების დაცვაVI. მეცნიერება. თბილისი 1979.
2. ნ. კეცხოველი. საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი 1960.

ისტორია

ირაკლი გიორგაძე

ამერიკის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია.

ამერიკული ისტორიული აზრის ჩამოყალიბება ამერიკელი ერის ჩამოყალიბებას ემთხვეა. ეს პროცესი მიმდინარეობდა ჩრ. ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში. ისტორიული აზრის განვითარებისა და ჩამოყალიბების მოთავენი ამერიკელი განმანათლებლები იყვნენ, ნრომლებიც ფრანგი განმანათლებლებისასაგან განსხავებით რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილენი და მოთავენი იყვნენ. ისინი უფრო ისტორიის თეორეტიკოსები და სოციოლოგები იყვნენ, ვიდრე ისტორიკოსები. მათ პროცესების შესწავლის საფუძველზე გამოჰქონდათ ზოგადი დასკვნები, ამერიკელ განმანათლებელთა შორის აღსანიშნავია ბენჯამინ ფრანკლინი, ალექსანდრე ჰამილტონი, ტომას ჯეფერსონი, ტომას პეინი, პატრიკ ჰენრი, სამოელ და ჯონ ადამსი და სხვები. ამასთან მათ შორის გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა: ბურჟუაზიულ-ლიბერალური და რადიკალური.

ამერიკელ განმანათლებელთა მსოფლ მხედველობა უპირატესად საფრანგეთსა და ინგლისის ბურჟუაზიული აზროვნების გავლენის შედეგად შეიქმნა, თუმცა თავის მხრივაც მოახდინა გავლენა ევროპელ მოაზროვნეებზე.

ახალგაზრდა სახელმწოფოს „ამერიკის შეერთებული შტატებისა და ახალგაზრდა ერის-ამერიკელების პირველი ისტორიკოსები მე-XIX საუკუნის დასაწყისში გამოჩდნენ. მათ შემოქმედებას აშკარად ეტყობა რომანტიზმის გავლენა, კერძოდ, აღიარეს ,,გმირის კულტი", თუმცა ამერიკის სინამდვილეში ამან მიიღო რესპუბლიკური ფორმა და აისახა ,,ეროვნული სულის" იდიაში და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის იდეალიზაციაში გამოიხატა.

ამერიკის ,,ადრინდელ" ისტორიულ სკოლაში აღიბეჭდა ორი ტენდენცია: მსხვილი ბურჟუაზია და მსხვილი პლანტატორები, რომლებიც მოპოვებული წარმატების შენარჩუნებას ცდილობდნენ, ამიტომ სურთ შეაჩერონ დემოკრატიული მოძრაობა, იცავენ და ამართლებენ მონობას; ცდილობენ უზრუნველყონ ბურჯუაზიული წესრიგი. მსხვილი ბურჟუაზიის იდეოლოგები (ა. ჰამილტონი. ჯ. მედისონი) ძლიერი სახელმწიფოს შექმნას მოითხოვენ, რომლის სათავეშიც მათი აზრით მქონებელნი უნდა იდგნენ, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ხალხის დაოკება და წესრიგის დაცვა. ყოველი ხელისუფლების საფუძველს ქმნის საკუთრება ,,ხალხი, ხალხი, ეს ხომ უზარმაზარი მხეცია, ქვეყანა უნდა მართოს იმ ხელისუფლებამ, რომლის საქმე მუდამ სავსეა" – ამბობდა ჰამილტონი.

ფედერალისტური მიმდინარეობის პოლიტიკური მოღვაწეები აღიარებდნენ განმანთავისუფლებელი მოძრაობის აუცილებლობას, რევოლუციის დადებით შედეგებს, მაგრამ მოვლენათა მსვლელობას განიხილავდნენ კონსერვატიულ-ბურჟუაზიული პოზიციიდან; ისინი გმობდნენ მემარცხენეობას და მიესალმებოდნენ ზომიერი პოლიტიკის მიმდევრებს. ფედერალისტურ ტენდენციებზეა შექმნილი ჯონ მარშალის ნაშრომი ,,ჯორჯ ვაშინგტონის ცხოვრება", რომელშიც დაგმობილნი არიან ამერიკის დემოკრატიის ლიდერები, ჯეფენსონ ადამსი და სხვები.

ამერიკული ახალგაზრდა ისტორიოგრაფიისთვის ყველაზე დიდ სიძნელეს ქმნიდა წყაროებისა და დოკუმენტების მწვავე ნაკლებობა, ამასთან ერთად, ისტორიკოსებს არც წყაროზე მუშაობის კრიტიკულ მეცნიერული ჩვევები გააჩნდათ; ამიტომ მათი ადრინდელი ნაშრომები ტენდენციურობით გამოირჩევა, პროფესიული თვალსაზრისით ისინი მეტად დაბალ დონეზეა შესრულებული. ავტორთა უმრავლესობა პოლიტიკური მოღვაწე პუბლიცისტი ან სასულიერო პირი იყო. ისტორიის კვლევისა და წერის ტექნიკურ მეთოდოლოგიური ჩვევები მათ არ გააჩნდათ.

მე-XIX საუკუნის დასაწყისში ამ ვითარებას სერიოზული ყურადღება მიაქციეს. ამერიკელებისთვის ნათელი გახდა, რომ დოკუმენტისა და წყაროს გარეშე ისტორია ვერ დაიწერება. ამიტომ დაიწყო ისტორიული მეცნიერებისთვის საფუძვლის ჩაყრა. შეუდგნენ წყაროების მოვლა-პატრონობას და გამოქვეყნებას. შედეგიც მალე გამოჩნდა. ამერიკული ისტორიოგრაფია სა-

ბოლოოდ გაემიჯნა ლიტერატურას და პუბლიცისტიკას და მეცნიერული სახე მიიღო. დოკუმენტთა პუბლიკაციის ერთ-ერთი პიონერი იყო ჯეირედ სპარკსი, მან დოკუმენტების ათეული ტომი გამოსცა; მაგრამ პირველი, ვინც პროგრესიონალ ისტორიკოსად შეიძლება ჩაითვალოს ადრინდელი რომანტიკული სკოლის წარმოამდგენელი ჯორჯ ბარკროფტი. მისი ნაშრომია ,,შეერთებული შტატების ისტორია" (1834-1875წწ), რომელიც განადიდებს ამერიკას ყოველგრვარი კრიტიკის გარეშე. ბარკროფტის მიხედვით ამერიკის ისტორია ვითარდება ,,ღვთიური გეგმის" შესაბამისად.

ამერიკის ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მონობის, ამ საკაცობრიო ბოროტმოქმედების საკითხი. მის წინააღმდეგ ბრძოლის რთული პერიპეტიები აისახა ამერიკის ისტორიკოსთა შემოქმედებაში. აბოლიციონიზმის (მონობა) საკითხი პირველად მიმოიხილა ისტორიკოსმა რიჩარდ ჰილდრეტმა (1807-1865წწ. ,,ბოსტონის ატლასის") გამომცემელი. 1837 წელს მან თავის ჟურნალში დაბეჭდა რამდენიმე სტატია მონობის წინააღმდეგ; ნაშრომში ამერიკის ისტორია განხილულია კრიტიკული კუთხით, გაკიცხულია მონობა და მისი დამცველები, მათ შორის ,,ჩრდილოეთ" თავისუფალი შტატების ბურჟუაზია, რომელიც ,,სამხრეთ არათავისუფალი" შტატების მიმართ ლოიალობას იჩენს.

ჩრდილოეთისა და სამხრეთს შორის სამოქალაქო ომის შემდეგ ამერიკის ისტორიოგრაფიაში ახალი ეტაპი დაიწყო, ამ პერიოდის ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰორას გრილის (1811-1872) და ჯონ დრეპერის (1811-1882წწ) შემოქმედება. ამერიკის სამოქალაქო ომის ისტორიას მიეძღვნა ჯონ დრეპერის ნაშრომი ,,ამერიკის სამოქალაქო ომის ისტორია" (3ტომი) დრეპერის აზრით საზოგადოების განვითარების მთავარი ღერძია იდეის განვითარება და მასთან ერთად გეოგრაფიული გარემო. ეროვნული ერთიანობის იდეა ამერიკელებმა შეიგრძნეს ჯერ კიდევ XVIII-ში, მაგრამ გეოგრაფიულმა გარემომ გათიშა ეს ერთობა. ჩრდილოეთ შტატებში დომინირებს დემოკრატიზმი, ხოლო სამხრეთით ცხელი კლიმატის გამო იყენებენ მონების შრომას და ამის გამო მმართველობის ფორმაა არისტოკრატიზმი. აღსანიშნავია, რომ როგორც გრილი, ასევე დრეპერი სამოქალაქო ომის დასასრულს სამხრეთელების მიმართ ლოიალური, შემრიგებლური პოლიტიკის გატარებას უჭერენ მხარს. მონათმფლობელთა ბანაკის ისტორიკოსები (ჯ. დევისი, ა. სტეფენსი) სამოქალაქო ომს წარმოადგენენ, არა როგორც კლასობრივი ბრძოლის მაგალითს, არამედ როგორც ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ომს, მათი აზრით ეს ომი წამოიწყო ფედერალურმა მთავრობამ, რომელსაც არ სურდა ეცნო სამხრეთის შტატები, როგორც ცალკე სახელმწიფო ამრიგად ომი იყო შედეგი პოლიტიკურ-კონსტიტუციური კონფლიქტისა ისტორიკოსთა ეს ჯგუფი კვლავ ამართლებს მონობის ინსტიტუტის არსებობას, ქადაგებს რასიზმს, თეთრი და შავი ადამიანების გათანაბრების შეუძლებლობას და სხვა.

XIX საუკუნის ბოლოს წანააღმდეგობა ჩრდილოეთის ბურჟუაზიასა და სამრეთის პლანტატორებს შორის მინელდა ამერიკული კაპიტალიზმი, იმპერიალიზმში შევიდა, ამის გამო ისტორიკოსთა პოზიციები ერთმანეთს დაუახლოვდნენ. კერძოდ, ჩრდილოეთის ლიბერალურმა ბურჟუაზიამ თვით გაუწოდა ხელი სამხრეთის რასობრივ-კონსერვატორულ იდეებს. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია თანდათან ივიწყებს ყველა პროგრესულსა და ჰუმანურს, რაც მის აზროვნებას მანამდე ახასიათებდა და მკვიდრდება რასიზმი და სხვა რეაქციული შეხედულებები. ამერიკელი ისტორიკოსები უკვე ქმნიან თეორიას ამერიკული კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებების შესახებ; ისტორიკოსები სასტიკ ბრძოლას უცხადებენ მარქსიზმს, კლასობრივ ბრძოლას და რევოლუციის თეორიას, როგორც ამერიკისათვის სრულიად უცხოს და გარედან შემოტანილს. ამერიკელი ისტორიკოსები, სოციოლოგები, იურისტები თუ ფილოსოფოსები მხარში ამოუდგნენ იმპერიალისტებს და ამერიკის მსოფლიო ბატონების აუცილებლობას თეორიულად დაუწყეს დასაბუთება. მათი შემოქმედება იკვებებოდა სპენსერიზმით, რასიზმით და გეოპოლიტიკით, რომელიც ცდილობდა გაემართლებინა იმპერიალისტური ექსპანსია, აგრესიული ომები, რასიზმი, დიდმპყრობლური პოლიტიკა და საერთაშორისო მაშტაბის ძარცვა გეოგრაფიულ ფაქტორებზე დაყრდნობით. ამ იდეოლოგიის მამამთავარად თეოდორ რუზველტი მიიჩნევდა ამერიკის საზღვაო ძალების ადმირალს ა.ტ. მეჰენს, რომლის მოსაზრებითაც ,,ამერიკა საზღვაო ქვეყანაა, ამიტომ იგი იძულებულია და ვალდებულიც კია განახორციელოს აქტიური საგარეო პოლიტიკა, მან უნდა შექმნას ,,ზემძლავრი" სამხედრო ფლოტი, რომლითაც გაბატონდება ატლან-

ტიკისა და წყნარ ოკეანეზე, ბედმა მას წინასწარ ,,მოუხაზა" ოკეანეზე და მსოფიოზე ბატონობაც კი.

XX საუკუნის დასაწყისიდან ამერიკის ისტორიკოსთა შორის ფართოდ დაინერგა ეკონომიკური ისტორიის შესწავლა, რომელის მართალია აღიარებდა ისტორიაში ეკონომიკური ფაქტორის როლს, მაგრამ ამ ფაქტორს განიხილავდა როგორც ერთ-ერთს სხვა ,,დამოუკიდებელ ფაქტორთა შორის" (ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა). აღნიშნული სკოლის მთავარი ამოცანა მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, მათი აზრით ისტორიაში ეკონომიური ფაქტორის მნიშვნელობის აღრიარებას არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ-სოციალიზმთან, რომელიც ეკონომიური ფაქტორების შესწავლის საფუძველზე ავითარებს მცდარ დებულებას კაპიტალისტური სისტემის აუცილებელი კრახის შესახებ; ისტორიკოსები პირიქით ეკონომიური ფაქტორების შესწავლის საფუძველზე ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კაპიტალიზმი ეკონომიური ცხოვრების ყველაზე უფრო სრულყოფილი და მარადიული ფორმაა.

რეაქციულ-რასისტული და ექსპანსიონისტური შეხედულებებითაა გამსჭვალული ცნობილი ამერიკული პოლიტიკური მოღვაწისა და ისტორიკოსის ტომას ვუდრო ბილსონის (1856-1910წწ) ნაშრომები. ,,შეერთებული შტატების სახელმწიფო წყობილება" და ,,ამერიკელი ხალხის ისტორია" (10ტომი) . ბურჟუაზიულ-ლიბერალური ბურჟუაზიულ-კონსერვატორული ისტორიოგრაფიის გვერდით, მიუხედავად ძნელი პირობებისა, ვითარდება და ძალას იკრებს ამერიკული სოციალისტური და მარქსისტული ისტორიოგრაფია, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით დანიელ დე ლეონს, იუჯინ დებს, ჰერმან შლუტერს, ზანგ ისტორიკოსს უილიამ დიუბუას და სხვა.

დე ლეონი პირველი იყო მათ შორის, ვინ ამერიკის ისტორიული წარსულის მარქსისტული გააზრება სცადა, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობს ჩამოაშოროს მუშათა კლასი ბრძოლის მარქსისტულ-რევოლუციურ გზას და იგი ბურჟუაზიული რეფორმიზმის ჩარჩოებში მოაქციოს.

XX საუკუნის 20-30 წლებში ამერიკის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ისტორიის შესწავლას; როგორც წესი ისტორიკოსთა უმრავლესობა ამერიკის საგარეო პოლიტიკის აპოლოგეტთა რიგში გვევლინება. ისინი ცდილობენ გაამართლონ ამერიკული აგრესია, მსოფლიო ბატონობის იდეა, მილიტარიზმი და პატარა ერების ჩაგვრა. ,,მონროს დოქტრონის" ინტერპრეტაციისას ისინი ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში ჩრდილო ამერიკამ იხსნა ლათინური ამერიკა ევროპის მონობისგან, მოუტანა მას თავისუფლება და ეკონომიური აღმავლობა. აგრესორების როლში კი ევროპელებთან ერთად რუსეთიც გამოყავდათ.

30-იან წლებში ფეხს იკიდებს აშშ მონოპილისტური კაპიტალიზმის იმ აპოლოგეტთა შემოქმედება, რომელმაც შემდგომში ,,ბიზნესის სკოლის" სახელი მიიღო.

თანამედროვე ამერიკის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი ჯეიმს ტრასლოუ-აცხადებს, რომ ,,მონოპოლიები დემოკრატიის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც არარატის მთის მსგავსია, მსოფლიო წარღვნის შემთხვევაშიც კი უნდა დარჩეს ,,ვითარცა თავისუფალი ცივილიზაციის სიმბოლო". ამიერიდან თვით ამერიკელი ერის ,,მამები"-ვაშინგტონი, ფრანკლინი, ჯეფერსონი, ჰამილტონი, ლინკონი და სხვა იჩრდილებიან მილიარდელი მონოპოლისტების წინაშე, რომელთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა. ამიერიდან ,,ბარონები-ყაჩაღები" გადაიქცნენ ,,გენიებად" და ეკონომიკური პროგრესის ,,გმირებად".

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის ა. ნევინსის მიხედვით ,,ყოველ ეპოქას აქვს შეხედულებათა თავისი კლიმატი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს წარსულის შეფასების დროს. ამერიკა ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. მისი ძლიერება ხელთ უპყრიათ მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენლებს. ამრიგად, როკფერელებს, ფოდებს, კარნეგებს ამიერიდან ვეღარ ვუწოდებთ ,,ბარონებს-ყაჩაღებს", ისინი წარმოადგენენ ჩვენი მატერიალური წინსვლის არქიტექტორებს.

ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლაში გარკვეული როლი შეიტანეს ქართველმა მკვლევარებმაც. სწორედ მათ შეასრულეს დიდი როლი ახალი ისტორიის სწავლების, მეცნიერული კვლევისა და სპეციალისტთა მომზადებაში. მომდევნო პერიოდში მათი საქმე ღირსეულად გააგრძელეს მკვლევარებმა: გ. ჟორდანიამ, ვ. დონაძემ, გ. კიღურაძემ. გ. ნანიტაშვილმა, მ. სანა-

ძემ, დ. ლომსაძემ, თ. პაპასკირმა და სხვებმა, რომლებმაც საინტერესო ნაშრომები გამოაქვეყნეს ახალი ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე.

ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ჭიათურის მხარეთმცოდნეობისმუზეუმი დაარსდა 1962 წელს. 2007 წელს მუზეუმი შეუერთდა კულტურის ცენტრს. მასში დაცულია ზემო იმერეთის ტეროტორიაზე აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული , წერილობითი , ნუმიზმატიკური, საბუნებისმეტყველო მასალები–სულ 12693 ექსპონატი.

21–საუკუნის მუზეუმის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა ორიენტირება საკუთარი აუდიტორიის გაფართოებაზე მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების კულტურული აქციების და სხვა სოციალურ აქტივობათა მეშვეობით.

შესაბამისად ჩვენი მუზეუმი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სამიზნე აუდიტორიის სწორად შერჩევას , საზოგადოებრივი ჩართულობის და ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას , მუზეუმის მომსახურების მოდერნიზაციას და განვითარებას . ამის დასტურია კულტურული მემკვიდრეობის განვითარების განყოფილების მიერ განხორციელებული მთელი რიგი პროექტები. ტრადიციადაა დამკვიდრებული 8 თებერვალს დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. საინტერესო გახლდათ კონფერენცია სახელწოდებით ,, ჭიათურა შავი ოქროს ქალაქი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზესტაფონის და საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ნ.ნიკოლაძის სახლ–მუზეუმის წარმომადგენლებმა , აღსანიშნავია რომ ამ დღეს მოწვეული სტუმრები შეუერთდნენ 2013 წლის 1 ივნისს მუზეუმებს შორის გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაციას .

ყოველწლიურად მუზეუმების საერთაშორისო დღეს 18 მაისს ეხმიანება ჩვენი მუზეუმი. გასულ წელს მუზეუმში მოწვეულნი გახდნენ არქეოლოგიის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორო ნ. თუშაბრამიშვილი და შუა საუკუნეების მკვლევარი პროფესორი ნ. ბახტაძე, რომელთაც ჭიათურის საზოგადოებას წარუდგინეს პრეზენტაცია „ჭიათურის არქეოლოგიური მემკვიდრეობა“ რომელიც ეხებოდა უნდო კლდისა და ძოძუანას მღვიმეში სელის ძაფის აღმოჩენას.

მუზეუმი აქტიურად თანამშრომლობს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, აწყობს თემატურ გამოფენებს, ღია გაკვეთილებს, სასკოლო კონფერენციებს .

მუზეუმი ფლობს ფილიალებს:

მთასვლელ და-ძმა ჯაფარიძეთა სახლ–მუზეუმი სოფელ ხრეითში. მუზეუმში დაცულია მთასვლელ და-ძმა ჯაფარიძეთა პირადი ნივთები და ქართული ალპინიზმის განვითარების ამსახველი მასალები.

აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი სოფ. ხრეითში. სახლ–მუზეუმში დაცულია გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დამაარსებლის აკადემიკოს გ. წერეთლის პირადინივთები და მისი ცხოვრების ამსახველი ფოტო-მასალა.

გ. ნუცუბიძის სახელობის თეატრალური მუზეუმი ჭიათურაში. მუზეუმში დაცულია ჭიათურაში მოღვაწე თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა გ. ნუცუბიძის , გ. ტყაბლაძის , მ, ვაშაძის, ნ, ჩაჩანიძის აკ, ბაქრაძის და სხვათა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი წერილობითი წყაროები, პირადი ნივთები და ფოტომასალა.

სსიპ თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ჭიათურის მუნიციპალიტეტის
სსიპ სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრის
ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
საგამოფენო პროექტი

მთიანი იმერეთის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული პალიტრა
თბილისის სამხატვრო აკადემიის დიდი საგამოფენო დარბაზი. 18.05- 2.06.2015
იდეისა და პროექტის ავტორი – დოქ. თემურ ბიბილური
პროექტის ხელმძღვანელები: დოქ. თემურ ბიბილური, ინგა მაჭარაშვილი
ექსპონატების შერჩევა-მომზადება – დარეჯან მაჩიტიძე,მაია გაფრინდაშვილი
ექსპოზიციის არსი და დიზაინი – დოქ. თემურ ბიბილური
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ლაშა ქარაია, ნათია ლომიძე.
ექსპოზიციის მოწყობა – დოქ. თემურ ბიბილური, ზურაბ გაბუნია, ცქვიტინიძე დუდანა, ჩიღვინაძე სვეტლანა
ტექნიკური უზრუნველყოფა – თბილისის სამხატვრო აკადემია
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ლაშა ქარაია
ტრანსპორტირება – ჭიათურის მუნიციპალიტეტი

წინასიტყვაობა: წინამდებარე პროექტი წარმოადგენს მრავალწლიანი პროგრამის "საქართველოს სამუზეუმო კოლექციების გამოფენები თბილისის სამხატვრო აკადემიაში" (იდეის ავტორი და პროგრამის ხელმძღვანელი – დოქ. თემურ ბიბილური), ორგანულ ნაწილსა და გაგრძელებას; პროგრამისა, რომლის ეტაპობრივი განხორციელება დაიწყო 2011 წ. (ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების არქეოლოგიური ძეგლების გამოფენა).

ამ, მრავალწლიანი და მრავალსეგმენტიანი პროგრამის მეშვეობით, სამხატვრო აკადემიის პერსონალსა და სტუდენტებს, თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს, საშუალება ეძლევათ გაეცნონ საქართველოს რეგიონალურ მუზეუმებში დავანებულ და ფართო საზოგადოებისათვის ხშირად თვალს მიფარებულ, მრავალმხრივ საყურადღებო უძველესი, ძველი თუ თანამედროვე ხელოვნების არაერთ ბრწყინვალე ნიმუშს.

საქართველოს წინარეისტორიული და ისტორიული ეპოქების ამსახველი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული რარიტეტებისა და ნატიფი ხელოვნების მოყვარულთა სამსჯავროზე გამოტანილი კონკრეტული საგამოფენო პროექტი – „მთიანი იმერეთის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული პალიტრა“, წარმოადგენს თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სსიპ სასწავლო-საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრის ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივი შემოქმედების ნაყოფს.

პროექტის არსი და მიზანი: მთიანი იმერეთი, წინარეისტორიული ეპოქის არქეოლოგიურ ლიტერეტურაში მეტად რიონ-ყვირილას აუზის რეგიონად ცნობილი, საქართველოს იმ კუთხეს წარმოადგენს, სადაც კავკასიისა და ხმელთაშუაზღვის აუზის არა ერთი მნიშვნელოვან ეთნოკულტურულ მოვლენას ჩაეყარა საფუძველი.

-2-

საქართველოს ისტორიისა და, საზოგადოდ, სიძველის მოყვარულთათვის გამოფენილ იქნება სხვადასხვა ეპოქის ასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც საკმაოდ თვალნათლივ გადმოგვცემენ ჭიათურის მიდამოებისა და საზოგადოდ, მთიანი იმერეთის ისტორიას ძველი ქვის ხანიდან ვიდრე გვიან მე-20 საუკუნემდე.

ექსპოზიცია ორი სეგმენტისაგან შედგება: 1. არქეოლოგიური; 2. ეთნოგრაფიული. თითოეული სეგმენტი რამდენიმე დამოუკიდებელი ნაკვეთისაგან შედგება

1-ელ ნაწილში ექსპონირებული იქნება სხვადასხვა წლებში საველე-არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი თუ შემთხვევით მონაპოვარი ნივთები, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივ პერიოდს ქვის ხანიდან ქართულ აღორძინებამდე.

ჭიათურის მიდამოები, რომელიც საქართველოს პალეოლითური რუკის რიონ-ყვირილას რეგიონში შედის, გამორჩეულად მდიდარია წინარეისტორიული ხანის უძველესი ეტაპის ძეგლებით, ისეთებით როგორიცაა დევისხვრელი, მღვიმევი, გვარჯილისკლდე, ჯრუჭულა, რგანი, ძუძუანა და სხვ. მათგან უმეტესობა ქვის ხანის შესაბამისი პერიოდების ეტალონურ ძეგლებადაა მიჩნეული. ამ პირველხარისხოვან ძეგლებშიც კი გამოირჩევა ჯრუჭულა, რომელიც "...მუსტიეს დროის ... საყრდენ ეტალონურ სამოსახლოს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში" (ალ.კალანდაძე,

დავით თუშაბრამიშვილი); ზოგიერთი კი გამოირჩევა არქეოლოგიური ფენების სიმრავლით (საგვარჯილე,ჩახათი, საკაჟია,გვარჯილას-კლდე). ცალკე აღნიშვნის ღირსია ძუძუანას მღვიმე, სადაც ადამიანის ცხოვრების პრაქტიკულად უწყვეტი კვალი ჩანს პალეოლითიდან ადრებრინჯაოს ხანის ჩათვლით (ძეგლის აღმომჩენი და წლების მანძილზე ცნობილი ქართველი მკვლევარი, აწ განსვენებული დავით თუშაბრამიშვილი).

საერთოდ კი, დღეისათვის, რიონ-ყვირილას აუზში ცნობილია ძველი ქვის ხანის100-ზე მეტი ძეგლი.

სწორედ მსგავს ძეგლებზე აღმოჩენილი მასალა, ადამიანის ყოვედღიურობასა თუ საგანგებო ვითარებაში გამოსაყენებელი ნივთები, იქნება ექსპონირებული აღნიშნული პროექტის ფარგლებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია რიონ-ყვირილას აუზში მცხოვრები საზოგადოების როლი ლითონის მოპოვება – დამუშავებისა და მისი ფართოდ გამოყენების საქმეში. დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია იხილოს შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ლითონმქანდაკებლობის საინტერესო ნიმუშები.

მთიანი იმერეთი და, სახელდობრ, ჭიათურის მუნიციპალიტეტი საკმაოდ მდიდარია ანტიკური ხანის ძეგლებით; მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლებია მიკვლეული რგანში, ითხვისში, პერევსა და სხვა პუნქტებში.

გამოფენის სტუმრები (ვიმედოვნებთ, ისინი მრავლად იქნებიან) იხილავენ მთიან იმერეთში ათასწლეულების უკან მცხოვრები ოსტატების ნაფიქრალ-ნააზრევის არაერთ ნივთიერ ნაყოფს; ოსტატებისა, რომელთა შემოქმედება ეფუძნებოდა რელი გიურ რწმენა-წარმოდგენებსა, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ,ბუნებასთან წილნაყარ სრულყოფილებას, რაც ესოდენ აკლია თანამედროვე ადამიანს.

მე-2 ნაწილში გამოფენილი იქნება მთიანი იმერეთისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი სხვადასხვა სახის არტეფაქტები: სამოსი, სამეურნეო, სამზარეულო თუ სუფრის ჭურჭელი, საჭურველი და სხვ.

-3-

ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ გამოფენას მნახველი არ მოაკლდება და ეს პროექტი უდავოდ წარმატებული იქნება; ამ რწმენის საფუძველს მიძლიერებს რამდენიმე გარემოება, მათ შორის: ა) წარმოდგენილი ძეგლების ძალზედ მაღალი ისტორიული და მხატვრული ღირებულება; ბ) ექსპოზიცია იმართება სრულიად შესაფერის ადგილას – თბილისის სამხატვრო აკადემიაში – კავკასიაში ნატიფი ხელოვნების უძველეს კერაში; გ) მსგავსი პროექტის, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების და ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოფენების წარმატება.

აღნიშნულ პროექტს, გარდა თვალსასეირო და, ზოგადად შემეცნებითი ხასიათისა, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს – თბილისის სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებსა და დოქტორანტებს სასწავლო პროცესის პარალელურად, საშუალება ეძლევათ ორი კვირის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ, გაეცნონ და შეისწავლონ ძალზედ მნიშვნელოვანი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალა; შესაძლოა, ზოგიერთმა მათგანმა, მომავალი კვლევის ობიექტიც კი აღმოაჩინოს.

სწორედ ესაა თბილისის სამხატვრო აკადემიის სამუზეუმო ინსტიტუციებითან ურთიერთთანამშრომლობის ერთი უმთავრესი მიზანი, ხოლო მსგავსი პროექტები, ამ მიზნისაკენ მიმავალი უმოკლესი და ყველაზე ეფექტური გზა.

22.01.2015

იდეისა და პროექტის ავტორი –
დოქ. ***თემურ ბიბილური***

ნიკო ხერკელაძე

გ. სააკაძის მიზნები და მისი ურთიერთობები როგორც მომხრე ისე მოწინააღმდეგე დიდებულებთან

კერძო საუბრებში, სხვადასხვა დროისა და ეპოქის ისტორიულ მოვლენებზე მსჯელობისას, იშვიათად მახსოვს შემთხვევა, რომ გ. სააკაძეზე სიტყვა არ ჩამოვარდნილიყოს. ხშირად იგრძნობოდა ტენდენციურობა, თითქოს სააკაძის ერთპიროვნული მიზანი იყო თავადებთან ბრძოლა. ამ აზრის არასამართლიანობის შესახებ ხშირად მიწევდა განმარტება და ახლაც გავიმეორებ, ხალხში ასეთი აზრის დამკვიდრება განაპირობა საბჭოურმა სისტემამ, რაც მიხეილ ჭიაურელის ფილმშია აღნიშნული (რეჟისორ მიხეილ ჭიაურელისაგან ფილმი „გიორგი სააკაძე“ გადაღებულია უდიდესი პასუხისმგებლობით, დიდი რეჟისორული ოსტატობით, მაღალმხატვრული ხერხებით და ყველა იმ ტექნიკური მიდგომით, რაც ფილმის საუკეთესო ღირებულებისათვის იყო საჭირო. ფილმში მონაწილეობს, მსოფლიო მასშტაბით ცნობილი, ბევრი ქართველი მსახიობი. მათ თავიანთი ნიჭი, უნარი, გარდასახვის ფსიქოლოგია, უმაღლეს რანგში აქვთ წარმოჩენილი. რეჟისორისაგან ფილმში იგრძნობა გ. სააკაძის პიროვნებისადმი ღრმა, შინაარსიანი ცოდნა, იმ ეპოქის ყველა კარგ თუ ავ მოვლენას, რეჟისორის თვალით, სინათლე აქვს მოფენილი, სადაც უდიდესი თანადგომა გაუწევიათ ჩვენს სასიქადულო ისტორიკოსებსაც. რეჟისორისაგან ფილმთან მიმართებაში ჩანს, თავისი ქვეყნის უდიდესი სიყვარული. რომ ისტორიული გმირები ყოველთვის პასუხისმგებლურ სამსახურს უწევდნენ თავიანთს სამშობლოს, მაშინ როცა ისინი მოღვაწეობდნენ.

დღესაც, და მომავალშიც მათი საქმეები, ჩვენი მომავალი თაობებისათვის, სამაგალითო გზა იქნება.).

ეს ფილმი დიდი სამამულო ომის დროსაა გადაღებული. მაშინდელ სახელმწიფოებრივ სისტემას სჭირდებოდა, რომ იდეოლოგიური, პოლიტიკური, პატრიოტული სულისკვეთება ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ გაზრდილიყო, რაც იმ დროში ი. სტალინის მიზნებში და გეგმებში შედიოდა.

აქ გასაკვირი არაფერია, მაშინდელი ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგია დაფუძნებული იყო მუშათა და გლეხთა ფენებზე, როგორც ამ სისტემის ქვაკუთხედი. მათი ასეთი მიმართულება დაპირისპირებაში იყო, საშუალო და დიდ თავადთა იდეოლოგიასთან ანუ მონარქისტულ სისტემასთან.

რადგან გ. სააკაძე საშუალო აზნაური იყო, მისი ეს მდგომარეობა კომუნისტთა იდეების თვალთახედვით გაიგივებული და გატოლებული იყო მუშათა და გლეხთა ფენასთან და როცა დღესდღეობით, ქართველ საზოგადოებაში ისევ არსებობს აზრი– სააკაძე თავადებს ებრძოდაო, მოთმინებით უნდა მივყვეთ იმ დროის მოვლენებს, ნათელი მოეფინოს, ვინ ვის ებრძოდა და ამ ორ მხარეს ცალ-ცალკე რა მიზნები ამოძრავებდათ.

გ. სააკაძე სამეფო აზნაურთა ფენას ეკუთვნოდა; ეს იყო საფუძველი მისგან ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, უპირველესი ერთგულება გამოეჩინა, რაც ტრადიციად მამა ბიძებისაგან მოსდგამდა.

შიდა კლასობრივი ბრძოლა, ხან ხილული და ხან უხილავი ფორმით, მეფესა და თავადებს შორის მუდამ არსებობდა. ისინი ურთიერთსაპირისპირო ფსიქოლოგიით მოქმედებდნენ, ფარულ საუბრებსა და თათბირებს არ ერიდებოდნენ.

თუ აუცილებლობა მოითხოვდა, სააშკარაოდაც აჩენდნენ თავიანთ სახეს.

აქვე უნდა ითქვას, სააკაძის მიმართ, ნაწილ დიდებულთა ოპოზიციური დამოკიდებულება და მისი წარმოშობის მიზეზები. გარდა თავისი პირადი ღირსებისა, ასეთი მდგომარეობა მას შეექმნა იმის გამო, რომ მისი მამა-ბიძები ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენები გახდნენ, მათგან მეფისადმი ერთგულება, ქვეყნისადმი ერთგულებას ნიშნავდა. ასეთ პოზი-

ციას სააკაძეები განსაკუთრებით გამოხატავდნენ, მაშ რატომღა უნდა გვიკვირდეს, თუ შემდგომ წლებში სააკაძე საქართველოს გაერთიანების იდეას მიზნად დასახავდა? ლოგიკაც აქვეა, დიდ თავადთა ნაწილის კლასობრივი ოპოზიციონერობა მეფის ხელისუფლებისადმი პირდაპირ საპირისპირო იყო სააკაძეთა მიმართაც. მკვეთრი, რეალური მოვლენა განვითარდა ტაშისკარის ომის გამარჯვების შემდეგ, როგორც კი სააკაძემ თავისი სარდლური ღირსებები ქვეყანას დაანახა. თან ეს კაცი ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მაღიარებელია, იერარქიული წოდებრივი ნიშნით საშუალო აზნაურია, რაც დიდ თავადთა შედარებითობაში დაბალი რანგია, მაგრამ როგორ მაღალ ერთგულებას ავლენს მეფის ხელისუფლებისადმი? მით უფრო ამ საშუალო აზნაურის დას მეფე ლუარსაბ II ცოლად შეირთავს და იგი ქართლის დედოფალი გახდება. ასეთ მოვლენებში სააკაძის ავტორიტეტი ხალხის თვალში ამაღლდა, მეორე მხრივ კი, ნაწილ დიდებულთა ჯგუფში, საპირისპირო რეაქციები გამოიწვია.

1609 წლის ტაშისკარის ომის გამარჯვების შემდეგ, რადგან სააკაძე ანგარიშგასაწევი პირი გახდა, მისი სარდლური ნიჭის მაღიარებელთა რიცხვიც შესაბამისად გაიზარდა, თან, ავტორიტეტულ თავადთაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: სიძე თეიმურაზი და მისი ძმა ქაიხოსრო მუხრან-ბატონები, მეორე სიძე იესე ქსნის ერისთავი, სიმამრი ნუგზარი და მისი შვილი ზურაბ ერისთავები, თამაზ მაჩაბელი, ზაზა ციციშვილი, გარასპი ფავლენიშვილი, ბაკა ხერხეულიძე, აზნაურები– ლომი ჩრდილელი და პაპუნა ჩივაძე, გლეხთა ფენიდან– მათარსი შიხაიდისძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, თამაზ ქარცივაძე, ჯიმშერ ინაშვილი. საქართველოს გადარჩენისათვის როცა მოხდა მარტყოფის ომი და მისი ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ, რამდენადაც სააკაძის ავტორიტეტი ხალხში კიდევ ამაღლდა, იმდენად, მისი მომხრეთა რიცხვიც უფრო გაიზარდა, ესენი იყვნენ: ბაადურ ციციშვილი, გიორგი და გერმანოზ ბარათაშვილები, ზაქარია და ივანე ჯავახიშვილები, იმერეთის მეფე გიორგი III და დიდი ნაწილი საიმერეთოს დიდებულთა მხრიდან, სამხრეთ საქართველოდან– მანუჩარ III ათაბაგი, დავით გოგორიშვილი, ელიზბარ და ბეჟან თაქთქირიძენი, როსტომ შალიკაშვილი, თანუნა დიასამიძე.

კახეთის მხარის დიდებულებს– ძმებს ჩოლოყაშვილებს, დავით ჯანდიერს, ნოდარ ჯორჯაძეს და თამაზ ვაჩნაძეს, სააკაძის საწინააღმდეგო პოზიცია არასოდეს გამოუხატავთ, მარტყოფის და მარაბდის ომში მის გვერდით იბრძოდნენ.

სააკაძის მომხრეთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო და ამდენად ანგარიშ გასაწევიც, უნდა ითქვას, დიდებულთა ნაწილისთვის საშიშიც. ასეთი დაპირისპირება ხშირად კონსპირაციულ ხასიათს ატარებდა, მხოლოდ დროებით, რადგან სააკაძეს მაღალმა თუ საშუალო ფენამ დიდი ნდობა გამოუცხადა, ცხადია, უკეთესი მდგომარეობისათვის ესწრაფვოდნენ, რაც საქართველოს გაერთიანებაში ესახებოდათ. სწორედ ეს აფიქრებდათ სააკაძის მოწინააღმდეგე დიდებულთა ნაწილს, და ყველა ხერხით ცდილობდნენ, ქვეყანაში თავიანთი უფლებების შენარჩუნებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სააკაძეების მიმართ ოპოზიციური მხარე მაშინ ჩამოყალიბდა, როცა სააკაძის მამა სიაუში და მისი ძმები სამეფო კარზე ანგარიშგასაწევი პირები გახდნენ. მათ მიმართ ოპოზიცია აშკარა წინააღმდეგობებს ვერ გამოხატავდა, რადგან ამ ვერ გამოხატვის მიზეზი მეფე სიმონ I და ქვეყნისადმი მისი თავდადებული მოღვაწეობა იყო (თუმცა, ისიც ვიცით, რომ იმ დროის ოპოზიციამ ისიც ძალზედ დააზარალა).

სააკაძისადმი ოპოზიციურმა მხარემ მძაფრი ხასიათი მიიღო მაშინ, როცა მისი და ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო და ის ქართლის დედოფალი გახდა. ე.ი. იმ ხანებში სააკაძის აშკარა მოწინააღმდეგე პირებად ჩამოყალიბდნენ: შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები. შესაძლოა სააკაძის საწინააღმდეგო პოზიციას სხვებიც ატარებდნენ, მაგრამ სააშკარაოზე ისინი არ გამოჩენილან.

ყურადღება მივაქციოთ, როგორ ცდილობდნენ სააკაძის მოწინააღმდეგენი თავიანთ რიგებში მაღალი გვარის წარმომადგენლები ჰყოლოდათ. ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები, თავდაპირველად, სააკაძის მომხრეთა რიგებში იყვნენ, დიდებულთა ნაწილმა მათი გადაბირება მოახერხა, რის საფუძველზეც სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულებაც დაიგეგმა. რასაც საქართველოდან მისი გაძევებაც მოჰყვა.

ირანიდან სააკაძის დაბრუნების შემდეგ, როცა მარტყოფის აჯანყება ძლევამოსილად დამთავრდა, ამას მოჰყვა მარაბდის ომი. მრავალ პარტიზანულმა ომებმა და ქსნის ომის

ბრწყინვალედ დამთავრებამ შაჰ-აბასს, საქართველოს მიმართ, პოზიცია შეაცვლევინა. მისი აგრესიულობა ლმობიერებამ შეცვალა, მას დრო სჭირდებოდა ძალების მოსაკრებად, ამიტომ ზავის პირობა შეღავათს აძლევდა. თეიმურაზ I და დიდებულთა ნაწილი მომხრე გახდა, მიეღოთ შაჰ-აბასის ზავის პირობა, რადგან მარტყოფის გამარჯვების შემდეგ სააკაძეს თეიმურაზ I ჯერ ქართლ-კახეთის და შემდეგ ერთიანი საქართველოს მეფედაც ეიმედებოდა, და მისგან მარაბდის ომში წამგებიანი პოზიციის დაჭერამ და უფრო უარესი, შაჰის ზავის პირობაზე მისგან დათანხმებამ, სააკაძეში თეიმურაზ I-ის მიმართ უნდობლობა გამოიწვია. დავაკვირდეთ სააკაძის ხასიათს, ეგრევე პირდაპირ კი არ გადადის იმერეთის სამეფოში, ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურის საძებნელად არა, ჯერ ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დანიშნა ქართლის გამგებლად. იგი ბაგრატიონი იყო და სამეფო პოზიცია, როგორც ბაგრატიონს, ჰქონდა. მას ქაიხოსრო მუხრან-ბატონი ქართლის მეფედ რომ დაენიშნა, ასეთ შემთხვევაში საქართველოს გაერთიანების რესურსი შემცირდებოდა. ამიტომ უმჯობესი იყო გამგებლობა. ამ ვითარებაში იმერეთის მეფის გიორგი III-ის მდგომარეობაც ნათელია, იგი სააკაძეს თავს არ ახვევს საკუთარ სურვილს– თავისი შვილი ალექსანდრე გახდეს ერთიანი საქართველოს მეფე მანამ, სანამ სააკაძე თვითონ არ დააყენებს ამ საკითხს.

მაშ რა ექნა სააკაძეს? ვინმეს აწუხებდა იმ კონკრეტულ დროში საქართველოს გაერთიანება? სააკაძისთვის ხელის შეწყობის მაგიერ მას ზუსტად იმის გამო უპირისპირდებოდა დიდებულთა ნაწილი, რომ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა.

ასეთმა ვითარებამ, სააკაძის მიმართ, მეორეჯერ წარმოშვა ოპოზიციური მხარე. ესენი იყვნენ: თავისი ცოლის ძმა– ზურაბ ერისთავი, თეიმურაზ I და იოთამ ამილახვარი. ორივე შემთხვევაში სააკაძის ძირითად ოპოზიციურ მხარეს წარმოადგენდა სულ შვიდი კაცი. ოპოზიციურმა მხარემ სააკაძეს პირველად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 1612 წელს შ. ბარათაშვილის მცდელობით. მეორეჯერ 1615 წელს ქ. ჯავახიშვილის მცდელობით. მესამეჯერ მეფე თეიმურაზ I-ის მცდელობით, რაც ბაზალეთის ომით დამთავრდა და სააკაძეს ხელმეორედ მოუხდა საქართველოს დატოვება.

ე.ი. სააკაძის მოღვაწეობის დროს, მის მოწინააღმდეგე პირებად ჩამოყალიბდნენ ზემოთ ჩამოთვლილი დიდებულთა გვარის წარმომადგენლები. მართებულია აქ საკითხი ასე დაისვას: იგივე დიდებულთა გვარის წარმომადგენლები ხომ იდგნენ სააკაძის გვერდით და ხომ იზიარებდნენ მის გეგმებსა და მიზნებს?

საჩინო ბარათაშვილი

მეფე სიმონ I-ის დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე განუზომელია. სწორედ მისი თანამებრძოლი, თანამოაზრე, ყველა ავისა თუ კარგი მოვლენის განსჯის, საომარი გეგმის მზადების, თადარიგების დაჭერის, მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის გვერდში მდგომი იყო საჩინო ბარათაშვილი, მას ისევე სტკიოდა თავის ქვეყანაზე გული, როგორც მეფეს.

როცა სააკაძისათვის, როგორც მაგალითი, ქვეყნისათვის ზრუნვას მეფე სიმონ I იძლეოდა, იგივენაირი მაგალითის მიმცემი სააკაძისათვის ხომ საჩინო ბარათაშვილიც იქნებოდა, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისადმი გვერდში მდგომი.

ქართველ მეომართა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა, სიფხიზლე, გულშემატკივრობა,– ასეთ თვისებებს ხომ საჩინო ბარათაშვილისგან იღებდნენ ქართველი მეომრები და მათ შორის სააკაძეც.

საჩინო ბარათაშვილი სიმონ I-ის დამფასებელი, საქართველოს გაერთიანების მაღიარებელი და საიმედო კაცი იყო.

ცხადია, საჩინო ბარათაშვილი სააკაძისათვის მისაბაძი მაგალითი იქნებოდა და მისგან, როგორც ქვეყნისთვის უანგარო სამსახურისა და იდეურ ფსიქოლოგიურ ჩამოყალიბებაშიც წვლილი ექნებოდა შეტანილი.

ბარათაშვილებთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ 1625 წლის ბოლო თვეები, სამხრეთ საქართველოს მხარეში ახალციხის, აწყურისა და ფარავანის ციხეები ყიზილბაშებს ჰქონდათ დაკავებული, რადგან ქარჩოხი ქსნის ომმა ხერხემალში გადაამსხვრია შაჰ-აბასის გეგმები სა-

ქართველოს მიმართ, სააკაძემ მიიღო გადაწყვეტილება– სამხრეთი საქართველოდანაც განედევნა ყიზილბაშები. ამ საქმეში, მესხეთის დიდებულებთან ერთად, პირველნი მხარში ამოუდგნენ გიორგი და გერმანოზ ბარათაშვილები თავიანთი ჯარებით. იმ ხანად ისახან-ყორჩიბაშმა, სამხრეთ საქართველოში გამაგრებულ ყიზილბაშებს დამხმარე ჯარი მიაშველა.

რადგან მტრის ჯარები ისევ ბევრად აღემატებოდა ქართველ მეომრებს, ამიტომ ქართველთა მხარემ სააკაძის რჩევა გამოიყენა, რაც მტრის შემოტყუებითი ხერხით, ნაწილ-ნაწილ განადგურებას ითვალისწინებდა. ასეთმა ხერხმა შედეგი გამოიღო. იმ ხანად სამხრეთ საქართველოში ჩატარებულ ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ახალციხის, აწყურისა და ფარავანის ციხეები ყიზილბაშებისაგან განთავისუფლდა, სადაც დიდი წვლილი შეიტანეს გიორგი და გერმანოზ ბარათაშვილებმა. ისახან-ყორჩიბაში, ძლივს გადარჩენილი, მცირე ყიზილბაშებით ისევ ყარაბაღში გაიქცა და მის შემდეგ საქართველოში ფეხი აღარც შემოუდგამს.

ზაქარია და იარალი ბარათაშვილები

რადგან აღმოსავლეთ საქართველოს შაჰ-აბასი ჩემულობდა, და სამხრეთ საქართველოზე გავლენას ხან ირანი და ხან ოსმალეთი ცდილობდა, ამიტომ 1609 წელს მესხეთში შემოჭრილი ოსმალოები, რომელთაც მოსახლეობა დაარბიეს, შესაძლო იყო ქართლშიც შემოჭრილიყვნენ. ლუარსაბ II თავის მრჩეველებთან ერთად ფიქრობდა, ოსმალოთა სარდლობას, შაჰ-აბასის რიდი და შიში კი ჰქონდათ, რადგან ქართლს შაჰი ჩემულობდა, მაგრამ, როცა 60 ათასიან ჯარების პატრონმა მტერმა, მესხეთი დაარბია, არ იყო გასაკვირი, რომ ოსმალოები ქართლშიც შემოსეოდნენ, ამიტომ სათადარიგოდ, მზვერავებად გააგზავნეს ზაქარია და იარალი ბარათაშვილები. ადრეულ წლებში, როცა მტრის ჯარები ქართლში, მესხეთის გამოვლით შემოსულან, ქართლის მეფეებს და მათ მრჩევლებს, ისტორიული გამოცდილება ექნებოდათ იმისა, თუ რომელი ხეობით რომელი გზით შემოდიოდა, მესხეთის მხრიდან, ქართლში მტრის ჯარები, ამიტომ ლუარსაბ II-მ, გ. სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა, ეს ცნობილ, ასე ვთქვათ, ტრადიციულ გზაზე გაამახვილეს ყურადღება, რომ მტერი უსათუოდ იმ გზით შემოვიდოდა ქართლში. მეფემ და მის უახლოესმა ადამიანებმა, მზვერავების ჩათვლით, არ იცოდნენ თუ გამცემი, მათს ცხირეთში ყოფნას, მტერს შეატყობინებდა.

გავიხსენოთ, სხერტის ბრძოლა, სადაც ზაქარია და იარალი ბარათაშვილებმა თავიანთი მცირე რიცხოვანი რაზმით, თავგანწირული თარეშული ბრძოლები გაუმართეს ოსმალო-თათარხანის ჯარებს, სანამ გ. სააკაძე და ზ. ციციშვილი დამხმარე რაზმებს მიაშველებდნენ.

რადგან გამცემმა მტერს ცნობა მიაწოდა, თან განსაზღვრავდა ქართლის მეფე რომ შეეპყროთ, როგორი გზებით უნდა ევლოთ, რომ ცხირეთამდის მალე და თან უსაფრთხოდ მისულიყვნენ.

გამცემისაგან მიღებული ცნობით, რომ ლუარსაბ II ცხირეთში იმყოფება, მტრისთვის სასურველი ფარული გზით, ცხირეთზე საორიენტაციოდ, შემთხვევით მიადგა სოფელ კველთას, იმ დროს მზვერავების – ზაქარია და იარალის რაზმი, ოსმალოთა ჯარს ასცდა. ასეთი ბედოვლათობით ოსმალოთა სარდლობას დაბეჯითებით სცოდნია ლუარსაბ II-ის ადგილ სამყოფელი– ცხირეთი, ისმება კითხვა, საიდან უნდა სცოდნოდა მტერს, ქართლის მეფის ღამის სათევი? სულ ახალგაზრდა ლუარსაბ მეფის მტერი, ხომ პირდაპირ საქართველოს მტერიც იყო.

მტრის მიზანი იყო, თუ ლუარსაბ II-ს შეიპყრობდნენ, ქართლის მოსახლეობის დამორჩილებაც აღარ გაძნელდებოდა. მტრის ჯარს გამცემი მეგზურობას ვერ გაუწევდა იმის გამო, რომ ეს აშკარა ღალატი თვალსაჩინო გახდებოდა საზოგადოებისათვის. რადგან საჭირო ცნობა მიიღო მტერმა, დანარჩენი, მეგზურის პოვნა და ცხირეთამდის მიყვანა თავიანთ თავზე აიღეს მომხდურებმა. ოსმალოთა მხარე თავიანთი ურთიერთობებიდან გამომდინარე, დაბეზღება ჩაშვება, ჩვეული მოვლენა იყო და მეგზურის პოვნაც საქართველოში იოლი ეგონათ. მტერი ფიქრობდა აქ ახლოსაა სოფლები ვნახევთ ვინმეს, სიკვდილის დამუქრებით შევაშინებთ, და მასაც სხვა გზა არ ექნება მიგვიყვანს ცხირეთამდისო. სანამ ბერი თევდორეს ნახავდნენ, სამეგზუროდ, რამდენიმე კაცი უნახავთ, გასამრჯელოსაც შეპირებიან, შეუშინებიათ კიდევაც, მაგრამ უარი მიუღიათ ასეთი საზარელი საქმის აღსრულებაზე, ამ შემთხვევაში უარის თქმა პირდაპირ სიკ-

ვდილს ნიშნავდა. როგორც ჩანს, მტერი ჩქარობდა ცხირეთში მისვლას, რომ ლუარსაბ II ადგილზე დახვედროდათ, და შეეპყროთ. როცა ბერი თევდორე ნახეს, მასაც დაემუქრებოდნენ. რადგან მისგან თანხმობას მიიღებდნენ, მტერსაც მეტი რა უნდოდა, მაგრამ მომხვდურმა ბერი თევდორეს განაზრახი არ იცოდა. არც ის იცოდა თუ ქართლის სოფლები რა მანძილით იყო ერთმანეთისაგან დაშორებული ან თითოეულ სოფელს რა ერქვა, მტრის ჯარები დაახლოებით, უგზო-უკვლოდ სიარულს ხუთი საათი მაინც მოანდომებდნენ.

ბოლოს ქვენადრისში ჩავიდნენ, ალბათ, მათ ცხირეთი ეგონათ, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო, მტერი მიზანს ასცდა. შესაძლოა, ოსმალოთა სარდლობას, ვერც წარმოედგინა, რომ იმ ტყიან მთაში, და მიუვალ ადგილას ლუარსაბს საზაფხულო აგარაკი ექნებოდა, ცხირეთის ასეთმა მდებარეობამაც ხელი შეუწყო მტრის გზაკვალის არევას, ლუარსაბ II ვერ მოიხელთეს და მთელი ჯავრი ბერი თევდორეზე იყარეს, იგი წამებით მოკლეს.

რადგან ქართლში შემოსული, ცხირეთის გზას ბერი თევდორეს მცდელობით აცილებული მტერი, თეძამის ხეობაში გაჩერდა, ამიტომ ზაქარია და იარალი ბარათაშვილები, რახან, მათი გზა გამცემის მცდელობით შეიცვალა, მოგვიანებით, მაინც გაიგეს ოსმალოების, ქართლისაკენ, ან ცხირეთისაკენ წამოსვლა და ფეხდაფეხ გამოყვნენ მტერს. ალბათ, ბერი თევდორეს გმირობა პირველებმა მათ შეიტყვეს და როგორც საგანგაშო ცნობა, ცხირეთში მყოფ ლუარსაბ II-ს, გ. სააკაძესა და ზაზა ციციშვილს შეატყობინეს. საქმეც ამაშია, ზაქარია და იარალი ბარათაშვილებს თავიანთ რაზმში შესაძლო იყო 100-მდე კაცი ჰყოლებოდათ. ეს რაოდენობა მტრის 60 ათასიან ჯარს ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ თეძამის ხეობაში ჩამდგარ ურდოს, მიუხედავად მათი სიმცირისა, მაინც მოსვენება დაუკარგეს. ისინი ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან თავს ესხმოდნენ ოსმალოებს და მოსახლეობაზე თავდასხმის საშუალებას არ აძლევდნენ, სანამ გ. სააკაძისა და ზაზა ციციშვილისაგან ძირითადი ქართული ჯარი შეიყრებოდა.

იმ გამწვავებულ ვითარებაში დრო საზღვრავდა ყველაფერს. ჯარის შეგროვებისათვის, იმ უსწრაფეს წუთებში, ბარათაშვილებისაგან დაფრთხალ ოსმალოებს აღარ ეხერხებოდათ ქართველი მოსახლეობის რბევა, შეიძლება ზაქარია და იარალის ასეთი საშუალება არ მიეცათ, გმირობის გამოჩენისა, როგორც ბერი თევდორეს მიეცა, მაგრამ ჩემი ინტუიციით, ტაშისკარის ომში გამარჯვების მიღწევის მოვლენებში, ყველა იმ ადამიანს, ვინაც თავისი შესაძლებლობებიდან და არსებული მდგომარეობიდან თავიანთი წვლილი შეიტანეს, ასეთი ძლევამოსილი ომის გამარჯვებით დამთავრებაში. და მათს შორის ზაქარია და იარალი ბარათაშვილების მოქმედებებს უნდა მიეცეს დიდი მნიშვნელობა, რამეთუ ამოდენა მტრის ზღვა ჯარში, მათი ტრიალი მხოლოდ გმირული სულის გამოვლინება და თავგანწირვა იყო.

(*გაგრძელება იქნება*)

ამალია საზანდრიშვილი

აკაკი გასიტაშვილი
მოგონებათა ფურცლები

აკაკი გასიტაშვილზე დაწერილი წიგნი რომ ერთგვარად სრული ყოფილიყო შევეცადე მეტი დატვირთვა მისი არქივისათვის მიმემართა.

მოგონებათა ერთ ნაწილს ავტორი პირდაპირ უწოდებს „მოგონებათა ფურცლებს.“

ბატონი აკაკი ამით უფრო მეტად გაგვახსენებს თავს. გულწრფელობა ხომ მისი ცხოვრების ფარი და მახვილი იყო!

აი, ეს მოგონებანიც!

XX საუკუნე და 60-იანი წლები ძვირფასია საქართველოს იმ ახალგაზრდობისათვის, რომლებმაც გმირული შრომით აქტიური წვლილი შეიტანა ყამირის ათვისებაში.

მე მინდა მოგითხროთ ჩემი და ჩემი აღსაზრდელების შესახებ. (გვესაუბრა ბატონი აკაკი გასიტაშვილი).

მაშინ სურამის მექანიზაციის სასწავლებელში ვმუშაობდი უფროს ოსტატად. „შრომითი რეზერვების“ მთავარმა სამმართველომ არჩევანი ჩვენზე შეაჩერა, მოსწავლეთა შერჩევას შევუდექით, განვუმარტავდით ყამარის ათვისების დიდ მნიშვნელობას, არც ის დაგვიმალია, რომ იქ უჩვეულო პირობეებში მოუხდებოდათ შრომა და ცხოვრება.

42 კაციანი რაზმი ჩამოვაყალიბეთ. მათი ხელმძღანელობა მე დამევალა. ჩვენთან ერთად მოდიოდა აგრეთვე საწარმოო სწავლების ოსტატი ისაკ ნიკოინი.

მუშაობა კუსტანაის ოლქის კარაბალიკის რაიონის ბუსკულის კოლმეურნეობაში მოგვიწია.

თვალწინ გადაგვეშალა ყამირის უკიდეგანო სივრცეები. გვეგონა, სოფლის ახლოს მოგვიწევდა ყოფნა, მაგრამ ბუსკულიდან 25 კილომტერზე გადაგვისროლეს.

ჯგუფი ორად გავყავი და სატრაქტორო ბრიგადებში გავანაწილე. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო მოგვემზადებინა კალოები, ტექნიკა. შემდეგ კი უდანაკარგოდ აგვეღო მოსავალი.

ვცხოვრობდით სახელდახელოდ გაწყობილ კარვებში. პირველ ხანებში ახალგაზრდებს უჭირდათ მიჩვეოდნენ ცხოვრების საველე პირობებს, მაგრამ პარტიის კარაბალიკის რაიკომის მდივნის ნურ მუხამედოვისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის დახმარებით ორ-სამ დღეში მოვაწყეთ საველე სამზარეულო. მოსწავლეთაგან გამოვყავით მზარეული.

წესრიგში მოვიყვანეთ ტექნიკა. იმ დროისთვის მუშაობდნენ უმთავრესად მისაბმელი კომბანიები „სტალინეც-ნ“ და ახლადშექმნილი თვითმავალი კომბაინები „ს-4“. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მოითხოვდა კონსტრუქციულ დახვეწას და ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან სხვადასხვა ტექნიკური მიზეზით. ჩვენი ძალებით ბრიგადებს შევუკვეთეთ 4 კომბაინი და 6 ტრაქტორი. ბუსკულის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი ფართობი 25 ათას ჰექტარს შეადგენდა. თითოეულ ბრიგადაზე გაპიროვნებული იყო 4-5 ათასი ჰექტარი. ადვილი წარმოსადგენი იქნება იმ სამუშაოთა მოცულობა, რომელიც უნდა შეგვესრულებინა მოკლე დროში. ყამირზე თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეებმა მოსიძემ. ინასარიძემ, შონიამ, ვაშაძემ და სხვებმა. რვა ახალგაზრდა დაჯილდოვდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშნით „ყამირი მიწების ათვისებისათვე“ ხოლო 18 კაცს სიგელები გადაეცა.

სამკერდე ნიშნით მეც დამაჯილდოვეს (რომელიც ყამირზევე გადმომცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. შევარდნაძემ), ხოლო ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის კარგი ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს „შრომითი რეზერვების“ მთავარმა სამმართველომ დამაჯილდოვა საპატიო სიგელით, დამამტკიცეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ.

ახლა, როდესაც ხელთა გვაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ.ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი“, თვალწინ კვლავ მიცოცხლდება 1956 წლის ის დღეები. ამ მოგონებებით შემოჯარული ჩემს მოსწავლეებს მოვუთხრობ ყამირის გმირულ ეპოპეაზე საბჭოთა ხალხის ურღვევ ძმობასა და მეგობრობაზე, კომუნისტური პარტიის უდრეკ ნებაზე, რამაც შესაძლებელი გახადა ადამიანის სამსახურში საუკუნოვანი უსიცოცხლო სტეპების ჩაყენება. და ვერ ვმალავ სიამაყეს, რომ ამ დიდ საქმეში ჩემი და ჩემი მოსწავლეების, ქართველი კაცის წვლილიც ურევია.

სურამის მექანიზაციის სასწავლებელის მოსწავლეები ყამირზე

ყამირზე მშვენიერი საწარმოო პრაქტიკა გავიარეთ, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინეთ.

ჩემმა აღსაზრდელებმა იციან, რომ ყამირის პირველი დიდი მოსავლის აღების მონაწილე ვარ. ყამირზე ხალხის უკვდავ გმირობას მიეძღვნა ლექსების ციკლი „ყაზახეთის ველებზე“ ავტორი ი.ნონეშვილი. მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს ამ ციკლის ლექსები „ბიჭო, იქნებ, პაპა იყო შენი“, „აქლემები“, „ქება ადამიანს“ და სხვები.

ერთ-ერთ ლექსში ავტორი წერდა:

„გეყო დასვენება, სასვენო მიწავ,
ბევრჯერ დახვიქულო, ბევრჯერ დამეხილო,
გეყო დასვენება, სასვენო მიწავ,
უნდა წვრილშვილივით ყანა დაგეხვიოს“.

მართლაც ყამირის ათვისება იყო ხალხის მეგობრობის დიდი გამოცდა, რაც პედაგოგების ენით რომ ვთქვათ, ფრიადზე (ათიანზე) ჩატარდა.

აკაკი გასიტაშვილი

მოგონებანი

„სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“...

ასე გვმოძღვრავდა ბატონი აკაკი გასიტაშვილი ჩვენი სასწავლებლის ყველა მოსწავლეს, ყველა თანამშრომელს, დიდი იყო თუ პატარა.

ერთხელ ჩვენი სასწავლებლის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ვისხედით ჩვენი ჯგუფის მოსწავლეები და ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებს.

უცებ კარები გაიღო და ფეხაკრეფით შემობრძანდა ბატონი აკაკი გასიტაშვილი. ჩვენ ყველანი ფეხზე ავდექით, მან მადლობა გვითხრა, მოგვეფერა და ისიც დაჯდა და მოიმარჯვა გაზეთი, დაიწყო კითხვა. ჩვენც ჩვენი დაწყებული საქმე გავაგრძელეთ.

როცა კითხვას თავი დავანებეთ ბატონ აკაკისა და ჩვენს შორის გაიმართა საუბარი. ბატონმა აკაკიმ ერთ-ერთი შეკითხვის პასუხად ასე გვითხრა: „მოხდა ისე, რომ ბევრ თქვენგანს, ზოგს იძულებით, ზოგს ნებაყოფლობით არგუნა ღმერთმა სამშობლოს გარეთ ცხოვრება. შვილებო, მთავარია, რომ თქვენ არ მოწყდეთ ქართულ სულიერებას და მშობლიურ ფესვეზე გაიზარდოთ“. არ დაგავიწყდეთ, „ვისი გორისა ხართ“ არ გაცვალო სალი კლდეები, სხვა ქვეყნის სამოთხეზე. სულერთია სად ისწავლი– რუსეთში თუ ამერიკაში, გერმანიაში თუ სხვა ქვეყანაში, მთავარია, სამშოლოს დაუბრუნდე და შეძენილი ცოდნა მის კეთილდღეობას მოახმარო“. ბატონ აკაკი გასიტაშვილის დამოძღვრა ჩემი ცხოვრების თანამდევი გახდა.

ქარელის №40 სპტს დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყეთ ჩემ საყვარელ საქართველოში, ჩემს სოფელში.

ლეილა ქოთუაშვილი
ნათია წიქარიშვილი

ავტორისაგან

ეს წიგნი საჩუქარია იმათთვის, ვისთვისაც ძვირფასია აკაკი გასიტაშვილის სახელი. ასეთები კი ათობით და ათასობით არიან.

ეს წიგნი ხსოვნაა იმ უდიდესი ღვაწლისა, რაც კი აკაკი გასიტაშვილმა ჩვენი ქვეყნისთვის გასწია.

ეს წიგნი მისი მოწაფეების გულის მალამოა.

დრო მიდის და საყვარელი მასწავლებლის სიკვდილით გამოწვეული ვარამი არ ნელდება, ტკივილი არ ცხრება. წუხილი არ ყუჩდება.

უდედმამობა ძნელია, მაგრამ არც უმასწავლებლობა ყოფილა ადვილი!

ჩვენ ამ წიგნით ვცადეთ ბატონი აკაკი გასიტაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგი ფაქტი გაგვეხენებინა.

ისეთ მასწავლებელს, მეგობარს, მზრუნველს, დამრიგებელს, მამას, როგორიც ბატონი აკაკი იყო, დავიწყება არ უწერია, ბატონმა აკაკიმ ძვირფასი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

მინდა დაგარწმუნოთ რომ– ბატონ აკაკის რამდენი ადამიანიც იცნობდა, იმდენი მოგონებების თქმა და დაწერაა შესაძლებელი.

ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მათგანის მოგონებას გთავაზობთ.

ჩინებულთაგან რჩეული

„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულნი“... სახარების ამ ფრაზით მინდა დავიწყო სიტყვა ბატონ აკაკი გასიტაშვილზე, კაცზე, რომელიც ჩინებულთან რჩეული იყო.

ბატონი აკაკი ჩემი დირექტორი გახლდათ ქარელის №40 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში. გამოირჩეოდა ღრმა ერუდიციით. იყო ობიექტური შემფასებელი ყველგან და ყველაფერში. ჩვენ, ყველა თანამშრომელს, დიდი რიდი და მოკრძალება გვქონდა მისი. ვერაფერს გამოაპრებდი. ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელო ცვლილებასაც კი გრძნობდა და მიგვანიშნებდა ხოლმე.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სანახავად მივედით სამი თანამშრომელი. გული ჩამწყდა ფერი დაკარგოდა, გამხდარიყო, რაღაც საოცარის მოლოდინი ეტყობოდა, მაგრამ არ დაუჩივლია.

პატარა ოთახში მხოლოდ მისი საწოლი იდგა. ყველა კედელზე ჭერამდე დაკიდული თაროები წიგნებით იყო სავსე. სხვა სიმდიდრის შეძენაზე ბატონ აკაკის არასოდეს უზრუნვია. იგი ხომ უჩუმრად, ხმაურის გარეშე ეზიდებოდა მასწავლებლობას და საზოგადო მოღვაწეობის მძიმე ტვირთს, ხოლო გასამრჯელოდ ამაგით მოხვეჭილი სიყვარული და პატივისცემაც ჰყოფნიდა.

კაცის ცხოვრება სენევას აზრით, იგავ-არაკივით შინაარსით იზომება და არა სიგრძით.

ბატონი აკაკის მრავალ ღირსებით გამორჩეული სიცოცხლე და ცხოვრება თავად იქცა მამულიშვილური ცხოვრების საზომად.

სიცხოცხლესაც დასასრული აქვს, რამეთ ყველა კაცი მოკვდავია.

მე მისი სიკვდილი ისე მაქვს წარმოდგენილი რომ, ის მადლობას უხდიდა ყველას და ყველაფერს, და ალბათ მასაც ყველამ ასე უპასუხა, რომ ალალი იყოს ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრებით გაჯერებული წლები, ირგვლივმყოფთა სიყვარულიც და მოწიწებაც...

ეს ყველაფერი აქ დარჩა, ჩვენთან, მისთანა კაცებს რომ გაუთენოს ახალი დილა, მან კი მხოლოდ თავისი სპეტაკი სული გაიყოლა თან წასვლისას მჯერა, დაგვლოცავდა, მოძღვარს რომ შეშვენის ისე: „იქმენინ ნათელი!“

№40 სპტს

იზო მებაღიშვილი

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი ***მედეა ჭელიძე***

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
სეუ-ს პროფესორი, ბიზნესის მართვის ასოცირებული პროფესორი,
ფაკულტეტის დეკანი

პირველი მონეტები მსოფლიოში

კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას მოუვიდა მეტად კონსტრუქციული აზრი – ერთი საქონლის გაცვლა მეორეზე. აღმოჩნდა, რომ ამ გზით, პრინციპში, შესაძლებელია მეზობელთან კონსენსუსის მიღწევა. და დაიწყო გაცვლა: ტყავის-ნიჟარებზე, კენკრის-ბუმბულზე და ა.შ. თავდაპირველად ადამიანები ნივთებს ყოველგვარი პრინციპის გარეშე ცვლიდნენ, მაგრამ დროთა განმავ¬ლობაში ზოგიერთმა მათგანმა შენიშნა, რომ ზოგიერთი საქონელი უფრო ლიკვიდურია, ვიდრე სხვა. ისინი, ვისაც ბევრი ლიკვიდური საქონელი გააჩნდა, ბევრად კარგად, მაძღრად და მხიარულად ცხოვრობდნენ, ვიდრე ისინი, ვისაც არალიკვიდური საქონელი ან ისეთი საქონელი გააჩნდა, რომელიც არავის სჭირდებოდა. ასე, ძველ დროში გაჩნდნენ პირები, რომლებსაც სხვებზე მეტი შეძლება ჰქონდათ.

დროთა მანმავლობაში გაირკვა, რომ ყველაზე ლიკვიდური ქონება ოქრო და ვერცხლია. ხოლო ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნისთვის ადამიანები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გაცვლითი ოპერაციების საწარმოებლად უფრო კომფორტული იქნებოდა, თუ ეს ოქროსა და ვერცხლის ნაჭრები ერთი და იგივე წონის, და შეძლებისდაგვარად, ზომის და ფორმის იქნებოდა. ასე, ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში გაჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები, რომლებიც ფორმითა და ზომით მუხუდოს მარცვლებს წააგავდა.

და აი, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ერთმა ადამიანმა აიღო ოქროს მარცვალი, დადო სამჭედლოზე, რომელზეც წინასწარ გამოსახა რაღაც ნახატი და ურო დაარტყა, რის შედეგადაც ოქროს ნაჭერზე გამოისახა იგივე ნახატი. სწორედ ასე გაჩნდა მსოფლიოში ყველაზე ძველი მონეტა. ეს ისტორიული მოვლენა მოხდა დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 687-654 წლებში, ლიდიის სამეფოში, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი თურქეთის დასავლეთ ნაწილში. იმ დროში ლიდიის მმართველი იყო მეფე ჰიგესი და ამიტომაც ამ მონეტას დაერქვა ჰიგესის სტატერი.

ვინაიდან, ოქროთი და ვერცხლით პირველი სავაჭრო ოპერაციები ხორციელდებოდა მათი აწონვით, პირველი ფულადი ერთეულები (ტალანტი და სტატერი) სახელს იღებენ აწონვის პროცესთან დაკავშირებით: ტალანტი – ეს არის სასწორის ფიალა, ხოლო სტატერი – სასწორის ხარიხა. ტალანტი იყო სააღრიცხვო-ფულადი ერთეული და წონის ერთეული, რომელსაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციებში განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნდა (დაახლოებით 16-დან 60 კილოგრამამდე).

მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის მომდევნო პერიოდში ძველბერძნული ფულადი ტალანტი დაახლოებით 25,9 კილოგრამს უტოლდებოდა. სტატერი კი ძველებური მონეტაა, რომელიც გამოიყენებოდა ძირითადად ძველ საბერძნეთში და ლიდიაში ძველი წელთაღრიცხვის VII

საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის შუა პერიოდამდე. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას ის სხვადასხვა რაოდენობის ოქროს შეიცავდა.

მაგალითად, ჰიგესის სტატერი შეიცავდა დაახლოებით 14 გრამ ელექტრუმს. ელექტრუმი არის თვითნაბადი ოქროს ნაირსახეობა, რომელიც შეიცავს 15-50% ვერცხლს და რომელიც ძველ ლიდიაში ძალიან ბევრი იყო. მაგრამ "ხარბმა" ძველმა ლიდიელებმა ელექტრუმის ძებნაში ყველა ახლომდებარე მთა გადათხარეს, ასე რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის ლიდიაში უკვე არანაირი ელექტრუმი აღარ არსებობდა. ყველაზე ცნობილი ლიდიური სტატერი (ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნე) წარმოადგენდა ბრტყელ ფირფიტას, რომლის ერთ მხარეს გამოსახული იყო ლომის თავი (ლიდიის სიმბოლო), ხოლო მეორე მხარეს გაუგებარი ჩაღრმავებები ჰქონდა (სავარაუდოდ დარტყმებისაგან).

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის ბოლოსთვის ადამიანებმა ისწავლეს ელექტრუმის დაყოფა ვერცხლად და ოქროდ. სწორედ ამ დროს გაჩნდა პირველი მონეტები მაღალი სინჯის ოქროსგან – დარიკები, რომლებსაც ჭრიდნენ სპარსეთის მეფე დარიოს I მეფობის (მეფობდა ძველი წელთაღრიცხვის 522-486 წწ.) დროს. თუმცა არსებობს აზრი, რომ მაღალი სინჯის ოქროსგან პირველი მონეტა მოიჭრა ჯერ კიდევ ლიდიის მეფის კრეზის დროს (მეფობდა ძველი წელთაღრიცხვის 560-546 წწ.), მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ დარიკებმა მოაღწიეს. დარიკებს ჭრიდნენ 980 სინჯის ოქროსგან და იწონიდა 8,4 გრამს. დარიკის ავერსზე გამოსახული იყო მეფე მშვილდოსნის სახით, ხოლო რევერსზე ჩანდა დარტყმის კვალი.

ძველ ხალხს ოქროს და ვერცხლის მონეტები უფრო მოეწონათ, შესაბამისად თანდათანობით მათ სავაჭრო მიმოქცევიდან გამოდევნეს მათი წინამორბედები, რომლებზეც გამოსახულებები არ იყო. ასე წარმოიშვა ყველაზე ძველი მონეტები მსოფლიოში, რომლებმაც კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცეს ძველი ადამიანის გონებრივ განვითარებას.

ანტიკური მონეტები . ძველი საბერძნეთი. ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ანტიკური ქვეყნის, ძველი საბერძნეთის ფულადი სისტემაც ემყარებოდა წონის ერთეულებს, რომლებიც ერთდროულად ასრულებდნენ როგორც წონის, ისე სააღრიცხვო ერთეულის ფუნქციებს. ძველი საბერძნეთისთვის, უპირველეს ყოვლისა, ასეთებს წარმოადგენდნენ ტალანტი, მინა, დრაქმა, ობოლი, ლეპტა, ჰალკი, რომლებიც ექვემდებარებოდნენ შემდეგ საბაზისო შეფარდებებს, თუმცა გააჩნდათ მრავალი ადგილობრივი გადახრები: 1 ტალანტი = 60 მინა = 3000 სტატერი = 6000 დრაქმა; 1 სტატერი = 2 დრაქმა (დიდრაქმა) = 12 ობოლი = 96 ჰალკი. მონეტების სახით იჭრებოდა მხოლოდ სტატერები, დრაქმები, ობოლები, ჰალკები, მათი ფრაქციები (მაგალითად, ჰექტა=1/6 სტატერი) და მათი ჯერადები (მაგალითად, ტეტრადრაქმა – 4 დრაქმა). ტალანტი და მინა წარმოადგენდნენ მხოლოდ სააღრიცხვო ცნებებს.

ტალანტი (ძვ. ბერძ. τάλαντον, ლათინურად ტალენტუ – „წონა", „ტვირთი") წარმოადგენდა ძველი საბერძნეთის უმაღლეს წონით ერთეულს და ნასესხები იყო ბაბილონიდან. ბაბილონის ტალანტი, რომელიც ერთი ვერსიით, თავდაპირველად აღნიშნავდა კამეჩის, ხარის წონას, იყოფოდა 60 მინად, ხოლო მინა, თავის მხრივ – 60 შეკელად. სემიტური ხალხების მიერ ბაბილონიდან ტალანტი აღებულ იქნა როგორც წონითი ერთეული და გავრცელება ჰპოვა ხმელთაშუა ზღვის აუზში. როგორც წონის და სააღრიცხვო ერთეული, ტალანტი ნახსენები აქვს ჰომეროსს. ისევე როგორც ბაბილონის ტალანტი, ის იყოფა 60 მინად, მაგრამ მინა უკვე შედგებოდა 100 ნაწილისგან – დრაქმებისგან, ხოლო დრაქმა – 6 ობოლისგან. ამრიგად, 1 ტალანტი უტოლდებოდა 60 მინას, 6000 დრაქმას, 36 000 ობოლს.

სიტყვა მინა (ძვ. ბერძ. μνᾶ, ლათინურად მინა, მნა) წარმოდგება ასირიულ-ბაბილონური სიტყვისგან „მანა"- დათვლა. დრაქმა (ძვ. ბერძ. δραχμή, ლათინურად დრაცჰმა) – ძველბერძნული სიტყვისგან „პეშვი"ან „ხელით დატაცებული". სახელწოდება მიეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც ფულადი გაცვლის საშუალებას წარმოადგენდა ლითონის 4-წახნაგიანი წკირები – ობოლები, რომელთა 6 ცალი, მუჭაში მოქცეული, ქმნიდა დრაქმას. ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში სიტყვა „დრაქმის" წარმოშობის სხვა ვერსიაა მოცემული: ასირიული სიტყვიდან „დაგარ-მანა", რაც აღნიშნავს „მინას მესამოცედი", ვინაიდან თავდაპირველად დრაქმა შესაძლოა შეიცავდა მინას არა 1/100-ს, არამედ 1/60-ს.

აუცილებელია ვახსენოთ ძველი საბერძნეთის კიდევ 3 საბაზისო ფულადი ერთეული: სტატერი, ჰალკი და ლეპტა. სტატერი (ძვ. ბერძ. στατήρ – „სასწორის ხარიხა", „სასწორი") – როგორც წესი, აღნიშნავდა უპირველეს ყოვლისა დრაქმის ორმაგ (ზოგჯერ სამმაგ) წონას, ანუ უტოლდებოდა 1/50 მინას ან 2 დრაქმას. ჰალკის სახელწოდება (ძვ. ბერძ. Χαλκός) მომდინარეობს ძველბერძნული სიტყვისგან, რაც „სპილენძს" ნიშნავს ან ქალაქის სახელწოდებიდან – ჰალცის, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სპილენძით ვაჭრობაში. ლეპტა (ძვ. ბერძ. Λεπτόν – „კანგაცლილი", ანუ პატარა, წვრილი) – თავდაპირველად წარმოადგენდა წონის ყველაზე მცირე ერთეულს, რომელიც შემდგომში გახდა ყველაზე წვრილი სპილენძის მონეტა. ათენში 1 ობოლი უტოლდებოდა 8 ჰალკს, ხოლო 1 ჰალკი – 7 ლეპტას. დაახლოებით ახ. წ. I საუკუნეში ჰალკი უკვე უტოლდებოდა 2 ლეპტას.

ძველი საბერძნეთის ფულადი სისტემის დამახასიათებელი ნიშანი იყო ერთიანი სამონეტო ერთეულის (ერთიანი სისტემის) არარსებობა (მონეტების დადგენილი ოდენობა, რომელიც უნდა მოიჭრას კონკრეტული ლითონის გარკვეული ოდენობიდან) და მრავალი სტანდარტის არსებობა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ მონეტაში ძვირფასი ლითონის შემცველობით და/ან საბაზისო სამონეტო ლითონად ოქროს ან ვერცხლის გამოყენებით. ალექსანდრე ზოგრაფი გამოყოფს არანაკლებ 15 ასეთ სტანდარტს. ყოველ პოლიტიკურად ავტონომიურ ერთეულს უფლება ჰქონდა მოეჭრა საკუთარი მონეტა და ამისათვის იყენებდა საკუთარ ნორმებს (ძველი საბერძნეთის და მისი კოლონიების ფულის გამოშვების ცენტრების საერთო რაოდენობა აღემატებოდა 2000-ს), ამიტომ შესაძლებელია მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ სამონეტო ერთეულზე საუბარი. ათენის აღზევების დროიდან ასეთს წარმოადგენდა ატიკური სამონეტო ერთული, რომელიც ათენში სოლონის კანონმდებლობით დამკვიდრდა დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში და განდევნა ეგინური სამონეტო ერთეული. ჯერ კიდევ არქაულ ეპოქაში ატიკური ნორმა გავრცელდა ჩრდილოეთ საბერძნეთში, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სიცილიაში. ძვ. წ. IV საუკუნეში ფილიპე II-მ იგი შემოიღო მაკედონიის იმპერიაში ოქროს მონეტებისთვის, ხოლო ალექსანდრე მაკედონელმა – ვერცხლის მონეტებისთვის. შედეგად ატიკური ნორმა გაბატონდა მონეტების ჭედვის საქმეში ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში.

ძველი რომი და რომის რესპუბლიკა. რომის რესპუბლიკის სამონეტო სისტემა ხასიათდებოდა ფულად მიმოქცევაში:

- პრაქტიკულად დაუმუშავებელი ბრინჯაოს ზოდების (ეს რუდე) და გამოსახულებებიანი ბრინჯაოს ზოდების (ეს სიგნატუმ) გაბატონებით – დაახლოებით ძვ. წ. 312 წლამდე;
- ჩამოსხმული ბრინჯაოს მონეტების (ეს რავე) გაბატონებით – ძვ. წ. 312-268 წწ.;
- სრულწონიანი ბრინჯაოს (ასი და მისი წარმოებულები) და ვერცხლის მონეტების გაბატონებით – ძვ. წ. 268-89 წწ.

ძველი რომის პირველ ფულს წარმოადგენდნენ პრაქტიკულად დაუმუშავებელი ბრინჯაოს ზოდები (ეს რუდე), შემდეგ კი გამოსახულებებიანი ბრინჯაოს ზოდები (ეს სიგნატუმ). ზოგჯერ პირველი რომაული მონეტების წარმოშობას უკავშირებენ მეფე-რეფორმატორის სერვიუს ტულიუსის (ძვ. წ. 578-535 წწ.) სახელს, მაგრამ წიგნის „რომის მონეტები" ავტორის ჰეროლდ მეტინგლის აზრით, რომში მონეტების გამოშვება დაიწყეს ძვ. წ. 289 წლამდე მცირე ხნით ადრე, როდესაც შემოღებულ იქნა მონეტარიუმების ინსტიტუტი (ჩინოვნიკები მონეტების მოჭრის საქმეში), უფრო ზუსტად კი ძვ. წ. 312 წლისთვის. ეს მონეტები, რომელთა საერთო სახელწოდებაა „მძიმე ბრინჯაო" (ლათ. ეს რავე) იყო ბრინჯაოს ასი (ლათ.ასს, ასევე ლათინურიდან აეს – სპილენძი, ბრინჯაო, ან ლათინურიდან ასსულა – ერთეული, მთლიანი), ასევე მისი წარმოებულები: სემისი (1/2 ასი), ტრიენსი (1/3 ასი), კვადრანსი (1/4), სექსტანსი (1/6), უნცია (1/12) და სხვა. თავდაპირველად ასი იწონიდა 1 ლიბრას (სს ლიბრალის), მაგრამ შემდეგ მისი წონა მუდმივად მცირდებოდა: ძვ. წ. 289 წელს – 1/2 ლიბრამდე, ძვ. წ. 268 წელს – 1/6-მდე, ძვ. წ. 217 წელს – 1/12-მდე, ხოლო ძვ. წ. 89 წელს – 1/24 ლიბრამდე.

ძვ. წ. 268 წელს სპილენძის (ბრინჯაოს) მონეტების პარალელურად რომმა დაიწყო ვერცხლის დენარების გამოშვება, რომელიც 4 სკრუპულას (4,55 გრ) იწონიდა. გამომდინარე იმ დროს დადგენილი შეფარდებიდან სპილენძისა და ვერცხლის ფასებს შორის (120:1), 1 დენარი გაუთანაბრეს 10 ასს.

ძვ. წ. 217 წელს ერთდროულად ასის მასის შემცირებასთან ერთად 1/12 ლიბრამდე, რომმა მოახდინა დენარის დევალვირება 3 C სკრუპულამდე. შედეგად მისი ღირებულება გაუტოლდა 16 ასს, და ეს შეფარდება (1/16) შენარჩუნდა ავგუსტუსის რეფორმებამდე. ოდნავ მოგვიანებით (ძვ. წ. 209 წელს) მიმოქცევაში პირველად, მაგრამ მხოლოდ ხანმოკლე დროით, გამოშვებულ იქნა ოქროს მონეტები წონით 6, 3, 2 და 1 სკრუპული.

რომის რესპუბლიკის უკანასკნელი ფულის რეფორმა გატარდა ძვ. წ. 89 წელს პლავიუს პაპირიუსის კანონის თანახმად. ასის წონის შემცირებით 1/24 ლიბრამდე, მაგრამ ვერცხლის მონეტების წონის შენარჩუნებით, და ასევე დენარის შეფარდების შენარჩუნებით ასის მიმართ (1/16), რომმა ფაქტიურად სპილენძის მონეტები გადააქცია საკრედიტო ფულად.

რომის იმპერია. სამონეტო სისტემაში არსებითი ცვლილებები განხორციელდა ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 წ. – ახ. წ. 14 წ.) დროს, როდესაც იწყება ოქროს აურეუსის სისტემატური მოჭრა. იგი გაუტოლდა 25 დენარს. ამავე პერიოდში განხორციელდა სპილენძის ნომინალების სისტემის გადახედვა: სესტერციუმი (4 ასი) და დუპონდიუმი (2 ასი) იჭრება აურიჰალკისგან, ხოლო ასი და კვადრანსი – ბრინჯაოსგან. ამგვარად, რომის სამონეტო სისტემამ მიიღო შემდეგი სახე: 1 აურეუსი = 25 დენარი = 100 სესტერციუმი = 400 ასი = 1600 კვადრანსი.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო იმპერატორ ნერონის დროიდან დაიწყო მონეტების გაფუჭება – აურეუსის და დენარი წონა და სინჯი ფარულად შემცირებას იწყებს. ამან შეარყია მოსახლეობის ნდობა ფულადი სისტემის მიმართ. იმპერატორმა კარაკალამ სცადა მდგომარეობის გამოსწორება და მიმოქცევაში გაუშვა ვერცხლის ანტონიციანი, რომელიც გაცვლისას შეადგენდა 2 დენარს, მაგრამ ამ ზომასაც მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტი ჰქონდა: III საუკუნის ბოლოსათვის ვერცხლის მონეტები პრაქტიკულად სპილენძისგან იჭრებოდა, ზოგჯერ მხოლოდ ზედაპირი იფარებოდა ვერცხლით. ოქროს მონეტებიც მსგავს დუხჭირ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა შეძლო, რომელმაც მაღალსინჯიანი ოქროს სოლიდის გამოშვება დაიწყო წონით 4,55 გრამი (1/72 ფუნტი) და შემოიღო ახალი სტანდარტი ვერცხლის მონეტებისთვის, მიაბა რა ვერცხლის მონეტების ღირებულება ფუნტი ოქროს ღირებულებას: ვერცხლის მილიარისიუმი ღირდა 1/1000 ფუნტი ოქრო, ხოლო სილიქვა – 1/1728 ფუნტი ოქრო. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ეს სისტემა მემკვიდრეობით გადავიდა ბიზანტიის იმპერიაში.

ბერძნული კოლონიები, ელინური სახელმწიფოები და რომის პროვინციები. რომის და მისი პროვინციების ფულადი სისტემების უნიფიკაციის პროცესი მიმდინარეობდა რომის დამპყრობლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. რომაელებიც და თვითონ პროვინციებიც აკორექტირებდნენ საკუთარი მონეტების წონას რომის სტანდარტებთან მიახლოების მიზნით. ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა დაპყრობილ ტერიტორიებზე თავისი სამონეტო სტანდარტების დანერგვას. ის მონეტებიც კი, რომლებიც იჭრებოდა რომში, მაგრამ განკუთვნილი იყო პროვინციებში მიმოქცევისთვის, იჭრებოდა ადგილობრივი გარეგნული იერით და ადგილობრივი სამონეტო ერთეულით.

ამ დროს მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მდგრადი თანაფარდობის შენარჩუნება ძირითად პროვინციულ მონეტებს, რომლებიც როგორც წესი წარმოადგენდნენ სტატერის ან დრაქმის ჯერადს ან ფრაქციას, და რომის ძირითად მონეტას – დენარს შორის. ეს უკანასკნელი თავდაპირველად დრაქმაზე რამდენადმე უფრო მძიმე იყო, შემდეგ კი უფრო მსუბუქი (უფრო ზუსტად, ერთ დრაქმებზე უფრო მძიმე და სხვა დრაქმებზე უფრო მსუბუქი), მაგრამ როგორც წესი, მას უთანაბრდებოდა გარკვეული შენიშვნებით, რაც გამომდინარეობდა ძველბერნული სამონეტო ჭედურობის მრავალგვარი სტანდარტებიდან. ასე, მაგალითად, უფრო მძიმე ტეტრადრაქმა (4 დრაქმა), რომელიც იჭრებოდა სირიის ანტიოქიაში, უტოლდებოდა 4 დენაიუმს; შედარებით მსუბუქი მცირეაზიული ტეტრადრაქმები და ფინიკიური დისტატერები – 3 დენარს; თავისი არსით ბილონური პტოლემეოსების ტეტრადრაქმა (ალექსანდრინერი) – 1 დენარს.

ახ. წ. II საუკუნეში სიტყვები „დენარი" და „დრაქმა" თავისი არსით სინონიმებად იქცნენ, წარმოადგენდნენ ერთ ფულად ერთეულს, რომელსაც დასავლეთში ეწოდებოდა დენარი, ხოლო აღმოსავლეთში – დრაქმა.

სესტერციუმი და უფრო დაბალი ღირსების მონეტები განკუთვნილი იყო, პირველ რიგში, მეტროპოლიაში მიმოქცევისთვის, პროვინციებში ისინი იშვიათად და შემთხვევით თუ მოხვდებოდნენ. წვრილი გაცვლითი მონეტებით მათი შიდა ბაზრების მომარაგება ადგილობრივი სამონეტო დაწესებულებების საქმეს წარმოადგენდა.

ისრაელი და იუდეა. დიდი ხნის განმავლობაში ებრაელი ხალხისთვის სიკლი (შეკელი) წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების მონეტების დასახელებას (მაგალითად, ტირის სტატერების ან პტოლემეოსების ტეტრადრაქმების), ასევე სააღრიცხვო ფულად ერთეულს, რომელიც გამოიყენებოდა, მაგალითად, მნიშვნელოვანი სატაძრო (წმინდა) გადასახადის გამოსათვლელად. იუდეაში ახ. წ. I საუკუნის დასაწყისისთვის ჩამოყალიბებული ზომებისა და წონის სისტემა, რომელსაც ზოგჯერ თალმუდურს უწოდებენ, მომდინარეობდა შემდეგი ძირითადი თანაფარდობებიდან: 1 ტალანტი = 60 მინა = 1500 წმინდა (ბიბლიური, მძიმე, ორმაგი) სიკლი (შეკელი) = 3000 უბრალო (მსუბუქი, ნახევარი) სიკლი (შეკელი). ყველა ჩამოთვლილი ერთეული წარმოადგენდა მხოლოდ სააღრიცხვო ცნებებს.

შესაძლოა, პირველ საკუთარ მონეტებს წარმოადგენს ძვ. წ. IV საუკუნეში დაწყებული (ამ დროს იუდეა იმყოფებოდა სპარსეთის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ) დრაქმების და ობოლების მიბაძვების გამოშვება ღაზაში, აშდოდში, აშკელონში, ტირეში და სიდონში. მათი დამახასიათებელი თავისებურებაა – არამეული წარწერა იეხუდი, ანუ იუდეა. თუმცა შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, ეს მონეტები იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამზადებული მონეტები მის კონტროლს დაქვემდებარებული პროვინციებისთვის (რაც საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა ანტიკურ ეპოქაში), თუ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო საკუთარი სამონეტო რეგალია.

ეჭვგარეშეა, რომ ძველ იუდეაში მონეტების დამოუკიდებელი მოჭრა დაიწყო სიმონის გამეფებიდან ცოტა ხანში, რომელიც ჰასმანური დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო (ძვ. წ. II საუკუნის შუა ხანები).

საკუთარი მონეტის მოჭრა, რომელსაც დაერქვა „პრუტი" (ან „პერუტი"), დაიწყო დაახლოებით ძვ. წ. 140 წელს და მცირე შესვენებებით იჭრებოდა ახ. წ. 95-96 წლებამდე (უფრო ზუსტი დათარიღება შეუძლებელია, ვინაიდან ამ ტიპის მონეტებზე, მცირე გამონაკლისების გარდა, გამოშვების წელი არ აღინიშნებოდა). სპილენძის პრუტებს, რომელთა წონა თავდაპირველად ეფუძნებოდა ძველბერძნულ სტანდარტებს (უთანაბრდებოდა ჰაკლს), ხოლო შემდეგ უახლოვდებოდა ძველ რომაულ სტანდარტებს, უშვებდნენ პრაქტიკულად ჰასმანური დინასტიის ყველა მეფეები, იროდიადების დინასტიის წარმომადგენლები, რომის პრეფექტები და პროკურატორები.

თუმცა ყველაზე ღირებულს ებრაელებისთვის წარმოადგენდა სიკლები (შეკელები): სააღრიცხვო მსუბუქი სიკლი დიდრაქმის (ფინიკიური სტატერის სტანდარტის) ექვივალენტური იყო, ხოლო მძიმე სიკლი – ტეტრადრაქმის (ფინიკიური დისტატერის). იუდეის ფულად სისტემაში მათი ადგილი აიხსნება ადგილობრივი წმინდა გადასახადის გადახდის რეგლამენტით, რომელიც ებრაელების ეგვიპიდან გამოსვლის დროიდან ამოიღებოდა მთელი ზრდასრული მოსახლეობიდან იერუსალიმის ტაძრის საჭიროებისთვის და რომელსაც მიეძღვნა ტრაქტატი შეკალიმი (წარმოადგენს თალმუდის ნაწილს). ამით აიხსნება პირველი დამოუკიდებელი გამოშვების საკუთარი იუდეური ვერცხლის სიკლების (შეკელების) მნიშვნელობა 66-71 წლების პირველი იუდეური აჯანყების დროს. მეორე და უკანასკნელი გამოშვება განხორციელდა ბარ-კოჰბის აჯანყების დროს (ახ. წ. 132-135 წწ.).

ბიზანტიის იმპერია. ბიზანტიის სამონეტო სისტემა დასაწყისში აგრძელებდა გვიანი რომის იმპერიის ტრადიციებს, თუმცა ანასტასიუსის რეფორმების შემდეგ (491-518 წ.წ.) სპეციფიკური ხასიათი შეიძინა. ერთ-ერთი მთავარი თავისებურება იყო ოქროსა და ბრინჯაოს (ზოგჯერ მოვერცხლილი) მონეტების გაბატონება ვერცხლის მონეტების უმნიშვნელო გამოყენების პირობებში. მიუხედავად მრავალი სპეციფიკური ნიშნებისა, ბიზანტიაში ძირითად სავაჭრო მონეტებს წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ რომის იმპერიაში გამოჩენილი ოქროს სოლიდი და ვერცხლის მილიარისიუმი. სოლიდმა შეინარჩუნა სტანდარტული მონეტის მნიშვნელობა თითქმის კონსტანტინეპოლის დაცემამდე 1453 წელს, თუმცა იმპერიის არსებობის ბოლო ასწლეულში

ოქრო, როგორც სამონეტო ლითონი, თითქმის აღარ გამოიყენებოდა. მილიარისიუმის მნიშვნელობა შემოიფარგლება IX-XI საუკუნეებით.

ბარბაროსული სახელმწიფოები და არაბეთის ხალიფატი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ტომების ადრეფეოდალური სახელმწიფოების ისტორია ისტორიულ ლიტერატურაში მიეკუთვნება შუასაუკუნეებს, ნუმიზმატიკური თვალსაზრისით მათი მონეტები ანტიკური მონეტების მემკვიდრეები არიან. პირველ მონეტებს იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც წარმოიქმნენ და გაქრნენ ხალხების დიდი გადასახლების (IV-VII საუკუნეები) შედეგად, ან ხალხებისა, რომლებმაც უშუალოდ არ განიცადეს ბერძნული ან ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენა, ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში ეწოდებათ „ბარბაროსული მიმბაძველობა". ეს, როგორც წესი, არის ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან არასრულყოფილი, უხეში შეცდომებით შესრულებული ძველბერძნული, ძველრომაული და ბიზანტიური მონეტების ასლები. ძირითადი „ბარბაროსული" მონეტებია ოქროს შილინგი და ვერცხლის დენარი (დემიე, დენარო, დინერო, დინეირო). ოქროს შილინგი – ეს არის სოლიდის გერმანული სახელწოდება, რომელიც გახდა შილინგის წინამორბედი, ხოლო ვერცხლის დენარი – ეს არის ვერცხლის სილიქვის ადგილობრივი სახელწოდება, რომლის ღირებულება გამოიხატებოდა სააღრიცხვო დენარებში. ერთიც და მეორეც იჭრებოდა მიროვინგების დროიდან (481-751 წწ.), მაგრამ გააჩნდათ მხოლოდ ლოკალური, ადგილობრივი მნიშვნელობა.

არაბეთის ხალიფატი. ისევე როგორც ევროპის ბარბაროსული სახელმწიფოების, არაბეთის ხალიფატის სამონეტო სისტემაც ქრონოლოგიურად განეკუთვნება შუასაუკუნეებს, თუმცა არაბული მონეტების ძირითადი ტიპები ახლოსაა ანტიკურებთან. ეს სამონეტო სისტემა ჩამოყალიბდა ორი თავიდან მეზობელი, შემდეგ კი დაპყრობილი იმპერიების – ბიზანტიის და სასანიდების იმპერიების ფულადი სისტემების ბაზაზე. ბიზანტიის იმპერიაში ძირითად მონეტას წარმოადგენდა ოქროს სოლიდი, ხოლო მეორეში – ვერცხლის დრაქმა, რომელიც დაახლოებით შეესაბამებოდა ძველბერძნულ დრაქმას და გვიანი პერიოდის რესპუბლიკურ დენარს. ამ ორმა, წონით თითქმის თანაბარმა (4 გრამზე ოდნავ მეტი), მაგრამ სხვადასხვა ლითონისგან დამზადებულმა მონეტებმა არაბებთან ლოკალური სახელწოდებები შეიძინეს (სოლიდი გახდა დენარი, ოქროს დენარი, ხოლო დრაქმა – დირჰემი) და წარმოადგენდნენ ხალიფატის საკუთარი მონეტების წინამორბედებს (საკუთარი დირჰემის მოჭრა დაიწყეს 692-696 წლებს შორის, ხოლო დენარის – 696 წელს). დენარი და დირჰემი ნახსენებია ყურანში, რაც გახდა დამატებითი ფაქტორი მუსულმანურ სამყაროში ამ მონეტების ფართოდ გავრცელებისათვის. ევროპაში XI-XIII საუკუნეებში დენარის მიბაძვით იჭრებოდა ესპანური და პორტუგალიური მარავედები და ასევე ესპანური დობლები.

ანტიკური მონეტები. სააღრიცხვო ფულადი ერთეულები . ველბერძნული მონეტები: ტალანტი; მინა; სტატერი და მისი ფრაქციები: ჰექტა; დრაქმა და მისი წარმოებულები: ტეტრადრაქმა; დიდრაქმა; ობოლი და მისი წარმოებულები: პენტობოლი; ტეტრაობოლი; ტრიობოლი; დიობოლი; ტრიჰემიობოლი. ჰალკი და მისი წარმოებულები: დიჰალკი; ჰემიჰალკი; ლეპტა და მისი წარმოებულები: დილეპტონი; ტრილეპტონი.

სპარსული მონეტები: დარიკი (ოქროს სტატერი); სიგლოსი (სიკლი, ვერცხლის სტატერი).

ძველი რომის ფულის ადრეული ფორმები: ეს რუდე; ეს სიგნატუმ; ეს გრავე.

რომის რესპუბლიკის მონეტები: ლიბრა – სააღრიცხვო ფულადი ერთეული; ვიქტორიატი (დრაქმა) და მისი წარმოებულები: ორმაგი ვიქტორიატი (კვადრიგატი, დიდრაქმა); ნახევარვიქტორიატი (1/2); დენარი და მისი წარმოებულები: ქვინარიუმი (1/2); სესტერციუმი (1/4); ასი და მისი წარმოებულები: დეკუსიუმი (10); კვინკუსიუმი (5); კვადრუსიუმი (4); ტრიპონდიუმი (3); დუპონდიუმი (2); დეუნქსი (11/12); დექსტანსი (10/12); დოდრანსი (9/12); ბესი (8/12); სეპტუნქსი (7/12); სემისი (6/12); კვინკუნქსი (5/12); ტრიენსი (4/12); კვადრანსი (3/12); სექსტანსი (2/12); უნცია და მისი წარმოებულები: სესუნცია (1 C); სემუნცია (1/2); კვარტუნცია (1/4).

რომის იმპერიის და ბიზანტიის მონეტები: ანტონინიანი; არგენტიუსი; სილიქვა; მილიარისიუმი; აურეუსი; სოლიდი (ნომიზმა, ბეზანტი) და მისი წარმოებულები: სემისისიუმი (სემისიუმი) (1/2); ტრემისისიუმი (ტრემისიუმი, ტრიენსი) (1/3); ფოლისიუმი; მაიორინი; ნუმია; ცენტენიონალიუმი.

ბერძნული კოლონიების, ელინისტური მონარქიების და რომის პროვინციების მონეტები: ტეტრადრაქმა: ალექსანდრინერი (ალექსანდრიული ტეტრადრაქმა); კისტოფორი (კისტოფორული ტეტრადრაქმა); ასარიუმი (ასარიონი); ლიტრა და მისი წარმოებულები: ჰემილიტრონი (1/2); ტეტრასი (1/3); ჰეკსასი (1/6); ონკია (1/12); სინდიკის მონეტები.

იუდეის და ისრაელის მონეტები: კიკარი; მანე; პერესი, ფარესი (ნახევარმინა); სიკლი (შეკელი) და მისი წარმოებულები: ნეცეფი (5/6); პიმი (4/6 = 2/3); ბეკა (3/6 = 1/2); ჰერა; სელა; ზაზი (ზუზი); მაახი (ჰერა); ისარი; პრუტა.

სხვა მონეტები: ბიატეკი; კოლხური მონეტები; კელტური მონეტები.

ვანო შუშტაკაშვილი

განვითარებული ქვეყნების საკრედიტო სისტემის ზოგადი დახასიათება

საკრედიტო სისტემა არის ფინანსურ საკრედიტო დაწესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისათვის. იგი საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებაში, რამდენადაც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა შედგება სხვადასხვა რგოლისაგან, რომლებიც ასრულებენ თითოეულისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების აკუმულაციისა და განაწილების პროცესში.

საკრედიტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფუნქციების განაწილება ობიექტურად განპირობებულია მათი საქმიანობისათვის მეთოდებისა და საშუალებების განსხვავებულობითა და კვლავწარმოების პროცესში კაპიტალის სხვადასხვა როლით.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს:

1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);
3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ცენტრალურ ბანკს გამორჩეული ადგილი უკავია საკრედიტო სისტემაში. იგი, როგორც წესი, სახელმწიფო საკუთრებაშია და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ აქვს საგანგებო ფუნქციების შესრულება.

საბანკო სექტორში შედის:

- **კომერციული ბანკები**, წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს. ისინი პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ. კომერციული ბანკების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფუნქციებს წარმოადგენენ: ანაბრების მიღება, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტება, მათ შორის ანგარიშწორების განხორციელება და სხვ. (უფრო დაწვრილებით კომერციულ ბანკებზე IX თავში).
- **შემნახველი ბანკები** (აშშ-ში ურთიერთშემნახველი ბანკები, გერმანიაში – საშემნახველო სალაროები), როგორც წესი, ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ეროვნულ ასოციაციებში ერთიანდებიან და ჩვეულებრივად სახელმწი-

ფოს მიერ კონტროლირდებიან, ხშირ შემთხვევაში მის საკუთრებას წარმოადგენენ. შემნახველი ბანკების **პასიური** ოპერაციები მოსახლეობიდან მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე ანაბრების მიღებას მოიცავს. აქტიური ოპერაციები წარმოდგენილია სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტებით, საბანკო სესხებით, სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების შეძენით. შემნახველი ბანკები ასევე საკრედიტო ბარათების გამოშვებას ახორციელებენ;

- **საინვესტიციო ბანკები** (დიდ ბრიტანეთში – საემისიო სახლები, საფრანგეთში – საქმიანი ბანკები), სპეციალიზირდებიან საემისიო-სადამფუძვნებლო ოპერაციაბზე. იმ საწარმოების ან სახელმწიფოს დავალებით, რომელთაც გრძელვადიანი დაბანკებები სჭირდებათ და აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებას ახორციელებენ. საინვესტიციო ბანკები დაბანდების მოცულობის, პირობის, ემისიის ვადის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შერჩევის განსაზღვრას, აგრეთვე მათი განთავსებისა და მეორადი მიმოქცევის ორგანიზაციის ვალდებულებებს იღებენ საკუთარ თავზე. ასეთი სახის დაწესებულებები, თავიანთ ხარჯზე შეძენისა და გაყიდვის ან ამისათვის საბანკო სინდიკატების შექმნის ორგანიზებით, აქციებისა და ობლიგაციების მყიდველზე სესხის გაცემით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შეძენის გარანტორები არიან;
- **იპოთეკური ბანკები**, ისეთი სახის დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც გრძელვადიანი კრედიტების გაცემას უძრავი ქონების (მიწა, შენობა, ნაგებობა) გირაოს ქვეშ ახორციელებენ. ამ ბანკების პასიური ოპერაციების გამოყენებაში გამოიხატება;
- **საბანკო ჰოლდინგი**, რომელიც წარმოადგენს სხვა კომპანიების აქციების პაკეტისა და სხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების მფლობულ და ამ ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების განმხორციელებელ კომპანიას. გარდა სუფთა ჰოლდინგებისა, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ ოპერაციებს ახორციელებენ, ასევე შერეული ჰოლდინგებიც არსებობენ, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში სამეურნეო საქმიანობასაც ახორციელებენ.
- **სამიწათმოქმედო ბანკები** (ძირითადად სპეციალიზაციას ახდენენ აგრარულ სექტორში);
- **სპეციალური სავაჭრო ბანკები და სხვ**.

თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფართო განვითარება ჰპოვა სპეციალურმა არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებმა, რომლებიც აკრედიტებენ მეურნეობრივი საქმიანობის განსაზღვრულ დარგებსა და სფეროებს. მათ საქმიანობაში დომინირებს ერთი ან ორი ძირითადი ოპერაცია, ამიტომ სპეციფიკური კლიენტურა ჰყავთ. თანამედროვე საკრედიტო სისტემის ამ მესამე ჯგუფს განეკუთვნება:

- **სადაზღვეო კომპანიები**, რომელთა შემოსავალი იქმნება დაზღვევის პოლისების რეალიზაციის გზით. ეს კომპანიები თავიანთ სახსრებს სამრეწველო კომპანიების აქციებში, ობლიგაციებსა და დახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში ათავსებენ. დაზღვევის კომპანიები გრძელვადიან სესხებს აძლევენ საწარმოებსა და სახელმწოფო ხელისუფლების ორგანოებს. დაზღვევის ობიექტის მიხედვით ეს კომპანიები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა. დაზღვევის კომპანიების შემოსავალი, როგორც წესი ბევრად აღემატება პოლისების მფლობელთათვის განკუთვნილ გადასახადებს;
- **საპენსიო ფონდები**, რომელსაც ძირითადად ქმნიან კერძო კომპანიები და სახელმწიფო დაწესებულებები მუშებისა და მოსამსახურეების მოხუცებულობის დროს პენსიებით უზრუნველყოფის მიზნით. კერძო საპენსიო ფონდები იქმნება მუშებისა და მოსამსახურეების, აგრეთვე მეწარმეთა ფულადი შენატანების საფუძველზე. საპენსიო ფონდები ერთმანეთისაგან განსხვავდება ორგანიზაციის, მართვისა და აქტივების სტრუქტურის მიხედვით. საპენსიო ფონდებში კაპიტალის დაგროვების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ფორმირება ძირითადად წარმოებს მეწარმეთა და მუშა-მოსამსახურეთა საწევრო შენატანებისაგან. იმის გამო, რომ საპენსიო ფონდები ძირითადად ფლობენ გრძელვადიან ფულად სახსრებს, ისინი ამ სახსრებს აბანდებენ სახელმწიფო და კერძო ფასიან ქაღალდებში;
- **ფინანსური კომპანიები**, განსაკუთრებული ტიპის საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ფუნქციონირებენ სამომხმარებლო კრედიტის სფეროში. მათ მიეკუთვნება ინსტიტუტები, რომლებიც საცალო საბითუმო ვაჭრობაში საქონლის გაყიდვას აკრედიტებენ. ამ კომპანიების ფართოდ გაშლილი ქსელი არსებობს აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში.

ფინანსური კომპანიები ორი სახისაა: საქონლის ნისიად გაყიდვის დაფინანსების და პირადი დაფინანსების სახის. ორივე შემთხვევაში კომპანია სესხებს გასცემს ერთიდან სამ წლამდე ვადით.

- **საქველმოქმედო ფონდები**. მათი განვითარება დაკავშირებული იყო მთელ რიგ მიზეზებთან. ჯერ ერთი, ქველმოქმედება მეწარმეობის ორგანული ნაწილი გახდა; მეორე, საქველმოქმედო ფონდების შექმნას პრაქტიკული მიზეზები გააჩნდა – მოსახლეობის მდიდარი ფენა გაურბოდა გადასახადების გადახდას და საკუთარი ფულადი სიმდიდრის ნაწილს გასცემდა საქველმოქმედო მიზნებისათვის. კერძო პირები და კორპორაციები საქველმოქმედო ფირმების შექმნით აფინანსებენ: უნივერსიტეტებს, სკოლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ხელოვნების, კულტურის, საეკლესიო დაწესებულებებს და სხვ.

- **საკრედიტო კავშირები**, იგივე კოოპერატივებია, რომელსაც აარსებენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე განსაკუთრებული სახის აქციების შეძენის ფორმით. მას იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის.

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში შემადგენელი რგოლების როლი სხვადასხვაა, მაგრამ საბანკო სექტორის მნიშვნელობა ძალიან დიდია და იგი საკრედიტო რესურსების მობილიზაციის მიხედვით პირველ ადგილზეა. ამ სექტორში გადამწყვეტია კომერციული ბანკები, რომლებიც უპირატესად აკრედიტებს მრეწველობასა და ვაჭრობას. განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო სისტემის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ფუნქციონირების მრავალფეროვნებაზე. მოკლედ განვიხილოთ მსოფლიო მაღალგანვითარებული ქვეყნების საბანკო სტრუქტურა.

იტალიის საბანკო სისტემა. იტალიის საბანკო სისტემა უძველესია მსოფლიოში. მრავალი ცნება და ტერმინი, რომელიც დღესაც ფართოდ გამოიყენება მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში, იტალიური წარმოშობისაა, მაგ., ,,ლომბარდი", ,,ინდოსამენტი". შუა საუკუნეების იტალიაში განვითარებული საბანკო ურთიერთობები არსებობდა. მსოფლიოს ხუთი უძველესი ბანკი იტალიაში წარმოიქმნა: ,,ბანკო და ნაპოლი" (1539 წ.), ,,ინსტიტუტო ბანკარიო სან პაოლო დი ტურინო" (1563 წ.), „ბანკო დი რიელტო" (1587 წ.), ,,ბანკო დი სანტო სპირიტ" (1605 წ.), ,,მონტე დეი პაში და სიენა" (1624 წ.). იტალიის თანამედროვე საბანკო საქმე, კონცენტრაციის პროცესის შედეგად მრავალფეროვანია და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების საბანკო საქმესთან შედარებით, მრავალი განსაკუთრებულობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიის საბანკო საქმე უძველესია მსოფლიოში, პირველი ცენტრალური ბანკი 1893 წ. შეიქმნა, თუმცა მას არ მიუღია ბანკნოტების ემისიის მონოპოლიური უფლება. ეს მოხდა შედარებით გვიან – 1926 წ.[2] ამით პირველად შეიქმნა პირობები ცენტრალური ბანკის საქმიანობის აქტიური რეგულირებისათვის.

იტალიის თანამედროვე საბანკო სისტემის ძირითადი კონტურები ჩამოყალიბდა XIX საუკუნის 20-30-იან წლებში. XX საუკუნის 30-ინი წლების მძლავრი ეკონომიკური კრიზისის დროს, მნიშვნელოვნად დაზარალდა მთლიანად საკრედიტო სისტემა, რის შედეგად ხელისუფლება იძულებული გახდა მოეხდინა საბანკო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის ნაციონალიზაცია. ამავე პერიოდში შეიქმნა საკრედიტო სისტემის ორი მნიშვნელოვანი ორგანო:

1. „სესხებისა და დაკრედიტების სამინისტროთაშორისო კომიტეტი";
2. ცენტრალური საემისიო ბანკი– „იტალიის ბანკი".[3]

1936 წლამდე იტალიის ცენტრალური ბანკი კერძო სააქციო საზოგადოება იყო. ნაციონალიზაციის შემდეგ ამ ბანკის აქციები სხვადასხვა საკრედიტო ინსტიტუტებისა და სადაზღვევო კომპანიების ხელში აღმოჩნდა. ბანკის სათავეში დგას მმართველთა ცენტრალური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის მმართველი და 12 წევრი. მმართველთა ცენტრალური საბჭო ცხოვრებაში ატარებს სამინისტროთაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილებებს. ცენტრალური ბანკის საქმიანობის კონტროლისათვის ხაზინის მინისტრთან შექმნილია სპეციალური კომისია, რომლის განკარგულებაშია სარეზერვო სამსახური.

თანამედროვე პირობებში იტალიის ცენტრალური ბანკის პოლიტიკა ცვლილებებს განიცდის ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური ტენდენციების შესაბამისად, იგი ფაქტობრივად გახ-

[2] http://www.globfin.ru/articles/banks/ithyst.htm
[3] http://www.globfin.ru/articles/banks/ithyst.htm

და ევროპის ცენტრალური ბანკის[4] ინტერესების გამტარებელი ქვეყანაში. ამასთან, ევროპის ცენტრალური ბანკის (ეცბ) ქარტიის შესაბამისად, იტალიის ცენტრალურმა ბანკმა მას (ეცბ-ს) გადასცა სავალუტო რეზერვების ნაწილი. უნდა აღინიშნოს, რომ „იტალიის ბანკის" მიერ სავალუტო რეზერვების გამოყენება შიდა საკრედიტო სისტემაში თუ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული უნდა იყოს ეცბ-სთან, რაც გათვალისწინებულია ევროპის სავალუტო კავშირის შეთანხმებით ფულადი და სავალუტო პოლიტიკის სფეროში.

რაც შეეხება კომერციულ ბანკებს, იტალიაში ფუნქციონირებს ბანკები, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ მოკლევადიანი ან მხოლოდ საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემით. განვითარებული ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, ამგვარი გამიჯვნა იტალიაში კანონმდებლობით იქნა შეტანილი 1929-1933 წ.წ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. კრიზისამდე იტალიის მრავალი ბანკი მოკლევადიანი ანაბრების საფუძველზე საშუალო და გრძელვადიან კრედიტებს იძლეოდა, რამაც კრიზისის პერიოდში უმსხვილესი გაკოტრების ტალღა გამოიწვია და სიტუაცია არ დარეგულირდა სახელმწიფო ჩარევის გარეშე. თუმცა პრაქტიკაში მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან ოპერაციებს შორის გამიჯვნა არც ისე მკაცრია. იტალიის კომერციულ ბანკებს შორის ბოლო პერიოდში შეიმჩნევა უნივერსალიზაციის ტენდენცია.

კომერციული ბანკების სისტემის თანამედროვე სტრუქტურა ძლიერ დიფერენცირებულია და მისი კლასიფიკაციისათვის გამოიყენება მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელიც *ასახვას პოულობს საბანკო სტატისტიკაში. ინსტიტუტებს შორის რომლებიც დასაქმებულნი არიან მოკლევადიანი დაკრედიტებით, გამოყოფენ შემდეგ 6 ძირითად ჯგუფს*: 1. **სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები**; 2. **ეროვნული (ნაციონალური) ინტერესების ბანკი**; 3. **არასახელმწიფო კომერციული ბანკები**; 4. **შემნახველი სალაროები. 5. სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო სალაროები**. 6. **სპეციალიზებული საკრედიტო ინსტიტუტები.**

თანამედროვე პირობებში იტალიის საბანკო სისტემა განიცდის გაფართოებასა და განვითარებას. მისთვის დამახასიათებელია საბანკო და საკრედიტო სისტემის განსახელმწიფოებრიობა (დენაციონალიზაცია), რაც თავისთავად იწვევს ბანკების სპეციალიზაციის გაღრმავებას, კომერციული ბანკების რიცხოვნების ზრდას, ოპერაციების მოცულობისა და სტრუქტურის მრავალფეროვნებას.

შვეიცარიის საბანკო სისტემა. იტალიასთან, საფრანგეთთან და ინგლისთან შედარებით, საბანკო საქმე შვეიცარიაში შედარებით მოგვიანებით განვითარდა. XIX საუკუნის დასაწყისამდე საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა კერძო პირების მიერ, რომელთა საქმიანობა ტრადიციულად დაკავშირებული იყო ვაჭრობასთან, მეწარმეობასთან, ტრანსპორტთან და რომლებმაც მხოლოდ მოგვიანებით დაიწყეს საბანკო ოპერაციების დამხმარე სახის წარმოება. ამ პრაქტიკის ერთადერთი გამონაკლისი იყო უძველესი შვეიცარიული ბანკი– ე.წ. ,,საპროცენტო კომისია", რომელიც 1755 წელს შეიქმნა, როგორც ციურიხის სახელმწიფო ბანკი. შემდეგ მისგან კერძო ინსტიტუტის სახით, წარმოიქმნა ,,ანკ ლოი ი აგ", რომელიც ამჟამადაც არსებობს უნივერსალური ბანკის სახით. ის ძირითად ყურადღებას უთმობს იპოთეკურ და სავაჭრო საბანკო ოპერაციებს. ცენტრალური ბანკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ე.წ. **კანტონალური ბანკების ანუ შვეიცარიის ოლქების ბანკების დაფუძნება.** პირველი ასეთი ბანკი ბერნში შეიქმნა 1834 წ. შემდგომ მისი მსგავსი ბანკების წარმოქმნა ყველგან დაიწყო.

შვეიცარიის საბანკო სისტემის თვისებურებაა ბანკებსა და საინვესტიციო კომპანიებზე მკაცრი კონტროლი. საბანკო სფეროს კონტროლის სისტემას აქვს სამსაფეხურიანი სტრუქტურა[5]:

1. *ფედერალური საბანკო კომისია;*
2. *ნაციონალური ბანკი;*

[4] (ინგლ. European Central Bank) — ევროკავშირისა და ევროზონის ცენტრალური ბანკი. დაფუძნდა 1998 წლის 1 ივნისს. შტაბ-ბინა მდებარეობს გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტში. მის შტატში შეყვანილია ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელი. ბანკი სრულიად დამოუკიდებელია ევროკავშირის ყველა დანარჩენ ორგანოსგან.

[5] http://www.banki-delo.ru/2011/01/Швейцария — страна банков. Швейцарская банковская система.

3. შვეიცარიის ბანკების ასოციაცია (კომიტეტი).

გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტორი, რომ შვეიცარიაში მხარს უჭერენ უნივერსალობის პრინციპს. იმ დროს, როცა მრავალ ქვეყანაში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (1929-1932 წ.წ.) შედეგად, კანონმდებლობით გამოიყო დეპოზიტური სასესხო ოპერაციები ინვესტიციურისაგან, შვეიცარიაში ცვლილებების გარეშე დარჩა საბანკო საქმიანობის უნივერსალურობის ტრადიციული პრინციპი, რომლის მსგავსი პრაქტიკულად მხოლოდ გერმანიაში თუ გამოიყენება. ის საშუალებას იძლევა კლიენტებს წარუდგინოს შეუზღუდავი საბანკო მომსახურება, ხოლო ბანკებისათვის უზრუნველყოს შემოქმედების სივრცე, კრედიტების დიფერენციალური გაცემისა და საგადასახადო ბრუნვის ყოვლისმომცველი მომსახურეობისათვის, აგრეთვე ყველა საბანკო მოთხოვნის პრაქტიკული დაკმაყოფილებისათვის ფულადი სახსრების უზარმაზარი რეზერვის შექმნით.

შვეიცარიაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება **საბანკო საიდუმლოებას**. *მისი შეუსრულებლობა ისჯება ფულადი ჯარიმით 50 000 შვეიცარიული ფრანკით, ან თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე ვადით*[6]. ამასთან კავშირში, შვეიცარიაში ფართო გავრცელება ჰპოვა **ნომერულმა ანგარიშმა**. შვეიცარიელი საბანკო ექსპერტების აზრით, ნომერული ანგარიშების ათეული წლის პრაქტიკის განმავლობაში, ანგარიშების მოცემული სახე ეხსნებოდათ მხოლოდ დადგენილი წარმოშობის პირებს და ცნობილ სახელებს, თუნდაც ისინი ბანკის მუშაკთა გარკვეული რიცხვისთვის ცნობილი ყოფილიყვნენ. ნომერული ანგარიშების პრაქტიკული გამოყენება ხორციელდება ინკოგნიტოდ, ე.ი. რიცხვითი კომბინაციის ან კოდის საშუალებით. მის მიხედვით ხდება ფულის მოხსნა და დარიცხვა ანგარიშზე. შვეიცარული გაგებით, ნომერული ანგარიში არ ითვლება ანონიმურად, ეს მხოლოდ საიდუმლოების უმაღლესი ფორმაა.

რაც შეეხება საბანკო საიდუმლოებას, შვეიცარიის ბანკირები თვლიან, რომ ის არააბსოლუტურია.მაგ.: შვეიცარიაში, განსაზღვრულ შემთხვევებში, გათვალისწინებულია სამოქალაქო, საოჯახო, მემკვიდრეობითი და საკონკურსო (ე.ი. შეჯიბრებადობის ან იურიდიული პირების ხელმოკლეობის) უფლებების საბანკო საიდუმლოება. სისხლის სამართალში ე.წ. ვალდებულებას – მისცეს ჩვენებები – წინ უსწრებს საიდუმლოების ვალდებულება. შვეიცარიის ბანკების ხელისუფლება სავალუტო და საგადასახადო დარღვევების გამოვლენისას სხვა ორგანოებთან ყველა სამართლებრივი შეთანხმების მიუხედავად, ძიებას არავითარ იურიდიულ დახმარებას არ უწევს (უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში შვეიცარიის ბანკებმა დაიწყეს ნაწილობრივი თანამშრომლობა ინტერნაციონალურ პოლიციასთან).

შვეიცარიის საბანკო სისტემა ტრადიციულად დაყოფილია **სამ ძირითად კატეგორიად**[7]**:**

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება უმსხვილები ბანკები, მათ შორის გამორჩეულია: ***ნიონ ბანკ ოფ შწიტ ზერლანდ, შწისს ბანკ ცორპორატიონ*** და ***შწისს ცრედიტ ბანკ.***

მეორე კეტეგორიაში შედიან კანტონალური, ადგილობრივი და შემნახველი ბანკები.

მესამე კატეგორიაში გაერთიანებულია კერძო ბანკები (ე.წ. სხვა ბანკები).

აშშ-ის საბანკო სისტემა. განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემებთან შედარებით აშშ-ის საბანკო სისტემა რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომ-ლებიც ვლინდება როგორც ცენტრალური, ასევე კომერციული ბანკების საქმიანობაში. აშშ-ში საბანკო საქმე წარმოიქმნა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ (1776 წ.). ამ დროიდან არსებობს საკუთრივ აშშ-ის ვალუტა– დოლარი. 1781 წ. აშშ-მა სცადა ცენტრალური ბანკის დაფუძნება– ჩრდილო-ამერიკის ბანკის, რომელმაც სულ რამდენიმე წელი იარსება. 1791 წ. შეიქმნა ახალი ბანკი– აშშ პირველი ბანკი, ინგლისური ბანკის ნიმუშის მიხედვით, რომელმაც მიიღო კონგრესის უფლებამოსილება 20 წლით. მისი ფუნქციონირების დასაწყისიდან დაიწყო გაცხარებული კამათი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლებსა და მიწათმოქმედებს და სამხრეთ შტატების წარჩინებულებს შორის. კონცესიის ვადის დასრულების შემდეგ 1811 წ. აშშ-ის პირველმა ბანკმა მოქმედება შეწყვიტა. ამისათვის მრავალი მიზეზი არსებობდა. 1812-1814 წწ. ომმა შეაჩერა კაპიტალიზმის განვითარება და გააძლიერა ცენტრალური ბანკის დაფუძნების მომხრეთა პოზიციები. მთავრობის გადაწყვეტილებით 1816 წ. შეიქმნა აშშ-ის მეორე ბანკი 20

[6] **http://www.banki-delo.ru/2011/01/Швейцария – страна банков. Швейцарская банковская система**

[7] **http://www.banki-delo.ru/2011/01/Швейцария – страна банков. Швейцарская банковская система**

წლის კონცესიით, პირველი ნაციონალური ბანკის ორგანიზაციის მსგავსად. მან ისეთივე ფუნქციები მიიღო: ფედერალური მთავრობის დაკრედიტება, სამთავრობო პოლიტიკის გატარება გადასახადების აკრეფისას, ობლიგაციების გაყიდვისას, თავისი კაპიტალის ფარგლებში ბანკნოტების ემისიისას და სხვა ბანკების მიერ ბანკნოტების გამოშვებისას, კონტროლი დეპოზიტურ ოპერაციებზე და მრეწველობისა და ვაჭრობის დაკრედიტება. ბანკი სრული გაგებით ცენტრალურ ბანკად არ ითვლებოდა, რადგან ასრულებდა კომერციული ბანკის რიგ ფუნქციებს, რის შედეგადაც მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა და 1836 წელს კონცესია არ გაგრძელდა.

ამის შემდეგ დადგა ე.წ. ***საბანკო ანარქიზმის პერიოდი,*** რომელიც სამოქალაქო ომის (1861-1865 წწ.) ბოლომდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მრავალი ბანკი გამოჩნდა, რომლებიც ბანკნოტების ემისიას ახორციელებდა. მიმოქცევაში დაგროვდა დაუბალანსებელი ფულის უზარმაზარი მასა. დიდი გავრცელება მიიღო ფულადი ნიშნების გაყალბებამ. არსებული შეფასებით 1860 წ. მიმოქცევაში არსებული თანხების ნახევარზე მეტი ყალბი აღმოჩნდა. 1861 წ. მიმოქცევაში იყო დაახლოებით 7 ათასი სხვადასხვა ბანკნოტა. ცალკეულ შტატში საბანკო საქმე თავისებურად რეგულირდებოდა. სამოქალაქო ომის პირობებში, მოიპოვა რა პოლიტიკური ძალა, არსებობისათვის ბრძოლაში გაიმარჯვა სამრეწველო კაპიტალმა. 1863 წელს მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი კანონი – ნაციონალური საბანკო აქტი, რომელმაც ბოლო მოუღო საბანკო ანარქიას.

შემდგომ ათწლეულში საბანკო საქმეში საერთოდ ძალზედ გაიზარდა კონცენტრაციის ხარისხი და მომწიფდა აუცილებლობა საბანკო სტრუქტურის სწრაფად ცვლად სინამდვილესთან შესაგუებლად. განსაკუთრებით იგრძნობოდა ცენტრალური ბანკის უქონლობა, რომელსაც შეეძლო კომერციული ბანკების სისტემური რეფინანსირების უზრუნველყოფა და ფულადი მიმოქცევის რეგულირებაში მთავრობისადმი დახმარების აღმოჩენა მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ. უმსხვილესი კრიზისი 1907-1908 წწ. აშშ ცენტრალური ბანკის შექმნის ახალი ცდების სტიმულს იძლეოდა. ხანგრძლივი სამუშაოების შემდეგ 1913 წ. გამოვიდა კანონი ცენტრალური ბანკის შექმნის შესახებ, რომელიც ცნობილია, როგორც ფედერალური სარეზერვო აქტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა **ფედერალურ სარეზერვო სისტემას (ფსს).**

სხვა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით დაგვიანებული ცენტრალური ბანკის თავისებური ორგანიზაციული სტრუქტურის დაწესებამ განსაზღვრა აშშ-ის ეკონომიკური და პოლიტიკური განსაკუთრებულობები.

ფსს ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ მრავალჯერად დაზუსტებული კანონისა და 1980 წ. მიღებული დეპოზიტური დაწესებულებებისა და მონეტარული კონტროლის (Iჩ) დარეგულირების შესახებ კანონის ზემოქმედების ქვეშ ჩამოყალიბდა. აშშ-ის ფულადი და საბანკო სისტემის ღერძს ფსს-ის მმართველთა საბჭო წარმოადგენს. საბჭოს შვიდი წევრი კონგრესის თანხმობით აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ინიშნება. მათ უფლებამოსილების ვადები 14 წლის ხანგრძლივობით უდგინდებათ, მაგრამ ამასთან, ყოველი ორი წლის შემდეგ საბჭოს ერთი წევრი იცვლება. ეს იმისათვის კეთდება, რომ საბჭოს თანმიმდევრული მოქმედების შესაძლებლობა მიეცეს, კომპეტენტური წევრები ჰყავდეს, იყოს დამოუკიდებელი და ავტონომიურობით სარგებლობდეს. საბჭოს შემადგენლობის დანიშვნას და არა არჩევას საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მმართველი პარტიის პოლიტიკისაგან გამოცალკევების მიზანი აქვს.

საბანკო პოლიტიკის საფუძვლების ფორმირებაში მმართველთა საბჭოს ორი მნიშვნელოვანი ორგანო ეხმარება: **ღია ბაზრის კომიტეტი** და **ფედერალური საკონსულტაციო საბჭო.**

აშშ საბანკო სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელობანი შემადგენელი ნაწილია – 12 ფედერალური სარეზერვო ბანკი, რომლებიც წარმოადგენენ:

ა) ცენტრალურ ბანკებს;

ბ) კვაზისაზოგადოებრივ ბანკებს;

გ) ბანკების ბანკს.

ამრიგად **აშშ-ში 12 ცენტრალური ბანკია.** აღნიშნული ამ ქვეყანაში გეოგრაფიულ მასშტაბებს, ეკონომიკურ მრავალფეროვნებას და კომერციული ბანკების დიდი რაოდენობის არსებობას განასახიერებს. სწორედ ცენტრალური ბანკების მეშვეობით ხორციელდება მმართველთა საბჭოს მიერ ძირითადი პოლიტიკური დირექტივების განხორციელება. ყველაზე მნიშვნელოვანს მათ შორის ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი წარმოადგენს.

თორმეტი ფედერალური სარეზერვო ბანკი კვაზისაზოგადოებრივს წარმოადგენს. ისინი ასახავენ კერძო საკუთრებისა და საზოგადოებრივი კონტროლის სიმბიოზს. მათი მესაკუთრეებია შესაბამისი შტატების კომერციული ბანკები. ფსს-ში შესვლისთანავე კომერციული ბანკები ვალდებული არიან თავიანთი რაიონების ფედერალური სარეზერვო სისტემის სააქციო კაპიტალში მონაწილეობის უფლება შეიძინონ. პოლიტიკის პრინციპები, რომელსაც ფედერალური სარეზერვო ბანკები ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოს – მმართველთა საბჭოს მიერ დგინდება. ამერიკული ეკონომიკის ცენტრალური ბანკები კერძო საკუთრებაში იმყოფებიან, მაგრამ ისინი სახელმწიფოს მიერ იმართება. ისინი ხელმძღვანელობენ არა მოგების მიღებისაკენ მისწრაფებით, არამედ ისეთი პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც მმართველთა საბჭოს თვალსაზრისით მთლიანობაში ეკონომიკის მდგომარეობას გააუმჯობესებს.

იაპონიის საბანკო სისტემა. იაპონიაში საბანკო საქმის განვითარება იწყება XVII საუკუნიდან, რაც განპირობებული იყო ობიექტური აუცილებლობით, მომსახურება გაეწია ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფად მზარდი დარგების განვითარებისათვის. 1617 წელს, პირველად იაპონიაში, კერძოდ კი ოსაკაში გამოშვებულ იქნა ქაღალდის ფული, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ვერცხლით. საბანკო სექტორის სწრაფი ზრდა იაპონიაში დაემთხვა *ე.წ. მეიძის ეპოქას (1868-1912 წ.წ.).* ამ პერიოდში ჩამოყალიბდა უმსხვილესი საბანკო ინსტიტუტები, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ საქმიანობის სხვადასხვა სახეობებზე. 1880 წელს შეიქმნა იოკოჰამას ვერცხლისა და ოქროს ბანკი. 1882 წელს ფუნქციონირება დაიწყო იაპონიის ცენტრალურმა ბანკმა.[8]

იაპონიის ცენტრალური ბანკი შეიქმნა 30 წლის ვადით. შემდეგ ეს ვადა გაგრძელდა კიდევ 30 წლით. ბანკს მიეცა ბანკნოტების ემისიის მონოპოლიური უფლება. ადრე არსებულ ,,ნაციონალურ ბანკებს" უნდა შეეწყვიტათ ბანკნოტების ემისია და თანდათან ამოეღოთ მიმოქცევაში არსებული ბანკნოტები. *იაპონიის ბანკების მიერ 1895 წ. გამოშვებული ბანკნოტები ვერცხლის მონეტებზე იცვლებოდა.* სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიბაძვით 1897 წ. იაპონიამ დაადგინა ოქროს სტანდარტი. ეს პირველ ყოვლისა ხელს უწყობდა იაპონიის საგარეო ვაჭრობის განვითარებას. 1917 წ, როცა აშშ-მა საბოლოოდ შეწყვიტა ბანკნოტების ოქროთი უზრუნველყოფა, იაპონიამაც მსგავსი ღონისძიებები გაატარა. 1930-1931 წ.წ. ისევ გაჩნდა იაპონიის ბანკნოტების ოქროზე გაცვლის შესაძლებლობა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (1929-1932 წ.წ.) პიკის პერიოდში იაპონიამ საბოლოოდ გააუქმა ოქროს სტანდარტი.

იაპონიის ბანკის ფუნქციები განსაზღვრულია 1942 წ. სპეციალური კანონით, რომელიც 1979 წ. რამდენადმე მოდერნიზებულ იქნა. ბოლო მოეღო ცენტრალური ბანკის უფლებამოსილებათა ვადების დანიშვნას და ამ უკანასკნელმა უვადო სტატუსი მიიღო. ბანკის ძირითადი კაპიტალი განისაზღვრა 100 მლნ იენის სიდიდით, რომლის 55% სახელმწიფოს, ხოლო 45% კერძო აქციონერებს (კერძო პირებს, საფინანსო ინსტიტუტებს, სადაზღვევო კომპანიებს) ეკუთვნოდა. აქციონერებს გარანტირებული ჰქონდათ დივიდენდი 4%-ის მოცულობით, რომელიც ბანკის მაღალი მოგების შემთხვევაში შესაძლოა გაზრდილიყო 5%-მდე. მოგების დანარჩენი ნაწილი შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

იაპონიის ბანკის ფუნქციები ძირითადად შეესაბამება სხვადასხვა ქვეყნების მსგავსი ბანკების ფუნქციებს, მაგრამ ამ ფუნქციებს ზოგიერთი განსაკუთრებულობა აქვთ. მაგ., იაპონიის ბანკს მონოპოლია აქვს ბანკნოტების ემისიაზე. ემისიის მოცულობა დგინდება ფინანსთა სამინისტროს მიერ მთავრობასთან შეთანხმებით. იაპონიის ბანკს უფლება აქვს (თუ იგი ამას საჭიროდ ჩათვლის) გამოუშვას ბანკნოტები დადგენილი ლიმიტის ზევით, რისთვისაც იგი ემისიურ პროცენტს იხდის ამ აქციების შედეგად მიღებული წლიური მოგების 3%-ის ოდენობით.

იაპონიის საბანკო სექტორში წამყვან როლს **საქალაქო ბანკები** ასრულებდნენ, რომელთა წილი საერთო ანაბრებში მუდმივად იზრდება. ეს მსხვილი ბანკები წამყვან როლს ასრულებენ დაკრედიტებაშიც, უპირატესად აკრედიტებენ სამრეწველო კონცერნებს, თანაც როგორც წესი, ყოველი ცალკეული კრედიტის სიდიდე 100 მლნ იენს აღემატება, რომელიც ზოგჯერ ბანკის საკუთარი კაპიტალის 20-30% შეადგენს. საქალაქო ბანკებზე მოდის იაპონიის ბანკების საზღვარ-

[8] http://www.globfin.ru/articles/banks/japan.htm

გარეთული ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი. იაპონიის უმსხვილეს ბანკებს შორის აღსანიშნავია: „საკურა", „ფუძი ბანკ", „მიცუბისი ბანკ", „სუმიპომო ბანკ", „დაიტე ქანგე ბანკ", „ტოკაი ბანკ". მათი შტაბ-ბინების უმეტესობა განთავსებულია ტოკიოსა და ოსაკაში.

იაპონიის საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, ცალკეული კრედიტების მაქსიმალური სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკუთარი კაპიტალის 40%-ს. იაპონიის საქალაქო ბანკები უნივერსალურად არ ითვლება.

რეგიონალურ ბანკებს საქალაქოსაგან განსხვავებით კაპიტალისა და ოპერაციების მცირე მოცულობა აქვთ. ისინი შეზღუდულია პრეფექტურების ჩარჩოებით. რეგიონული ბანკები ახორციელებენ, პირველ ყოვლისა, მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტებას და ნაწილობრივ ღებულობენ შემნახველ ანაბრებს. ისინი მონაწილეობენ საზღვარგარეთულ ოპერაციებშიც, აქვთ ფილიალები და წარმომადგენლობა საზღვარგარეთ.

ამჟამად იაპონიაში **გრძელვადიანი დაკრედიტების** სამი მსხვილი ბანკი არსებობს – ,,ინდუსტრიალ ბანკ ოფ ჯეპენ", ,,დორგ-ტერმ კრედიტ ბენკ ოფ ჯეპენ" და ,,ნიპონ კრედიტ ბენკ". ისინი დაფუძნებულ იქნა 1952 წლის სპეციალური კანონით. პირველი ორი ბანკი თავის კაპიტალს ძირითადად აბანდებს უმსხვილეს საწარმოებში. ,,ნიპონ კრედიტ ბენკ" წარმოადგენს იპოთეკურ ბანკს, რომელიც სპეციალიზებულია მცირე და საშუალო საწარმოების ოპერაციებზე.

ზემოთ განხილული ბანკების ტიპებს გარდა იაპონიაში ფუნქციონირებს ,,სხვა საფინანსო ინსტიტუტები", რომლებიც ნაწილობრივ საბანკო ფუნქციებს ახორციელებენ. საფინანსო ინსტიტუტები შეიძლება იყოს კერძო და სახელმწიფო, მრავალრიცხოვანი განყოფილებებითა და მათ გარეშე. ყველა ეს ბანკის მსგავსი ინსტიტუტებია, რომლებიც მცირე საწარმოებს, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს ლოკალურ კრედიტებს აძლევენ, ღებულობენ თავიანთი წევრების ანაბრებს და არაწევრების შემნახველ ანაბრებს.

იაპონიის საბანკო სისტემაში ასევე მნიშვნელოვანი რგოლია საკრედიტო კოოპერატიული ინსტიტუტები: საკრედიტო ასოციაციები, საკრედიტო კოოპერატივები, საკრედიტო-შრომითი კოოპერატივები.

იაპონიაში ასევე ფუნქციონირებს მრავალი საფინანსო სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც სახელმწიფო წარმოდგენილია მაღალი წილობრივი მონაწილეობით (50% და მეტი). ცნობილ სახელმწიფო ბანკებად ითვლება იაპონიის განვითარების ბანკი და იაპონიის ექსპორტ-იმპორტის ბანკი. პირველი შეიქმნა 1951 წ. იგი იძლევა გრძელვადიან კრედიტებს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის მსხვილი კაპიტალის რეორგანიზაციისას ის წამყვან როლს თამაშობს. როგორც სახელმწიფო ბანკი, იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო-მონოპოლისტურ რეგულირებაში. ექსპორტ-იმპორტის ბანკი შეიქმნა 1950 წ. მისი პირველადი ფუნქცია იყო მხოლოდ მზა სასაქონლო პროდუქციის დაფინანსება. ამჟამად იგი უფრო მეტად აფინანსებს მოწყობილობების ექსპორტს და ტექნიკურ დახმარებას, აგრეთვე გარანტიას იძლევა საგარეო ვაჭრობაში სხვადასხვა ფინანსურ ვალდებულებებზე. ნაციონალური მეწარმეები კრედიტებს ღებულობენ საექსპორტო მოწოდებაზე, ტექნიკურ მიღწევებზე, უცხოური ინვესტიციებისათვის. საზღვარგარეთულ პარტნიორებს ეძლევათ იმპორტული ბანკთაშორისი და სახელმწიფო კრედიტები. სახელმწიფო საექსპორტო კრედიტები ნაწილობრივ გაიცემა საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, რომელიც იაპონიაში ჩვეულებრივ დადგენილ განაკვეთზე უფრო დაბალია.

იაპონიაში არ არის დიდი რაოდენობის საკანონმდებლო მითითებები ბანკებისათვის და ამაში მდგომარეობს საბანკო საქმის განსაკუთრებულობა. აქ კომერციული ბანკების სისტემა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ე.წ. მიმმართველი მითითებებით ე.ი. ფინანსთა სამინისტროს ზეპირი მითითებებით, თუმცა ამ მითითებებს კანონის ძალა არ აქვთ.

ჯუმბერ ხარაიშვილი

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაცია საქართველოში

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს განსაზღვრავს *„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“,* რომელიც არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას (საქართველოს კანონი– „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი”, თბილისი, 2009 წ. 18 დეკემბერი № 2440– IIს)[9].

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობას.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად, *სახელმწიფო ბიუჯეტი* არის – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა[10].

სახელმწიფო ბიუჯეტისგან განსხვავებით დამტკიცებას (ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ) არ საჭიროებს *საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი,* რომელიც არის საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტებია:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი – აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური

[9] http://mof.ge/show–law.aspx?id=711
[10] http://mof.ge/show–law.aspx?id=711

რესპუბლიკის რესპუბლიკური და შესაბამისად მის შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებული ბიუჯეტი. ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

დ) დამტკიცებული ბიუჯეტი – შესაბამისი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი;

ე) წლიური ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შესაბამისი საბიუჯეტო წლისთვის დამტკიცებული ბიუჯეტი.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებია[11]:

ა) ყოვლისმომცველობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ბ) გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის;

გ) ანგარიშვალდებულება – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;

დ) დამოუკიდებლობა – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) ერთიანობა – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ზ) კონსოლიდირება – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. საბიუჯეტო პროცესი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

[11] http://mof.ge/show–law.aspx?id=711

ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისთვის – საქართველოს მთავრობა;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე, დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისთვის – საქართველოს პარლამენტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

ნაერთი ბიუჯეტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისთვის პასუხისმგებელია:

ა) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტისთვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტისთვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე ორგანიზაციულ კლასიფიკაციას. ორგანიზაციული კლასიფიკაცია, თავის მხრივ, მოიცავს გადასახდელებს ორგანიზაციების, პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით და განისაზღვრება ბიუჯეტით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა, საქართველოს კონტროლის პალატასთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

ასევე ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ *პროგრამული* და *კაპიტალური ბიუჯეტები:*

– *პროგრამული ბიუჯეტი* არის მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.

– *კაპიტალური ბიუჯეტი* არის საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად საქართველოში იქმნება შემდეგი ფონდები:

- სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდები. სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით.

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. თუ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

ნოდარ ხარაიშვილი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. თუ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი. მისი განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. თუ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაამტკიცოს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებული საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო ან საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგენს არა უგვიანეს ყოველი წლის 15 სექტემბრისა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს წარუდგენს არა უგვიანეს 25 სექტემბრისა.

სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის 25%-ს.

საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებულ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას (მათ შორის, მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობას);

ვ) სახელმწიფო ვალის და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ზღვრულ მოცულობას;

ზ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

თ) ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებულ მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

ი) პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;

- ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

- ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება. საქართველოს პარლამენტში წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს იხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა, პარლამენტის წევრები.

საკომიტეტო განხილვების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად წარადგენს შესაბამისი სამინისტროს მინისტრი ან მისი მოადგილე.

საკომიტეტო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ასევე საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის დასკვნებს საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 22 ოქტომბრისა უგზავნის საქართველოს მთავრობას. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე დასაგეგმის შემდგომ *სამ საბიუჯეტო წელზე* გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 5 ნოემბრისა ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს საქართველოს კონ-

ტროლის პალატის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები საქართველოს მთავრობას ეგზავნება არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 30 ნოემბრისა წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის არა უგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევისა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია ასევე შეტანილ იქნეს პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

თუ საქართველოს პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებელი კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 31 დეკემბრისა.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის დათხოვნისას საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 1 თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადებას და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის ინფორმაციის სახით წარდგენას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებას და მართვას. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;

გ) ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

დ) სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის;

ე) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა იმ ფონდებისა, რომლებსაც წლიური საბიუჯეტო კანონი ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სახით;

ვ) ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

ზ) ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსთვის დაუფარავი სახელმწიფო ვალების და მუნიციპალიტეტების მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერების თაობაზე);

თ) მხარჯავი დაწესებულებების[12] მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების აღწერას;

ი) ინფორმაციას პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

საქართველოს კონტროლის პალატა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენის დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ამ ანგარიშის თაობაზე. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი არა უგვიანეს 15 ივნისისა იღებს დადგენილებას ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

თუ საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს და პარლამენტს 1 თვეში აცნობებს თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე.

სულხან მახათაძე

ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში

ომის შემდგომი მთელი პერიოდის განმავლობაში დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობები ცდილობდნენ ყველა რეგიონისა და ტერიტორიის დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფასა და რეგიონული განსხვავებების მოხსნას ინდუსტრიულ განვითარებაში, ცხოვრებისა და დასაქმების დონეში. ტრადიციულად ხდებოდა რეგიონული პოლიტიკის დაყვანა დეპრესიულ ან ჩამორჩენილ რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის სახელმწიფოებრივ მხარდაჭერაზე, რაც პრაქტიკაში ნიშნავდა რესურსების გადაცემას დინამიკურად განვითარებადი რეგიონებიდან ნაკლებად განვითარებული რეგიონებისაკენ. თუმცა 1970-იანი წლების ბოლოს დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის მიზნები და ამოცანები იქცა სერიოზული კრიტიკის ობიექტად და მოხდა მათი გადაფასება.

1980-იანმა წლებმა შემოიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები მრეწველურად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. შეიცვალა თავად განვითარების პრობლემის ხედვა, მოხდა იმის გაცნობიერება, რომ განვითარება არ არის დაკავშირებული მხოლოდ ეკონომიკური პოტენციალის ზრდასთან და ის არ გამოიხატება მხოლოდ წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტისა თუ შემოსავლის რაოდენობრივ მაჩვენებლებში. ის მოიცავს მრავალ ხარისხობრივ მახასიათებელსა და ფაქტორს, რომლითაც განისაზღვრება პირობები, რომლებშიც ხორციელდება ეს განვითარება. სხვაგვარად აიხსნება რეგიონული განვითარების პრობლემებიც. რეგიონული უთანაბრობა დღეს განისაზღვრება არა მხოლოდ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალსა და უმუშევართა რიცხვში განსხვავებებით რეგიონების მიხედვით, არამედ გარემოს ხარისხით, ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, განათლებითა და სოციალური და ინსტიტუციური სიტუაციით, რომელშიც ფუნქციონირებს ადგილობრივი ბიზნესი. რეგიონუ-

[12] მხარჯავი დაწესებულება – ბიუჯეტის ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით პირველი თანრიგის საბიუჯეტო ორგანიზაცია.

ლი ეკონომიკა, რომელიც ეფუძნება ადგილობრივ საწარმოო პოტენციალს, დღეს საჭიროებს არა იმდენად პირდაპირ კაპიტალდაბანდებებსა და ფინანსურ სტიმულებს, რამდენადაც ეფექტიანი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური გარემოსფორმირებას. ამ კონტექსტში რეგიონების მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად მიმართულია მცირე მეწარმეობის განვითარებაზე, უნდა მოიცავდეს საქმიანობის შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებებს:

წარმოების მაღალტექნოლოგიური სახეობებისა და საინოვაციო საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განვითარების მხარდაჭერა, სამეცნიერო პარკებისა და ტექნოლოგიური ცენტრების შექმნა, რეგიონული ინოვაციური ქსელების განვითარება;

თითოეული რეგიონისათვის ტრადიციული წარმოების სახეობების მოდერნიზაციისა და იმ ფირმების ხელშეწყობა, რომლებიც დასაქმებულნი არიან შესაბამის დარგებში, მათი ფინანსური რესტრუქტურიზაციის, ახალი საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირების, პროდუქტის განვითარების სტრატეგიებისა და ბაზრების დივერსიფიკაციის გზით ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით;

მომსახურების სფეროს განვითარება კერძო სექტორის მიერ მოწოდებული ახალი საწარმოო და სამომხმარებლო მომსახურების სახეობების შექმნისა და უკვე არსებული სახეობების მოდერნიზაციისა და დივერსიფიკაციის გზით;

სამუშაო ძალის ბაზრის მოქნილობისა და დივერსიფიკაციის განვითარება, პროფესიული მომზადების სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება. სამუშაო ძალის ბაზრის მოქნილობის გაუმჯობესების მიზანს უნდა ემსახურებოდეს, აგრეთვე, საწარმოო ურთიერთობების სრულყოფა და დასაქმების მოქნილი სისტემების განვითარება;

ფიზიკური ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი და კომუნალური სფეროს საწარმოები), სამეწარმეო ინფრასტრუქტურებისა (მარკეტინგული და საკონსულტაციო მომსახურების სისტემა, კავშირი და ტელეკომუნიკაციები, ინფორმაციული ქსელები) და სოციალური ინფრასტრუქტურის (განათლების სისტემის, კულტურის სფეროსა და დასვენების ორგანიზების ჩათვლით) მოდერნიზაცია და გაფართოება;

რეგიონული და ადგილობრივი ფინანსური ბაზრების, ვენჩურული დაფინანსებისა და საინვესტიციო ფონდების სისტემის შექმნა ახალი ფირმებისა და იმ კომპანიებისათვის, რომლებიც აფართოებენ თავიანთ საქმიანობას.

რეგიონული პოლიტიკის შინაარსის შესახებ დისკუსიების მსვლელობის დროს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ განსაკუთრებით 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში, შეიქმნა მეტ-ნაკლებად ნათელი წარმოდგენა ცენტრალიზებული რეგიონული დაგეგმვისა და ადგილობრივ დონეზე განვითარებადი და ქვემოდან ზემოთ მიმავალი (მიდგომა ბოტტომ-უპ) ინიციატივების მქონე ცალკეული რეგიონების საჭიროებებზე გარკვეული საბიუჯეტო სახსრების ზემოდან ქვემოთ გამოყოფის (მიდგომა ტოპ-დოწნ) ურთიერთმომგებიანი შეთავსების აუცილებლობის შესახებ. არსებობს საშიშროება, რომ პოლიტიკა, რომლის ფორმირება და დაგეგმვა ხორციელდება მხოლოდ ცენტრიდან და რომელიც ეფუძნება სახსრების ცენტრალიზებულ გამოყოფას, ჩაახშობს ადგილობრივ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ პოტენციალს და ყურადღების გარეშე დატოვებს განვითარების შიდა საჭიროებებსა და თავისებურებებს. ამასთანავე, ზედმეტ აქცენტს რეგიონის შიდა მოთხოვნილებებსა და თავისებურებებზე და ყურადღების კონცენტრაციას ადგილობრივ ძალებზე მივყავართ ადგილობრივი პირობებისა და სტრუქტურული მაკროტენდენციების კავშირის მნიშვნელობის არასათანადოდ შეფასებამდე.

აქტიული მონაწილეობა მიზნების განსაზღვრასა და რეგიონული პოლიტიკის გატარებაში, ადგილობრივ დონეზე ჩამოყალიბებული ძირითადი ამოცანების რეალიზაციის კონტროლში, მცირე და საშუალო ბიზნესის ახალი სტრუქტურების ორგანიზაციაში გავლენას ახდენს: მეწარმეთა ასოციაციებზე, სავაჭრო პალატებზე, პროფკავშირებზე, უნივერსიტეტებსა და სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებზე, სამოქალაქო უფლებების დაცვის სხვადასხვა ჯგუფებზე, ეკოლოგიურ მოძრაობაზე.

უკანასკნელი ორი ათწლეულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგიონული პოლიტიკა ევ-

როკავშირის წევრ ქვეყნებში წარმოადგენს ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების საკითხების ჰარმონიულ გადაწყვეტას ევროკავშირის დონეზე, აგრეთვე, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ქვეყნების სამრეწველო განვითარების, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის გათვალისწინებით. ჩამოთვლილი პირობების მიხედვით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რეგიონების მცირე მეწარმეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით, ჩამოყალიბდა რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ორი მიდგომა:

ქვეყნები, სადაც რეგიონული პოლიტიკის მიმართულებები მცირე ბიზნესის რეგულირების სფეროში ხორციელდება ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება დიდი ბრიტანეთი, დანია, საბერძნეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია. ამ ქვეყნებში მხოლოდ ცენტრალური მთავრობა არის ის ორგანო, რომელიც წარმოადგენს და ნერგავს მცირე მეწარმეობის პროგრამებს. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ორგანიზაციების დიდი ნაწილი ფუნქციონირებს ადგილობრივი ორგანოების დონეზე (სასწავლო ცენტრები, საწარმოთა დახმარების სააგენტოები);

ქვეყნები, სადაცპოლიტიკა მცირე მეწარმეობის სფეროში მუშავდება თავად რეგიონებში. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ესპანეთი. ამ ქვეყნებში პოლიტიკას ამუშავებენ ხელისუფლების როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ორგანოები საერთო საკანონმდებლო სისტემის ფარგლებში.

უშუალოდ ევროკავშირის დონეზე ხორციელდება პროგრამა ურუპატერნარიატ, რომელიც მიმართულია ცალკეული რეგიონების დაბალანსებულ და დაჩქარებულ განვითარებასა და მცირე ბიზნესის პოტენციალის გაზრდაზე საერთაშორისო კოოპერაციის გაფართოებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით. ღონისძიებების მომზადებისა და გატარების მექანიზმი შემდეგია. ევროკავშირის ფარგლებში აირჩევა განვითარების ყველაზე დაბალი დონის, ჩამორჩენილი ეკონომიკური სტრუქტურისა და მაღალი უმუშევრობის მქონე რაიონი. ამ რაიონში შეირჩევა საწარმოები, რომლებსაც აქვთ პოტენციური ზრდის პერსპექტივები. მუშავდება განვითარების პროგრამები და შესაძლო საქმიანი პარტნიორებისათვის მიმზიდველი პროექტები. ინფორმაცია რეგიონის შესახებ და პროექტების კატალოგი წინადადებით თანამშრომლობის შესახებ ვრცელდება ოფიციალური არხების მეშვეობით. დაბოლოს, შერჩეულ რეგიონში ტარდება ყველა დაინტერესებული მხარის შეხვედრა. ასეთი ღონისძიებები ტარდება 1980-იანი წლების ბოლოდან (როგორც წესი, წელიწადში ორჯერ ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში). ამ ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების ხარჯების ნახევარზე მეტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ, ხოლო ხარჯების დანარჩენ ნაწილს გასწევენ ქვეყნის ადგილობრივი და ფედერალური ხელისუფლება.

1999 წლის მარტში ბერლინში შედგა ევროკავშირის ქვეყნების მეთაურთა და მთავრობათა შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა პროგრამას „დღის წესრიგი – 2000". აღნიშნული პროგრამა მიღებულ იქნა 1997 წლის ივლისში. პროგრამის მთავარ პუნქტს წარმოადგენდა მაასტრიხტის შეთანხმების შესაბამისად გატარებული ევროკავშირის ერთიანი რეგიონული პოლიტიკის შემდგომი განვითარება. ერთიანი რეგიონული პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია იმ რეგიონების განვითარებაზე, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 75%-ზე ნაკლებს შეადგენს. პოლიტიკის განხორციელებაზე ამ რეგიონებში მიმდინარე საბიუჯეტო პერიოდში (1994-1999 წწ.) გამოყოფილი იყო 96,3 მლრდ ეკიუ. 2000-2006 წლებში ამავე მიზნით იგეგმება დაახლოებით 150 მლრდ ევროს დახარჯვა. ეს სახრები მიმართული იქნება შემდეგ რეგიონებში: გერმანიის ახალი მიწები, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ავსტრიისა და შოტლანდიის მთიანი რაიონები, იტალიის სამხრეთი და ფინეთისა და შვედეთის არქტიკული რაიონები. ერთიანი რეგიონული პოლიტიკის პროგრამები რეგიონების ამ ჯგუფში ორიენტირებული იქნება, ძირითადად, ამ რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარებაზე.

თითოეულ ქვეყანაში არსებობს სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ მცირე მეწარმეობის განვითარების რეგიონულ პოლიტიკას. განვიხილოთ ეს პოლიტიკა კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე.

დიდ ბრიტანეთში მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამებს ამუშავებენ, ძირითადად,

განათლებისა და დასაქმების სამინისტრო და ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო. უშუალოდ ადგილზე მცირე ბიზნესის მხარდაჭერა შედის განვითარების იმ რეგიონული სააგენტოების ვალდებულებებში, რომლებიც ატარებენ მთავრობის რეგიონულ პოლიტიკას. ესენია:

შოტლანდიის განვითარების სააგენტო;

შოტლანდიის მთიანი და კუნძულოვანი ნაწილის განვითარების საბჭო;

უელსის განვითარების სააგენტო;

ჩრდილოეთ ირლანდიის სამრეწველო განვითარების საბჭო;

მანჩესტერის ეკონომიკური განვითარების კორპორაცია და სხვები (სულ 10 სააგენტო).

აქედან მხოლოდ პირველი სამი ფინანსდება ცენტრალური მთავრობის სახსრებიდან და საკუთარი საქმიანობის შემოსავლებიდან, დანარჩენები კი, როგორც წესი, ფინანსდება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სახსრებიდან და, იშვიათ შემთხვევაში, კერძო წყაროებიდან. ხელისფულების ადგილობრივ ორგანოებს აქვთ უფლება, თავიანთი შემოსავლის 2% დახარჯონ ეკონომიკურ განვითარებაზე. ისინი მიმართავენ ამ სახსრებს სამრეწველო წარმოების სტიმულირებაზე, მცირე საწარმოებისათვის საოფისე და საწარმოო ფართების მშენებლობაზე, უწევენ მათ საკონსულტაციო მომსახურებას. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენენ სწავლებისა და სამეწარმეო საქმიანობის საბჭოები (თრაინინგ ანდ ენტერპრისე ცოუნცილს) ბრიტანეთში და მათი ანალოგები შოტლანდიაში – მეწარმეობის განვითარების ადგილობრივი საბჭოები (ოცალ ენტერპრისე ცოუნცილს). სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ეს ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან პროფესიული სწავლებისა და დასაქმების სტიმულირების პროგრამების თავიანთ ტეროტორიაზე განხორციელებაზე. გარდა ამისა, მცირე ბიზნესის დახმარებისათვის, ადგილობრივ საბჭოებს აქვთ სპეციალური ფონდები. რეგიონულ ორგანოებთან ერთად ისინი ამუშავებენ მასშტაბური გათავისუფლებების შედეგების შემსუბუქების გეგმებს, თუ ასეთებს ჰქონდა ადგილი. ასე მოხდა, მაგალითად, წარმოების შემცირების დროს კომპანიებში „რიტისჰ ცოალ ენტერპრისე", „რიტისჰ სტეელ ინდუსტრიეს". დეპრესიულ რეგიონებში მცირე საწარმოებმა შეიძლება მიიღონ სპეციალური გრანტები დასაქმების ზრდისა თუ შენარჩუნებისათვის.

საგრანგეთში პროვინციაში ფუნქციონირებს მრეწველობის განვითარებისა და რესტრუქტურიზაციის კომისარიატები, რომლებიც მოწოდებულია, დახმარება გაუწიონ მცირე საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება კონკრეტულ რეგიონში საქმიანობის განხორციელების შესახებ. დეპარტამენტების დონეზე მცირე საწარმოების განკარგულებაში არიან სხვა სტრუქტურებიც. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს დაახლოებით 90 განვითარების კომიტეტი და სააგენტო. მსხვილმა კომპანიებმა, როგორებიცაა „სენ-გობენი", „ტომპსონი", „იუზინორ-სასილორი", შექმნეს სპეციალური განყოფილებები, რომლებიც ეხმარებიან იმ საწარმოებს სამუშაოს ორგანიზებაში, რომლებსაც თავიანთი საქმიანობა გადააქვთ პროვინციაში. ასევე მოქმედებენ მხარდაჭერის საკონსულტაციო ფონდები, რომლებიც მცირე საწარმოებს დამხარებას სთავაზობენ იმის განხილვის საფუძველზე, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი ამ საწარმოს მუშაობა მოცემულ ტერიტორიაზე. რეგიონის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ასეთმა ფონდმა შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ბაზრის კონიუნქტურის შესწავლაში. მცირე საწარმოსათვის შეიძლება არსებობდეს მრავალი მოტივი იმისათვის, რომ მან გადაიტანოს თავისი საქმიანობა პარიზის რეგიონიდან პროვინციაში. წარმოების რენტაბელობის ზრდის ლოგიკა მოითხოვს დანახარჯების მინიმუმამდე შემცირებას, რასაც შედეგად მოჰყვება საწარმოების მიერ საქმიანობის ოპტიმალური ტერიტორიის ძიება (ტერიტორიის, სადაც დანახარჯები ყველაზე მცირეა). ზოგჯერ საწარმოს ხელმძღვანელობა წყვეტს, რომ კომპანია „შემჭდროვებულია" და მისი განვითარება ფერხდება. ასეთი საწარმოები მიმართავენ დეცენტრალიზაციას, როდესაც გადააქვთ თავიანთი საქმიანობა პერიფერიაში. ამით მიიღწევა ეკონომია კაპიტალდაბანდებებში, კერძოდ, უძრავ ქონებაში, ნაკლები ფული იხარჯება ფართების იჯარაზე, მომუშავეთა ხელფასებზე. მომუშავეების ხელფასი საგრძნობლად უფრო მაღალია ცენტრალურ რეგიონებში (პროვინციებთან შედარებით). თუ მთლიანობაში საფრანგეთის ხელფასის ინდექსს მივიჩნევთ 100-დ, მაშინ ილ-დე-ფრანსეში ეს მაჩვენებელი შეადგენს 123-ს, პროვინციაში რონა-ალპები – 98-ს, პროვინციაში პუატუ-შარანტა და ქვემო ნორმანდიაში – 86-ს. ხშირად ადგილობრივი ხელისუფლება,

რომელიც დაინტერესებულია მცირე ბიზნესის მოზიდვაში, ამცირებს უძრავი ქონების ფასებს, რაც წარმოების განლაგებას მოცემულ რეგიონში კიდევ უფრო მეტად მიმზიდველს ხდის. მიწის გადასახადის ხარჯი და მშენებლობის ღირებულება აქ შეიძლება იყოს 5-6-ჯერ უფრო დაბალი პარიზთან შედარებით.

2002 წელს ჩატარდა 9 ათასი საწარმოს კვლევა, სადაც დასაქმებულთა რიცხვი სულ მცირე 10 ადამიანს შეადგენდა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საწარმოების იმ დანახარჯების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებული იყო პროვინციაში გადასვლასთან. კვლევამ აჩვენა, რომ შემთხვევების 61%-ში გადასვლის ოპერაციის ღირებულება არ აღემატებოდა 6 ათას ევროს. ამასთანავე, ამ ტიპის დანახარჯის ანაზღაურებისათვის სახელმწიფო გამოყოფდა 15 ათას ევრომდე.

უფრო სრულ წარმოდგენას მცირე საწარმოების როლის შესახებ ტერიტორიულ ეკონომიკურ განვითარებაში გვიქმნის ამ საწარმოების მთლიანად სამეურნეო საქმიანობაში შეტანილი წვლილის ანალიზი. თანამედროვე სამრეწველო რევოლუციის პირობებში მრეწველურად ნაკლებად განვითარებული რაიონები, სადაც არსებობდა მცირე საწარმოების შედარებით განვითარებული სისტემა, აღმოჩნდნენ უფრო მომგებიან მდგომარეობაში, ვიდრე რაიონები განვითარებული მსხვილი წარმოებით. მცირე საწარმოების როლი განსაკუთრებით არსებითია სამხრეთის სამრეწველო განვითარებაში. 80-იანი წლების შუაში სამხრეთის ტერიტორიები გაერთიანდნენ ექვს რაიონში: ცენტრი, ლუარას რაიონი, პუატუ-შარანტა, აკვიტანია, რონა-ალპები და ლანგედოკ-რუსილიონი. ამასთანავე, თუ ქვეყნის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში უმუშევრობის ზრდა აღემატებოდა 18%-ს, ჩამოთვლილ რაიონებში მან შეადგინა მხოლოდ 8%. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში საფრანგეთში გავრცელდა ასეთი მოვლენა: მრავალი სპეციალისტი (განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მქონე) მიისწრაფვოდა პროვინციაში, რათა იქ აეწყო კარიერა. ასე, პროვანსი-ალპები-ლაჟვარდოვანი ნაპირის რაიონში უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტები შეადგენენ დასაქმებულთა 30%-ს, პროვინციაში სამხრეთ პირენეები – 28%-ს, მაშინ როდესაც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ისინი შეადგენენ დაახლოებით 12%-ს.

იტალიაში მცირე მეწარმეობის რეგიონული განვითარება ხორციელდებოდა ორიგინალური სისტემით. იტალიის სამრეწველო და რეგიონული განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს 70-90-იან წლებში წარმოადგენდა გაერთიანებული ტერიტორიულად ადგილობრივი სამეწარმეო ქსელების შექმნა მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებს შორის კოოპერაციული კავშირის საფუძველზე. იტალიის კანონმდებლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ გაერთიანებებს აქვთ შემდეგი საერთო ტერმინი – სამრეწველო უბნები. მათი მეშვეობით ცხოვრებას დაუბრუნდა მრავალი მცირე ქალაქი და სოფელი, რომლებიც ადრე ფუნქციონირებდნენ, როგორც ხელობის ცენტრები, ხოლო შემდეგ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შედეგად, შეწყიტეს განვითარება და ჩარმორჩნენ .

მცირე მეწარმეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა 90-იან წლებში და რომელმაც შეინარჩუნა თავისი მიმართულება XXI საუკუნეშიც, ემსახურება ერთ სტრატეგიულ მიზანს – ეროვნული ეკონომიკების სტრუქტურულ გარდაქმნასა და ფუნქციონირების ახალი პირობების მიმართ ცალკეული რეგიონების დაბალანსებულ და სოციალურად მაქსიმალურად უმტკივნეულო მორგებას.

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა

ფურიეს მწკრივის განშლადობა უოლშის სისტემით

უოლშის სისტემა არის ორთონორმირებულ ფუნქციათა სისტემა, რომელთაც ფართო გამოყენება აქვთ პრაქტიკაში. არსებობს უოლშის ფუნქციათა სისტემის სამი ძირითადი სახის განმარტება. განსაზღვრება 1. უოლშის ფუნქცია არის რადემახერის ფუნქციის წარმოებული, ხოლო უოლშის ფუნქციათა სიმრავლე, ეწოდება რადემახერის ფუნქციათა ყველა შესაძლო წარმოებულთა ერთობლიობას.

განსაზღვრება 2. დავუშვათ $\omega_0(x) \equiv 1.$ ყოველი

$$n = n_1 2^0 + n_2 2^1 + \cdots + n_m 2^{m-1} \quad , (1)$$

სადაც n∈N_0, უოლშის ფუნქციას აქვს სახე

$$\omega_n(x) = \prod_{k=0}^{m-1} (r_k(x))^{n_k+1} = r_0^{n_1}(x) r_1^{n_2}(x) \cdot \cdots \cdot r_{m-1}^{n_m}(x) \quad . (2)$$

თუ ყოველ ნატურალურ რიცხვს შეუსაბამებთ ორობით სისტემას (1) ტოლობა ჯგუფდება პაკეტებად. იმ რიცხვთა სიმრავლეს, რომელიც მოთავსებულია 2^m-დან , -ის ჩათვლით m-ური პაკეტი ეწოდება და აღინიშნება $]m[$-ით.

თუ (1) ტოლობაში დავტოვებთ არანულოვან შესაკრებებს, მაშინ მივიღებთ გაშლას $n = 2^{\varepsilon_1} + 2^{\varepsilon_2} + \cdots + 2^{\varepsilon_v}$,

სადაც $n \in]m-1[$ და $\varepsilon_1 < \varepsilon_2 < \cdots < \varepsilon_v = m-1$. მაშინ უოლში-პელის ფუნქცია, როცა $n \neq 0$ განისაზღვრება როგორც რადემახერის სხვადასხვა ფუნქციათა წარმოებული:

$$\omega_n(x) = \prod_{k=1}^{v} (r_{\varepsilon_k}(x))^{\square} \quad .$$

უოლში-პელის ფუნქციის შემდეგი ინდუქციური განმარტება (2) ტოლობის ტოლფასია.

განსაზღვრება 3. დავუშვათ , რომ $\omega_0(x) \equiv 1.$ თუ $n = 2^m + k$, სადაც $k < 2^m$ და დავუშვათ, რომ

$\omega_n(x) = \omega_{2^m}(x)\omega_k(x)$,

მაშინ უოლში-პელის ფუნქცია ემთხვევა რადემახის ფუნქციას:

$$\omega_1(x) = r_0(x), \qquad \omega_2(x) = r_1(x), \ldots, \qquad \omega_{2^n}(x) = r_n(x), \ldots.$$

თუ, მოცემულ სისტემაში ავაგებთ ფურიეს მწკრივს, მაშინ სამართლიანია შემდეგი თეორემები.

თეორემა 1. ვთქვათ $\Phi(x) = x\varphi(x)$, სადაც $\varphi(x)$- არაკლებადი ფუნქციაა შუალედში, $\varphi(0) = 1$ და აკმაყოფილებს პირობას

$$\varphi(x) = o(\sqrt{\log x}), \text{ როცა } x \to \infty.$$

მაშინ არსებობს ისეთი ფუნქცია $f \in \Phi(L)$, რომლის ფურიე- უოლშის მწკრივი განშლადია შუალედზე.

თეორემა 2. თუ (λ_n) დადებით რიცხვთა, ზრდადი მიმდევრობა აკმაყოფილებს პირობას

$$(\lambda_n) = o\left(\sqrt{\log n}\right), \text{ როცა } n \to \infty ,$$

მაშინ არსებობს $f \in L(0,1)$ ისეთი, რომ

$$\overline{\lim_{n\to\infty}} \frac{|S_n(f,x)|}{\lambda_n} = \infty ,$$

ნებისმიერი $x \in [0,1)$- სთვის.

თეორემა 3. ვთქვათ $\rho(k)$ არაკლებადი დადებით რიცხვთა მიმევრობა აკმაყოფილებს პირობას:

$$\sum_{k=1}^{\infty} \frac{1}{k\rho(k)} = \infty.$$

მაშინ არსებობს $\{a_k\}$ კოეფიციენტთა მიმდევრობა და ნატურალურ $\sigma(k)$ მწკრივის გადანაცვლება ისეთი, რომ

$$\sum_{k=1}^{\infty} a_k^2 \rho(k) < \infty ,$$

მაგრამ მისი ფურიე- უოლშის გადანაცვლებული მწკრივი $\sum_{k=1}^{\infty} a_{\sigma(k)} \psi_{\sigma(k)}(x)$ განშლადია ნებისმიერი $x \in [0,1)$- სთვის.

ლიტერატურა

1. С . В. Бочкарев всюду расходящиеся ряды фурье по системе Уолша и мулътипликативным системам. УМН. 2004. том 59 1(355), 103-124
2. М. С. Беспалов В. А. Скляренко Функции Уолша и их приложения Владимир 2012

ნორჩი ათინათელები

მერი ბერაძე



ინტერვიუ ონერ ძაძუასთან

მე ვარ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ "ათინათის", ნორჩი ათინათელი, თბილისის №146 სკოლის მოსწავლე მერი ბერაძე.

გთხოვთ გამაცანით თქვენი პიროვნება.

მე ვარ ონერი ძაძუა, ადამიანი, რომელიც მუდმივად არი სახლის ძიებაში და შრომობს დაუღალავად.

როგორი ადამიანი გინდათ რომ იყოთ ცხოვრებაში?

მინდა ვიყო მართალი ადამიანი, რომ პირველ რიგში ადამიანებს დავამახსოვრდე ჩემს მიერ გაკეთებული კეთილი საქმით.

როცა პატარა იყავით, რა გინდოდათ რომ გამოსულიყავით?

ბავშვობაში ყველაზე მეტად მინდოდა რომ ვყოფილიყავი იურისტი.

რის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება?

ის, რის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია არის ჩემი ოჯახი და მეგობრები.

რა პროგნოზები გაგაჩნიათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით?

მე მეჯერა, რომ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს და საქართველო გაბრწყინდება.

რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?

ყველაზე მეტად ადამიანში ვაფასებ სიკეთეს და ერთგულებას.

ცხოვრებაში რისი სურვილი გაქვთ, რაგინდათ რომ გქონდეთ?

მინდა მქონდეს საკუთარი სახლი, სადაც ჩემი ხელით გავაკეთებ ლამაზ ბაღს.ასევე მინდა, რომ მე, ჩემი ოჯახი და ჩემი საყვარელი ადამიანები ვიყოთ ჯანმრთელნი და ბედნიერნი.

რა უნდა ახსოვდეს თითოეულ ადამიანს, ანუ თქვენ?

რომ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი და მოვასწრო ყველაფერი.

თქვენი პიროვნება რომელი ზღაპრის გმირს შეგიძლიათ მიასმგავსოთ?

არ დავფიქრებულვარ და არც მახსენდებაკონკრეტულად რომელიმე გმირი, ალბათ ნებისმიერი ზღაპრის კეთილი პერსონაჟი.

თქვენი აზრით გამარჯვება რის გარეშე არ არესებობს?

ბრძოლის გარეშე არ არსებობს გამარჯვება.

რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?

იუმორის გრძნობას

როდის გავიწყდებათ, რომ დაღლილი არა ხართ, როცა გონებრივად მუშაობთ, თუ როდესაც ფიზიკურად ასრულებთ რაიმე სამუშაოს?

უფრო გონებრივი მუშაობისას. თუ გადაღლილივარ, ან რამის გამო ყურადღება მაქვს გაფანტული, ელემენტარული რაღაცეები: ტელეფონი, მანქანის ან სახლის გასაღები შეიძლება დამავიწყდეს.

ნიჭი რომელსაც გინდათ რომ ფლობდეთ?

ალბათ გარკვეული დოზით ყველა ადამიანში დევს ყველა სახის ნიჭი. ვერ გეტყვით, რომ რაიმე განსაკუთრებული ნიჭით გამოვირჩევი, მაგრამ ალბათ თუ ძალიან მოვინდომებ რამე გამომივა. შეუძლებელი ამ ქვეყნად არაფერია, თუმცა ყველაზე კარგად რა თქმა უნდა ის გამომდის, რაც ყველაზე მეტად მიყვარს და რაზეც ბევრს ვმუშაობ.

როგორ ფიქრობთ, თქვენში რა თვისება არის ყველაზეკარგი?

მომავლის რწმენა.

როგორც ვიცით თქვენ წელს გახდით სამოცი წლის, ინფორმაცია ჟურნალში არ გამოქვეყნდა?

დიახ, ჟურნალ ათინათში დაიბეჭდა ბატონ სიმონ ზაქარაიას წერილი: აი, რას წერს იგი:

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის კარგად ცნობილ მეცნიერს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, 40-მდე სამეცნიერო შრომისა და რამდენიმე გამოგონების ავტორს, სოხუმის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორს, უდაოდ მისაბაძ და უღალატო მეგობარს ბატონ ონერ ლეონტის ძაძუას.

ბატონი ო. ძაძუა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ტრაგიკული კუთხიდან – აფხაზეთიდანაა, იგი დაიბადა 1955 წელს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. ისტორიული და არქეოლოგიური მასალების სიმრავლე უდაოს ხდის, რომ ოტობაია სხვა ზღვის სანაპირო სოფლებთან ერთად, როგორიცაა ანაკლია, ფიჩორი, გაგიდა, გუდავა (ზიგანეოსი) და სხვა წარმოადგენს უძველესი იმ კოლხური ცივილიზაციის ორგანულ ნაწილს, რომელსაც ბერძნული და რომაული მეცნიერული თუ მითოლოგიური წყაროები უხვად და დიდი სიამაყით იხსენებენ თავის ერისა და ქვეყნის ისტორიასთან ერთად.

სოფელი ოტობაია განთავსებულია საკმაოდ დიდ სივრცეზე, იგი მდებარეობს ენგურის დინების მარჯვენა სანაპიროზე, რაც ქმნის მეტად მშვენიერს, რბილ სუბტროპიკულ კლიმატს. აქ უძვლესი დროიდან ხარობს ციტრუსოვნები, ფეიხოა, იაპონური ზღმარტლი და სხვა ზომიერი კლიმატის ხეხილოვნები და ბოსტნეული. ოტობაია მაინც გამორჩეულად თხილის ქვეყანაა, რომლის ხარიხსი მსოფლიო სტანდარტისაა.

პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადი) ვავილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 3 წლის განმავლობაში მუშაობამ მომიწია ოტობაიას ახალჩამოყალიბებულ ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის ჯერ დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი დირექტორად. ეს იყო გასული საუკუნის 70-იანი წლები, მაშინ ონერი და –მისი და-ძმა სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ბატონმა ლეონტი ძაძუამ და ქალბატონმა თინა ბენდელიანმა, როგორც სოფელ ოტობაიის მოსახლეობის მტკიცე ტრადიციის მქონე ოჯახმა ხუთი შვილი აღუზარდეს სამშობლოს (იყო 7-8 და 10 შვილიანი ოკჯახები), ბატონი

ლეონტი დიდებული ვაჟკაცი, ჩვენთან აგრონომად მუშაობდა. იყო უნაკლო, სპეტაკი და საქმის მცოდნე მეგობარი, გახლფათ ამიტომაც ვმეგობრობდით კიდევაც მასთან.

ლეონტი ძაძუამ აბსუა, ურდო ტომების მიერ სოფლის ოკუპაციას მის აოხრებას, ათასობით მოსახლეობის და ახლობლების გაჟლეტვის, გადარჩენილი ოჯახების გახიზვნას ვერ გაუძლო და დაიღუპა. ქალბატონი თინა დღესაც ოკუპირებულ ოტობაიაშია და თავის ერთ ვაჟკაცთან - გურამისთან ერთად ყურადღებას არ აკლებს ღირსეული მეუღლის საფლავსა და გადარჩენილ ოჯახს.

სოფელი ოტობაია, სადაც 1000 (ათასი) კომლზე მეტი ცხოვრობდა, მუდამ ორი საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა, ამიტომ მოსწავლე ახალგაზრდობის სიმრავლით გამოირჩეოდა.

სწორედ ამ მშობლიურ სოფელში დაამთავრეს საშუალო სკოლა ონერიმ და მისმა და-ძმებმა.

1973-77 წწ. ო. ძაძუა სწავლობდა და წარმატებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტი..

მან, როგორც მოწესრიგებულმა ახალგაზრდამ, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1978-1979 წწ. სამხედრო სავალდებულო სასმსახურ გაიარა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1979-84 წ.წ. ო. ძაძუა ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის თანამშრომელია, ხოლო 1984-89 წწ. იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი.

1991 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იმდროინდელმა მოსკოვის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა მას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ონერი ძაძუა მონაწილეა მრავალი საკავშირო გამოფენის მოსკოვში, მისი ერთ-ერთი გამოგონება დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

1979-1991 წლებში იყო ზემოხენებული საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 1992 წლიდან, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

1994-96 წლებში ო. ძაძუას ნიშნავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განყოფილების უფროსად.

2008-2010 წ.წ. ონერ ძაძუა გადაჰყავთ სააქციო საზოგადოება „ქართლი გაზი“-ს გენერალურ დირექტორად.

2010 წლიდან ონერი ძაძუა, სქართველოში მოქმედი შპს „საქართველოს ნერგები“-ს ჯერ კონსულტანტი, ხოლო შემდგომ მთავარი სპეციალისტია.

დიდი სიამოვნებით მინდა ავღნიშნო ის ჭეშმარიტი ფაქტი, რომ ბ-ნ ონერი ძაძუა არის დაუზარელი, კვალიფიციური და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, როელიც მუდამ მოწოდების სიმაღლეზეა.

2014 წლიდან იგი არჩეულია „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

ჰყავს მეუღლე – ლირა პატარაია, იგი მედიცინის მუშაკია, აფხაზეთის ომის მონაწილე, ვეტერანი, ქალიშვილი სოფიკო ძაძუა, პროფესიით იურისტია, სიძე გიორგი ივანიშვილი თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ნაკრების წევრი, რამდენიმე საჯარო სკოლისა და თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდის მწვრთნელია. ოჯახის გამახარებელი – ონერის შვილიშვილი დაჩი ივანიშვილი, მალე 2 წლის გახდება.

ონერ ძაძუას, მისი მეგობრები და თანამოაზრენი ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, როგორც მეცნიერებაში ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიურად მუშაობას და რაც მთავარია თავისი კუთხე- მამულში აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებას.

თქვენ თვითონ თუ დაგიწერიათ რაიმე სტატია?

მე მეცნიერი გახლავართ, უამრავი სამეცნიერო ნაშრომები მაქვს დაბეჭდილი და გამოქვეყნებული. ახლახან დავწერე მამა პავლეზე, რომელსაც მოგახსენებთ:

ჩემი პირველი შეხვედრა მამა პავლესთან, მისი ძალისხმევით გახსნილ მცირე ეკლესიაში მოხდა, მანამდე ასეთი რუდუნებით და სითბოთი განმსჭვალული წირვ-ლოცვა მე არ მინახავს. შესანიშნავი ქართული საგალობლები, რომელსაც რამდენიმე ადამიანი ასრულებდა ისე ორგანულად ჯდებოდა ლოცვაში თავი სამოთხეში გეგონებოდათ მამაოს წირვას მედავითნის ლოცვა ენაცვლებოდა, მერე ისევ საგალობლები და...სულგანაბული ვუსმენდი და მიხაროდა, რომ მეც ამ ამაღლებული ზეიმის ნაწილი ვიყავი, წირვის შემდეგ ვიკითხე რომელი ქრისტიანული დღესასწაულია მეთქი დღეს და ახალგაზრდა სტიქაროსანმა მორიდებული ღიმილით მიპასუხა კვირაო. აღმოჩნდა, რომ ღვთისმშობლის სახელობის ქართული ეკლესია ტორონტოში მისი წინამძღვრის თაოსნობით ყოველკვირეულად აღასრულებს წირვას, ყოველ შაბათს ლოცვებს, ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს საეკლესიო მსახურებას. აღარაფერს ვამბობ ქრისტიანული დღესასწაულების დროს ჩატარებულ მსახურებაზე. ბევრად უფრო დიდი ქართული დიასპორის მქონე ქვეყანაში ვერ ნახავთ ქართველ ბავშვებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიბადნენ და ასეთი გულმოდგინებით ღებულობენ ზიარებას, გალობენ ქართულ საგალობლებს და რაც მთავარია სწავლობენ ისევ და ისევ მამაო პავლეს თაოსნობით შექმნილ საკვირაო სკოლაში. დიდი მადლობა ამ ადამიანს იმ უსაზღვრო სიყვარულისათვის, რაც მან კანადის ქართველებს გვაჩუქა, რითაც გაგვაერთიანა და ერთ მუშტად შეგვკრა დაქსაქსული და ერთმანეთზე დამდურებული ემიგრანტები. მადლობა იმისათვის, რომ თავისი წვრილშვილი და მეუღლე საქართველოში ყავდა და ჩვენ აქ გვიწევდა სულიერ მამობას და მეგობრობას.

ყველაფერს თავისი დრო აქვს, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, სულ ცოტა ხანში საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით მამაო პავლე საქართველოში მიემგზავრება, ალბათ უფრო საჭირო და საპატიო მისიის შესასრულებლად, აქაც გამოჩნდა მისი ჩვენდამი სიყვარული და მზრუნველობა, მრევლს თავის მაგივრად ადგილზე აღუზარდა სულიერი მწყემსი, რომელიც იმედია კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებას.

დასაწყისი და დასასრული მეთქი ვწერდი, არა, დეკანოზი პავლეს საქართველოში გამგზავრება ნამდვილად არაა მისი აქაური საქმეების დასასრული, რადგან კელაპტარი მისგან დანთებული, უკვე ნამდვილად აღარ ჩაქრება, ვიდრე კანადაში ერთი ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი მაინც დარჩება.

იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეჯავას?

ვიცნობდი, როგორც მსოფლიო მოგზაურს, ქართველ ჩოხოსანს.

რას იტყვით თქვენ სიძეზე?

სიძეზე? სიძე ჩემი შვილია, ასეთმა ახალგაზრდებმა უნდა იმრავლონ საქართველოში. მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. ერთი დღეც რომ არ ვნახო მენატრება

რას იტყვით თქვენს შვილიშვილზე დაჩიზე?

დაჩი უცნაური ბავშვია, ნიჭიერია და ზომაზე მეტად მოაზროვნე. მისი უცნაური საქციელი ხშირად დასაფიქრებელია, ვფიქრობ დაჩი ნიჭიერ ახალგაზრდად უნდა ჩამოყალიბდეს.

დაჩის ბებია ზრდის თუ დედა?

ჩემი შვილი იურისტია ქალბატონი სოფიკო, ამოტომ დაჩის ბებია ზრდის. სხვათაშორის არ ჩხუბობენ ბებია და შვილიშვილი, მეგობრები არიან

როგორი პიროვნება იყო ბატონი ჯუმბერი?

განათლებული, კარგის პორტსმენი, ერის სიამაყე, ქართული ტრადიციების მატარებელი.

გაქვთ თუ არა სურვილი, რომ გახდეთ მისსივე დაარსებულია კადემიის წევრი?

ჩემთვის დიდი პატივი იქნება ვიყო ჯუმბერ ლეჟავას მიერ დაარსებული აკადემიის წევრი.

რას უსურვებდით მომავალ თაობას?

მომავალ თაობას ვუსურვებდი ეცხოვრათ ერთიან, გაბრწყინებულ საქართველოში.

ნანა სხირტლაძე
რუსთავის 11-ე საჯარო სკოლის მოსწავლე

ინტერვიუ მხატვარ ნიკო ხერკელაძესთან

ხელოვნების სახესხვაობის დარგებიდან, რომელია ყველაზე ხანდაზმული?

სახვითი ხელოვნებაა ყველაზე ძველი, მრავალი საუკუნეების წინ, მაშინ როცა ადამიანებმა მეტყველება არ იცოდნენ. გამოქვაბულის კედლებზე ქმნიდნენ ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებებს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ის რომ, ეს მაშინდელი გრაფიკა იყო ბევრი იმ დროის, პირველყოფილ მხატვართა ნამუშევრები დღესაც საინტერესო სანახაობრივ ინტერესს იწვევს.

– **ხელოვნებაში, ან ხელოვანთა საზოგადოებაში, უმთავრესი პრიორიტეტი, რა ნიშან-თვისებებს მიენიჭება?**

– ხელოვნებაში, და საერთდ ხელოვანთათვის ნიჭი, უპირველესად უფლისაგან ბოძებულია, ხშირად ჯილდოდ და ხშირად სასჯელადაც, სადაც და ვისთანაც მაღალი ნიჭიერებაა, უფლისაგან ნიშანდებული იქ მაღალი შრომისმოყვარეობაცაა. სწორედ ასეა, როცა პიროვნებას მაღალი ნიჭიერება დაჰყვება, უფალი ამოუწურავ შრომისუნარიანობასაც დაანათლავს ხოლმე.

– **რა არის ნიჭის თვითმყოფადობა, როგორი ახსნა აქვს ამას?**

– აქ პასუხი მოკლე და ამომწურავია, ნიჭი არის ის რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისთავს ჰგავს, და არავის არა ჰგავს სხვას.

– **მაინც რა არის ხელოვნება და მისი დანიშნულება?**

– ხელოვნება კაცობრიობის ისტორიაში, ტრადიციული, ეროვნული, სიმბოლურად არსებული, ემოციური მეხსიერებაა.

– **ხელოვნებას უნდა ახასიათებდეს თუ არა ეროვნული ნიშან-თვისებები?**

– ეს ძალზედ აუცილებელი მოვლენაა მსოფლო შემეცნების მოვლენებაში, მტკიცედ დამკვიდრებულია აზრი, მხატვრობაში ეროვნულობის წარმოსაჩენად. მაგ: იტალიური მხატვრობა, ფრანგული მხატვრობა, გერმანული მხატვრობა, ესპანური მხატვრობა და სხვა ასევეა მწერლობაშიც, მისი ნიშან-თვისება ყოველთვის იმ შინაარსის მატარებელია, სადაც იშვა მწერალი, ჩვენს სამშობლოს აქვს უდიდესი ისტორიული განძი, ქართული მწერლობისა. ასევეა სახვით და მთელ რიგ ხელოვნების დარგებში. რასაც ქართული მხატვრობა ჰქვია, წეღან ნიჭიერებაზე ვისაუბრეთ, რომელიც მხოლოდ თავისთავს ჰგავს, ქართული მხატვრობაც მხოლოდ თავის თავს უნდა ჰგავდეს და არა. სხვა ეროვნების მხატვრობას.

– **რა არის ხელოვნების უმთავრესი მისია მოვალეობა?**

– აქაც ისევ ნიჭთან გვაქვს საქმე, ნიჭი არ მოასვენებს (ხელოვანს) მხატვარს, თავის მისიას აუცილებლად შეასრულებინებს, მხატვარს გამუდმებით უნდა ელოდებოდეს პალტრა და ფუნჯები. ამიტომ მას უფლება არა აქვს, უმიზნოდ დაკარგოს დრო. პალიტრა მხატვრისა, ქალივითაა, სულ ფერაობა უნდა, თუ ხშირად არ მოეფერები გაბუტვა იცის. მერე შერიგება ძნელდება.

– **როგორ გამოხატავთ, თქვენს დამოკიდებულებას ფერთან ანუ საღებავებთან?**

– ქართველი ხალხის ნათქვამია „ფერი ფერსაო მადლი ღმერთსაო. ე.ი. ქართველი ადამიანი ფერით აზროვნებს, ყველა-ფერია ან არა ფერია, ადამიანების თვისებაა, ვინც უყვართ მათთან ურთიერთობა არა ბეზრდებათ, არც იღლებიან და მუდმივ ენერგიით არიან დამუხტულნი. ასეა მხატვრობაშიც ხატვის პროცესში, ვინც მალე იღლება ის ნიჭიერებაშიც მოიკოჭლებს.

– **როგორი შეხედულება აქვს მხატვარს, მის გარშემო სამყაროსთან?**

– მხატვარი, თავის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, თავის გრძნობათა ქურაში გაატარებს, გაანალიზებს, ჩამოაყალიბებს, და შემდეგ ამ ნაზავს, ტილოზე გადაიტანს და მაყურებელს სთავაზობს.

– რა არის მხატვრისათვის საგამოფენო დარბაზი?

– მხატვრებისათვის, საგამოფენო დარბაზები არის სცენა, სადაც თავიანთი ნიჭიერება მაყურებელს უნდა წარუდგინოს. მხატვრის ნამუშევრები გამოფენილი, გალერეაში მაყურებელზე ზეგავლენას ახდენენ, კარგმა ნახატმა მაყურებელი მაგნიტივით უნდა მიიზიდოს, გააჩეროს, დაიფიქროს, ე სკი დასტურია იმისა რომ ნახატში მხატვარმა დიდი მუხტი ჩადო.

ამიტომ მხატვარი პალიტრასთან ხშირად უნდა იჯდეს, ფიქრობდეს, ხშირად უნდა იყოს მუნჯი. და ხშირად უნდა ეჭიროს მას ხელში ფუნჯი.

– ხელოვნების როლი, მსოფლიო, ხალხთა თანაცხოვრების საქმეში?

– მსოფლიო ხელოვნების გარეშე წარმოუდგენელია, სახვითი ხელოვნება ის რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა გალერიები და მუზეუმები, მუსიკალური და თეატრალური ხელოვნება რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა თეაატრები და ოპერები, მსოფლიო მწერლობა რომ არ ყოფილიყო არ იქნებოდა საჯარო ბიბლიოთეკები. რომ არა ხელოვნება, ომები უფრო მეტი იქნებოდა მსოფლიოში.

– თქვენი ნახატებიდან რომელს გამოარჩევდით?

– მხატვრისათვის ყველა ნახატი შვილივით საყვარელია. მაგრამ ამჯერად შემოგთავაზებდით ორ ნახატს, ეს არის „ღაღო სადალაქოში“, „თამარ მეფის ვარძია“.

ღაღო სადალაქოში

თამარ მეფის ვარძია

ტარიელ ხარატიშვილი

ინტერვიუ იყალთოს გამგემლოთან მაცონ გოჩა ქაადესთან



მე გახლავართ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი ლაგოდეხის რაიონის ნომერ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე, ტატო ხარატიშილი.

– გთხოვთ გამაცანით თქვენი პიროვნება

– მე გახლავართ გოჩა ქააძე, ჩემში ეროვნული სული ისე ღრმად არის გამიჯნული, რომ ყოველთვის ვიყავი იქ სადაც უნდა იყოს თითოეული ქართველი, თავისი ერისა და ხალხის სამსახურში.

– დაოჯახებული ხართ?

– დიახ, და მყავს ოთხი ვაჟიშვილი, აქედან ორი ტყუპები არიან.

– რას უსურვებთ მომავალ თაობას?

– პირველ რიგში უფროსებისადმი პატივისცემას რაც ამ პერიოდისათვის, თანდათან შენელდა. ახალგაზრდებს ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი წინაპრის განვილილი გზა, უნდა იცოდნენ, რომ მათი მხრებითაა მოტანილი ის, რაც დღეს გვაქვს. კიდევ ვუსურვებ ჯანსაღი ცხოვრების აღქმასა და წინ გამარჯვებისაკენ შეუპოვრობას.

– იცნობდით თუ არა ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

– პირადად არ ვიცნობდი ამ ლეგენდარულ პიროვნებას, მაგრამ ვიცი ის რაც მან შეძლო და გააკეთა ჩვენი ქვეყნისათვის.

– მოგწონთ თუ არა ჟურნალ „ათინათის“ სტილი და მეთოდები იქ გაშუქებულ თემებზე რა აზრის ხართ?

– ჟურნალი „ათინათი“, კარგი წამოწყებაა, რეალურად თბილი მეცნიერული, ისტორიული და სხვადასხვა თემებია გაშუქებული ჟურნალში.

– თუ ნებას დამრთავთ რამოდენიმე კითხვით თქვენ თანამშრომლებთან ვისაუბრებ.

– რათქმაუნდა ჩემი თანამშრომლები ყოველთვის მზად არიან მომავლი თაობის სულში შეიხედონ, თავისი გამოცდილებით დააპურონ.

– იყალთოს გამგებლის მოადგილე ბატონი ვახტანგ მგალობლიშვილი



– როგორც გამგებლის მოადგილე, მჯერა, რომ ძალიან დატვირთული იქნებით, რას მეტყვით თქვენი საქმიანობის შესახებ?

– რასაკვირველია ეს ასეც უნდა ხდებოდეს. ვალდებულება დიდი მაქვს და ვცდილობ პირნათელი ვიყო ჩემი ხალხის წინაშე.

– რას მეტყვით ბატონ გოჩა ქააძეზე?

– ბატონი გოჩა, არის უაღრესად დიდი პიროვნება, იმ თვალსაზრისით, რომ მას წვლილი მიუძღვის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, თუმცა შედეგები საქართველოში კრახით დამთავრდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბატონ გოჩას იქ თავისი წვლილი არ შეეტანოს.

– არის თუ არა იყალთოში ბიბლიოთეკა?

– იყალთოში ძალიან კარგი ბიბლიოთეკა გვაქვს, რომელიც ჩვენი გამგეობის შენობაშია განთავსებული, მიზანშეწევნილად მიმაჩნია, რომ თვითონ გაერთიანების დირექტორისაგან აიღოთ ინტერვიუ.

– კარგით დიდი მადლობა ამ შემოთავაზებისათვის. ქალბატონო თამარ, თუ გყავთ ცნობილი პიროვნებები გაერთიანებულები ბიბლიოთეკაში?

– ძალიან ბევრი, იყალთო ისეთი სოფელია, არ შეიძლება, რომ არ გყავდეს.

– რა საშუალებებით ხდება ახალი წიგნების შეძენა ბიბლიოთეკაში?

– დეკემბრის თვეში პრეზიდენტმა ბიბლიოთეკებს აჩუქა 500 ლარიანი ვაუჩერები, რითაც შეძენილი იქნა ახალი ლიტერატურა.

– რამდენი თანამშრომელი გყავთ?

– სულ გაერთიანებაში 26 თანამშრომელია.

– თქვენი სამომავლო გეგმები?

– გვინდა უფრო გავზარდოთ ფონდი, დახმარებასაც გვპირდებიან ადგილობრივი ხელისუფლებიდან.

– ქალბატონო თამარ, თუ გყავთ დაკომპლექტების განყოფილებაში თანამშრომელი და რა ფუნქციას ასრულებს ეს განყოფილება, ამართლებს თუ არა დღევანდელ მოთხოვნებს?

– განყოფილების ხელმძღვანელობს ირინა მგალობლიშვილი, არაჩვეულებრი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც ზრუნავს ბიბლიოთეკისათვის თანამედროვე ლიტერატურეს შევსებაზე.

– გყავთ თუ არა ბუღალტერი და რას იტყვით მასზე?

– ჩვენი გამგეობის და ბიბლიოთეკების გაერთიანების ბუღალტერია ნინო მექვაბიშვილი. არაჩვეულებრივი, თბილი და გულისხმიერია თანამშრომლებისა და თავისი საქმისადმი.

– ქალბატონი ნინო ეს დიდი პატივია, რომ მთელი იყალთოს გამგეობის თანამშრომლებმა ჩემთვის დრო გამონახეთ. რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ შეძენაზე?

– ჟურნალი „ათინათი შედის თელავის 21 ბიბლიოთეკაში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის თელავის გამგებელს ბატონ ალექსანდრე შათირიშვილს, მან გადმოგვირიცხა თანხა და შევიძინეთ ეს მეტად საინტერესო ჟურნალი, რომელშიც მართლაც სითბო და სიკეთის მარცვლებია ჩაბნეული.

– ვინ არის იყალთოს ბიბლიოთეკის გამგე?

– ბიბლიოთეკის გამგე არის ლეილა დედაბრიშვილი აქ ბრძანდება და თქვენთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავ პასუხს თვითონვე გაგცემთ.

– რამდენი წელია რაც ბიბლიოთეკაში მუშაობთ?

– 1992 წლიდან ვმუშაობ ბიბლიოთეკის გამგედ.

– რამდენი ეგზემპლიარია თქვენს ბიბლიოთეკაში წიგნები?

– ბიბლიოთეკაში არის 12 017 წიგნადი ფონდი.

– თუ შეიმჩნევა მკითხველების შემცირება კომპიუტერულ ხანაში?

– იქიდან გამომდინარე, რომ კომპიუტერმა ძალიან ფართოდ გაშალა თვისი ფრთები, იყალთოში არსებული სკოლის პედაგოგები ცდილობენ, რომ მოსწავლეები დაინტერესონ კლასგარეშე ლიტერატურით, რაც შეეხება გამგეობაში მომუშავე ყველა თანამშრომელი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხელი შემიწყონ ღონისძიებების დანერგვაში, ახლახანს ჩავატარეთ, ლადო გელაშვილის საიუბილეო საღამო, ღონისძიების მომზადების აქტიური მონაწილე გახლდათ ქალბატონი ირმა ბაკურაძე-ლაჩაშვილი თვითმართველობის თემის გაერთიანების დირექტორის მოადგილე, ხოლო ბატონი გოჩა ქააძე და ბატონი ვახტანგი ყველანაირ პრობლემებს აგვარებენ ღონისძიების ჩატარების დროს.

– დიდი მადლობა, რომ მიმიღეთ და ჩემთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი გამეცით. ღმერთი გფარავდეთ!

ტატო ხარატიშვილი

ინტერვიუ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორთან ბატონ ელგუჯა მამუკელაშვილთან



– ბატონო ელგუჯა, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, ლაგოდეხის რაიონის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ტატო ხარატიშვილი. გთხოვთ გამაცანით თქვენი პიროვნება

– მე გახლავართ ელგუჯა მამუკელაშვილი. დედა ძალიან პატარა ვიყავი როდესაც გარდაიცვალა. გამოვიცვალე ბევრი დედინაცვალი. ვიყავით სამი დედმამიშვილი. უფროსი ძმა საინტერესო პიროვნება იყო. შემოიარა მსოფლიო, იყო კანადაში, ავსტრიაში, იგი დაიღუპა ფოთში და იქ არის დაკრძალული. მყავს უმცროსი და მათემატიკის მასწავლებელი იყო წითელწყაროს რაიონში. მყავს დიშვილები, ძმიშვილები, შვილები და ასე გრძელდება ცხოვრება.

– რას ურჩევდით მოსწავლე ახალგაზრდობას?

– პირველი და აუცილებელი თავისი კუთვნილი სიცოცხლის დრო გონივრულად გამოიყენონ თუ ამას შეძლებენ ყველა დაბრკოლებას და რთულ პრობლემას გადახელავენ. აუცილებლად წიგნი უნდა იყოს მომავალი თაობის მეგობარი. კარგია კომპიუტერი და ახალი ტექნიკა მაგრამ წიგნი შეუცვლელია

– იცნობდით თუ არა დიდ მოგზაურს ჯუმბერ ლეჟავას?

– დიდ მოგზაურს მე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მის მიერ განვლილ გზას კარგად ვიცნობ ჯუმბერ ლეჟავა იყო განუმეორებელი ფენომენი, რაც შეეხება ბატონი ჯუმბერის სახელობის პრეზიდენტს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს კარგად ვიცნობ. მას ლექსიც მიუძღვენი: გავიცანი გულნაზი, უნაზესი სულის ქალი მზე და მთვარე არის ვარდად ამოსული. გვაქვს შემოქმედებითი ურთიერთობა: ვფიქრობ ეს ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდება.

– გაქვთ თუ არა სურვილი ჟურნალი „ათინათი“ შედიოდეს თელავის უნივერსიტეტში?

– დიდი სურვილი მაქვს ჟურნალი „ათინათი“ თავისი ღირებულებებით დაინერგოს უნივერსიტეტში, ამ კუთხით ანთოლოგია და ჟურნალი „ათინათი“ უკვე წარვადგინე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ეს საკითხი ადმინისტრაციისგან აუცილებლად მოგვარდება.

– თქვენი სამომავლო გეგმები?

– ეს ძალიან საინტერესო შეკითხვაა, ჩემი სამომავლო გეგმა ერთ-ერთი ბოლო ნაშრომის დამთავრებაა, დღემდე გამოქვეყნებული მაქვს 36-ი მონოგრაფია. აქედან ისტორიის 11-ი სახელმძღვანელოა. ერთ ჩემს ნაშრომს ეწოდება „ცოდვა“. ჩემს ბოლო ნაშრომს ეწოდება „ნაბიჯი წყვდიადში“ რადგან ისტორიული მოვლენები სადღაც წყვდიადშია. ის თავებად არის დაყოფილი. ერთ-ერთი თავი არის, როდის გაჩნდა პირველი სიცოცხლე დედამიწაზე.

– დიდი მადლობა ბატონო ელგუჯა დიდი სიამოვნებით წავიკითხავ თქვენს ყველა ნაშრომს, უღრმესი მადლობა ამ სითბოსათვის რაც ჩემთვის გამოიმეტეთ. თქვენი წიგნები ჩემი სამაგიდო წიგნები იქნება, ისეთი შთაბეჭდილებით აღსავსე მივდივარ. აქედან ასე მგონია ჩემთვის უცნობი ბაბუა გავიცანი. გმადლობთ რომ არსებობთ და კიდევ დიდი მადლობა ქალბატონ გულნაზის, რომ მაძლევს საშუალებას თქვენნაირი დიდი პიროვნებები რომ გავიცნო. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, თქვენი გეგმების განხორციელებას.

ელენე გულიაშვილი

ინტერვიუ სიმონ ზაქარაიასთან

მოგესალმებით, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო მრავალპროფილიან აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი. ქ. თბილისის 53-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ელენე გულიაშვილი

გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი პიროვნება

ბ-ნი სიმონი: ნება დამრთე, რომ მე თქვენს შეკითხვებს უფრო მეტი დრო და სივრცე დავუთმო. მე ვარ სიმონ ზაქარაია აფხაზეთიდან, ქალაქ სოხუმიდან, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ეთიკისა და უფლებების დაცვის საბჭოს წევრი.

1970 წლიდან ვმუშაობდი სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, უფროს მეცნიერ მუშაკად, შემდეგ კი დირექტორად.

მოკლედ მოგვახსენეთ თქვენი მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ.

ბ-ნი სიმონი: 1967-70წწ. ვსწავლობდი ლენინგრადის მცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც წარვადგინე საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - „კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ნიადაგების დაშრობა-ათვისების საკითხი“. თემა მუშავდებოდა დიდი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე მოწერილიას ხელმძღვანელობით.

სოხუმის სამეცნიერო ორგანიზაციაში ვიკვლევდი კავკასიის მაღალმთიან სუბალპურ და ალპურ მთებში ველურად გავრცელებულ ეთერზეთოვან და სამკურნალო მეცენარეს, ფეხით გვაქვს შემოვლილი უშბას, მამისონის, როკის უღელტეხილები.

ალბათ საინტერესო იქნება თქვენთვის, თუ რა სირთულეებში გვიხდებოდა სიარული და ცოცვები მთებში. ზოგჯერ ურთულეს ხრამზე, ძალიან ვიწრო საცალფეხო ბილიკზე გავდიოდით, სადაც ხრამის სიღრმე ასეულობით მეტრი იყო, უდაოდ მეტად სახიფათო და საშიში.

1977 წლიდან მეცნიერულ კვლევებს ვაწარმოებდი მსოფლიოში ერთი-ერთი ყველაზე დიდ და ულამაზეს გიგანტურ მცენარე ევკალიპტებზე, რომლებსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს. იმ პერიოდში ჩვენი ინსტიტუტი ექვემდებარებოდა სიმფეროპოლის საკავშირო ინსტიტუტს. როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საბჭოთა კავშირში დიდი მოთხოვნილება იყო ევკალიპტის ეთეროვან ზეთზე, თუმცა ამის ბაზა მაშინ ფაქტიურად არ არსებობდა. თითქმის 10 წლის მეცნიერული და პრაქტიკული კვლევისა და მუშაობის შემდეგ, შევქმენი ევკალიპტის ამონაყარი კულტურის მტკიცე ბაზა, საიდანაც მიღებული იქნა რამდენიმე ტონა ევკალიპტის უძვირფასესი ეთეროვანი ზეთი. ამით გადაწყვეტილი იქნა ევკალიპტის ეთეროვანი ზეთების წარმოების პრობლემური საკითხი დადებითად.

ჩემს მიერ შერჩეულ და წარმოებაში ევკალიპტის სახეებში ზეთის გამოსავალი მწვანე მასისაში 20%-ს (ნაცვლად 4-5%) მიაღწია, რაც მთელს მაშინდელ კავშირში ბრწყინვალე შედეგად ითვლებოდა. ამ, უდაოდ კვლევის მაღალი შედეგების დასაბუთების თვალსაზრისით სიმფეროპოლის სათაო ინსტიტუტში შეიქმნა ავტორიტეტული კომისია ჩემი 12 წლიანი მეცნიერული მოღვაწეობის გადასამოწმებლად. კომისიამ ერთი თვის მუშაობის შემდეგ მთლიანად დაადასტურა ჩემი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის შედეგები და იგი ფირზე იქნა გადაღებული კიევის დოვჟენსკის კინოსტუდიის მიერ - ცნობილი რეჟისორის ივანოვის ხელმძღვანელობით. ჩემი ანგარიშის წარდგენის შემდეგ ინსტიტუტის დიდ საბჭოში დაადგინეს ჩემი მონაწილეობის აუცილებლობა ევროპის ორ სიმპოზიუმში, როგორც მეცნიერული კვლევის საუკეთესო შედეგისა.

მაგრამ მოხდა ის, რაც ყველასათვის ცნობილია, დაირღვა და დაინგრა საბჭოთა სისტემა და ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

თუმცა ევკალიპტებზე მუშაობა მე დღემდე არ შემიწყვეტია, გერმანულმა ფირმამ საქართველოში გაერთიანება ჩამოყალიბა „ ეთერზეთმრეწვი“ მე მათ ხობის რაიონის სოფელ ხეთაში გაუშენე 20 ჰექტარზე ევკალიპტის ამონაყარი კულტურა, საიდანაც მიღებული იქნა 500 ტონამდე მწვანე მასის მოსავალი ეს არის საუკეთესო ბაზა ეთეროვანი ზეთების წარმოებისათვის, მათ სოფელ ონარიაში გერმანიიდან ჩამოიტანეს ქარხანა და დაამონტაჟეს, მიღებული იქნა ერთი ტონა ძვირფასი ეთეროვანი ზეთი, ასევე ევკალიპტებით გავამწვანე კურორტი ანაკლია და განმუხური.

ბ-ნო სიმონ როგორ ახერხებთ ჟურნალ-გაზეთებზე და წიგნებზე მუშაობას?

ბატონი სიმონი: 1994 წელს, როდესაც თბილისში ჩამოვედი, მისი ცნობა ძნელი იყო, ოდესღაც ინდუსტრიული ქვეყანა, კუპონების სათამაშო კუკლას კონსტრუქციას ჰგავდა. ვინ და ვინ არ მართავდა ქვეყანას. მე და ჩემმა ერთმა მეგობარმა, გურამ მელაძემ გამოვუშვით ნამდვილად კარგი ლიმონათი, რომელსაც შაქრისაგან ვაკეთებდით და არა სახარინისაგან, რომელიც წამლავს ადამიანს.

პარალელურად ჩემი ქვეყნის უბედურ ცხოვრებაზე დაუფარავად ვწერდი სტატიებს, გაზეთების ფურცლებზე. ქართული ენის თანდაყოლილმა სიყვარულმა და ბევრმა კითხვამ ჟურნალისტურ მუშაობისაკენ წამბიძგა და აქტიურად ვმონაწილეობდი პრესაში. ჟურნალისტთა ერთ-ერთ ყრილობაზე ამირჩიეს ეთიკისა და უფლებების საბჭოს წევრად.

აფხაზეთის მეცნიერებათა კაადემიაში არჩევის შემდეგ მიმიწვიეს გაზეთ „დიოსკურიას“ პასუხისმგებელ მდივნად, სადაც 10 წელი ვიმუშავე, მთავარ რედაქტორად იყო პოეტ-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი. შემდეგ ჩამოვაყალიბეთ გაზეთი „ქალდეა “ იგი დღესაც იბეჭდება, მე ისევ პასუხისმგებელი მდივანი გახლავართ. პარალელურად ვწერდი წიგნებს, რომელიც ძირითადად აფხაზეთში მიმდინარე ომს ეხებოდა. გამოვეცი ლექსების კრებული „მონატრება“, „დევნილები გოგლგოთას გზაზე“, „სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები“ „ესე... პუბლიცისტიკა, ქრონიკა...“, „შეუბღალავი მანდილი“. ამჟამად გამოსაცემად მაქვს გამზადებული ორი წიგნი „ფესტოსის დისკოს ამოკითხვა“ და ჩემი უსაყვარლესი წიგნი „გზა უფლისაკენ“

თქვენს ოჯახზე რას იტყვით?

ს. ზაქარაია: მყავს მეუღლე, ორი შვილი და ათი შვილიშვილი

ჩემი მიწიერი შვილი პაატა მღვდელია – მამა პავლე. ქალიშვილი ოჯახით ამერიკაში – ვაშინგტონში ცხოვრობს. ჩემს შვილებს სკოლა ოქროს მედალზე ჰქონდათ დამთავრებული სოხუმში. ეს ტრადიცია, თბილისში დაბადებულ შვილიშვილებს არ დაურღვევიათ და ქალაქის საჩვენებელი სკოლა თამარიმ და ქეთევანმა ოქროს მედალზე დაამთავრეს, ისინი გრანტით სწავლობენ უნივერსიტეტში.

გთხოვთ გვიამბოთ დედათქვენის შესახებ

ბ-ნი სიმონი: დედაჩემი დაქვრივდა 19 წლის. მამაჩემი 24 წლის ქერჩის ომში, ჯარში დაიღუპა. დედა იყო ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგი, საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი. ჩვენს სოფელში რეფი- შეშელეთის ყველა ოჯახში ტრადიციული იყო დედაჩემის სადღეგრძელო, როგორც უმწიკლო ქვრივი ქალბატონის. მიუხედავად იმისა, რომ დედაზე ძნელია წიგნის დაწერა მე მაინც დავწერე ასეთი წიგნი და მას ვუწოდე „შეუბღალავი მანდილი“. დედაჩემი გარდაიცვალა 92 წლის ასაკში.

ჩემი შვილები და შვილიშვილები მირჩევდნენ ეკლესიაში სიარულს და მე შაბათ-კვირას დღესაც დავდივარ და ვლოცულობ. ჩემი მიწიერი შვილი პაატა – მამა პავლე მოძღვარია.

რას იტყვით ჟურნალ „ათინათზე“?

ს. ზაქარაია: მე და გულნაზ ხარაიშვილი ვმუშაობდით ერთად, როგორც და-ძმას ისე გვიყვარს ერთმანეთი, იგი ჩემი დადნაფიცია, მე მას მუდამ საიმედოდ ვუდგევარ გვერდით.

ჟურნალი „ათინათი“ ერთ-ერთი საუკეთესოა დღეს საქართველოში.

ირაკლი დარსალია



ინტერვიუ სამხატვრო აკადემიის რექტორ გიორგი გუგუშვილთან

მოგესალმებით, მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება თქვენთან, სამხატვრო აკადემიის რექტორთან, შეხვედრისა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის შესახებ ინფორმაციებს ინტერნეტსივრციდან გავეცანი და ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი ინტერვიუს ჩაწერისა.

მართალია, თვითონ მე ვერ ვხატავ, მაგრამ ხელოვნების ამ დარგს ძალიან ვაფასებ და მიყვარს.

მე ვარ ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ჟურნალისტი, ირაკლი დარსალია, თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V[1] კლასის მოსწავლე.

ბატონო რექტორო, მსურს რამდენიმე კითხვით მოგმართოთ:

სამხატვრო აკადემიის შენობა ძალიან ლამაზია, მაინტერესებს მისი დიზაინის შექმნაში მიიღეს თუ არა მონაწილეობა სტუდენტებმა?

სამხატვრო აკადემიას აქვს დიზაინის ფაკულტეტი. სასწავლო პროცესი ხანდახან მოიცავს ინტერიერის, ექსტერიერის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სტუდენტები პროექტირების ცალკეულ დეტალებში მონაწილეობენ, რადგან აკადემიის რეაბილიტაცია და რესტავრაცია პროფესიონალური და ფუნდამენტალური საქმიანობაა, რომელიც სტუდენტებისთვის ნაადრევია.

სამხატვრო აკადემიაში ბევრი საინტერესო გამოფენა ტარდება, ერთ-ერთი, სახელწოდებით: „თურქმენეთი - მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ქვეყანა“ ბავშვების მონაწილეობით ჩატარებულა.

ეს საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის იყო ხელმისაწვდომი, თუ მხოლოდ სამხატვრო სასწავლებლების აღსაზრდელებისთვის?

თურქმენეთის საელჩოს ინიციატივა იყო გამოფენის მოწყობა, რა თქმა უნდა, ეს ხელს უწყობს ორი ერის პატარების დამეგობრობას. თბილი დამოკიდებულება იგრძნობოდა. ეს იყო თბილისის ყველა საჯარო სკოლისთვის, მონაწილეობდნენ სამხატვრო სკოლების აღსაზრდელებიც, კონკურსი გამოაცხადა თურქმენეთის საელჩომ, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად. სამხატვრო აკადემია ამაში მონაწილეობდა, როგორც დამხმარე რგოლი. ჩვენ უმცროსი ასაკის მოსწავლეების გამოფენების ჩატარებას ვერ ვასწრებთ, აკადემიის სასწავლო პროცესის გამო. ვიმეორებ, ეს იყო კონკურსი ყველასათვის.

წიგნის „ქართული ასომთავრულის“ ავტორთან, რამაზ პატარიძესთან, შეხვედრა უდაოდ საინტერესო იქნება. ესწრებიან თუ არა ცნობილი ადამიანების ლექციებს სამხატვრო აკადემიაში?

სოციალური ქსელის, ფეისბუქის გვერდზე და აკადემიის ვებსაიტზე გვაქვს ყველა მსურველისთვის ლექციათა ციკლი. ლეგენდარული პიროვნებაა ბატონი რამაზ პატარიძე, მე ხშირად ვესწრები მის ლექციებს. ასეთი დონის მეცნიერები, სამწუხაროდ, ცოტა გვყავს. მის ლექციებზე დასწრება ყველას შეუძლია.

სწავლობენ თუ არა სამხატვრო აკადემიაში სტუდენტები, რომელთაც აქვთ საერთაშორისო აღიარება?

სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ბევრ საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობენ, ისინი იმსახურებენ პრიზებს, რაც ძალიან სასიამოვნოა. დიდ ქვეყნებთან მონაწილეობენ და წარმატება დიდი პრესტიჟია ჩვენი სასწავლებლისთვის, მაგრამ გარწმუნებთ, რამდენიმე ისეთი პრიზი

გვაქვს მიღებული, რომ ბევრ ქვეყანას შეშურდებოდა. სასიამოვნოა, რომ, სტუდენტებთან ერთად მათი პედაგოგებიც მონაწილეობენ.

გვიამბეთ თქვენზე, ორიოდე სიტყვით.

მე ვარ პროფესიონალი მხატვარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მაქვს სათანადო განათლება მიღებული, თავის დროზე. რამდენიმე საფეხური გავიარე, საჯარო სკოლა, სასწავლებელი, სამხატვრო აკადემია, ასპირანტურა და ა.შ.

რა გეგმები გაქვთ სამხატვრო აკადემიის განვითარებაზე?

პირველ რიგში, შენობას რეაბილიტაცია სჭირდება, ეს არის 150 წლის დროინდელი ნაგებობა. იგი ნგრევის პირასაა მისული, ეს გამოიწვია ბუნებამ და დრომ. სამხატვრო აკადემია 1922 წლიდან არსებობს, მისი პირველი რექტორი იყო გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, მაშინ მთავრობას სწერდა: „გვიშველეთ აკადემია ინგრევა“. წარმოიდგინეთ, დღეს არის 2015 წელი...

„ათინათი“ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის მრავალპროფილიანი ჟურნალია, რომელშიც შემოქმედ მოსწავლეთა ორი ჯგუფი: „ნორჩი ათინათელები“ და „ნორჩი ლიტერატორები“ მონაწილეობენ.

რას უსურვებთ მათ?

ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სახელი დიდ პატივს იმსახურებს,. კარგია, რომ მის აკადემიასთან ისეთი ახალგაზრდები თანამშრომლობენ, როგორიც თქვენა ხართ. მომავალ თაობას ვუსურვებ წარმატებას და იმ იდეების პატივისცემის განხორციელებას, რომელიც ამ ბრწყინვალე ადამიანმა, მსოფლიო მოგზაურმა, გულში ატარა და სხვებსაც გაუზიარა.

და, ბოლოს, მინდა მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მიღებისათვის.

თქვენთან შეხვედრა ორი პიროვნების დახმარებით შევძელი. ესენი არიან: ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ჟურნალ „ათინათის“ საბავშვო განყოფილების რედაქტორი, ლამარა გერგედავა და ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი.

გმადლობთ, გისურვებთ წარმატებებს.

ირაკლი დარსალია

ინტერვიუ ზურაბ გამუნიასთან, სამხატვრო აკადემიის მხატვარ-ფერმწერთან

იცნობდით თუ არა ჯუმბერ ლეჟავას?

არ მარტო ვიცნობდი, ვმეგობრობდი, მისი მოგზაურობის შემდეგ, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა, პირადად და მის ოჯახთანაც.

გვიამბეთ თქვენზე ორიოდე სიტყვით.

ვარ მხატვარ-ფერმწერი, სამხატვრო აკადემიაში ვმუშაობ 1989 წლიდან. დღემდე ვხელმძღვანელობდი სხვადასხვა ჯგუფებს, ზაფხულის პრაქტიკებს. მყავდა სამი გამოშვება სტუდენტებისა, აკადემიაში, ამჟამად, ვხელმძღვანელობ მუზეუმსა და საგამოფენო დარბაზს.

ბატონო ზურაბ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიასთან არსებული ჟურნალი „ათინათი“ გამოდის 3 თვეში ერთხელ, იცნობთ თუ არა ამ ჟურნალს?

ჟურნალის პრეზენტაციას ვესწრებოდი, სხვადასხვა ნომრები არ მქონია, მაგრამ ძალიან გამიხარდა, რომ ის გამოდის და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიას ეკუთვნის.

მოგწონთ თუ არა რედაქტორის კურსი, ის, რომ ჟურნალი მრავალაპროფილიანია?

რა თქმა უნდა, მომწონს, განა მარტო მომწონს, ეს ძალიან დიდი საქმეა, რასაც თქვენ აკეთებთ.

რომელ წელს დაამთავრეთ სასწავლებელი?

მე ჯერ ნიკოლოზის სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე, 1968 წელს და ჩავირიცხე სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1973 წელს დავამთავრე.

გქონდათ თუ არა გამოფენები?

სწავლის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წელი ჯგუფურ გამოფენებში ვღებულობდი მონაწილეობას და 1983 წლიდან უკვე ჩავერთე გამოფენებში.

ამბობენ ბატონი ჯუმბერ ლეჟავა ხატავდაო, მართალია თუ არა ეს?

ჯუმბერი ხატავდა და კონსულტაციებს გადიოდა ჩემთან ერთად, მას დახატული აქვს თავისი მეუღლის პორტრეტი.

ჯუმბერს ყველა უყვარდაო, მაგრამ მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, თურმე, თქვენ იყავით, როგორ ახსნით ამას?

ჩვენ გვაკავშირებდა ერთი რამ, როდესაც იგი 9 წლიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა, მაშინ გავიცანი. ბატონმა, აწგარდაცვლილმა გივი მიზანდარმა, მაშინ ის მოიწვია სამხატვრო აკადემიაში, პროფესორებთან შესახვედრად. დიდ დარბაზში მოვიდა ჯუმბერი, მან თავისი მოგზაურობის შესახებ ორი საათი ილაპარაკა და კიდევ დაიგეგმა შემდგომი შეხვედრა. მთელი აკადემია აღფრთოვანებული იყო. პირადად რომ გავიცანი, იმის შემდეგაც დაიგეგმა ბევრი შეხვედრა. მე მასთან ერთად ვმოგზაურობდი, ვეხმარებოდი და ამიტომაც გავხდი მისი მეგობარი.

ჟურნალი „ათინათი“ განყოფილებების მიხედვითა დაყოფილი: პოეზია, პროზა, ლიტერატურის მცოდნეობა, ისტორია. ჟურნალში იბეჭდება ბევრი რამ. ხომ არ გექნებათ სურვილი თქვენს სტუდენტებს გააცნოთ იგი?

დიახ, რა თქმა უნდა, გავაცნობ.

იცით თუ არა ჯუმბერის შესახებ ის, რაც არავინ იცის?

მინდა გითხრათ, რომ როდესაც ჯუმბერი 1000 აზიდვას აკეთებდა, ძალიან იღლებოდა არა და 6000, 7000-ს დაუღალავად აკეთებდა,. თურმე მას სისხლძარღვის შევიწროვება ჰქონია. მან ექიმებს არ დაუჯერა არ გაიკეთა ოპერაცია და, სამწუხაროდ, გარდაიცვალა იგი.

გმადლობთ საინტერესო შეხვედრისათვის.

ინტერვიუ ჩაიწერა თბილისის 167-ე საჯარო სკოლის V1 კლასის მოსწავლემ ირაკლი დარსალიამ

ნორჩი ლიტერატორები

ლელა მესხი
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი

ჩემი პატარა მეგობრები...

ჩვენ გვჯერა, რომ ლიტერატურის სიყვარული მშობლიური მიწიდან ამოზრდილი ნერგია და სამშობლოს ზეციდან დაშვებული ერთ-ერთი ნათელი სხივი...

ჩემი პატარა მეგობრები, ნორჩი ლიტერატორები, ეროვნულ ფესვებს, საიმედო საყრდენს, მერე კი... შეიძლება მუზების შთაგობენით თუ ვერა, პატრიოტიზმითა და ლიტერატურის სიყვარულით გულანთებულნი მაინც ივლიან ქვეყნიერებაზე...

ნიკოლოზ მარჯანიძე
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე

ჩვენი ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრე

ვარ ლიტერატურული შემოქმედებითი წრის წევრი, რომელიც სულ რაღაც ორი წერლია რაც შეიქმნა, მაგრამ ბევრი რამ შეგვძინა...

ჟურნალ „ათინათში“ ვბეჭდავთ პატარ-პატარა ჩანახატებს, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია...

მადლობას ვუხდი ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელსა და რედაქტორს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და ჩვენს მასწავლებელს, ლელა მესხს...

იმედი მაქვს, რომ ჩვენი ლიტერატურულ-შემოქმედებით წრე დიდხანს გააგრძელებს ასე ენერგიულ და შემოქმედებით მოღვაწეობას....

ანა ცარიელაშვილი
ქ.თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
V[1] კლასის მოსწავლე

ზაფხული

გვიახლოვდება ყველასათვის საყვარელი ზაფხული, ჩიტები ჭიკჭიკებენ, ყვავილებიც ემზადებიან მასთან შესახვედრად და მალე დაიწყება არდადეგები.

ჩვენ, ბავშვებს ხომ ყველაზე მეტად მზიანი ამინდი გვიხარია. გვიყვარს ზაფხული, ზღვა, სითბო და გართობა.

დროებით მიყუჩდება სკოლის ხმაურიანი კედლები და ჩვენს მოლოდინში ცოტას მოიწყენს. . .

ლიზი ლომსაძე
167-ე საჯარო სკოლის
V[2] კლასის მოსწავლე

ყვავილები...

ყვავილებიც ცოცხალი არსებები არიან, ადამიანებივით ისინიც თვითონ მოიპოვებენ საკვებს, ნიადაგიდან იღებენ წყალს...

ყველა ყვავილს აქვს ბუტკო ან მტვრიანა. ერთი მტვრიანას მარცვლები თუ გადავა მეორე ყვავილზე, ამას დამტვერვა ჰქვია... ასე მგონია, რომ მათ ესმით ჩვენი.

ყვავილებს უნდა მოვუფრთხილდეთ, ისინი ცოცხალი არსებები არიან...

ლადო ზაქარეიშვილი
167-ე საჯარო სკოლის
V1 კლასის მოსწავლე

,,დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან"...

მართლაც რომ დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან...

წავიკითხე რევაზ ინანიშვილის ნოველა ,,სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა", რომელსაც ეპიგრაფად აქვს: ,,ვუძღვნი ნ. ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცის ხსოვნას".

გული მწყდება, რომ ამ ორი დიდებული ქალბატონის, პერსონაჟების ბარბალესა და თავსაფრიანი დედაკაცის ამაგი სათანადოდ არ იქნა დაფასებული, ახლობლების მიერ...

მარიამ ტყეშელაშვილი
167-ე საჯარო სკოლის
V1 კლასის მოსწავლე

დასუმსახურებელი წყენა

ბავშვზე ყველა მშობელი ზრუნავს, ხელის გულზე ატარებს, ცდილობს ყველანაირი კომფორტი შეუქმნას, აუსრულოს სურვილები...

ბავშვებიც იზრდებიან. ზოგიერთებს საკმარისია მშობლებმა შენიშვნა მისცენ ან რაიმეთი შეზღუდონ, შვილები ბრაზდებიან და დამსახურებელ წყენას აყენებენ აღმზრდელებს.

ჩემი აზრით, მშობლის განაწყენება ცუდი საქციელია.

მათი ამაგი დასაფასებელია, ნათქვამია ,,კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“.

ვალერ ხაზალია
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 [2] კლასის მოსწავლე

ბედნიერება!...

ბედნიერებაა, როცა კარგად ხარ, უყვარხართ და პატივს გცემენ, როცა ყველა შენი ახლობელი ხალისიანია. ადამიანების ბედნიერება ღვთის დამსახურებაა... უნდა გავუფრთხილდეთ უფლის საჩუქარს, ვიცხოვროთ სწორად

და ღმერთი დაგვიფასებს...

მე უზომოდ შეყვარებული და ბედნიერი ვარ... ვოცნებობ, რომ მთელი ქვეყნის დილა იწყებოდეს უღრუბლო ზეცითა და მოსიყვარულე ადამიანების გულთბილი ღიმილით...

გიორგი ხუმარიანი
ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-62 კლასის მოსწავლე



ჩემი სამშობლო...

ჩემი სამშობლო საქართველოა... მისთვის მზადა ვარ თავი გავწირო... ის ჩემთვის ყველაფერია...

საქართველო პატარაა, მაგრამ ძალიან ლამაზი... მისი ბუნებით ყველა მოხიბლულია...

საქართველოს ჰყავს ბევრი გმირი მეომარი, რომლებმაც თავი შესწირეს ქვეყნის ერთიანობას. ჩვენი ვალია პატივი ვცეთ მათ ხსოვნას და მუდამ მზად ვიყოთ სამშობლოს დასაცავად...

გახსენება

თბილისში 13 იანვრის ტრაგედია



უკმაყოფილებისკენ!

ᲮᲭᲜᲚ ᲘᲡᲔᲭ ᲭᲝᲭᲜᲚ, ᲨᲭᲘᲚᲝ!..

ვასიკო სამხარაძის გახსენება

შუაღამეა... გაწვიმდა. შენ საყვარელ ქუჩებს ცის ცრემლები ღვარად ეპკურება... ცის ცრემლები კი არა, შვილებ გარდაცვლილი დედების ცრემლები უფროა, ეს მგლოვიარე წვიმა... შენს ფოტოსურათთან სანთელი ანთია. ცრემლებს მოჰგავს სანთლის ნაღვენთებიც. შენ კი?!. ნუ სტირიო, სურათიდან მამშვიდებ, თითქოს. მენატრები, უსაშველოდ მენატრები და, აბა, როგორ არ ვიტირო, შვილო?..

დღესაც ვიყავი შენთან. ის დიდი ქვა, მთელი ტანით რომ ხარ გამოსახული, შენმა მეგობრებმა გაგიკეთეს. ჰო, მგლოვიარედ არიან შენი ბიჭები, ორმოცამდე წვერმოშვებულები დადიოდნენ. აკლიხარ, მათაც ძალიან აკლიხარ, შვილო!.. დღეს რომ მოვედი, ღვინის ბოთლი და ჭიქა დამხვდა საფლავზე. წუხელ, გვიან ღამით ყოფილან შენი მეგობრები: დათო, ნინო, კახა, ზურა... ჰო, დათო და ნინო იერუსალიმში რომ იყვნენ, ქრისტეს საფლავზე, და ექვს წირვაზე, მოგიხსენიეს თურმე...

მენატრები, შვილო, უსაშველოდ მენატრები. წამიც არ არის შენზე ფიქრის გარეშე. ყოველდღე მოვდივარ შენს საფლავთან, გვიანობამდე ვრჩები და გიამბობ ახალ ამბებს. ასე დამჩემდა. ახლა ფურცელს ვესაუბრები. სულ ჩემთან ხარ, ყოველწუთიერად. შენი დაბადებიდან ორმოც წლამდე, ყველა დრო ირეკლება ჩემი თვალთახედვის არეში, ჩემო ლამაზო ბიჭო. მხოლოდ ბოლოდროინდელის გახსენება მიჭირს უსაშველოდ, უგონოდ რომ იყავი აპარატზე შეერთებული. როგორ გეფერებოდი, გესიყვარულებოდი. ისეთ მდგომარეობაში მყოფი მხოლოდ დედის ხმას თუ იგრძნობდი. გესმოდა ჩემი, ცრემლები მოგდიოდა თვალებიდან. იმ დროს, თურმე, მაინც კარგ სიტუაციაში ვყოფილვარ. ახლა?!. დარდი და ცრემლები დამიმეგობრდნენ მხოლოდ. ვეხმიანები ძალიან შორს, ბულგარეთში მყოფ შენს ძმას – ათულის (სულ ასე ეძახდი). მასთან საუბრისას ვიმხნევებ თავს, მაგრამ ცრემლები მახრჩობს. თავადაც უჭირს, ძალიან უჭირს უშენობა...

გუშინ მეზობელმა მითხრა, სარეცხის თოკს სულ ვასიკოს ტანსაცმელებით რომ ავსებდიო, ახლა გული მემდუღრება ცარიელი თოკის შეხედვაზეო. მაინც რა პეწიანი, წესრიგიანი იყავი. უბრალო მტვერსაც ვერ იტანდი სამოსსზე, ფეხსაცმელზე...

ყველგან მელანდები, ყველგან გეძებ. მგონია, საიდანღაც დამიძახებ, მომეფერები: „დედა, ჩემო საყვარელო ფეფუჩიო“.

ყველას აკლიხარ შენი ერთგულებით, გულის სითბოთი, სიალალით, ბავშვურად წრფელი ხასიათით, იუმორით... აქაც, შენ დედულეთშიც – აბაშაში, ყველას ენატრები.

შვილო, ვასიკო, ჩემო იმედო და ნუგეშო, ხვალ ისევ მოვალ შენთან, ზეგაც მოვალ, მაზეგაც, ყოველდღე მოვალ, ამით დარდს ვერ გავიქარვებ, მაგრამ მოგეფერები, ამბებს მოგიყვები. ზოგჯერ ყვავილებს მოგიტან, სანთლებს აგინთებ, ვილოცებ შენთვის, და ასე გავა დრო. არ შე-

გეშინდეს, სულ შენთან ვიქნები!.. მერე კი, ალბათ, უფალი ინებებს, ისევ ჩაგვახუტოს ერთმანეთს...

მოვალ, გნახავ, ხვალ ისევ მოვალ, შვილო!..

შენი გამწარებული დედა,
ჟოზე სამხარაძე.

მშვიდობით დედა

ჩვენი უძვირფასესი დედა!... იყო, უკეთილშობილესი ქალი, მადლის და სიკეთის მფრქვეველი, უღალატო, გულთბილი, იმედის მომცემი, სპეტაკი როგორც პირველი თოვლი, ყველას ტკივილის შემამსუბუქებელი, ღმერთის მოშიში კი არა, ღმერთის მოსიყვარულე, მისი ბაგეები ღმერთის დიდებას და ლოცვას ჩვეული იყო. ხშირად ვეტყოდით ხოლმე: დედი, შენ ღმერთის რჩეული შვილი ხარ, შენი ლოცვებით ვცოცხლობთ და ვხარობთ შენი მონაგარი-თქო.

9 შვილის, 20 შვილიშვილის, 22 შვილთაშვილის პატრონი იყო. არვის ტკივილს და წუხილს არ შესწრებია, ბედნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან. დედა, ალბათ, გრძნობდა მოახლოვებულ გარდაცვალებას და ერთხელ კიდევ ჩვეული ლოცვებით დალოცა თავისი შვილები, ერი-ბერი და ბოლოს მადლობა გადაუხადა უფალს, ასეთი სიტყვებით:

უფალო! მადლობა, რომ გაუმწარებლად მოგყავარ ამ ქვეყნიდანო... შენ გაბარებ ჩემს თვალით დანახულს და დასანახსო.

ჩვენი თავი და მთლიანად საქართველო უფალს ჩააბარა და ჩუმად წახვიდა იმ სიკვდილით, რომელსაც ტკბილ სიკვდილს ეძახიან, დაიძინე და... წავიდა და აქ დატოვა კარგი ქალობის უძვირფასესი სახელი, რომელსაც ქართველი ქალის მანდილით ამშვენებდა. იქ დიდ საუფლოში კი წაიღო ხალხის დიდი სიყვარული და მონატრება.

სწორედ იმ სიკეთის და მადლის შედეგია, რომ 91 წლის ქალბატონი ნინო შეყილაძე ყველამ, დიდმა თუ პატარამ, ცხარე და გულწრფელი ცრემლებით დაიტირა. გამწარებული ვიჯექით შენს ცხედართან და ცხედარიც გვეამაყებოდა დედი. მადლობას ვწირავდით უფალს, რომ ჩვენ გავხდით ღირსნი შენი შვილები ვყოფილიყავით. დღეს დუხჭირი ცხოვრებით, თუ სხვა და სხვა მიზეზთა გამო მრავალ სიკვდილიანობას შეჩვეული ხალხი, ცრემლგამშრალი მეგონა, მაგრამ შენ უამრავი მდუღარე ცრემლი გაცილებდა. შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ნათესავები, კეთილი მეზობლები და ვინ და ვინ... გამოსათხოვარი სიტყვა აკანკალებული ხმით წარმოვთქვით, რომ გზამართლს ვაცილებდით ქალს, ქალს, რომელიც იყო უამრავი ლამაზი თვისებებით სავსე... რომ ბოროტს სიკეთით პასუხობდა...

რომ ის იყო სიყვარულის ელჩი, რომლისგანაც სიყვარულს სწავლობდნენ, რომ ჩვენ ვერ ამოვიცანით მისი ამოუწურავი შესაძლებლობები. რომ ის უფალს წარუდგება ვალდმოხდილი, რომ მისი სული მზის სასულეთში აისავანებს და ზეციდან გაგვათბობს, ილოცებს ყოველივე ჩვენთაგანისათვის და თავის სათაყვანებელი სამშობლოსათვის.

ნანი შეყილაძის ლექსი დედისადმი მიძღვნილი წაიკითხა მისმა შვილთაშვილმა მარიამ გერმანიშვილმა.

დედას

მინდა, რომ ისევ პატარა ვიყო
და ჩამოგიჯდე მუხლებზე დედა.
მინდა რომ ისევ მეფერებოდე,
შენი ლამაზი ალერსით დედა.
დედა ძვირფასო, დედა ლამაზო,
მე მხოლოდ შენი სიცოცხლე მინდა,
მინდა იხარო იბედნიერო,
მრავალი შვილის გამზრდელო დედა.
ქართველო ქალო ქართულ აკვანში,
ცხრა შვილი როგორ გაგვზარდე დედა?
ერთხელ არ გითქვამს მე დავიღალე,
ეხლა მე ვინმე მშველელი მინდა.
პირიქით სხვებსაც ეხმარებოდი,
არ იშურებდი სიკეთის თესვას...
და სიყვარულით იმსახურებდი,
ერის და ბერის პატივისცემას.
უფალს მადლობა რომ შენ ასეთი,
კეთილი სათნო გაჩნდი ამ ქვეყნად
მეამაყები ნაზი და კარგი,
რომ ხარ ძვირფასო მშობელო დედა.
რომ შემეკითხონ ამ ქვეყანაზე,
ვინ გიყვარს კარგო ყველაზე მეტად,
დედა სამშობლო, დედა მშობელი,
დედა ენა და მხოლოდ შენ დედა.

მდუღარე ცრემლით შვილიშვილმა ჯუნა ბიწაძემ წაიკითხა მისი პოეტი ქალიშვილის (ლამზირა შეყილაძის) ლექსი.

დედას

ცხრა შვილს გვიმღერე ნანინა,
ცხრა ათეული ათვალე,
უფალი გფარავს მაღლიდან,
ქვეყნის გული, რომ ახარე.

შეუბღალავი ქალი ხარ,
მამულის ნატვრის თვალია,
შვილიშვილებიც ბევრი გყავს,
შვილთაშვილების არმია.

თეთრად ათევდი ღამეებს,
დილას ხვდებოდი მღიმარი,
ახლაც სიცოცხლით მახარებს,
თვალები მირონმდინარი.

მოგვავარაყე სიკეთით,
მადლი გვაფრქვიე უხვადა,
აგვავსე ლამაზ ფიქრებით,
გული აგვინთე შუქადა.

ჩვენც დავალთ შენებრ მზეობით,
რაც გაგვაყოლე მზითვადა,
სამშობლოს კეთილდღეობის
ვართ ცის და მიწის ხიდადა.

არვინ მოსულა საჩივრით,
არვინ გვაგინებს დედასა,
ნეტავ ვხედავდე ამ ქვეყნად,
დედებს შენსავით ნეტარსა.

ჩვენს გულებს დღესაც ახარებ
ამ ქვეყნად შენი ყოფნითა,
ახლა ჩვენ ვიხდით ქვეყნის ვალს,
შენებრ თმენით და ლოცვითა.

და ბოლოს თვით პოეტმა დაასრულა დედის გამოსათხოვარი სიტყვა:

შენი სიცოცხლით ვივსებოდით, უხვი ნათებით,
შენი მზისობის გულ-თბილობით გვანებივრებდი.
ჩვეულ სიმშვიდით დაგვტოვე და ჩუმად წახვედი,
უშენობას და ამ სიცივეს ვერ ვურიგდებით.

ახლა... აქ ვდგევართ შენს ცხედართან შავი სამოსით
ვიცით დასრულდა განაჩენი მკაცრი ბუნების
უკანასკნელად გეფერებით ხელის ცახცახით,
ცრემლი გაცილებს უამრავი თაიგულების.

ამ ქვეყნიური შეასრულე პირნათლად ვალი,
იყო სიცივე, სიდუხჭირე, იყო მზისობა...
ახლა კი ჩუმად გარდასხვავდი კრძალული ქალი...
მზის სასულეთში უერთდები მარადისობას.

რა ძალიან ძნელი ყოფილა ვინც ყველაზე ძალიან-ძალიან გიყვარს, ვისაც სულს უბერავ, რომ არ ეტკინოს, რომელსაც ჰქვია დედა!...

მას უნდა განშორდე და მისი სითბო და ალერსი ვეღარ იგრძნო ეს ტკივილი აუტანელია...

ერთხელ კიდევ მოვეფერეთ, მოვესათუთეთ და ღმერთს შევღაღადეთ ჩვენც მისებრ ვალ-მოხდილი წაგვიყვანოს ამ ქვეყნიდან.

ნინო შეყილაძის შვილები

ჯუმბერ ლეჯავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია სამძიმარს უცხადებს, ამავე აკადემიის წევრს, პოეტ ლამზირა შეყილაძეს: მისი დედის ნინო გველესიანის გარდაცვალებას.

აქ ზამთარია

ჩემი დედიკოს მოალერსე, სიტყვებს ვისმენდი...
მლოცავდი ისე, როცა დედა მლოცავდა ოდეს
მეც დაგიტირე, წმინდა ცრემლებს კრძალვით ვიწმენდდი,
მართლაც ქალღმერთო, ჩემი სითბო გულწრფელად მიგსდევს.
ცის საუფლოში გარდაცვლილნი მოინახულე,
ნათესავები ნახე ჩემი, ძმები და შვილი
აქ ზამთარია, მანდ მე მჯერა გაიზაფხულებ,
თუმცა თვითონ ხარ, გაზაფხული, ნაზი და თბილი.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი გულნაზ ხარაიშვილი.

ეკატერინე ერისთავის გახსენება

ანთოლოგიის ახალ ტომზე ვმუშაობდი გამომცემლობა "უნივერსალში", რომელიც მდებარეობს ჭავჭავაძის გამზირზე ვაკეში. პოეტმა ქალბატონმა ანა ერისთავმა, მოკრძალებით შემომთავაზა თავისი ლექსები ანთოლოგიაში დასაბეჭდად. თითქმის დამთავრებული მქონდა ახალი ნომერი, მაგრამ უარი არ ვუთხარი, რადგან შინაგანად სითბო ვიგრძენი, რაღაც ახალი, უჩვეულო, ქალური სიკეთის სხივი მოდიოდა პოეტი ქალბატონისაგან.

გამომცემლობის კარები გაიღო ანა ერისთავი დასთან ერთად შემოვიდა. ეს ჩემი დაა ეკატერინეაო გამაცნო და ლექსები გამომიწოდა. ჩემი ყურადღება მისი დის თვალების გამოხედვამ მიიპყრო, თვალთა სიღრმეში სევდა დავინახე. ორი და, ანა და ეკატერინე ისე უხდებოდნენ ერთმანეთს თვალს ვერ ვაშოებდი. გამომცემლობის აივანზე ჩიტები ჭიკჭიკობდნენ. ჩიტებსაც

თავსი ენა აქვთ ალბათ, იქნებ მათშიც არიან პოეტესა ფრინველები იქნებ ასეც არის, ვინ ჩასწვდება ფრინველთა საიდუმლოებას.

გავიდა რამოდენიმე თვე და თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკის დარბაზში ჩატარდა ჩემი 65-ი წლის იუბილე. ანა ერისთავი მოვიდა. მომილოცა და ბოდიშის მოხდით უკან გაბრუნდა, ჩემი და ეკატერინე საავადმყოფოში წაიყვანესო მითხრა, არ ვიცი როგორ იქნებაო...

მეორე დღეს გავიგე რომ გარდაცვლილა ანას და ეკატერინე. თვალწინ დამიდგა, ორი ჩიტებვით მოჟღურტულე დედმამიშვილების განშოება, ანას ტკივილდაბარდნული გული...

ფიქრს ფიქრითვე შევუძახე, გარდაიცვალა ანუ სამუდამო სახლში გადავიდა. სიკეთით, სიალალით სავსე ქალბატონი მე კი ეს სიტყვები ამომძახა გულმა..

გარდაიცვალე შენ ვალმოხდილი,
ოჯახისა და ქვეყნის წინაშე.
შენ დაგჭირდება სხვების ლოდინი...
მე კი ამას გთხოვ გელა მონახე.
მიესათუთე სანამ მე მოვალ,
გთხოვ არ დააკლო დედის ალერსი.
უთხარ: ვერ ვუძლებ ავდარს და თოვას,
ძილშიც იმისი ხმები ჩამესმის.

ქალბატონო ანა, უნდა იწამო რომ შენი და გარდაცვლილია ანუ მეორე დიდ სოფელში ცხოვრობს. შენ მისი სულის მოსახსენიებელი ლოცვები უნდა აღავლინო.

შენი ტკივილის გამზიარებელი:
გულნაზ ხარაიშვილი

ქობულეთის ტრაგედია

ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო "არმაზში", 10 მაისს, გამთენიისას, პოლიციის თანამშრომლებმა შეამჩნიეს, რომ სასტუმროდან კვამლი გამოდიოდა. პოლიციელები შეცვივდნენ შენობაში, რომელიც ცეცხლის ალში იყო გახვეული. პოლიციელებმა საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად 45 ადამიანი გადაარჩინეს, მათ შორის 31 ბავშვი იყო.

რუსთავის ცეკვის ანსამბლი "სიხარული 2" – ქობულეთში კონცერტის გასამართად იმყოფებოდა. კონცერტის შემდეგ ანსამბლის ხელმძღვანელები და მისი წევრები, რამდენიმე მშობელთან ერთად, სასტუმროში დაბინავდნენ. ისინი რუსთავში 10 მაისს უნდა დაბრუნებულიყვნენ. ანსამბლში 35 ბავშვი იმყოფებოდა

სასტუმროს მფლობელის ჰასან ართმელაძის განცხადებით, ხანძარი იმ ოთახში დამონტაჟებული კონდიციონერის სადენებიდან გაჩნდა, რომელშიც ანსამბლის წევრები: რევაზ დემეტ-

რაშვილი, დავით ზაქრაძე და თორნიკე ხვიჩია იყვნენ დაბინავებულნი... სამწუხაროდ სწორედ ამ ბავშვების გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ხანძრის შედეგად გარდაცვლილი ბავშვების ცხედრები, გვიან ღამით, რუსთავის ექსპერტიზის ბიუროდან, ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში გადაასვენეს. ძლიერი დამწვრობის გამო, ბავშვების ცხედრების იდენტიფიცირება ბათუმში ვერ მიხერხდა. მათი იდენტიფიცირება დნმ-ს ანალიზით ჩატარდა.

რუსთავში ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში, ქობულეთის ხანძრის შედეგად დაღუპული ბავშვების პანაშვიდი ჩატარდა. ტაძარში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი მიბრძანდა.

ტაძრის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ კერძო სკოლა "რეცას" და XI საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. ქვემო ქართლის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რუსთავის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

საქართველოს პრემიერ მინისტრმა მიუსამძიმრა დაღუპული ბავშვების ოჯახებს და მთელ საქართველოს. გარდაცვლილი ბავშვების დაკრძალვის ხარჯები რუსთავის მერიამ გაიღო.

"პრემიერის განკარგულებით 10 ათასი ლარი დაერიცხა თითო ბავშვს და ჩვენც - რუსთავის მერიამ, ავტომატურად, დამატებით ხუთ-ხუთი ათასი ლარი გადაურიცხეთ. რაც შეეხება პრევენციას, ნორმების პრობლემა არსებობს სასტუმროში. რაც ვნახეთ არანაირ ნორმებში არ ჯდებოდა, ელემენტალურად არ არსებობდა საშუალება იმისა, რომ ავარიულად გასულიყვნენ ბავშვები, ამას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პერსპექტივაში!" – "გადარჩენილი ბავშვები შოკში არიან, მათი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ფსიქოლოგების ჯგუფის დახმარება სჭირდებათ." - განაცხადა დავით ჯიქიამ.

თინათინ გოგიშვილი, ერთ-ერთი გადარჩენილი ბავშვის მშობელი იგონებს: "ხანძარი ძალიან სწრაფად გავრცელდა, გარდაცვლილი ბიჭების ნომრები, სასტუმროს მეორე ნაწილში იყო... ჩვენ გაღვიძებისთანავე ვცდილობდით ბავშვების გამოყვანას. ჩაუცმელები და ყოველგავრი ნივთების გარეშე გამოვცვივდით ალმოდებული სასტუმროდან, ხანძარი ისე სწრაფად გავრცელდა, ფაქტობრივად, ცეცხლმოკიდებულები გამოვედით შენობიდან."

დამწვარი ბავშვების ცხედრები სახანძრო სამსახურის ოცმეთაურმა, მალხაზ ვერულიძემ და მისმა კოლეგამ იპოვეს. უმძიმესი სურათი, ცეცხლის ალში გახვეული შენობა, პანიკა... "ყველაფერი დამწვარი, დახრუკული და მიწასთან გასწორებული იყო, სამივე ბავშვი ერთად ვიპოვეთ, აბაზანაში, ერთმანეთის გვერდით, პირაღმა იწვნენ, როგორც ჩანს, იქ ცდილობდნენ თავის შეფარებას. ისინი დანახშირებულნი იყვნენ. ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია...

საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას, რომელმაც გაუფრთხილებლობით 2 ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ერთ-ერთი გარდაცვლილი ბავშვის მამამ და მამიდამ თვითმკვლელობა სცადეს.

. . .

და ამის შემდეგ უკვე იწყება ადამიანებზე ფიქრი. ყოველი მშრალი ფაქტისა, გულცივი კანონებისა და ერთმანეთის გამომრიცხავი ინტერნეტ იმფორმაციების მიღმა დარჩნენ ადამიანები. დარჩა სამი ბავშვის დანახშირებული ცხედარი, საფლავზე დამხობილი გამწარებული მშობლები... აგონიამდე მისული გონება, საკუთარი შვილების სხეულებივით დაფერფლილი გულები... - აღარაფერი დამრჩა ჩემი შვილიდან-ო, გაოგნებული რომ აგოდდება, სიცოცხლის ბოლომდე... და სინანული (ეს მერამდენედ!) სულ ცოტა მეტი ყურადღება, სულ ცოტა გულისყური და სითბო რომ გადაარჩენდა და გაახანგრძლივებდა სამი ანგელოზის ამქვეყნიურ ყოფას. სოკოებივით წამოზრდილი "საფულე" ობიექტები, სულ ერთია სად და რა დანიშნულებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, მანამდე რომ საჭიროებენ კონტროლს და შემოწმებას, (პროფესიონალიზმსაც!) სანამ ადამიანთა სიცოცხლე შეეწირება... და მით უმეტეს 10-12 წლის მოზარდების!

რუსთავის, ამ ბოლო დროს კოსმოსური სისწრაფით მზარდ, სასაფლაოზე სამი ლამაზი მოზარდი, სამი საჯიშე ბიჭი დავტოვეთ და ვინ იცის, მავანი ვალმოხდილი დაბრუნდა საკუთარ ჭერქვეშ!

რეზო დემეტრაშვილის, თორნიკე ხვიჩიას და დავით ზაქრაძის სულები კი იქ, ცისიქითში, მზეგადასულთა საუფლოში, ანგელოსებად ჩამოსხდებიან უფლის კალთაზე და იქ გადაწყვეტენ სამართლისა და კანონების სისწორ-სიმრუდეს! და ნეტარება მას, ვისაც ანგელოსების პირისპირ დარჩენისა არ შეეშინდება და პირნათელი მიეახლება მათ საუფლოში, მარადიულ სამყაროში გადასახლებულ, დაფერფლილი ბავშვების უცოდველ სულებს.

თამარ ჯაჭვაძე

ზეცაში მიემგზავრებით
(ცეცხლში დამწვარ ბიჭებს)

შეგვძრა ამ დიდმა ტკივილმა,
ყველანი გულით განვიცდით,
მთელ საქართველოს მოედო,
ცეცხლი, რომელშიც დაიწვით...

სამშობლოს დიდო ტკივილო,
ერის შვილებო საჩინო.
თქვენს მშობლებს რით ვუმკურნალოთ,
რა წამლით გადავარჩინოთ.

რარიგად გვტანჯავს გვაწამებს,
ამხელა დარდის ტარება.
თქვენს უჩვეულო განსაცდელს,
სახელად ერქვა წამება...

რეზომ, დავითმა, თორნიკემ,
ძმობა შეფიცეს ერთმანეთს,
თქვენი კამკამა სულები,
მზის გულში აიზეცავებს.

აღარ გამძიმებსთ სხეული
და აღარაფრით წვალდებით.
ნათელში გარდაიცვალეთ,
ზეცაში მიემგზავრებით.

ლამზირა შეყილაძე
2015 წელი

ცოცხალი ჯჭეჭრი
(ალავერდ გზირიშვილის გახსენება)

მე კალმით ვიცი ტირილი, ტირილიც და სიყვარულიც... სულის გადასარჩენი და ტკივილების ერთადერთი სალბუნიც მხოლოდ ესაა... ახლაც კალმით მომწყურდა ატირება. ვტირი ჩემი გულიდან, ჩემი წილი ცრემლით. ჩემი დაქვრივებული დის, დარეჯანის, ნაადრევად ჩაკლული გულიდან კი – დიდი და იგავმიუწვდენელი სიყვარული მინდა ამოვიწერო.

მივდივარ სოფელში, უსიხარულო და ტკივილიან გზაზე, ფეხისგულებით ვეფერები კახეთის მსუყე მიწას და მეშინია, ჩვენი მამა-პაპათა ძვლებით და სისხლით განოყიერებული, ამ მსუყე მიწის მეშინია უკვე.

ვაზის ყვავილობაა ახლა კახეთში, ვაზის ყვავილის საოცარი ნელსურნელება იფრქვევა ირგვლივ, ხეებიც დაზრდილან, ბავშვობაში რუდუნებით რომ ვრგავდით. დიდი ვეებერთელა ტყემლები, კაკლები, ბლები.. ვაზის ყვავილობაა ახლა კახეთში, საოცარია ამ დროს კახეთი. მაგრამ... ჩვენთვის სამყარომ მოულოდნელად ფერი დაკარგა და სიცოცხლე გაუფასურდა. ჩაგვიმწარდა ზაფხული, მენატრებოდა სოფელში ჩასვლა, მაგრამ... ბალს შევაწოდე ხელი და ბალამწარა მეგონა, გემო დაეკარგა პურსა და წყალსაც, ყელში წაგვიჭირა სუსხიანი ხე-

ლები ბოღმამ... სოფელში გავიარე და სოფელი ცარიელი, ცივი და უკაცური მეგონა. მეზობელი და ნათესავი შემხვდა და ვერ ვიცანი და ვერ მიცნო, სახეშეშლილი, უცხო და უცნობი.

ბიჭო გოგია-ო! – ქვითინებდა მოლაღური და ამ ქვითინში იმდენი სასოწარკვეთა ისმოდა, იშლებოდა გულის ბალავარი... მაგრამ მაინც იძახდა მოლაღური ტირილის ხმაზე, ეძახდა გულის ტოლს... ისევ წივილ-კივილით ჭიკჭიკებდნენ ჩიტები განთიადზე... და მერე, მოდიოდა შავი ღამეები და იდუმალება. მერე მიდიოდა სიცოცხლე, ქრებოდა სიყვარული.

ფანჯრის რაფაზე ყველა ყვავილმა მოიწყინა და თავი დახარა. მხრები ჩამოყარეს ეზოში დიდი კაკლის ხეებმა. მოიწყინა ეზომ და ვეებერთელა სახლმა, მოიწყინა ბუნებამ.

შენი დაუღალავი ხელებით სამოთხედ ქცეულ ეზოს, ტყის მხრიდან გვირილები მოსდგომიან. დიდი, ყვითელი, თეთრწამწამა, გაფართოებული და გაკვირვებული თვალებით იყურებიან... იმ იგავმიუწვდენელი სიყვარულის ლეგენდისაგან გაკვირვებულნი. რაო, შენი პატარა "დარო", შენი ცხოვრების გამდარებელი, ოდესღაც ნუკრისთვალება გოგო, გულმოკლული დატოვე-ო, გული შენთან ერთად დამარხა და ცარიელი ფიტული დატოვე-ო. განა ასე სრულდებაო დიდი სიყვარული ადამიანებში?...

დაცარიელდა სახლის კედლები, დაცარიელდა ეზო და დაცარიელდა სამყარო, შენ ჩემთვის დის ქმარი კი არა, ნაპოვნი დედმამიშვილი იყავი, პატარა მამა და დიდი ძმა, ჩემი ცხოვრების ყველაზე კარგი ნაპოვნი... და ვაი, რა ძალიან ადრე დაკარგული...

ნუგეში და სამძიმარი არ არსებობს, შევდივართ იმ ოთახში, სადაც შენი სასახლე დგას, მივიყუჟებით სადმე კუთხეში და რიგრიგობით ჩუმ-ჩუმად ვტირით, ერთმანეთისგან ჩუმად.

მაისია, ვეებერთელა ვარდების თაიგულში ჩაფლეს შენი სასახლე, ვარდების უზარმაზარი თაიგული გაცილებდა. ამ ვარდებმა ისევ გამახსენა თქვენი იგავმიუწვდომელი სიყვარული. მე მაშინ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ჩემს თვალწინ, რეალური სიყვარულის ლეგენდა დაიწყო... მგონია მეც თქვენ მასწავლეთ სიყვარული, მგონია დღემდე იმ სიყვარულზე ლაპარაკობენ, დღესაც იმ საოცარ სიყვარულს იგონებენ. შვიდი წელი ერთმანეთი გიყვარდათ, შვიდი წელი ერთმანეთს გმირობას, რაინდობას კი არა, ადამიანურ კეთილშობილებას ავალებდით შენ და ჩემი და.. თუ ვეფხისტყაოსნის დარეჯანი სატრფოს ეტყოდა: "წა, შეები ხატაელთა", "სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია"-ო. თქვენ ერთმანეთს განათლებისაკენ მოუწოდებდით. ჩემმა დამ გითხრა: – ისწავლე, უსწავლელი ადამიანი ჩვენ დროში ცოდოა-ო. ის ხანგრძლივი აბიტურიენტობის წლები სუფთა და უწმინდესი, პლატონური სიყვარულით გამოიარეთ, სწორედ ამ სისუფთავის არ ეჯერა სოფელს და ქვეყანას, იმიტომ რომ, მაშინ არ გიცნობდა ხალხი! სოფლის კვალობაზე უცნაურნი ჩანდნენ ჩვენი მშობლები, თითქოს ხელისგულზე ედოთ თქვენი გულები. შვიდი წელი ოჯახის წევრივით გელოდით, ყოველ საღამოს. სოფლის აღმართზე ამომავალი, შენი მანქანის ხმა არ გვეშლებოდა. 7 წელი, 2683 საღამო ვისხედით, შევყურებდით ერთმანეთს და ვჭუკჭუკებდით. მერე მე და ჩემი და ხელიხელჩაკიდებულნი გაცილებდით. ამასობაში თქვენ ისწავლეთ, ჩვენც წამოვიზარდეთ, აღარა ვართ ბავშვები, აღარც ჩემი დაა ჯეირანივით ლამაზი და კაფანდარა გოგო. აღარ არიან ამქვეყნად ჩვენი დედები, თორემ მარტო დედაშენს კი არა, დედაჩვენსაც გაუსკდებოდა შენი წილი გული...

მერე... ცხოვრების მძიმე უღელი, მძიმე და საპატიო, სიყვარულით და უფრო მეტი ტკივილით სავსე... საავადმყოფოს ღია სარკმელი, ბიჭი... სიცხიანი ბავშვის ალმოდებული თვალები. კერძო ექიმი, მრგვალ ბაღთან... სახლამდე ვერ მიაღწევს-ო, ექიმის გულგრილი თუ უსულგულო სიტყვები და შენი სახე, ნაცრისფერი, მამის უხმო, უთქმელი და უზომო შიშის ზარი, ზეზეურად სიკვდილი და მერე სიხარული, ბავშვის გადარჩენა! მერე ისევ ბიჭი და მეორე სიხარული... ორი ალგეთელი ლეკვი... მამას ადევნებული ორი ბოკვერი. და ვეებერთელა სიყვარული, ახლა უკვე შვილებისაგან. მამის მოჭრილი ფრჩხილის შენახვა, ავგაროზივით.

მერე იყო და მე გადავიკარგე, უთქვენოდ გავატარე ჩემი ცხოვრების ათიოდე წელი... და როგორ ვნანობ იმ წლებს, უთქვენოდ გატარებულ წლებს... გაუცხოების წლებს...

წამოზრდილან ეზოში ხეები, რომლის ჩრდილში სიბერეში უნდა ჩამოვმსხდარიყავით და ტკბილად გვეჭუკჭუკა ჩვენს განვლილ ცხოვრებაზე. გაგვეხსენებინა ჩვენი ახალგაზრდობის წლები, ეს განვლილი კი, ვაი რა პატარა და რა ცოტა იყო, და ამ ცოტაშიც რამდენი უთქვენოდ

გატარებული. ვერ მივაღწიეთ იმ სიბერემდე, ახლა შენი შვილებივით დაობლდნენ ეზოში დიდი კაკლის ხეები.

მახსოვს ბავშვობაში გლეხის ქალების მოძახილი და ზარი, თავზარდამცემი ვაიი-ო და ბოლო სიტყვები ქვითინში კი არა, თითქოს სიმღერაში გადადიოდა. კარგი ტირილი ვინც იცოდა, ერთით მეტი ქალიც ის იყო. მთელი ცხოვრება ვერ ვისწავლი ასეთ ტირილს-მეთქი, მაგრამ ვაი რომ შენ ტირილიც გვასწავლე, მოთქმით, ხმამაღალი და სხვის დასანახად და მოსასმენად ტირილი. ჩვენი სიკეთის, სიყვარულის და ცხოვრების მასწავლებელი იყავი და სიკვდილის მასწავლებელიც შენ გახდი. მწვანეშია ჩაფლული კახეთი, სიცოცხლე მოძალებულია კახეთი, ჩვენ კი სიკვდილზე ჩაგვაფიქრე, სიკვდილზე ჩაგვაფიქრე კი არა, სიკვდილისაკენ გაგვახედე და ნელა-ნელა სიკვდილის გზა გაგვიკვალე და ასე გვასწავლე. ერთი უკანასკნელი დარიგება მჭირდება შენგან. რა ვქნა, რითი და როგორ ვანუგეშო ჩემი გულჩაკლული და, შენი "დარო". რა ვუთხრა, როგორ მოვექცე ამ ჩვენი, აქ დარჩენილი ცხოვრების გზაზე. ბავშვს დავუძახებ ხმამაღლა და – ჩუმად კაცი არ გააღვიძო-ო – მეუბნება. ბოჩოლა დაიბღავლებს და – სად დაიკარგა ის კაცი, კარებს რად არ აღებს-ო! შენ კი, წევხარ და როგორ დავიჯეროთ, რომ აღარასოდეს შემოაღებ კარებს, ვეღარ გაგვიღიმებ შენი ფაქიზი, საწყალი ღიმილით და რა განუკურნელი ტკივილი გახდება უშენობა!

მერე... სიზმარივით იყო ყველაფერი. დღესაც არ მჯერა, რომ ვეღარ გნახავ. შენი საოცარი, კეთილი და სევდიანი ღიმილით. მაინც რა იყო ის უთქმელი და ჩუმი სევდა? წინათგრძნობა? დიდი სიყვარულის დიდი დასასრული თუ ცხოვრებასთან ბრძოლით დაღლილი დიდი გულის დასვენება... ეგოისტები ვართ ადამიანები. ცრემლი – ეს ჩვენი ტკივილია, თორემ ნატანჯი და ნაწამები სხეული ისვენებს, ეს ჩვენ გვიჭირს უშენობა, თორემ შენ დაისვენე. თავზე ხუთი ოპერაცია ჩუმად, უდრტვინველად გადაიტანე. ისევე ჩუმი, მოკრძალებული ღიმილით გალიე სიცოცხლე. მარადიულად სხვაზე ზრუნვაში და სხვისი ტკივილების სალბუნის ძებნაში... შენ კი, ერთი დიდი ტკივილიც წაიღე – შვილიშვილი გინდოდა გენახა!

და მაინც რა იყო ეს ზაფხული... ასეთი მწარე და ავადმოსაგონარი... მაინც რა ამოუხსნელია სიკვდილი, ზუსტად შენი შვილის დაბადების დღეზე რომ მოგაკითხა. შენი გიორგი ალბათ მთელი სიცოცხლე თვალცრემლიანი შეხვდება საკუთარი დაბადების დღეს...

და მერე... ლიტანია, მცხუნვარე ივნისის თაკარა შუადღე და ლიტანია, შენთან ერთად, ოღონდ უშენო.

მარტო ჩემ დას კი არა, ყველას გვიჭირს, ასე მგონია სამყარო უნდა გაიყინოს, დედამიწა უნდა გაჩერდეს. სასტიკია და მეზიზღრება ადამიანად ყოფნა. მოგაყარეთ მიწა, მიგატოვეთ მარტო და წამოვედით, თითქოს სახლის კარებთან ისევ დაგვხვდებოდა შენი წყნარი, ფაქიზი ღიმილი და ძალიან დიდი გული, რომელიც დიდმა ტკივილმა გააჩერა. თურმე რა ძალიან გვყვარებიხარ! თურმე ბეცები ვართ ადამიანები და ვერ ვხედავთ, ვერც ვგრძნობთ, რა დიდი ადგილი გვიკავია ერთმანეთის გვერდით... და ერთ დღეს რა ძალიან დიდი სიცარიელე გვრჩება, რომელსაც ვეღარაფერი ვეღარ ამოავსებს.

რამოდენიმე სოფელი მოგტიროდა: - ჭიანჭველას ფეხს არ დააბიჯებდა-ო! ვიცი მიცვალებულებს ყველაფერს შეუნდობენ ხოლმე, მაგრამ შენ რა გქონდა შესანდობი? ამ წუთისოფლის გზაზე სიტყვით და საქმით შეცოდება კი არა, მთელი შენი ხანმოკლე ცხოვრება გადავქექეთ და ვერაფერი ვიპოვეთ, ერთი სიტყვა ვერ ვიპოვეთ, შენდობა საჭირო რომ გამხდარიყო. უთქმელი, ჩუმი, უსიტყვოდ შებმული ცხოვრების მძიმე უღელს, უსიტყვოდ განვლე მთელი სიცოცხლე. მხოლოდ მოყვასზე ფიქრით, მხოლოდ სხვაზე დარდით, სხვაზე ზრუნვაში ათენ-აღამებდი, თუნდაც ის სხვა ნათესავი და მეზობელი კი არა, სრულიად უცხო ყოფილიყო. ის უცხო ადამიანები ტიროდნენ, ეს ის კაცი იყო, მე რომ მშიერი ვიყავი და დამაპურა, მიჭირდა და მიშველა, დაჩოქილი ვიყავი და ფეხზე დამაყენა-ო.

მიიკრიფებიან სასაფლაოდან მესაფლავები და ჩვენ ერთმანეთს შევჩერებივართ თვალებში, ყველას ერთიდაიგივე გვინდა, მარტო დავრჩეთ, საფლავის ბორცვზე დავემხოთ და ხმამაღლა, გულიანად ვიბღავლოთ, იქნება მთელი ტკივილი ამოვიკივლოთ გულიდან... და ყველას გვინდა, რომ მხოლოდ თვითონ დარჩეს იქ, მარტო...

მოვდიოდი სოფლიდან და მეჩვენებოდა, ნიავს თითქოს ისევ მოჰქონდა შორიდან ატირებული დიაცების გულგამგმირავი ზარი და ქარის მოძახილი: ვაი შენს დედას-ო! სადღაც ეზოში პაწაწინა ფეხები დააბაკუნებდნენ, საიდანღაც ძაღლის ყეფის ხმა მოისმოდა, სადღაც მამალი ყიოდა, სოფელი სოფლობდა და სიცოცხლე გრძელდებოდა...

მე კი, აღარ მინდა სოფლისკენ გახედვა, სადაც ერთი, ძალიან უძვირფასესი საფლავის გვერდით, სიყვარულის ცოცხალ ჯვრად ქცეული, ატირებული ჩემი და – დარეჯანი, შენი "დარო" მივატოვე.

თამარ ჯაჭვაძე

გელა სხირტლაძე

ცოლ-შვილს ენატრები გენაცვალე,
შვილო, სიზმარშიც ვერ გნახულობ...
დედიკო, მამაში რად გაცვალე,
ჩემო, ცრემლიანო, ზაფხულო...

დათო მელიქიძე

„ათინათს" შენი სახე ენატრება,
უღიმის ზეცაში მნათობს...
ჩემს დარდს შენი დარდიც ემატება,
ვსტირი და ცრემლები მათოვს.

გულნაზ ხარაიშვილი





ᲣᲩᲜ

ეთერ მამუკელაშვილის ერთადერთი შვილი ცათა სასუფეველშია

შენს სასთუმალთან, დედაშენი ღამეს ათენებს,
ის შენთან ერთად იძინებს და იღვიძებს დღისით,
რად ერიდები, ლამაზ სახეს რად არ აჩვენებ,
დედა არ არის აუტანელ ტკივილის ღირსი...

გულნაზ ხარაიშვილი

ჩემო სიცოცხლე რაცომ მიმაცოვე

ჩემო პატარა ანგელოზო,ერთად ართო და განუმეორებელო,ჩემო პატარა ციცქნა ვარსკვლავო

– ჩემო მირანდა.ნეტავ იცოდე,თუროგორ ძალიან უსაზღვროთ მომენატრები.შენ იყავი განათლებული,უშუალო,ძლიერი ნებისყოფის,უღალატო და უდიდესი პიროვნება.შენ შენი სიკეთით ალამაზებდი და ახანგრძლივებდი ჩემს ტანჯულ ცხოვრებას და სიცოცხლეს.იმის შემდეგ რაც შენ ასე მოულოდნელად მიმატოვე ჩემმა სიცოცხლემ საერთოდ დაკარგა აზრი.რა უსამართლოა ეს ცხოვრება და როგორ უსამართლოდ მომექცა შენი მფარველი ანგელოზი,სულ რაღაც თექვსმეტი წელი გაცოცხლა,დაგაჯილდოვა უდიდისი ნიჭით,წარმატებული მოსწავლე იყავი სკოლაში,ყველა საგანს ერთნაირი გულისხმიერებით ეკიდებოდი,მაგრამ განსაკუთრებით ფიზიკა–მათემათიკის ნიჭით გამოირჩეოდი–მამაკაცის ტვინი აქვსო–ასე შეგაფასა შენმა პედაგოგმა–ხათუნა ზაბახიძემ.ჩემო მირანდა შენ მიზნად დასახული გქონდა,რომ გამოსულიყავი ფედერალური აგენტი,ასევე შენი ჰობი იყო სიმღერა.მღეროდი ყველა ჟანრის სიმღერებს,მაგრამ რატომღაც მაინც უპირატესობას ქალაქურს ანიჭებდი,მღეროდი მთელი გულით და გრძნობით,რეპერტუარსაც თვითონ ირჩევდი,რაშიც უსიტყვოთ გეთანხმებოდა შენი ელდარი მასწავლებელი.შენ ამ ქვეყანას მოევლინე დიდი სიყვარულისთვის,სიკეთისთვის,მეგობრობისთვის,სიმღერისთვის–იმ სიმღერისთვის სადაც შენს გულის ტკივილს,ჯავრ,დარდს და სევდას გამოხატავდი.ალბათ იმიტომ ირჩევდი სუ სევდისმომგვრელ სიმღერებს,რომ წინასწარ გრძნობდა შენი პატარა,მაგრამ ამავდროს ძალიან დიდი გული სიცოცხლის დასასრულს.იმიტომ მღეროდი–„ისევ მიდიხარ,ისევ მშორდებიისევ მითვლიან წამებსო''ნეტავ ვინ ან რატომ დაგითვალა შენი სიცოცხლის წამები.

აი დღეს 25მაისია ბოლო ზარი დაირეკა შენს სკოლაში.ყველა შენი თანაკლასელი,მეგობარი და მასწავლებელი ერთად სიხარულით აღნიშნავდნენ ამ ღირსშესანიშნავ დღეს,მაგრამ ამავდროულად მწუხარე ცრემლის ნიაღვარი დადგა საკლასო ოთახში,ყველა ცრემლებით ემშვიდო-

ბებოდა შენს სურათს რომელიც თითქმის ორი წელი საკლასო ოთახის კედელზე ეკიდა და იქიდან ლოცავდა ყველას.შენმა დედიკო ხათუნამ და დაიკო მარიამმა თეთრწინსაარზე შენი პატარაობის სურათი დაახატინეს სადაც ექვსი წლის იყავი და პირველად შეაღე სკოლის კარი.წინსაფარზე ყველა შენმა მეგობარმა და პედაგოგმა დატოვეს სამახსოვრო წარწერები.შემდეგ კი ყველა,როგორც როგორც ერთი შენს საფლავტან ამოვიდა და იქ მოგილოცეს სკოლის დამთავრება და ბოლო ზარი.აი ასეთი სევდიანი აღმიჩნდა შენი მოლო ზარი.

ჩემო მირანდა ძალიან,ძალიან ძნელია ამ თკივილის გაძლება და ატანა,რაც დრო გადის სულ უფრო მიჭირს,არ ვიცი როდემდის შემწევს კიდევ ძალა,ენერგია და უნარი,რომ ამ საშინელ უბედურებას გავუძლო.მაქსიმალურად ვცდილობ,რომ შენს გაუბედურებულ დედიკოს არ ვაჩვენო ჩემი განცდები,ტკივილი და ცრემლი.მე მგონი ჯერჯერობით გამომდის. ვცდილობ მასთან ერთად არ ამოვიდე შენთან,შენს საფლავზე,რათა მასთან ერთან არ შემიძლია შენთან ჩემი დარდის გაზიარება და შენთან საუბარი.მირჩევნია სულ მარტოდ მოვიდე,დავჯდე და გესაუბრო,შენ ხომ ყოველთვის სწორად გესმოდა ჩემი მეთანხმებოდი.ეხლაც ალბათ უხმოდ მეთანხმები.დალიან ძნელი ყოფილა მონატრება,აი შენს საფლავთან ვზივარ და ვქვითინებ,შენი სხეულის ნაცვლად შენს და ცივ ქვას ვეხუტები,შენს სურათს ვუყურებ და შენი მდუმარე,ყოვლის მთქმელი თვალები მანუგეშებ.შენი ღიმილი უსასრულო სიცივისაგან,ყინვისაგან,სიშორისაგან და სიბნელისაგან გარინდებულ სახეზე გაქვს მიყინული,მაგრამ მე მაინც უდიდეს სითბოს ვგრძნობ.

მსუბუქი იყვეს შენთვის ქართული მიწა,ღმერთმა მარადიულ სასუფეველში დაამკვიდროს შენი კეთილი ლამაზი სული და არ დაამძიმოს ისედაც ამაოებით დამძიმებული შენი სხეული.

„ჩემთვის დაბნელდა,აღარ თენდება,
გზააბნეული დავეხეტები,
გეძებ ქუჩაში,სკოლაში,სახლში
შენს გზას ვერ ვაგნებ,მიშველე რამე.
შენ ხომ გიყვარდა სიმღერა,ცეკვა,
სიმღერა სევდით და დარდით სავსე,
შენ უმღეროდი დიდ საიათნოვას
დიდ სიყვარულს და მთვარიან ღამეს.
დღეც დამიბნელდა ღამეს რას ვერჩი,
მწუხრმა შეიპყრო მთლად არე–მარე,
ჩემო პატარა,ციცქნა გოგონავ
რად მიგვატოვე ან სად წახვედი!.

მილოცვა

იუმილე, რომელსაც ნათელი ახლავს...

რაჟდენ ქარდავას 80 წელი შეუსრულდა.

იშვიათია ადამიანი, რომელიც მუდამ მოწოდებული იყო კეთილი საქმეების კეთებით. ასეთი პიროვნებების აზროვნების ფსიქოლოგიური წყობა, მათი გარეგანი და შინაგანი ბუნების ერთობლიობა მუდამ ჰარმონიაშია და მას გარეგანი ფაქტორები თითქმის ვერ ცვლის. სწორედ ასეთ ადამიანთა მცირე ჯგუფს მიეკუთვნება ჩვენი ძმა და მეგობარი, ჯერჯერობით მტრის მიერ ოკუპირებული, საამაყო ისტორიის მქონე სამურზაყანოს კოლორიტი რაჟდენ ვლადიმერის ძე ქარდავა. ჩვენი ოჯახები გალის რაიონის სოფელ რეფში გვერდიგვერდზე ცხოვრობდა და უკომპრომისოდ ებრძოდა გაუკუღმართებულ ცხოვრებას, რომელიც მეორე მსოფლიო ომით იყო გამოწვეული. როგორც მთელი სოფელი, ჩვენი ოჯახებიც დაცლილი იყო ფრონტზე გაწვეული ახალგაზრდებისაგან, ამიტომ მძიმე ტვირთი ერგო ჩვენს ბავშვობას. მიუხედავად გაუსაძლისი ცხოვრებისეული პირობებისა, დაბეჩავებულები არასოდეს ვყოფილვართ, პირიქით, შრომასა და სწავლაში გამოწრთობილები, ჯანმრთელი და ძლიერები ვიყავით მუდამ.

შენი დედა – მაროსია კეშელავა-ქარდავა და ჩემი დედა ნუცა ბაგათელია –ზაქარაია სოფლის მოსახლეობისა და სკოლის მარგალიტები იყვნენ, შეუბღალავი მანდილის მატარებლები. ისინი ჩვენ კეთილშობილ ადამიანებად გვზრდიდნენ, ისე როგორც მთელი სოფლის ახალგაზრდობას. ჩვენი დედები იყვნენ ჩვენი პირველი მასწავლებლებიც, რაზედაც დღესაც ვამაყობთ. შენ, ჩემო რაჟდენ, ჩვენზე 4-5 წლით უფროსი იყავი და შენ გბაძავდით შრომაში, სწავლაში, სპორტში, როგორც სამართლიანს, ფიზიკურად ძლიერ ძმას და მეგობარს. მახსოვს ქარდავებისა და ზაქარაიების ოჯახებში 15-მდე ბავშვი იზრდებოდა, ჩვენ დაძმებივით ვიყავით. აღზრდის ასეთ ღვთიურ ფორმას, წარმატებით აღწევდნენ ჩვენი სასიქადულო დედები. ჩვენი დედების სადიდებელი სადღეგრძელოები სოფლის მოსახლეობაში ტრადიციული იყო, როგორც სამაგალითო მანდილსნები.

თუმცა, ძალიან ძნელია დედაზე წიგნის დაწერა, მაგრამ მე მაინც შევეცადე და გამოვეცი იგი, მას „შეუბღალავი მანდილი“ ვუწოდე. სწორედ ეს წიგნი ჩვენს დედებს მიუძღვენი, რომელმაც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ნაცნობ-მეგობრებში.

შემდეგ ჩვენ, ჩემო რაჟდენ, ჩვენი ცხოვრება სხვადასხვა გზებს გაუყვა, მაგრამ სულიერი კავშირი არასდროს შეგვიწყვეტია. მშვიდობიან პერიოდში ვშრომობდით და ვსწავლობდით, ომშიც თავგანწირულები ვიყავით, რაც მთავარია სინდისი, პატიოსნება და კაცურკაცობა არასდროს და არსად არ შეგვიბღალია, ისე მოვედით დღემდე როგორც ეს ჩვენს საამაყო წინაპრებს ეკადრებოდა.

შენზე, შენს კაცობაზე და საერთოდ შენს ცხოვრებაზე წიგნიც დაიწერება მომავალში ალბათ, მაგრამ ამ სტატიაში მინდა მცირე ამონარიდი მოვიყვანო ჩემი წიგნიდან, „სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები“, რომელიც აბხაზებთან წარმოებულ ომს ეხება.

აი ისიც: „რაჟდენ ქარდავას პიროვნება ბევრისათვის კარგადაა ცნობილი, იგი უანგარო, პატიოსანი, ღვთიური სიკეთით აღსავსეა, ფიზიკურად ძლიერი, სულიერად ამაღლებული, მოაზროვნე ადამიანია, რომ იტყვიან გაჭირვების ნამდვილი ტალკვესი.

ბატონი რაჟდენი, რამდენიმე ენთუზიასტთან ერთად, რომლებიც 60 წელს იყვნენ მიღწეულები თავისი ძალებით. ოჩამჩირის ფრონტის ხაზიდან დაჭრილები და დაღუპული მეომრები გალში გადმოჰყავდათ. 1993 წლის 20 სექტემბრამდე გალში გადმოიყვანეს 27 მეომარი, რომელთა გარკვეულმა ნაწილმა გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ ფრონტის ხაზს დაუბრუნდა“...

ბატონ რაჟდენს მისმა კეთილმა თვისებებმა და გასაოცარმა ინტუიციამ უკარნახა 18 სექტემბერს კიდევ ერთი... სრულიად უიმედო მდგომარეობაში მყოფი 23-ი წლის მძიმედ დაჭრილი მეომრისათვის შეენარჩუნებინა ნანატრი სიცოცხლე. იმ დღეს ბატონი რაჟდენი თავის თანამ-

ზრახველებთან, შოთა შერვაშიძესთან ერთად საკუთარი მანქანით საღამო ჟამს უკვე რიგით მერამდენედ მიადგა ოჩამჩირის რკინიგზის საავადმყოფოს. ქირურგებმა მაშინვე სთხოვეს მოსულებს, კიდევ ორი დაჭრილი სასწრაფოდ გადაეყვანათ გალის საავადმყოფოში. რაჟდენ ქარდავამ და შოთა შერვაშიძემ დაჭრილი მეომრები მანქანის უკანა სალონში მოათავსეს, ის იყო ორივენი მანქანაში უნდა ჩამსხდარიყვნენ და გალის გზას გასდგომოდნენ, იქვე ოდნავ მოშორებით იატაკზე კიდევ ერთი მეომარი შენიშნეს, რომელსაც ცალი გადამსხვრეული ფეხი პირდაპირ მკერდზე ჰქონდა დადებული. რაჟდენმა გრძნობა დაკარგულ მეომარს მაჯა გაუსინჯა და მის თითქმის უსულო სხეულში სიცოცხლის ნიშანწყალი იპოვა. – რაცა არ უნდა მოხდეს ვერ დავტოვებ, გაუელვა ფიქრმა რაჟდენს და ცოცხალმკვდარი ადიელაში შეხვეული თავისი ძლიერი ხელებით მანქანის სალონში გადაიყვანა. ერთ საათში ისინი უკვე გალის საავადმყოფოში იყვნენ. მიყვანის თანავე დაჭრილის საბუთები გასინჯეს... ეს ხომ გოდერძია, ჩემი უსაყვარლესი მეზობლისა და მეგობრის ჩემი თანაკლასელის შოთა ზაქარაიას შვილი, ჩემი გოდერძია, რომელმაც სამი წელიწადი იომა ავღანეთში, იყვირა რაჟდენ ქარდავამ. ნახევარ საათში დაჭრილის მამამ შოთა ზაქარაია საავადმყოფოში მოიყვანეს და შვილის სიცოცხლის კრიტიკული მდგომარეობის შესახებ ყველაფერი აუხსნეს. დაარწმუნეს იმაში, რომ დაჭრილი შეიძლება გადარჩეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას უკვე განგრენა დაწყებული ფეხის ამპუტაციას გაუკეთებდნენ, და მართლაც სხვა გზა სიცოცხლის შესანარჩუნებლად არც არსებობდა. გოდერძი ზაქარაიას ფეხი მოკვეთეს და სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

დღეს იგი მადლიერების გრძნობით იგონებს რაჟდენ ქარდავას, შოთა შევაშიძეს რაიონის მთავარ ექიმს, დალი ხორავას და კეთილ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

დაე კვლავაც იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი, ისეთი მოსიყვარულე და სამართლიანი როგორც დღემდე.

შენი ერთგული ძმა და მეგობარი

სიმონი ზაქარაია

იუმილე კლარა მალაზონია

ჩემო კლარა

არ გეგონოს დამავიწყდი,
სიფაქიზით გიწვდი ვარდებს...
მე არა ვარ გულმავიწყი,
ვერ ვერევი გულის დარდებს

გულნაზ ხარაიშვილი

მადლობა

ზურა დალაქიშვილს

ზურა დალაქიშვილი, მცხეთის რაიონის მცხოვრები, რომელიც სრულიად უცნობი პიროვნება იყო ჩემთვის 13 ივნისის სტიქიის შედეგად მიყენებული უბედურების წუთამდე, გვერდიდან არ მომცილებია.

მინდა ყველამ წაიკითხოს და გაიგოს ქართული სულის ახალგაზრდის შესახებ.

მე და ჩემი ოჯახის წევრები მადლობას ვუხდით ჩემი გადარჩენისათვის და სტიქიის დროს წვიმისაგან გამოწვეული ჩემი საცხოვრებელი სახლის დატბორვისაგან გადარჩენისათვის. მან გასაჭირში არ დამტოვა, სწორედ ვერაზე ვიყავი და იქიდან მიმიყვანა მისი თავგანწირვის ფასად სახლში. სახლი წყლით ივსებოდა, რადგან სახურავზე სანიაღვრე მილი ყოფილა გაჭედილი. ის უშიშრად ავიდა სახურავზე, მაშინ როდესაც წვიმის სიხშირე პიკს იყო მიღწეული, მონახა სანიაღვრე მილი და განთავისუფლა ფოთლებისაგან. ეს ხდებოდა ღამის 1 საათზე, იმ კოკისპირული წვიმის დროს, მთელი ჩვენი სახლი გადაარჩინა დატბორვას. განა ეს გმირობა არ არის? თავგანწირვა არ არის? იმ დროს, როდესაც მთელი ქალაქის მოსახლეობა თვითგადარჩენისათვის იბრძოდა.

დამილოცნიხარ შვილო ზურა, ჩემს სალოცავ კუთხეში ყოველთვის აინთება ერთი სანთელი შენი და შენი ოჯახის დასალოცად.

მოწიწებით, პატივისცემით მადლობას ვწირავ შენს მშობლებს მამაცი, ერთგული, კეთილი და დიდი გულის მქონე შვილის გაზრდისათვის.

ჩვენს საქართველოს უმრავლოს შენისთანა ვაჟკაცები!

გფარავდეს ყოველთვის უფალი!

პატივისცემით, მადლიერების გრძნობით
ქ-ნი ***ნაირა მარშანია***

სარჩევი

ხარება (ხატმწერი ხატია ლარიაშვილი) 3
პეტრე და პავლე (ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები) 4
***მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)* – გადვიხედე ცის მთის იქით** 5
***მაია ტყემალაძე* –სიყვარულის ნაჟური** 6
***გულნაზ ხარაიშვილი* – ლაგუნა ვერე** 10
2015 წელი გამოცხადებულია აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლის აღსანიშნავად 11

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
ჩანახატი 12
* * *უკეთუ საკუთარ თავს მოერიე... 12
უფალო ტკბილო 12
ო, დიდება შემოქმედო... 12
* * *ნეტარნო მამანო... 13
* * * დაგვლოცე და დაგვიფარე, უფალო 13
მდაბალი **მამა გაბრიელი** (ბეგლარ კულუმბეგაშვილი)
უწმინდესს! 14
* * * რა საზიზღარი ქარი ქრის... 14
* * * მალე ინათებს ივერნო! 14
სამშობლოვ ჩემო 15
მაყვალა გონაშვილი
ხეო სიწმინდისა 16
გულმზიანი 16
ძახილი 16
მანმადე ისე შორი გზებია 17
ალექსანდრე გოგინაშვილი
„საქართველო წმინდანების ადგილია“ 18
„ვედრება“ 19
გაგა გომართელი
მწუხარე ლექსი 20
ძმათა 21
ლევან ფანჩვიძე
მზე გვირილების არის მთოველი 22
მე დამესიზმრა 22
მსოფლიო პოეტებს 22
ფეხშიშველა ქარი
რუსთველური სიყვარული 23
იმერული გაზაფხული 23
მანანა დანგაძე
*** მზეო, სიყვარულით ანთებულო... 24
ჩემი ბავშვობის ქალაქს 24
გვიანია 24
შალვა ილურიძე
ორი მეგობარი 26
საქართველო ჩირაღდანად მინთია 26
ეზო-კარი 27

ჩემი ქონება....28
იცი რა მომკლავს?....28
რატომ გამხადე დევნილი....28
სასიმღერო-სატრფიალო....29
უნუგეშო ტკივილი....29
ასი ლექსი დევნილობაში....29
ვაჟა ეგრისელს....30
გოგა გოგიტაშვილი
გრანელი....30
მანანა ზაზიკაშვილი
ისე მჭირდები....31
შენ ხარ....31
სულ ტყუილად ვშიშობდი....31
ქორს....31
ქარმა სანთელი ჩამიქრო....31
წვიმს....31
საარაკო....31
არ გაგიწყრება ღმერთი....31
მამულო თუ დაგჭირდები....31
ანა ერისთავი
* * * ქართლის ზეცაზე...32
* * * ფეხშიშველა ხარ...32
* * * უფლის ნაკურთხია...32
* * * უდაბნო არწყულა...32
* * * უფალო, ნათლით ამავსე...32
უფლისადმი....33
წმინდა მარიამს....33
წიწამურთან....33
წმინდა ნინოს საგალობელი....33
სერგი ლომაძე
პოემა – არარსებულ ადამიანზე....34
უშანგი მოსიაშვილი
მოკლეა წუთისოფელი....36
შეგონებები....36
სამშობლოს....36
შურიან კაცს....37
ლამაზ ქალს....37
მუდამ ვფიქრობ....37
აბულ-მესხი (დავით აბულაძე)
წუთისოფლის სამდურავი....38
საქართველო....38
მიზანი....38
სვიმონ მეფე....38
* * საქართველო განა მხოლოდ მიწა არი....40
გულის სათქმელი....40
ელენე აბულაძე
ადამიანი....42
კახა სამყურაშვილი
* * *ზვირთნაპკურები, ზვავდაფიფქული....43
მადლიერება....43

* * *დეკემბერია მთლად მილეული... 43
გორიჯვრისაკენ 43
გვალვა 44
სამი მეთევზე 44
გამოუთქმელი გაგებით 44
სათვალის ფული 44
* * * მოსვენებაა... 45
თარგმანები
ჰაინრიხ ჰაინე
ღამის ფიქრები – **Nachtgedanken** 45
*** * *** ბედნიერება – მსუბუქი ხასა... 46
ANNO1839 46
ლორელაი 46
* * * რადგან ვბრწყინავ, ჭექა მიჭირს? 46
ჰერმან ჰესე
Gestutzte Eiche – ნაჩეხი მუხა 47
Im Nebel – ნისლში 47
Wie sind die Tage shwer 47
Zu spät – გვიანი 47
Welkes Blatt – დამჭკნარი ფოთოლი 47
მარინა ყიფიანი
არ დაჩოქილო ქვეყანავ 48
არ დაგვიკარგავს, არაფერი არ დაგვიკარგავს 49
გვანცა ხარაიშვილი
* * *თვალები. დილა. გაახილე... 50
* * *რომ დავიწყო წერა და მივხვდე 50
* * * მაშინ, როცა მარტოობა ადამიანებისთვის... 50
სელფების ომი 51
მზეგული ტყეშელაშვილი
სილაურა 51
სტუმარ-მასპინძელი 52
იის სურნელი 52
შენს ცაზე 52
მიწა ვარ 52
რერო 52
თამარ ჯაჭვაძე
თეთრი ლომი 53
* * * მე დავიბადე და არ ვგავდი სხვას... 53
ნაილი ხარაიშვილი
სხვისი ტკივილი 56
ცაცხვის კვირტები 56
დრო 56
ქართველი პოეტები 57
******* თავზე დამაცრის დღეს ცისკარი სანუკვარ დილას... 57
ავაზა 57
პეტრე ჯაჯანიძე
ქალის დუმილი მარტის ფიფქია 58
ვინ იცის 58
* * * ჯოჯოხეთური ჰქონდა წადილი 58

ფიქრი მკლავს 58
ლ –ს 59
* * *არ აგისრულდა ნიშნობის ლოცვა... 59
ციცინათელა.....59
დუმს მარტოობა 59
ბეჟან ხარაიშვილი
* * * ისევ გინატრე ყვავილობისას.....60
სიზმარი.....60
* * * ცა რომ მტრედისფერობს... 60
სიყვარული იწყებოდა ასე.....61
ეს ცხოვრება.....61
სხვაობა 61
გამოთხოვება 61
გულნაზი ხარაიშვილი
უმტროდ ცხოვრება.....62
რა ძნელი არის.....62
წვიმა 63
გულის ფიქრები 63
ო, როგორ მინდა 63
მიხარია.....63
თუ მდიდარი ხარ.....63
თორმეტი წელია.....63
მხატვრის სული.....64
ცოდნის ოკეანე 64
არაფერია.....64
ეკლის ღობე.....64
გულო ჩემო 64
აღსდექ გიორგი.....64
ლევან პირველი
* * * მე ვიცი.....65
უსათაურო, არც.....65
მიხეილ თუმანიშვილი
პოეტი – პარტიზანი.....66
იმერული ყვავი 68

<u>ხაბავშვო განყოფილება</u>

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)
ჯადოსნური მხარე
ამპარტავანი ცხენის თავგადასავალი (იგავი) 72
ლია ბეჟანიშვილი
მესაიდუმლე 73
ტყუპები 73
მკაცრი სალომე.....74
ჭუპა, ჭუპა 74
გაზაფხული.....74
დედოფალას დღეობა 74
ჭუჭყიანი მამალი 74
ქომაგი 74
საგაზაფხულო სიმღერა.....74

პროზა

რევაზ მიშველაძე
აეროპორტის მოსაცდელში 76
მაკე ძროხა და მაკა 76

ესეები

გვანცა ხარაიშვილი
ვის უნდა საქართველოში? 78
Partly-Hell Job 79
ნუნუ გოგოლიძე – აკაკის იუბილე ბოდბეში / 175-100 / 80
სერგი ლომაძე
ფერადი აპრილი – ოცდამეთექვსმეტე საჯარო სკოლაში 84
თბილისელი და საჩხერელი ვუნდერკინდებიბეჟან ხარაიშვილის ხსოვნის საღამოზე 86
ხაშური, როგორც დიდქართველური კულტურის ქალაქი 89
სტატია-რეცენზია - ნუგზარ ხუციშვილის წიგნის შესახებ 94
„ლამპარი“ 98
აკაკის იუბილე ბოდბეში 101
თამარ თედიაშვილი – ღვთაებრივი ტრიადა 105
გულნაზი ხარაიშვილი – დაჩი ივანიშვილის თავგადასავალი 107
ლალი კახიძე
ღირსეული ექიმი 109
კარტოფილი 109
ოქროსხელება ზურიკელა 110
კლიმენტ კიკალიშვილი – „ფესტოსის დისკოს“ ზუგდიდმა უმასპინძლა 112
სიმონ ზაქარია, ონერ ძაძუა, ნუგზარ კვაშილავა – გია კვაშილავას სამეცნიერო სესია აბაშაში 116
შარაბ ხოჭოლავას დამსახურებულ იუბილესთან დაკავშირებული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ზუგდიდში 120
თინათინ ჯაჭვაძე – ბეჟან ხარაიშვილი 125
გულნაზი ხარაიშვილი იუბილარია 129
სიმონ ზაქარაია, ონერ ძაძუა – * * * 129
ციალა ხაჟალია-ანდრიაძე – გულნაზ ხარაიშვილს 132
ლუარა სორდია – პოეტის „სულის ძიძები“ 132
შალვა ილურიძე
„გულნაზ ხარაიშვილს“ საიუბილეო საღამოსათვის მიძღვნილი მოკრძალებული ლექსი მთიელ ძმისგან 137
ლოცვა ქსნის ხეობიდან 137
სერგი ლომაძე – დღეთა მწვერვალი 138
ნუგზარ ნადარაია – მივესალმები გულნაზ ხარაიშვილის საპატიო იუბილეს 142
თამარ ჯაჭვაძე – გულნაზ ხარაიშვილი – 65 142
ლამზირა შეყილაძე – გულნაზ ხარაიშვილს 144
მაია ტყემალაძე – „ქარებს მოჰყოლია ყვავილთა სურნელად...“ 144
გულნაზ ხარაიშვილი – ეთერ დაგიტირეს პოეტებმა 145
წიგნის მეგობრები რუსთაველში (მოხუცთა თავშესაფარი) 146

ფსიქოლოგია

რუსუდან მხეიძე – კითხვის პროცესის კოგნიტური მოდელები 147
დალი ზერაგიამ – არსელ პრუსტი – კომბრე (გაგრძელება) 148

წერილები

ტიტე მოსია – ციტატური რემინისცენციებით ქართული ჰაგიოგრაფიაში.....151
ლუარა სორდია – აკაკი და გალაკტიონი-გედის ორდენის რაინდები.....158
მანანა კვატაია – ისტორიის სივრცეებიდან.....162
ქეთევან ცაბაძე – საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნის და განვითარების აქტუალური საკითხები.....164
თინათინ ხოხობაშვილი – მდინარე თელავის ხევის მეწყერული და სელური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის გზები.....168

ისტორია

ირაკლი გიორგაძე – ამერიკის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია.....170
ნიკო ხერკელაძე – გ. სააკაძის მიზნები და მისი ურთიერთობები როგორც მომხრე ისე მოწინააღმდეგე დიდებულებთან.....176
ამალია საზანდრიშვილი – აკაკი გასიტაშვილი – მოგონებათა ფურცლები.....180

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, მედეა ჭელიძე – პირველი მონეტები მსოფლიოში.....184
ვანო შუშტაკაშვილი –განვითარებული ქვეყნების საკრედიტო სისტემის ზოგადი დახასიათება.....190
ჯუმბერ ხარაიშვილი – საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაცია საქართველოში.....198
ნოდარ ხარაიშვილი –საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.....201
სულხან მახათაძე – ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში.....204

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა – ფურიეს მწკრივის განშლადობა უოლშის სისტემით.....209

ნორჩი ათინათელები

მერი ბერაძე – ინტერვიუ ონერ ძაძუასთან.....211
ნანა სხირტლაძე – ინტერვიუ მხატვარ ნიკო ხერკელაძესთან.....215
ტარიელ ხარატიშვილი – ინტერვიუ იყალთოს გამგებელთან ბატონ გოჩა ქააძესთან.....216
ტატო ხარატიშვილი – ინტერვიუ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორთან ბატონ ელგუჯა მამუკელაშვილთან.....219
ელენე გულიაშვილი – ინტერვიუ სიმონ ზაქარაიასთან.....220
ირაკლი დარსალია – ინტერვიუ სამხატვრო აკადემიის რექტორ გიორგი გუგუშვილთან....222
ირაკლი დარსალია – ინტერვიუ ზურაბ გაბუნიასთან, სამხატვრო აკადემიის მხატვარ-ფერმწერთან.....223

ნორჩი ლიტერატორები

ლელა მესხი – ჩემი პატარა მეგობრები.......225
ნიკოლოზ მარჯანიძე – ჩვენი ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრე.....225
ანა ცარიელაშვილი – ზაფხული.....226
ლიზი ლომსაძე – ყვავილები.....226

ლადო ზაქარეიშვილი – „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“ 226
მარიამ ტყეშელაშვილი – დაუმსახურებელი წყენა 227
ვალერ ხაზალია – ბედნიერება! 227
გიორგი ხუმარიანი – ჩემი სამშობლო 227

გახსენება

უ კ ო მ ე ნ ტ ა რ ო დ ! 228
ჟოზე სამხარაძე – ხვალ ისევ მოვალ, შვილო!.. ვასიკო სამხარაძის გახსენება 229
ნინო შეყილაძის შვილები – მშვიდობით დედა 230
გულნაზ ხარაიშვილი – აქ ზამთარია 232
გულნაზ ხარაიშვილი – ეკატერინე ერისთავის გახსენება 232
თამარ ჯაჭვაძე ვ ქობულეთის ტრაგედია 233
ლამზირა შეყილაძე – ზეცაში მიემგზავრებით 235
თამარ ჯაჭვაძე – ცოცხალი ჯვარი 235
გულნაზ ხარაიშვილი – გელა სხირტლაძე, დათო მელიქიძე 238
უჩა *239*

მილოცვა

იუბილე, რომელსაც ნათელი ახლავს 240
კლარა მალაზონიას 243

მადლობა

ზურა დალაქიშვილს 242

ავტორთა სყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი” არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.”

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო”. გარეკანის მესამე გვერდზე მთავარანგელოზი მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.

ჟურნალ „ათინათის” დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: ელგუჯა მამუკელაშვილი – პროფესორი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
ლევან ბაბუხადია – ჟურნალ „ხატის“ რედაქტორი
ანა ბოდბელი – მეცნიერი
თამარ ჯაჭვაძე, აკადემიის წევრი
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
ნათია მოსიძე, ფილოლოგი – აკადემიის წევრი
ფსიქოლოგიის განყოფილების რედაქტორი: დალი ზერაგია.

საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი

ზუსტი და საბუნებისმეტყველო განყოფილების რედაქტორები:
სიმონ ზაქარაია – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ონერ ძაძუა – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და თინათინ ხოხობაშვილი – მეცნიერებათა დოქტორი

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში”.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge